

ქოჩი
სარამაბუ
სიბრძნე



ჟოზე სარამაგუ
სიბრმავე

ედღვნება პილარს

და ჩემს ქალიშვილ ვიოლანტას „ვისაც თვალი აქვს, იხილოს,
და ვინც იხილავს, შეიცნოს.

შეგონებათა წიგნი

შუქნიშანზე ყვითელი აინთო. პირველი ორი ავტომობილი
წინ გაიჭრა და წითლის ანთებამდე მოასწრო გავლა. შუქნიშანზე
ადამიანის მწვანე გამოსახულება გამოჩნდა. ყველა, ვინც ტრო-
ტუარზე იდგა, შავ ასფალტზე დახაზულ თეთრ ზოლებს გაუყვია,
აი, ზებრას რომ უწოდებენ, თუმცა, ძალიან ნაკლებად ჰგავს.
სულსწრაფი მძღოლები დროდადრო გაზის პედალს აჭერენ და
მანქანები ისე ძაგძაგებს, როგორც ცხენი მათრახის დანახვაზე.
ხალხმა უკვე გაიარა, მანქანების გავლის სიგნალი კი მხოლოდ
რამდენიმე წამში აინთო და ზოგიერთის აზრით სწორედ ამან
შექმნა ისეთი სიტუაცია, თითქოს ეს უმნიშვნელო პაუზა მთელი
ქალაქის ათასობით შუქნიშანზე გამრავლდა და ქუჩების არტე-
რიებზე მანქანები ჩახერგა.

როგორც იქნა, მწვანე აინთო, მანქანები მაშინვე დაიძრა,
თუმცა, არა ყველა. შუა ნაკადში პირველი მანქანა როგორც იდ-
გა, ისევე დგას. ეტყობა, რაღაც მოეშალა: აქსელერატორი გამო-
ირთო, ჰიდრავლიკა გამოვიდა მწყობრიდან, გადაცემათა კო-
ლოფი გაფუჭდა, სამუხრუჭე ხუნდები გაიჭედა ან კონტაქტი მო-
იშალა, ანდა სულაც ბენზინი გაუთავდა. ტროტუარზე ისევ შეგ-
როვდა ხალხი, ხედავენ, როგორ იქნევს მძღოლი ხელებს, ეს-

მით, როგორ უწყვეტად უსიგნალებენ უკანა მანქანები. ზოგიერთი მანქანიდან მძღოლები გადმოვიდნენ, ეტყობა, აპირებენ, ეს მანქანა სავალი ნაწილიდან გადააყენონ, სხვები, გაბრაზებულნი, გაჩერებულ მანქანას მინებზე უბრაზუნებენ, მძღოლი კი თავს აქეთ-იქით იქნევს, რალაცას ყვირის, ტუჩების მოძრაობაზე ეტყობა, რალაც სიტყვებს იმეორებს, თუმცა, არა, სიტყვებს კი არა, ერთ სიტყვას, რაც გაირკვევა კიდევ, როცა, ბოლოს და ბოლოს, მანქანის კარს გააღებენ: დავბრმავდი.

თუმცა, არ ეტყობა. ერთი შეხედვით, ორივე თვალი მთელი და უვნებელი აქვს, გუგები - ბრჭყვიალა, სკლერა - ქათქათა, ფაიფურით. ის კი, თვალები რომ ფართოდ დაუჭყეტია, შეძრწუნებულ სახეზე კანი დანაოჭებია, წარბები აუქაჩავს, აშკარად შიშის ბრალია. და უკვე ყველაფერი, რაც მანამდე ჩანდა, გაქრა შუბლზე მიჭერილი მუშტების მიღმა, რომლითაც თითქოს ტვინში აკავებს იმას, რაც მძღოლმა უკანასკნელად დაინახა - შუქნიშნის მრგვალ, წითელ ნათებას. დავბრმავდი, დავბრმავდი, სასოწარკვეთილი გაჰყვირის, სანამ გულისხმიერი ადამიანები მანქანიდან გადმოსვლაში ეხმარებიან და უსინათლო თვალები მომდგარი ცრემლისგან უფრო მეტად უბრწყინავს. გაგივლით, აი, ნახავთ, მალე გაგივლით, იცის ხოლმე, ნერვების ბრალია, უთხრა ვიღაც ქალმა. ამასობაში შუქნიშანზე ფერი ისევ შეიცვალა და უადგილოდ გაჩერებულ მანქანას ახლა უკვე გამვლელებიც შემოეხვივნენ, მოშორებით მდგარი მანქანის მძღოლები კი, რომლებიც ვერც მიხვდნენ, რა მოხდა, აღშფოთებას გამოხატავენ, როგორც შორიდან აღიქვებს, სრულიად უმნიშვნელო საგზაო შემთხვევის გამო, დაახლოებით ისეთის, როცა ფარა ჩატყდება ან მანქანა გაიკაწრება, რაც სულაც არ იმსახურებს ხალხის ასეთ თავშეყრას. პოლიცია გამოიძახეთო, ყვიროდა ხალხი, ეს ჯაბახანა მოაშორეთო. შინ წამყვანეთო, იხვეწებოდა უსინათლო, იმ ქალმა კი, რომელიც არწმუნებდა, ნერვების ბრალიაო, მოიფიქრა, სასწრა-

ფო დახმარება გამოვიძახოთ და ეს საცოდავი საავადმყოფოში წავიყვანოთ, თუმცა, უსინათლო იმეორებდა, არა, არა, არ არის საჭირო, და მხოლოდ იმას ითხოვდა, შინ მიმაცილეთ, აქვე, ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ, თუ არ შეწუხდებით, დიდად დამავალვებით. მერედა, მანქანაო, იკითხა ვილაცამ, მეორემ უპასუხა, გასაღები მანქანაშია, გვერდზე გადავაცენოთ ან ტროტუარზე გავაჩეროთო. არა, თქვა მესამემ, საჭესთან მე დავჯდები და შინ წავიყვანო. ყველა სიხარულით დაეთანხმა. უსინათლომ იგრძნო, ხელი რომ მოჰკიდეს. წამოდით, წამოდით, ისევ იმ კაცმა მიმართა. მძლოლის გვერდით დასვეს, ღვედი გაუკეთეს. ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ, ცრემლნარევი ხმით იმეორებდა. მისამართი მითხარით, სთხოვა იმ კაცმა, რომელიც საჭეს მიუჯდა. მანქანაში გატაცციცებით იყურებოდნენ ცნობისმოყვარენი. უსინათლომ ხელები თვალებთან მიიტანა, თითები აამოძრავა. ვერაფერს ვხედავ, ლიბრი გადამეკრა, თითქოს რძის ზღვაში ჩავიძირეო. მაშ, ეს სიბრმავე არ არის, უთხრა მძლოლმა, რომ ბრმავედებიან, როგორც ამბობენ, სიბნელეს ხედავენ, მე კი სითეთრეს ვხედავო. იქნებ ის ქალი მართალი იყო და ეს ნერვების ბრალია, ნერვები ისეთი რამეა. ვიცი, ვიცი, ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა. მითხარით, სად ცხოვრობთ, და მაშინვე ჩართო მოტორი. ბლუკუნ-ბლუკუნით, ენის ბორძიკით, თითქოს თვალისჩინთან ერთად მესხიერებაც დაკარგა, უსინათლომ მისამართი უთხრა, თანაც დასძინა, არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, რაზეც მძლოლმა უპასუხა, ეს რა სალაპარაკოა, დღეს თქვენ გჭირდებით, ხვალ მე დამჭირდებით, ვინ იცის, ვის რა გველის. მართალს ბრძანებთ, მართალს, ამ დილით შინიდან რომ გამოვედი, რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი უბედურება დამემართებოდა. და იმით გაოცებულმა, რომ მანქანა არ იძვრის, იკითხა, რატომ ვდგავართო. წითელიაო, იყო პასუხი. ჰოო, ამოიოხრა უსინათლომ და ტირილი წასკდა. ამიერიდან ველარ დაინახავს ფერთა ცვლას შუქნიშანზე.

როგორც თქვა, მართლაც იქვე ცხოვრობდა, მაგრამ ტროტუარის გასწვრივ თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა და მოსახვევში მოუხდათ მანქანის გასაჩერებლად ადგილის ძებნა. იპოვეს და ზედკედელთან მარცხენა გვერდით მიაყენეს მანქანა, რომ უსინათლოს ერთი სავარძლიდან მეორეზე გადასვლა არ დასჭირვებოდა, რაშიც სიჩქარის გადამრთველი და საჭე შეუშლიდა ხელს. თუმცა, ახლა პირველი ის უნდა გადმოვიდეს. აი, გადმოვიდა კიდევ და დაბნეული გაშეშდა შუა ქუჩაში, გრძობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ მიწა და ძლივს იკავებდა თავს, სასოწარკვეთილს ღრიალი რომ არ დაეწყო. ხელები ისე გაიქნია, თითქოს გაცურვას აპირებსო იმ რძის ზღვაში, რომელსაც ახსენებდა, და ის იყო, პირი დაალო, რომ საშველად ვინმე ეხმო, მაგრამ იგრძნო, როგორ მოჰკიდეს ხელი მკლავზე, დამშვიდდით, აქა ვარ. ნელ-ნელა მიდიოდნენ, უსინათლო ფეხებს მიაფრატუნებდა, დაცემის ეშინოდა, ამიტომ ფეხს არც კი აშორებდა ტროტუარს, თუმცა, ყოველ წუთს ბორძიკობდა. ცოტაც და, მივალთ, უთხრა გამცილებელმა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, ჰკითხა, შინ არის ვინმე, რომ მოგხედოთო, რაზეც უსინათლომ უპასუხა, არ ვიცი, ცოლი, ალბათ, ჯერ არ მოვიდოდა სამსახურიდან, მე დღეს ადრე გავთავისუფლდი და აი, რა დამემართა. მერწმუნეთ, მალე გაგივლით, არც კი გამიგია, რომ ადამიანი აი, ასე უცებ ბრმავდებოდეს. არადა, როგორ ვტრაბახობდი, ჩემს ასაკში სათვალე არ მჭირდება მეთქი. მით უმეტეს. უკვე მიადგნენ კარს, ვილაც ორი ქალი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ მიჰყავდათ ხელით მათი მეზობელი, თუმცა, არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა, თვალში რამე ხომ არ ჩაგივარდაო, და არც მას უპასუხია, თვალში კი არ ჩამივარდა, თავად ჩავვარდი რძის ზღვაშიო. სადარბაზოში უსინათლომ უთხრა, დიდი მადლობა, უკაცრავად, ასე რომ შეგაწუხეთ, ახლა თვითონ მივხედავ თავსო. არა, არა, ამოგყვებით, დავრწმუნდები, რომ ყველაფერი კარგადაა. ლიფტის ვიწრო კაბინაში ძლივს შევიდნენ. რომელი სართულია. მესამე, ვერც კი წარმოიდგენთ, რა მადლიერი

ვარ თქვენი. რა სალაპარაკოა. დღეს თქვენ გჭირდებით, ხვალ შეიძლება მე დამჭირდეთ. ლიფტი გაჩერდა და გამოვიდნენ. კარის გაღებაში დაგეხმაროთ. გმადლობთ, მგონი, თავადაც შევძლებ, და ჯიბიდან გასაღებების შეკვრა ამოიღო, ყოველი გასაღები თითოებით მოსინჯა და თქვა, მგონი, ესაა, მარცხენა ხელის ცეცებით საკეტი მოძებნა, მარჯვენით კი გასაღები შეურჭო. არა, ეს არ არის. მომეცით, მე ვცდი. მესამე მცდელობაზე კარი გაიღო. შინ ხარ, დაიძახა უსინათლომ. არავინ უპასუხა და ჩაიბურტყუნა, ასეც ვიცოდი, ჯერ არ მოსულა. წინ გაშვერილი ხელებით დერეფანს გაუყვა, მერე ფრთხილად შემობრუნდა იქით, სადაც, მისი ვარაუდით, გამცილებელი იდგა და უთხრა, არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა. რას ბრძანებთ, მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე, უპასუხა კეთილმა სამარტელმა და დასძინა, წამოდით, დაგსვამთ, მეც მოგიჯდებით ცოლის მოსვლამდე. მაგრამ ასეთი გადაჭარბებული ზრუნვა უსინათლოს რაღაც საეჭვოდ მოეჩვენა, თანაც შინ ხომ არ დაიტოვებს სრულიად უცხო ადამიანს, რომელიც ახლა იქნებ იმაზე ფიქრობს, როგორ აუბნოს თავგმა საბრალო უსინათლოს, გაკოჭოს, პირი აუკრას და ბინა გაძარცვოს. არა, არა, ნუ წუხდებით, ყველაფერი კარგადაა, ნელა მიუხურა კარი და გაიმეორა, არ არის საჭირო, არ არის საჭირო.

ჩამავალი ლიფტის ხმა რომ გაიგონა, გულს მოეშვა. სრულიად უაზროდ, დაუფიქრებლად, კარის ჭუჭრუტანაში გაიხედა. მოეჩვენა, რომ კარს მიღმა თეთრ კედელს მიშტერებოდა. გრძნობდა, ლითონის რკალს რომ ეხებოდა და წამწამებს მინას უხახუნებდა, თუმცა, ვერც ერთს ხედავდა და ვერც მეორეს, ყველაფერს სრული სითეთრე ფარავდა. იცოდა, რომ შინ იყო, თავის ბინასაც გრძნობდა სუნით, ჰაერით, სიჩუმით, ხელის მსუბუქი შეხებით გრძნობდა ავეჯს და სხვა საგნებს, თუმცა, იმავდროულად, ეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ქრებოდა, რაღაც ახალ განზო-

მიღებაში გადადიოდა, სადაც არც მიმართულებაა და არც ორიენტირი, არც ჩრდილოეთია და არც სამხრეთი, არც ზემოთ, არც ქვემოთ. როგორც ყველა, ალბათ, ყმაწვილობაში იმით ერთობოდა, ვითომ დაბრმავდა, და ხუთიოდ წუთით თვალდახუჭული რწმუნდებოდა, რომ სიბრმავე თუმცა, დიდი უბედურებაა, მაგრამ გასაძლისია, რასაკვირველია, თუ თანდაყოლილი არ არის და გონებამ შემოინახა არა მხოლოდ ფერები, არამედ ფორმებიც, გამოსახულებებიც, რელიეფებიც. მაშინ იმასაც კი ფიქრობდა, რომ სიბნელე, რომელშიც ბრმები ცხოვრობენ, სხვა არაფერია, თუ არა სინათლის არარსებობა და ეგრეთ წოდებული სიბრმავე მხოლოდ შავი საბურვლით ფარავს ნივთებისა და ადამიანთა გამოსახულებებს, და ხელშეუხებელს, მიუწვდომელს ხდის მათ. ახლა კი, პირიქით, ამ დამაბრმავებელ და ყოვლისმომცველ სითეთრეში ჩაძირული, გრძნობდა, რომ ეს სითეთრე კი არ ფარავს, არამედ შთანთქავს არა მხოლოდ ფერებს, არამედ თვით საგნებსაც, ისევე როგორც ადამიანებს, რომლებსაც ორმაგად უხილავს ხდის.

თუმცა, უსინათლო ოთახში გონივრული სიდინჯით დადიოდა და ხელის ცეცებით მიუყვებოდა კედელს, მაინც მოახერხა და ყვავილებიანი ლარნაკი გადმოაგდო. დაავიწყდა, აქ რომ იდგა, ან იქნებ ცოლმა დატოვა წასვლისას, რომ დაბრუნებისთანავე თავის ადგილას დაედგა. დაიხარა, ხელის ცეცებით შეამოწმა ზარალი. მოპრიანებულ იატაკზე წყლის გუბე იდგა. უსინათლომ გადაწყვიტა, ყვავილები აეკრიფა, თუმცა, ლარნაკის ნამსხვრევებზე არც უფიქრია და ერთი, გრძელი და ძალიან წვრილი, თითში შეერჭო, და ამის გამო, ანუ ტკივილისა და უსუსურობის გამო, ისევ ბავშვივით ატირდა იმ სითეთრით დაბრმავებული, რომელშიც მთელი ბინა გახვეულიყო, სადაც, სხვათა შორის, ბინდიც ჩამოწვა, რადგან მოსაღამოვდა. ყვავილები ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული, სისხლიც სდიოდა, მეორე ხელით ჯიბიდან ძლივს ამოიღო ცხვირსახოცი, გაჭრილ თითზე შემოიხვია.

მერე ცეცებ-ცეცებით, ბორძიკით, ავეჯის გვერდის ავლით, ფრთხილი ნაბიჯებით, რომ ხალიჩაზე ფეხი არ წამოედო, ტახტთან მივიდა. აქ ადრე ცოლთან ერთად იჯდა ხოლმე და ტელევიზორს უყურებდა. ჩამოჯდა, ყვავილები მუხლებზე დაიწყო და ძალიან ფრთხილად მოიხსნა ცხვირსახოცი. გაუკვირდა, სისხლი ასეთი წებოვანი რომ ყოფილა, გაიფიქრა, რომ ვერ ვხედავ, ალბათ, იმიტომ გახდა რაღაც უფერო და ბლანტი, უცხო და მიუღებელი, მისი საკუთარი და იმავდროულად, იმ საფრთხის შემცველი, მისგან რომ მომდინარეობს და მისკენვეა მიმართული. მეორე ხელით ნელ-ნელა, ფრთხილად შეეხო შერჭობილ ნამსხვრევს, პაწაწინა ხანჯალივით ბასრს, დიდი და საჩვენებელი თითების ფრჩხილები ჩაავლო და ისე ამოიძრო, რომ არ ჩაუტყდა. გაჭრილ თითზე ცხვირსახოცი შემოიხვია, მაგრად შემოიჭირა, რომ სისხლი შეეჩერებინა, და არაქათგაცლილმა, კაპიტულაციის ნიშნად, თავი ტახტის ზურგს მიაყრდნო. და მალევე, სასოწარკვეთის თუ განწირულობის გამო, სხეულმა უმტყუნა, თუმცა, ლოგიკის თანახმად, სწორედ ამ დროს უნდა მოეკრიბა ძალა, ის კი მიიბნინდა, არც ისე ღრმად, როგორც ძილქუშისას, მაგრამ მაინც კისერი მოსწყდა და მაშინვე ეზმანა, რომ დიდი ხნის წინანდელ თამაშს თამაშობს, ყოველ ჯერზე ახელს და ხუჭავს თვალებს, თითქოს შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული ხედავს, რომ ჩვეული სამყარო სულაც არ შეცვლილა, არც ფერით და არც ფორმით, თუმცა, გრძნობს, როგორ არღვევს და აქარწყლებს ეჭვი დამამშვიდებელ იმედს, იქნებ ეს ყველაფერი მოჩვენებითი სიზმარია და, ადრე თუ გვიან, დასრულდება, მაგრამ ისიც რომ არ იცის, გამოფხიზლებულს რა ელის. არადა, თუმცა, რა არადა, განა შეიძლება ამ სიტყვით მოიხსენიო ის, რაც სულ რაღაც წამები გაგრძელდა. ისევ დაუბრუნდა ძილ-ღვიძილს, რაც გამოფხიზლებას უძღვის წინ, და საკმაოდ საფუძვლიანად განსაჯა, რომ არ ივარგებს ასე გაურკვეველ ბურანში

ყოფნა, დადგა დრო. გაბედულად ჰკითხოს საკუთარ თავს, აქ რას ვაკეთებ, მუხლებზე ყვავილები რომ მიწყვია და თვალებიც დამიხუჭავს, თან გახელაც რომ მეშინია. აქ რას ზიხარ, მუხლებზე ყვავილები რატომ გიწყვია, თან, მგონი, გძინავს კიდევ, ჰკითხა ცოლმა.

პასუხსაც არ დაელოდა, ისე დაიწყო ლარნაკის ნამსხვრევების აკრეფა, წყალიც მოწმინდა, თან გაღიზიანებული ბურტყუნებდა, და არც ცდილობდა სიბრაზის დამალვას, ვერ ააღაგე, ტახტზე რომ წამოგორებულხარ, ვითომც არაფერი. ჩუმად იყო, თვალებიც მიეღულა თავის დასაცავად. აი, ახლა, თვალი რომ გავახილო და დავინახო, დენის დარტყმასავით გაუეღვა აზრმა, რაღაც იმედი ჩაესახა. ცოლი მიუახლოვდა, სისხლიანი ცხვირსახოცი შენიშნა და გაღიზიანებამაც უცებ გაუარა, შე საწყალო, ეს რა დაგმართნია, უთხრა ალერსიანად და ცხვირსახოცი შეუხსნა. და მაშინ ისე მოუნდა ცოლის დანახვა, რომელიც ტახტთან ჩაცუცქულიყო, მერე კი, რომ მიხვდა, ველარ დაინახავდა, თვალები გაახილა. როგორც იქნა, გაიღვიძე, შე ძილისგუდა, უთხრა გაღიმებულმა ცოლმა. დავბრმავდი, ველარ გხედავ, უთხრა ცოლს. კარგი ერთი, უთხრა ცოლმა, რა სულელური ხუმრობაა. რას არ მივცემდი, ოღონდაც ხუმრობა იყოს, მაგრამ მართლა დავბრმავდი და ვერაფერს ვხედავ. გთხოვ, ნუ მაშინებ, შემომხედე, აი, აქა ვარ, აქ, და შუქიც ანთია. ვიცი, რომ აქა ხარ, მესმის და ვგრძნობ, მივხვდი, შუქი რომ აანთე, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. ქალი ატირდა, მხრებში ჩაავლო ხელი, ტყუილია, მითხარი, რომ ტყუილია. ყვავილები იატაკზე დაიყარა, გაჭრილი თითიდან ისევ წასკდა სისხლი, მან კი, ისეთი ხმით, როგორც ამბობენ ხოლმე, საქმე არც ისე ცუდადააო, ჩაიბურტყუნა, მხოლოდ სითეთრეს ვხედავ, და სევდიანად გაიღიმა. ცოლი გვერდით მიუჯდა, მოეხვია, შუბლზე, ლოყებზე ფრთხილად აკოცა და ტუჩებით ნაზად შეეხო მის თვალებს, გაგივლის, აი, ნახავ, მალე გაგივლის, ავად ხომ არ ყოფილხარ, ასე უცებ არ ბრმავდებიან. ჰო, ალბათ. ყველაფერი მიაძმე,

რა იგრძენი, როგორ მოხდა ეს, სად, როდის, არა, მოიცა, ჯერ ოკულისტს უნდა ვეჩვენოთ, ნაცნობი ექიმი ხომ არა გყავს. არა, არც შენ და არც მე სათვალეს არ ვხმარობთ. საავადმყოფოში ხომ არ წავიდეთ. უსინათლოებს გადაუდებელ დახმარებას არ უწევენ. მართალი ხარ, ჯობია, ოკულისტთან წავიდეთ, ახლავე ვნახავ ცნობარში, სადმე ახლოს რომ იყოს. წამოდგა და ჰკითხა, განსხვავება იგრძენი. რას მეკითხები. შუქი ჩავაქრე, რამე განსხვავება თუ შენიშნე. ვერა, ვერ შევნიშნე. როგორ თუ ვერ შენიშნე. ვერ შევნიშნე, ისევ იმ სითეთრეს ვხედავ, სიბნელე თითქოს აღარ არსებობს.

ესმის, ცოლი როგორ ფურცლავს ცნობარს, როგორ უბერავს სულს მიწებებულ გვერდებს, როგორ ამოიოხრა და ბოლოს თქვა, სწორედ ეს გვჭირდება, ღმერთო, ნეტავ მიღებაზე უარი არ გვითხრას. ნომერი აკრიფა, დააბუსტა, იქ მოხვდა თუ არა, ჰკითხა, მიღება თუ აქვს ექიმს და ხომ ვერ დამელაპარაკებო, არა, არა, არ მიცნობს, ძალიან სასწრაფოა, დიახ, გთხოვთ, მესმის, კეთილი, შემიძლია თქვენც გითხრათ, მაგრამ გთხოვთ, ახლავე გადაეცით ექიმს, საქმე ის არის, რომ ჩემი ქმარი მოულოდნელად დაბრმავდა, დიახ, დიახ, სწორედ ასეა, არა, არა, თქვენი პაციენტი არ არის, სათვალეც კი არასდროს დასჭირვებია, ასპროცენტისანი მხედველობა აქვს, ჩემსავით, მეც მშვენივრად ვხედავ, დიახ, დიახ, დიდი მადლობა, დავიცდი, გამარჯობა, ექიმო, დიახ, უცებ, როგორც ამბობს, მხოლოდ სითეთრეს ხედავს, არ ვიცი, წესიერად ვერც გამოვკითხე, ახლა დავბრუნდი სამსახურიდან და ასეთ მდგომარეობაში დამხვდა, იქნებ თქვენ ჰკითხოთ, ოჰ, უღრმესი მადლობა, ახლავე, ახლავე მოვალთ. უსინათლო წამოდგა. მოიცადე, შეაჩერა ცოლმა, ჯერ თითს მივხედოთ, გავიდა და რამდენიმე წამში წყალბადის ზეჟანგი, იოდი, ბამბა და სახვევი შემოიტანა. ჭრილობა დაუმუშავა და გადაუხვია, მერე ჰკითხა, მანქანა სად დატოვეო, და უცებ, კი მაგრამ, როგორ მოხვედი,

მანქანის მართვა როგორ შეძელი, თუ უკვე შინ დაგემართა ეს. არა, ქუჩაში, შუქნიშანთან რომ გავჩერდი, ვილაც კეთილმა ადამიანმა მომიყვანა, მანქანა მოსახვევში დავტოვეთ. კარგი, უთხრა ქალმა, სადარბაზოში დამელოდე, სანამ მანქანას მოვაყენებ, გასაღები სად არის. არ ვიცი, არ დაუბრუნებია. ვინ იყო. კეთილი ადამიანი, რომელმაც მომიყვანა, მამაკაცი იყო. სადღაც აქ უნდა იყოს. ოთახში ტყუილად ეძებ, აქ არც შემოსულა. სად უნდა იყოს. იქნებ შემთხვევით ხელს გააყოლა. ესლა გვაკლდა. მეორე გასაღები აიღე, მერე მოვძებნით. კარგი, წავედით, მომეცი ხელი. უსინათლომ თქვა, თუ არ გამივლის, თავს არ ვიცოცხლებო. ღვთის გულისათვის, სისულელეს ნუ ამბობ, ისიც გვეყოფა, რაც დაგვემართა. დაგვემართაო, მე დავბრმავდი. შენ ხომ არა, ამიტომ ვერც ხვდები, რა ღლეში ვარ. აი, ნახავ, ექიმი გიშველის. ვნახოთ.

გავიდნენ. ქვემოთ, სადარბაზოში, ცოლმა შუქი აანთო და ჩასჩურჩულა, აქ დამელოდე, ვინმე მეზობელი თუ გამოჩნდა, ისე მოიქეცი, ვითომც არაფერი მომხდარა, უთხარი, რომ მე მელოდები, შენი შემხედვარე ვერავინ მიხვდება, რომ ვერ ხედავ, სულ არაა საჭირო, ეს ამბავი ყველას მოვდოთ. მიდი, დაუჩქარე. ქალი ქუჩაში გავარდა. მეზობელი არავინ გამოჩენილა. უსინათლომ წარსული გამოცდილებით იცოდა, როცა სადარბაზოში შუქი ანთია, მრიცხველის ბუზუნის ისმის, ამიტომ, როცა მრიცხველი ჩერდებოდა, ისევ რთავდა შუქს. მისთვის სინათლე ხმად იქცა. ამდენ ხანს სად არის ცოლი, შესახვევი, სადაც მანქანა დატოვეს, სულ რაღაც ოთხმოც მეტრშია, ჰა და ჰა, ას მეტრში. ექიმი დაღამებამდე ხომ არ დაგვიცდის, გაიფიქრა უსინათლომ და ანგარიშიუცემლად მარცხენა მაჯაზე დაიხედა, დრო რომ გაეგო. ტუჩები მოკუმბა, თითქოს ტკივილისგან, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ მეზობელი არავინ იყო იქვე, რადგან ერთი სიტყვაც რომ ეთქვა ვინმეს, ქვითინი წასკდებოდა. გაიგონა, სადარბაზოსთან მანქანა რომ გაჩერდა. როგორც იქნა, გაიფიქრა უსინათ-

ლომ, თუმცა, უჩვეულო ხმამ გააკვირვა. ეს ტაქსია, დიზელზე მუშაობს, გაიფიქრა და კიდევ ერთხელ დააჭირა ჩამრთველს ხელი. სადარბაზოში განრისხებული ცოლი შემოვარდა. იმ შენმა კეთილისმყოფელმა მანქანა გაიტაცა. შეუძლებელია, ალბათ, ვერ დაინახე. რატომ ვერ დავინახავდი, მაღლობა ღმერთს, ბრმა არა ვარ, უნებლიეთ წამოსცდა ეს სიტყვები, შენ არ თქვი, მანქანა მოსახვევში დავაყენეთო, იქ კი არ არის, ან სხვაგან დააყენეთ, ანდა... არა-მეთქი, დარწმუნებული ვარ, იქ არის. ესე იგი, აორთქლდა. მაშ, გასაღები, დაიწყო მან და გაჩუმდა. ჰო, ჰო, შენი მდგომარეობით ისარგებლა და გაგძარცვა. მე კი სახლშიც არ შემოვუშვი, არადა, შენს მოსვლამდე რომ დარჩენილიყო, ამას ხომ არ იზამდა. კარგი, წავიდეთ, ტაქსი გველოდება, მაგრამ, გეფიცები, ერთი წლის სიცოცხლეს არ დავიშურებ, ოღონდ ის გარეწარიც დაბრმავდებოდეს. ჩუმად. და რომ ისიც პირწმინდად გაძარცვონ. იქნებ გამოჩნდეს. ჰო, როგორ არა, ხვალ მოგვიკაკუნებს კარზე და იტყვის, დაბნეულობით მომივიდაო, ბოდიშს მოიხდის და შენს ამბავს იკითხავს.

გზად ხმა არ ამოუღიათ. ქალი ცდილობდა, გატაცებულ მანქანაზე არ ეფიქრა და სათუთად ეჭირა ქმრის ხელი, ის კი თავჩაქნდრული, მძლოლს რომ მისი თვალები არ დაენახა, გამუდმებით ეკითხებოდა საკუთარ თავს, როგორ მოხდა, ასეთი უბედურება რომ დაემართა. ასეთი რა დავაშავე. ტაქსი რომ ჩერდებოდა, ქუჩიდან სულ უფრო ძლიერი ხმაური შემოდიოდა, ასე ხდება ხოლმე, როცა ჯერ კიდევ გძინავს, მაგრამ უკვე არჩევ ხმებს ბურანში, სუდარასავით რომ გახვევია. თავი გაიქნია, ამოიოხრა, ცოლი ლოყაზე მიეფერა, თითქოს ეუბნებოდა, დამშვიდდი, აქ ვარ, შენ გვერდითო, და მაშინ მხარზე მიადო თავი და სულაც აღარ ადარდებდა, მძლოლი რას იფიქრებდა. ერთი შენ იყო ჩემს ადგილას, გაიფიქრა ნაწყენი ბავშვივით, ვნახავდი, როგორ ატარებდი მანქანას, და ვერც კი მიხვდა, რა სისულელე მოუვიდა თავში, თუმცა,

გაუხარდა, ასეთი სასოწარკვეთილების მიუხედავად, ლოგიკური აზროვნების უნარი რომ არ დაუკარგავს. ცოლის დახმარებით მანქანიდან გადმოვიდა და თითქოს მშვიდადაც იყო, მაგრამ ზედ კონსულტაციის კართან, სადაც მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, ათრთოლებული ხმით იკითხა, ნეტავ როგორ ვიქნები, აქედან რომ გამოვალ, და იმედდაკარგულმა თავი გაიქნია.

ცოლმა რეგისტრატორს უთხრა, ნახევარი საათის წინ ქმრის თაობაზე დაგირეკეთო, რეგისტრატორმა პატარა ოთახში შეიყვანა, სადაც რამდენიმე პაციენტი იცდიდა. თვალზე შავსახვევიანი მოხუცი, ელამი ბიჭუნა და ქალი, ეტყობა, ბავშვის დედა, შავსათვალიანი ქალიშვილი და კიდევ ორი პაციენტი, და უსინათლო მათგან არავინ იყო, რადგან უსინათლოები ოკულისტებთან არ დადიან. ცოლმა სკამთან მიიყვანა, თავად გვერდით დაუდგა და წასჩურჩულა, დაცდა მოგვიჩვენე, და ისიც მიხვდა, რატომაც მოუწევდათ, პაციენტების ხმა ხომ ესმოდა, და კიდევ უფრო მოეძალა დარდი, რადგან გაიფიქრა, რომ რაც უფრო გვიან შევიდოდა ექიმთან, მით უფრო გაუმძაფრდებოდა სიბრძავე და, მამსადამე, განკურნების ნაკლები იმედი დარჩებოდა. სკამზე ვერ ისვენებდა და ის იყო, ცოლისთვის ეს აზრი უნდა გაეზიარებინა, რომ კარი გაიღო და მედლამ მიმართა, შემობრძანდით, თუ შეიძლება, სხვა პაციენტებს კი უთხრა, ექიმი ამათ ურიგოდ მიიღებს, გადაუდებელი შემთხვევააო. ელამი ბიჭის დედა აღშფოთდა, წესი წესია, ჩემი რიგიაო, ისედაც ერთი საათია ვიცდითო. დანარჩენებმაც აუბეს მხარი, მაგრამ მალევე გაჩუმდნენ იმის შიშით, ექიმი არ გაბრაზდეს და კიდევ უფრო მეტხანს არ გვალოდინოსო. თვალახვეულმა მოხუცმა სულგრძელობა გამოიჩინა, არა უშავს, შევიდეს, იქნებ ჩვენზე მეტად უჭირსო. უსინათლოს ეს სიტყვები არ გაუგონია, ცოლ-ქმარი უკვე კაბინეტში შედიოდა, როცა ცოლმა წაილულლულა, ძალიან მადლიერი ვართ თქვენი, ექიმო, საქმე ის არის, რომ ჩემს ქმარს... გაჩუმდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა დაემართა მის ქმარს, გარდა იმისა, რომ დაბრმავდა და მანქანა

მოჰპარეს. დაბრძანდით, გთხოვთ, უთხრა ექიმმა და უსინათლო თავად მიაცილა სკამთან, ხელზე ხელი დაადო და პირდაპირ მას მიმართა, აბა, მიამბეთ, რა შეგემთხვათ. და უსინათლომაც უამბო, რომ მანქანაში იჯდა და ელოდა, შუქნიშანზე წითელი მწვანით როდის შეიცვლებოდა, და უცებ დაბრმავდა, გარშემო ხალხი შეგროვდა, დახმარებას ცდილობდნენ, ვიღაც ხნიერმა ქალმა, ხმაზე შეატყო რომ ხნიერი იყო, უთხრა, ალბათ, ნერვების ბრალიაო, მერე ვიღაც კაცმა შინ მიიყვანა, რადგან თავად ვერ შეძლებდა მართვას, მხოლოდ სითეთრეს ვხედავ, ექიმო. მოპარული მანქანა არც უხსენებია.

ადრე ასეთი ან ამის მსგავსი არაფერი მოგსვლიათ, ჰკითხა ექიმმა. არასოდეს, ექიმო. სათვალესაც კი არ ვხმარობ. ესე იგი, როგორც ამბობთ, ეს უცხად მოხდა. დიახ, ექიმო. თითქოს უცებ შუქი გამორთესო. თუმცა, არა, თითქოს ჩართესო. ბოლო ხანს ხომ არ შეგინიშნავთ, რომ მხედველობა გაგიუარესდათ. არა. მითხარით, ოჯახში გყავთ ვინმე უსინათლო ან იქნებ გყავდათ. არა, სანათესავოში, რამდენადაც ვიცი და მსმენია, უსინათლო არავინ გვყოლია. დიაბეტი ხომ არ გჭირთ. არა, ექიმო. სიფილისი ხომ არ შეგყრიათ. არა, ექიმო. მაღალი წნევა ხომ არ გაწუხებთ, არტერიული ან შიდა თავის ქალის წნევა. შიდა თავის ქალის წნევაზე ვერაფერს გეტყვით, სხვა მხრივ ყველაფერი ნორმაში მაქვს, ჩვენს კომპანიაში რეგულარულად ატარებენ დისპანსერიზაციას. დღეს ან გუშინ თავი ხომ არაფრისთვის მიგიბრტყამთ. არა, ექიმო. რამდენი წლის ხართ. ოცდათვრამეტის. კეთილი, აბა, ვნახოთ. უსინათლომ ფართოდ გაახილა თვალები, აქაოდა, ექიმმა ადვილად დაინახოსო, მაგრამ ექიმმა რაღაც მოწყობილობასთან მიიყვანა, რომელსაც ფართო წარმოსახვის ადამიანი ახალი მოდელის სააღმსარებლოს მიამსგავსებდა, სადაც სიტყვების მაგივრად თვალებია და მოძღვარი სულის სიღ-

რმეს მზერით სწვდება. ნიკაპი აქ მიაბჯინეთ, თვალეები არ დახუჭოთ, არ გაინძრეთ. ცოლი უკნიდან მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა, აი, ნახავ, ახლა ყველაფერი გაირკვევაო. ექიმმა ასწია და დაუშვა ორმაგი ოკულარი, რეგულატორი დააყენა და კვლევა დაიწყო. არც რქოვანაზე, არც სკლერაზე, არც გუგაზე, არც ბადურაზე, არც ბროლზე, არც მხედველობის ნერვზე, მოკლედ, არსად პათოლოგია არ აღმოჩნდა. მერე აპარატს მოშორდა, თვალეები მოიფშვნიტა და უსიტყვოდ ყველაფერი თავიდან დაიწყო, ხოლო მეორე გასინჯვა რომ დაასრულა, გაკვირვებული სახე მიიღო. იცით, არაფერი გჭირთ, თვალეები სრულ, იდეალურ წესრიგში გაქვთ. ცოლმა აღტაცებისგან ტაში შემოჰკრა და წამოიძახა, ხომ გეუბნებოდით, ყველაფერი გაირკვევა-მეთქი. უსინათლომ ყურადღებაც კი არ მიაქცია, ისე იკითხა, შეიძლება თავი ავწიო. დიახ, რა თქმა უნდა, უკაცრავად. ექიმო, თუ თვალეები სრულ წესრიგში მაქვს, რატომ ვერ ვხედავ. ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, კიდევ რალაც გამოკვლევები დაგვჭირდება, ანალიზები უნდა ავიღოთ, ენცეფალოგრამა გადავიღოთ, ექოგრაფია ჩავიტაროთ. ფიქრობთ, რომ ტვინთანაა დაკავშირებული. ვერც ამას გამოვრიცხავთ, თუმცა, არა მგონია. აკი თქვით, რომ თვალეებზე ვერანაირი პათოლოგია ვერ იპოვეთ. ვერ ვიპოვე. მაშინ, არ მესმის. მინდა გითხრათ, რომ თუ მართლა ვერაფერს ხედავთ, თქვენი სიბრმავე მოცემულ მომენტში ჩემთვის აუხსნელია. ეჭვი გეპარებათ იმაში, რომ ვერ ვხედავ. რას ბრძანებთ, უბრალოდ ძალიან იშვიათი შემთხვევაა, ჩემს პრაქტიკაში ასეთი არაფერი შემხვედრია და ისიც უნდა გითხრათ, რომ მსოფლიო ოფთალმოლოგიის ისტორიაშიც არ მეგულება მსგავსი შემთხვევა. და რას ფიქრობთ, მხედველობა დამიბრუნდება. ისე, რაკი ვერავითარი დაზიანება და პათოლოგია ვერ აღმოვაჩინე, ვერც თანდაყოლილი და ვერც შეძენილი, ჩემი პასუხი, წესით, დადებითი უნდა იყოს. უნდა იყოს, მაგრამ არ არის. მხოლოდ იმის გამო, რომ თავი დავიზღვიო და ფუჭი იმედი არ

მოგცეთ. გასაგებია. ძალიან კარგი. იქნებ რამე მკურნალობის კურსი გავიარო ან რაღაც წამლები დავლიო. იცით, ახლა თქვენთვის რამე პრეპარატის დანიშვნა ნიშნავს, რომ ბრმად ვიმოქმედოთ. გასაგებია, უთხრა უსინათლომ, ძალიან ენამოსწრებულად თქვით. ექიმმა ეს რეპლიკა არ შეიმჩნია, მბრუნავი ტაბურეტიდან ადგა, მაგიდას მიუჯდა და საჭირო ანალიზებისა და გამოკვლევების მიმართვები გამოწერა. ფურცლები პაციენტის ცოლს გაუწოდა, ინებეთ, პასუხები რომ იქნება, ქმართან ერთად მობრძანდებით, თუ რამე ცვლილება იქნა, დამირეკეთ. რამდენი უნდა მოგართვათ, ექიმო. რეგისტრატურაში გეტყვიან. ცოლ-ქმარი კარამდე მიაცილა, თან რაღაც მანუგეშებელი და ბანალური სიტყვები ჩაიბუტბუტა, დაახლოებით ასეთი, გულს ნუ გაიტეხთ და იმედს ნუ გადაიწურავთ, ყველაფერი მოგვარდებაო, მარტო რომ დარჩა, კაბინეტის გვერდით პატარა ოთახში შევიდა და კარგა ხანს, თითქმის ერთი წუთი სარკეში იყურებოდა. ნეტავ რა უნდა იყოს ეს. კაბინეტში შემობრუნდა და მედდას გასძახა, შემდეგი შემოვიდესო.

უსინათლოს კი იმ ღამით დაესიზმრა, რომ დაბრმავდა.

კაცი, რომელმაც უსინათლოს მანქანა მოჰპარა, მანამდე კი დახმარება შესთავაზა, წინასწარი განზრახვით როდი მოქმედებდა და არც ცუდი გაუვლია გულში, სულ პირიქით, სულგრძელობა და ალტრუიზმი ამოქმედებდა, რაც, მოგეხსენებათ, ადამიანთა მოდგმის ორი საუკეთესო ნიშანია და თავზე ხელაღებულ დამნაშავეებსაც კი ახასიათებთ, არათუ ასეთ რიგით მძარცველს, რომელსაც წინსვლის ოდნავი შანსიც კი არა აქვს იერარქიაში, სადაც დაუნდობლად მოქმედებენ ამ ბიზნესის კორიფეები, რომლებიც გაჭირვებულთა მდგომარეობით სარგებლობენ. აბა, ერთი საკუთარ თავს ვკითხოთ, რა უარესია, უსინათლოს დაეხმარო, მერე კი გაძარცვო, თუ დავარდნილ მოხუცს მოუარო იმის

მოლოდინში, რომ მოკვდება და მისი ქონება დაგრჩება. მოკლედ, სწორედ უსინათლოს სახლთან გაუჩნდა გამტაცებელს დანაშაულებრივი განზრახვა, საკმაოდ პრიმიტიული და მარტივი, შეიძლება ითქვას, ლატარიის ბილეთის შეძენა გადაწყვიტა, ისიც, გამყიდველი როცა დაინახა, გადაწყვიტა და შეიძინა კიდევ, არც არავითარი წინათგრძნობა ჰქონია, მხოლოდ იმის ინტერესი, გამოვიდოდა რამე აქედან თუ არა, არც იმას უგრძნობდა გული, რომ ფორტუნას შეეძლო მახე დაეგო. ისე, ვინმემ შეიძლება თქვას, რომ მხოლოდ რეფლექსებით მოქმედებდა, რეფლექსებს კი თავად პიროვნება განსაზღვრავს. ისინი, ვინც სკეპტიკურად ეკიდება ადამიანის ბუნებას, ასეთები კი მრავლად არიან და განსაკუთრებული ჟინით გამოირჩევიან, დაიწყებენ მტკიცებას, აქაოდა, თუ სწორია პოსტულატი, რომ შემთხვევა ყოველთვის არ აქცევს ადამიანს ქურდად, უეჭველად სწორი იქნება ისიც, რომ შემთხვევა ძალიან ეხმარება ამაში. ჩვენ კი თავს ნებას მივცემთ, გამოვთქვათ შემდეგი აზრი: უსინათლო ცრუ სამარტიველის მეორე შეთავაზებას რომ დათანხმებოდა, ხომ გახსოვთ, შესთავაზა, თქვენი ცოლის მოსვლამდე დავრჩებიო, რაც სწორედ იმ ბოლო წამს წარმოთქვა, როცა კეთილ საწყისს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ეზიემა, იქნებ ამ შემთხვევაში ნათელ, კეთილ გრძნობას ემძლავრა, რომელიც ყველაზე შავბნელ სულშიც კი არსებობს. ჩვენი ბრძნული მსჯელობის დასასრულ კი გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, უსინათლომ მეტისმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და ის ძველი ანდაზაც გავიხსენოთ, რა დღეში ჩავარდა რეგვენი, რომელსაც უთხრეს, ილოცეო და გულმოდგინებისგან თავ-პირი დაისისხლიანა.

სინდისის ცნება, ამდენი უგუნური რომ არ იმჩნევს და უფრო მეტი კი საერთოდ უარყოფს, მაინც არსებობს და მუდამ არსებობდა, ეს სულაც არ არის მეოთხეული პერიოდის ფილოსოფოსთა მოგონილი, როცა სული ის-ის იყო, გამოვიდა ბუნდოვანი ჩანაფიქრის სტადიიდან. დროთა განმავლობაში, თანაცხოვრების გამოცდილებასა

და გენეტიკური გაცვლის ნაყოფს რომ ვეზიარეთ, ბოლოს და ბოლოს, სინდისი მოვათავსეთ სისხლის შემადგენლობაში, ჩვენ ცრემლებში და უფრო მეტიც, თვალები სარკედ ვაქციეთ, შიგნით შებრუნებულ სარკედ, ასე მოურიდებლად რომ უარყოფს იმას, რის დამტკიცებასაც ამაოდ ცდილობს ბაგე. ამას კიდევ დაუმატეთ ადამიანის ბუნების ის მეტად გავრცელებული თვისება, განსაკუთრებით გულუბრყვილობა შორის, როგორცაა მონანიების სხვადასხვა სახის პირველყოფილ შიშთან აღრევა, და ამ აღრევის გამო ბოროტგანმზრახველი ბევრად მკაცრად ისჯება უგვანი მოქმედებისთვის, ერთიორად უფრო მკაცრად, და ეს სასჯელი, ხატოვნად თუ ვიტყვი, მახვილივით ჩეხს მას. შესაბამისად, სრულიად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რით იყო გამოწვეული ის მტანჯველი გრძნობები, გამტაცებელს რომ დაეუფლა როგორც კი უსინათლოს სახლს მოშორდა, შიშით თუ სინდისის ქენჯნით. და, რა თქმა უნდა, მის სულიერ სიმშვიდეს სულაც არ უწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ იმ კაცის ადგილას აღმოჩნდა, რომელიც ამ საჭესთან იჯდა დაბრმავების მომენტში, როცა საქარე მინაში იყურებოდა და უცებ ველარაფერი დაინახა, და ამიტომ წარმოსახვის დიდი უნარი სულ არ იყო საჭირო, რომ ამ აზრების წყალობით გაცოცხლებულიყო და თავი წამოეყო შიშად წოდებულ საძულველ ქვეწარმავალს, და მასთან ერთად ღრმა სინანულს, სინდისიერების განსახიერებას, როგორც ეს ზემოთ უკვე ვთქვით, ან როგორც კლასიკოსები მოიხსენიებენ, ბასრბრჭყალებიან, და ჩვენც დავძინოთ, ეშვებიან ნადირს, და გამტაცებელს თვალწინ წარმოუდგა უსუსური და დაბნეული უსინათლო, ისეთი, როგორც იმ მომენტში იყო, როცა სახლის კარს ხურავდა. ნუ წუხდებით, ნუ წუხდებით, მე თვითონ, იმეორებდა საბრალო, რომელიც ამიერიდან დაუხმარებლად ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

ქურდმა ყურადღება მოიკრიბა, ამ საშიშ აზრებს არ უნდა აჰყვეს, ხომ იცის, მცირედი შეცდომაც არ უნდა დაუშვას და წამითაც არ უნდა მოდუნდეს. საკმარისია, პოლიციელმა გააჩეროს, თანაც რამდენი არიან ქუჩებში, და უთხრას, თუ შეიძლება, მართვის უფლება და მანქანის საბუთები წარმოადგინეთო, რომ ყველაფერი დამთავრდება, ისევ ციხე და მასთან დაკავშირებული ყველა უბედურება. ამიტომაც უსიტყვოდ ემორჩილება შუქნიშნებს, წითელზე ჩერდება, ყვითელს პატივისცემით ითვალისწინებს, მწვანეს მოთმინებით ელის. ცოტა ხანში შენიშნა, რომ ფერთა ცვლას გაშმაგებით აკვირდება. ამიტომ ტაქტიკა შეცვალა - ცდილობს, ისე არეგულიროს სიჩქარე, რომ მწვანე შუქზე მოხვდეს, თუნდაც ამისთვის სიჩქარის გადაჭარბება დასჭირდეს, ანდა პირიქით, მეტად შეანელოს სვლა, რითაც უკანა მანქანების მძღოლებს აღიზიანებს. ბოლოს, სულ დაიბნა, აფორიაქდა და, საშინლად დაძაბულმა პარალელურ პატარა ქუჩაზე შეუხვია, სადაც, როგორც იცოდა, შუქნიშნები არ იყო და თავისი ოსტატობის იმედად სწრაფად გააქროლა მანქანა. გრძნობს, რომ ისტერიკის ზღვარზეა მისული და დაახლოებით ასეთი სიტყვებით დაახასიათა თავისი მდგომარეობა, ნერვები დაწყვეტაზე მაქვსო. უცებ ჰაერი შემოაკლდა. მარჯვენა ფანჯარაც დაუშვა და მარცხენაც, მანქანაში ნიაჰმა კი შემოუბერა, მაგრამ სიგრილე მაინც ვერ იგრძნო, ისევ სული ეხუთებოდა. რას ვაკეთებ, ჰკითხა საკუთარ თავს. გარაჟი, სადაც მანქანა უნდა მიეყვანა, შორსაა, გარეუბანში, ასეთ მდგომარეობაში იქამდე ვერ მიაღწევს. ან გამომიჭერენ, ან ვილაცას შევასკდები, ეს კიდევ უარესი, ჩაიბურტყუნა და გადაწყვიტა, მანქანიდან გადმოსულიყო, დამშვიდებულიყო, გონება მოეკრიბა. იქნებ სულელური აზრები ამოვიგდო თავიდან, ის კაცი რომ დაბრმავდა, სულაც არ ნიშნავს, რომ მეც იგივე დამემართება, გრიპი ხომ არაა, რომ გადამდებოდა, ცოტას გავივლი და გამივლის. გადმოვიდა, მან-

ქანა არც კი ჩაკეტა, რადგან გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო, და წავიდა, მაგრამ ოცდაათი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ დაბრმავდა.

ოკულისტთან რიგში ბოლო შავსახვევიანი კეთილი მოხუცი იყო, რომელსაც შეებრალა საბრალლო უსინათლო, ასე მოულოდნელად რომ დაბრმავდა. მხოლოდ იმის გასაგებად იყო მოსული, როდის მოაშორებდნენ კატარაქტას ერთადერთ თვალზე - მეორის ცარიელ ფოსოს სახვევი უფარავდა, და მოხუცი, მისივე თქმით, თითქმის ველარაფერს ხედავდა. თვალის ბროლი ასაკის გამო გაქვთ დაბინდული, ამას კატარაქტა ეწოდება, უთხრა ექიმმა, როგორც კი შესაძლებელი იქნება, მოგაშორებთ და დაინახავთ. როცა შავსახვევიანი პაციენტი გაისტუმრა და მედლამ უთხრა, აღარავინ გელოდებათო, ექიმმა უსინათლოს ანკეტა ამოიღო, ერთხელ გადაიკითხა, მეორედ, რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა, მერე ერთ თავის კოლეგას დაურეკა და აი, რაზე ესაუბრა: იცი, დღეს მეტად უცნაური პაციენტი გავსინჯე, წარმოგიდგენია, კაცი სრულიად დაბრმავდა, თანაც უცებ, ერთ წამში, მოკლედ, გავსინჯე და ვერაფერი აღმოვუჩინე, ვერავითარი დარღვევა, არც რამე თანდაყოლილი პათოლოგია შეინიშნება, ირწმუნება, რომ ვერაფერს ხედავს, მხოლოდ სითეთრეს, თითქოს რძეში ვარ ჩაძირულიო, ჰო, ვცდილობ მისი შეგრძნებები გადმოგცე, კი, მესმის, რომ სუბიექტურია, არა, ახალგაზრდაა, ოცდათვრამეტი წლის, რამე მსგავსი გსმენია. იქნებ ლიტერატურაში შეგხვედრია, რადგან წარმოდგენა არა მაქვს, როგორ დავეხმარო, ანალიზებზე გავუშვი, იქნებ ამ დღეებში ერთად გაგვესინჯა, ამ საღამოს წიგნებსაც გადავხედავ, ლიტერატურას გავეცნობი, იქნებ რამე კვალს მივაგნო, ჰო, რა თქმა უნდა, აგნობია, ფსიქიკური სიბრმავე, კი, შეიძლება ეს იყოს, მაგრამ მაშინ ასეთი კლინიკით პირველი შემთხვევაა, რადგან სრულიად დაკარგა მხედველობა, აგნობიის

შემთხვევაში კი, როგორც ვიცით, მხოლოდ დანახულის იდენტიფიცირება ვერ ხდება. ჰო, ეს მეც ვიფიქრე, ცერებრალური ამავროზი, ჰო, რას ვამბობდი, ჰო, ამავროზის სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს, იქ სრული უკუნეთია, აქ კი სრული სითეთრე, ან იქნებ თეთრი ამავროზი არსებობს, რაღაც თეთრი უკუნეთი. კარგი, მეც, არასდროს, კეთილი, ხვალ დავურეკავ, ვეტყვი, კოლეგასთან ერთად მინდა გაგსინჯო-მეთქი. საუბარი რომ დაასრულა, ექიმში სავარძელში ჩაჯდა, რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იჯდა, მერე დაღლილმა თეთრი ხალათი გაიხადა. გვერდით ოთახში შევიდა ხელის დასაბანად, თუმცა, ამჯერად სარკეში თავისი გამოსახულებისთვის არ დაუსვამს მეტაფიზიკური შეკითხვები, ასეთი ტიპის: ნეტავ, რა უნდა იყოს ეს, და ისევ მეცნიერულ მსოფლმხედველობას დაუბრუნდა, ხოლო ის, რომ აგნოზია და ამავროზი დაწვრილებითაა აღწერილი და შესწავლილი წიგნებშიც და პრაქტიკაშიც, სულაც არ ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ გამოვლინდება ახალი სახეობა, ვარიანტი, მუტაცია, ასე ვთქვათ, და როგორც ჩანს, ეს დღეც დადგა. იმის უამრავი მიზეზი არსებობს, რომ ტვინში დაიბლოკოს მხედველობაზე პასუხისმგებელი ზონა, ტვინი ჩაირაზა, ტვინი და სხვა არაფერი, როგორც ის კარი იყო ჩარაზული, გვიანი სტუმარი რომ მიადგა. როგორც ვხედავთ, ჩვენი ოფთალმოლოგი ლიტერატურისადმი გულგრილი არ იყო და ზოგჯერ ციტატის მარჯვედ ჩართვასაც ახერხებდა.

საღამოს, ნავახშმევს, ცოლს უთხრა, დღეს ისეთი უცნაური პაციენტი მყავდა, მისი შემთხვევა შეიძლება აგნოზიის ან ამავროზის ისეთი ვარიანტი იყოს, რომლის მსგავსი ჯერ არ არის აღწერილი. რა არის ამავროზი და კიდევ ის რაღაც მეორე, ჰკითხა ცოლმა. ექიმმა დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა, არაპროფესიონალისთვის გასაგებად აუხსნა, მერე თაროსთან მივიდა, სადაც მისი სპეციალობის წიგნები ეწყო, ძველიც, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროინდელი, და ახლებიც, სულ ახლახან გამოცემული და ჯერ წაუკითხავი. სათაურებსაც გადახედა, სარჩევებსაც და კითხვას შეუდგა, რათა

გაცნობოდა ყველაფერს, რაც ამავროზსა და აგნობიაზე მოიძია, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნათლად გრძნობდა უხერხულობას იმის გამო, რომ სხვის სამფლობელოში, ნაკრძალ ტერიტორიაზე, ნეიტრალიზაციის იდეალს სფეროში იჭრებოდა, რომლის შესახებაც მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა. გვიან ღამით წიგნები გადადო, დაღლილი თვალები მოიფშვინტა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო. სრული სიცხადით წარმოიდგინა ალტერნატივა. ეს რომ აგნობია ყოფილიყო, პაციენტი ყველაფერს ისევე დაინახავდა, როგორც ადრე, ანუ ოდნავადაც არ დაუქვეითდებოდა მხედველობა, მხოლოდ ტვინი ვეღარ აღიქვამდა, ვთქვათ, სკამს სკამად, ანუ მხედველობის ნერვით მიწოდებულ სინათლის სტიმულებზე რეაგირების უნარს შეინარჩუნებდა მაგრამ, თუ სპეციალურ ტერმინებს არ ვიხმართ და მედიცინისგან შორს მყოფი ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე ვიტყვით, დაკარგავდა იმის აღქმის უნარს, რაც იცის და კიდევ ამაზე ლაპარაკის უნარს. ამავროზის დროს კიდევ უფრო მარტივად არის საქმე. ამ შემთხვევაში პაციენტი ხედავს, თუ მართებულია აქ ამ ზმნის ხმარება, მხოლოდ უკუნ სიბნელეს, უფრო სწორად, ვერაფერს ხედავს. უსინათლო კი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ხედავს, ისე უმართებულოდ ვხმარობ ამ სიტყვას, სრულიად ერთფეროვან სქელ თეთრ მასას, თითქოს რძის ზღვაში თვალგახელილმა ჩაყვინთა. თეთრი ამავროზი, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს სიტყვათშეთანხმება უმართებულოა ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, მიუღებელია ნევროლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან ტვინი, რომელსაც არ შეუძლია რეალობის გარჩევა, ვერ შეღებავს თეთრ ფერად, ტონებისა და ნახევარტონების გარეშე, იმ საგნებს, ფორმებს და ფერებს, რომელსაც სწორედ ეს რეალობა წარუდგენს ნორმალურ მხედველობას, რაოდენ საეჭვოც უნდა იყოს მსჯელობა თავად ასეთის არსებობაზე. ექიმმა უჩვეულოდ ცხადად

გაიაზრა, რომ ჩიხში მოექცა, საიდანაც თითქოს არც ჩანს გამოსავალი, შუბლით კედელს მიეყრდნო, უხალისოდ გაიქნია თავი და უკან მიიხედა. ცოლი უკვე საძინებელში შევიდა, გაახსენდა, როგორ მიუახლოვდა და კეფაზე აკოცა, წავალ, დავიძინებო. ბინაში ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგიდაზე წიგნები იყო დახვავებული, მაინც რა არის ეს, გაიფიქრა და უცებ შიში დაეუფლა, თითქოს, სადაცაა თავადაც უნდა დაბრმავდეს და იცის ამის შესახებ. ცოტა ხნით გაირინდა. არაფერი მომხდარა. მოხდა ერთი წუთის შემდეგ, როცა წიგნებს იღებდა, რომ თაროზე დაეწყო. ჯერ მიხვდა, რომ საკუთარ ხელებს ვერ ხედავდა, მერე კი იმას, რომ დაბრმავდა.

შავსათვალთან ქალიშვილს სერიოზული დაავადება არ სჭირდა, ჩვეულებრივი კონიუნქტივითი იყო, რომელსაც ექიმის დანიშნული წამალი რამდენიმე დღეში მოუხრჩენს. იცით, როგორ იმოქმედოთ, სათვალეს, თავადაც ხვდებით, მხოლოდ ღამით მოიხსნით, დაარიგა ექიმმა. ეტყობა, ეს ხუმრობა უხსოვარი დროიდან არსებობს და ოფთალმოლოგების ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა, თანაც უცვლელი წარმატებით, რადგან მისი წარმოთქმისას ექიმმა გაიღიმა, გაიღიმა ქალიშვილმაც, რაც სრულებითაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან შავსათვალთან ქალიშვილი ხშირად იღიმებოდა, რომ ლამაზი კბილები გამოეჩინა. სკეპტიკოსი, რომელიც მისი ცხოვრების წესს იცნობს და რომელიც სკეპტიკოსად ან თანდაყოლილი მიზანთროპიის ან ხშირი იმედგაცრუების წყალობით ჩამოყალიბდა, უთუოდ აღნიშნავს, რომ ამ ღიმილის ხიბლი სხვა არაფერია, თუ არა პროფესიული ხერხი, თუმცა, ღვარძლიანი ინსინუაცია ერთმნიშვნელოვნად უნდა უკუუვადოთ, რადგან ეს ღიმილი ასეთი იყო მაშინაც, არც ისე დიდი ხნის წინ, როცა მოლიმარი ჯერ კიდევ უმანკო იყო, თუმცა, ეს სიტყვა ახლა აღარც იხმარება, როცა მისთვის მომავალი კონვერტში ჩადებულ წერილს ჰგავდა, ხოლო ცნობისმოყვარეობა, რომელიც კონვერტის გახსნას უბიძგებდა, ის-ის იყო, იღვიძებდა.

ოდნავ თუ გავამარტივებთ, შეიძლება მეძავთა ფენასაც მივაკუთვნოთ, მაგრამ მრავალფეროვანი და უჩვეულოდ გადახლართული სოციალური ურთიერთობა - როგორც დღისა და ღამის, ისე ვერტიკალური და ჰორიზონტალური, - იმ ეპოქაში რომ იყო, რომელსაც აღვწერთ, გვიჩვენებს, რომ თუ არ ავლაგმავთ, დავიკოთ მაინც ნაჩქარევი და მეტად დაბეჯითებითი მოსაზრებების გამოთქმის სურვილი, მაგრამ, ეტყობა, ამ სისუსტეს ვერასდროს დავძლევთ. და თუმცა, კარგად ვიცით, რომ უამრავი ღრუბელია იუნონაში, მართებული არ იქნება გავვიუტდეთ და ანტიკური ქალღმერთი ატმოსფეროში არსებული წყლის წვეთების ერთობლიობასთან გავაიგივოთ. რასაკვირველია, ეს ქალი ფულზე უწვება მამაკაცებს, რაც საშუალებას იძლევა ხანგრძლივი მსჯელობის გარეშე მივაკუთვნოთ მეძავ ქალთა რიცხვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უწვება მხოლოდ მას, ვისაც უნდა და როცა უნდა, არ უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ მისი ამგვარი დამოკიდებულება, მგონი, მთლად არ შეესაბამება საპატიო გილდიის წევრობას. ისევე როგორც ყველა ადამიანს, მასაც აქვს პროფესია, მაგრამ ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, თავისუფალ დროს იმისთვის იყენებს, რომ სიამოვნება მიიღოს და დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი, რომლებიც აქვს ყველას და კერძოდ, მასაც. ასე რომ, თუ ერთმნიშვნელოვნად პრიმიტიულ განსაზღვრებებს მოვერიდებით, ის უნდა დავახასიათოთ როგორც ქალი, რომელიც ისე ცხოვრობს, როგორც უნდა და ცხოვრებისგან მაქსიმალურ სიამოვნებას იღებს.

უკვე კარგად შებინდებული იყო, ოკულისტიდან რომ გამოვიდა. სათვალე არ მოუხსნია, რადგან ქუჩის განათება და განსაკუთრებით რეკლამის ნეონის ნათება თვალს სჭრიდა. აფთიაქში შეიარა ექიმის გამოწერილი წამლების საყიდლად და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც გაუგონია ფარმაცევტის თანაშემწის სიტყვები, ცოდვას, ასეთი თვალების შავი სათვალით დამალვად,

საკმაოდ თამამი რეზლიკა, რომლის უფლებაც თავს მისცა ვიღაც ფარმაცევტის თანაშემწემ, თანაც ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა ქალიშვილის ღრმა რწმენას, რომ შავი სათვალე მომხიბლავდა იდუმალ იერს აძლევს და მამაკაცების ინტერესს იწვევს, და ეს ინტერესი შეიძლება კიდევ დაეკმაყოფილებინა, რომ არა ამ საღამოს დანიშნული პაემანი, ბევრ სიკეთეს რომ ჰპირდებოდა როგორც მატერიალური, ისე მრავალი სხვა თვალსაზრისითაც. ადრეც შეხვედრია ამ მამაკაცს, რომელსაც სულაც არ გაჰკვირვებია, როცა გააფრთხილა, რომ არ მოიხსნიდა სათვალეს, ოფთალმოლოგის მითითების თანახმად, რომელიც იმ დროისთვის ჯერ არც იყო გამოთქმული, არათუ არ გაჰკვირვებია, არამედ მოეწონა კიდევ, როგორც ერთგვარი პიკანტური სიახლე. აფთიაქიდან გამოსულმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს სასტუმროს სახელი უთხრა. სავარძელს მიყრდნობილი კმაყოფილი ფიქრობდა მოსალოდნელ სიამოვნებაზე, ტუჩების პირველი და ვნებიანი შეხებით დაწყებული და მგზნებარე ტალღისებრი ორგაზმით დამთავრებული, რომელიც თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აიტაცებდა და ცეცხლოვან ბორბალზე დაატრიალებდა, მერე კი, ჯვარცმულივით, ენამ არ გვიყვივლოს, მიატოვებდა ნეტარებით სიქაგაცლილს. მგონი, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ თუ შავსათვალიანი ქალიშვილის პარტნიორი ტექნიკურად თავს არ შეირცხვენს, არ გამოიჩინს მეტისმეტ, უკაცრავად და, სულსწრაფობას, ქალიშვილი, ჯერ ერთი, პირველი გადაუხდის, და მეორეც, იმაზე ორჯერ მეტს, რასაც შემდეგ მიიღებს ფულადი ანაზღაურების სახით. ამ ფიქრებში გართულმა და იმის გამოც, რომ ოფთალმოლოგთან ვიზიტი არცთუ იაფი დაუჯდა, საკუთარ თავს ჰკითხა, ხომ არ დადგა დრო, გაზარდოს, თუნდაც დღეიდან, ის, რასაც ევფემიზმის გამოყენებით ირონიულად მოითხოვდა ხოლმე თავისი ესოდენ გულუხვი მომსახურების საფასურად.

მანქანა სასტუმროსგან ოდნავ მოშორებით გააჩერა, იმავე მიმართულებით მიმავალ გამვლელებს შეერია, ნელა გაჰყვა ხალხის

ნაკადს. არავინ იცნობდა და არც არავის წინაშე გრძნობდა თავს დამნაშავედ. მეტად თამამად შეაბიჯა სასტუმროში, ვესტიბიული გაიარა და ბართან ჩამოჯდა. ზუსტად დათქმულ დრომდე კიდევ რამდენიმე წუთია, ამიტომ ლოდინი უწევს. კოქტეილი შეუკვეთა და ნელ-ნელა წრუპავს, ზედ არავის უყურებს, რომ ვინმეს მამაკაცებზე ვულგარული მონადირე არ ეგონოს. ცოტა ხანში ლიფტისკენ გაემართა, როგორც ტურისტი, მთელი დღე მუბეუბები რომ ათვალეირა და ახლა თავის ნომერში ადის. მისთვის ჯერჯერობით უცხო სათნოება დაბრკოლებებს აწყდება სრულყოფილებისკენ მიმავალ ეკლიან გზაზე, აი. ცოდვა და მანკიერება კი ფორტუნის კეთილგანწყობას იმსახურებს, ასე რომ. მშვიდობიანად მიაღწია კარს, რომელიც გაიღო და ლიფტიდან ხანდაზმული ცოლ-ქმარი გამოვიდა, ის კი შევიდა, მესამე სართულის ღილაკს დააჭირა ხელი. სამასმეთორმეტე ნომერში ელოდნენ, აი, ისიც, კარზე დააკაკუნა, ათ წუთში კი უკვე გახდილი იყო, თხუთმეტ წუთში ოხრავდა, თვრამეტ წუთში საალერსო სიტყვებს ჩურჩულებდა, თანაც გულწრფელად, ოცდაერთ წუთში იგრძნო, რომ მისი სხეული ნეტარებისგან დნებოდა, ოცდაორ წუთში გაჰყვიროდა: ჰო, ჰო, ჰო, ხოლო გონს რომ მოეგო, ვნებისგან გათანგულმა და ბედნიერმა თქვა, ჯერ ისევ ყველაფერს თეთრად ვხედავო.

მანქანის გამტაცებელი შინ პოლიციელმა მიიყვანა. წარმოსადეგი და გულისხმიერი სამართალდამცავი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პირწავარდნილი დამნაშავე მიჰყავდა, და ხელი ჰქონდა ჩავლებული არა იმიტომ, რომ კანონიერება აღესრულებინა, არამედ მხოლოდ საბრალო უსინათლო რომ არ წაქცეულიყო. ჩვენ კი არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, როგორ შეშინდა ქურდის ცოლი, როცა კარი გააღო და ზღურბლზე პოლიციის ფორმიანი კაცი დაინახა, რომელიც ბადრაგად ახლდა, როგორც მას მოეჩვენა, დაკავებულს, უკვე სულით დაცემულს, რომელსაც,

როგორც ეტყობოდა, დაპატიმრებაზე ბევრად უარესი რამ დაემართა. პირველ წუთში ქალმა იფიქრა, რომ მისი ქმარი დააკავეს in flagranti delicto, ანუ დანაშაულზე წაასწრეს და ახლა სახლში ჩხრეკას მოაწყობენ, და ამ აზრმა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ქალს აფორიაქებული სული ოდნავ დაუმშვიდა, რადგან მისი მეუღლე მხოლოდ ავტომობილებს იპარავდა, ავტომობილს კი, მოგეხსენებათ, საწოლქვეშ ვერ დამალავ. ისე, ერთ წუთში ყველაფერი გაირკვა, დაბრმავდა, მიხედეთო, და ქალს ის სიმშვიდე, თავდაპირველად რომ დაეუფლა, როცა მიხვდა, რომ პოლიციელმა მისი ქმარი კი არ დააკავა, არამედ მოაცილა, სრულიად დაარღვია მათ ოჯახზე თავსდატეხილმა უბედურებამ, აცრემლებული მეუღლე კი მკერდში ჩაეკრა და უამბო ის, რაც უკვე ვიცით.

შავსათვალისანი ქალიშვილიც მშობლების სახლში პოლიციამ მიიყვანა, მაგრამ იმ ვითარების პიკანტურობა, რომლის დროსაც დაბრმავდა, როცა სრულიად შიშველი გამყინავი ხმით ყვიროდა და სასტუმროს სხვა ბინადართ სიმშვიდეს ურღვევდა, მისი კავალერი კი ფართხაფურთხით იცვამდა და შარვლის ტოტში ფეხს ძლივს უყრიდა, გარკვეულწილად აქარწყლებდა სიტუაციის დრამატიზმს. უსინათლო ქალიშვილი სირცხვილით იწვოდა, ეს გრძნობა კი, უცოდველმა ფარისევლებმა რამდენიც უნდა ამტკიცონ საპირისპირო, სულაც არ ჩაუკლავს სასიყვარულო ვნების გაქირავებას, და გამყინავი და სულის შემძვრელი კვილის შემდეგ გაიაზრა, რომ მხედველობის დაკარგვა სულ სხვა რამეა, ვიდრე გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შედეგი განცდილი სიამოვნებისა. ძლივსლა ბედავდა ჩუმად ტირილსა და მოთქმას, როცა მოურიდებლად და უხეშად ატრიალებდნენ, აცმევდნენ და ლამის გამოათრიეს სასტუმროდან. პოლიციელმა საკმაოდ სარკასტულად, რომ არ ვთქვათ, უხეშად, ჯერ მისი მისამართი გაარკვია, მერე ჰკითხა, ტაქსის ფული თუ გაქვსო, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფო მის მაგივრად არ

გადახიდა, რაც, უნდა აღვნიშნოთ, სწორიცაა, რადგან ამ კატეგორიის მოქალაქენი თავიანთი ამორალური შემოსავლიდან გადასახადს არ იხდიან. პასუხად თავი დაუქნია, მაგრამ დაბრმავებულმა გაიფიქრა, რომ პოლიციელს შეიძლება ეს მოძრაობა ვერ შეენიშნა, ამიტომ ამოილულულა, მაქვსო, თავისთვის კი ჩაილაპარაკა, წყალსაც წაუღიაო, რაც უაზრობად გაისმა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ადამიანის სული მუდამ შემოვლით გვებს ირჩევს, თავს არიდებს სწორსა და მოკლეს, რითაც უთუოდ დასტურდება, რომ საბრალომ ეს გარყვნილებისა და მრუშობისათვის სასჯელად აღიქვა. სწორედ ამ დროს მიუახლოვდნენ სახლს. დედისთვის ნათქვამი ჰქონდა, ვახშმად ნუ დამელოდებითო, არადა, შინ დროზე მივიდა, მამასაც კი დაასწრო.

ოკულისტის ამბავი რამდენადმე სხვაგვარად იყო, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ მომენტში, როცა დაბრმავდა, შინ იმყოფებოდა. ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც სხეულის რომელიმე ორგანო ან ნაწილი რომ ასტკივდებათ, მხოლოდ მაშინ იგებენ მისი არსებობის შესახებ, ექიმი ფარხმალს არ დაყრის და სასოწარკვეთილებას არ მიეცემა. ასეთ, სხვა რომ არა ვთქვათ, რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილს, დარდასა და წუხილში, მტანჯველი ღამის მოლოდინში ჩვენს ექიმს გაახსენდა ფრაზა ჰომეროსის „ილიადადან“, იმ პოემიდან, უმთავრესად სიკვდილსა და ტანჯვაზე რომ გვიყვება: მრავალ მეომართა წინაშე მკურნალი უპირატესია, და თან ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ საქმე ეხება არა რაოდენობრივ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხარისხობრივ მაჩვენებელს, და ამაში დარწმუნების შესაძლებლობა მკითხველს ძალიან მალე მიეცემა. რადგან ექიმს ეყო გამბედაობა და ლოგინში ჩაუწვა ცოლს, არც კი გააღვიძა, მაშინაც კი, როცა ძილში რაღაც ჩაიბურტყუნა და ქმართან უფრო ახლოს მიიწია. დრო გადიოდა, მაგრამ ექიმს ძილი არ ეკარებოდა, თუ ჩათვლემდა, ისიც წამით. ერთი მხრივ, იფიქრა, ნეტავ

აღარასდროს გათენდესო, რომ მას, ვინც ხელობად სწეული თვალე-
ბის მკურნალობა აირჩია, არ გამოეცხადებინა, დავბრმავდიო, მე-
ორე მხრივ კი უნდოდა, მალე დამდგარიყო დილა. და თავისი ეს
სურვილი ასეთი სიტყვებით გამოხატა, ნეტავ მალე ირიჟრაჟოსო,
თუმცა, იცოდა, რომ დღის ნათელს ვერ იხილავდა. ჩვენში დარჩეს
და, უსინათლო ოკულისტი რისი მაქნისია, მისგან მხოლოდ ის ხე-
რია, რომ გასაგებად და პროფესიულად აცნობოს ჯანმრთელობის
დაცვის ორგანოებს საერთო-ეროვნული კატასტროფის საშიშროე-
ბის თაობაზე, რაკილა გაჩნდა სიბრმავის არნახული და აქამდე შეუს-
წავლელი სახეობა, კაციდან კაცზე რომ ვრცელდება, ანუ, მარტივად
რომ ვთქვათ, გადამდებია, და, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯე-
ლოთ, არც არავითარი წინასწარი კლინიკური გამოვლინება არა
აქვს, ვთქვათ, ანთება ან დეგენერაციისა თუ ინფექციის სხვა სიმ-
პტომები, რაშიც ექიმი იმ უსინათლოს მაგალითზე დარწმუნდა, წინა
დღით რომ გასინჯა, ანდა საკუთარზე, მცირედი ახლომხედველობა,
მსუბუქი ასტიგმატიზმი, ერთიც და მეორეც იმდენად უმნიშვნელოდ
გამოხატული, რომ საკორექციო ლინზების გამოყენებაც არ უფიქ-
რია. თვალები, რომლებიც ველარ ხედავს, თვალები, რომლებიც
უსინათლო გახდა, სრულ წესრიგშია და თანდაყოლილი ან შექენი-
ლი, ძველი ან ახალი პათოლოგიის ოდნავი ნიშანიც არ ეტყობა. გა-
იხსენა, რა საგულდაგულოდ გასინჯა უსინათლო, რა იდეალურ
მდგომარეობაში აღმოჩნდა ოფთალმოსკოპისათვის მისაწვდომი
თვალის ყველა ნაწილი, ტკივილის გამომწვევი არავითარი ცვლი-
ლება, რაც თავისთავად იშვიათობაა, როცა ავადმყოფი, მისივე
თქმით, ოცდათვრამეტი წლისაა, ისე, უფრო ახალგაზრდა ასაკშიც.
ის არ შეიძლება უსინათლო იყოს, ჩაილაპარაკა ექიმმა, წამით და-
ავიწყდა, რომ თავადაც უსინათლოა, აი, სადამდე შეიძლება მიიყვა-
ნოს ადამიანი თავდადებად, და ეს ახლა და აქ პირველად როდი ხდე-
ბა, გავიხსენოთ, რას გვეუბნებოდა ჰომეროსი, მართალია, სულ
სხვა სიტყვებით. თუმცა, შეიძლება გვეჩვენება, რომ სხვა სიტყვებია.

ცოლი რომ ადგა, თავი მოიმძინარა. იგრძნო, ტუჩებით როგორ შეეხო შუბლზე, ისე ნაზად და ფრთხილად აკოცა, თითქოს შიშობდა, არ დაერღვია მისთვის ის, რაც ღრმა და მშვიდ ძილად წარმოედგინა, და იქნებ იმასაც ფიქრობდა, საბრალო, წუხელ ძალიან გვიან დაწვა, სულ იმ იშვიათ შემთხვევაზე იმტვრევდა თავს, ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა იმ უსინათლოს. ექიმმა, მარტო რომ დარჩა და იგრძნო, როგორ მიცოცავდა მკერდიდან სახისკენ სქელი და მკვრივი ღრუბელი, ნელ-ნელა სულს რომ უხუთავდა, ნესტოებიდან სიღრმეში აღწევდა და აბრმავებდა, ამოიოხრა, როცა ყვრიმალეებზე თვალს მომდგარი ორი ცრემლი ჩამოუგორდა, და გაიფიქრა, ალბათ, თეთრიაო, და ახლალა მიხვდა, რა შიშით იყვნენ შეპყრობილი მისი პაციენტები, როცა ეუბნებოდნენ, ექიმო, მეჩვენება, რომ მხედველობა გამიუარესდაო. სამზარეულოდან საძინებელში ჩვეული ოჯახური ხმაური შემოდისო, მალე ცოლიც შემოიხედავს, რომ ნახოს, ადგა თუ არა, რადგან უკვე კლინიკაში წასვლის დროა. საწოლიდან ფრთხილად წამოდგა, ხელის ფათურით მოძებნა და ჩაიცვა ხალათი, სააბაზანოსკენ წალასლასდა, მოშარდა. მერე იქით შებრუნდა, სადაც სარკე ეკიდა, და ამჯერად კი არ იკითხა, მაინც რა არის ესო, არამედ არ თქვა, მილიონი მიზეზი არსებობს, რომ ტვინში მხედველობისათვის პასუხისმგებელი ზონა დაიბლოკოსო, მერე ხელები გაიშვირა, სანამ თითები მინას არ მიაღო, იცოდა, რომ ანარეკლი იქ არის, სარკეში, უყურებს მას, ხედავს, ის კი მას - ვერა. საძინებლიდან ცოლის ხმა მოესმა, ოჰო, უკვე ადექიო, ჰკითხა, მან კი უპასუხა, ჰო, ავდექიო. და მაშინვე იგრძნო, რომ მის გვერდით იდგა. დილა მშვიდობისა, ჩემო საყვარელო, როგორ ხარ, ამდენი ხნის ქორწინების მიუხედავად ისევ ასეთი საალერსო სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს, მერე კი, თითქოს რაღაც სპექტაკლს თამაშობდნენ, მისი რეპლიკის ჯერი დადგა, უთხრა, იცი, არც ისე კარგად, თვალეებზე რაღაც მჭირსო. ცოლმა ფრაზის

მხოლოდ მეორე ნაწილი აღიქვა. აბა, მიჩვენე, სთხოვა და ძალიან ყურადღებით დააკვირდა, მერე კი უთხრა, ვერაფერს ვხედავო, ანუ აშკარად აურია და მისი ტექსტი თქვა, რადგან ეს სიტყვები მას უნდა წარმოეთქვა, და წარმოთქვა კიდევ, ოდნავ დაუდევრად, დაახლოებით ასე, ვერაფერს ვხედავო, თანაც დასძინა, მგონი, გუშინდელი პაციენტისგან გადამედო.

ექიმების ცოლები, რაკი ქმრების გვერდით ცხოვრობენ, დროთა განმავლობაში მეტ-ნაკლებად თავადაც ერკვევიან მედიცინაში, ამ ოკულისტის ცოლი კი ყველა თვალსაზრისით უახლოესი ადამიანი იყო მისთვის და არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა, რომ სიბრმავე გადამდები დაავადება არ არის, ის არ შეიძლება შეგეყაროს, ქოლერა ხომ არ არის, და ჯერ არავინ დაბრმავებულა იმის გამო, რომ უსინათლომ შეხედა, რადგან ეს ადამიანისა და დაბადებიდან ბოძებული თვალების პირადი ურთიერთდამოკიდებულების საკითხია. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, მედიკოსი ვალდებულია, იცოდეს, რას ამბობს, სწორედ ამიტომაც სწავლობდა უნივერსიტეტში, ხოლო თუ ეს ექიმი, გარდა იმისა, რომ თავი უსინათლოდ გამოაცხადა, იმასაც ირწმუნება, გადამედო, მის ცოლს, რაოდენ კარგადაც უნდა ერკვეოდეს მედიცინაში, ეჭვიც კი არ შეეპარება. თავისთავად ცხადია, რომ უცილობელი ფაქტის წინაშე აღმოჩენილი საბრალო ქალი ზუსტად ისევე მოიქცა, როგორც ნებისმიერი მოიქცეოდა მის ადგილზე, აკი უკვე მოიქცა ასე მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენილი ორი ქალი, ანუ ქმარს გადაეხვია და სრულიად გულწრფელი წუხილისა და დარდის ყველა ნიშანი გამოხატა. რა გვეშველება, იმეორებდა ცრემლმორეული, ახლა რა უნდა ვქნათ. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფალთ, ჯანდაცვის სამინისტროს უნდა შევატყობინოთ, თუ ეს მართლა ეპიდემიაა, გადაუდებელ ზომებს უნდა მიმართონ. მაგრამ სიბრმავის ეპიდემია გაუგონარი და არნახული რამაა, შეეწინააღმდეგა ქალი, რომელიც უკანასკნელ იმედს ებღაუჭებოდა. სრულიად

ჯანმრთელი თვალების მქონე უსინათლოც არავის არასდროს უნახავს, მაგრამ, სულ ცოტა, ორი ასეთი უკვე არის. და ის იყო, ბოლო სიტყვა თქვა, რომ სახე მოეღუმა, უხეშად მოიშორა ცოლი და თავადაც უკან დაიხია, მომშორდი, არ მომიახლოვდე, შეიძლება შენც გადაგედოს, და მაშინვე თავში ხელები წაიშინა, ოჰ, რა იდიოტი ვარ, ნამდვილი იდიოტი, რამ გამომამტერა, ექიმი უნდა მერქვას მე, ეს როგორ არ ვიფიქრე, მთელი ღამე ერთად გავატარეთ ლოგინში, კაბინეტში რატომ არ დავრჩი, კარი რატომ არ მივხურე. ღვთის გულისათვის, ამას ნუ ამბობ, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, წამოდი, საუბმეს მოგიმზადებ. მომშორდი, გამეცალე. არც მოგშორდები და არც გაგეცლები, შენ აქეთიქით მიეჯახო, იბორძიკო, დაეცე, ტელეფონთან მისვლისას სკამს წამოედო, ცნობარში ტელეფონის ნომერი ეძებო უსინათლომ და მე, შენი აზრით, მშვიდად ვუყურო ყველაფერ ამას, მინის ხუფქვეშ მჯდარმა, რომ სიბრმავე არ შემეყაროს. მერე ხელი მოჰკიდა და უთხრა, წამოდი, საყვარელო.

ჯერ ძალიან ადრე იყო, როცა ექიმმა, თავად წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებით დალია ფინჯანი ყავა და შეჭამა კარაქიანი ტოსტი, ჯიუტი ცოლის მოწოდებული, მეტად ადრე საიმისოდ, რომ სამუშაო ადგილზე ყოფილიყვნენ ის თანამდებობის პირები, რომლებსაც უნდა აცნობოს. საქმისთვისაც აჯობებს და დროც დაიზოგება, ლოგიკურად მსჯელობდა ექიმი, თუ ჯანდაცვის სამინისტროში პირდაპირ ვინმე მაღალჩინოსანს დავურეკავო, მაგრამ იძულებული გახდა, ამ განზრახვაზე ხელი აეღო, როგორც კი გაირკვა, რომ სულაც არ არის საკმარისი ვინმეს უთხრა, ესა და ეს ექიმი ვარ, უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ინფორმაცია უნდა გაცნობოთო, რათა დაერწმუნებინა შედარებით დაბალი რანგის მოხელე, რომელთანაც ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ დააკავშირეს ჩვენი ოკულისტი, რომ ზემდგომისთვის მოეხსენე-

ბინა. მოხელე დაინტერესდა, რას ეხებოდა საქმე, თუმცა, ბავშვმაც კი იცის, არც ერთი ექიმი, რომელსაც ოდნავ მაინც აქვს გააზრებული თავისი პასუხისმგებლობა, ეპიდემიის გაჩენის შესახებ პირველსავე შემხვედრ კლერკს არ აცნობებს, რომ პანიკა არ გამოიწვიოს. თქვენ ამბობთ, ესა და ეს ექიმი ვარო, კი ბატონო, მჯერა, მაგრამ წესი წესია, ამიტომაც ვერავის ვერაფერს მოვახსენებ, უთხრა მოხელემ. ეს მეტად კონფიდენციალური საქმეა. მეტად კონფიდენციალური საქმეები ტელეფონით არ წყდება, ასე რომ, ჯობია პირადად მობრძანდეთ. სახლიდან ვერ გამოვდივარ. თქვენ რა, ავად ხართ. დიახ, ავად ვარ, ოდნავი ყოყმანის შემდეგ უთხრა უსინათლომ. ასეთ შემთხვევაში, თქვენს ადგილას ექიმს გამოვიძახებდი, ოღონდ ნამდვილ ექიმს, და საკუთარი ენამოსწრებულობით კმაყოფილმა ყურმილი დაუკიდა.

ეს სილის გაწვნას უდრიდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა ექიმს, გონს რომ მოსულიყო და ცოლისთვის მოეყოლა, როგორ მოექცნენ. მერე, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა იმას, რაც დიდი ხნის წინ უნდა სცოდნოდა, სევდიანად ჩაილაპარაკა, აი, რა ნივთიერებებისგან შევდგებით ადამიანები, ნახევრად გულგრილობისა და ნახევრად ღვარძლისგან. საინტერესოა, ახლა რა უნდა ვქნათ. უცებ მიხვდა, რომ ტყუილად კარგავს დროს და ინფორმაციის მიწოდება, მოხელეების გვერდის ავლით, ერთადერთი გზით შეიძლება - თავისი კლინიკის დირექტორს უნდა დაურეკოს, დაელაპარაკოს როგორც ექიმი ექიმს, მერე კი იმან აამოქმედოს ვეებერთელა ბიუროკრატიული მანქანის ტანჯიკები და კბილანები. ცოლმა აკრიფა ნომერი, რომელიც კარგად ახსოვდა. როცა უპასუხეს, ექიმმა უთხრა, ვინც იყო და სწრაფად თქვა, გმადლობთ, კარგად, როგორც ჩანს, მდივნის შეკითხვას უპასუხა, როგორ ბრძანდებით, ექიმო. როცა არ გვინდა, ჩვენი სისუსტე გამოვავლინოთ, ყოველთვის ვამბობთ, გმადლობთ, კარგად, თუნდაც სიკვდილის პირას ვიყოთ, გულს რკინის სარ-

ტყელს ვუჭერთ, ასე ვთქვათ, სამჭედლო-კარდიოლოგიურ პროცედურას ვასრულებთ. როცა დირექტორმა ყურმილი აიღო და ჰკითხა, როგორაა საქმეო, ექიმი დაინტერესდა, მართლა თუ არა კაბინეტში, ვინმე ხომ არ ისმენს მათ საუბარს, მდივანი არ ითვლება, რაში აინტერესებს ოფთალმოპათიაზე საუბარი, აი, ქალური დაავადებები რომ იყოს, მაშინ სხვა საქმეა. მოხსენება იყო მოკლე, საქმიანი, ამომწურავად სრული, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის, ზედმეტი სიტყვების გარეშე და იმდენად კლინიკურად უემოციო, რომ დირექტორი გაოცდა, მართლა ვერაფერს ხედავთო. აბსოლუტურად ვერაფერს. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ეს დამთხვევაა და არ გადაგდებიათ. გეთანხმებით, მაგრამ ის სადღაც სხვაგან კი არ დაბრმავდა, მე კი აქ, უსინათლო ჩემთან მიღებაზე იყო, რამდენიმე საათში კი მეც დაბრმავდი. როგორ მოვძებნოთ. გვარი და მისამართი რეგისტრატურაშია. ახლავე ვინმეს გაგზავნი. ექიმი გაგზავნეთ. რა თქმა უნდა. როგორ გგონიათ, ეს ამბავი სამინისტროს არ უნდა ვაცნობოთ. ნაადრევად მიმაჩნია, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდება, თანაც, ჯანდაბა, სიბრმავე გადამდები ხომ არ არის. არც სიკვდილია გადამდები, მაგრამ ყველა ვიხოცებით. კეთილი, ჯერჯერობით შინ იყავით, მერე მანქანას გამოგიგზავნით, მინდა თვითონ გაგსინჯოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ მას მერე დავბრმავდი, რაც უსინათლო გაგსინჯე. მას მერე სულაც არ ნიშნავს, რომ ამის გამო. ერთადერთი, რასაც ვხედავ, მკაფიო მიზეზშედეგობრივი კავშირია. კეთილი, კეთილი, დასკვნის გამოტანა ჯერ ადრეა, ორი ცალკეული შემთხვევა მაჩვენებელი არ არის. თუ მართლა მხოლოდ ორი შემთხვევაა. მესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ შავბნელ ფიქრებს ნუ მიეცემით, შეიძლება საამისო საფუძველი არც არსებობს. გმადლობთ. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ნახვამდის.

ნახევარ საათში, როცა ექიმი ცოლის დახმარებით ძლივს იპარსავდა წვერს, ტელეფონმა დარეკა. კლინიკის დირექტორი იყო და ამჯერად სულ სხვაგვარად ლაპარაკობდა, ბიჭუნა მოიყვანეს, უცებ დაბრმავდა, ირწმუნება, რომ მხოლოდ სითეთრეს ხედავს, დედამისი ამტკიცებს, რომ გუშინ თქვენთან ჰყავდა მიღებაზე. მარცხენა თვალის დივერგენციული სტრაბიზმია. ასეა. ესე იგი, სწორედ ის არის. ძალიან შეშფოთებული ვარ, სიტუაცია მეტად სერიოზულია. სამინისტროს არ შეატყობინეთ. ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, ახლავე დავრეკავ. სამ საათში, როცა ექიმი ცოლთან ერთად სრულ სიჩუმეში სადილობდა და მზრუნველად დაჭრილ ხორცის ნაჭრებს ჩანგლით ეძებდა, ისევ გაისმა ზარი. ტელეფონთან ცოლი მივიდა და მაშინვე დაბრუნდა, შენ გკითხულობენ, სამინისტროდან. ადგომაში მიეხმარა, კაბინეტში შეიყვანა, ყურმილი ხელში დააჭერინა. საუბარი ხანმოკლე გამოდგა და როცა უთხრეს, ყველას ვინაობა უნდა დავადგინოთ, ვინც თქვენთან გუშინ მიღებაზე იყო, ექიმმა უპასუხა, ავადმყოფობის ისტორიებში, სხვაგვარად ანკეტებს რომ უწოდებენ, ყველა მონაცემია, ანუ სახელი, გვარი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, ბინის მისამართი, ბოლოს შესთავაზა, მეც წავყვები იმათ, ვისაც გაგზავნითო. საჭირო არ არისო, მოკლედ მოუჭრეს. შემდეგ ყურმილი კიდევ ვიღაცას გადასცეს და ყურმილში უკვე სხვა ხმა გაისმა: მოგესალმებით, მინისტრი გელაპარაკებათ, მთავრობის სახელით მადლობას გიხდით პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის, დარწმუნებული ვარ, თქვენი მოქმედების ოპერატიულობა საშუალებას მოგვცემს, სიტუაცია გავაკონტროლოთ, მანამდე კი, დაბეჯითებით გთხოვთ, შინიდან არ გახვიდეთ. ბოლო სიტყვები, თუმცა, მეტად თავაზიანად იყო ნათქვამი, აშკარად ბრძანებას ჰგავდა. კეთილი, ბატონო მინისტრო, უპასუხა ექიმმა, მაგრამ ყურმილი უკვე დაკიდეს.

რამდენიმე წუთში ტელეფონმა ისევ დარეკა. კლინიკის დირექტორმა აღელვებული ხმით ძლივს ამოღერდა, ეს წუთია გავიგე, პოლიციიდან მყისიერი დაბრმავების ორი შემთხვევის შესახებ უცნობებიან. პოლიციელები არიან. არა, ჩვეულებრივი მოქალაქენი, ქალი და მამაკაცი, კაცი ქუჩაში აიყვანეს, გაჰყვიროდა, დავბრმავდიო, ქალი კი სასტუმროში დაბრმავდა, მამაკაცთან ერთად იყო ნომერში, ხომ მიმიხვდით. ახლავე უნდა გავარკვიოთ, ჩემი პაციენტები ხომ არ არიან, ცნობილია მათი ვინაობა. ჯერ არა. სამინისტროდან დამირეკეს, რეგისტრატურიდან ავადმყოფობის ისტორიებს წაიღებენ. აი, როგორ განვითარდა მოვლენები. ამას მე მეუბნებით. ექიმმა ყურმილი დაკიდა, თვალებზე ხელები აიფარა, თითქოს სურდა უარესი უბედურებისგან დაეცვა, მერე კი ხმადაბლა თქვა, როგორ დავიღალეო. იქნებ ცოტა ხანს დაიძინო, წამოდი, დაგაწვენ, უთხრა ცოლმა. არ ღირს, მაინც ვერ დავიძინებ, თანაც ყველაფერი ასე არ დამთავრდება, კიდევ რაღაც მოხდება.

ექვსი სრულდებოდა, როცა ტელეფონმა კიდევ ერთხელ დარეკა. ექიმი აპარატთან იჯდა და ყურმილი თავად აიღო, დიახ, მე ვარ, უთხრა და ყური მიუგდო, რას ეუბნებიან, ხოლო სანამ ყურმილს დაკიდებდა, ოდნავ დაიქნია თავი. ვინ იყო, ჰკითხა ცოლმა. სამინისტროდან დარეკეს, ნახევარ საათში სასწრაფო დახმარების მანქანა მომაკითხავს. ელოდი ამას. მეტ-ნაკლებად. და სად წაგიყვანენ. არ ვიცი, ალბათ, საავადმყოფოში. ახლავე ჩაგილაგებ ჩემოდანს, ტანსაცმელს ჩავდებ და ყველაფერს, რაც საჭიროა. კრუიზში ხომ არ მივდივარ. რა ვიცით, სად მიდიხარ. ფრთხილად შეიყვანა საძინებელში, საწოლზე დასვა, იჯექი, ყველაფერს მე მივხედავ. ექიმს ესმოდა, როგორ დადიოდა ცოლი ოთახში, აღებდა და კეტავდა უჯრებს და კარადებს, იღებდა ტანსაცმელსა და საცვლებს და ყველაფერს ჩემოდანში აწყობდა, თუმცა, არ იცოდა, რომ ჩემოდანში მის ტანსაცმელთან ერთად

რამდენიმე ბლუზა და ქვედაკაბა, ორი შარვალი, კაბა და ისეთი ფეხსაცმელებიც ჩადო, მხოლოდ ქალის რომ შეიძლებოდა ყოფილიყო. დაბნეულმა გაიფიქრა, ამდენი რამ რად მინდაო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, რადგან იმის დრო აღარ იყო, რომ წვრილმანებზე ესაუბრათ. გაიგონა, ცოლმა ჩემოდანი როგორ ჩაკეტა და თქვა, ყველაფერი მზადაა, ახლა შეუძლიათ მოვიდნენო. ჩემოდანი თავად გაიტანა შემოსასვლელში, კართან დადგა, ყურადღება არ მიაქცია ექიმს, რომელიც მიხმარებას ცდილობდა და ამტკიცებდა, მე თვითონაც გავიტან, ინვალიდი ხომ არა ვარო. მერე მისაღებში ტახტზე ჩამომსხდარნი ხელიხელჩაკიდებულნი იცდიდნენ. ექიმმა თქვა, არ ვიცი, რამდენი ხნით მოგვიწევს დაშორებაო, ცოლმა უპასუხა, მაგაზე ნუ დარდობო.

თითქმის ერთი საათი იცადეს. ზარი რომ დაირეკა, ქალი ადგა და კარის გასაღებად წავიდა, სართულზე არავინ იყო. სადარბაზოს დიქტოფონის ყურმილი აიღო, კეთილი, ახლავე ჩამოვა. შემობრუნდა და უთხრა, ქვემოთ გველოდებიან, აქ ამოსვლა აკრძალული აქვთ. ეტყობა, სამინისტროში ძალიან შეშინდნენ. წავედით. ლიფტით ჩავიდნენ, ქმარს კიბეზე ჩასვლაში დაეხმარა, ფურგონში ჩასვა, მერე ჩემოდნისთვის მობრუნდა, ისიც ფურგონში შეაგდო, თავადაც ავიდა და ქმრის გვერდით დაჯდა. მძღოლი შემოტრიალდა და უთხრა, მხოლოდ ექიმი უნდა წავიყვანო, ასე რომ, ჩაბრძანდითო. არა, ჩემი წაყვანაც მოგიწევთ, მშვიდად უპასუხა ქალმა, ეს წუთია დავბრმავდიო.

ეს აზრი თავად მინისტრს დაეხდა. და რა კუთხითაც უნდა მიუდგე, აზრი ჭკვიანურია, მეტად გონივრული როგორც წმინდა სამედიცინო, ისე სოციალური შედეგების თვალსაზრისით, და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მოსაზრებითაც. თუმცა, რაკი გაურკვეველი რჩება მიზეზები, ანუ, პროფესიულ ტერმინს თუ ვიხმართ, ეტიოლოგია თეთრი სენისა, როგორც არაკეთილხმოვან სიბრმავეს უწოდეს, რაც ერთი საკმაოდ გონიერი ასისტენტის დამსახურებაა, და რაკი მკურნალობის საშუალებას ვერ მიაგნეს, მომავალში ახალი

შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ვაქცინა ვერ შექმნეს, გადაწყვიტეს, ყველა დაბრმავებული და ასევე ყველა, ვისაც მათთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა, ერთ ადგილას მოეთავსებინათ და იზოლაციაში მოექციათ, რათა არ დაეშვათ ინფექციის გავრცელება, რომლის მსხვერპლთა რიცხვი წინააღმდეგ შემთხვევაში მათემატიკაში გეომეტრიულად წოდებული პროგრესიით გაიზრდებოდა. Quod erat demonstrandum, დაასკვნა მინისტრმა. თუ ამას გასაგებ ენაზე ვთარგმნით, საქმე ეხება იმას, რომ ყველა ამ ადამიანს კარანტინში მოათავსებენ ძველი ჩვეულები-სამებრ, დასაბამს იმ დროიდან რომ იღებს, როცა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ხომალდებს, სადაც შავი ჭირის ან ყვითელი ცხელების ეპიდემია მძვინვარებდა, ნავსადგურში არ უშვებდნენ და ორმოცი დღე ზღვაში რეიდზე ტოვებდნენ, რომ ენახათ, მერე რა იქნებოდა. სწორედ ეს სიტყვები, მერე კი ვნახოთ, რა იქნება, წარმოთქვა მინისტრმა, და რალაც არ ეტყობოდა, რომ შემთხვევით წამოსცდა ან რომ სხვა სიტყვები ვერ შეარჩია, მით უმეტეს, ოდნავ მოგვიანებით დააზუსტა, უნდა გითხრათ, რომ კარანტინი შეიძლება გაგრძელდეს როგორც ორმოცი დღე, ისე ორმოცი კვირა, ორმოცი თვე, ორმოცი წელი, რასაც ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, იქიდან არ გამოვიდნენ. ახლა ის-ღა დარჩა გადასაწყვეტი, სად მოვათავსოთ, თქვა იმ სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელიც ახლახან შეიქმნა და უსინათლოების შეგროვებას, მიყვანას, დაცვასა და ზედამხედველობას უნდა უხელმძღვანელოს. რა გვაქვსო, იკითხა მინისტრმა. პროფილის შესაცვლელად გამზადებული ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცარიელი შენობა, ყაზარმები, არმიის ამასწინანდელი რეფორმის შემდეგ დანიშნულებით რომ აღარ გამოიყენება, სამრეწველო ბაზრობის დაუმთავრებელი პავილიონები, და კიდევ არის სალიკვიდაციო ჰიპერმარკეტი, თუმცა, ვერავინ ახსნა, თუ რატომ იყო სალიკვიდაციო. მერედა, თქვენი აზრით, ამ

ნაგებობებიდან ყველაზე მეტად რომელი გამოდგება ჩვენი მიზნებისთვის. ყაზარმა კარგია უსაფრთხოების თვალსაზრისით. ბუნებრივია. მაგრამ მეტად დიდია, ზედამხედველობა გაჭირდება, თანაც მეტად ძვირი დაჯდება. გასაგებია. რაც შეეხება ჰიპერმარკეტს, აქ ათასგვარი იურიდიული სირთულე და ნიუანსია, ასე რომ, ქონებრივი დავის საგანი შეიძლება გახდეს. კარგი, ბაზრობაზე რას იტყვით. ბაზრობა, ბატონო მინისტრო, ჯობია საერთოდ გამოვრიცხოთ. ვითომ რატომ. მრეწველებს ნამდვილად არ მოეწონებათ, იქ მილიონები ჩაყარეს. რა გაეწყობა, მაშინ კლინიკა გვრჩება. დიახ, ასეა, ბატონო მინისტრო, კლინიკა.

ჰო, ყველა პარამეტრის მიხედვით უკეთეს ადგილს ვერც ვიპოვით, გარდა იმისა, რომ შენობას მთელ პერიმეტრზე გალავანი აქვს, ის უპირატესობაცაა, რომ შენობაში ორი ფრთაა ან, თუ გნებავთ, ფლიგელი, რომელთაგან ერთში შეგვიძლია თავად უსინათლოები მოვათავსოთ, მეორეში კი ისინი, ვინც სავარაუდოდ ინფიცირებულია, და კიდევ ცენტრალური ვესტიბიულია, ასე ვთქვათ, საერთო ტერიტორია, რომლითაც დაბრმავებულნი უსინათლოებთან გადავლენ. ერთ სირთულეს ვხედავ. რა სირთულეს, ბატონო მინისტრო. ვინმემ ხომ უნდა გააკონტროლოს ეს გადასვლა, პერსონალის აყვანა დაგვჭირდება, არადა, დარწმუნებული ვარ, ვოლონტიორების პოვნა გაგვიჭირდება. არა მგონია, ეს დაგვჭირდეს. ამიხსენით. იმ შემთხვევაში, თუ ინფიცირებულთაგან ვინმე დაბრმავდება, ეს კი, რასაკვირველია, ადრე თუ გვიან, მოხდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისინი, ვინც ჯერ არ დაბრმავებულა, მაშინვე გააძევებენ. მართალი ხართ. არც იმ უსინათლოს შეუშვებენ თავის ფრთაში, რომელმაც შეიძლება ადგილის შეცვლა მოინდომოს. ჰოო, ვატყობ საკითხი საფუძვლიანად დაგიმუშავებიათ. გმადლობთ, ბატონო მინისტრო, ესე იგი, შეგვიძლია შევუდგეთ საქმეს. იმოქმედეთ, სრული კარტ-ბლანში მომიცია.

კომიტეტი საქმეს სწრაფად და ეფექტიანად შეუდგა. საღამოს-თვის უკვე ყველა იმ უსინათლოს მოუყარეს თავი, ვის შესახებაც ინფორმაცია მოიძიეს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებსაც მათთან კონტაქტი ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც გამოავლინეს და დააკავეს საგანგებო სამძებრო ოპერაციის შედეგად, უმთავრესად დაბრმავებულ ადამიანთა ნათესავები და თანამშრომლები. ფსიქიატრიულის ცარიელ შენობაში პირველად ექიმი და მისი ცოლი მიიყვანეს. ჭიშკართან, რომელიც მხოლოდ ისე გაიღო, რომ შესვლა შესძლებოდათ, პატრული იდგა. მოაჯირისა და სახელურის როლს ჭიშკრიდან მთავარ შესასვლელამდე გაბმული სქელი თოკი ასრულებდა. ოდნავ მარჯვნივ მიდით, იქ თოკია, მას ჩაეჭიდეთ და წინ იარეთ, იქ კიბეა, ექვსი საფეხური, გამოაცხადა სერჟანტმა, კიბეზე ახვალთ, შენობაში შეხვალთ, იქ თოკი ორად იყოფა - მარცხნივ და მარჯვნივ, ყურადღება, წახვალთ მარჯვნივ. ცოლს ჩემოდანი ეჭირა და ექიმი უახლოესი პალატის კარისკენ მიჰყავდა, ძველებური ლაზარეთივით გრძელ პალატაში ორ რიგად იყო ჩამშკრივებული რკინის საწოლები, ოდესღაც ნაცრისფერი საღებავით შეღებილი, ახლა კი ბევრ ადგილას საღებავაქერცლილი. ასეთივე ფერის იყო ზეწრები, საბნები, ბალიშისპირები. ცოლმა პალატის სიღრმეში შეიყვანა ქმარი, საწოლზე დასვა და უთხრა, აქ იყავი, წავალ, ვნახავ, სად მოვხვდითო. პალატები, გრძელი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული დერეფნები, კაბინეტები, ეტყობა, ადრე ექიმებისთვის განკუთვნილი, საშინელი და ბინძური საპირფარეშოები, სამზარეულო, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა საავადმყოფოს საჭმლის საძულველი სუნი, დიდი სასადილო ოთახი თუთიის მაგიდებით, სამი გალია, სადაც კედლებზე ორი მეტრის სიმაღლეზე სქელ ფენად ქეჩა იყო გაკრული, ზემოთ კი კორპი. შენობას უკან მოუვლელი ეზო ჰქონდა, იქ რამდენიმე ქერქშემოძარცული ხე იდგა, ყველგან ნაგავი ეყარა. ექიმის ცოლი შენობაში დაბრუნდა. ნახევრად ღია კარადაში გიჟის

პერანგები ეკიდა. რომ მიუახლოვდა, ქმარმა ჰკითხა, მიხვდი, სად მოგვიყვანესო, რაზეც უპასუხა, ვერაო, უნდოდა, დაემატებინა, საგიჟეთშიო, მაგრამ ქმარმა დაასწრო, შენ არ დაბრმავებულხარ, ამიტომ არ დავუშვებ, რომ აქ დარჩე. ჰო, მართალი ხარ, ბრმა არა ვარ. მოვითხოვ, რომ შინ გაგიშვან, ვეტყვი, რომ მოატყუე, რადგან ჩემთან განშორება არ გინდოდა. არც ეცადო, მაინც ვერ გააგონებ, რომც გააგონო, არ გამიშვებენ. მაგრამ შენ ხომ ბრმა არა ხარ. ჯერ-ჯერობით არა, მაგრამ რამდენიმე დღეში ან ერთ წუთში შეიძლება მეც დავბრმავდე. გთხოვ, აქედან უნდა წახვიდე. რა დაიჟინე, თანაც ჯარისკაცები ნაბიჯის გადადგმის ნებასაც არ მომცემენ. რა ვქნა, როგორ გაიძულო. ვერა, საყვარელო, ვერ მაიძულებ, აქ დავრჩები და დაგეხმარები შენც და სხვებსაც, ვისაც მოიყვანენ, ოღონდ არავის უთხრა, რომ ვხედავ. ვინ სხვებს. შენ რა, გგონია, რომ აქ მართო ვიქნებით. ეს ხომ სიგიჟეა. ჰოდა, იმიტომაც ვართ საგიჟეთში.

დანარჩენი უსინათლოები ერთად მოიყვანეს. შინიდან წამოიყვანეს, ერთმანეთის მიყოლებით: ავტომობილის პატრონიც, პირველი რომ დაბრმავდა, ქურდიც, მანქანა რომ მოჰპარა, შავსათვალისანი ქალიშვილიც და ელამი ბიჭუნაც, თუმცა, არა, ბიჭუნა საავადმყოფოდან წამოიყვანეს, სადაც დედამ მიიყვანა. თავად დედა კი არ წამოიყვანეს, მან ექიმის ცოლივით გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, ვერ მოიფიქრა, ეთქვა, მეც დავბრმავდიო, გულუბრყვილო ქალი იყო, უჭირდა ტყუილის თქმა. პალატაში ბორძიკით შემოვიდნენ, ხელებს იქნევდნენ, რადგან აქ გზის გამკვალავი თოკი არ იყო, და გამოცდილებას საკუთარი შეცდომებით იძენდნენ, ანუ ტკივილის ხარჯზე, ელამი ბიჭუნა სლუკუნებდა, დედას უხმობდა, შავსათვალისანი ქალიშვილი კი, რომელიც მის დამშვიდებას ცდილობდა, ნუ ტირი, ნუ, სულ მალე მოვა დედაშენი, მოვაო, და სწორედ ამ სათვალის გამო შეიძლებოდა, ბრმაც გგონებოდათ და თვალხილულიც, რადგან დანარჩენები უსინათლო თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ის კი იმეო-

რებდა, მოვა, სულ მალე მოვა დედაშენიო, თითქოს მართლაც ხედავდა კარში შემომავალ დედას, ასე გულდათუთქული რომ უხმობდა ბიჭუნა. ცოლმა ექიმს ყურში ჩასჩურჩულა, ოთხნი არიან, ორი მამაკაცი, ქალიშვილი და ბავშვი. მამაკაცები როგორ გამოიყურებიანო, ხმადაბლა ჰკითხა ექიმმა. ცოლმა აღუწერა, და ექიმმა, ერთს არ ვიცნობ, მეორე კი სწორედ ის უნდა იყოს, ჩემთან მიღებაზე რომ მოვიდაო. ბიჭუნა მარცხენა თვალით ელაბია, შავსათვალიანი ქალიშვილი კი ძალიან ლამაზი. გუშინ ორივე გავსინჯე. უსინათლოები უსაფრთხო ადგილის ძებნაში ხმაურობდნენ, ამიტომ მათი საუბარი არ ესმოდათ, ალბათ, ეგონათ, რომ აქ ყველა უსინათლოა, და რაკი მხედველობა სულ ცოტა ხნის წინ დაკარგეს, ხმის გარჩევის უნარი ჯერ არ გამძაფრებიათ. ბოლოს, თითქოს ერთად დაასკვნეს, რომ წვალემა დიდად არ ღირდა და ყველა იმ საწოლზე ჩამოჯდა, რომელსაც მიადგა, მამაკაცები ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ, თუმცა, ვერც კი მიხვდნენ ამას. ქალიშვილი ჩუმად ანუგეშებდა ბიჭუნას, ნუ ტირი, აი, ნახავ, დედაშენი მალე მოვაო. ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და პალატის სიღრმიდან ექიმის ცოლის ხმამ, აქ ორნი ვართ, თქვენ რამდენი ხართო, ახალმოსულნი დააფრთხო, მამაკაცებმა ხმა არ გასცეს, ქალიშვილმა კი უპასუხა, ესე იგი, ახლა ოთხნი ვართ, ჩემი და ამ ბიჭუნას ჩათვლითო. კიდევ ვინ არის აქ, ხმას რატომ არ იღებთ, ჩაეძია ექიმის ცოლი, და პასუხად, კიდევ მე ვარ აქ, გაისმა კაცის ხმა, რომელიც თითქოს ძლივს ამოთქვამდა სიტყვებს. და მეც, ამოღერდა კიდევ ერთმა. ექიმის ცოლმა გაიფიქრა, ისე გაყუჩებულან, თითქოს ერთმანეთის გაცნობის ემინიათო. ხედავდა, როგორ წაუგრძელებიათ კისრები, თითქოს ერთმანეთს ყნოსავენო, დაძაბულობისგან როგორ შეჭმუხნიათ სახე, თანაც, რა უცნაურია, ერთნაირი გამომეტყველება აქვთ, შიშნარევი მუქარის, თუმცა, შიშის მიზეზიც განსხვავებული აქვთ

და მუქარის ობიექტიც განსხვავებული ჰყავთ. აშკარად რაღაც ვერ გაიყვეს, გაიფიქრა ექიმის ცოლმა.

და უცებ კარზე მიმაგრებული დინამიკი ჩაირთო, მკაცრმა, ბრძანებებს ჩვეულმა ხმამ მკაფიოდ, დამარცვლით და ხმამაღლა წარმოთქვა: ყურადღება, ეს სიტყვა სამჯერ გაიმეორა, შემდეგ კი: ქვეყნის მთავრობა დიდ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავისი მოვალეობის შესასრულებლად და უფლებამოსილების შესაბამისად, იძულებულია, მთელ რიგ გადაუდებელ და მკაცრ ზომებს მიმართოს, რათა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დაიცვას ქვეყნის მოსახლეობა იმ კრიზისის პირობებში, რომელიც გამოიწვია მოულოდნელად აფეთქებულმა სიბრძავის ეპიდემიამ, დროებით თეთრი სენი რომ ეწოდა, და იმედს გამოთქვამს, რომ ყველა მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას გამოიჩინოს და შესაბამისად მოიქცევა, რათა ყველანაირად წინ აღვუდგეთ ეპიდემიის გავრცელებას, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეპიდემიასთან გვაქვს და არა ზოგიერთი შემთხვევის ჯერჯერობით აუხსნელ დამთხვევასთან. გადაწყვეტილება, კარანტინში მოგვეთავსებინა ამ სენით შეპყრობილნი, ისევე როგორც მათთან რაიმე კონტაქტში მყოფი პირები, საფუძვლიანად და ყოველმხრივ მოფიქრებულია. მთავრობას სრულად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე და იმედოვნებს, რომ ისინიც, ვისაც ეს მიმართვა ეხება, როგორც კანონმორჩილი მოქალაქენი, ასევე გაიაზრებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას და მიხვდებიან, რომ ეს იძულებითი იზოლაცია გამოხატავს მათ მტკიცე კავშირს და ურღვევ ერთიანობას მთელ ერთან. ახლა მოისმინეთ კარანტინში ქცევის წესები: პირველი - შუქი მუდმივად ჩართული იქნება, მისი გამორთვის ყველა მცდელობა ამაოა, ჩამრთველები დაბლოკილია; მეორე - შენობის დატოვება სპეციალური ნებართვის გარეშე დაუშვებელია და სიკვდილით ისჯება; მესამე - ყოველ პალატაში არსებული ტელეფონით ნებადართულია მხოლოდ ჰიგიენური და სარეცხი საშუალებების მარაგის შევსების

მოთხოვნა; მეოთხე - იზოლირებულნი ვალდებული არიან, ყოველდღე ხელით გარეცხონ თავიანთი ტანსაცმელი; მეხუთე - სავალდებულო არ არის, მაგრამ დაბეჯითებით გირჩევთ, ყოველ პალატაში აირჩიოთ თავკაცი; მეექვსე - დღეში სამჯერ როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფრთის კართან მოიტანენ სურსათს ყუთებით, რომელიც ორივე ჯგუფისთვისაა გათვალისწინებული; მეშვიდე - მთელი ნაგავი, იგულისხმება არა მხოლოდ საჭმლის ნარჩენები, არამედ ტარა და ჭურჭელი, როგორცაა ადვილად აღებადი მასალისგან დამზადებული თეფშები და კოვზები, უნდა დაიწვას; მერვე - უნდა დაიწვას უკანა ეზოში; მეცხრე - იზოლირებულნი პასუხისმგებელი არიან ცეცხლთან დაუდევრად მოპყრობის შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე; მეათე - ცეცხლი, შემთხვევით თუ განზრახ გაჩენილი, თავად იზოლირებულებმა უნდა ჩააქრონ, სახანძრო რაზმის დაუხმარებლად; მეთერთმეტე - იზოლირებულთ არ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო დახმარების იმედი რომელიმე მათგანის ავადმყოფობის შემთხვევაში, ისევე როგორც გარედან ჩარევისა კონფლიქტის წარმოქმნის ან აგრესიის აქტების შემთხვევაში; მეორმეტე - რომელიმე იზოლირებულის სიკვდილის შემთხვევაში, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, თავად იზოლირებულებმა ყოველგვარი ფორმალობის გარეშე უნდა დაკრძალონ უკანა ეზოში; მეცამეტე - შენობის ორ სხვადასხვა ფრთაში განთავსებულ პაციენტთა ორ ჯგუფს შორის კონტაქტი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცენტრალურ ვესტიბიულში, რომლითაც კლინიკაში შეხვედით; მეოთხმეტე - დაბრმავებულნი დაუყოვნებლივ უსინათლოთა ფლიგელში გადადიან; მეთხუთმეტე - ამ ინსტრუქციებს ყოველდღე მოგაწვდით, ერთსა და იმავე დროს, ახალმოსულთა საყურადღებოდ. მთავრობა და ხალხი იმედოვნებენ, რომ ყველა შეასრულებს თავის მოვალეობას. ღამე მშვიდობისა.

სიჩუმეში ბიჭუნას ხმა გაისმა: დედასთან მინდა, თუმცა, ეს სიტყვები იმდენად უემოციო იყო, თითქოს ცოცხალმა ადამიანმა კი არა, რაღაც მექანიკურმა ხელსაწყომ წარმოთქვა, რომელშიც ჩაწერილი იყო ფრაზა და ახლა უდროოდ დროს გაჟღერდა. ექიმმა თქვა, ინსტრუქციები, რომლებიც გაგვაცნეს, აშკარად მოწმობს, რომ ცოცხლად ამოგვექოლეს, და როგორც ჩანს, აქედან მანამ ვერ გავალთ, სანამ მეცნიერება ამ სენის მკურნალობის საშუალებას არ გამოიგონებს. ნაცნობი ხმა გაქვთ, უთხრა შავსათვალისანმა ქალიშვილმა. ექიმი ვარ, ოფთალმოლოგი. ახლა გიცანით, გუშინ თქვენთან მიღებაზე ვიყავი. შემახსენეთ, რას უჩიოდით. კონიუნქტივითი მქონდა, მქონდა და მაქვს, მაგრამ ახლა, როცა დავბრმავდი, რაღა მნიშვნელობა აქვს. ეს ბავშვი თქვენია. არა, ჩემი არ არის, შვილები არ მყავს. ეს ის ელამი ბიჭუნა ხომ არ არის, გუშინ რომ გავსინჯე. მე ვარ, უპასუხა ბიჭუნამ ოდნავ ნაწყენმა, არ ესიამოვნა მისი ფიზიკური ნაკვლი რომ ახსენეს, ანდა ვის ესიამოვნებოდა, რადგან მას, ნაკვლს, ამას და ყველა სხვას, ასეთი რამ ახასიათებს - ახსენებ თუ არა, სულ ოდნავ შესამჩნევად რომ იყოს, მაშინვე თვალში საცემი ხდება. არის აქ კიდევ ვინმე, ვისაც ვიცნობ, იკითხა ექიმმა, იქნებ თქვენ შორის ისიცაა, გუშინ ცოლთან ერთად რომ მოვიდა, მოულოდნელად სატესთან რომ დაბრმავდა. დიახ, აქა ვარ, უპასუხა პირველმა უსინათლომ. კიდევ ვინ ხართ, თქვით, თუ შეიძლება, ღმერთმა უწყის რამდენ ხანს მოგვიწევს ერთად ცხოვრება, ერთმანეთს ხომ უნდა ვიცნობდეთ. მე ვარ, კბილებში გამოცრა მანქანის გამტაცებელმა, ეგონა, ეს საკმარისი იქნებოდა, რომ თავისი ყოფნა დაეფიქსირებინა, მაგრამ ექიმი ჩააცვივდა, ხმით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ახალგაზრდა ხართ, ესე იგი, თქვენ არ მოგიმართავთ კატარაქტის გამო. არა. მხედველობა როგორ დაკარგეთ. ქუჩაში მივდიოდი. მერე. მერე რა, მივდიოდი და დავბრმავდი. ის იყო, ექიმს უნდა ეკითხა, სრულ სითეთრეს თუ სრულ სიბნელეს ხედავო, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, რადგან დროზე მიხვდა, რომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა პასუხს,

ანუ სიბრძნის ფერს. ხელი გაუბედავად წაიღო ცოლისკენ და გზად მის ხელს წააწყდა. ახლოს მიიწია, ლოყაზე რომ ეკოცნა, მის გარდა ვერავინ ხედავდა ამ დარდისგან შეჭმუხნილ შუბლს, სიმწრით მოკუმულ ტუჩებს, უსიცოცხლო, თითქოს შუშის თვალებს, საშიშად რომ გამოიყურებოდა, რადგან მხედველი ჩანდა, თუმცა, ვერაფერს ხედავდა. ჩემი ჯერიც დადგება, გაიფიქრა ქალმა, იქნებ ეს ახლაც მოხდეს, სწორედ ამ წუთში, რომ გაფიქრებაც ვერ მოვასწრო, ან ნებისმიერ სხვა მომენტში, ამათაც ხომ ასე დაემართათ, ან დაბრმავებული გავიღვიძებ, ან დასაძინებლად თვალს რომ დავხუჭავ, მაშინ დავბრმავდები, და მეგონება, რომ ჩამთვლიმა, ეს იქნება და ეს.

საწოლებზე მოკალათებულ უსინათლოებს თვალი შეავლო, ფეხებთან ბარგი-ბარხანა ეწყობო, მხოლოდ ამის წამოღების ნება მისცეს: ელამ ბიჭუნას - სკოლის ჩანთა, დანარჩენებს - პატარა ჩემოდნები, უქმეებზე რომ მიაქვთ ხოლმე. შავსათვალისანი ქალიშვილი ბიჭუნას ეჩურჩულებოდა, მეორე რიგში კი გვერდიგვერდ, მხოლოდ ერთი საწოლი ყოფდათ, პირით ერთმანეთისკენ, თუმცა, არ იცოდნენ ეს, პირველი უსინათლო და ქურდი ისხდნენ. ექიმმა თქვა, ინსტრუქცია ყველამ მოვისმინეთ, ასეა თუ ისე, ახლა ერთი რამ ვიცით, არავინ დაგვეხმარება, ჩვენი თუნდა მოვიწყობთ ცხოვრება, დაუყოვნებლივ, რადგან მალე ეს პალატა და სხვებიც ხალხით გაივსება. რა იცით, რომ აქ სხვა პალატებაცაა, იკითხა შავსათვალისანმა ქალიშვილმა. სანამ აქ შემოვიდოდით, ცოტა გავიარ-გამოვიარეთ, ჩვენი პალატა შემოსასვლელიდან პირველია, თქვა ცოლმა და ქმარს ხელზე ხელი მოუჭირა, ზედმეტი რომ არაფერი დასცდენოდა. ქალიშვილმა თქვა, მაშინ თქვენ იყავით თავკაცი, ასე თუ ისე, ექიმი ხართ. ჰო, ასე თუ ისე, ან ექიმობა რა ბედენაა, თუ არც თვალისჩინი გაქვს, არც წამალი. და მაინც. ექიმის ცოლმა გაიღიმა, დათანხმდი თანამდებობას, თუ, რა თქმა უნდა, დანარჩენები წინააღმდეგი არ არიან. არა

მგონია, ეს კარგი აზრი იყოს. რატომ. ჯერჯერობით მხოლოდ ექვსნი ვართ, ხვალ მეტი ვიქნებით, ყოველდღე მოიყვანენ და მოიყვანენ ახლებს, და შეიძლება დანამდვილებით ვივარაუდოთ, რომ არ შეურიგდებიან ხელისუფალს, რომელიც თავად არ აურჩევიათ და რომელიც ვერც ვერაფერს მისცემს წესების აღიარებისა და დაცვის სანაცვლოდ, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ აღიარეს რამე ხელისუფლება ან რამე წესები. მაშინ აქ ცხოვრება ძნელი იქნება. მხოლოდ ძნელი თუ იქნა, კიდევ არა უშავს. შავსათვალნიანმა ქალიშვილმა თქვა, მეგონა, ასე აჯობებდა, თუმცა, ექიმი მართალია, ყველა საკუთარ თავზე იფიქრებს.

სწორედ იმ წუთს, ამ სიტყვებით გაცოფებული, თუ იმის გამო, რომ დაგროვილმა ბოლმამ იხეთქა, ერთ-ერთი მამაკაცი ფეხზე წამოხტა. ყველაფერი ამის ბრალია, რომ ვხედავდე, ადგილზე გავათავებდი, აღრიალდა კაცი, თან თითს იქით იშვერდა, სადაც, მისი წარმოდგენით, უნდა მდგარიყო ის, ვისაც მის უბედურებაში მიუძღოდა ბრალი. მიმართულება თითქმის სწორად გამოიცნო, მაგრამ დრამატულ შესტს მოულოდნელად კომიკური ეფექტი მოჰყვა, რადგან მამხილებელი თითი საწოლთან მდგარ სრულიად უდანაშაულო ტუმბოზე მიუთითებდა. დამშვიდდით, ჩაერია ექიმი, ეპიდემიის დროს ბრალი არავის მიუძღვის, ყველა მსხვერპლია. იმისთვის ვისჯები, რომ სიკეთე გავაკეთე, თანაგრძნობა გამოვიჩინე, თავი რომ არ გამომედო და ეს გამოშტერებული შინ არ მიმეცილებინა, არ დავბრმავდებოდი. ვინ ხართ, ჰკითხა ექიმმა, მაგრამ ბრალმდებელმა პასუხი არ გასცა, იგრძნო, რომ რაღაც უაზრობა წამოროშა. უცებ მეორე უსინათლოს ხმა გაისმა, მიცილებით კი მიმაცვილა, მართალია, მაგრამ მერე ჩემი უსუსურობით ისარგებლა და მანქანა მომპარა. ცრუობ, არაფერი მომიპარავს. მოიპარე, მოიპარე. თუ ვინმემ შენი ჯაბახანა წაიყვანა, რა ჩემი ბრალია, ასე მიხედი ხომ მადლობას სიკეთისთვის, ვერაფერს იტყვი, თანაც მოწმეებიც არა გყავს, აბა, მოიყვანე ვინმე. რაზე კამათობთ, თქვა ექიმის ცოლმა, მანქანა იქ დარჩა, თქვენ აქ

ხართ, ჯობია, შერიგდეთ, ერთად მოგვიწევს ცხოვრება. ამის გვერდით არ ვიცხოვრებ, თქვა პირველმა უსინათლომ, რაც გინდათ, ის მიქენით, სხვა პალატაში გადავალ, ამ გარეწრის გვერდით არ დავრჩები, იმდენი სინდისიც არ აღმოაჩნდა, რომ უსინათლო არ გაეძარცვა, ახლა კი წუწუნებს, რომ ჩემ გამო დაბრმავდა, ღირსიცაა, ყოფილა ქვეყნად სამართალი. ჩემოდანს ხელი დაავლო და ფრატუნით წავიდა, რომ არ დაცემულიყო თავისუფალ ხელს აქეთ-იქით აფათურებდა და საწოლების შორის მიიკვლევდა გზას. სად არის კარი, იკითხა, მაგრამ პასუხი, თუკი ვინმე აპირებდა გაცემას, ვერ გაიგონა, რადგან ქურდმა შეძლებისდაგვარად შეასრულა მუქარა, ანგარიში გაესწორებინა იმისთვის, ვისაც ბრალი მიუძღოდა მის უბედურებაში, და გააფთრებით ეცა. დაიწყო ძიძგილაობა, შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, ვინ ზევით იყო, ვინ ქვევით, ერთმანეთს შებმული მოწინააღმდეგენი იატაკზე გორავდნენ, საწოლის ფეხებს ეჯახებოდნენ, შეშინებული ბიჭუნა კი ისევ ატირდა და დედას უხმობდა. ექიმის ცოლმა, იცოდა რომ მარტო ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ ქმარს ჩაავლო ხელი და იქით წაიყვანა, სადაც გამწარებით ურტყამდნენ ერთმანეთს აქოშინებული უსინათლოები. ქმარს მიეხმარა, რომ ერთისთვის ხელი ჩაეგლო, მეორეს თავად ჩაებლაუჭა და ძლივს გააშველეს. რა სულელებივით იქცევით, თქვა ექიმმა, თუ მაინც დამაინც გაუსაძლისი ჯოჯობეთი გინდათ აქ მოაწყოთ, კი ბატონო, ასე განაგრძეთ, სწორი გზა აგირჩევიათ, მაგრამ გახსოვდეთ, აქ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ვართ, დახმარებას ვერავისგან ვეღირსებით, თავადაც ხომ გაიგონეთ. მანქანა მომპარა, ამოილულულა პირველმა უსინათლომ, რომელსაც მეტად მოხვდა, ვიდრე მეორეს. დაივიწყეთ ეს მანქანა, წამოიძახა ექიმის ცოლმა, ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს, მაშინაც ხომ ვეღარ მართავდით. კი, მაგრამ, ის ხომ ჩემი საკუთრებაა, ახლა კი ვინ იცის,

სადაა. ალბათ, იქ, თქვა ექიმმა, სადაც ეს კაცი დაბრმავდა. გონიერი კაცი ჩანხართ, ექიმო, უთხრა ქურდმა, ეტყობა, გიჭრით ჭკუა. პირველმა უსინათლომ სცადა ან ვითომ სცადა, გათავისუფლებულიყო და მეორე რაუნდი წამოეწყო, მაგრამ გასავათებული ბოლოს მიხვდა, რომ მრისხანება, თუნდაც სრულიად სამართლიანი, მანქანას ვერ დაუბრუნებს, მანქანა კი, თავის მხრივ, მხედველობას. ტყუილად გგონია, რომ ამას შეგარჩენ, დაუყვირა მოქიშპემ, ჰო, მე, მე დაგაწერე მანქანა, შენ კი თვალისჩინი დამაწერე, ასე რომ, საკითხავია, ჩვენ შორის რომელია ქურდი. დაწყნარდით, სთხოვა ექიმმა, აქ ყველა უსინათლო ვართ, ვერც ვერავის დავაბრალებთ ამას და ვერც ვერავის შევჩივლებთ, ხოლო თუ სხვა პალატაში გინდათ გადასვლა, ჩემი ცოლი გაგაცილებთ, ჩემზე უკეთ აულო ალლო აქაურობას. არა, გადავიფიქრე, აქ დავრჩები. პატარას მარტო დაძინების ეშინია, ვაითუ, ბუა მოვიდეს, გაიმანჯა ქურდი. საკმარისია, შეუყვირა მოთმინებადაკარგულმა ექიმმა. მოიცა, ექიმო, ვითომ რას მბრძანებლობ, აქ ყველა თანასწორი ვართ. კი არ ვმბრძანებლობ, იმის თქმა მინდა, რომ თავი დაანებეთ. კარგი, კარგი, მაგრამ მოსახვევებში ცოტა ფრთხილად, არ მიყვარს, როცა მერჩიან, ჩემთან სიფრთხილე გმართებთ, ჩემს გადამტერებას არ გირჩევთ. ხელების ქნევით, ჰიქურ და გამომწვევად გაემართა ქურდი თავისი საწოლისკენ, ჩემოდანი ქვეშ შეაგდო და ისე გამოაცხადა, დასაძინებლად ვწვებიო, თითქოს მოითხოვდა, შებრუნდით, უნდა გავიხადოო. შავსათვალნიანმა ქალიშვილმა ბიჭუნას უთხრა, შენც დაწეი, აი, აქ, თუ რამე დაგჭირდა, დამიძახე, აქვე ვიქნები. მეფსია, უთხრა ბიჭუნამ. ამ სიტყვებზე ყველას ტუალეტში მოუნდა და ერთი და იგივე გაიფიქრეს, ეს როგორ უნდა მოვახერხოთო, თუმცა, აზრი სხვადასხვაგვარად ჩამოაყალიბეს, პირველმა უსინათლომ კი საწოლის ქვეშ შეყო ხელი, როგორც ჩანს, ქოთანს ეძებდა, თანაც ნატრობდა, ნეტავ არ იყოსო, რადგან სხვების თანდასწრებით მოშარდვის ერიდებოდა, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავენ, მაგრამ ჩხრიალს ხომ გაიგონებენ,

თუმცა, მამაკაცებს ერთგვარი ხერხის გამოყენება შეუძლიათ, რაც ქალებს არ ძალუძთ და ამ თვალსაზრისით ნაკლებად გაუმართლათ. საწოლზე ჩამომჯდარმა ქურდმა წამოიძახა, ფუ, შენი დედაც, სად უნდა ქნას კაცმა. ნუ იგინებით, შენიშვნა მისცა შავსათვალთანმა ქალიშვილმა, აქ ბავშვია. მართალს ამბობ, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ გაითვალისწინე, თუ ახლავე არ იპოვე ტუალეტი, ეს შენი ბავშვი ჩაიფსამს. ექიმის ცოლმა თქვა, მგონი, მივაგნებ ტუალეტს, დერეფანში რომ გავიარე, სუნი მეცა. მეც წამოგყვებით, უთხრა შავსათვალთანმა ქალიშვილმა და ბიჭუნას ხელი ჩაჰკიდა. ჯობია, ყველა ერთად წავიდეთ, თქვა ექიმმა, გზას მაინც ვისწავლითო. მშვენივრად მესმის შენი, ამ სიტყვების ხმა-მალლა წარმოთქმისგან ქურდმა თავი შეიკავა, თუმცა, სწორედ ეს გაიფიქრა, რა თქმა უნდა, არ გენდომება, რომ ყოველ ჯერზე მოსაშარდად შენმა ცოლმა მატაროს. ამ აზრმა, უფრო სწორად, მეორე ფარულმა აზრმა, მართალია, არცთუ ძლიერად, თუმცა, მაინც ალაგზნო, რაც გაუკვირდა, თითქოს მხედველობასთან ერთად სექსუალური მოთხოვნილებაც უნდა დაეკარგა. კარგი, გაიფიქრა, არც ისე ცუდადაა საქმე, მგონი, არ დავიხოცებით, როგორმე თავს გავიტანთ, ასე გამოეთიშა საუბარს და ოცნებას მიეცა, მაგრამ არ დასცალდა. ექიმი უკვე განკარგულებას იძლეოდა, ჩავმწკრივდეთ და ისე წავიდეთ, ჩემი ცოლი წინ გაგვიძღვება, ყველა წინ მიმავალს მხარზე მოეჭიდოს, რომ არ დავიფანტოთ. პირველმა უსინათლომ თქვა, ამასთან ერთად არ წამოვალლო, აშკარად თავისი ავტომობილის გამტაცებელი იგულისხმა.

ზოგი ერთმანეთს ეძებდა, ზოგი თავს არიდებდა, ამიტომ კარგა ხანს საწოლებს შორის ვიწრო გასასვლელში ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, თანაც ექიმის ცოლი იძულებული იყო, ისე მოქცეულიყო, ვითომ ისიც ვერ ხედავდა. ბოლოს ჩამწკრივდნენ, ექიმის ცოლის უკან შავსათვალთან ქალიშვილი იდგა და ხელი ელაში ბიჭუნასთვის ჰქონდა ჩაკიდებული, მათ უკან — ქურდი ტრუსებსა

და მაისურში, მას ექიმი მიჰყვებოდა, სულ ბოლოს პირველი უსინათლო მიდიოდა, კიდევ რომ არ მომხდარიყო ჩხუბი. ძალიან ნელა დაიძვრნენ, თითქოს წინამძღოლს არ ენდობოდნენ, თავისუფალ ხელს ჰაერში იქნევდნენ, საიმედო საყრდენი რომ მოეძებნათ, კედელი ან კარის ჩარჩო. ქურდი, რომელიც, როგორც ვთქვით, შავსათვალნიან ქალიშვილს მიჰყვებოდა, სუნამოს სურნელმა ისევ აღაგზნო, თუმცა, წინა ერექციის შემდეგ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს, ამიტომ გადაწყვიტა, ხელებისთვის უფრო მეტი თავისუფლება მიეცა, მარცხენა ხელი თმის ქვეშ კისერზე მოუთათუნა, მარჯვენა კი მოურიდებლად მკერდზე წაავლო. ქალიშვილმა მხრები გაიქნია, თავხედის ტორი რომ მოეშორებინა, მაგრამ ქურდს მაგრად ეჭირა. მაშინ ფეხი მოხარა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკან გაიქნია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტლინკი ყარა. ფეხსაცმლის მაღალი ქუსლი, დაშნასავით წვრილი და ბასრი, ქურდს ბარძაყში შეერჭო და მოულოდნელობისა და ტკივილისგან იღრიალა. რა მოხდა, იკითხა ექიმის ცოლმა. წავბორძიკდი, იყო პასუხი, და ეტყობა, ჩემ უკან მდგომს ქუსლი წამოვდე. ქურდს, რომელიც თან იგინებოდა და თან მოთქვამდა, ორივე ხელი ჩაევლო მისივე თავშეუკავებლობის გამო დაშავებული ფეხისთვის, და თითებს შორის უკვე სისხლი წვეთავდა, დამჭერი, შე ახვარო, ვერ ხედავ, ფეხს სად დგამ. შენ ხომ ხედავ, ხელებს სად აფათურებ, ცივად შეეპასუხა შავსათვალნიანი ქალიშვილი. ექიმის ცოლი მიხვდა, რაც მოხდა, ჯერ გაელიმა, მერე კი იფიქრა, არცთუ სახუმაროდაა საქმეო, ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, არც არაფერი მაქვს ჭრილობა რომ დავუმუშაო, არც წყალბადის გეჟანგი, არც იოდი, არც ბამბა და სახვევი, საერთოდ, არაფერი. მწკრივი დაიშალა და ექიმმა ჰკითხა, სად მოგარტყათო. აი, აქ. სად, აქ. ფეხში, რა, ვერ ხედავ, ქუსლით ფეხი გადამიგლიჯა. განზრახ ხომ არ მიქნია, წავბორძიკდი, თქვა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა, თუმცა, მაშინვე სამართლიანად აღშფოთებულმა იფეთქა, რას მიფათურებდი ხელებს, ვინ გგონივარო. ჭრილობა უნდა მოვბანოთ და გადავუხვიოთ, ჩაერია

ექიმის ცოლი. რით მობან. წყლით. წყალი სად გაქვს. სამზარეულოშია, იქ არის წყალი, ყველა ნუ წამოხვალთ, მე და ჩემი ქმარი წავიყვანთ, თქვენ კი აქ დაგველოდეთ, მალე მოვალთ. ფისი მიწა, წაიკნავლა ბიჭუნამ. ცოტაც მოითმინე, ახლავე მოვალთ. ექიმის ცოლმა მშვენივრად იცოდა, რომ მარჯვნივ უნდა გაუხვიონ, მერე მარცხნივ და გრძელი, მიხვეულ-მოხვეული დერეფნის ბოლოში უნდა გავიდნენ, მაგრამ მაშინვე გაჩერდა, შემეშალაო, უკან დაბრუნდა და გამოაცხადა, არა, იქით არა, გამახსენდა, და უკვე პირდაპირ მიზნისკენ წავიდა, რადგან ქურდი ბევრ სისხლს კარგავდა და დრო აღარ იცდიდა. დაელოდა, სანამ ონკანიდან მომდინარე ჟანგიანი, ბინძური წყალი მოდიოდა, მაგრამ წყალი ისევ მღვრიე იყო, მილებში ნადგამი, დამყაყებული, თუმცა, დაჭრილმა მაინც შვებით ამოისუნთქა. რაღაცით უნდა გადავუხვიო, მაგრამ, რით. მაგიდის ქვეშ ბინძური იატაკის ტილოები ეყარა, მაგრამ სახვევად მათი გამოყენება სრული სიგიჟე იქნებოდა. არ არის, არ არის, არაფერი არ არის, ბუტბუტებდა ექიმის ცოლი და ვითომ სამზარეულოში ხელის ცეცებით რაღაცას ეძებდა. ასე ხომ ვერ ვიქნები, ექიმო, სისხლისგან ვიცლები, იღონეთ რამე, საცოდავად იხვეწებოდა ქურდი, დამეხმარეთ, უხეშობისთვის ბოდიშს გიხდით, ქენით სიკეთე და მაპატიეთ. დაგეხმარებით, დაგეხმარებით, ახლავე, ახლავე, პასუხობდა ექიმი, იცით რა, მაისური გაიხადეთ, სხვა გზა არაა. დაჭრილმა ერთი კი წაილულლულა, სულ მთლად ახალიაო, მაგრამ დაემორჩილა. ექიმის ცოლმა სწრაფად დაგრიხა, ბარძაყზე შემოახვია, მაგრად შემოუჭირა და ბოლოები გაკვანძა. უსინათლო ასე მარჯვედ ვერ იმოქმედებდა, მაგრამ ახლა სპექტაკლის გათამაშების დრო არ იყო, ისიც საკმარისია, ვითომ რომ არ იცოდა, საით წასულიყო. ქურდმა მართლაც შენიშნა შეუსაბამობა, ლოგიკის თანახმად, მთელი ეს მანიპულაციები ექიმს უნდა ჩაეტარებინა, თუნდაც თვალის ექიმს,

მაგრამ იმის იმედმა, რომ სათანადოდ უვლიან, განდევნა ის მსუბუქი ეჭვი, უცებ რომ გაუელვა გულში. ექიმსა და მის ცოლთან ერთად ქურდი კოჭლობით დაბრუნდა დანარჩენებთან, აღმოჩნდა, რომ ელამ ბიჭუნას ველარ მოეთმინა. პირველი უსინათლო და შავსათვალიანი ქალიშვილი, ბუნებრივია, ამას ვერ შენიშნავდნენ. ბიჭუნას ფეხებთან გუბე იდგა და შარვლის ტოტებიდან ჯერ კიდევ წვეთავდა შარდი. მაგრამ ექიმის ცოლმა არ შეიმჩნია და გამოაცხადა, აბა, დროზე წავიდეთ, ტუალეტი მოვძებნოთო. უსინათლოებმა ხელებით ერთმანეთის ძებნა დაიწყეს, შავსათვალიანმა ქალიშვილმა კი განაცხადა, იმ თავხედის გვერდით არ დავდგები, ხელებს რომ მიფათურებდოდ, ასე რომ, ქურდმა და პირველმა უსინათლომ ადგილები გაცვალეს, მათ შორის კი ექიმი ჩადგა. ქურდი ძალიან კოჭლობდა, ფეხს მიითრევდა, ჭრილობა სტკიოდა, მოჭერილი სახვევისგან ისე უფეთქავდა, თითქოს გულმა მკერდიდან იქ გადაინაცვლა. შავსათვალიანმა ქალიშვილმა ისევე ჩაჰკიდა ბიჭუნას ხელი, თუმცა, ბიჭუნა, რამდენადაც ხელის სიგრძე ჰყოფნიდა, მოშორებით მიჰყვებოდა, ეშინოდა, ვინმეს მისი მარცხი არ შეენიშნა ექიმივით, რომელმაც ცხვირი გააცმაცუნა და თქვა, მგონი, შარდის სუნიანო, ცოლიც იძულებული გახდა, დაედასტურებინა, ჰო, მართლაცო, იმას ხომ ვერ იტყოდა, სუნი ტუალეტიდან მოდისო, რადგან იქამდე ჯერ შორი იყო, და, რაკი უსინათლოდ ასაღებდა თავს, ვერც იმას იტყოდა, სუნი სველ შარვალს ასდისო.

გზად შეთანხმდნენ, ტუალეტში ჯერ ბიჭუნა შეეშვათ. მაგრამ იქ რომ მივიდნენ, მამაკაცებმა აღარაფრად ჩააგდეს უფროს-უმცროსობა, არც ის, რომ ბიჭუნას უჭირდა, და ერთად შევიდნენ, თუმცა, და რა გასაკვირია ეს, ცალკე-ცალკე უნიტაზები იქ არ იყო. ქალები კართან დაჩნდნენ, ამბობენ, ისინი უფრო მომთმენი არიანო, მაგრამ ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი, და ექიმის ცოლმა მაშინვე თქვა, იქნებ კიდევ არის ტუალეტი, რაზეც შავსათვალიანმა ქალიშ-

ვილმა უპასუხა, ჯერ შემიძლია მოვითმინო, ექიმის ცოლმა კი უთხრა, მეც შემიძლიაო, რის შემდეგაც ასეთი საუბარი გაგრძელდა: ეს როგორ დაგემაართათ. როგორც სხვებს, უცებ დაუკარგე მხედველობა. შინ. არა. ჩემს ქმართან რომ იყავით მიღებაზე. ჰო, დაახლოებით. რას ნიშნავს, დაახლოებით. ანუ მაშინვე არა. ტკივილი იგრძენით. არა, თვალი გავახილეთ და ვეღარაფერი დავინახე. მე კი არა. რა, არა. მე თვალები არ დამიხუჭავს, მაშინ დავბრმავდი, ჩემი ქმარი სასწრაფო დახმარების მანქანაში რომ ჯდებოდა. გაუმართლა. ვის. თქვენს ქმარს, მის გვერდით რომ ხართ. ესე იგი, მეც გამიმართლა. ესე იგი, თქვენც. გათხოვილი ხართ. არა, და ამიერიდან, მგონი, არც არავინ ითხოვს ცოლს და არც არავინ გათხოვდება. იცით, რას გეტყვით, სიბრმავის ეს სახეობა იმდენად უჩვეულოა, იმდენად ეწინააღმდეგება მთელ მეცნიერებას, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება. მთელი ცხოვრება ყველა რომ ასე დავრჩეთ. ვინ, ყველა. ჩვენ, ყველა. ეს საშინელება იქნება, წარმოგიდგენია მსოფლიო, სადაც მხოლოდ უსინათლოები ცხოვრობენ. ამაზე ფიქრიც კი არ მინდა.

ტუალეტის კარიდან პირველი ელამი ბიჭუნა გამოვიდა, რომელსაც იქ შესვლა არც კი სჭირდებოდა. შარვლის ტოტები აეკეცა, წინდები გაეხადა. აქა ვარ, თქვა მან, და ამ ხმაზე შავსათვალისანი ქალიშვილი მისკენ წავიდა, მაგრამ ბიჭუნას გამოშვებულ ხელს ვერც პირველ და ვერც მეორე ჯერზე ვერ მიაგნო, მხოლოდ მესამე ჯერზე ჩაჰკიდა ხელი. მალე ექიმიც გამოჩნდა, მას პირველი უსინათლო გამოჰყვია, და ერთმა მათგანმა იკითხა, სად ხართო, ექიმის ცოლი უკვე ხელზე ხელს უჭერდა ქმარს, ხოლო მის მეორე ხელს შავსათვალისანი ქალიშვილი ჩაჰფრენოდა. პირველი უსინათლო რამდენიმე წამი ვერავის მოეჭიდა, მაგრამ აი, ვილამ მასაც დაადო მხარზე ხელი. ყველა აქა ხართ, იკითხა ექიმის ცოლმა. არა, ჩვენს დაჭრილს სხვა რამეც მოუნდა, უპასუხა

ქმარმა. მაშინ შავსათვალნიანმა ქალიშვილმა იკითხა, იქნებ სადმე კიდევ იყოს ტუალეტი, თორემ მეც ვეღარ ვითმენ, მაპატიეთ. წამოდი, მოვძებნოთ, უთხრა ექიმის ცოლმა და ხელჩაკიდებულნი წავიდნენ. ათ წუთში უკან დაბრუნდნენ, ექიმის კაბინეტს მიაგნეს, სადაც ტუალეტიც იყო. ქურდი უკვე გამოვიდა, თან წუწუნებდა, მცია და ფეხი მტკივალ. იმავე თანამიმდევრობით ჩამწკრივდნენ და უკვე ნაცნობი გზით უფათერაკოდ დაბრუნდნენ პალატაში. ექიმის ცოლი ჯერ ისევ დერეფანში დგას და ისე, ვითომც არაფერი, უხსნით, როგორ მიაგნონ თავიანთ ადგილებს, უფრო მარტივი იქნება, თუ საწოლებს კარიდან ათვლითო. ჩვენი, თქვა მან, მარჯვენა რიგში ბოლოა, მეცხრამეტე და მეოცე. გასასვლელში პირველმა ქურდმა გაიარა. თითქმის შიშველი იყო, ამცივნებდა, უნდოდა, დაშავებული ფეხი მოხერხებულად დაედო და ეს საკმარისი საფუძველი გახდა საიმისოდ, რომ მისთვის გზა დაეთმოთ. წავიდა, თან საწოლებს ითვლიდა და ყოველი საწოლის ქვეშ ხელის ფათურით თავის ჩემოდანს ეძებდა, ხოლო როცა იპოვა, გამოაცხადა, აი, ისიც, და დასძინა, მეთოთხმეტეაო. მარცხნივ თუ მარჯვნივ, ჰკითხა ექიმის ცოლმა. მარცხნივ, უპასუხა მან ოდნავ გაოცებულმა, აქაოდა, რას მეკითხები, თავად რა, არ იციო. შემდეგი პირველი უსინათლო იყო. იცოდა, რომ მისი საწოლი ქურდის საწოლიდან ერთის გამოტოვებითაა, იმავე რიგში, და ახლა უკვე აღარ ეშინოდა მის გვერდით დაწოლა, ისე ხვნეშოდა და კვნესოდა, რომ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, ძლივს მოძრაობდა. მეთექვსმეტე მარცხნივ, თქვა უსინათლომ და გაუხდელად დაწვა. მაშინ შავსათვალნიანმა ქალიშვილმა ძლივს გასაგონად იკითხა, შეიძლება, სადმე თქვენ გვერდით, მეორე რიგში განვთავსდეთო. აი, იქვე, ოდნავ მოშორებით კარგი იქნება. ოთხივე წინ წავიდა და მალე განთავსდნენ კიდევ. რამდენიმე წუთში ელაგმა ბიჭუნამ დაიწუწუნა, მშიაო, შავსათვალნიანმა ქალიშვილმა უპასუხა, სატმელს ხვალ მოგვითანენ, ახლა კი დაიძინეო. მერე ჩანთა გახსნა, აფთიაქში ნაყიდი წამალი ამოიღო, სათვალე მოიხსნა, თავი გადასწია,

თვალეები ფართოდ გააღო, ერთი ხელი მეორეს მიაშველა და წამალი ჩაიწვეთა. ყველა წვეთი თვალში ვერ მოიხვედრა, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ კონიუნქტივიტი, თუ მკურნალობას სერიოზულად მოეკიდები, მალე რჩება.

თვალეები უნდა გავახილო, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. ღამე რამდენჯერმე გაეღვიძა და თვალდახუჭული არჩევდა ნათურების უსიცოცხლოდ მკრთალ შუქს, ძლივს რომ ანათებდა პალატას, ახლა კი მოეჩვენა, რომ განათება შეიცვალა, ეს ან გარიჟრაჟის პირველი გამონათებაა, ცისკრის ბინდია ფანჯრებს მიღმა, ან თვალეებზე თანდათან თეთრი ლიბრი ეკვრება. ათამდე დავითვლი, გაიფიქრა თავისთვის, და თვლაზე ათი გავახელ, ეს ორჯერ გაიფიქრა, ორჯერ დათვალა ათამდე, მაგრამ თვალეები მაინც არ გაახილა. ესმოდა, როგორ ღრმად სუნთქავდა ქმარი გვერდით საწოლზე, ვიღაც როგორ ხვრინავდა, ნეტავ როგორ აქვს ფეხი იმ საცოდავს, გაუელვა თავში, თუმცა, ხვდებოდა, რომ გულწრფელად არ თანაუგრძნობდა, თავს იტყუებდა, სულ სხვა რამ ადარდებდა, სინამდვილეში სულაც არ უნდოდა თვალის გახელა. თავისით გაეხილა, სულ რაღაც წამში, და არა იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტა. შუა კედლიდან ჭერამდე გაჭრილ ფანჯრებში მკრთალი მოცისფრო განთიადი იღვრებოდა. არ დაგებრმავდი, ჩაილულლულა და მაშინვე ელდანაკრავივით წამოდგა, შავსათვალისანმა ქალიშვილმა არ გაიგონოსო. მაგრამ ქალიშვილს ეძინა. ბიჭუნასაც ეძინა კედელთან მიდგმულ საწოლზე. ჩემი არ იყოს, გაიფიქრა ქალიშვილზე ექიმის ცოლმა, მასაც ჰგონია, რომ ბიჭუნას საიმედო კედელივით იცავს, რა კედელი, რის კედელი, რა ქვები, გზაზე ერთი პატარა კენჭი თუ გდია, და ერთადერთი იმედი ის არის, რომ მტერმა მას ფეხი წამოჰკრას, თუმცა, რა მტერი, ჩვენზე თავდასხმას არავინ აპირებს, აი, რომ არ მოეკითხათ და არ წამოვეყვანეთ, მაშინ შეიძლება გავეძარცვეთ, მოვეკალით,

და ადრე ხომ არასდროს ყოფილა ასე დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში ის, ვინც მანქანა გაიტაცა, და რა შორს ვართ იმ სამყაროსგან, რომელშიც მალე ველარც კი გავარკვევთ, ვინ ვართ, იმასაც კი ვერ გავიხსენებთ, რა გვქვია, ანდა რა საჭიროა, რაში გვჭირდება სახელები, ერთი ძალღი მეორეს ჩვენი დარქმეული სახელით ხომ არ ცნობს, არამედ ყნოსვით. ჩვენც აქ რაღაც განსაკუთრებული ჯიშის ძაღლებივით ერთმანეთს ვცნობთ ყფით, ხმით, სხვა დანარჩენი კი, სახის ნაკვთები, თვალის და თმის ფერი, არ ითვლება, თითქოს არც არსებობს, ჯერჯერობით კი ვხედავ, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს. განათება შეიცვალა, ჩამობნელდა, მაგრამ ისევ ხომ არ დამდება, ეტყობა, ცა მოიღრუბლა, ამიტომაც იგვიანებს განთიადი. იმ საწოლიდან, რომელზეც ქურდი იწვა, კვნესა მოესმა. თუ ჭრილობა დაჩირქდა, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, ვერაფრით ვუმკურნალებთ, არაფერი გვაქვს, სულ პატარა, თუნდაც მცირედი უსიამოვნება ასეთ პირობებში ნამდვილ უბედურებად შემოტრიალდება. იქნებ სწორედ ამას ელიან, სწორედ ის უნდათ, რომ აქ ერთმანეთის მიყოლებით ამოვწყდეთ, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, მკვდარი გველის შხამი ველარაფერს დაგაკლებსო. ექიმის ცოლი საწოლიდან წამოდგა, ქმრისკენ დაიხარა, რომ გაეღვიძებინა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან გამოფხიზლებული ისევ იმ ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდა, რომ უსინათლოა. ფეხშიშველი ფრთხილად მიუახლოვდა ქურდის საწოლს. დაჭრილი თვალებგახელილი ერთ წერტილს მიშტერებოდა. თავს როგორ გრძნობთო, ჩურჩულით ჰკითხა. ქურდმა ხმაზე თავი მოაბრუნა და უპასუხა, ცუდად, ძალიან მტკივა. აბა, მაჩვენეთო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი, ეს რა გაუფრთხილებლობაა, სწორედ ამ ქურდს არ ავიწყდება, რომ აქ დანახვა არავის შეუძლია, თუმცა, სულ რამდენიმე საათის წინ იქ, პალატის გარეთ. ისიც დაუფიქრებლად იმოქმედებდა, ექიმს რომ ეთქვა მაჩვენეთო, და საბანი გადასწია. ვისაც დანახვა შეეძლო ამ ბინდშიც და-

ინახავდა სისხლით მოთხვრილ ლეიბს და კიდევბშეშუპებული ჭრილობის შავ ხვრელს. სახვევი შეხსნოდა. ექიმის ცოლმა საბანი ისევ ფრთხილად დააფარა, მერე მსუბუქად შეეხო შუბლზე. კანი მშრალი ჰქონდა და უხურდა. განათება ისევ შეიცვალა, ეს ცაზე ღრუბელი გაიფანტა. ექიმის ცოლი თავის საწოლთან მივიდა, მაგრამ აღარ დაწვა. ქმარს შეხედა, რაღაცას რომ ბუტბუტებდა ძილში, თვალი მოავლო ნაცრისფერი საბნების ქვეშ სხეულების მოხაზულობას, ბინძურ კედლებს, ცარიელ, მომლოდინე საწოლებს და აუღელვებლად უსურვა საკუთარ თავს დაბრმავება, რათა შეეღწია საგნების ხილული გარსის მიღმა, შიგ სიღრმეში, მათ ბრწყინვალე და გარდაუვალ სიბრმავეში.

უეცრად სადღაც გარედან, ეტყობა, ვესტიბიულიდან, შენობის ორ ფრთას რომ ყოფს, საშინელი ხმაური და შეძახილები გაისმა, მოშორდით, მოშორდით აქედან, წაეთრიეთ, აქ ნუ გაჩერდებით, არ შეიძლება, ბრძანებას დაემორჩილეთ. ხმაური მატულობდა, მერე უცებ იკლო, კარი მიჯახუნდა და ახლა მხოლოდ სასოწარკვეთილი ქვითინი და ის დამახასიათებელი ხმა ისმოდა, ვინმე რომ წაბორძიკდება და მთელი ძალით გაიშლართება. პალატაში უკვე ყველამ გაიღვიძა. კარისკენ შებრუნდნენ და სულაც არ არის აუცილებელი თვალხილული იყო, რომ მიხვდე, ეს კარანტინში მოყვანილი უსინათლოები ხმაურობენ. ექიმის ცოლი წამოდგა, დააპირა, თავისი ნებითა და სურვილით, მათთან მისულიყო, რამე დამამშვიდებელი ეთქვა, საწოლებამდე მიეყვანა და აეხსნა, ეს მარცხნივ მეშვიდეა, ეს — მარჯვნივ მეოთხე, არ აგერიოთ, ჰო, აქ ექვსნი ვართ, დიახ, გუშინ, დიახ, პირველები, რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა ჰქვია, ერთი გაძარცულია, მეორე მძარცველი, კიდევ იდუმალი შავსათვალიანი ქალიშვილია, რომელიც თვალის წვეთებით კონიუნქტივიტს მკურნალობს, რა ვიცი, რომ შავი სათვალე უკეთია, რა ვიცი და ჩემი ქმარი თვალის ექი-

მია, მასთან მიღებაზე იყო, დიახ, გამოიცანით, ისიც აქ არის, დაბ-
ღვეული არავინაა, და კიდევ ელაში ბიჭუნაა. მაგრამ ადგილიდან
არ დაძრულა, მხოლოდ ქმარს უთხრა, მოვიდნენო. ექიმი საწო-
ლიდან ადგა, ცოლი შარვლის ჩაცმაში დაეხმარა, თუმცა, შეეძ-
ლო არც ჩაეცვა, მაინც ვერავინ ხედავს, და სწორედ მაშინ დაიწ-
ყეს უსინათლოებმა შემოსვლა, ხუთნი იყვნენ — სამი მამაკაცი და
ორი ქალი. ექიმმა ხმამაღლა თქვა, ნუ ღელავთ, ნუ ჩქარობთ, ადგი-
ლი ყველას ეყოფა, აქ ექვსნი ვართ, თქვენ რამდენი ხართ. არ იცოდ-
ნენ, რამდენი იყვნენ. მარცხენა ფრთიდან რომ გამოყარეს, ერთმა-
ნეთს კი ეხებოდნენ, ეჯახებოდნენ კიდევ, მაგრამ რამდენი იყვნენ,
არ იცოდნენ. არც ბარგი ჰქონდათ. დილით დაბრმავებულებმა პა-
ლატაში რომ გაიღვიძეს და ტირილი და ვიშვიში დაიწყეს, დანარჩე-
ნებმა მაშინვე გამოაძევეს, იქ მყოფ მეგობრებს და ახლობლებსაც
კი ვერ დაემშვიდობნენ. ექიმის ცოლმა ურჩიათ, იქნებ გაითვალთ,
როგორც ჯარშიო. დაზაფრული უსინათლოები დაიბნენ, მაგრამ ვინ-
მეს ხომ უნდა დაეწყო და ორმა მამაკაცმა, როგორც საერთოდ ხდება
ხოლმე, ერთდროულად დაიწყო გათვლა, მაგრამ მაშინვე შეცბნენ,
და ახლა მესამემ წარმოთქვა, პირველიო, და გაჩუმდა, თითქოს, თა-
ვისი სახელის თქმა უნდოდა, მაგრამ ამის ნაცვლად აღნიშნა, პოლი-
ციელი ვარო, ექიმის ცოლმა კი გაიფიქრა, სახელი არ თქვა, ესე იგი,
მიხვდა, რომ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ახლა მეორემ თქვა, მე-
ორეო, და პირველის მსგავსად დასძინა, ტაქსის მძღოლი ვარო. მე-
სამეო, თქვა მესამემ, აფთიაქში ვმუშაობო. მერე ქალის ხმამ წარ-
მოთქვა, მეოთხე, სასტუმროს დიასახლისიო. დაბოლოს, მეხუთე,
ფირმის თანამშრომელი.

ეს ხომ ჩემი ცოლია, ჩემი ცოლი, აყვირდა პირველი უსინათლო,
სად ხარ, მითხარი, სად ხარ, ხმა გამეცი. აქ ვარ, აქ, ატირდა ქალი
და გაუბედავი ნაბიჯებით წავიდა საწოლებს შორის, ორივე ხელით
მოაპობდა რძისფერ მორევს, რომლითაც საუსე ჰქონდა დაჭყეტილი

თვალეები. ქმარი უფრო თავდაჯერებით გაემართა მისკენ, თან ლოცვასავით ჩურჩულებდა: სად ხარ, სად ხარ. ხელები ჩაავლეს ერთმანეთს, გადაეხვივნენ, ჩაეხუტნენ, მართლაც ერთ სხეულად იქცნენ, ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის ეკოცნათ, მაგრამ ზოგჯერ ვერ აგნებდნენ, სად იყო ლოცვა, სად თვალეები, სად ტუჩები. ცოლმა ექიმს ხელი ჩაავლო, ატირდა, თითქოს განშორებამ ისიც დატანჯაო, და ასეთი რამ უთხრა, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავსო. უცებ ელაში ბიჭუნას ხმა გაისმა, რომელმაც იკითხა, დედაჩემიც აქ არისო. შავსათვალიანი ქალიშვილი საწოლზე ჩამოუჯდა და ჩასჩურჩულა, მალე მოვა, ნუ დარდობ, აუცილებლად მოვა.

ნამდვილი სახლი ხომ ის ადგილია, სადაც ადამიანი ღამეს ათევს, ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ახალმოსულებმა საწოლების შერჩევა დაიწყეს, როგორც მოიქცნენ სხვა პალატებში, როცა ჯერ კიდევ ხედავდნენ. პირველი უსინათლოს ცოლზე ყველაფერი გარკვეული იყო, მას კანონიერად და ბუნებრივად ეკუთვნოდა ადგილი ქმრის გვერდით, მეჩვიდმეტე საწოლზე, რომელსაც ცარიელი მეთვრამეტე საწოლი შავსათვალიანი ქალიშვილის საწოლისგან ყოფდა. რა გასაკვირია, რომ ყველა ერთმანეთისკენ ილტვის, ზოგი ისედაც ახლობელი იყო, ზოგმა აქ აღმოაჩინა, რომ ვიღაცას ადრე შეხვედრია, როგორც, ვთქვათ, ფარმაცევტის თანაშემწე, რომელმაც შავსათვალიანი ქალიშვილს თვალის წვეთები მიჰყიდა, ან ტაქსისტი, რომელმაც პირველი უსინათლო ექიმთან მიიყვანა, ანდა ის, პოლიციელი ვარო, რომ თქვა, თავის დროზე კი ქუჩაში დაბრმავებულ ქურდს გადაეყარა, რომელიც გულამოსკვნით ტიროდა, დაკარგული ბავშვით, ხოლო რაც შეეხება სასტუმროს დიასახლისს, პირველი სწორედ ის შევარდა ნომერში, სადაც შავსათვალიანი ქალიშვილი გაჰკიოდა. მაგრამ ყოველგვარი ნაცნობობა და ახლობლობა როდი გაცხადდება, გაჟღერდება ან გამოაშკარავდება, იქნებ

იმიტომ, რომ აქ საამისო სიტუაცია არ არის, ან იქნებ ვიღაც ვერც ივარაუდებს, რომ აქ ნაცნობს შეხვდება, ანდა სულაც ელემენტარული ტაქტის გამო. სასტუმროს დიასახლისს არც კი დაესიზმრებოდა, რომ აქ შეიძლებოდა შეხვედროდა ქალიშვილს, რომელიც სასტუმროს ნომერში საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ნახა, ფარმაცევტის თანაშემწეზე კი ვიცით, რომ თვალის წვეთები სხვა შავსათვალთანებისთვისაც მიუცია, პოლიციელთან არავის წამოსცდება, რომ აქ არის ავტომობილის ქურდი, ტაქსისტი დაიფიცებს, რომ ბოლო დღეებში უსინათლო მგზავრი საერთოდ არ ჩაუსვამს. ცხადია, პირველმა უსინათლომ მოასწრო და ცოლს ჩასჩურჩულა, აქ არის ის არამზადა, მანქანა რომ მოგვპარაო. წარმოგიდგენია, რა დამთხვევაა, მაგრამ რაკი იცოდა, რომ ტკივილისგან საშინლად იტანჯებოდა, სულგრძელად დაამატა, სამაგიერო მიეზლო და ესეც ეყოფაო. ვინაიდან ტანჯვა და სიხარული, წყლისა და ზეთისგან განსხვავებით, თავისუფლად ერევა ერთმანეთს, ცოლს, ერთდროულად შეძრწუნებულს იმის გამო, რომ დაბრმავდა, და გახარებულს, რომ ქმარი იპოვა, არც კი გახსენებია, რომ ორი დღის წინ მზად იყო, ერთი წლის სიცოცხლეს შელეოდა, ოღონდ ეს გარეწარიც, სწორედ ასე უწოდა, დაბრმავებულიყო. და თუკი სადღაც გულის სიღრმეში ბრაზი შემორჩენოდა, მაშინვე გაუქრა, როგორც კი გაიგონა ტანჯულის კვნესა, ექიმო, გთხოვთ, მიშველეთო. ცოლის დახმარებით ექიმმა ხელით ფრთხილად გაუსინჯა ჭრილობის კიდეები, მეტი ან რა შეეძლო, მობანვაც აღარ ღირდა, რადგან აშკარა იყო, ჭრილობაში ინფექცია შეეცანა იმ ფეხსაცმლის წვრილ ქუსლს, რომლითაც ქუჩაში და აქაურ ბინძურ იატაკზე იარეს, ან იმ პათოგენურმა ბაქტერიებმა, მრავლად რომ იყო ძველ, დაჟანგულ, დიდი ხნის გამოუცვლელ მილებში ნადგომ, დამყაყებულ წყალში. კვნესის ხმაზე შავსათვალისანი ქალიშვილი წამოდგა, საწოლების გადათვლით ნელა გაემართა დაჭრილისკენ, დაიხარა, მისკენ ხელი წაიღო, შემთხვევით

ექიმის ცოლის ლოყაზე მოუხვდა, მერე კი, თავადაც არ იცოდა, როგორ, დაჭრილის მხურვალე ხელს შეეხო და წუხილით უთხრა, მაპატიეთ, სულ ჩემი ბრალია, ეს არ უნდა მექნაო. არა უშავს, უპასუხა დაჭრილმა, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მეც ბედმეტი მომივიდაო.

მისი ბოლო სიტყვები კარზე დაკიდებული დინამიკის ხმამ ჩაახშო: ყურადღება, ყურადღება, გიცხადებთ, რომ კართან მოტანილ სურსათს, ასევე ჰიგიენის საგნებსა და სარეცხ საშუალებებს ჯერ მარჯვენა ფრთის პაციენტები მიიღებენ, ინფიცირებულებს საგანგებოდ შევატყობინებთ, ყურადღება, ყურადღება, სურსათი მოტანილია, ჯერ უსინათლოები გამოდიან, ვიმეორებთ, ჯერ უსინათლოები გამოდიან. დაჭრილი, რომელსაც სიცხისგან გონება დაებინდა, ნათქვამის აზრს ვერ ჩასწვდა, ეგონა, გარეთ მეძახიან, იზოლაციის ვადა გავიდაო, წამოიწია, მაგრამ ექიმის ცოლმა შეაკავა, სად მიდიხართო. ხომ გაიგონეთ, გამოაცხადეს, ჯერ უსინათლოები გამოდიანო. საჭმლის ასაღებად გვეძახიან. ჰოო, იმედგაცრუებულმა ამოიოხრა დაჭრილმა და კიდევ ერთხელ დაიმანჭა ტკივილისგან, ბარძაყში რომ გაუარა. ექიმმა თქვა, აქ დარჩით, მე წავალო. მეც წამოგყვებით, უთხრა ცოლმა. პალატის კარისკენ რომ მიდიოდნენ, ერთ-ერთმა ახალმოსულმა იკითხა, ეს ვინააო, და პირველმა უსინათლომ უპასუხა, ექიმია, თვალის ექიმიო. მართალი ყოფილა გამოთქმა, თქვა ტაქსის მძღოლმა, საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, ექიმი გვყავს, მაგრამ რად გინდა, ამან რა უნდა გვიმკურნალოსო. ტაქსის მძღოლი ხომ ისეთი გვყავს, შეეხმინა შავსათვალიანი ქალიშვილი, სადაც ეტყვი, ზუსტად იქ მიგიყვანსო.

სურსათით სავსე ყუთი ვესტიბულში იდგა. ექიმმა ცოლს სთხოვა, კართან მიმიყვანო. რატომ. ვეტყვი, რომ მძიმე ავადმყოფი გვყავს და წამლები გვჭირდება. ხომ გახსოვს, რომ გავვაფრთხილეს. მახსოვს, მაგრამ იქნებ კონკრეტულ შემთხვევას

რომ გაიგებენ. მეეჭვება. მეც, მაგრამ უნდა ვცადოთ. ზღურბლზე გასულ ექიმის ცოლს სინათლემ თვალი მოსჭრა და თავბრუ დაეხვა, თუმცა, მოქუფრული დღე იყო და ცა საწვიმრად ემზადებოდა. რა მალე გადავეჩვიე დღის სინათლესო, გაიფიქრა მან. იმავე წამს ჭიშკართან მდგარმა გუშაგმა დაიყვირა: უკან დაიხიეთ, თორემ გესვრით, და უკვე კარაბინმომარჯვებულმა დაიძახა, სერჟანტო, აქ ორი გამოსვლას ცდილობსო. გამოსვლას არ ვაპირებთო, გასძახა ექიმა. კარგია, რომ არ აპირებთ, უთხრა ჭიშკართან გარედან მომდგარმა სერჟანტმა და მავთულხლართიდან იკითხა, რაო, რა გინდათო. ერთმა ფეხი დაიშავა, ანთება დაეწყო, არ არის გამორიცხული, სეფსისი დაემართოს, სასწრაფოდ ანტიბიოტიკები და რამე პრეპარატები გვჭირდება. ნაბრძანები მაქვს, არავინ არც შევეუშვა და არც გამოვეუშვა, მხოლოდ საჭმლის შემოტანა შეიძლება. თუ სისხლი მოეწამლა, არადა, ნამდვილად მოეწამლება, დაიღუპება, თანაც ძალიან მალე. ეს მე არ მეხება. მაშინ უფროსობას მოახსენეთ. შენ ეი, გამოშტერებულს უსინათლო, კი არ მოვახსენებ, ახლავე ორივეს ადგილზე გაგათავებთ, აბა, დროზე, შედით უკან. წავიდეთ, უთხრა ექიმს ცოლმა, მაინც ვერაფერს გახდები, ამათი ბრალიც არ არის, შეშინებული არიან და ბრძანებას ასრულებენ. დაუჯერებელი რამ ხდება, ყოველგვარ ადამიანურ კანონს არღვევენ. ჯობია დაიჯერო, რადგან რეალობა სწორედ ასეთია. კიდევ აქა ხართ, შეუღრინა სერჟანტმა, სამამდე დავითვლი და აქ აღარ დაგინახოთ, თორემ, ღმერთია მოწმე, სამუდამოდ აქ დარჩებით, აბა, ეერთი, ოორი, საამი, ესეც ასე, ყველაზე ქმედითი საშუალებაა, და ჯარისკაცებს მიმართა, ჩემი ღვიძლი ძმაც რომ იყოსო, თუმცა, აღარ დაუბრუსტებია, ვინ იგულისხმა: ის, ვინც მედიკამენტების სათხოვნელად გამოვიდა, თუ ის, მეორე, ვისაც ჭრილობა უჩირქდებოდა. სწორედ იმ მეორემ პალატაში შებრუნებულებს ჰკითხა, მოგვცემენ თუ არა წამლებსო. რა იცით, რომ წამლების სათხოვნელად ვიყავი. მივხვდი, თქვენ ხომ

ექიმი ხართ. სამწუხაროდ. ესე იგი, არ მოგვცემენ. არა. არ მოგვცემენ და ნუ მოგვცემენ.

საჭმელი, ანუ რძე და ორცხობილა, მხოლოდ ხუთ კაცზე იყო გათვლილი, და იმას, ვინც გათვალა, არცჭიქები გახსენებია და არც თეფშები, ისევე როგორც კოვზები, როგორც ჩანს, ამას ყველაფერს სადილისთვის მოიტანენ. ექიმის ცოლმა დაჭრილს რძე დაალევინა, მაგრამ აღებინა. ტაქსის მძღოლმა განაცხადა, რძე არ მიყვარსო, და იკითხა, ყავა ხომ არ არისო. საუბრის შემდეგ ზოგი ისევ დაწვა, პირველმა უსინათლომ ცოლი წაიყვანა, რომ აეხსნა, სად რა იყო, და მხოლოდ ეს ორი გავიდა პალატიდან. ფარმაცევტის თანაშემწემ ნებართვა ითხოვა, ექიმთან ჩამოჯდა და ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა ამ უცნაური სენის შესახებ. არა მგონია, ეს ავადმყოფობა იყოს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და აზუსტა ექიმმა და მეტად გამართივებულად და მოკლედ უამბო ყველაფერი, რისი წაკითხვაც მოასწრო დაბრმავებამდე. მოსაუბრეებისგან რამდენიმე საწოლის მოშორებით მჯდარი ტაქსის მძღოლი ინტერესით უსმენდა და, როცა მოხსენება დასრულდა, თქვა, მე კი მგონია, რომ თვალების ტვინთან დამაკავშირებელი არხები ჩაიკეტა. შტერი, გაბრაზებით ჩაიბურტყუნა ფარმაცევტის თანაშემწემ. გამორიცხული არ არის, უნებლიეთ გაეღიმა ექიმს, იქნებ ასეცაა, თვალები ხომ ლინზებია, ობიექტივები და სხვა არაფერი, სინამდვილეში ტვინი ხედავს, გამოსახულება ისევე ჩნდება, როგორც კინოფირზე, და თუ კავშირი გაწყდა, ასეც მოხდება. ჰო, ეს ხომ კარბიურატორივითაა, ბენზინს არ მიაწვდი და მოტორი არ ჩაირთვება, მანქანაც არ დაიძვრება. ხედავთ, რა მარტივადაა, უთხრა ექიმმა ფარმაცევტის თანაშემწეს. როგორ გგონიათ, ექიმო, რამდენ ხანს მოგვიწევს აქ ყოფნა, იკითხა სასტუმროს დიასახლისმა. სანამ მხედველობა არ დაგვიბრუნდება. ეს როდის მოხდება. მართალი გითხრათ, არა მგონია, თქვენ

კითხვაზე ვინმეს პასუხი ჰქონდეს. მაინც, დროებითია ეს თუ სამუდამო. რას არ მივცემდი, ეს რომ ვიცოდე. ქალმა ამოიხვნეშა და წუთიერი დუმილის შემდეგ თქვა, კიდევ ის მაინტერესებს, იმ ქალიშვილს რა დაემართა. რომელ ქალიშვილსო, ჰკითხა ფარმაცევტის თანაშემწემ. იქ, სასტუმროში, შიშისგან კინალამ გული გამისკდა, შევედი, ის კი შუა ნომერში დედიშობილა დგას, მხოლოდ შავი სათვალე უკეთია და განწირული გაჰკვივის, დავბრმავდიო, მგონი, სწორედ მისგან გადამედო. ექიმის ცოლმა ქალიშვილს გახედა და დაინახა, უნებლიეთ როგორ მოიხსნა შავი სათვალე და ბალიშის ქვეშ დამალა, თან ელამ ბიჭუნას ჰკითხა, ორცხობილა კიდევ ხომ არ გინდაო. და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ არიან, პირველად გაუჩნდა ისეთი გრძნობა, თითქოს მიკროსკოპით აკვირდება რაღაც არსებების მოძრაობას, რომლებსაც ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვთ, და ეს უხერხულ, უღირს საქციელად მიიჩნია. რა უფლება მაქვს ვუყურო იმათ, ვინც მე ვერ მხედავს, გაიფიქრა მან. ქალიშვილმა მთრთოლარე ხელით ჩაიწვეთა თავისი წამალი და ყოველთვის შეუძლია თქვას, რომ თვალეები ცრემლისგან კი არა, წამლისგან უსველდება.

როცა რამდენიმე საათში დინამიკით გამოაცხადეს, სადილი მოტანილია და შეგიძლიათ წაიღოთო, პირველმა უსინათლომ და ტაქსის მძღოლმა თავი გამოიდეს, ჩვენ მოვიტანთო, რასაც, უნდა ითქვას, მხედველობა დიდად არც სჭირდება, შეხებაც საკმარისია. ყუთები დერეფნის კარიდან საკმაოდ შორს ეწყო ვესტიბიულში და რომ მიეგნოთ, ოთხით მიფორთხავდნენ, ამასთან, წინ გაშვერილ მარცხენა ხელს იატაკზე აფათურებდნენ, მარჯვენა ხელს კი მესამე თათის ფუნქცია დააკისრეს, ხოლო პალატაში რამე განსაკუთრებული სირთულეების გარეშე დაბრუნება მხოლოდ იმიტომ მოახერხეს, რომ ექიმის ცოლმა კარგა ხნის წინ მოიფიქრა და სიგრძებზე დახეული ზეწარი თოკივით დაგრიხა, რომლის ერთი ბოლო პალატის კარის სახელურს გამოაბა, მეორეს კი კოჭზე იბამს ის, ვინც საჭმლის

მოსატანად მიდის. წასულები თეფშებითა და კოვზებით დაბრუნდნენ, თუმცა, საჭმელი ისევ ხუთი კაცისთვის იყო, რაც, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ საგუშაგოს უფროსმა მარცხენა ფრთაში კიდევ ექვსი უსინათლოს შემატების შესახებ არ იცოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ალაყაფის გარეთ მდგარი, როგორც უნდა დაჰკვირვებოდა, შორიდან ვერ შეამჩნევდა ჩაბნელებულ ვესტიბიულში რამე გადაადგილებას. ტაქსის მძღოლმა წინადადება წამოაყენა, გავიდეთ და ავუხსნათ, რომ საჭმელი არ გვყოფნისო, მარტო წავიდა, არავინ გაიყოლა. ჰეი, აქ ხუთი კი არა, უკვე თერთმეტი ვართ, გასძახა ჯარისკაცებს, იმავე სერჟანტმა კი ალაყაფის გარედან დაუყვირა, გიხაროდეს, რომ თავისუფლად მოძრაობა შეგიძლია, მალე ჰქვდა იქნებაო, თანაც ისე, რომ ტაქსის მძღოლს მისი ნათქვამი შეურაცხმყოფლად მოეჩვენა და პალატაში მობრუნებულმა თქვა, მგონი, მასხრად ამიგდოო. საჭმელი თანაბარ ულუფებად გაყვეს, ასე რომ, ათი ულუფა გამოვიდა, რადგან დაჭრილმა ისევ უარი თქვა და მხოლოდ ერთს ითხოვდა, მწყურია, ღვთის გულისთვის, პირი მიშრებაო. სიცხისგან სახის კანი ლამის დასკდომოდა. დროდადრო, თითქოს საბნის შეხებას და სიმძიმეს ვეღარ უძლებდა, ფეხს გამოყოფდა ხოლმე, მაგრამ მაშინვე შეყოფდა, რადგან პალატაში ციოდა, და ეს საათობით გრძელდებოდა. დროის თანაბარ მონაკვეთებში კვნესოდა და ისე ამოიოხრებდა, თითქოს გაუსაძლისი, გამუდმებით მფეთქავი ტკივილი იმდენად ძლიერდებოდა, რომ ვეღარ ასწრებდა მომზადებას, ხელის ჩავლებას და გასაძლის ფარგლებში მის მოქცევას.

რომ მოსალამოვდა, მარცხენა ფრთიდან გამოგდებული კიდევ სამი უსინათლო მოვიდა. ექიმის ცოლმა მაშინვე იცნო რეგისტრატორი, რომელიც ოფთალმოლოგთან წერდა მოსულ პაციენტებს, მასთან ერთად იყვნენ მამაკაცი, რომელთანაც შავსათვალთან ქალიშვილს სასტუმროში პაემანი ჰქონდა, და ის

უხეში პოლიციელი, რომელმაც შინ მიიყვანა. ის იყო, საწოლებთან მიაღწიეს და ჩამოსხდნენ, ამასობაში რეგისტრატორი ცრემლებად იღვრებოდა, დანარჩენები კი გაოგნებულნი დუმდნენ და თითქოს სავსებით იაზრებდნენ იმას, რაც დაემართათ, რომ გარედან შემად-რწუნებელი მრავალხმიანი ყვირილი შემოესმათ, რომელშიც ბრძა-ნების ხმა იკვეთებოდა. უსინათლოებმა თავი კარისკენ მიაბრუნეს. ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო. ექიმის ცოლმა, რომელიც ქმრის საწოლზე იჯდა, გადაუჩურჩულა, აი, იწყება შენი შეპირებული ნამდვილი ჯოჯოხეთიო. პასუხად ქმარ-მა ხელი მოუჭირა, არ გახვიდე, ამიერიდან ველარაფერს გახდებიო. ყვირილი შეწყდა და ვესტიბიულში ბრაგაბრუგი ატყდა, კარში ჭყლე-ტა-მუჯლუგუნებით ჯგროდ შემოდრიოდნენ უსინათლოები, ვიღაცას გული შეუწუხდა და დერეფანში დავარდა, ძირითადი მასა კი, ჯგუფ-ჯგუფად თუ სათითაოდ, განწირულად, წყალწაღებულივით ხელების ქნევით ისე შემოვარდა პალატაში, თითქოს რაღაც საოცარმა გარე-შე ძალამ შემოტყორცნაო. დავარდნილებს ფეხით ჯეგავდნენ. ჯერ ვიწრო გასასვლელში შეჯგუფდნენ, მერე საწოლებს შორის გაიკ-რიფნენ როგორც ხომალდები, შტორმს პორტში რომ შეასწრეს და ნავმისადგომს მიეკედლნენ, რომლის როლსაც ამ შემთხვევაში სა-წოლი ასრულებდა, თან ერთმანეთს უყვიროდნენ, ეს ადგილი დაკა-ვებულია, სხვა მოძებნეო. ამოდ ცდილობდა ექიმი აეხსნა, რომ კი-დევე იყო პალატები, იმათ, ვისაც საწოლები არ ეყოთ, ემინოდათ, რომ დაიკარგებოდნენ ავადმყოფ ტვინში წარმოსახულ ლაბირინ-თში, სადაც მრავლად იყო ოთახი, დერეფანი, დახურული კარი, ცი-ცაბო კიბე, მოულოდნელად რომ იწყება და ასევე მოულოდნელად თავდება. ბოლოს მიხვდნენ, სულ ასე რომ ვერ იყურყუტებდნენ, დი-დი გაჭირვებით დაბრუნდნენ კართან და ბოლოს მაინც უცნობი იდუ-მალეებისკენ გაეშურნენ. იმ ხუთეულმა, მეორე ჯერზე რომ მოიყვა-ნეს, თითქოს იპოვა უკანასკნელი, ჯერ კიდევ საიმედო თავშესაფარი

და პირველი ექვსეულის სიახლოვეს გადაინაცვლა. მხოლოდ დაჭრილი, მიტოვებული და უსუსური, იწვა მარცხენა რიგში მეთოთხმეტე საწოლზე.

თხუთმეტ წუთში, ხვნეშის, მოთქმის, ფართიფურთისა და ბოდილის შემდეგ, სიწყნარე ჩამოვარდა, თუმცა, ეს სულაც არ ჰგავდა სიმშვიდეს. უკვე ყველა საწოლი დაკავებული იყო. დღე მიიღია, ნათურების უსიცოცხლოდ მკრთალმა შუქმა თითქოს მოიმატა. უცებ დინამიკის მკაცრი ხმა გაისმა: პირველ დღეს გადმოცემული გაფრთხილების თანახმად ვიმეორებთ კარანტინის განრიგსა და ქცევის წესებს, რომლებიც აქ განთავსებულმა პირებმა განუხრელად უნდა დაიცვათ. ქვეყნის მთავრობა დიდ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავისი მოვალეობის შესასრულებლად და უფლებამოსილების შესაბამისად, იძულებულია, მიმართოს მთელ რიგ გადაუდებელ და მკაცრ ზომებს, რათა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დაიცვას ქვეყნის მოსახლეობა იმ კრიზისის პირობებში, რომელიც გამოიწვია... და ასე შემდეგ... ხმა რომ მიწყდა, საპროტესტო გუნდმა იქუხა, გამოგვამწყვდიეს, აქ ამოვიხოცებით, უფლება არა აქვთ, ექიმები სად არიან, ხომ შეგვპირდნენ, ეს უკვე რაღაც ახალი იყო, ხომ გვითხრეს, ექიმები მოგხედავენო, სამედიცინო დახმარებას აღმოგიჩინთო, მკურნალობის სრულ კურსს ჩაგიტარებთო. ექიმს არ უთქვამს, თუ ვინმეს ექიმი სჭირდება, აქ ვარო, და ამას აღარასდროს იტყვის. რადგან ექიმი ხელის შეხებით ვერ მკურნალობს, მას წამლები სჭირდება, პრეპარატები, ხსნარები და აბები, ერთის მეორესთან შეხამება, აქ კი მსგავსი არაფერი იყო, ისევე როგორც არც რამის შოვნის იმედი. რა წამალი, როცა თვლებიც კი არა გაქვს, რომ შენიშნო სილურჯე, ან სიმკრთალე, ან კანის შეწითლება, რასაც პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევა იწვევს, და რამდენჯერ ყოფილა, რომ ეს გარეგანი

ნიშნები გამორიცხავს უფრო დეტალური გამოკვლევის აუცილებლობას, კლინიკურ სურათზე ცხად და სრულ წარმოდგენას იძლევა, ანდა, მაგალითად, ლორწოვანი გარსის მდგომარეობა პიგმენტაციის თავისებურებებთან ერთად საშუალებას გაძლევს დიდი ალბათობით დასვა სწორი დიაგნოზი. ახლა, როცა ყველა მეზობელი საწოლი დაკავებულია, ცოლი ვეღარ უყვება, რა ხდება, თუმცა, ექიმი გუმანით ხვდება, რომ პალატაში სიტუაცია დაიძაბა, ეს ლამის ფიზიკურადაც იგრძნობა მას შემდეგ, რაც უსინათლოთა ბოლო პარტია მოიყვანეს, და ამას შეიძლება მალე აფეთქებაც მოჰყვეს. ჰაერიც კი დამძიმდა, გამკვრივდა, გაიჟღინთა და გაჯერდა ტალღებად მოძრავი ნაირგვარი მყრალი სუნით და ზედაპირზე ამომავალი რაღაც სრულიად გულისამრევი სიმყრალის ნაკადით. რა იქნება აქ ერთ კვირაში, ჰკითხა საკუთარ თავს და იმის წარმოდგენამაც კი შეაძრწუნა, რომ ერთი კვირის შემდეგაც აქ იქნებიან ჩაპრესილები და გამოკვტილებები. ავად თუ კარგად, საჭმლითაც რომ მოგვამარაგონ, განაგრძობდა ფიქრს, რაშიც, სხვათა შორის, სულაც არა ვარ დარწმუნებული, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ გარეთ ზუსტად ეცოდინებათ, რამდენი ვართ აქ, და ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვახერხოთ, ვთქვათ, ელემენტარული ჰიგიენური პროცედურების ჩატარება, ანდა, როგორ უნდა დაიბანონ სხვის დაუხმარებლად იმათ, ვინც სულ ახლახან დაკარგა მხედველობა, და კიდევ, ვაცმა არ იცის, არის თუ არა აქ საშხაპეები, მუშაობს თუ არა ისინი, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საკმარისია კანალიზაცია გაიჭედოს, რომ განავალში ამოვიხრჩობით. სახეზე ხელები მოისვა და იგრძნო, რომ სამი დღის გაუპარსავი იყო. ისევ ასე ჯობია, იმედია, აზრად არ მოუვათ, რომ სამართებლები და მკვრატლები დაგვირიგონ. ექიმს ჩემოდანში ყველაფერი ჰქონდა, რაც გასაპარსად სჭირდებოდა, მაგრამ ამის გაკეთება ახლა უმართებულოდ მიიჩნია. თანაც, სად გავიპარსო, აქ, ყველას თანდასწრებით ხომ არა. ისე, შეიძლება, ცოლმა გამპარსოს,

სანამ მიხვდებიან, რაც ხდება, და ძალიან გაოცდებიან, რომ ვი-
ლაცას ასეთი მომსახურების გაწევა შეუძლია. ახლა კიდევ საშხა-
პეში რა ზედახორა ატყდება. ო, ღმერთო, როგორ გვჭირდება
თვალეები, თუნდაც ბუნდოვანი ჩრდილების დანახვა, რომ იდგე
სარკის წინ, უყურო უფორმო ბნელ ლაქას და შეგეძლოს თქვა,
აი, ჩემი სახე, მაგრამ ყველაფერი, რასაც სინათლე ახლავს, ჩემ-
თვის მიუწვდომელია.

აი, ნელ-ნელა მიჩუმდა საპროტესტო ხმები, მეზობელი პალა-
ტიდან ვილაც კართან მოვიდა და იკითხა, რამე საჭმელი ხომ არ
დაგრჩათო, რაზეც ტაქსის მძღოლმა ასე უპასუხა: ნამცეციც კი
არა, ფარმაცევტის თანაშემწემ კი, რომელსაც შემდგომში აფ-
თიიქარად მოვიხსენიებთ, ასე უფრო მოკლეა, გადაწყვიტა, თა-
ნაგრძნობით შეერბილებინა ლაკონიური უარყოფითი პასუხი და
უთხრა, შეიძლება კიდევ მოიტანონო. არ მოიტანეს. დაღამდა.
გარედან აღარც საჭმელი შემოსულა, აღარც ხმაური. კედელს
მიღმა ჯერ ყვირილი ისმოდა, მერე ყველაფერი მიწყნარდა, ვინმე
თუ ტიროდა იქ, ტიროდა ჩუმად, ხმადაბლა. ექიმის ცოლი დაჭრი-
ლის მოსანახულებლად წავიდა. მე ვარო, უთხრა და ფრთხილად
გადახადა საბანი. ფეხი მუხლიდან საზარდულამდე შესივებოდა,
საშინელი სანახავი იყო, თავად ჭრილობა კი შავ ღრმულად ქცე-
ულა, გარშემო გალურჯებული შემხმარი სისხლის კიდევებით, ზო-
მაშიც გაზრდილიყო, თითქოს კანი შიგნიდან იგლიჯებოდა. ჭრი-
ლობას მოტკბო მყრალი სუნი ასდიოდა. როგორ ხართო, ჰკითხა
ექიმის ცოლმა. გმადლობთ, რომ მომაკითხეთ. თავს როგორ
გრძნობთ. ცუდად. გტკივათ. თან მტკივა, თან არა. ანუ. არც კი ვი-
ცი, როგორ გითხრათ, მტკივა, მაგრამ ფეხი თითქოს ჩემი აღარ
არის, თითქოს მომძვრა, აკი გითხარით, მიჭირს ახსნა, უცნაური
შეგრძნებაა, თითქოს ვწევარ აქ და ვხედავ, როგორ მტკივა. ეს
იმიტომ, რომ სიცხე გაქვთ. შეიძლება. ეცადეთ, დაიძინოთ. შუბ-

ლზე ხელი დაადო და იმის თქმაც კი ვერ მოასწრო, ღამე მშვიდობი-
საო, რომ დაჭრილმა მკლავში ხელი წაავლო, თავისკენ მიიზიდა
ისე, რომ მათი სახეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა. ვიცი,
რომ ხედავთ, ჩუმად უთხრა დაჭრილმა. მოულოდნელობისგან შემ-
ცხარმა პასუხად ამოილულულა, ცდებით, საიდან მოიტანეთ, ეს
რამ გაფიქრებინათ, მეც ისევე ვხედავ, როგორც ყველა, ვინც აქ
არის. ვერ მომატყუებთ, ვიცი, რომ ხედავთ, მაგრამ ნუ გეშინიათ,
არავის ვეტყვი. დაიძინეთ, დაიძინეთ. არ მენდობით. გენდობით. რა-
კი არამზადა ვარ ხომ. აკი გითხარით, გენდობით-მეთქი. მაშ, სიმარ-
თლეს რატომ არ მეუბნებით. ხვალ ვილაპარაკოთ, ახლა კი დაიძი-
ნეთ. ჰო, ხვალამდე თუ მივაღწიე. ცუდზე არ უნდა ვიფიქროთ. მე უნ-
და ვიფიქრო, თორემ ჩემ მაგივრად ცხელება იფიქრებს. ექიმის ცო-
ლი თავის ადგილას დაბრუნდა და ქმარს ჩასჩურჩულა, ჭრილობაზე
არ შეეხედება, ეტყობა, განგრენა დაეწყო. ასე მალე, არა მგონია.
ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცუდაა. ჩვენ რა, კარგად ვართ, გან-
ზრახ ხმამაღლა ჰკითხა ექიმმა, გარდა იმისა, რომ ბრმები ვართ,
ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული. მეთოთხმეტე საწოლიდან პასუხად გა-
ისმა, მე, ექიმო, ხელ-ფეხს ვერავინ შემიკრავსო.

დრო გადიოდა, უსინათლოებმა ერთმანეთის მიყოლებით და-
იძინეს. ვილაცამ საბანი თავზე წაიფარა, თითქოს სურდა, უკუნეთით,
ნამდვილი, შავი უკუნეთით შეეცვალა ეს მღვრიე სითეთრე, თვალ-
წინ რომ ედგა. მალლა შეკიდული სამი ნათურა ჭერიდან ჭუჭყიან
ყვითელ შუქს აფრქვევდა, რომელიც ჩრდილსაც კი არ იძლეოდა.
ორმოც კაცს ეძინა ან ცდილობდა, დაეძინა, ხვნეშოდნენ, ძილში
ბურტყუნებდნენ და იქნებ სიზმრად ხედავდნენ იმას, რისი ნახვაც უნ-
დოდათ, და იქნებ ამბობდნენ, თუ ეს სიზმარია, ნეტავ არ გამეღვიძო-
სო. საათი ყველას გაუჩერდა: ზოგს მომართვა დაავიწყდა, ზოგმა გა-
იფიქრა, რაღაში მჭირდებაო, და მხოლოდ ექიმის ცოლის მაჯაზე ვერ
კიდევ მოძრაობდა ისრები ციფერბლატზე. ოთხი დაიწყო. ქურდი ძა-
ლიან ნელა წამოიძარა, წამოჯდა, იდაყვებს დაეყრდნო. ფეხს ვერ

გრძნობდა, იქ მხოლოდ ტკივილი იყო, სხვა აღარაფერი. მუხლს თითქმის ვეღარ ხრიდა. ჯანმრთელი ფეხი გადმოსწია, ტანის სიმძიმე ამ ფეხზე გადაიტანა, მერე ორივე ხელი მტკივანი ფეხის ბარძაყზე წაივლო და მისი გადმოწევაც სცადა. იმავე წამს ტკივილი მგლის ხროვასავით ყველა მხრიდან ეცა, რომ მერე ისევ თავის ბუნაგში შეძურწულიყო და მოეთავებინა ის, რაც შესაჭმელი დარჩენოდა. ხელებს დაეყრდნო, ტანი წამოსწია, ნელ-ნელა ჩაიჩოჩა საწოლის სასთუმლიდან მეორე კიდისკენ. საწოლის ზურგს რომ მიაღწია, შეისვენა. სუნთქვა უჭირდა, როგორც ასთმის შეტევისას, თავი მკერდზე უვარდებოდა, რამდენიმე წუთში, როცა სუნთქვა აღიდგინა, ნელ-ნელა ცალ ფეხზე წამოდგომა სცადა. იცოდა, რომ მეორე სრულიად გამოუსადეგარი იყო, სადაც უნდა წავიდეს, ბალასტივით თან უნდა ათრიოს. თვალწინ ყველაფერი იძირებოდა და ისე ცახცახებდა, ამას მედიცინაში შემცივნებას უწოდებენ, რომ კბილს კბილზე აცემინებდა. საწოლების რკინის საზურგეებს ჩაჭიდებული ერთიდან მეორისკენ გადადიოდა და ნელა მიიწევდა წინ მძინარე უსინათლოთა შორის. მძიმე ტვირთით მიათრევდა მტკივან ფეხს. არავის გაღვიძებია, არავის უკითხავს მისთვის, ამ დროს სად მიდიხარო, და რომც ეკითხათ, უპასუხებდა, ტუალეტშიო, ოღონდ ექიმის ცოლი არ შეეხმიანოს, მისი მოტყუება არ უნდოდა, თორემ მოუწევდა იმის თქმა, რაც განიზრახა, აქ ამოღობას არ ვაპირებ, თქვენმა ქმარმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი გამიკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ იცით, როცა საქმეზე, მანქანის მოსაპარად მივდიოდი, არავისთვის მითხოვია, ჩემს მაგივრად მოიპარე-მეთქი, ჰოდა, აქაც ჩემი გასაკეთებელი მე უნდა გავაკეთო, რომ დაინახავენ, რა დღეში ვარ, მიხვდებიან, რომ ცუდადაა ჩემი საქმე, სასწრაფოს გამოიძახებენ და საავადმყოფოში წამიყვანენ, შეუძლებელია, არ ჰქონდეთ საავადმყოფო უსინათლოებისთვის, ერთი პაციენტით მეტი, ერთით ნაკლები, რა მნიშვნელობა აქვს, იქ მიხედავენ ჩემს ფეხს,

მიმკურნალებენ, გამიგია, რომ სიკვდილმისჯილებსაც კი უწევენ სამედიცინო დახმარებას, ოპერაციას უკეთებენ, თუ აპენდიციტია ან კიდევ სხვა რამ, და მერე სჯიან სიკვდილით, რომ იმ ქვეყნად, ასე ვთქვათ, ჯანმრთელი გაისტუმრონ. ჰოდა, მეც ასე მომექცევიან, მერე კი, თუ საჭიროა, ისევ აქ დამაბრუნონ, ჩემთვის სულერთია. ცოტა კიდევ წაიჩოჩა წინ, სიმწრისგან კბილები გააღრჭიალა, მთავარია, არ იკვნესოს, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი და შეჰყვირა, როცა უკვე კართან მისულმა წონასწორობა დაკარგა და მტკივან ფეხს დაეყრდნო. ეს იმიტომ დაემართა, რომ სათვალავი აერია, ეგონა, კიდევ ორი საწოლი იყო დარჩენილი და სიცარიელეში გადაეშვა. იატაკზე გაიშხლართა და გაყუჩდა, გაირინდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ არავის გაღვიძებია. უცებ მიხვდა, რომ უსინათლოსთვის ჰორიზონტალური მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია, ფორთხვით უკეთ გაიგნებს გზას. ასე გააღწია ვესტიბიულში და შეჩერდა, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, ზღურბლიდან შეხმიანებოდა თუ გალაუნამდე მიეღწია თოკს ჩაჭიდებულს, რომელიც, ალბათ, ჯერ არ ჩამოუხსნიათ. ცხადად იაზრებდა, რომ თუ დახმარებას შორიდან ითხოვდა, შეიძლება მაშინვე უკან შეებრუნებინათ, მაგრამ აფიქრებდა ის, რომ მთელი ამდენი წვალების შემდეგ, რკინის საწოლებზე საიმედოდ დაყრდნობილმა რომ გამოიარა, ახლა გაბმული სუსტი თოკის იმედადღა რჩებოდა. რამდენიმე წუთში გაიფიქრა, თოკის ქვეშ ვიფორთხებ, დროდადრო ხელით მოვსინჯავ, რომ არ ავცდე, თითქმის იგივეა, რაც მანქანის მოპარვა, ყველა შემთხვევას თავისი ხერხი უნდა მიუსადაგო. უცებ სრულიად მოულოდნელად მასში სინდისმა გაიღვიძა და მკაცრად უსაყვედურა, როგორ წაგცდა ხელი საბრალო უსინათლოს მანქანის მოსაპარადო. ასეთ დღეში იმიტომ კი არ ჩავვარდი, სცადა, შეპასუხება, რომ მანქანა მოვპარე, არამედ იმიტომ, რომ შინ მივაცილე, აი, აქ კი მართლა შევცდიო. მაგრამ იაფფასიანი სოფისტიკა სინდისთან არ ჭრის და საყვედური ცხადი და გასაგებია, უსინათლო ხელშეუხებელია, უსინათლოთა ძარცვა დაუშვებელია.

ისე, მართალი გითხრა, არც გამიძარცვავს, მანქანა ჯიბეში ხომ არ ედო, სადღაც ბნელ მოსახვევეში შუბლზე იარაღი ხომ არ დავადე, თავს იმართლებდა ბრალდებული. მორჩი დემაგოგიას, შეუღრინა სინდისმა, წაფორთხდი, საითაც მიფორთხავ.

სახეზე ღამის ცივი ჰაერი ესიამოვნა. რა ადვილია აქ სუნთქვა, გაიფიქრა ქურდმა. ისიც კი მოეჩვენა, რომ ფეხი ნაკლებად სტკიოდა და ეს სულაც არ გაჰკვირვებია, ადრეც ყოფილა ასე, და არაერთხელ. უკვე ზღურბლზე გავიდა, საფეხურებიც აქვე უნდა ყოფილიყო. ყველაზე ძნელია, თავით რომ მიდიხარ წინ. ხელი ასწია, თოკი მოსინჯა და დაეშვა. როგორც ივარაუდა, საფეხურიდან საფეხურზე ჩაფორთხება ადვილი არ იყო, მით უმეტეს, თუ ფეხი კი არ გეხმარება, ხელს გიშლის, რაც იმავე წამს დადასტურდა, უკვე შუა კიბეზე, როცა ხელი ქვის საფეხურს ასცდა და მთელი ტანით, წყეული ფეხის ბალასტის სიმძიმით, გვერდზე გადაყირავდა. ტკივილი მაშინვე უროსავით დაეცა, ბურღივით გაბურღა, ცელივით მოცელა, თავადაც გაუკვირდა, როგორ შეიკავა ყვირილი. რამდენიმე წუთი პირქვე იწვა, სახით მიწაზე. ნიაგმა დაუბერა და ისევ შეამცივნა. მხოლოდ საცვლების ამარა იყო. ჭრილობას მიწაზე მიითრევდა, და იმის ფიქრი, ტეტანუსი არ შემეყაროსო, თავში რომ გაუელვა, სულელურად მოეჩვენა, რადგან პალატის კარიდან სულ ასე მოფორთხავდა. ჯანდაბას, მომარჩენენ, გაიფიქრა თავის დასამშვიდებლად და გვერდზე გადაიზნია, რომ თოკს მისწვდომოდა. მაშინვე ვერ მიაგნო, ვერ მიხვდა, რომ კიბეზე დაგორების შემდეგ თოკის მიმართ ვერტიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ინსტინქტმა უკარნახა, არ განძრეულიყო. მერე საღი აზრი ჩაირთო, ნელა უკან დაახევინა, სანამ წელით ქვის საფეხურის კიდე, ხელით - ხაოიანი თოკი, სულში კი გამარჯვებულის სიხარული არ იგრძნო. ამ აღტაცების გრძნობამ ჩააგონა, როგორ ეხოხა ისე, რომ ჭრილობა მიწაზე არ

ეთრია. წამოჯდა, ჭიშკრისკენ ზურგით შებრუნდა და პატარ-პატარა ბიძგებით დაიწყო ხოხვა, მიწას მუშტებით ეყრდნობოდა, აი, იმ ბიჭ-გების მსგავსად, ძველად უფეხოები რომ ხმარობდნენ. ჰო, ზურგით წინ, რადგან ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ჯობია უბიძგო, ვიდრე ათრიო. ფეხისთვისაც ასე აჯობებს, თანაც, კიდევ კარგი, დაღმართზე უწევს ხოხვა. თოკის დაკარგვის არ ეშინოდა, სულ ეხებოდა თავით. დაფიქრდა, კიდევ შორია თუ არა ჭიშკრამდეო, მაგრამ მიხვდა, რომ ასე, კიბორჩხალასავით პირუკუ ფორთხვა, ყოველ ჯერზე ტანის ნახევარი მტკაველით და უფრო ნაკლებითაც გადაადგილება სულ სხვაა, ვიდრე ფეხებით, თუნდაც ერთი ფეხით. წამით დაავიწყდა, რომ ბრმაა, ჭიშკრისკენ გაიხედა, რომ გაეგო, კიდევ დიდხანს მოუწევდა თუ არა ასე ფხარკალი, მაგრამ ისევ ის უძირო სითეთრე დაინახა. ახლა დღეა თუ ღამე, ჰკითხა საკუთარ თავს და გაახსენდა, დღე რომ ყოფილიყო, კარგა ხნის წინ შენიშნავდნენ, თანაც მხოლოდ ერთხელ აჭამეს, მას მერე კი დიდი დრო გავიდა. თავად გაუკვირდა, საიდან გაუჩნდა ასეთი ლოგიკური აზროვნების უნარი, გაუხარდა, რა სწორად და სწრაფად ვაზროვნებ და გამომაქვს დასკვნებით, იგრძნო, რომ ძალიან შეიცვალა, სულ სხვა ადამიანი გახდა, და ფეხზე ეს უბედურება რომ არ სჭირდეს, დაიფიცებდა, რომ ასე კარგად ცხოვრებაში არასდროს უგრძნია თავი. ზურგით რკინის ჭიშკრის ქვედა ნაწილს დაეჯახა. ესე იგი, მივალწიე. გუშაგს, რომელსაც სიცივისაგან თავი ჯიხურისთვის შეეფარებინა, რაღაც უცნაური ფაჩუნი მოესმა, ოღონდ რისი, ვერ გაეგო, აბა, იმას ხომ ვერ დაუშვებდა, რომ ვიღაც კლინიკის შენობიდან გამოვიდა, ეტყობა, ქარმა ააშრიალა ფოთლები ან ხის ტოტები მსუბუქად შეეხო გალავანსო. მაგრამ უცებ გუშაგს უკვე სხვა ხმა მოესმა, სწორედ რომ დარტყმის ხმა იყო, ქარი ასეთ ხმას ნამდვილად ვერ გამოსცემდა. შემოფოთებული ჯარისკაცი ჯიხურიდან გამოვიდა, ავტომატს ჩამკეტი მოხსნა, ჭიშკარს გახედა და ვერაფერი დაინახა. ხმა გამეორდა, უფრო ძლიერად, თითქოს ვიღაც უსწორმასწორო ზედაპირს

ფრჩხილებით ფხაჭნისო, ალბათ, ჭიშკარსო, გაიფიქრა ჯარისკაცმა. ნაბიჯი გადადგა კარვისკენ, სადაც სერჟანტს ეძინა, მაგრამ შეჩერდა, იფიქრა, ცრუ განგაშისთვის შავ დღეს დამაყრიანო, საგუშაგოზე უფროსებს არ უყვართ, როცა აღვიძებენ, თუნდაც ამისთვის სრული საფუძველი არსებობდეს. ისევ გახედა ჭიშკარს, დაძაბული იცდიდა და უცებ მავთულხლართში დაინახა მოჩვენებასავით ნელა მოძრავი თეთრი სახე, უსინათლოს სახე. ჯარისკაცი შიშისგან გაქვავდა, მერე ავტომატი მოიმარჯვა და პირდაპირ მიუშვა ჯერი.

გაბმული სროლის ხმაზე კარვებიდან მაშინვე გამოცვივდნენ ნახევრად ჩაცმული ჯარისკაცები, რომლებიც ფსიქიატრიულ კლინიკასა და იქ მოთავსებულ უსინათლოებს დარაჯობდნენ. რა ხდება, რატომ ისროდი, უკვე ღრიალებდა სერჟანტი. უსინათლო, უსინათლო, ლულულულებდა ჯარისკაცი. სად. აი, იქ, და ავტომატის ლულით ჭიშკარზე მიანიშნა. ვერაფერს ვხედავ. იქ იყო, დავინახე. ამასობაში ჯარისკაცებმა ჩაიცივეს, შეიკრეს, აღიკაზმნენ, ჩამწკრივდნენ, იარაღი ფეხთან მიიბჯინეს. პროჟექტორი ჩართეთ, ბრძანა სერჟანტმა. ერთ-ერთი ჯარისკაცი ძარაზე აძვრა. რამდენიმე წამში ძლიერმა სინათლემ გაანათა ჭიშკარი და კლინიკის ფასადი. არავინაა, ალბათ, მოგელანდა, შე ლენჩო, უთხრა სერჟანტმა და ის იყო, კიდევ რამდენიმე საჯარისო ქათინაური უნდა დაემატებინა, რომ შენიშნა, პროჟექტორის ძლიერ შუქზე ჭიშკრის ქვემოდან რაღაც შავი იღვრებოდა. მგონი, მოკალი, თქვა სერჟანტმა, გაახსენდა უფროსების მკაცრი ბრძანება და დაიყვირა, აბა, ყველა ხუთი ნაბიჯით უკან, გადამდებია. შეშინებულმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს, თუმცა, თვალს ვერ აშორებდნენ სისხლს, რომელიც მოკირწყლულ გზაზე ქვებს შორის მოედინებოდა და გუბდებოდა. როგორ გგონია, მოკალი, ჰკითხა სერჟანტმა. ალბათ, მთელი მჭიდი პირდაპირ სახეში დავაცალე, უპასუხა ჯარისკაცმა, რომელსაც უკვე სიამაყის გრძნობა დაეუფლა,

რომ ასე მარჯვედ გაართყა მიზანში. ამასობაში ვილაც ჯარისკაცმა დაიყვირა, სერჟანტო, სერჟანტო, შეხედეთ, აი, იქ. მძლავრი პროექტორის მოცისფრო შუქში ზღურბლზე კიდევ ათზე მეტი უსინათლო იდგა. ადგილიდან არ დაიძრათ, დაიღრიალა სერჟანტმა, ერთი მოძრაობა და ჩაგცხრილავთ. მეზობელი სახლების რამდენიმე ფანჯარაში შუქი აინთო, აქა-იქ სროლის ხმაზე გაღვიძებული მოზინადრეების დამფრთხალი სახეები გამოჩნდა. ოთხნი გამოდით, ცხედარი წაიღეთ, გასძახა სერჟანტმა. რაკი უსინათლოები ვერ ხედავენ, მაშასადამე, არც გათვლა შეუძლიათ, შეძახილზე ექვსნი გამოვიდნენ. ოთხნი-მეთქი, ისტერიკულად იღრიალა სერჟანტმა. უსინათლოები ერთმანეთს შეეხნენ, ერთხელ, მეორედ და ორმა უკან დაიხია. თოკს ჩაჭიდებული ოთხი უსინათლო ჭიშკრისკენ წალასლასდა.

ნიჩაბი გვჭირდება ან რამე, რა ვიცი, ბარის მსგავსი, ორმო რომ ამოვთხაროთ, თქვა ექიმმა. დილა იყო, მოკლული რის ვაი-ვაგლახით გადაიტანეს შენობის უკან, სადაც ნაგავი და ფოთლები ეყარა. ახლა მიწისთვის უნდა მიებარებინათ. მხოლოდ ექიმის ცოლმა იცოდა, რა მდგომარეობაში იყო ცხედარი, სახე და თავის ქალა ტყვიებით ჰქონდა გაგლეჯილი, სამი ნატყვიარი ყელსა და მკერდში. ისიც იცოდა, რომ მთელ შენობაში მიწის სათხრელად გამოსადეგი არაფერი იყო. კლინიკის მთელი ტერიტორია მოიარა, მაგრამ რკინის წნელის მეტი ვერაფერი იპოვა. გამოდგება, მაგრამ საკმარისი არ არის. მარცხენა ფრთის დახურულ ფანჯრებში კი, სადაც საობსერვაციო პალატები იყო, ადამიანების მიმკვდარი სახეები მოჩანდა, ადამიანებისა, რომლებიც ელოდნენ, როდის დადგებოდა მათი ჟამი, უფრო სწორად, როდის დადგებოდა ის უცილობელი წამი, როცა სხვებს უნდა უთხრან, დავბრმავდი, ანდა, როცა ამის დამალვას ეცდებიან, მაგრამ გასცემთ მოუხერხებელი მოძრაობა, გამკრთალი ჩრდილისკენ თავის მიბრუნება, თვალხილულისთვის უჩვეულო წა-

ბორძიკება სრულიად სწორ ადგილზე. ის, რომ მიწის სათხრელი იარაღი არ ჰქონდათ, ექიმმაც იცოდა, მაგრამ ცოლისთვის მხარი რომ აება, თქვა ფრაზა, რადგან მასაც გაუჩნდებოდა ასეთივე კითხვა, ჯარისკაცებს ხომ არ ვთხოვოთ, რომ ნინაბი გადმოგვიგდონო. კარგი აზრია, უნდა ვცადოთ, ყველა დაეთანხმა, მართლაც კარგი აზრიაო, და მხოლოდ შავსათვალთან ქალიშვილს არ დასცდენია სიტყვა ბარის ან ნინის შოვნაზე, ის მხოლოდ ტირილდა და ბუტბუტებდა, სულ ჩემი ბრალიაო, და მისი ბრალის უარყოფა სრული უაზრობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, დაე, ეს მისთვის დამამშვიდებელი გარემოება გახდეს ის, რომ თუკი წინასწარ ვიფიქრებთ ყველა ჩვენი მოქმედების შედეგზე, ჯერ უცილობელზე, მერე სავარაუდოზე, მერე კი შესაძლებელსა და კიდევ იმაზე, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს, არც კი გავფაფხურდებით იმ მომენტიდან, როცა თავდაპირველმა აზრმა გაგვიელვა თავში. ჩვენი ქცევისა და სიტყვების კეთილი და ბოროტი ნაყოფი, უნდა ვივარაუდოთ, მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილდება, გარკვეული წონასწორობის დაცვით, ჩვენთვის სამომავლოდ გამოყოფილ ყველა დღეზე, იმ დღეების ჩათვლითაც კი, რომლებიც იმ ჟამის გაურკვეველი ბურუსითაა მოცული, როცა აღარ ვიქნებით და ვეღარ შევძლებთ თავი შევიქოთ ან დავგმოთ, თუმცა, ზოგიერთი ამტკიცებს, სწორედ ეს არისო უკვდავება, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ. იქნებ ასეც არის, მაგრამ ეს კაცი მკვდარია და უნდა დაიმარხოს. ამიტომაც ექიმმა და მისმა ცოლმა გადაწყვიტეს, მოსალაპარაკებლად წასულიყვნენ, უნუგემო შავსათვალთან ქალიშვილმა კი უთხრა, მეც წამოგყვებით, რადგან სინდისი არ მასვენებსო. ის იყო, გარეთ გავიდნენ, რომ გუშაგმა იყვირა, შეჩერდით, არ გაინძრეთო და, ეტყობა, იმის შიშით, რომ ზეპირი ბრძანება, თუნდაც ესოდენ რიხით გაცემული, ნაყოფს არ გამოიღებდა, ჰაერში გაისროლა. შემდრკალი სამეუღლი ჩაბნელებულ ვესტიბიულში გაუჩინარდა, შეღებულ ხის სქელ კარს

მიღმა. მაშინ ექიმის ცოლმა გაიფიქრა, რაკი გუშაგს ვხედავ და მისი მოქმედება შემოძლია განვჭვრიტო და, მაშასადამე, საჭიროების შემთხვევაში დავიმალო, გადაწყვიტა, მარტო გასულიყო. მიცვალელებულს ვერ ვმარხავთ, გასძახა მან, ნიჩაბი გვჭირდება. ჭიშკართან, მაგრამ არა იქ, სადაც გუშინ საღამოს ქურდი მოკლეს, არამედ გარეთა მხრიდან, კიდევ ერთი სამხედრო გამოჩნდა. ესეც სერჟანტი, მაგრამ სხვა. რა გინდა, დაუყვირა მან. ნიჩაბი ან ბარი. არა გვაქვს, მოშორდი აქედან. მაგრამ მოკლულს ვერ ვმარხავთ. ვერ მარხავთ და ნუ მარხავთ, დალპეს ასე. თუ ცხედარი მიწას არ მივაბარეთ, გაიხრწნება და ჰაერს მოწამლავს. მოწამლავს და მოწამლოს. ჰაერი, რომ იცოდეთ, ერთ ადგილზე არ დგას, თქვენც საფრთხე შეგექმნებათ. მოყვანილი არგუმენტის საფუძვლიანობამ სამხედრო ჩააფიქრა. ის საგუშაგოს უფროსის შემცვლელად გამოგზავნეს, რომელიც ღამით დაბრმავდა და მაშინვე იქ გაგზავნეს, სადაც სახმელეთო ძალების ავადმყოფ მოსამსახურეებს ათავსებდნენ. ზედმეტი იქნება იმის შესხენება, რომ ავიაციას და ფლოტს საკუთარი სამკურნალო დაწესებულებები აქვთ, ოღონდ უფრო პატარა და უბრალო, რადგან ამ სახეობის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობაც მცირეა. სწორს ამბობს, სერჟანტი იძულებული გახდა, ელიარებიანა, რომ არგუმენტი დამაჯერებელი იყო. ასეთ შემთხვევაში, ჯობია, თავი დავიზღვიოთ. პრევენციის მიზნით აირჩინალიანმა ორმა ჯარისკაცმა უკვე კარგა ხანია დაასხა სისხლის გუბეს ორი დიდი ბოთლი ამონიუმი, რომლის ანაორთქლი საგუშაგოს მთელ შემადგენლობას დღემდე თვალებს უცრემლებს, ყელს სწვავს და ცხვირს უშრობს. რამეს მოვიფიქრებთ, თქვა ბოლოს სერჟანტმა. საჭმელსაც თუ მოაყოლებთ, კარგი იქნება, ისარგებლა შემთხვევით ექიმის ცოლმა. საჭმელი ჯერ არ მოუტანიათ. მარტო ჩვენს ფრთაში უკვე ორმოცდაათზე მეტი უსინათლოა, ვშიმშილობთ, რასაც გვაძლევთ, არ გვყოფნის. მომარაგება ჯარს არ ეხება. ვინმემ ხომ უნდა გადაწ-

ყვიტოს ეს საკითხი, საკვებით ჩვენი უზრუნველყოფის ვალდებულება მთავრობამ იკისრა. შიგნით შედით, მანდ დგომა არ შეიძლება. ნიჩაბი მოგვეცით, დაუყვირა ექიმის ცოლმა, მაგრამ სერჟანტი უკვე წასულიყო. შუადღის დადგომას ცოტაღა აკლდა, დინამიკი რომ ჩაირთო. ყურადღება, ყურადღება, და უსინათლონი გამოცოცხლდნენ, ეგონათ, საჭმელი მოიტანესო, მაგრამ საქმე სხვა რამეს ეხებოდა. ნიჩაბი გიშოვეთ, წასაღებად ვინმე ერთი გამოვიდეს. მე წავალ, თქვა ექიმის ცოლმა. გავიდა და ზღურბლიდანვე დაინახა ნიჩაბი. იმის მიხედვით, თუ სად ეგდო, არადა, ეგდო ჭიშკართან ახლოს, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ შორიდან ისროლეს. არ დაგავიწყდეს, რომ უსინათლო ხარ, შეახსენა საკუთარ თავს ქალმა და იკითხა, სად არისო. ზღურბლიდან ჩამოდი, გიკარნახებ, უპასუხა სერჟანტმა, ჰო, ასე, ასე იარე, პირდაპირ, პირდაპირ, მოიცადე, ცოტა მარჯვნივ, ფუ შენი, არა, მარცხნივ, ცოტა უკან, კიდევ, აი, ახლა პირდაპირ მიადგები, თბილა, თბილა, არა, არა, ცივა, ცივა, ჰო, დათბა, დათბა, ძალიან თბილა, არის, ცხელა, ახლა მარცხნივ შებრუნდი და უკან წადი, აქ რას დაეყუდე, შებრუნდი და წადი, გეტყვი საითაც. ნუ წუხდები, ფიქრობდა ქალი, როგორმე უშენოდ მივაგნებ ვარს, რომც მიხვდეს, რომ ბრმა არა ვარ, პალატაში მაინც ვერ მომაკითხავ. ნიჩაბი მხარზე გაიდო, როგორც სამუშაოზე მიმავალმა მიწის მთხრელმა, და პირდაპირ ზღურბლისკენ გაემართა. ხედავთ, სერჟანტო, შეჭყვირა ერთმა ჯარისკაცმა, რა სწორად მიდის, თითქოს ხედავსო. უსინათლოები ძალიან მალე ახერხებენ სივრცეში ორიენტირებას, დაბეჯითებით უპასუხა სერჟანტმა.

საფლავის გათხრა ძნელი აღმოჩნდა. მიწა მაგარი იყო, ქვალორლიანი, ხის ფესვებით გოროხებად შეკრული. რიგრიგობით თხრიდნენ, ტაქსის მძღოლი, ორივე პოლიციელი და პირველი უსინათლო. სიკვდილის წინაშე გგონია, რომ ძველი წყენა თავის მხამიან ძალას დაკარგავს, თუმცა, ამბობენ, ძველი სიძულვილი

არ ნელდებაო, და ამის უამრავი მაგალითი არსებობს წიგნებშიც და ცხოვრებაშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში სიძულვილთან, მით უმეტეს, დიდი ხნის სიძულვილთან, არა გვაქვს საქმე, რადგან რა არის მანქანის ქურდობა ადამიანის სიკვდილთან შედარებით, ადამიანისა, ოდესღაც ქურდობა რომ ჩაიდინა, ახლა კი ასე საშინლად გამოიყურება და თვალეზიც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ სახეზე აღარც პირი აქვს და აღარც ცხვირი. ხუთ მტკაველზე უფრო ღრმად ვერ ამოთხარეს. გარდაცვლილს ღიპი რომ ჰქონოდა, საფლავიდან ექნებოდა ამოშვერილი, მაგრამ ქურდი ტანხმელი იყო, ბოლო დღეებში სულ ჩამოდნა, ასე რომ, ამოთხრილ საფლავში კიდევ ერთი მისნაირი ჩაეტეოდა. ლოცვა არავის აღუვლენია. შავსათვალიან ქალიშვილს სინდისის ქენჯნამ აკითხვინა, ჯვარი ხომ არ დავუდგათო, მაგრამ არავინ იცის, რა დამოკიდებულება ჰქონდა გარდაცვლილს ღვთისა და რწმენის მიმართ, ამიტომ ჯობია, როგორც წესი და რიგია, საფლავთან ჩუმად ვიდგეთ, თანაც, გაითვალისწინეთ, ჯვრის გაკეთება არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება გეგონოთ, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რამდენი დრო დასჭირდებათ მის გასაკეთებლად ამ უსინათლოებს, ფეხსაც კი ალალებედად რომ ადგამენ. პალატაში დაბრუნდნენ. უკვე შედარებით თავდაჯერებულად მოძრაობენ იქ, სადაც ხშირად უწევთ ყოფნა, მაგრამ არა უკანა ეზოს მსგავს ღია სივრცეში, სადაც გარდაცვლილი ეს წუთია მიწას მიაბარეს, უკვე აღარ იბნევიან, ხელს წინ გაიშვერენ, გაიქნევენ გაფარჩხულ თითებს, იმის მსგავსად, როგორც მწერები თავის ანტენა-ულვაშებს აცეცებენ, და დადიან, სადაც მოესურვებათ, და სავსებით შესაძლებელია, შედარებით ნიჭიერებს მალე ეგრეთ წოდებული ფრონტალური ხედვაც განუვითარდეთ. თუნდაც ექიმის ცოლი ავიღოთ. განა წარმოუდგენელი არ არის, რომ ამ დერეფნების, პალატების, გასასვლელების, კუთხე-კუნჭულების აბურდულ ქსელში გზას იგნებს, ან როგორ ხვდება, სად და როდის უნდა შეუხვიოს, ასე შეუცდომლად როგორ აგნებს საჭირო კარს და თამამად აღებს, გადაუთვლელად

როგორ აგნებს თავის საწოლს. ახლა ქმარს ჩამოუჯდა, როგორც ყოველთვის, ჩუმად ელაპარაკება, ერთი შეხედვითაც იცნობ ზრდილ და კულტურულ ადამიანებს, თანაც ყოველთვის აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი, მეორე ოჯახური წყვილისგან განსხვავებით. პირველი უსინათლო და მისი ცოლი შეხვედრის შემდეგ ერთმანეთს აღარც კი ელაპარაკებიან და მგონი, ახლანდელმა უბედურებამ გააქარვა ადრინდელი სიყვარული, რას იზამ, ჩვევა სიყვარულისთვის დამღუპველია. ელამი ბიჭუნა კი გაუთავებლად, მონოტონურად წუწუნებს, მშიაო, და ეს მაშინ, როცა შავსათვალიანი ქალიშვილი ლუკმასაც არ იდებს პირში, ოღონდ ბიჭუნა დააპუროს. უკვე რამდენიმე საათია, რაც ბიჭუნას დედა არ მოუკითხავს, თუმცა, გრძობს, რომ აკლია, ენატრება მაშინ, როცა გაძღება და სული მისი ამადლდება ხორციელ თავკერძობაზე, რომელიც არ ცნობს არაფერს, თვითგადარჩენისაკენ მარტივი და დაუძლეველი ლტოლვის გარდა. იქნებ იმის გამო, რაც გამთენიისას მოხდა, ან იქნებ ჩვენგან დამოუკიდებელ რამე სხვა გარემოებათა გამო, საუზმისათვის სურსათიანი ყუთები არ მოუტანიათ. ახლა სადილის დროა, ექიმის ცოლი საათისკენ აპარებს თვალს, სადაცაა პირველი გახდება, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რამდენიმე უსინათლო, ძველ და ახალ ბინადართაგან, რადგან კუჭის წვენი დიდი ოდენობით გამოეყოთ, ვესტიბიულში გავიდა და იქ ელოდება საჭმელს, ამასთან, ხელმძღვანელობენ ორი საფუძვლიანი მოსაზრებით, რომელთაგან ერთი ხმამაღლა გამოითქვა და ამგვარად ჩამოყალიბდა: საუბარში დრო მალე გადისო, მეორე კი, ფარული, ეფუძნება პოსტულატს: ვინც პირველია, მართალიც ის არისო. ერთი სიტყვით, ათამდე უსინათლო გაფაციცებული უგდებს ყურს, გარეთა კარი ხომ არ გაიღო, იმ ჯარისკაცთა ფეხის ხმა ხომ არ ისმის, სანატრელი ყუთები რომ უნდა მოიტანონ. მარცხენა, საობსერვაციო ფლიგელის ბინადართ

კი, მოულოდნელი სიბრმავის შიშით, რომელიც შეიძლება ვესტიბიულში მომლოდინე უსინათლოებთან მიახლოებას მოჰყვეს, გამოსვლა ვერ გაბედეს და ჭუჭრუტანიდან აკვირდებიან, რომ თავიანთი რიგი არ გამოეპარათ. დრო კი გადის. მოლოდინით გადაღლილ უსინათლოთაგან ზოგი იატაკზე დაჯდა, ორი თუ სამი პალატაში შებრუნდა. მალე გაისმა ჭიშკრის სანუკვარი ღრჭიალი. ფრთაშესხმული უსინათლოები ჯიკავ-ჯიკავით გაემართნენ იქით, სადაც კარი ეგულეობდათ, მაგრამ, იმის შიშით, რომ ვერაფრის გარკვევას და ახსნას ვერ მოასწრებდნენ, უცებ შეჩერდნენ და დაბნეულებმა უკან დაიხიეს, რადგან უკვე სრულიად გარკვევით ისმოდა ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც ყუთები მოჰქონდათ, და ისინი, ვინც იარაღით ახლდათ.

ჯერ კიდევ ღამის ტრაგიკული ამბებით შეშფოთებულმა ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს, ყუთები ვესტიბიულიდან ფლიგელებში გამავალ კართან კი არ დაეწყობთ, როგორც ადრე, არამედ შუა ვესტიბიულში იატაკზე დაეტოვებინათ, აქაოდა, თქვენი სალაფავი თქვენვე წაიღეთ, ღმერთმა შეგარგოთო. მკვეთრი სინათლიდან სიბნელეში შემოსულმა ჯარისკაცებმა ჯერ ვერ დაინახეს შეჯგუფებული უსინათლოები, მაგრამ მალევე შენიშნეს, ყუთები იქვე დაყარეს და შემზარავი ყვირილით შლეგებივით გაცვივდნენ გარეთ. ზღურბლზე მდგარი ორი ავტომატიანი თავდასხმის საშიშროების წინაშე მართლაც სანიმუშოდ მოიქცა. ღმერთმა უწყის, რატომ და რისთვის, როგორც კი სავსებით გასაგები შიში დასძლიეს, ზღურბლიდან ცეცხლი გახსნეს, რასაც სამხედრო ენაზე მოგერიებას უწოდებენ. უსინათლოები წყება-წყება იცელებოდნენ, დავარდნილებსაც ხვდებოდათ ტყვიები, რასაც სხვა ვერაფერს უწოდებ, თუ არა საბრძოლო მასალის არარაციონალურ ხარჯვას, თანაც ეს ყველაფერი ძალიან ნელა ხდებოდა, და თითქოს სხეულთა ვარდნა აღარასოდეს დამთავრდებოდა, როგორც ზოგჯერ კინოსა და ტელევიზორში აჩვენებენ. და რაკი ჩვენ მი-

ერ აღწერილ პერიოდში ჯარისკაცი ჯერ კიდევ ვალდებულია, ყოველი გახარჯული ვაზნისთვის ანგარიში ჩააბაროს, ამ ორს შეუძლია დროშაზე დაიფიცოს, რომ დასაშვები ძალის გამოყენების, ასევე, უიარაღო თანამოსამსახურეთა დაცვის ფარგლებში მოქმედებდნენ, როცა ჰუმანიტარული მისიის შესრულებისას თავს დაესხათ უსინათლოთა რიცხობრივად უპირატესი ჯგუფი. ჯარისკაცების ნაწილი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ჭიშკრისკენ, ნაწილი კი ცეცხლით უზრუნველყოფდა მათ უკან დახევას, რომ არა ვთქვათ, კისრისტეხით გაქცევას, ღობის მავთულხლართებიდან მიეშვირათ ლულები კლინიკის კარისთვის, თითქოს უსინათლოთაგან ვინმე გადარჩენილიყო და თავდასხმას აპირებდა, რათა სისხლისთვის სისხლით ეძია შური. მსროლელთაგან ერთ-ერთმა, შიშისგან გადაფითრებულმა, თქვა, რაც გინდათ, ის მიქენით, იქ წამსვლელი აღარ ვარო. და მართლაც აღარ წასულა. იმავე დღეს, ნაშუადღევს, უფრო სწორად უკვე შებინდებისას, ყარაულის გამოცვლის შემდეგ, ისიც შეემატა უსინათლოთა რიცხვს და მისი ბედი, რომ სამხედრო მოსამსახურე იყო, თორემ დატოვებდნენ საგიჟეთში, იმ უსინათლოებთან, რომელთა ამხანაგებიც ავტომატით ჩაცხრილა, ხოლო ისინი რას უზამდნენ, ეს უკვე ღმერთმა უწყის. სერჟანტის კომენტარი კი ასეთი იყო, ხომ არ აჯობებს, საერთოდ არ ვაჭამოთ, დაიხოცებიან და საშიშროებაც აღარ იქნებაო. ჩვენ კი ვიცით, რომ ბევრი სწორედ ასე ფიქრობდა და ამბობდა კიდევ, მაგრამ, საბედნიეროდ, ჰუმანიზმმა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენოდა, გადააფიქრებინა. ამიერიდან სურსათიანი ყუთები თავად წაიღონ, ჩვენ კი მიზანში გვეყოლებიან და თუ საჭირო გახდა, ვესვრით. სამეთაურო პოსტისკენ წავიდა, რუბორი მოიმარჯვა, გაიხსენა მეტ-ნაკლებად რთულ ვითარებაში სათქმელი ფრაზები და სცადა, სიტყვები აზრიანად დაეღაგებინა. როგორც შეიარაღებული ძალების წარმომადგენე-

ლი წუხილს გამოვთქვამ იმის გამო, რომ სამხედროები იძულებული გახდნენ, იარაღი გამოეყენებინათ, რათა არ დაეშვათ იზოლირებულითა გადაადგილება, რაც საფრთხეს წარმოადგენდა, ამიტომ მათ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ მიუძღვით ბრალი, ხოლო იზოლირებულთ, რომლებიც ამიერიდან სურსათს შენობის გარეთ მიიღებენ, ვაფრთხილებთ, რომ დადგენილი წესების ნებისმიერი დარღვევა, როგორც დღეს და ასევე გუშინ მოხდა, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. მერე გაჩუმდა, აღარ იცოდა, რით დაესრულებინა სათქმელი, თითქოს ყველა საჭირო სიტყვა დაავიწყდა და მხოლოდ ორჯერ გაიმეორა, ჩვენი ბრალი არ იყო, ჩვენი ბრალი არ იყო.

შენობის გარეთ ავტომატის ჯერმა, რომელიც ვესტიბიულის ჩაკეტილ სივრცეში კიდევ უფრო ძლიერად გაისმა, პალატებში ნამდვილი პანიკა გამოიწვია. ზოგი პაციენტი, რომელსაც თავიდან ეგონა, ჯარისკაცები შიგნით შემოცვივდებოდნენ და ავტომატის ჯერს მიუშვებდნენ ყველას, რადგან მთავრობამ, ეტყობა, გადაიფიქრა და უსინათლოთა სრული ლიკვიდაცია გადაწყვიტა, საწოლის ქვეშ შეძვრა, ზოგმა იფიქრა, იქნებ ასეც ჯობდეს, ამგვარ სიცოცხლეს რა აზრი აქვს და კომმარული დასასრული ჯობია დაუსრულებელ კომმარსო. პირველი რეაქცია საობსერვაციო პალატის ბინადართ ჰქონდათ. სროლა რომ ატყდა, დაფრთხნენ და კარს მოშორდნენ, მერე კი, ყველაფერი რომ მიჩუმდა, ჭუჭრუტანას ეცნენ, აინტერესებდათ, რა ხდებოდა ვესტიბიულში. გვამები გროვად ეყარა, სისხლის გუბე იდგა, რომელიც ცოცხალ არსებასავით მიიკლაკნებოდა ქვის პრიალა ფილებზე სურსათიან ყუთებს შორის. შიმშილმა აიძულა, გარეთ გამოსულიყვნენ და აი, ისიც, ნანატრი საჭმელი, მერე რა, რომ უსინათლოებისთვისაა განკუთვნილი, მართალია, მათი წილი, დადგენილი წესის თანახმად, მეორე ჯერზე უნდა მოიტანონ, მაგრამ ახლა რა დროს წესია, მით უმეტეს, რომ ვერავინ ხედავს, ძველი ანდაზა, ყვე-

ლა დროსა და ყველა ხალხში რომ არის გავრცელებული, ხომ გვასწავლის, გაბედულს იღბალიც წაეშველებათ, ჰოდა, ძველად იცოდნენ სიბრძნის ფასი. ასეა თუ ისე, შიმშილით გამოწვეულმა გამბედაობამ მხოლოდ სამი ნაბიჯი გადაადგმევინათ, მერე გონს მოეგნენ და წინსვლა შეაჩერეს, რადგან გაახსენდათ, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს ეს გროვად დაყრილი ცხედრები და აი, ეს სისხლი წარმოადგენდა და ვინ იცის, რა გამხრწნელ ანაორთქლსა და შხამიან მიაზმებს გამოსცემს ან უკვე გამოსცა უსინათლოთა უსიცოცხლო გვამებმა. ისინი მკვდრები არიან, რა უნდა დაგვიშავონო, თქვა ერთმა აშკარად იმ განზრახვით, რომ საკუთარი თავიც და სხვებიც გაემხნევენინა, მაგრამ ჯობდა არ ეთქვა, მხოლოდ წაახდინა საქმე, რადგან უსინათლონი მკვდრები კი არიან, არ იძვრიან, შეხედეთ, არ სუნთქავენ, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ეს თეთრი სიბრძნე სინამდვილეში სულიერი სენი არ არის, ხოლო თუ ამ ჰიპოთეზას ვირწმუნებთ, მოკლულთა სული არასდროს ყოფილა ასე თავისუფალი სხეულის გარსისგან და, მაშასადამე, შეუძლია იფარფატოს იქ, სადაც მოესურვება, აფრქვიოს და მოჰფინოს ირგვლივ ყოველივე, რასაც მოისურვებს, უწინარესად კი ბოროტება, რადგან ყველა დაადასტურებს, რომ ამაზე ადვილი არაფერია. მაგრამ სურსათიანი ყუთები ანდამატივით იზიდავდათ, სტომაქს კი ისეთი არგუმენტები აქვს, ძნელია წინააღმდეგობის გაწევა. ერთ-ერთი ყუთიდან ნელა ჟონავდა და სისხლის გუბისკენ მიედინებოდა თეთრი სითხე, როგორც ჩანს, ეს რძე იყო, ფერიც ამას მოწმობდა. ორი, გამბედაობით გამორჩეული თუ ფატალიზმით შეპყრობილი, ამ ორ ცნებას შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ზოგჯერ ხომ შეუძლებელია, წინ გავიდა და წასავლებად გაწვდილი ხელები ლამის უკვე შეახო ყუთებს, რომ უცებ მოპირდაპირე ფრთისკენ გამავალ კარში რამდენიმე უსინათლო გამოჩნდა. ცნობილია, რომ შიმშ დიდი

თვალეები აქვს, მოცემულ ვითარებაში კი, თანაც ასეთ განათებაში, ამ ორ გამბედავს, ყუთებთან მისვლა რომ განიზრახეს, თვალეები შუბლზე აუვიდა, როცა მოეჩვენათ, რომ მკვდრეთით აღდგნენ მოკლული უსინათლოები, ისეთივე ბრძელები როგორც იყვნენ, მაგრამ ახლა უფრო საშიშნი, რადგან შურისძიების წყურვილით იყვნენ შეპყრობილი. გამბედავები გონივრულად მოიქცნენ და უკან, ვესტიბიულის სიღრმეში მდუმარედ დაიხიეს იმ იმედით, რომ უსინათლონი, როგორც გულმოწყალება და ჩვეულება მოითხოვს, მიხედავდნენ დახოცილებს, და თუ არა, იქნებ სიბრძნის გამო ვერ შეენიშნათ რომელიმე ყუთი, თუნდაც ერთი, ყველაზე პატარა, მით უმეტეს, რომ საობსერვაციო ფართაში არც ისე ბევრი პაციენტი, და საერთოდ, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ეთხოვათ, შეგვიბრალეთ, გთხოვთ, ღვთის გულისთვის წყალობა გაიღეთ, ერთი ყუთი დაგვითმეთ, რადგან დღევანდელი ამბების გამო საეჭვოა, საჭმელი მოგვითანონო. უსინათლოები, როგორც სჩვევიათ, ხელის ფათურით, ფეხების ფრატუნით დადიოდნენ და მაინც ბორძიკობდნენ, თუმცა, დასახულ ამოცანას თავი მაინც კარგად გაართვეს და საოცარი ორგანიზებულობაც გამოიჩინეს - შრომის განაწილების პრინციპი გამოიყენეს და სანამ ერთი ნაწილი, თუმცა, სისხლისა და რძის წებოვან ნარევეში ფეხი უცურდებოდათ, ცხედრებს აგროვებდა და გაჰქონდა, მეორე ნაწილმა, ჯარისკაცების დაყრილ ყუთებს რომ ეძებდა, ერთმანეთის მიყოლებით რვავე იპოვა. უსინათლოთა შორის იყო ერთი ქალი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა, ანუ გვამების გატანაშიც ეხმარებოდა, თითქოს თანაპალატელებს აკვალიანებდა, რაც სრულიად წარმოუდგენელია უსინათლოსთვის, და, ძნელი სათქმელია, შემთხვევით თუ განზრახ, საობსერვაციო ფართის ბინადრებისკენ აბრუნებდა თავს, თითქოს ხედავდა ან, ყოველ შემთხვევაში გრძნობდა, რომ იქ იყვნენ. ძალიან მალე ვესტიბიული დაცარიელდა და მომხდარს მოწმობდა მხოლოდ დიდი სისხლის ლაქა და იქვე მეორე, შედარებით პატარა, დაღვრილი რძის, და კიდევ ნაფეხურები,

ასევე სისხლიანი და სველი. თვალხილულებმა მორჩილად მოხურეს კარი და რამე ნამცეცების საძებნელად გაეშურნენ, ხოლო იმაზე, როგორ დაეცნენ სულით და რა ახლოს იყვნენ სასოწარკვეთილებასთან, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ სიტყვებით, კინაღამ რომ წამოსცდა ერთ-ერთ მათგანს, რაკი დაბრმავება მაინც არ აგვცდება და ბედისწერას ვერ გავექცევით, ახლავე ხომ არ გადავიდეთ იქითა ფრთაში, საჭმელს მაინც გვაჭმევნო. იქნებ ჯარისკაცებმა ჩვენთვისაც მოიტანონ რამე, თქვა ვიღაცამ. ჯარში თუ გიმსახურია, ჰკითხა მეორემ. არა. გეტყობა კიდევ.

დაღუპულთა შორის ორივე პალატის უსინათლოები იყვნენ, ამიტომ მათმა თანაპალატელებმა იმსჯელეს, როგორ მოქცეულიყვნენ, ჯერ ეჭამათ და მერე დაეკრძალათ თუ პირიქით. როგორც ჩანს, არავის აინტერესებდა, ვინ დაიღუპა. ცხრა მოკლულიდან ხუთი მეორე პალატის ბინადარი იყო, და არავინ უწყის, იცნობდნენ თუ არა ადრე ერთმანეთს, და თუ არ იცნობდნენ, ჰქონდათ კი დრო და სურვილი, გაეცნოთ ერთმანეთი, გული გადაეშალათ. ექიმის ცოლმა ისინი ვერ დაიხსომა. ის ოთხი კი, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, მის გვერდით ეძინა, თუმცა, ერთ-ერთი მათგანის შესახებ არაფერი იცოდა, და ვერც ეცოდინებოდა, რადგან თავისი თავის პათივისმცემელი მამაკაცი პირველივე შემხვედრს არ გაუზიარებს, მაგალითად, იმ ინტიმურ დეტალებს, თუ როგორ ატარებდა სასტუმროში დროს შავსათვალისან ქალიშვილთან, რომელსაც, თავის მხრივ, თუ, რა თქმა უნდა, სწორედ ის ქალიშვილია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ აქვე, თანაც ასე ახლოს, იმყოფებოდა ის, რომელმაც სამყარო თვალისმომჭრელ სითეთრედ უქცია. მოკლულთა შორის იყვნენ ასევე ტაქსის მძღოლი და ორივე პოლიციელი, და სამივე ეს ჯან-ღონით სავსე მამაკაცი, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი თავიც დაეცვათ და პროფესიიდან გამომდინარე სხვებზეც ეზრუნათ, თუმ-

ცა, თითოეულს თავისებურად, დაუნდობელმა ბედისწერამ ნაადრევად გაწირა და ახლა ელიან, თუ როგორ გადაწყდება მათი საქმე. ლოდინი კი მანამ მოუწევთ, სანამ ტყვიებს გადარჩენილნი დანაყრდებიან და ამის მიზეზი მათი დაუოკებელი ეგოიზმი როდია, არა, საქმე ის არის, რომ ვილაცამ ივარაუდა, თუ ერთადერთი ნიჩბით ცხრა საფლავის თხრას შევუდგებით, ვახშამდე ვერ მოვრჩებითო, ხოლო რაკი უსამართლობა იქნება, რომ ნაწილმა კეთილშობილური ზრახვით მიწა თხაროს, სანამ დანარჩენები მუცელს იყორავენ, გადაწყვიტეს, ეს საქმე გადაედოთ. საჭმელს უკვე ულუფებად დაყოფილს გზავნიან, ამიტომაც განაწილება გაადვილდა, ეს შენ, ეს შენ, ეს შენ, სანამ მუყაოს ყუთი არ დაიცლება. მაგრამ ის, რაც ჩვეულებრივ ვითარებაში ცხოვრებას აადვილებს, აქ სრულიად გამორიცხულია დაბალი შეგნების უსინათლოთა სიხარბის გამო, თუმცა, თუ სალად და მიუკერძოებლად ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებული გაუგებრობა, ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ექსცესები სულაც არ არის უსაფუძვლო, თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ გახვალ, უკან დაბრუნებულს საჭმელი შეიძლება აღარც დაგხვდეს. და, რა თქმა უნდა, ყველასთვის ცხადია, რომ ძალიან ძნელია დათვალო უსინათლოები და თითოეულს მისი ულუფა მისცე, როცა ვერც მშვივრებს ხედავ და ვერც საჭმელს. ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე პალატის ბინადარნი უწესოდ და უღირსად იქცევიან, კერძოდ, ცდილობენ ისე წარმოაჩინონ, თითქოს იმაზე მეტნი არიან, ვიდრე სინამდვილეში. გამოსავალი, როგორც ყოველთვის, ექიმის ცოლმა იპოვა, სწორედ ამიტომაც არის აქ. რამდენიმე დროულად ნათქვამ სიტყვას სიტუაციის განმუხტვა შეუძლია, ვრცელი ჭკუა-დარიგებით კი შეიძლება მეტად დაიძაბოს. მაგნე მიდრეკილებებსა და უზნეობას ავლენდნენ ისინიც, ვინც ცდილობდა, ულუფა ორჯერ აეღო, თანაც ახერხებდნენ კიდევ ამას. ექიმის ცოლმა ეს შენიშნა, მაგრამ ამჯობინა, ეს უმსგავსობა არ გაეხმაურებინა, რადგან შემოფოთდა, როცა წარმო-

იდგინა, თუ რა მოჰყვებოდა ამის გამოაშკარავებას, უკეთეს შემთხვევაში, ყველას მსახური გახდებოდა, უარესში - რამდენიმე რჩეულის მონა. სულ თავიდან გაჟღერებული რეკომენდაცია რომ შეესრულებინათ და პალატაში თავკაცი აერჩიათ, შეიძლებოდა, ეს უსიამოვნებანი თავიდან აეცილებინათ და ბევრად უფრო სერიოზული დაპირისპირებაც კი აღეკვეთათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლებას, რომელსაც მიანიჭებდნენ, რა თქმა უნდა, ძალიან სუსტსა და ძალიან მყიფეს, თანაც ყოველწუთიერად სადავოს, ყველას საკეთილდღეოდ გამოიყენებდა და უმრავლესობაც აღიარებდა. ახლა კი, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, ალბათ, ერთმანეთს დავერევით. გადაწყვიტა, ამ საშურ თემამზე ქმარს დალაპარაკებოდა და ულუფების დარიგება განაგრძო.

ზოგს ჭამის შემდეგ ძილი მოერია, ზოგს მეტად მგრძნობიარე კუჭი აღმოაჩნდა, მოკლედ, მიწის მთხრელის მოვალეობა დიდად არავის ხიბლავდა. მაშინ ექიმმა, იქიდან გამომდინარე, რომ მისი პროფესია ქვეყნად ყველაფრისადმი მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობდა სხვებთან შედარებით, გამოაცხადა, აბა, დროა, წავიდეთ, დავმარხოთო, მაგრამ მის მოწოდებას არავინ გამოხმაურებია. უსინათლოებს, საწოლებზე მიყრილებს, უნდოდათ, მშვიდად მოენელებინათ საჭმელი, რადგან განცდილი შიშისა და მღელვარების შემდეგ, მართალია, არა მაძლრად, მაგრამ მაინც, დანაყრებული სხეული ბიოქიმიურ განცხრომას ეძლევა. მხოლოდ მოგვიანებით, სანამ ბინდი ჩამოწვებოდა, როცა დღის მიწურულს სიკაშკაშე მოემატა მკრთალ ნათურებს, ოდნავ რომ ბჟუტავდა და ძლივს ანათებდა იმ მცირედს, რასაც სწვდებოდა, ექიმმა და მისმა ცოლმა უკანა ეზოში წასვლაზე ორი მეზობელი დაიყოლიეს, რომ თავიანთი წილი სამუშაო შეესრულებინათ და ცხედრები პალატების მიხედვით გადაერჩიათ. კიდევ კარგი, გადაწყდა, რომ ყველა პალატა თავისიანებს დამარხავდა. უსინათლოების, როგორც მესაფლავეების უდავო უპირატესობა ის იყო,

რასაც შეგვიძლია სინათლის ილუზია ვუწოდოთ. მათთვის მართლაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, დღე იყო თუ ღამე, მშვიდი რიჟრაჟი თუ ხმაურიანი შუადღე, უკვე შებინდდა თუ ინათა, რადგან ისინი მუდმივად რძისფერი თეთრი ნათების გარემოცვაში არიან, აი, ისეთის, ღრუბლებიდან გამონათებული მზე რომ აფრქვევს. და მათთვის სიბრმავე ნიშნავდა არა უკუნეთ სიბნელეს, არამედ კაშკაშა შარავანდს. როცა ექიმს წამოსცდა, ჩვენებს გადავარჩევთო, პირველმა უსინათლომ, იმ ორიდან ერთ-ერთი რომ იყო, ჰკითხა, როგორ გავარკვევთ, ჩვენები რომლები არიანო, და ამ შეკითხვის ლოგიკურობამ, თანაც ასე თვალში საცემმა, რადგან უსინათლომ დასვა, ექიმი დააბნია. ცოლმა კი გაიფიქრა, არ მივეშველები, თორემ ჩემს თავსაც გავცემო. ექიმმა რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევა თავად მოახერხა, თანაც მარჯვედ გამოიყენა შედავების რადიკალური მეთოდი, ანუ აღიარა შეცდომა. ჩვენ, თქვა დაცივით უფრო საკუთარი თავის მიმართ, იმდენად მივეჩვიეთ ჩვენს თვალებს, რომ ჯერ კიდევ გვგონია, თითქოს მათი გამოყენება შეგვიძლია, თუმცა, უკვე აღარაფრად გვარგია, მხოლოდ ის ვიცით, რომ ცხედრებს შორის ოთხი ჩვენია - ტაქსის მძღოლი, ორი პოლიციელი და კიდევ ერთი, ასე რომ, უნდა ავიღოთ პირველი ოთხი ცხედარი, მიწას მივაბაროთ და ამით ვალი მოვიხადოთ. პირველი უსინათლო დაეთანხმა, მეორეც, და ისევ რიგრიგობით შეუდგნენ საფლავების თხრას. სიბრმავის გამო ვერასდროს შეიტყობენ, რომ ოთხივე დამარხული სწორედ ისინი იყვნენ, რომელთა იდენტიფიკაციის თაობაზე ეჭვი გამოითქვა, და სრულიად ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ექიმი თითქოს შემთხვევით და ალაღბედად ეხებოდა ცხედრის ხელსა თუ ფეხს, რაშიც ცოლი ეხმარებოდა, რის შემდეგაც ამბობდა, ეს არისო. ორი რომ დამარხეს, პალატიდან კიდევ სამი პაციენტი გამოვიდა, მათაც გადაწყვიტეს, შეშველებოდნენ, თუმცა, ნამდვილად არ იზამდნენ ამას, ვინმეს რომ ეთქვა, უკვე გვიანი ღამეაო. რადგან ფსიქოლოგიის თანახმად, უსინათლოსთვისაც არ არის სულერთი,

დღის სინათლეზე თხრის საფლავს თუ მზის ჩასვლის შემდეგ. როგორც კი ახალმოვლენილი მესაფლავენი, გაოფლილები და მიწით დასვრილები, ჯერ კიდევ იმ შეგრძნებით, რომ ხრწნის მოტკბო სუნი ისევ ნესტოებში უღიტინებდათ, პალატაში დაბრუნდნენ, დინამიკის ხმამ ყველასთვის ცნობილი ინსტრუქციების გადმოცემა დაიწყო. მომხდარი, სროლა და მიჯრით ჩაცხრილულები არც უხსენებიათ. ამგვარი გაფრთხილებები, უნებართვოდ შენობის დატოვება სიკვდილით დაისჯება, ანდა, ცხედარი თავად იზოლირებულებმა, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე, გალავანთან უნდა დამარხონო, გასულ დღეს შეძენილი სავალალო გამოცდილების წყალობით, ცხოვრების სკოლაში ყველა ძირითად დისციპლინას რომ უძღვება, სრულიად გასაგებად გაჟღერდა, მაშინ როცა დღეში სამჯერ სურსათის შემოგზავნის დაპირება თავხედურ სარკაზმად ან სულაც უადგილო ირონიად აღიქმებოდა. დინამიკი რომ გაჩუმდა, ექიმი, რაკი უკვე საკმაოდ ადვილად იგნებდა გზას, მარტო მიადგა მეზობელი პალატის კარს და იქაურებს აცნობა, ჩვენები უკვე დავმარხეთო. შეგეძლოთ ჩვენებიც მიგეყოლებინათ, წელში არ გაწყდებოდითო, უპასუხა მამაკაცის ხმამ. ხომ შევთანხმდით, რომ ყოველი პალატა თავისიანებს დამარხავს, ჩვენი ოთხი ცხედარი ავარჩიეთ და მიწას მივაბარეთ. კარგი, უთხრა მეორე ხმამ, ხვალ დავმარხავთ, და უკვე სულ სხვა ინტონაციით ჰკითხა, რაო, საჭმელი აღარ მოუტანიათო. არაო, უპასუხა ექიმმა. აბა, რომ გამოგვიცხადეს, დღეში სამჯერ მოგიტანთო. ეჭვი მაქვს, რომ დანაპირებს ყოველთვის არ ასრულებენ. მაშინ ულუფები უნდა შევამციროთ, გაისმა ქალის ხმა. მართალს ამბობთ, თუ გნებავთ, ამაზე ხვალ მოვილაპარაკოთ. კეთილი, უთხრა ქალმა. ექიმი უკვე დერეფანში იყო, როცა მამაკაცმა, რომელიც პირველი გამოეპასუხა, ქალს ჰკითხა, ვითომ შენ ვინ ხარ, ჩვენ მაგივრად რომ გადაწყვიტო. პასუხის მოლოდინში ექიმი შეჩერდა, ქალმა კი უპასუხა, თუ ორგანიზება არ ვცადეთ,

ყველა შიმშილითა და შიშით დავიტანჯებით, და ძალიან სირცხვილია, დახოცილების დასამარხად რომ არ წავყევით. ჰოდა, აქ მორალის კითხვას, წასულიყავი, რაკი სინდისი გქენჯნის და ასეთი შეგნებული ხარ. მართო ვერ შევძლებ, დასახმარებლად კი მზად ვარ. კარგი, რას დავობთ, ისევ ჩაერთა მეორე მამაკაცი, ამ საქმეს ხვალ დილით მივხედოთ. ექიმმა ამოიოხრა, რადგან გული უგრძობდა, რომ ახალ მემობლებთან ურთიერთობა გაჭირდებოდა. უკვე თავისი პალატის კარისკენ მიდიოდა, მუცელი რომ აუწრიალდა. ეჭვი ეპარებოდა, რომ აქედან, იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა, შეძლებდა ტუალეტის მიგნებას, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ნეტავ ვინმეს მოეფიქრებინა და პროდუქტებთან ერთად მოტანილი ტუალეტის ქალღლი დაედო იქ. ორჯერ შეცდომით შეუხვია, უკან დაბრუნდა, სული კბილით ეჭირა, ისე უჭირდა, და როცა უკვე თავის შეკავება შეუძლებელი გახდა, მიადგა სანატრელ კარს და ძლივს მოასწრო შარვლის ჩაწევა და ჩაცუცქდა იატაკში გაჭრილი მრგვალი ნახვრეტის თავზე. სიმყრალისგან კინალამ გული აერთა. ჯერ მოეჩვენა, მაგრამ მერე დადასტურდა, რომ ფეხი რაღაც რბილსა და წებოვანში ჩადგა, თანაც სრულიად დარწმუნებით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ეს იყო ექსკრემენტი, იმის დატოვებული, ვინც ნახვრეტს ააცდინა, ანდა სულაც არ შეიწუხა თავი, რომ მოენახა, ფეხებზე დაიკიდა წესი და რიგი და უადგილო ადგილას მოისაქმა. ექიმმა სცადა წარმოედგინა ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა, მაგრამ მისთვის ყველაფერი ირგვლივ თვალისმომჭრელად თეთრი იყო, თეთრი იატაკიდან მისთვის უხილავ ჭერამდე, და უცებ აღმოჩნდა, რომ ამ სიკაშკაშესა და სითეთრეს ძალიან მყრალი სუნი ასდიოდა. ეს საშინელი მდგომარეობა ყველას ჭკუიდან შეგვშლის, გაიფიქრა მან. მერე, როცა გამოწმენდა დასჭირდა, გაიკვია, რომ არაფერი ჰქონდა. ზურგს უკან კედელი იგრძნო, სადაც რულონის საკიდი ან ლურსმანი მაინც უნდა ყოფილიყო, რომელზეც უარეს შემთხვევაში ქალღლის ნაგლეჯებს კიდებენ. არაფერია. ისე უბედურად იგრძნო თავი, ისეთი საშინელი

ზიზღისა და სიბრაღულის გრძნობა დაეუფლა, ტუალეტის ნახვრეტზე გადაჩახხულს ხელით ჩახდილი შარვლის ტოტები ეჭირა, ბინძურ იატაკს რომ არ შეხებოდა, დაბრმავებული, დაბრმავებული, დაბრმავებული, რომ თავი ველარ შეიკავა და ჩუმად ატირდა. გაჭირვებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, კედელს დაეჯახა, ხელი გაიშვირა, მერე მეორე და, როგორც იქნა, მიაგნო კარს. ფეხის ფრატუნისა და ბორძიკის ხმა მოესმა, ეტყობა, კიდევ ვიღაც ეძებდა ტუალეტს, და სად ჯანდაბაშიაო, ისე გულგრილად წაიბურტყუნა, თითქოს სულაც არ აინტერესებდა. ექიმს ნახევარ მეტრში ჩაუარა, ვერც კი მიხვდა, რომ აქ ვიღაც იმყოფებოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, უხერხული სიტუაცია არ შეიქმნა, თუმცა, შეიძლებოდა შექმნილიყო, ანდა რა გასაკვირია, როცა მამაკაცი ასე უბადრუკად გამოიყურება, ექიმს ბოლო მომენტში რომ არ შერცხვენოდა და შარვალი არ აეწია. მერე, რაკი იფიქრა, მარტო დავრჩიო, ისევე ჩაიხადა, უდროო დროს და უადგილო ადგილას დაეუფლა ეს სირცხვილის გრძნობა, იცოდა, რომ დასვრილი იყო, დასვრილი, ასე დასვრილი ცხოვრებაში არ ყოფილა. უამრავი გზა არსებობს, რომ პირუტყვად იქცე, გაიფიქრა მან, ეს მხოლოდ პირველია. ისე, წუხილი დიდად არ ღირს, რადგან მას მაინც ჰყავს გვერდით ადამიანი, უცოყმანოდ რომ ჩაბანს.

უსინათლოები დაწვნენ და ელოდნენ, როდის გაიღებდა ძილი მოწყალებას მათ უბედურებაზე. ექიმის ცოლი ფრთხილად, სხვებს რომ არ შეემჩნიათ, დაეხმარა ქმარს მეტ-ნაკლებად მოეწესრიგებინა თავი, თუმცა, ამ საცოდავ სანახაობას ისედაც ვერავინ დაინახავდა. პალატაში საავადმყოფოსათვის ჩვეულმა სინუმემ დაისადგურა, ისეთმა, როგორიც ისადგურებს იქ, სადაც ადამიანებს სძინავთ და ძილში იტანჯებიან. ექიმის ცოლი აკვირდებოდა საწოლების რიგებს, საბნებწაფარებულ უფორმო სხეულებს, ფერმკრთალ სახეს, ძილში გაქნეულ ხელს და საკუთარ

თავს ეკითხებოდა, ნუთუ ოდესმე ისიც დაბრმავდება და რა გაუგებარი მიზეზით არ მოხდა ეს აქამდე. დაღლილი მოძრაობით მიიტანა ხელები სახესთან, რომ თმა უკან გადაეწია, და გაიფიქრა, მალე ყველა ავქოთდებითო. ამ დროს გაისმა უცნაური ხმები, ხვნეშა, ოხვრა, ჩუმი შეყვირება, რაღაც გაუგებარი ბუტბუტი და ჩურჩული, თითქოს სიტყვებისგან შემდგარი, რომელთა აზრს მზარდი კრეშენდო ახშობდა და მერე მათ ყვირილად, ღრიალად, სასიკვდილო ხრიალად აქცევდა. ნამდვილი ღორები არიან რა, გაბრაზებულმა წამოიძახა ვილაცამ პალატის სიღრმიდან. მაგრამ ეს ღორები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ: უსინათლო მამაკაცი და უსინათლო ქალი, რომლებმაც, ალბათ, ერთმანეთის შესახებ ამის მეტი არც არაფერი იციან.

ცხადია, თუ შშიერი ხარ, ვერც დაიძინებ. ზოგიერთმა უსინათლომ თვალი მაშინ გაახილა, როცა დილაზე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, და ამ შემთხვევაში ამის მიზეზი იყო არა შიშხილი, არამედ ბიორიტმის არევა, თუ როგორც უწოდებენ, ეგონათ, რომ უკვე გათენდა, ამიტომაც იფიქრეს, გვეყოფა ძილიო, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ შეცდნენ, როცა გაიგონეს, და აქ ორი აზრი არც შეიძლება ყოფილიყო, როგორ სუნთქავენ ძილში მათი მეზობლები გვერდით საწოლებზე. ეს ხომ წიგნებიდან ვიცით, თუმცა, უფრო განვლილი ცხოვრების გამოცდილებიდან, რომ იმისთვის, ვინც გამთენიისას საკუთარი ნებით იღვიძებს, ანდა იძულებულია, ადრინადად ადგეს, სრულიად აუტანელია, რომ მისი თანდასწრებით ვიღაც ღრმა ძილს აგრძელებს, და კიდევ უფრო სამართლიანია ეს ჩვენი დაკვირვება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან ძალიან დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან უსინათლო, რომელსაც სძინავს, და უსინათლო, რომელსაც სრულიად უმიზნოდ აქვს თვალები გახელილი. მთელი ეს ფსიქოლოგიური მსჯელობანი, უაზროდ დახვეწილი იმ უბედურების საზარელი მასშტაბის ფონზე, რომლის აღწერასაც

ვცდილობთ ჩვენს მოთხოვნაში, მიზნად ისახავს მხოლოდ იმის ახსნას, თუ რატომ გაიღვიძეს უსინათლოებმა ასე ადრე და ყველამ ერთად, და თუ ერთნი, როგორც თავიდანვე ითქვა, შიმშილმა გააღვიძა, მეორენი ტოროლასთვის ჩვეულმა ნერვულმა მოუსვენრობამ გამოათხიზლა ძილიდან, და არ ჩათვალეს საჭიროდ იმაზე ჩუმად ყოფილიყვნენ, ვიდრე ეს აუცილებელი და დასაშვებია ყაზარმის თუ საავადმყოფოს ბინადართა შორის. აქ ხომ არა მართო წესიერი, ზრდილი, არამედ სრულიად გაუთლელი და უხეში ადამიანებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც არად აგდებენ გვერდზე მყოფთ და ყოველ დილით, გაღვიძებულნი, თავს უფლებას აძლევენ, ამოახველონ ან ჰაერი გააფუჭონ, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ასევე იქცევიან დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რის გამოც შენობაში სუნთქვა ჭირს, და ამას არაფერი ეშველება, განიავება მხოლოდ კარის გაღებით შეიძლება, რადგან ფანჯრები, როგორც ადრე მოგახსენეთ, ისე მაღლაა, ვერავინ მისწვდება.

ექიმის ცოლი ქმარს გვერდით მიუწვა, მთელი სხეულით მიეკრა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საწოლი ვიწრო იყო, არამედ ძლიერ ვნებას განიცდიდნენ, და ღმერთმა უწყის, როგორ გაუჭირდათ ღამე თავის შეკავება, რომ არ დამსგავსებოდნენ იმათ, ღორები ვისაც უწოდეს. ექიმის ცოლმა საათს დახედა. სამის ოცდასამი წუთია. მზერა მიაშტერა და დაინახა, რომ წამმზომი ისარი გაჩერებულიყო. მომართვა დამავიწყდა, დასწყევლოს ღმერთმა, ეს საათიც და მეც, რომ ასეთი მცირედიც კი ვერ მოვახერხე სულ რაღაც სამ დღეში მას შემდეგ, რაც აქ გამომკეტეს. თავი ვეღარ შეიკავა, ისე მწარედ აქვითინდა, თითქოს ეს წუთია რაღაც წარმოუდგენელი უბედურება დაატყდა თავს. ექიმმა იფიქრა, რომ ცოლიც დაბრმავდა და მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, და კინაღამ ხმამაღლა ჰკითხა, ვეღარ ხედავო, და მხოლოდ ბოლო მომენტში გაიგონა, როგორ წასჩურჩულა ცოლმა,

არა, არა, არ დავბრმავებულვარ, მერე თავზე საბანი წაიფარა, ქმარსაც წააფარა და ჩუმად უთხრა, სულ გამოვშტერდი, საათის მომართვა დამვიწყებია, და ისევ მწარედ ატირდა. მოპირდაპირე მხარეს საწოლიდან შავსათვალისანი ქალიშვილი წამოდგა და ხელებგაშვერილი გაემართა საწოლებს შორის იქით, საიდანაც ქვითინის ხმა მოესმა. რა მოხდა, რა დაგემართათ, იმეორებდა გზად, სანამ ორივე ხელით არ წააწყდა ჩახუტებულ სხეულებს. მოერიდა, მაშინვე უნდოდა, ხელი უკან წაეღო და ტვინმაც, რა თქმა უნდა, ასეთი ბრძანება გასცა, მაგრამ ხელები არ დაემორჩილა, ოღონდ მათი შეხება უფრო ნაზი, მსუბუქი, ანაზღეული გახდა და მხოლოდ თითის წვერებითღა ეხებოდა ხაოიან, ნესტიან, თბილ საბანს. მე ვერ დაგეხმარებით, ჰკითხა ქალიშვილმა და მხოლოდ ახლა მოაშორა ხელები, მერე ზემოთ აღმართა და უღონოდ ჩაუშვა სტერილურ სითეთრეში. ექიმის ცოლი, რომელიც ტირილს ვერ იკავებდა, საწოლიდან წამოდგა და ქალიშვილს გადაეხვია, არაფერია, ეს ისე, დარდი შემომაწვა. რაკი თქვენც, ასეთი თავდაჯერებულო, სასოწარკვეთილებამ შეგიპყროთ, ესე იგი, მართლაც არ ყოფილა ჩვენი საშველი, საცოდავად თქვა მან. დამშვიდდი, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, თან სახეზე აკვირდებოდა, კონიუნქტივიტი სულ მოურჩა, რა სამწუხაროა, ამის თქმა რომ არ შემიძლია, თორემ გაგახარებდი. ჰო, ალბათ, გაუხარდებოდა, თუმცა, ეს უაზრობაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ხედავს, არამედ იმიტომ, რომ გარშემო ყველა ბრმაა, და რა საჭიროა ჯანმრთელი, ლამაზი თვალები, თუ ამ თვალებში ვერავინ ჩაგხედავს. ექიმის ცოლმა უთხრა, ყველას გვაქვს სისუსტის წუთები, კიდევ კარგი, ტირილი მაინც რომ შეგვიძლია, ზოგჯერ ცრემლი შვებას გგვრის, ხანდახან თუ არ იტირე, შეიძლება გული გაგისკდეს. არა, ჩვენი საშველი არ არის, გაიმეორა შავსათვალისანი ქალიშვილმა. ეს სენი არაფერს ჰგავს, იქნებ როგორც გაჩნდა, ისევე გაქრეს. მკვდრებს აღარაფერი ეშველებათ. ოდესმე ყველა მოვკვდებით. მაგრამ მე კაცი მოვკალი. რა შენი ბრალი იყო, შემთხვევით მოხდა,

აქ ბრალი ყველას მიგვიძღვის და არც მიგვიძღვის, ჯარისკაცებმა, რომლებიც გვდარაჯობენ, ბევრად დიდი უბედურება დაატრიალეს, მაგრამ მათაც შეუძლიათ თავი იმართლონ ქვეყნად ყველაზე ძლიერი არგუმენტით, თქვან, რომ შეეშინდათ. ნეტავ ასე რამ გამაღიზიანა მაშინ, დიდი ამბავი, იმ უბედურმა თუ ხელი წამიფათურა, ვითომ რა დამაკლდებოდა, სამაგიეროდ ახლა ცოცხალი იქნებოდა. ამაზე ნულარ ფიქრობთ, დაწექით, ეცადეთ, დაიძინოთ. საწოლთან მიიყვანა. აი, დაწექით. რა კეთილი ხარო, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა და ხმადაბლა დასძინა, არ ვიცი რა ვქნა, მგონი, მენსტრუაცია მეწყება, ტამპონები კი არა მაქვს. მოგცემთ, მე მაქვს. შავსათვალიანმა ქალიშვილმა გამაღიზიანა ხელები მისკენ გაიშვირა, ექიმის ცოლმაც ჩასჭიდა ხელები. დამშვიდდით, დამშვიდდით. ქალიშვილმა თვალები დახუჭა, დაახლოებით ერთ წუთს იწვა ასე და, ალბათ, ჩაიძინებდა, ჩხუბი რომ არ მომხდარიყო, რომელიც იმის გამო ატყდა, რომ ერთ-ერთი უსინათლო საპირფარეშოში წავიდა, ხოლო რომ დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მისი საწოლი სხვამ დაიკავა, თუმცა, უნდა ითქვას, არა განზრახ, რადგან ისიც იმავე საჭიროებისათვის იყო გასული, კარში ერთმანეთსაც კი შეეჯახნენ და, რა თქმა უნდა, არც ერთს არ უთქვამს, იცოდე, რომ დაბრუნდები, საწოლი არ შეგეშალოსო. ექიმის ცოლი წამოდგა, შეხედა, როგორ კამათობდა ორი უსინათლო, და შენიშნა, რომ ჟესტიკულაციას არ მიმართავდნენ და თითქმის უძრავად იდგნენ, რა მალე მიმხვდარან, რომ ახლა აზრი მხოლოდ მეტყველებას და ყურთასმენას აქვს, ჰო, რა თქმა უნდა, შეიძლება, რომ იტყვიან, ხელჩართულ ჩხუბამდეც მისულიყო საქმე, კიდევ კარგი, რომ ხელები მაინც თავის ადგილზე აქვთ, ესე იგი, შეუძლიათ ერთმანეთს დაარტყან, ჩააცხონ, გაულაწუნონ, მაგრამ შეცდომით დაკავებული საწოლი არ ღირს ამაღ, ნეტავ სხვა უბედურება არაფერი მოხდეს, და აი, ისინი უკვე შერიგდნენ. ესე იგი, ჩემი მეორეა, შენი - მესამე, ჰოდა,

ამიერიდან ასე იყოს, გასაგებია. ეს არ მოხდებოდა, უსინათლოები რომ არ ვყოფილიყავით. მართალია, ძალიან ცუდია, როცა უსინათლო ხარ. ექიმის ცოლმა ქმარს უთხრა, აქ მთელი სამყაროა მოქცეული. მთელი არა. საჭმელი, მაგალითად, გარედან შემოდის, თანაც დაგვიანებით. ყოველი პალატიდან რამდენიმე კაცი ვესტიბიულში გადის, იქ პოზიციას იკავებს, ელოდება დინამიკის ბრძანებას. მოუთმენლობისგან ცქმუტავენ, იციან, რომ ეზოში უნდა გავიდნენ და წამოიღონ ყუთები, რომლებსაც, შეპირებისამებრ, ჯარისკაცები ჭიმკრიდან ზღურბლამდე შუა გზაზე დატოვებენ, იციან, მაგრამ ეშინიათ, რაიმე მუხანათობა არ ჩაიფიქრონ, ვინმე არ ჩაუსაფრდეთ, მახე არ დაუგონ. რა ვიცით, რომ არ ჩაგვცხრილავენ. მას შემდეგ, რაც ჩაიღინეს, ყველაფერი მოსალოდნელია. მათი ნდობა არ შეიძლება. არსადაც არ წავალ. არც მე. ვინმე ხომ უნდა წავიდეს, ჭამა-სმა ხომ გვინდა. ისე, იქნებ ერთბაშად ტყვიით სიკვდილი ჯობია, შიმშილით სიკვდილს. მე წავალ. მეც. ყველა ვერ წავალთ. ჯარისკაცებს ეს შეიძლება არ მოეწონოთ ან შეეშინდეთ, ეგონოთ, რომ გაქცევას ვაპირებთ, მგონი, სწორედ ამის გამო მოკლეს ის, ფეხი რომ სტკიოდა. მოკლედ, უნდა გადაფწყვიტოთ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხომ გახსოვთ, გუშინ რაც მოხდა, ცხრა მოკლული, არც მეტი, არც ნაკლები. ჯარისკაცებს ჩვენი ეშინიათ. მე კი მათი. ისე, საინტერესოა, ისინიც დაბრმავდებიან. ვინ ისინი. ვინ და ჯარისკაცები. ჩემი აზრით, პირველ რიგში. ამას ყველა დაეთანხმა და არც იკითხეს, რატომ, მათ შორის ისეთიც არავინ აღმოჩნდა, ვინც თუნდაც ერთ მიზეზს დაასახელებდა, თუნდაც ასეთს, რომ სროლა ვეღარ შეძლონო. დრო გადიოდა, დინამიკი კი დუმდა. რა ქენით, თქვენები დაკრძალეთ, ისე, სხვათა შორის იკითხა უსინათლომ პირველი პალატიდან. ჯერ არა. გვამები უკვე იხრწნება, აქაურობა სულ მოიწამლება. იხრწნება და გაიხრწნას, მოწამლოს ყველაფერი, თითსაც არ გავანძრევ, სანამ საჭმელს არ მოგვცემენ, ნათქვამია, ჯერ ჭამა და მერე საქმეო.

წეს-ჩვეულების თანახმად, ეს გამონათქვამი მცდარია, რადგან ჭირისუფალნი დაკრძალვის შემდეგ იხდიან ქელეხს. ესე იგი, ჩემთვის პირიქითაა. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთმა უსინათლომ თქვა, იცით, რა მაინტერესებს. მაინც რა. საჭმელს როგორ გავანაწილებთ. როგორც ადრე, ხომ ვიცით, რამდენი ვართ, ულუფებს დავითვლით, ყველა თავის წილს მიიღებს, ძალიან მარტივი და სამართლიანია. ეს რომ არ ამართლებს, ზოგს ერთი ლუკმაც არ ხვდება, ზოგი კი ორის ულუფას ჭამს. ესე იგი, სწორად არ განაწილდა. სულ ასე იქნება, სანამ წესრიგს არ დავიცავთ. ეჰ, ნეტავ ვინმე გვყავდეს ისეთი, ოდნავ მაინც რომ ხედავდეს. ჰო, და ისე გაანაწილოს, რომ ყველაფერი შენ გერგოს. ტყუილად როდია ნათქვამი, უსინათლოთა ქვეყანაში ცალთვალა მეფეაო. რა შეგვაწუხე ამ შენი ბრძნული გამონათქვამებით. ეს სხვა გამონათქვამია. არა, აქ ცალთვალაც ვერაფერს გახდებოდა. მე კი მგონია, რომ საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ სურსათს პალატების მიხედვით თანაბრად გავანაწილებთ, მერე კი იქ თავად გაინაწილონ ერთმანეთში. ეს ვინ თქვა. მე. ვინ, შენ. მე, მე-მეთქი. რა თხასავით მე-მე აგიტყდა, თქვი, რომელი პალატიდან ხარ. მეორიდან. ამიტომაც მოგაფიქრდა ეს, იქ ცოტანი ხართ, ესე იგი, თითოეულს მეტი საჭმელი გერგებათ, ვიდრე დანარჩენებს, რადგან ჩვენთან, მაგალითად, ყველა საწოლი დაკავებულია. ანდაზა გვეუბნება, ვინც ანაწილებს და საუკეთესო წილს თავისთვის არ იტოვებს, ან სულელია, ან განაწილება არ შეუძლიაო. რა ტვინი წაიღე ამ შენი ანდაზებით, ხომ გითხარი, მოკეტე, თორემ რაღაცას გამომტყუებ. მე კი ფიქრობ, მთელი საჭმელი სასადილოში უნდა წავიღოთ, ყოველმა პალატამ სამსამი კაცი გამოყოს, ჰოდა, ისინი გაანაწილებენ, თან ერთმანეთს გააკონტროლებენ, რომ ვინმემ არ იეშმაკოს. ის როგორღა გავარკვიოთ, მართალს იტყვიან თუ არა, პალატაში ამდენი და ამდენი ვართო. ჩვენც პატიოსანი ხალხი შევარჩიოთ. ამაზვც არის

ბრძნული ნათქვამი. გეყოფა, ამჯერად მე ვიტყვი, მომისმინე, მეგობარო, ძნელი სათქმელია, რამდენი წესიერი ადამიანია აქ, ჭამა კი ყველას გვინდა.

და იმავე წამს, იმის მოლოდინში რომ იყვნენ, როდის ითქმებოდა კოლური სიტყვა, გაიცემოდა ბრძანება ან წარმოითქმებოდა რეზილიკა, გაიღე, სეზამ, როგორც იქნა, დინამიკიდან ხმა გაისმა: ყურადღება, ყურადღება, კარანტინში მყოფთ ნება ეძლევათ, გამოვიდნენ და აიღონ მოტანილი სურსათი, ჭიშკართან მიახლოების შემთხვევაში მიიღებთ ზეპირ გაფრთხილებას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ცეცხლს გავხსნით. უსინათლოები ნელა გაუდგნენ გზას, თანაც ყველაზე თავდაჯერებულებმა აირჩიეს ის გზა, რომელიც, მათი ვარაუდით, პირდაპირ გასასვლელისკენ მიდიოდა, დანარჩენები, ასე დარწმუნებული რომ არ იყვნენ ახალშეძენილი ორიენტირების უნარში, კედელს გაუყვნენ, რაც ამცირებდა გზის აბნევის რისკს, რადგან საკმარისია, კუთხეს მიაღწიო, მერე მკვეთრად მოუხვიო და კარსაც მიაღებები. დინამიკმა მოწოდება მკაცრად და სწრაფად გაიმეორა და ამ სიმკაცრემ, რომელიც უცნაურად მოეჩვენათ იმათაც კი, ვისაც არაფერი ემუქრებოდა, შეაშინა უსინათლოები. ერთმა განაცხადა, არსადაც არ წავალ, გარეთ გაგვიტყუებენ და დაგვხოცავენ. არც მე წავალ, აიტაცა მეორემ. არც მე, აჰყვა მესამე. დამფრთხალი უსინათლოები ერთ ადგილას გაშემდნენ, მათი შიში სხვებსაც გადაედო. ისევ იჭექა ხმამ: სამ წუთში თუ არ გამოხვალთ, ყუთებს უკან წავიღებთ. მუქარამ შიში ვერ ჩაკლა, თუმცა, ცნობიერების შორეულ კუთხეში მიაღწევდია, სადაც დევნილი ნადირივით გაიტრუნა, რომ საჭირო მომენტში თავდასხმაზე გადასულიყო. დაზაფრული უსინათლოები, ერთმანეთს ამოფარებულნი, ზღურბლზე გავიდნენ. ვერ ხედავდნენ, რომ ყუთები სულაც არ ეწყო იქ, სადაც ვარაუდობდნენ, ანუ კიბის ქვედა საფეხურთან, არც ის იცოდნენ, რომ ჯარისკაცებმა, რომლებსაც ეშინოდათ, სენი არ შეჰყროდათ,

იქამდეც არ მიიტანეს ყუთები, სადამდეც თოკი სწვდებოდა, და-
ახლოებით იქ დააწყვეს, სადაც გუშინ ექიმის ცოლმა ნიჩაბი
აიღო. გაინძერით, გაინძერით, დაუყვირა სერჟანტმა. უსინათ-
ლოებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებოდნენ, სცადეს, ჩამ-
წკრივებულიყვნენ, მაგრამ სერჟანტმა არ დაანება: ყუთები იქ არ
არის, ხელი უშვით თოკს, ხელი უშვით-მეთქი, მარჯვნივ წადით,
იქით არა, მარჯვნივ-მეთქი, თქვენგან მარჯვნივ, ლენჩებო, იმის-
თვისაც თვალები გჭირდებათ, რომ გაარკვიოთ, მარჯვენა ხელი
საით გაბიათ. ბრძანება დროულად გაისმა, რადგან იმ უსინათ-
ლოებმა, რომლებიც შედარებით შეზღუდული ამროვნებით გა-
მოირჩეოდნენ, სერჟანტის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით
გაიგეს, რაკი მარჯვნივ, ესე იგი, მარჯვნივ მოლაპარაკისგან, ამი-
ტომაც თოკს თუ მოშორდებოდნენ, ღმერთმა უწყის, ყუთების
ძებნაში სად აღმოჩნდებოდნენ. სხვა სიტუაციაში ყველაზე თავ-
შეკავებული კაციც კი სიცილით ჩაბჟირდებოდა ამ გროტესკულ
სანახაობაზე, როცა ზოგი უსინათლო ოთხით მიფორთხავდა,
ლამის ცხვირით მიწას თხრიდა, როგორც ღორი დინგით, თანაც
წინ გაშვერილ ხელს ჰაერში იქნევდა, ზოგი კი, ეტყობა, იმის ში-
შით, ღია თეთრ სივრცეში არ დაბნეულიყო, გააფთრებით ჩაბ-
ლაუჭებოდა თოკს, ყურდაცქვეტილი იმის მოლოდინში, რომ აი,
ახლა გაიგონებდა რომელიმეს შეძახილს, ყუთები ვიპოვეო. ჯა-
რისკაცებს კი ერთი სული ჰქონდათ, გულგრილად და ერთიმეო-
რის მიყოლებით, დამიზნებით ჩაეცხრილათ ეს უბადრუკები,
აქეთ-იქით რომ დაფორთხავდნენ, მარწუხმოტეხილ საცეცხვე
დაყრდნობილი კიბორჩხალებივით. გაიგონეს, დღეს მწყობრში
დადგომისას პოლკის უფროსი როგორ ირწმუნებოდა, პრობლე-
მის გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გავ-
წყვეტთ უკლებლივ ყველასო, იმათაც, ვინც უკვე დაბრმავდა, და
იმათაც, ვინც დაბრმავების კანდიდატია, არ ავყვებით რაღაც

ყალბ ჰუმანისტურ მოსაზრებებს და მტკიცედ ვიმოქმედებთ, ქირურგის მსგავსად, სხეულის გადასარჩენად განგრენიან ნაწილს რომ კვეთსო, თვალსაჩინოებისთვის კი მაგალითად მოიყვანა, ცოფიან ძაღლს სიკვდილის მეტი არაფერი უშველისო. ზოგიერთი ჯარისკაცი, ხატოვანი აზროვნების აღქმა რომ უჭირდა, მაშინვე ვერ მიხვდა, რა კავშირი იყო ცოფიან ძაღლსა და უსინათლოებს შორის, მაგრამ პოლკის უფროსის ყველა სიტყვას, მისივე სტილით თუ ვიტყვით, ოქროსი თუ არა, ტყვიის ფასი მაინც აქვს, რადგან ვერავინ ისე ვერ დაწინაურდება ჯარში, თუ არ დაამტკიცა, რომ ყველაფერს და ყოველთვის სწორად ფიქრობს, ამბობს და აკეთებს. როგორც იქნა, ერთი უსინათლო მიადგა ყუთებს, გადაეფოფრა და აყვირდა, აქ არის, აქ, და თუ ამ ადამიანს ოდესმე თვალი ისევ აეხილა, არა მგონია, ეს გამოგნებელი ამბავი ვინმეს ასეთი სიხარულით ამცნოს. წამებში დანარჩენებიც მიცვივდნენ ყუთებს და ატყდა ზედახორა, ხელები და ფეხები ისე აირია ერთმანეთში, ვეღარ არკვევდნენ, რომელი ვისი იყო და დაიწყეს დავა, მე წავიღებ და არა მეო. იმათ, ვინც თოკს ჩაჭიდებულმა არჩია სიარული, ახლა სხვა შიში დაეუფლათ, იფიქრეს, რაკი ვიზობინეთ და შიშს ავეყვით, საჭმელს არ გაგვაკარებენო: არ იკადრეთ ოთხით ხოხვა, შეგეშინდათ, ტყვია არ მოგხვედროდათ, ჰოდა, ახლა იშიმშილეთ, ხომ გახსოვთ ხალხური სიბრძნე, ვინც დაიზარაო, არ გაიხარაო. ამ სენტენციით შთაგონებულმა ერთ-ერთმა უსინათლომ თოკს ხელი უშვა და ჰაერში ხელების ქნევით იქით გაეშურა, სადაც მთელი ეს ზედახორა იყო. არა, განზე ვერ დავრჩებიო. უცებ ხმაური მიწყნარდა, მხოლოდ გაუგებარი შეძახილები, ერთმანეთში არეული ხმები ისმოდა, ყველგან და არსაიდან. უსინათლო შეყოყმანდა, საიმედო თოკთან დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ორიენტირების უნარი სულ დაკარგა, რადგან მის თეთრ ცაზე ვარსკვლავები არ ჩანს, და მხოლოდ სერჟანტის ხმა ესმის, ესმის მისი ბრძანება, კიბესთან მიათრიონ ყუთები, თუმცა, ამ სიტყვებს მნიშვნელობა მხოლოდ იმათთვის ჰქონდა, ვინც ყუთებთან მიფორთხდა, მან კი,

იქამდე რომ მიაღწიოს, სადაც სხვები არიან, ჯერ უნდა გაიგოს, სად იმყოფება. თოვს უკვე არც ერთი უსინათლო აღარ ეჭიდება, უკან ადვილად დაბრუნდნენ და ახლა ზღურბლზე ელოდებიან დანარჩენების დაბრუნებას. ამ უსინათლომ კი ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ გაბედა და სასოწარკვეთილმა დაიღრიალა, დამემარეთო, ის კი არ იცოდა, რომ ჯარისკაცებს უკვე მიზანში ჰყავთ ამოღებული და მხოლოდ იმას ელიან, როდის გადალახავს უხილავ მიჯნას, რომლის მიღმაც სიცოცხლე სიკვდილად იქცევა. რაო, შე ლენჩო, გაეჩხირე, აქ დარჩენა გადაწყვიტე, ჰკითხა სერჟანტმა, სხვათა შორის, ცოტა განერვიულებულმა, რადგან თავისი მეთაურის აზრს არ იზიარებდა, ფიქრობდა, რა ვიცი, რომ ეს უბედურება ხვალ მე არ დამატყდება თავსო. რაც შეეხება ჯარისკაცებს, მათ, რა თქმა უნდა, თუ ეტყვიან, დახოცეთო, დახოცავენ, თუ ეტყვიან, მოკვდითო, მოკვდებიან. სანამ ბრძანებას არ გავცემ, სროლა არ გაბედოთ, დაიყვირა სერჟანტმა. ახლა კი მიხვდა უსინათლო, რა საფრთხე ემუქრება. მუხლებზე დაეცა, შეევედრა, მომემარეთ, ღვთის გულისთვის, მითხარით, საით წავიდეო. აქეთ, შე ბრმაო, აქეთ, და სწორედ იქ მოხვდები, სადაც მიდიხარ, ყალბი კეთილგანწყობით შეეხმიანა ერთ-ერთი ჯარისკაცი, უსინათლო წამოდგა, სამი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ გაშეშდა, რატომღაც ინტონაციამ დააფრთხო. და მიხვდა, რომ თუ იქით წავა, საითაც ეუბნებიან, იქ კი არ მოხვდება, სადაც მიდის, არამედ მას მოხვდება ტყვია და ეს სიბრმავე სხვა სიბრმავეთ შეეცვლება. მაგრამ ღვარძლიანი ჯარისკაცის თვითნებობა მაშინვე ომახიანი შეძახილით აღკვეთა სერჟანტმა, გაჩერდი, შებრუნდი, და იქვე მკაცრად მოუწოდა წესრიგისკენ თავხედს, რომელიც, როგორც ჩანს, ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებსაც იარაღი ხელში არამც და არამც არ უნდა მისცე. სერჟანტის ასე სასიკეთოდ ჩარევით შეგულიანებული უსინათლოები, რომლებ-

მაც უკვე მიაღწიეს კიბის ქვედა საფეხურებს, ზღურბლზეც ავიდნენ და იქ გამაყრუებელი ღრინანცელი ატეხეს, რამაც ერთგვარი მაგნიტური პოლუსივით იმოქმედა სწორ მიმართულებას აცდენილ უსინათლოზე და იმედიანად წავიდა წინ. იყვირეთ, იყვირეთო, იხვეწებოდა თავისთვის, უსინათლოები კი ტაშით ეგებებოდნენ როგორც სპრინტერს, დამქანცველ მართონში რომ გაიმარჯვა, და ალტაცებულები გადაეხვივნენ. მაშ, როგორ, მეგობრები ხომ ჭირში იცნობა, ნამდვილია ეს ჭირი თუ მოგონილი.

ამ ძმაბიჭობამ დიდხანს არ გასტანა. ზოგიერთმა უსინათლომ აურზაურით ისარგებლა, გაიპარა და თან გაიყოლა რამდენიმე ყუთი, ანუ რამდენიც შეძლო, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ცოტა ხნის წინ გამოხატულ და საკმაოდ კეთილშობილურ განზრახვას, აღეკვეთათ სურსათის უსამართლო განაწილება. მათ კი, ვინც კეთილსინდისიერი იყო, სხვათა შორის, ისინი მუდამ იმაზე მეტი არიან, ვიდრე გვგონია, აღშფოთებულებმა აღიმაღლეს ხმა, ასე ცხოვრება შეუძლებელიაო, თუკი ერთმანეთის ნდობა არ გვექნა, რა შედეგებამდე მივალთო, სვამდნენ ისინი რიტორიკულ შეკითხვას, მაშინ, როცა სხვები სრულიად სამართლიანად მრისხანედ აცხადებდნენ, აი, ვნახავთ, რაც მოუვათ, რაღაცას გამოგვტყუებენო, და ამ თაღლითებს მართლა კი არ უნდოდათ ვინმესთვის რამე გამოეტყუათ, ალბათ, მიხვდით, რომ ეს სიტყვა მხოლოდ იმიტომ ვიხმარეთ, რომ ზუსტად ესადაგება სიტუაციას. უკვე ვესტიბიულში შეკრებილი უსინათლოები შეთანხმდნენ, რადგან არსებული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია, რომ დარჩენილი ყუთები ორივე პალატას შორის თანაბრად განაწილდეს, თანაც რომელს რომელი ერგება, კენტისყრით გადაწყვეტენ, და შექმნან კომისია, შერეული, თანასწორუფლებიან საფუძველზე, რომელიც გამოიძიებს დატაცების ფაქტს, ხოლო უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რამდენიმე ყუთის მოპარვას, და მათ დასაბრუნებლად ენერგიულ ზომებს მიმართავს. ერთხანს იმაზე კამათს შეჰყვნენ, თუ როგორი თანამიმდევრობით ემოქმედათ, ანუ

ჯერ ეჭამათ და მერე გამოეძიათ, თუ პირიქით, ბოლოს გაიმარჯვა აზრმა, რომ ჯერ მრავალსაათიანი იძულებითი მარხვის გამო გამძვინვარებული შიმშილი დაეოკებინათ, მერე კი საქმისთვის მიეხედათ. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ თანაპალატელები დასაკრძალი გყავთ, შეახსენა ვილაცამ პირველი პალატიდან. ჯერ არ დაგვიხოცავს და უკვე დამარხვას გვთხოვ, უპასუხა ვილაც ენამოსწრებულმა მეორე პალატიდან, რაზეც ყველას გაეცინა. ისე, ძალიან მალე სიცილის ხასიათზე აღარავინ იყო, რადგან გაირკვა, რომ ქურდები პალატებში არ იყვნენ. ორივე პალატის კართან საჭმლის მოლოდინში უკვე კარგა ხანია იდგნენ უსინათლონი, რომლებმაც, თითქოს გაიგონეს, როგორ ჩაიქროლა რამდენიმე კაცმა, ფეხის ხმით მიხვდნენ, მაგრამ პალატებში არავინ შესულა და არც პროდუქტები შეუტანიათ, ამაზე კი შეუძლიათ დაიფიცონ. ვილაცამ მოიფიქრა, რომ არამზადების ამოცნობის საუკეთესო საშუალება იქნება, თუ ყველა თავის საწოლს დაიკავებს, და რომლებიც ცარიელი დარჩება, გაირკვევა, რომ სწორედ მათი პატრონები არიან ქურდები, მერე კი დაელოდონ და როცა მოვლენ სადღაც ფარულად დანაყრებულები, მაშინ დაერიონ და საკადრისად მიუბღან, რომ შემდგომში ვეღარ გაბედონ საზოგადოებრივი საკუთრების წმიდათაწმიდა პრინციპის შელახვა. ამ სამოქმედო გეგმას, რომელიც ჭკვიანურად მოფიქრებული და აშკარად სამართლიანი იყო, ერთი არსებითი ნაკლი ჰქონდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მის განსახორციელებლად უნდა გადაედოთ, თანაც გაურკვეველი დროით, ნანატრი და უკვე გაცივებული საუზმე. იქნებ ჯერ გვეჭამა, შესთავაზა ერთმა და უმრავლესობა დაეთანხმა, ჰო, ასე ჯობიაო. სამწუხაროდ, მუხანათური ქურდობის შემდეგ საჭმელი აღარც კი იყო დარჩენილი. წარმოგიდგენიათ, სანამ კლინიკის მიყრუებულ კუთხე-კუნჭულებში ის უსინდისო ნაძირალები ორ-ორ, სამ-სამ ულუფა საჭმელს მიირთმევენ, რომელსაც, სხვათა შორის, ახლა ბევრად

გემრიელსა და მრავალფეროვანს გზავნიან და რომელიც ცივი რძიანი ყავისგან, ორცხოობილასა და მარგარინიანი ჰურისგან შედგება, პატიოსან, ღირსეულ ადამიანებს სხვა არაფერი დარჩენიათ, არა, ჯერ ბოლომდე არ გვითქვამს, რალაც მაინც დარჩათ, ანუ იმის თქმა გვინდა, რომ სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ დასჯერდნენ მცირედს, ძალიან მცირედს, რადგან თეფშზე ბევრად ნაკლები დევს, ვიდრე უნდა იდოს. გარედან გაისმა და მარჯვენა ფრთის ბინადრებმა, გამალეხულნი რომ შეექცეოდნენ თავიანთ ღარიბულ საჭმელს, გაიგონეს დინამიკის ხმა, რომელიც მარცხენა ფლიგელის ბინადართ მოუწოდებდა, მათთვის განკუთვნილი პროდუქტების წასაღებად გასულიყვნენ. და უცებ ამკარად არაჯანსაღი ატმოსფეროს ზემოქმედებით, ამაზრზენი ქურდობის მერე რომ შეიქმნა, ერთ-ერთ უსინათლოს, როგორც იტყვიან, გონება გაუნათდა, მოდი, ვესტიბიულში დავუდარაჯდეთ, ჩვენს დანახვაზე შეშინდებიან და შეიძლება ერთი-ორი ყუთი დავტყუოთო, მაგრამ ექიმმა დაამუნათა, განა ეს სწორი საქციელი იქნება, როგორ შეიძლება, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს უსამართლოდ მოექცეო. ჭამა რომ დაამთავრეს, ექიმის ცოლმა შავსათვალისანი ქალიშვილის დახმარებით ეზოში გაიტანა მუყაოს ყუთები, რძისა და ყავის ცარიელი ჭურჭელი, ქალაღლის თეფშები, ჭიქები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც არ იჭმებოდა. ნაგავი უნდა დაფრვათ, თქვა მან, თორემ ეს საშინელი ბუზები შეგვჭამენო.

თავ-თავიანთ საწოლზე ჩამომსხდარი უსინათლოები ელოდნენ, როდის დაბრუნდებოდნენ გზააბნეული ცხვრები. ნამდვილი აფთრები არიან, გაბრაზებულმა თქვა ერთმა და სულაც ვერ მიხვდა, რომ უპასუხა იმის პასტორალურ რემინისცენციას, ვისაც ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ სხვაგვარად აზრის გადმოცემა არ ძალუძს. ის გარეწრები კი არ ბრუნდებოდნენ, ეტყობა, არცთუ საფუძვლიანად ივარაუდეს, რომ სასჯელი ელოდათ, რადგან აღმოჩნდებოდა მათ შო-

რისაც ვინმე ისეთი, გონიერებით რომ არ ჩამოუვარდებოდა უსინათლოს, რომელმაც ფიზიკური ანგარიშსწორების იდეა წამოაყენა. წუთი წუთს მისდევდა და უსინათლოები ერთმანეთის მიცოლებით დასაძინებლად წვებოდნენ, ზოგს უკვე ჩასძინებოდა კიდევ. რას ჰგავს ეს, ბატონებო, ჭამისა და ძილის გარდა სხვა საქმე რომ აღარ გაქვთ. თუმცა, ეს არც ისე ცუდია. ჰოდა, მას შემდეგ, რაც საჭმელი, რომლის გარეშეც დიდხანს ვერ გაძლებ, უხვად შემოდის, ჩათვალეთ, რომ სასტუმროში ხართ. ჰოო, იმის წარმოდგენაც კი შეგზარავს, რა ჯოჯოხეთური ტანჯვა ელოდა უსინათლოს გარეთ, გალავანს მიღმა, ქალაქში, ნამდვილი გოლგოთა. დახეტილებს ქუჩა-ქუჩა, ყველა ერიდება როგორც კეთროვანს, ოჯახი შეძრწუნებულია, მიახლოებას ვერ ბედავენ, დედაშვილური სიყვარულიც სხვა არაფერია, თუ არა ბოდვა და უაზრობა, და საუკეთესო შემთხვევაში ახლობლებიც ისევე მოიქცევიან, როგორც ხელისუფალნი, გამოკეტავენ და სამოწყალოდ კართან ჯამით საჭმელს დაუდგამენ. თუ სიტუაციას საღი და ცივი გონებით შევაფასებთ, მიკერძობისა და წყენის გარეშე, ყოველთვის რომ აქვეითებს გონისმიერი ჭვრეტის უნარს, იძულებული ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ ხელისუფალნი ჭკვიანურად მიუდგნენ პრობლემას, როცა გადაწყვიტეს, უსინათლოებისთვის ერთად მოეყარათ თავი, რომ მსგავსი მსგავსთან ყოფილიყო, რადგან ასეთია თანაცხოვრების უცილობელი კანონი, კეთროვანებსაც ხომ ერთად უყრიან თავს, ერთ ადგილას, და მართალია, ექიმი სწორად ჩასწვდა არსს, როცა თქვა, ორგანიზება დაგვჭირდებაო, არადა, მართლაც, მთავარი ორგანიზებაა, ჯერ საჭმელი, რა თქმა უნდა, და მერე ორგანიზება, ერთის გარეშეც შეუძლებელია ცხოვრება და მეორის გარეშეც, რამდენიმე ისეთი წესიერი ადამიანი უნდა შევარჩიოთ, წესრიგის დამყარება რომ შეძლონ, ჰოდა, გვიხელმძღვანელონ, კონსენსუსით შევიშუშაოთ თანაცხოვრების მარ-

ტივი, უმარტივესი წესები, აი, ისეთი, ვინ როდის დაგავოს, მიაღაგოს, გარეცხოს, საყვედური არ გვეთქმის, საპონსაც გვაძლევენ და სხვა სარეცხ საშუალებებსაც, ლოგინებიც გასასწორებელია, მთავარია, არ მოვდუნდეთ, საკუთარი თავის პატივისცემა არ დავკარგოთ, სამხედროებთან დაპირისპირებას მოვერიდოთ, გვახსოვდეს, რომ თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, ისიც კმარა, ამდენი რომ დაიღუპა, მეტი მსხვერპლი აღარ გვჭირდება, თანაც უნდა გავიკითხოთ, ვინ რა თავშესაქცევი ამბები იცის, რომ საღამოობით მოგვიყვებს, ვთქვათ, სახალისო შემთხვევები, ანეკდოტები, სულერთია, წარმოიდგინეთ, რა კარგი იქნებოდა, რომელიმე ჩვენგანს ბიბლია ზეპირად რომ სცოდნოდა, მაშინ ყველაფერს გავიხსენებდით, სამყაროს შექმნიდან მოყოლებული. ძალიან საჭიროა ერთმანეთის მოსმენა, სამწუხაროა, რადიო რომ არა გვაქვს, მუსიკას მოვუსმენდით, გულს გადავაცოლებდით, ახალ ამბებსაც შევიტყობდით, გავიგებდით, ხომ არ გამოიგონეს ჩვენი სენის წამალი, წარმოიდგინეთ, რას გავიხსენებდით, მაგრამ ვაი, რომ ასე არ იქნება.

მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ქუჩაში სროლა ატყდა. დაგვხოცავენ, აყვირდა ერთი უსინათლო. დამშვიდდი, უთხრა ექიმმა, ლოგიკურად ვიმსჯელოთ, ჩვენი დახოცვა რომ ნდომებოდათ, აქ მოვიდოდნენ. მართალიც აღმოჩნდა, სროლის, თანაც ჰაერში სროლის, ბრძანება სერჟანტმა გასცა და ვიღაც უცებ დაბრმავებულ ჯარისკაცს სულაც არ გამოუკრავს ჩახმახისთვის, და ხომ უნდა მიხვდე, რომ სხვა გზა არ იყო, სხვაგვარად ვერ შეაკავებდი, ვერ წარმართავდი და ვერ დაიმორჩილებდი ოთხი ავტობუსით მოყვანილ უსინათლოებს, რაც ზუსტად იმის შესაბამისად მოხდა, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროს შეატყობინა, ოთხი დიდი ავტობუსის მისაღებად მოემზადეთო. მაინც რამდენ კაცს გზავნიო. ორასამდე. მერედა, სად უნდა განვათავსოთ ამდენი ხალხი, მარჯვენა ფრთაში, ჩვენი მონაცემებით, სამი პალატაა, სულ ას ოცი საწოლით, არადა, იქ უკვე სამოცი-სამოცდაათი

უსინათლოა, იმ ათს თუ გამოვაცლებთ, რომელთა ლიკვიდაციაც მოგვიხდა. ესე იგი, მთელ შენობაში უნდა განათავსოთ. მაშინ საობსერვაციო პალატების პაციენტებს უშუალო კონტაქტი ექნებათ უსინათლოებთან. ადრე თუ გვიან, ისინიც ხომ დაბრმავდებიან და იმით თუ ვიმსჯელებთ, როგორ ვითარდება მოვლენები, ყველა ინფიცირებული ვართ, და ძალიან საეჭვოა, ვინმე აღმოჩნდეს ისეთი, ვისთვისაც უსინათლოს არ შეეხედოს. მაგრამ რაკი უსინათლო ვერ ხედავს, საკითხავია, როგორ შეუძლია სიბრმავე მზერით გადასცეს. გენერალო, როგორც ჩანს, ეს სენი სხვებთან შედარებით მარტივი და ლოგიკურია, უსინათლო თვალი სიბრმავეს მხედველ თვალს გადასცემს, ეს ხომ სრულიად მარტივია. აი, პოლკოვნიკს მიაჩნია, რომ პრობლემა ადვილად გადაიჭრება, თუ უსინათლოებს დაბრმავებისთანავე გავანადგურებთ. უსინათლოთა ნაცვლად მკვდრები თუ გვეყოლება, დიდად არაფერი შეიცვლება. ყველა ბრმა მკვდარი როდია. ჰო, მაგრამ, ყველა მკვდარი ბრმაა. კეთილი, მაშ, ორასი ხომ. ორასი. ავტობუსების მძღოლებს რა ვუყოთ. სხვებთან ერთად იზოლატორში გაუშვით. იმავე დღეს, უკვე ნაშუადღევს, უფრო შებინდებისას, თავდაცვის სამინისტრომ ჯანდაცვის სამინისტროს აცნობა: ახალი ამბავი თუ გაიგეთ, ის პოლკოვნიკი, მე რომ ვახსენებდი, დაბრმავდა. საინტერესოა, ახლა რას იტყვის. არაფერს, ტყვია დაიხალა. რა გაეწყობა, თავისი ლოგიკისთვის არ უღალატია. არმია მუდამ მზადაა, მაგალითი აჩვენოს.

ჭიშკარი უკვე ფართოდ იყო გაღებული. სერჟანტმა, სამხედრო წესისამებრ, ბრძანება გასცა, ხუთ-ხუთად დაეწყვეთო, მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან უსინათლოები, რაკი გათვლა და, მაშასადამე, არც ხუთ-ხუთად დაწყობა შეეძლოთ, ყოველ მწკრივში ხან მეტი აღმოჩნდნენ, ხან ნაკლები, დაბოლოს, უწესრიგო ხროვად შეჯგუფდნენ ჭიშკართან, როგორც სამოქალაქო

პირებს სჩვევიათ, არც კი უფიქრიათ, ქალები და ბავშვები წინ გაეტარებინათ, როგორც ოდითგან ხდება ხოლმე უბედური შემთხვევისას ხმელეთზე თუ ზღვაში. ჰო, სანამ დაგვაფიქვდება, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მარტო ჰაერში როდი ისროლეს, ერთმა მძღოლმა უსინათლოების წაყვანაზე უარი თქვა, შესანიშნავი მხედველობა მაქვსო, და სულ რაღაც სამ წაშში დაადასტურა ჯანდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინც მკვდარია, ბრმაცაა. სერჟანტი უკვე ჩვეულ ბრძანებებს იძლეოდა: ნაბიჯით იარ, წინ ექვსსაფეხურიანი კიბეა, რომ მიუახლოვდებით, ნაბიჯი შეანელეთ, იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რა მოხდება, თუ ვინმე წაფორხილდება, თოკის შესახებ თქმა კი დაავიწყდა, და ეს გასაგებიცაა, თუ ყველა ჩაეჭიდება, მსვლელობას ბოლო აღარ ექნება. ყურადღება, შედარებით მშვიდად გამოაცხადა სერჟანტმა, რადგან ბრბო უკვე ტიშკარში შევიდა, მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი პალატაა, თითოეულში ორმოცი საწოლია, ოჯახებს ვთხოვთ, თუ ერთად გინდათ ყოფნა, ჯგუფ-ჯგუფად იდექით, შესვლისას გაითვალეთ, ადრე მოსულეებს სთხოვეთ, დაგეხმარონ, არა უშავს, მიეჩვევით, შეეგუებით, მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, საჭმელს მოგვიანებით მოგიტანენ, ყველაფერი კარგად იქნება.

მაგრამ როგორ იქნება კარგად, როცა უსინათლოთა ამხელა ბრბო მორჩილად მიდის, როგორც ნახირი მიემართება ხოლმე სასაკლავოსკენ ბლავილ-ბლავილით, თუმცა, რა, განა სულ ასე არ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს მიტმასნილნი, ერთი ჰაერით არ სუნთქავდნენ და ერთნაირად არ ეშენდნენ. უსინათლოთა ბრბოში ზოგი ტირის, ზოგი შეძრწუნებული ან აღშფოთებული ყვირის, ზოგი ილანძღება, ერთი კი სასტიკად და უაზროდ დაიმუქრა, ალბათ, ჯარისკაცების მისამართით, ერთხელაც იქნება ხელში ჩამივარდებით, თვალებს დაგთხრითო. როგორც მოსალოდნელი იყო, ზღურბლს რომ მიაღწიეს, ვინც წინ იყო, უნდა შეჩერებულიყო, რომ ფეხით საფეხუ-

რი მოეძებნა, მაგრამ უკან მყოფნი მიაწვნენ და ორი-სამი უსინათლო წაიქცა, მუხლები გადაიტყავეს, მაგრამ საბედნიეროდ, შემთხვევა ამით ამოიწურა, ასე რომ, სერჟანტის გაფრთხილება შეგვიძლია დალოცვად აღვიქვათ. ნაწილი უკვე შევიდა ვესტიბიულში, რომელიც ორას კაცზე სულაც არ იყო გათვლილი, მით უფრო - უსინათლოებზე, რომლებსაც არავინ მიუძღვით, და ამ გარემოებას, უკვე თავისთავად რომ წარმოქმნის სირთულეს, ისიც ემატება, რომ ძველ შენობაში იმყოფებიან, სადაც არ არის ნორმალური პირობები, და რა ენაღვლება სერჟანტს, მხოლოდ თავის მოვალეობას რომ ასრულებს და ამბობს, მარჯვნივ და მარცხნივ სამ-სამი პალატააო, ენახა ერთი, როგორი იყო სინამდვილეში ეს შიდა სივრცე, ვიწრო კარის ღიობები, ადრინდელი აქაური ბინადრებივით გიჟური დერეფნები, კაცმა რომ არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება, და საერთოდ, რა დანიშნულება აქვს. წინ მიმავალი უსინათლოთა ჯგუფი, თითქოს გუმანით, ორად გაიყო კარის ძეხვისას და ორივე მხარეს კედელს გაუყვა, რაც უსაფრთხო მეთოდად უნდა ვაღიაროთ, მით უმეტეს, რომ გზაზე არავითარი ავეჯი არ ეღობებოდათ. ადრე თუ გვიან, ახალი ბინადარნი მიეჩვენებიან და მოეწყობიან, თუმცა, ეს მანამდე არ მოხდება, სანამ არ გამოვლინდება გამარჯვებული შეტაკებაში, რომელიც მოხდა მარცხენა კოლონის მოწინავეთა და ფრთის სწორედ ამ ნაწილში განთავსებულ უსინათლოთა შორის. ასე რომ, დაველოდოთ. სხვათა შორის, ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სარეგულაციო წესებით თავიდანვე განისაზღვრა და დადასტურდა, რომ მარცხენა ფრთა საობსერვაციო პალატებად იქნებოდა გამოყენებული, და თუ დიდი ალბათობით ვივარაუდებთ, რომ იქ მყოფნი ბოლოს მაინც დაბრმავდებიან, ფორმალური ლოგიკის თანახმად, სანამ ეს არ მომხდარა, არ შეგვიძლია, ვამტკიცოთ და, მით უფრო, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს უთუოდ

მოხდება. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი მშვიდად ზის შინ, სჯერა, უამრავი საპირისპირო მაგალითის მიუხედავად, რომ არაფერი მოუვა, და უცებ ხედავს, რომ მისკენ ზვავივით მოემართებიან ისინი, ვისიც ყველაზე მეტად ეშინია. თავიდან თვალხილულთ ეგონათ, მათი მსგავსნი მოიყვანეს, ოღონდ ბევრნი, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ შეცდნენ. აქ არ შეიძლება, ეს ჩვენი ფლიგელია, უსინათლოებისთვის არ არის განკუთვნილი, თქვენ იქით, მარჯვენა ფრთაში უნდა გახვიდეთ, აყვირდნენ კართან მოდარაჯენი. წინ მიმავალთ სცადეს, შებრუნებულიყვნენ და სხვა კარი მოეძებნათ, მათთვის ხომ ისედაც სულერთი იყო, მარჯვნივ იქნებოდნენ თუ მარცხნივ, მაგრამ ხალხის მასა თანდათან მატულობდა და დაუნდობლად აწვებოდათ. თვალხილულნი ხელებითა და ფეხებით იცავდნენ კარს, უსინათლოები იგერიებდნენ მათ, რადგან, მართალია, მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ, მშვენივრად გრძნობდნენ, საიდან ურტყამდნენ. ორასი კაცი ვესტიბულში ვერ დაეტევა, ეს გამორიცხულია, ამიტომ ძალიან მალე ცენტრალური შემოსასვლელი, თუმცა, საკმაოდ ფართო, ისე გაიჭედა, ვერც წინ მიდიოდა ვინმე, ვერც უკან, ვერც აქეთ, ვერც იქით, ხოლო ყველა მხრიდან ბლოკირებული უსინათლოები, ბრბოს რომ არ გადაეთელა, მეზობლებს წიხლებსა და მუჯლუგუნებს ურტყამდნენ, ისმოდა ყვირილი, ტიროდნენ უსინათლო ბავშვები, ქალებს გული უღონდებოდათ, თუმცა, არც დასავარდნი ადგილი იყო, გარედან კი, ზღურბლიდან, სულ უფრო ძლიერად აწვებოდათ ბრბო, ჯარისკაცების ბრაზიანი შეძახილებით დამფრთხალი, რომლებიც ვერ მიმხვდარიყვნენ, ეს გამომეტყველებული ჯერ კიდევ ეზოში რატომ იყვნენ. ნამდვილი საშინელება კი მაშინ დაიწყო, როცა ადამიანთა ძლიერმა ტალღამ უკან დაიხია, რადგან შეეშინდათ, რომ გადათელავდნენ, გააფთრებით ცდილობდნენ ბრბოსგან თავის დაღწევას, და მოდი, იმ ჯარისკაცების ადგილას წარმოვიდგინოთ თავი, რომლებმაც უცებ დაინახეს, რომ კარიდან უკან მოედინებოდა იმ ხალხის მასა, ეს-ეს არის, შიგნით რომ შევიდა, და მაშინვე ყველაზე

უარესი წარმოიდგინეს, კერძოდ კი ის, რომ უსინათლოებმა გადაწყვიტეს, უკან გამოერღვიათ გზა, და შეიძლება მართლაც სასაკლავოდ ქცეულიყო აქაურობა. საბედნიეროდ, სერჟანტმა, რომელიც ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, თავად გაისროლა ჰაერში, ყურადღება რომ მიეპყრო, და რუპორში ჩაჰყვირა: შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მანდ, კიბებზე ვინც დგახართ, უკან დაიხიეთ, უკან მდგომნი ნუ მიაწვებით, ფრთხილად, ფრთხილად, ერთმანეთს დაეხმარეთ. სერჟანტმა ძალიან ბევრი მოითხოვა, შიგნით კი ზედახორა გრძელდებოდა, სანამ ვესტიბიულში ცოტა არ შეთხელდა ხალხი იმის ხარჯზე, რომ უსინათლოთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მარჯვენა ფრთისკენ დაიძრა, იქ კი ძველი მკვიდრნი შეეგებნენ და ახალმოსულები მესამე, აქამდე ცარიელ პალატაში მიაცილეს, ნაწილი კი პირველი და მეორე პალატების ცარიელ საწოლებზე განათავსეს. რაღაც მომენტში ისე ჩანდა, თითქოს სამხედრო უპირატესობა ინფიცირებულთა მხარეს იყო, და არა იმიტომ, რომ უფრო ძლიერები, და რაც მთავარია, თვალხილულნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ უსინათლოები მიხვდნენ, მოპირდაპირე კარი თავისუფალი იყო და მოწინააღმდეგეს დაშორიშორდნენ, როგორც სერჟანტი იტყოდა სამხედრო ტაქტიკის საფუძვლების ახსნისას. მაგრამ თავდამცველთა სიხარულმა დიდხანს როდი გასტანა. მარჯვენა ფრთიდან გაისმა ყვირილი, ადგილი აღარ არის, ყველა პალატა სავსეაო, ამასობაში გარედან ისევ დაიწყო უსინათლოთა შემოდინება, თანაც ისეთი ძალით, რომ ცენტრალურ კარში გაჭედილი ბრბო შიგნით შემოვარდა და ეზოში მყოფი უსინათლოებით გადაივსო ვესტიბიული, რომლებმაც, როგორც იქნა, შემოაღწიეს შენობაში, სადაც ჯარისკაცების მუქარით დაშინებულთ უნდა ეცხოვრათ. პრაქტიკულად, ამ ორი ძლიერი ტალღის შემოტევის შედეგად მარცხენა ფრთის კართან ისევ ჩხუბი ატყდა, ისევ ურტყამდნენ ერთმანეთს,

იგინებოდნენ, და თითქოს ეს არ კმაროდა, რამდენიმე უსინათლო, ჯიქურ რომ გააღწია უკანა ეზოში გამავალი კარისკენ, ყვირილით შემობრუნდა, იქ მკვდრები არიანო. წარმოიდგინეთ, რა პანიკა ატყდებოდა. ერთი სიტყვით, უკან ისეთი განწირული წივილ-კივილითა და ღრიალით მობრუნდნენ, მკვდრები არიანო, მიცვალებულებიო, თითქოს, სადაცაა მათ გვერდით უსულოდ დაეყრებოდნენ. სწორედ ამ დროს ვესტიბიულში ადამიანთა საშინელი ქარბორბალა ატყდა, მერე კი მთელი ეს მჭიდრო მასა, თითქოს გეში აიღოო, მარცხენა ფრთას მიაწყდა, გზად ყველაფერი წალეკა, გაარღვია ინფიცირებულითა კორდონი, რომელთაგან ზოგი უკვე უსინათლოთა კატეგორიაში გადასულიყო, ზოგი კი შეძრწუნებული აქეთ-იქით აწყდებოდა, თავის საზარელ ხვედრს რომ გაქცეოდა, მაგრამ, ამაოდ. ერთმანეთის მიყოლებით ბრმავდებოდნენ, ერთმანეთის მიყოლებით ეღვრებოდათ თვლებში საზარელი რძისფერი სითეთრე, და ამ სითეთრით ივსებოდა დერეფნები, პალატები და მთელი სამყარო. გარეთ, ისევე როგორც ვესტიბიულსა და შიდა ეზოში დაბნეულები დაბორიანებდნენ ნაცემი, გადაჯეგილი უსინათლოები და მათგან უმეტესობა მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ, რომლებსაც უკვე აღარ შეეძლოთ ან ჯერ კიდევ არ შეეძლოთ თავის დაცვა, და მართლა სასწაულია, რომ უამრავი მიცვალებული არ შეემატა იმათ, შიდა ეზოში დაკრძალვას რომ ელოდნენ. მიწაზე, გამძვრალი ფეხსაცმელების გარდა, ეყარა ჩემოდნები, ჩანთები, კალათები, უსინათლოთა ქონება, პატრონისთვის უკვე სამუდამოდ დაკარგული, რადგან ვინც იპოვიდა, ის მიითვისებდა, თან ვერც ვერავინ დაუმტკიცებდა, ეს შენი არ არისო.

უკანა ეზოდან ვესტიბიულში შემობრუნდა თვალზე შავსახვევიანი მოხუცი. თან არაფერი ან არც ჰქონია, ან ზედახორისას და ჭყლეტისას დაეკარგა. მკვდრები პირველმა მან აღმოაჩინა, მაგრამ ყვირილი არ დაუწყია. იქვე, მათ გვერდით მიყუჩდა იმის მოლოდინში, როდის დაისადგურებდა სიმშვიდე და სიჩუმე. თითქმის ერთი საათი

იცდიდა. ახლა კი მისი ჯერიც დადგა, თავშესაფარი მოეძებნა. ნელა, წინ გაწვდილი ხელებით მიაბიჯებს. აი, მარჯვენა ფრთის პირველი პალატის კარს მიადგა, გაიგონა ლაპარაკის ხმა და იკითხა, თავისუფალი საწოლი ხომ არა გაქვთო.

ამდენი უსინათლოს მოზღვავეებს ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა. ერთი არა, ორი, და მათ შორის პირველი განეკუთვნებოდა, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიის სფეროს, რადგან არსებობს განსხვავება, როცა ყოველწუთიერად ელი ახალ ბინადართა გამოჩენას და როცა ხედავ, რომ ოთახი უკვე გაივსო და შეგიძლია მეზობლებთან მჭიდრო, ხანგრძლივი, უწყვეტი ურთიერთობა დაამყარო, არა ისეთი, აქამდე რომ გქონია, უსინათლოთა ახალ-ახალი პარტიების შემოსვლისას, როცა იძულებული იყავი, ახალი კონტაქტები გეძებნა. მეორე უპირატესობა კი პრაქტიკული, მარტივი და არსებითია, რადგან ხელისუფალნი, სამხედროც და სამოქალაქოც, მიხვდნენ, რომ სხვაა, როცა ორი-სამი ათეული კაცის კვება გიწევს, თანაც, თუ ისინი მეტ-ნაკლებად დამყოლები არიან, მეტ-ნაკლებად შეგუებულნი, რომ თავიანთი მცირერიცხოვნობის გამო მორჩილად, უდრტვინველად და მოთმინებით აიტანონ სურსათის მიწოდებაში შეფერხება, და სულ სხვაა, როცა უცებ სხვადასხვა სქესის, შესახედაობის, ზნისა და ხასიათის, წარმოშობის, ყაიდისა და ტიპის ორას ორმოცი კაცის გამოკვების ურთულესი პასუხისმგებლობა გეკისრება. ორას ორმოცის, დააკვირდით, ამასაც მხოლოდ სიტყვის მასალად ვამბობ, რომ ორას ორმოცის, რადგან ოციოდე უსინათლო უსაწოლოდ დარჩა და იატაკზე სძინავთ. ასეა თუ ისე, მერწმუნეთ, ათ კაცზე გათვლილი საჭმლის ოცდაათზე და ორას ორმოცზე გათვლილის ორას სამოცზე განაწილება სულ სხვადასხვა რამაა. განსხვავება თითქოს მხოლოდ რაოდენობაშია. სულაც არა. იქნებ გაზრდილი პასუხისმგებლობის შეგნებამ, და არა შესაძლო არეულობის შიშმა,

თუმცა, არც ამის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, თუ განაპირობა ის, რომ ხელისუფალთ ქცევა შეცვალეს და იძულებული გახდნენ, საჭმელი დროულად და საკმარისად შემოეგზავნათ. თავისთავად ცხადია, ყველა თვალსაზრისით სავალალო და ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რომლის მოწმენიც გავხდით, ამდენი უსინათლოს შენახვა ადვილი როდია, კონფლიქტებიც იქნება და შეხლა-შემოხლაც, რადგან, არ დაგავიწყდეთ, მათ შორის არიან მოძალადენიც, ადრე თვალხილული, ახლა კი უსინათლო, ერთმანეთისგან მოწყვეტილი ცოლ-ქმარნი, მათი დაკარგული შვილები, ყური მიუგდეთ, როგორ ოხრავენ და მოთქვამენ ზედახორაში დაშავებულნი, და არა ერთხელ დაშავებულნი, არამედ ორჯერ თუ სამჯერ, ნახეთ, როგორ ეძებენ საყვარელ ნივთებს, ეძებენ და ვერ პოულობენ, და თუ მართლა ქვის გული არა გაქვს, როგორ უნდა დაივიწყო მთელი ეს სულ ცოტა ხნის წინანდელი ტანჯვა და ტკივილი. ყველაფერი ამის მიუხედავად, ამბავი, რომ საჭმელი მოიტანეს, ყველას მალამოდ დაედო. და თუმცა, ძნელია უარყო, რომ ამ რაოდენობის სურსათის განაწილება და შშიერთა დაპურება, თანაც როცა საამისოდ არც შესაბამისი ორგანიზება მომხდარა და არც არავინაა, რომ დისციპლინა დაამყაროს, უთუოდ იწვევს ახალ უთანხმოებას და ძიძგილაობას, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოფილი ფსიქიატრიულის შენობაში მაინც უკეთესობისკენ შეიცვალა სიტუაცია, როცა მხოლოდ იმის ხმა ისმის, როგორ ღეჭავს ორას სამოცი უსინათლოს პირი. ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება კითხვა, მერე ვინ მიალაგებს აქაურობას, რადგან მხოლოდ საღამოს ჩაირთვება დინამიკი და გაიმეორებენ ქცევის წესებს, რომლებსაც საკუთარივე კეთილდღეობისათვის უნდა დაემორჩილოს ყველა, ჰოდა, მაშინ ვნახავთ, როგორ დაიცავენ მათ ახალმოსულნი. კიდევ კარგი, მარჯვენა ფრთის მეორე პალატის უსინათლოებმა კეთილი ინებეს და, როგორც იქნა, დაკრძალეს თავიანთი მკვდრები, ასე რომ, გვამების ხრწნის სუნი აღარ შეგვაწუხებს, ცოცხალთა სუნს კი, თუმცა, ისიც მძიმეა, როგორმე ავიტანთ.

რაც შეეხება პირველ პალატას, სადაც კლინიკის პირველი ბინადარნი იყვნენ, რომლებიც, თუნდაც იმიტომ, რომ სხვებზე დიდი ხანია აქ არიან, უკეთ შეეგუვნენ უსინათლოს სტატუსს, ჭამიდან თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ იატაკზე არც ერთი ნამცეცი, არც ერთი ნაგლეჯი არ იყო, არც ერთი ნახმარი ერთჯერადი თეფში ან ცარიელი ჭურჭელი არ ეგდო. ყველაფერი შეაგროვეს და მიაღაგეს, წვრილი ჭურჭელი დიდში მოათავსეს, ყველაზე ჭუჭყიანი შედარებით სუფთაში ჩააწყვეს რაციონალიზებული ჰიგიენის წესების შესაბამისად, ასე გულმოდგინედ რომ არის გაწერილი, რათა ნარჩენები მაქსიმალური ეფექტიანობით და შრომის მინიმალური დანახარჯით შეგროვდეს. უნდა ითქვას, რომ აზროვნების სტილი და აზრთა წყობა, ანუ მენტალობა, რომელიც გაიძულებს საზოგადოებაში სწორედ ამგვარად მოიქცე და არა სხვაგვარად, სპონტანურად, ცარიელ ადგილას არ წარმოიქმნება. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს, როგორც ჩანს, ასრულებს ბოლო საწოლზე მწოლიარე უსინათლო ქალის საგანმანათლებლო საქმიანობა, აი, იმის, თვალის ექიმის ცოლი რომ არის, ჰოდა, ერთი სიტყვით, გადაიღალა იმის ჩიჩინით, რომ თუ ადამიანებივით ვერ ვცხოვრობთ, ცხოველებს მაინც ნუ დავემსგავსებითო, და ამას იმდენჯერ იმეორებდა, რომ ეს სიტყვები, მათი სიმარტივის მიუხედავად, პირველ პალატაში ერთგვარ მაქსიმად, მცნებად, დოქტრინად და კრედოდაც კი იქცა. და იქნებ ამიტომაც სხვადასხვა ყოფითი მოთხოვნილებისა და საჭიროების გათვალისწინებაზე გათვლილი ამგვარი სულიერი მდგომარეობის გამოხატულება იყო ის, რომ ასეთი კეთილგანწყობით მიიღეს შავსახვევიანი მოხუცი, როცა ის კართან მოვიდა და იკითხა, ცარიელი საწოლი ხომ არა გაქვთო. საბედნიეროდ და, რაღა თქმა უნდა, გარემოებათა ილბლიანად დამთხვევის გამო, საწოლი აღმოჩნდა, ერთადერთი და ღმერთმა უწყის, რა ძალით

გადარჩენილი შემოსევას, საწოლი, რომელზეც იწვა ავტომობილის გამტაცებელი, წარმოდგენელი ტანჯვა-წამება რომ გამოიარა, და იქნებ სწორედ ამ ტანჯვა-წამების აურამ, ამ საწოლს რომ ჰქონდა, დააფრთხო პრეტენდენტები. ასე მოქმედებს განგება, ასე ოსტატურად რომ ქარგავს თავის იდუმალ ორნამენტებს, და ეს სულაც არ არის პირველი დამთხვევა, საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ამ პალატაში მოიყარა თავი ყველამ, ვინც ოკულისტთან მიღებაზე იყო მისული იმ დღეს და იმ საათზე, როცა იქ პირველი უსინათლო მივიდა, რომელმაც ეს სტატუსი აქამდე შეინარჩუნა. ექიმის ცოლმა, როგორც სჩვეოდა, ჩუმად, აქ თავისი ყოფნის საიდუმლო რომ არ გაემჟღავნებინა, ქმარს ჩასჩურჩულა, ალბათ, ესეც შენი პაციენტია, ხანდაზმული, მელოტი, ჭაღარა, თვალი შავი სახვევით აქვს ახვეული, მახსოვს, გიხსენებიაო. რომელი თვალი. მარცხენა. მგონი, ის უნდა იყოს. ექიმი საწოლებს შორის გასასვლელში გავიდა და ოდნავ ხმადაბლა თქვა, მინდა ჩვენს ახალ ბინადარს ხელით შევეხო, გთხოვთ, აქეთ წამოდიოთ, მე კი თქვენკენ წამოვალაო. შუა გასასვლელში ერთმანეთს შეხვდნენ და მათი თითები ერთმანეთს შეეხო, როგორც ჭიანჭველების ანტენა-ულვაშები, რომლებითაც თავისიანებს ცნობენ, თუმცა, ამ შემთხვევაში არც მთლად ასე იყო, რადგან ექიმმა მოუბოდიშა, მამაკაცს სახეზე ხელი მოუსვა და შავ სახვევს შეეხო, ამკარად ასეა, სწორედ თქვენ გვაკლდითო. ეს რას ნიშნავს, ვინ ხართ. თვალის ექიმი, უფრო სწორად, ვიყავი, გამისინჯიხართ, არ გახსოვთ, კატარაქტის ოპერაციის თარიღის დანიშვნაც გვინდოდა. როგორ მიცანით. ხმით, ხმა ხომ უსინათლოთა მხედველობაა. ჰო, ჰო, ახლა მეც გიცანით, აი, როგორ შემოგვიტრიალდა საქმე, ექიმო, ოპერაცია უკვე აღარ მჭირდება. თუკი ამ სენის წამალი არსებობს, ახლა ის ორივეს გვჭირდება. არადა, მახსოვს, ექიმო, რომ მითხარით, ოპერაციის მერე გარე სამყაროს ვეღარ იცნობო, და აი, ახლა ვხვდები, რა მართალი იყავით. ეს როდის დაგემართათ. გუშინ საღამოს. და დღეს უკვე აქ მოგიყვანეს. გარეთ ისე არიან დაშინებული,

მალე უსინათლოების ხოცვას დაიწყებენ. იქ დაიწყებენ, ჩვენ კი აქ უკვე ათი მოკლული გვყავს, გაისმა მამაკაცის ხმა. ვიცი, ეზოში წავაწყდი, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა. სხვა პალატიდან არიან, ჩვენები მაშინვე დავკრძალეთ, დასძინა იმავე ხმამ, თითქოს მოხსენება დაასრულაო. შავსათვალიანი ქალიშვილიც მიუახლოვდათ, გახსოვართ, შავი სათვალე მეკეთა. როგორ არ მახსოვხართ, რომელი კატარაქტა შემიშლიდა ხელს თქვენი სილამაზის დანახვაში. ქალიშვილმა გაიღიმა, გმადლობთო, და თავის საწოლთან დაბრუნდა, უკვე იქიდან კი უთხრა, ბიჭუნაც აქ არისო. დედასთან მიინდა, წარმოთქვა ბავშვის ხმამ, თითქოს ტირილისგან ჩახლენილმა. მე კი ის ვარ, ყველაზე პირველი რომ დავბრმავდი, ჩემი ცოლიც აქ არის. მე რეგისტრატორი ვარ, უთხრა რეგისტრატორმა ქალმა. მგონი, დროა, მეც გაგეცნოთ, თქვა ექიმის ცოლმა და უთხრა, ვინც იყო. მაშინ მოხუცმა, თითქოს ასეთი თბილი მიღებისათვის მადლიერების ნიშნად, განაცხადა, რადიო მაქვსო. რადიო, წამოიყვირა შავსათვალიანმა ქალიშვილმა და ტაში შემოჰკრა, მუსიკას მოვისმენთ, რა კარგია. ჰო, მაგრამ ეს ტრანზისტორია, ბატარეებზე, რომლებიც მალე დაიცლება, უთხრა მოხუცმა. ოღონდ არ მითხრათ ახლა, აქ სამუდამოდ უნდა დავრჩეთო, თქვა პირველმა უსინათლომ. არა, სამუდამოდ არ დავრჩებით, სამუდამოდ ეს მეტად დიდი დროა. ახალ ამბებს მოვუსმენთ, თქვა ექიმმა. და მუსიკასაც, სულ ცოტა ხანს მაინც, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ყველას სხვადასხვაგვარი მუსიკა მოსწონს, ის კი, რაც გარეთ ხდება, ყველას აინტერესებს, ამიტომ ბატარეები უნდა დავზოგოთ. მეც ასე მგონია, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა. ჯიბიდან რადიომიმღები ამოიღო და ჩართო. მოცახცახე ხელით დაიწყო ტალღებისა და სიხშირეების ძებნა, თავიდან ხმაური, ხრიალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მუსიკა და გაუგებარი სიტყვები ისმოდა, მერე, როგორც იქნა, ხელი დაიმორჩილა, რალაც სადგურს მიაგნო და ნაცნობი მუსიკა გაისმა. ცოტა

ხანს მაინც იყოს, ითხოვა შავსათვალისანმა ქალიშვილმა, უკვე სიტყვებიც გარკვევით ისმისო. მაგრამ ეს ახალი ამბები არ არის, თქვა ექიმის ცოლმა და მერე, თითქოს ეს წუთია მოიფიქრაო, იკითხა, რომელი საათიაო, თუმცა, იცოდა, რომ ამაზე პასუხს ვერავინ გასცემდა. ისარი ისევ ამოძრავდა სკალაზე, რადიოდან ხმებს გამოსცემდა, მერე გაჩერდა და მუსიკა გაისმა, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ უსინათლოებმა წელა, ისე, რომ ერთმანეთს არ დასჯახებოდნენ, მოახლოება დაიწყეს, შეჩერდნენ, როცა იგრძნეს, რომ წინ სხვები იდგნენ, უსმენდნენ მუსიკას და ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდნენ იქით, საიდანაც მომღერლის ხმა ისმოდა, ზოგი ტიროდა, როგორც ტირიან ხოლმე მხოლოდ უსინათლოები, როცა თვალებიდან ცრემლი თავისით, ღაპაღუპით ჩამოსდით. სიმღერა დამთავრდა და გაისმა დიქტორის ხმა: ყურადღება, გადმოგცემთ ზუსტი დროის სიგნალს, მესამე სიგნალი ოთხ საათს აღნიშნავს. ერთმა უსინათლო ქალმა სიცილით ჩაილაპარაკა, ღამის თუ დღისო, და ეს სიცილი თითქოს ტკივილს აყენებდა. ექიმის ცოლმა შეუმჩნევლად გადააყენა ისრები, მომართა, ალბათ, დღის ოთხი საათი იყო, თუმცა, საათისთვის ამას მნიშვნელობა სულ არა აქვს, ისრები მოძრაობს ერთიდან თორმეტამდე, სხვა ყველაფერი კი ადამიანების მოგონილია. ეს რა ხმაა, იკითხა შავსათვალისანმა ქალიშვილმა. ჰო, ეს ჩემი საათის ხმაა, როცა გავიგე, რა დროა, მოვმართე, ისე, მექანიკურად, ჩვენ ხომ ყველას გვჩვენებია გაუაზრებელი მოქმედება, თავი დაიძვრინა ექიმის ცოლმა. და გაიფიქრა, ტყუილად გავრისკე, ჯობდა ვინმე დღეს მოსული უსინათლოს მაჯაზე დამეხედა, რომელიმეს საათი მაინც ხომ იმუშავებდაო. მაჯაზე საათი აღმოაჩნდა შავსახვევიან მოხუცსაც და სწორ დროსაც აჩვენებდა. მაშინ ექიმმა სთხოვა, გვიამბეთ იქ, გარეთ რა ხდებაო. შავსახვევიანმა მოხუცმა უპასუხა, სიამოვნებით, ოღონდ, თუ ნებას მომცემთ, ჩამოვკდები, ფეხზე ძლივს ვდგავარო. უსინათლოები სამ-სამი, ოთხ-ოთხი მჭიდროდ

განლაგდნენ, როგორც მოახერხეს, მეზობელ საწოლებზეც ჩამოსხდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა, მოხუცმა დაიწყო ყველაფერი იმის მოყოლა, რაც ნახა, სანამ ჯერ კიდევ ხედავდა, ყველაფერი იმის, რაც მოისმინა რამდენიმე დღის განმავლობაში ეპიდემიის დაწყებიდან იმ მომენტამდე, სანამ დაბრმავდებოდა.

პირველ დღეს, დაიწყო მან, თუ გავრცელებული ხმა მართალია, რამდენიმე ასეული სრულიად მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა უცებ, ერთ წამში, თუმცა, უმტკივნეულოდ დაბრმავებამდე და დაბრმავების შემდეგ არავითარი დაზიანება არ მიუღიათ და არც არავითარი სიმპტომი ჰქონიათ, მთელი მხედველობის არე ყველასთვის თვალისმომჭრელი სითეთრით დაიფარა. მეორე დღეს დაბრმავებულთა რაოდენობამ იკლო და ასეულობით კი არა, ათეულობით აითვლებოდა, ასე რომ, მთავრობამ იმედიანად განაცხადა, სიტუაცია მალე კონტროლს დაექვემდებარებაო. ამ ადგილიდან შავსახვევიანი მოხუცის მონათხრობს, რამდენიმე კომენტარის გარდა, რომელთა გამოტოვება შეუძლებელია, გადმოგცემთ არა სიტყვასიტყვით, არამედ რამდენადმე რესტრუქტურირებული სახით, რათა მისი ინფორმაციული კომპონენტი უფრო კორექტული და ადეკვატური სიტყვათშეთანხმებებით გავაძლიეროთ. თხრობის სტილი შეგვაცვლევინა იმან, ანუ იმის აუცილებლობამ, რომ უარი გვეთქვა მდაბიურ ენასა და გამოთქმებზე, მთხრობელი რომ იყენებდა, რომელიც თანდათან გაიტაცა დეტალების აღწერამ, რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ აკნინებს მის მნიშვნელობას, რადგან ის რომ არა, ვერ შევითვობდით, თუ რა ხდებოდა კლინიკის კედლებს მიღმა, ვერც დამატებით დეტალებს იმ საგანგებო შემთხვევებისა, რომელთა აღწერა მხოლოდ მოიგებს ლექსიკური სისადავის, ტერმინოლოგიური სიზუსტის წყალობით. ამ წინასიტყვაობის შემდეგ, გეტყვით, რომ მთავრობამ საფუძვლიანად განიხილა და გადაჭრით უარყო ის ვერსია, თითქოს ქვეყანაში დაიწყო სრულიად

უპრეცედენტო ეპიდემია, გამოწვეული ვირუსით, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, და ელვის სისწრაფით ვრცელდება, თან არც ლატენტური ფაზის ან საინკუბაციო პერიოდის რაიმე ნიშნები ახასიათებს. პირიქით, მიმდინარე მოვლენები, მოწინავე სამეცნიერო საზოგადოების აზრით, რომელსაც თანამიმდევრული და ძლიერი ადმინისტრაციული მხარდაჭერა აქვს, უნდა განვიხილოთ როგორც უცნობი გენეზისისა და ეტიოლოგიის სხვადასხვა ფაქტორის უაღრესად სავალალო, მაგრამ იმავდროულად, შემთხვევითი და დროებითი თანხვედრა, თუმცა, მათ პათოგენურ აქტივობაში, როგორც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოსალოდნელი შემცირების მანიშნებელი ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, როგორც საგანგებოდ აღინიშნა მთავრობის მემორანდუმში, კლების აშკარა ტენდენცია შეინიშნება. ერთმა ტელემიმომხილველმა ეს ჭირი თუ უბედურება საკმაოდ ენამოსწრებულად და ზუსტად შეადარა ცისკენ ატყორცნილ ისარს, რომელიც უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, ზენიტში დაეკიდება, რის შემდეგაც აუცილებლად დაღმავალი მრუდით იწყებს დაშვებას, და ღმერთმა ქნას, განაგრძო ტელეწამყვანმა, რომელიც ამ მეტაფორის შემდეგ ყოველდღიური საზრუნავისა და საკუთრივ ეპიდემიის შესახებ ჩვეულებრივ დისკუსსს დაუბრუნდა, რომ დედამიწის მიზიდულობის ძალა განუწყვეტლივ მატულობდეს, სანამ საბოლოოდ არ გაქრება ჩვენს თავს დატეხილი ეს კოშმარიო. დაახლოებით ამ სიტყვებს ატრიალებდა მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება და მხედველობის დაბრუნებას უსურვებდა ყველა დაბრმავებულს, მანამდე კი ამ უბედურებს საზოგადოების, როგორც მისი ოფიციალური წარმომადგენლების, ისე რიგითი მოქალაქეების სრულ სოლიდარობას აღუთქვამდა. შორეულ წარსულში ამგვარ შედარებებსა და მეტაფორებს ოპტიმიზმის შესანარჩუნებლად ხალხური სიბრძნე აყალიბებდა, ვთქვათ, ასეთ ანდაზებად, სადაც ბედნიერებაა, უბედურებაც იქვეაო, მარადიული არაფერიო, რაც იმათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას

გამოხატავს, ვინც ბედის ცვალებადობა გამოცადა, ხოლო უსინათლოთა სამყაროში ეს ყველაფერი, ალბათ, ასე უღერს: გუშინ ვხედავდით, დღეს ვერა, ხვალ ისევ დავინახავთ, თანაც ამ ფრაზის მესამე ნაწილი შეკითხვის ინტონაციით უნდა წარმოითქვას, რადგან გონივრული სიფრთხილე, ყოველი შემთხვევისთვის, იმედისმომცემ დასკვნას მსუბუქი ეჭვის ელფერსაც სძენს.

სამწუხაროდ, ისიც მალე გამოაშკარავდა, რომ ეს შელოცვებიც, მთავრობის დაპირებებიც, მეცნიერთა დამაიმედებელი პროგნოზებიც სულ ფუჭი გამოდგა. სიბრმავე სწრაფად და განუხრელად ვრცელდებოდა, მაგრამ ის უნდა შევადაროთ არა მოქცევის ვეებერთელა ტალღას, ყველაფერს რომ ტბორავს და ლეწავს, არამედ იმ უამრავ მორაკრაკე ნაკადულს, მუხანათურად რომ მოჟონავს, ნელა, ქვემოდან ასველებს, ალბობს მიწას, სანამ ერთხელაც ყველაფერი წყალქვეშ არ აღმოჩნდება. საერთოსახალხო კატასტროფით შეშფოთებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მედიკოსები მოიწვიეს, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ოფთალმოლოგები და ნევროპათოლოგები, და თუმცა დროის სიმცირის გამო ყრილობის გამართვამდე საქმე არ მისულა, გაუთავებლად ეწყობოდა ათასგვარი სიმპტომიუმი, კოლოკვიუმი, კონფერენცია, დისკუსია მრგვალ მაგიდასთან, ხან საჯაროდ, ხან დახურულ კარს მიღმა. ყველა ამ დებატისა და სამეცნიერო დისკუსიის სრულმა უშედეგობამ და კიდევ უეცარი დაბრმავეების რამდენიმე შემთხვევამ, როცა შუა სხდომისას ორატორი უცებ აყვირდა, დავბრმავდი, დავბრმავდიო, გამოიწვია ის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამგვარი ღონისძიებების გაშუქების ინტერესი დაკარგეს, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე გამოცემას, რომლებიც მხოლოდ სენსაციებზე, სხვის უბედურებასა და ტრიუმფზე ნადირობენ, ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, შემთხვევისათვის დამახასიათებელი დრამატიზმით გადმოსცენ ინფორმაცია, რომ, ვთქვათ, შუა მოხსენების

კითხვისას დაბრმავდა ოფთალმოლოგიის კათედრის გამგე ესა და ეს პროფესორი.

რაკი დარწმუნდა, რომ საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, მთავრობა იძულებული გახდა, ექვსი დღის განმავლობაში უკვე მეორედ შეეცვალა სტრატეგია. ჯერ შესაძლებლად და საჭიროდ მიიჩნიეს, დაავადების გავრცელება უსინათლოებისა და ინფიცირებულების რამდენიმე დახურულ დაწესებულებაში იზოლაციით აღეკვეთათ, აი, ისეთების, როგორც ჩვენი ფსიქიატრიული კლინიკაა. შემდეგ სენის სწრაფმა გავრცელებამ მთავრობის რამდენიმე გავლენიანი წევრი, იმის შიშით, რომ ხელისუფალთა ინიციატივა ქვედა დონის აღმსრულებელთა ხელში მახინჯ სახეს მიიღებდა და ამით პოლიტიკურ გართულებებს გამოიწვევდა, იძულებული გახდა, შემხვედრი ინიციატივა წამოეყენებინათ, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უსინათლოებისთვის ზედამხედველობა გაეწიათ მათ ახლობლებს, გარეთ არ გამოეშვათ, რომ, ჯერ ერთი, არ შეეფერხებინათ ისედაც გართულებული მოძრაობა ქუჩაში, და მეორე, დროებით თვალხილულთა გრძნობები არ შეებღალათ, რომლებსაც არ სჯეროდათ მეტ-ნაკლებად დამამშვიდებელი შეგონებებისა და დარწმუნებული იყვნენ, რომ თეთრი სენი ვიზუალური კონტაქტით გადაეცემა, როგორც გათვალვია. და მართლაც, სხვას რას უნდა ელოდო კაცისგან, რომელიც მოაბიჯებს სევდიან, ყოველდღიურ, იქნებ სასიხარულო ფიქრებში გართული, თუკი ვინმეს ასეთი რამ კიდევ შერჩენია, და უცებ ხედავს, როგორ ეღრჩება სახე გამვლელს, მერე კი ისმის მისი განწირული ღრიალი, დავბრმავდი, დავბრმავდიო. რა ნერვები გაუძლებს ამას. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ უსინათლოთა ოჯახები, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი, მომენტალურად ბრმავდებოდნენ, და საკითხავია, ვის უნდა მიეხედა მათთვის, თუ არა მემობლებს, თუ ჯერ კიდევ არ დაბრმავებულან, და ცხადია, რომ ასეთი ოჯახი, სადაც ერთი, ორი ანდა სამი წევრია, ვერ მოუვლის თავს და ესე იგი,

გახდება იმ ცნობილი სურათის ცოცხალი რეპროდუქცია, რომელზეც ბრძემები ერთად მიდიან, ერთად იჩეხებიან და ერთად იხოცებიან.

ასეთი პერსპექტივის შემხედვარე, მთავრობა იძულებული გახდა, სრული სვლით უკან დაეხია, ანუ გაეფართოებინა მის მიერვე დადგენილი კარანტინის კრიტერიუმები საამისოდ ვარგის ადგილებსა და ნაგებობებში, რის შედეგადაც დაიწყო დახურული ფაბრიკების, მიტოვებული ეკლესიების, სპორტული დარბაზების, ცარიელი საწყობების დაუყოვნებელი და სახელდახელო გადაკეთება. უკვე ორი დღეა, ხმა გავრცელდა, ქალაქგარეთ კარვების ქალაქები მოეწყობაო, დასძინა შავსახვევიანმა მოხუცმა. თავიდან, სულ თავიდან, ზოგიერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია ჯერ კიდევ გზავნიდა ვოლონტიორებს უსინათლოების მოსავლელად, რომ ლოგინი გაეწყოთ, უნიტაზები გაეწმინდათ, ტანსაცმელი გაერეცხათ, საჭმელი მოემზადებინათ, ანუ ის მინიმალური ზრუნვა გამოეჩინათ, ურომლისოდაც ცხოვრება გაუსაძლისი ხდება იმათთვისაც კი, ვინც ხედავს. ეს საბრალო, კეთილი ადამიანები, ანუ ვოლონტიორები, მაშინვე ბრმავდებოდნენ, თუმცა, ისტორია შემოინახავს მათ კეთილშობილურ თაოსნობას. რომელიმე მათგანი თუ არის აქ, იკითხა შავსახვევიანმა მოხუცმა. არა, უპასუხა ექიმის ცოლმა. იქნებ ეს ყველაფერი სულაც ჭორია. ქალაქში რა ხდება, მანქანები თუ მოძრაობს, იკითხა პირველმა უსინათლომ, გაიხსენა თავისი ავტომობილი და ტაქსის მძღოლი, რომელმაც ექიმთან წაიყვანა, მერე კი საკუთარი ხელით დამარხა. სრული ქაოსია, უპასუხა მოხუცმა და ავარიებისა და კატასტროფების დეტალურ აღწერას შეუდგა. როცა პირველად გადატვირთულ მაგისტრალზე მიმავალი ავტობუსის მძღოლი დაბრმავდა, ამას დიდად ყურადღება არავინ მიაქცია, თუმცა, დაღუპულებიც იყვნენ და დაშავებულებიც, და ისევ იმ მიზგბით, ანუ ჩვეულების გამო, სატრანსპორტო კომპანიის პრესმდივანმა, არც მეტი,

არც ნაკლები, განაცხადა, უბედური შემთხვევა მძღოლის მიზეზით მოხდაო, ანუ ყბადაღებული ადამიანის ფაქტორის მიზეზით, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო ამბავია, მაგრამ რომ დაფიქრდე, ამის განჭვრეტა შეუძლებელი იყო, როგორც ვთქვათ, ინფარქტისა, როცა ადამიანს ცხოვრებაში არასდროს აწუხებდა გული. ჩვენი კომპანიის ყველა თანამშრომელი, ისევე როგორც ხაზზე გასული ყველა ავტობუსი, რეგულარულად გადის უმკაცრეს შემოწმებას, შესაბამისად, სამედიცინოსა და ტექნიკურს, რის გამოც ავარიის შემთხვევების ძალიან დაბალი პროცენტი გვაქვს და ამით ჩვენი კომპანია ბოლო დრომდე გამოირჩევა სხვა კომპანიებისგან. ეს ვრცელი განმარტება გაზეთებში დაიბეჭდა, მაგრამ ადამიანებს სხვა სადარდელიც ჰქონდათ, ერთ რიგით საგზაო შემთხვევაზე რომ არ ეფიქრათ, და ბოლოს და ბოლოს, განა იგივე არ მოხდებოდა, მუხრუჭები რომ გამოსულიყო მწყობრიდან. უფრო მეტიც, ორი დღის შემდეგ ამავე მიზეზით კიდევ ერთი ავარია მოხდა, მაგრამ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მიზნის მისაღწევად სიმართლე ზოგჯერ ტყუილის სახით ვრცელდება, ამიტომაც დაირხა ხმა, რომ ამჯერად კონდუქტორი დაბრმავდა. სრულიად შეუძლებელი გახდა საზოგადოების დარწმუნება, რომ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო, და შედეგად, რამაც არ დააყოვნა, ადამიანებმა შეწყვიტეს ავტობუსებით მგზავრობა, ფიქრობდნენ, ჯობია თავად დავბრმავდე, ვიდრე სხვისი სიბრმავის გამო დავიღუპო. მესამე ავარია, რომელიც მაშინვე მოჰყვა მეორეს და იმავე მიზეზით მოხდა, ცარიელ ავტობუსს შეემთხვა. ამან მაშინვე გამოიწვია დაახლოებით ამგვარი აღშფოთებული კომენტარები, ნეტავ თვალით სულ არ ვხედავდე მთელ ამ უმსგავსობასო. ამის მოქმელთ ვერც კი წარმოედგინათ, რა მალე აუსრულდებოდათ ეს ნატვრა. არც ავიაკატასტროფამ დააყოვნა. მოულოდნელად დაბრმავდნენ ხომალდის მეთაური და მეორე პილოტი, ლაინერი მიწას დაენარცხა, ნაწილებად დაიშალა და აფეთქდა, ყველა მგზავრი და

მთელი ეკიპაჟი დაილუბნენ, იმის მიუხედავად, რომ სისტემა იდეალურად იყო გამართული, თუ დავუჯერებთ შავი ყუთის მონაცემებს, რომელიც გადარჩა. ავტობუსის ბანალურ ავარიას როგორ შეედრება ამხელა მასშტაბის ტრაგედია, რომელმაც უკანასკნელი ილუზიაც კი გაუქრო იმათ, ვისაც ის ჯერ კიდევ ჰქონდა. ასე რომ, მალე სრულიად მიჩუმდა ძრავების გუგუნე და არც ერთი ბორბალი, არც დიდი და არც პატარა, არც ჩქარი და არც ნელი აღარ ბრუნავდა; და იმას, ვისაც სჩვეოდა წუწუნი, პიკის საათში ერთი საათი მიდიხარ, ორი საათი კი დგახარო, ან იმას, ვინც ჩიოდა, უადგილოდ დაყენებული ან გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი მანქანები მაფერხებენო, ან იმას, ვინც მახლობელ ქუჩებს ქანცის გაწყვეტამდე მოივლიდა, რომ სადმე მანქანა დაეყენებინა და ბოლოს, სადღაც ცარიელ ადგილას შეაყენებდა, ქვეითად მოსიარულედ იქცეოდა და ახლა უკვე მძღოლების ლანძღვას იწყებდა, მათ აყრიდა ქოქოლას, რომელსაც ადრე მას აყრიდნენ, ერთი სიტყვით, ყველას უნდა ეგრძნო შვევა, რომ არა ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ, რაკი უკვე ვერავინ ბედავდა საჭესთან დაჯდომას და თუნდაც მცირე მანძილის გავლას, მსუბუქი ავტომობილები, სატვირთო მანქანები, მოტოციკლები და ველოსიპედებიც კი, მეპატრონეთაგან მიტოვებული, რომელთა მესაკუთრის გრძნობასაც შიშმა სძლია, ქაოსურად იყო მიყრილი და მიტოვებული მთელ ქალაქში, და ამ შემადრწუნებელი სინამდვილის ხილულ სიმბოლოდ გამოდგებოდა ევაკუატორი, რომელსაც ავტომწის კაუჭი გამოუდვია, აუწევია და ჰაერში გამოუკიდია ავარიული მანქანა, რადგან, ეტყობა, პირველად მისი მძღოლი დაბრმავდა. საშინელი სიტუაცია შეიქმნა ყველასთვის, განსაკუთრებით კი უსინათლოებისთვის, რაკი ვერ ხედავდნენ, სად მიდიან, არ იცოდნენ, სად დგამდნენ ფეხს, და საცოდავი სანახავი იყო, როგორ აწყდებოდნენ აქა-იქ მიტოვებულ მანქანებს,

როგორ დომინოს ქვებივით ცვიოდნენ ერთმანეთის მიყოლებით, როგორ იყვლეთდნენ მუხლებს და როგორ ტიროდა ზოგი დაცემისას, ვინმე მომეხმარეთ, ღვთის გულისათვის, წამომაცენეთო, ზოგი კი როგორ ლანძღვა-გინებით იშორებდა დასახმარებლად გაწვდილ ხელს, წადი შენი, ნახავ, მალე შენი ჯერიც დადგებაო, გულაჩუყებულნი გამვლელი კი უცებ ხვდებოდა, რა რისკს იქმნიდა თავისი კეთილი ზრახვით და გველნაკბენივით გარბოდა, უჩინარდებოდა თეთრ ნისლში, და იქნებ რამდენიმე მეტრში ისიც ბრმავდებოდა.

აი, ასეთი ვითარებაა გარეთ, დაასრულა თხრობა შავსახვევიანმა მოხუცმა, და კიდევ ბევრი რამ არ ვიცი, მხოლოდ ის გიამბეთ, რაც საკუთარი თვალებით ვნახე, აქ ცოტა შეცბა და შეასწორა, თვალე-ბით არა, თვალით, რადგან ერთი მქონდა, ახლა კი ისიც აღარ მაქვს, ანუ ერთი მაქვს, მაგრამ რაში მარგიაო. სულ მინდა გკითხოთ, ხელოვნური თვალი რატომ არ ჩაისვით, ეს სახვევი ხომ აღარ დაგჭირდებოდათ. ამისხენით ერთი, შუშის თვალი რა თავში ვიხალო. რა ვიცი, ასეა მიღებული, უკეთესი შესახედია, და თანაც ბევრად ჰიგიენური, ამოიღებ, გარეცხავ, ჩაიდგამ, კბილის პროთეზივით. ჰოო, წარმოგიდგენიათ, რა ლამაზი იქნებოდა, ყველას, ვინც არა მხოლოდ მხედველობა, არამედ თვალებიც დაკარგა, შუშის წყვილი თვალი რომ ჩაესვა, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გამოადგებოდა. მართალი ხართ, არ გამოადგებოდა. რაკი ყველა უსინათლონი ვართ და, მგონი, ამისკენაც მიდის საქმე, რა დროს სილამაზებზე ფიქრია, ხოლო ჰიგიენას რაც შეეხება, აი, თქვენ, როგორც ექიმმა, მითხარით, რა ჰიგიენაზე შეიძლება აქ ლაპარაკი. ალბათ, ყველაფერი მხოლოდ უსინათლოთა სამყაროშია ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, უპასუხა ექიმმა. ადამიანებიც, იკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ადამიანებიც, მათაც ხომ ვერავინ ხედავს. აი, რა მოვიფიქრე, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, მოდი, დრო რომ მოვკლათ, ერთ თამაშს შემოგთავაზებთ. როგორ უნდა ვითამაშოთ, როცა ვერ ვხედავთ, რას ვთამაშობთ, შეეკამათა პირველი უსინათლოს ცოლი.

ეს ჩვეულებრივი თამაში როდია, თითოეულმა თქვენგანმა დაწვრილებით უნდა მოჰყვეს, რა დაინახა იმწამს, როცა დაბრმავდა. შეიძლება უხერხული იყოს, ეჭვი გამოთქვა ვიღაცამ. ვინც თამაშს არ ისურვებს, განზე გადგეს, დანარჩენები კი მოჰყვებიან, ოღონდ სიმართლეს, გამოგონება საჭირო არ არის. ჰოდა, თქვენ დაიწყეთ, უთხრა ექიმმა. კეთილი, დავიწყებ, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, მაშინ დავბრმავდი, როცა მინდოდა, ჩემი არარსებული თვალის ამბავი გამერკვია. რას გულისხმობთ. იმას, რომ თვალის ბუდეში რაღაც წვა ვიგრძენი, თითქოს ანთება დამეწყო, სახვევი მოვიხსენი, რომ გამეგო, რა მჭირდა, და სწორედ იმწამს დავბრმავდი. ეს რაღაც იგავივითაა, თქვა ვიღაც უცნობის ხმამ, იგავი თვალის შესახებ, რომელიც არ აღიარებს თავის არარსებობას. მე კი, განაგრძო ექიმმა, წიგნებში ვიქეჩებოდი, სწორედ ამ სენის თაობაზე ვეძებდი ინფორმაციას სამედიცინო ლიტერატურაში, და რაც ბოლოს დავინახე, იყო ჩემი ხელები წიგნზე. მე, ჩაება საუბარში ექიმის ცოლი, დავინახე სასწრაფო დახმარების მანქანის სალონი, სადაც ჩემი ქმარი ჯდებოდა. მე კი აი, რა დამემართა, ექიმს უკვე მოვუყევი, გზაჯვარედინს მივუახლოვდი, წითელი აინთო, ხალხი ქუჩაზე გადადიოდა, სწორედ მაშინ დავბრმავდი, და იმ ტიპმა, რომ მოკლეს, შინ წამიყვანა, მისი სახე, ცხადია, არც დამინახავს. მე, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, შინ ვიყავი, ვტიროდი და ის იყო, ცხვირსახოცი თვალეებთან მივიტანე, რომ დავბრმავდი. მე, თქვა რეგისტრატორმა ქალმა, ლიფტში შევედი, ღილაკზე თითის დაჭერას ვაპირებდი და უცებ ველარაფერი დავინახე, წარმოგიდგენიათ, როგორ შემეშინდებოდა, ლიფტის დახურულ კაბინაში მართო აღმოვჩნდი, არ ვიცოდი, ზევით წავსულიყავი თუ ქვევით, რაზე დამეჭირა ხელი, რომ კარი გამეღო. არა, თქვა აფთიაქარმა, ჩემი ამბავი სულ სხვაგვარად იყო, უკვე ვიცოდი, რომ ადამიანები ბრმავდებოდნენ, გავიფიქრე, როგორ იქნება, მეც რომ დავბრმავდე-მეთქი, თვალეები

დავხუჭე, მაინტერესებდა, როგორი იყო სიბრმავე, და რომ გავახილვე, უკვე ველარაფერი დავინახე. ესეც იგავს ჰგავს, ისევე გახმიანდა უცხოს ხმა, მოგინდება დაბრმავება და დაბრმავედები. სიჩუმე ჩამოვარდა. უსინათლოთაგან ზოგი თავის საწოლთან დაბრუნდა, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ გაუჭირდათ, თუმცა, კი იცოდნენ, ვინ სად წევს, თავიანთი საწოლის პოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ ერთი ან მეორე კედლიდან აითვლიდნენ, პირველიდან ფანჯრისკენ, მეორიდან კარისკენ და მხოლოდ ასე რწმუნდებოდნენ, რომ სწორად მივიდნენ. როცა მათი ლოცვასავით მონოტონური ბურტყუნი ჩაწყნარდა, შავსათვალისაღმა ქალიშვილმაც უამბო, თუ რა შეემთხვა: სასტუმროს ნომერში ვიყავი, მამაკაცთან ერთად, და გაჩუმდა, მოერიდა იმის მოყოლა, რას აკეთებდა იქ და რატომ გახდა უცნებ ყველაფერი თეთრი, მაგრამ შავსახვევიანი მოხუცი მაშინვე შეეშველა შეკითხვით, და უცნებ ყველაფერი სითეთრემ მოიცვა ხომ. დიახ, უპასუხა ქალიშვილმა. იქნებ თქვენი სიბრმავე ისეთი არ არის, როგორც ჩვენი, ისევე ჰკითხა მოხუცმა. ახლა მხოლოდ სასტუმროს დიასახლისი დარჩა. ოთახში ლოგინს ვასწორებდი, მანამდე იქ ვიღაც დაბრმავედა, თეთრეული ავიღე, ორივე მხრიდან, როგორც ყოველთვის გავშალე და ის იყო, უნდა დამეკეცა, რომ ველარაფერი დავინახე, მახსოვს, მაინც მოვახერხე დაკეცვა, და დასძინა, ეს ზეწარი იყო, თითქოს ამას რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველა მოჰყვა, ვინ რა დაინახა ბოლოს, იკითხა შავსახვევიანმა მოხუცმა. თუ მეტი აღარავინ დარჩა, მაშინ მეც მოვყვები, თქვა უცნობმა ხმამ. თუ კიდევ ვინმე დარჩა, ის მერე მოგვიყვება, ჯერ თქვენ გვიაძბეთ. ბოლოს რაც ვნახე, სურათი იყო. სურათი, ჰკითხა მოხუცმა, და სად იყო. მუზეუმში, მუზეუმში წავედი, ჰოდა, სურათზე ვხედავ მინდორს, ყვავებს, კვიპაროსებსა და მზეს, თანაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს მზე სხვა მზეების ფრაგმენტებისგან შედგება. აღწერით ჰოლანდიურ მხატვრობას ჰგავს. ჰო, სავსებით შესაძლებ-

ბელია, და კიდევ ძალლი იყო, საწყალი, ნახევრად ორმოში ჩა-
ვარდნილი. ჰოო, მაშინ ეს ესპანელი მხატვარია, მანამდე ძალლი
ასე არავის დაუხატავს, მას შემდეგ ხომ, მით უმეტეს. შეიძლება,
და კიდევ მდინარის გასწვრივ მიმავალი თივით დატვირთული
ოთხთვალა, რომელშიც ცხენია შებმული. მარცხნივ კიდევ სახ-
ლი იდგა, ხომ. დიახ. ეტყობა, ინგლისელი ფერმწერის ნამუშევარ-
ია. გამორიცხული არ არის, მაგრამ მეუჭვება, რადგან იქ ქა-
ლიც იყო, ჩვილით ხელში. ქალი ჩვილით ხელში ძალიან ხშირა-
დაა სურათებზე გამოსახული. მართალია, მეც შემინიშნავს. ერ-
თადერთი ის ვერ გამიგია, ერთ ტილოზე სხვადასხვა მხატვრის
ამდენი ნახატი როგორ დაეთია. და კიდევ, მაგიდას კაცები უსხე-
დან და ვახშობენ. მსოფლიო მხატვრობაში უამრავ სურათზეა
აღბეჭდილი ტრაპეზი, სადილი იქნება ეს თუ ვახშამი, ასე რომ,
ამის მიხედვით ვერ დაადგენ, ვინ არიან. ცამეტნი არიან, მხო-
ლოდ მამაკაცები. ჰო, ეს საქმეს აადვილებს, განაგრძეთ. და კი-
დევ ვილაც შიშველი ქერათმიანი ქალი ნიჟარაში, რომელიც
ზღვაში ტივტივებს, გარშემო კი უამრავი ყვავილი დაფარფატებს.
ცხადია, იტალიელი მხატვარი იქნება. და კიდევ ბრძოლის სცენა.
ესეც, როგორც ქალი ჩვილით ხელში და ტრაპეზი, ძნელი დასად-
გენია. დახოცილები, დაჭრილები. ბუნებრივია, ადრე თუ გვიან,
ყველა ჩვილი კვდება და ყველა ჯარისკაციც. და კიდევ, დამ-
ფრთხალი ცხენი. თვალები ლამის გადმოსცვივდეს, ხომ. ზუსტად
გამოიცანით. ჰო, ჰო, ცხენებს სჩვევიათ ეს, კიდევ რა სცენები იყო
იმ ნახატზე. ვერ მოვასწარი დანახვა, როგორც კი ის ცხენი დავი-
ნახე, დავბრმავდი. შიში აბრმავებს, ჩაერია შავსათვალისანი ქა-
ლიშვილი. მართალს ბრძანებთ, იმ მომენტში, როცა დავბრმავ-
დით, უკვე უსინათლოები ვიყავით, შიშმა დაგვაბრმავა, შიში არ
გვაძლევს თვალის ახელის საშუალებას. ეს ვინ თქვა, იკითხა
ექიმმა. უსინათლომ, იყო პასუხი, ერთმა უსინათლომ, აქ სხვა

არავინაა. მაშინ შავსახვევიანმა მოხუცმა იკითხა, რამდენი უსინათლოა საჭირო, სიბრმავე რომ წარმოიქმნასო. ამაზე ვერავინ უპასუხა. შავსათვალნიანმა ქალიშვილმა ითხოვა, რადიო ჩართეთ, იქნებ ახალი ამბები გადმოსცენო. ახალი ამბები ოდნავ მოგვიანებით დაიწყო, მანამდე კი ცოტა ხანი მუსიკას უსმინეს. რალაც დროის მერე პალატის კარს რამდენიმე უსინათლო მოადგა, ერთ-ერთმა თქვა, სამწუხაროა, გიტარა რომ არ წამოვიღეო. ახალი ამბები არც ისეთი დამაიმედებელი აღმოჩნდა, ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, ეროვნული ერთიანობისა და ხსნის მთავრობის შექმნა იგეგმება.

თავიდან, სანამ უსინათლოების თითებზე ჩამოთვლა შეიძლებოდა, ერთი-ორი სიტყვა საკმარისი იყო, რომ უცნობი ადამიანები ერთმანეთის უბედურების თანაზიარი გამხდარიყვნენ, და კიდევ სამიოთხი სიტყვა, რომ ერთმანეთისთვის ყველა გადაცდომა და შეცდომა მიეტევებინათ, ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულიც, და თუ ეს მიტევება ალალა არ არის, რამდენიმე დღე დაიცადე და მიხვდები, რა უაზრო ტანჯვის გადატანა მოუხდათ უბედურებს, მიხვდები და ისევ და ისევ დარწმუნდები, როგორ ითხოვს სხეული იმ მოთხოვნილებათა სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას, რომელსაც ბუნებრივს ვუწოდებთ. მიუხედავად ამისა და იმისა, რომ უნაკლოდ აღზრდილი ადამიანი მეტად იშვიათად გვხვდება და რამდენიც უნდა ეცადო, ყოველთვის ქცევის ნორმებს ვერ დაიცავ, პირველად მოსული უსინათლოების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ღირსეულად ეზიდებოდნენ ადამიანის წმინდა პირუტყვეული ბუნების ჯვარს. ახლა კი, როცა ორას ორმოცივე საწოლი დაკავებულია, ზოგი კიდევ უსაწოლოდაც დარჩა, ასე რომ, რამდენიმე უსინათლოს იატაკზე სძინავს, ყველაზე მდიდარი, ყველაზე შემოქმედებითი ფანტაზიაც კი ვერ მოიფიქრებს შედარებას, ეპითეტს თუ მეტაფორას იმის აღსაწერად, თუ რა აღმაშფოთებელი, თვალში საცემი უმსგავსობა გაბატონებულიყო ყოფილი ფსიქიატრიულის შენობაში. და ეს ეხება არა მხოლოდ

ტუალეტებს, ძალიან მალე ჯოჯოხეთის მყრალ ქვაბულებს რომ დაემსგავსა, სადაც, ალბათ, ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ სამარადჟამოდ ტანჯვისთვის განწირული ცოდვილნი, არამედ იმას, რომ ზოგი სრულ მოურიდებლობას ავლენდა, ხოლო ზოგი ვერ ასწრებდა ტუალეტამდე მისვლას, რის გამოც დერეფნები და პალატებს შორის სივრცე საყოველთაო მოსაქმების ადგილად იქცა, რომელსაც საჭირო ოთახს ვუწოდებთ, თანაც თავიდან ეს იშვიათად ხდებოდა, შემთხვევით, მერე კი ჩვეულებად დამკვიდრდა, რიდი და უხერხულობა აღარავის ადარდებდა. ისინი, ვინც სირცხვილს არად დაგიდევდათ ან ვერ იკავებდა კუჭის მოქმედებას, ალბათ, ასე ფიქრობდნენ, არა უშავს, რა მოხდა, მაინც ვერავინ ხედავსო, და შორს აღარც მიდიოდნენ. ხოლო როცა ტუალეტებში შესვლა უკვე შეუძლებელი გახდა, უსინათლოები უკანა ეზოში გადიოდნენ და იქ ისაქმებდნენ. მეტიმეტად დელიკატური ბუნებისანი ან კეთილალზრდილნი მთელი დღე ითმენდნენ და იკავებდნენ, ღამეს ელოდნენ, ანუ იმ დროს, როცა პალატის ბინადართა უმრავლესობა იძინებდა, და მხოლოდ მაშინ, მუცელზე ხელწავლებულნი ან ფეხებგადაჯვარედინებულნი, მიდიოდნენ მიწის თავისუფალი ნაგლეჯის საძებნელად, თუკი ასეთი საერთოდ მოიძებნებოდა განავლით სავსე ეზოში, რომელსაც ფეხებით ზელდნენ, ფეხსაცმელების ძირითაქეთ-იქით გადაჭქონდ-გადმოჭქონდათ, თანაც ამ ძებნისას ეზოში შეიძლება გზა აბნეოდათ, იქ ხომ ორიენტირი საერთოდ არ არის, გარდა აქა-იქ მდგარი შემოძარცვული და გამხმარი რამდენიმე ხისა, ადრინდელ შეშლილ ბინადართა უაზრო ქმედებებს რომ გადაურჩა, და პატარა, უკვე თითქმის მიწასთან გასწორებული ბორცვებისა, ახალდამარხულთა საფლავებზე რომ აღმართულიყო. დღეში ერთხელ, უფრო სწორად, დღის ბოლოს, ერთსა და იმავე დროს, მალვიძარას სიზუსტით, დიქტოფონი აკრძალვებსა და წესებს იმეორებდა, დაბეჯითებით ქადაგებდა სარეცხი

და საწმენდი საშუალებების გამოყენების უპირატესობას, შეახსენებდა უსინათლოებს, რომ ყველა პალატაშია ტელეფონი, რომლითაც შეუძლიათ შეატყობინონ, თუ მარაგი ამოეწურათ, თუმცა, სინამდვილეში საჭირო იყო სახანძრო შლანგი, რომ წყლის დიდი ჭავლით გადაერეცხათ მთელი ეს განავალი, სანტექნიკოსთა ბრიგადა, რომ იქაურობა სანიტარიულად დაემუშავებინათ, და კიდევ, წყალი, დიდი ოდენობით, რომ კანალიზაციაში ჩაერეცხა მთელი ეს სიბინძურე, ბოლოს კი კარგი იქნებოდა, მოეცათ ორი თვალი, სრულიად ჩვეულებრივი, და ხელი, რომელიც ხელს ჩაგჭიდებდა და წაგვიყვანდა, და ხმა, რომელიც გეტყოდა, აქეთო. თუ არ ჩავერიეთ, ეს უსინათლოები სულ მალე პირუტყვებად იქცევიან, თანაც ბრმა პირუტყვებად. არა, ეს ის უცნობი ხმა არ იყო, ვინც მხატვრობასა და სამყაროს ხატოვან სახეებზე ჰყვებოდა, ეს სიტყვები, შესაძლოა, სრულიად სხვა თანამიმდევრობით, შუადამისას ექიმის ცოლმა წარმოთქვა, როცა ქმრის გვერდით იწვა. ეს საშინელება როგორმე უნდა აღიკვეთოს, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ველარ მოვარჩვენებ თავს, ვითომ ვერ ვხედავ. დაუფიქრდი, ამას რა მოჰყვება, შეიძლება მონად გაქციონ, გაიძულონ, რომ ყველას ემსახურო, ყველას მოუარო, მოგთხოვონ, რომ აჭამო, ჩაბანო, დასაძინებლად დააწვინო, მერე გააღვიძო, ააყენო, წაიყვანო, სადაც გეტყვიან, დორბლი და ცრემლი მოსწმინდო, შუადამისას წამოგაგდონ, ოდნავ თუ შეფერხდები, გაგათახონ. აბა, რა ვქნა, მთელ ამ საშინელებას გულხელდაკრეფილმა ვუყურო. ისედაც ძალიან ბევრს აკეთებ. რას ვაკეთებ, მხოლოდ იმას ვცდილობ, ვინმემ არ შემატყოს, რომ ვხედავ. არ გეშინია, რომ აგითვალწუნებენ, სიბრმავე სულაც არ გვაკეთილშობილებს. არც უარესებს გვხდის. ძალიან სწრაფად მივექანებით ამისკენ, მართო იმის გახსენება რად ღირს, საჭმლის დარიგებისას რაც ხდება. სწორედ ამას ვამბობ, თვალხილულმა უნდა იკისროს საჭმლის განაწილება, რომ ყველას ეყოს და თანაბრად შეხვდეს, მაშინ

შეწყდება ეს ზედახორა, გაუთავებელი ჩხუბი, რამაც შეიძლება ჭკუიდან შეგშალოს, შენ არც კი იცი, რა ხდება, როცა ორი უსინათლო ერთმანეთს წაეკიდება. ჩხუბი ყოველთვის გარკვეულწილად სიბრძნის გამოვლინებაა. არა, ეს სულ სხვაა. ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიგაჩნია, როგორც ჯობია, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ აქ ყველა უსინათლო ვართ, ბრმები, რომლებიც არად დაგიდევენ ლამაზ სიტყვებს, თანაგრძნობას, აღარ არსებობს ხალისიანი და საყვარელი უსინათლო ბავშვების კოლორიტული და ალერსიანი სამყარო, ახლა ბრმების სასტიკი, დაუნდობელი და გულქვა სამეფო ბატონობს. იმას რომ ხედავდე, რასაც მე ვხედავ, დაბრმავებას ისურვებდი. მჯერა, მაგრამ რაღა ვისურვო, როცა ისედაც ბრმა ვარ. მაპატიე, საყვარელო, მაგრამ რომ იცოდე... ვიცი, ვიცი, მთელი ცხოვრება ადამიანებს თვალებში ვუყურებდი, არადა, ეს ხომ სხეულის ერთადერთი ნაწილია, სადაც, შესაძლოა, ჯერ კიდევ მოჩანს სული, ახლა კი ისიც დავკარგეთ. ხვალ გამოვაცხადებ, რომ ვხედავ. იმედია, სანანებელი არ გაგიხდება. ხვალ ყველას ვეტყვი, მერე გაჩუმდა და დასძინა, თუ, რა თქმა უნდა, თავად არ აღმოვჩნდი მათ სამყაროში.

მაგრამ ეს ჯერ არ მოხდება. დილით, როგორც ყოველთვის, ძალიან ადრე რომ გაიღვიძა, ექიმის ცოლის თვალები ისევ ცხადად ხედავდა. პალატაში ყველას ეძინა. ფიქრობდა, როგორ გამოვუცხადო, ყველა შევკრიბო და პირდაპირ მივახალაო, თუ აჯობებს უხმაუროდ, ჩვეულებრივად ვუთხრა, ისე, ვითომ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ სიტყვებს, ვთქვათ, რას ვიფიქრებდი, რომ ამდენ უსინათლოს შორის მხედველობას შევინარჩუნებდი, ან ხომ არ ჯობია, ვუთხრა, რომ ბრმა ვიყავი და ახლა მხედველობა დამიბრუნდა, იმედიც მიეცემათ, ერთმანეთს ეტყვიან, რაკი ამას დაუბრუნდა მხედველობა, იქნებ ჩვენც დაგვიბრუნდესო, თუმცა, გამორიცხული არ არის, პირიქითაც მოხდეს, მითხრან, რაკი

ასეა, მოშორდი აქედანო, მაშინ უპასუხებს, ქმარს ვერ დავტოვებო, და რადგან არმია კარანტინიდან არც ერთ უსინათლოს არ გაუშვებს, იძულებული იქნებიან, შეურიგდნენ იმას, რომ უნდა დავრჩე. როგორც ყოველთვის, გამთენიისას, ზოგი აწრიალდა, ზოგმა ჰაერი გააფუჭა, თუმცა, ეს სწორი გამოთქმა არ არის, რადგან მეტად გაფუჭება შეუძლებელი იყო, ეტყობა, ზღვრული ნაჯერობა უკვე მიღწეულია. გულისამრევი სიმყრალე ტალღებად მოდიოდა არა მხოლოდ ტუალეტებიდან, არამედ საკუთარი ოფლით აქოთებული უსინათლოებისგანაც, ორას ორმოცი ბინძური სხეულისგან, რომ არ იბანდნენ და ვერც დაიბანდნენ, არც საცვლებსა და ტანსაცმელს იცვლიდნენ, ჭუჭყსა და საკუთარ სიბინძურეში ეძინათ. და ვის სჭირდება აქა-იქ მიყრილი საპონი, მათეთრებელი, სარეცხი ფხვნილი, როცა ყველა ტრაპი გაჭედილია ან შხაპი არ მუშაობს, როცა ყველა წყალსადენი მილიდან ბინძური წყალი ძირს იღვრება, დერეფნების ხის იატაკს ჟღენტოს, ღრიტოებში ჩადის. სად ვეჩრები, ჭკუიდან ხომ არ შევიშალე, უცებ დაეჭვდა ექიმის ცოლი, რომც არ მომთხოვონ, მოგვემსახურეო, თანაც ეს მეტად სათუთა, თავად დავიწყებ აქ ყველაფრის რეცხვას და წმენდას, და რამდენ ხანს შევძლებ ამას, ამხელა საქმეს მართო როგორ გავუმკლავდები. და სულ ცოტა ხნის წინანდელ თავდაჯერებას ნელ-ნელა კარგავდა, ემსხვრეოდა ამ საზარელ სინამდვილესთან შეჯახებით, ასე მძაფრად რომ სცემდა ცხვირში და თვალებს უწვავდა. მეშინია, ჩაიხურჩულა სრულიად დაუძლურებულმა, და ჯობია დავბრმავდე, ვიდრე მისიონერობაზე გამოვიდო თავი. სამინი, მათ შორის აფთიაქარიც, უკვე ადგნენ და ვესტიბიულისკენ გამართნენ პოზიციების დასაკავებლად, რომ პირველი პალატის კუთვნილი საჭმელი აეღოთ. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ საჭმლის განაწილება და დარიგება თვალის ზომით ხდებოდა, რადგან სწორედ თვალი არ ჰქონდათ, ერთი ულუფა დიდი გამოსდიოდათ, მეორე პატარა, ხან კი პირიქით, ასე რომ, მძიმე საყურებელი იყო,

როგორ ერეოდათ ანგარიში, როგორ იწყებდნენ თავიდან, და ყოველთვის მოიძებნებოდა კაცი, განსაკუთრებით მავნე ზნისა და ეჭვიანი, რომელიც მოისურვებდა, გინდა თუ არა, უნდა დაერწმუნდე, სხვებს ჩემზე მეტი ხომ არ შეხვდათო, ამიტომაც სულ უთანხმოება იყო, მერე კი იწყებოდა ჯიკაობა, ორი-სამი გალაწუნების ხმაც გაისმოდა, მთლად მიზანში ვერმოხვედრილი, ბრმად გაქნეული ხელით. პირველ პალატაში უკვე ყველამ გაიღვიძა და საჭმელს ელოდა, კიდევ კარგი, აქ განაწილების შედარებით მისაღები წესი მოიფიქრეს, ჯერ საჭმელს პალატის ბოლოში წაიღებდნენ, სადაც ექიმი, მისი ცოლი და შავსათვალიანი ქალიშვილი იყვნენ ბიჭუნასთან ერთად, დედას რომ უხმობდა, მერე უსინათლონი ორ-ორი მიდიოდნენ თავისი წილისთვის, კართან ახლომდებარე საწოლებიდან იწყებდნენ სვლას, ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა რიგიდან და ასე რიგრიგობით, მუჯლუგუნებისა და ლანძღვის გარეშე. მართალია, ამას მეტი დრო მიჰქონდა, მაგრამ განა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ცოტა ლოდინი არ ღირს. პირველები, ანუ ისინი, ვისაც გაწვდილი ხელის მანძილზე ედო მთელი საჭმელი, ყველაზე ბოლოს ჭამდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ელამ ბიჭუნას არ ჩავთვლით, რომელსაც თავისი ულუფა უკვე შესანსლული ჰქონდა, როცა შავსათვალიანი ქალიშვილი ის იყო, ჭამას იწყებდა, ამიტომაც მისი წილის უმეტესი ნაწილიც ყოველთვის ბიჭის მუცელში აღმოჩნდებოდა ხოლმე. უსინათლოებმა კარგა ხანია მიაბრუნეს თავები კარისკენ იმის მოლოდინში, როდის გაიგონებდნენ თანაპალატელთა ფეხის ხმას, რომლებსაც საჭმელი მოჰქონდათ, მართალია, ეს მყარი ნაბიჯები არ იყო, მაგრამ უშეცდომოდ ხვდებოდნენ, რომ ვიღაც დატვირთული მოდის, მაგრამ უცებ სულ სხვა ხმა გაისმა, რაღაც იმდაგვარი, თითქოს დერეფანში ვიღაცები მოძუნძულებდნენ, თუკი ასეთი რამ ხელეწიფებათ უსინათლოებს, რომლებიც იმა-

საც კი ვერ ხედავენ, ფეხს სად დგამენ. რა მოხდა, რატომ გამოიქეცი-
ციტო, მხოლოდ ეს ჰკითხეს სამივეს, გულისხმეთქით რომ ცდილობ-
დნენ კარში ერთად შემოსვლას, პალატაში მყოფთათვის მოულოდ-
ნელი ამბავი რომ ეცნობებინათ. საჭმელი არ მოგვცესო, თქვა ერ-
თმა, დანარჩენმა ორმაც დაუდასტურა, ჰო, არ მოგვცესო. ვინ, ჯა-
რისკაცებმა, იკითხა ვილაცამ. არა, უსინათლოებმა. ვინ, აქ ყველა
უსინათლო ვართ. არ ვიცით, ვინ არიანო, უპასუხა აფთიაქარმა,
მგონი, ბოლო პალატიდან უნდა იყვნენ, აი, ისინი, ყველა ერთად
რომ მოიყვანეს. და რაო, რატომ არ გამოგატანეს საჭმელი, ჰკითხა
ექიმმა, აქამდე ასეთი რამ ხომ არ მომხდარა. ასე თქვეს, ადრე რო-
გორც იყო, ისე აღარ იქნებაო, ამიერიდან, ვისაც საჭმელი უნდა, გა-
დახდა მოუწევსო. აღშფოთებულმა შეძახილებმა პალატის კედლები
შეაზანზარა: წარმოუდგენელია, საჭმელს გვართმევენ, წყეული
ქურდები, რა სამარცხვინოა უსინათლოების ძარცვა, არ მეგონა,
ასეთ რამეს თუ მოვესწრებოდი, სერჟანტთან უნდა ვიჩივლოთ. ვი-
ლაც ყველაზე გაბედულმა შესთავაზათ, ერთად წავიდეთ და მოვ-
თხოვოთ ის, რაც კანონიერად გვეკუთვნისო. ეს არც ისე ადვილი იქ-
ნება, თქვა აფთიაქარმა, ბევრნი არიან, მთელი ხროვა, როგორც
მივხვდი, თანაც შეიარაღებული არიან. როგორ, რით. ჯოხები ნამ-
დვილად აქვთ, ხელში ისე ჩამართყეს, ახლაც მტკივა, თქვა სამთა-
გან ერთმა. უნდა ვცადოთ, მშვიდობიანად მოვაგვაროთ ეს ამბავი,
თქვა ექიმმა, მე წამოვალ, დაველაპარაკები, მგონი, რაღაც გაუგებ-
რობა უნდა იყოს. წავიდეთ, წამოგყვებით, უთხრა აფთიაქარმა, თუმ-
ცა, ისე არიან განწყობილი, მეექვსეა, სიტყვებმა გაჭრას. უნდა წავი-
დეთ, სხვა გზა არ არის, ასე ხომ არ ვისხდებით. მეც წამოვალ, თქვა
ექიმის ცოლმა და დაშავებული უსინათლოს ნაცვლად გაჰყვა, რო-
მელმაც ჩათვალა, რომ თავისი ვალი უკვე მოიხადა, ამიტომ პალა-
ტაში დარჩა და დანარჩენებს უყვებოდა, თუ რა ხიფათში აღმოჩ-
ნდნენ. საჭმელი იქვე ეწყო, ორ ნაბიჯში, მაგრამ აბა, ერთი გაგებედა

აღება, კედელივით შემოერთდნენ, თან ჯოხები ეჭირათ, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი.

გვერდიგვერდ მიდიოდნენ, სხვა პალატების უსინათლოთა შორის მიიკვლევდნენ გზას, ვესტიბულში ექიმის ცოლი ერთი შეხედვითვე მიხვდა, რომ ახლა ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკება შეუძლებელია და, ალბათ, არც არასდროს იქნება შესაძლებელი. შუა ვესტიბულში მჭიდრო რკალად შემორტყმოდნენ სურსათიან ყუთებს, ხიშტებივით თუ შუბებივით წინ გამოეშვირათ ჯოხები და საწოლის საბურგიდან ამომტვრეული რკინის კეტები, ზოგი უსინათლო წრიულად იდგა თავდაცვაში, იგერიებდნენ სხვა უსინათლოთა გააფთრებულ შეტევას, რომლებიც სპონტანური თავდასხმებით, იერიშსაც რომ ვერ უწოდებ, ცდილობდნენ მწყობრი გაერღვიათ, სადმე მაინც ეპოვათ გასაძრომი, შემთხვევით თუ დაუდევრობით დატოვებული, მაგრამ წინ გაშვერილ ხელებზე ჯოხები ხვდებოდათ, ზოგი კი ოთხით მიფორთხავდა, სანამ მოწინააღმდეგის ფეხებს არ დაეჯახებოდა, ის კი ზურგზე ჯოხს ჩასცხებდა ან წიხლებით იგერიებდა. იმის თქმა არც კი ღირს, რომ ეს ყველაფერი ბრმად ხდებოდა, ან კი სხვაგვარად როგორ მოხდებოდა. ამ ბრძოლის სურათს ემატებოდა განრისხებული ყვირილი, გააფთრებული შეძახილები: მოგვეცით ჩვენი საჭმელი, ჭამის უფლება ყველას აქვს, არამზადებო, ეს რა უმსგავსობაა, სრულიად წარმოუდგენელი ამბავია, და ვიღაც, ისეთი გულუბრყვილო თუ დაბნეულიც აღმოჩნდა, რომ დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და დაიძახა, პოლიცია გამოიძახეთო, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ პოლიცია უკვე აქ არის, სიბრმავე, მოგეხსენებათ, პროფესიით არ არჩევს, ჩვენი ნაცნობი ორი სამართალდამცავი კი კარგა ხანია მოკლულია და, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიწასაა მიბარებული. იმ აბსურდული იმედით, რომ ხელისუფლება ჩაერევა და ყო-

ფილ საგიჟეთში დარღვეულ მშვიდობას, სამართლიანობას, წესრიგსა და სიმშვიდეს აღადგენს, ერთმა უსინათლო ქალმა ცენტრალური გასასვლელისკენ გააღწია და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით განწირულად გასძახა, გვიშველეთ, საჭმელს გვართმევენო. ჯარისკაცებმა კი ვითომ ვერაფერი გაიგონეს, რადგან საინსპექციოდ მოსულმა კაპიტანმა სერჟანტს სრულიად ცხადი ბრძანება მისცა, ნურაფერში ჩაერევიო, თუნდაც ერთმანეთი ამოხოცონო. ამასობაში უსინათლო ქალი ისეთი ხმით გაჰკიოდა, როგორითაც კლინიკის კედლებს მისი ადრინდელი მკვიდრნი აზანზარებდნენ, თუმცა, შეშლილი სულაც არ იყო, მხოლოდ სასოწარკვეთილებამ გააგიჟა. ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ამოდ გაჰკიოდა, აქვითინებული უკან შემობრუნდა, სწორედ მაშინ ჩასცხეს კეტი თავში და უსულოდ დაეცა. ექიმის ცოლს უნდოდა, მიშველებოდა, აყენებინა, მაგრამ იმ ჭეჭყვაში ორი ნაბიჯიც ვერ გადადგა. ის უსინათლოები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ჭამის უფლება მათაც აქვთ, შედრკნენ, სრულიად დაკარგეს ორიენტაციის უნარი და უწესრიგოდ დაიწყეს უკან დახევა, ბორძიკობდნენ და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ, ისევ ეცემოდნენ, ზოგი კი გატანჯული, ნაცემი, ტკივილისგან მოკრუნხხული, აღარც ცდილობდა ადგომას, ბედს ნებდებოდა იატაკის ქვის ფილებში სახეჩარგული. ამ დროს ექიმის ცოლმა შეძრწუნებულმა დაინახა, რომ ერთ-ერთმა ყაჩაღმა ჯიბიდან პისტოლეტი დააძრო და ლულით ზემოთ შემართა. ტყვიამ ჭერიდან კარგა გვარიანი ბათქაში ჩამოაგდო, რომელიც უსინათლოებს დაეცათ და კიდევ უფრო გაამძაფრა საყოველთაო გაწამაწია. მსროლელმა დაიძახა, აბა, მოკეტეთ, ერთი ვინმემ ხმა ამოიღოს, მაშინვე ვისვრი, ვისაც მოხვდება, მოხვდეს, მერე აღარ იწუწუნოთო. უსინათლონი გაირინდნენ. ერთხელ და გასაგებად ხომ გითხარით, განაგრძობდა პისტოლეტიანი კაცი, ამიერიდან საჭმელს ჩვენ მივხედავთ, ხომ ყველამ გაიგონეთ, და აღარც არავინ

მოაკითხოს, კართანაც ჩვენებს დავაყენებთ, ვინც ჩვენს კანონს დაარღვევს, თავის თავს დააბრალოს, ამიერიდან საჭმელი გაიყიდება, ჭამა თუ გინდათ, უნდა გადაიხადოთ. რით გადავიხადოთო, იკითხა ექიმის ცოლმა, აკი გითხარით, მოკეტეთ-მეთქი, გაცოფდა ის, პისტოლეტს აქეთ-იქით რომ ატრიალებდა. ხომ უნდა გავიგოთ, ეს ყველაფერი როგორ მოხდება, როგორ მივიღებთ საჭმელს, ყველა ერთად თუ თითოეული ცალ-ცალკე. ამას დამიხედეთ, რა აქტიურია, მიდი ერთი, გაასაღე, ტვინი რომ არ წაიღოს, ერთი მჭამელით ნაკლებიც იქნება. კარგა ხნის წინ გავასაღებდი, რომ ვხედავდე, უთხრა მეთაურმა, მერე კი დანარჩენებს მიმართა, აბა, დაიშალეთ, პალატებში წადით, მიდით, მიდით, გაინძერით, დროზე, საჭმელს შიგნით რომ შემოვიტანთ, დანარჩენს მერე გეტყვით. მაგრამ გადახდა როგორ მოხდება, რა დაგვიჯდება, ვთქვათ, რძიანი ყავა ან ორცხობილა, არ ეშვებოდა ექიმის ცოლი. არა რა, ეს წერას ჰყავს ატანილი, თქვა იმავე ხმამ. კარგი, მაგას მერე მივხედავ, თქვა მეთაურმა და უკვე შეცვლილი ხმით დაამატა: მოკლედ ასე, ყოველი პალატიდან ორ კაცს შეარჩევთ, ყველაფერს, რაც კი რამ ძვირფასი გაქვთ, მათ ჩააბარებთ, სულერთია, რაც იქნება, მთავარია, ფასეული იყოს, ყველაფერს მივიღებთ, ბეჭდებს, ძეწკვებს, მედალიონებს, მძივებს და საყურეებს, საათებს, სამაჯურებს, ვისაც რა გაქვთ, და ყველაფერ ამას მარცხენა ფრთის მესამე პალატაში მოიტანენ, ჩვენ იქ ვართ, და ერთ მეგობრულ რჩევასაც მოგცემთ, ღმერთმა არ ქნას, ჩვენი გაცურება სცადოთ, დარწმუნებული ვარ, ეცდებით რამე გადამალოთ, მაგრამ გაფრთხილებთ, ეს არ გავივით, ნაკლებს შეაგროვებთ, საჭმელს ვერ მიიღებთ, ჰოდა, მერე თქვენი ბანკნოტები და თქვენი ბრილიანტები ჭამეთ. მარჯვენა ფრთის მეორე პალატის უსინათლო დაინტერესდა, ეს ყველაფერი როგორ იქნება, რაც გვაქვს, ერთბაშად უნდა მოგცეთ თუ ყოველ ჯერზე უნდა გადავიხადოთ. ეტყობა, გასაგებად ვერ აგისხენით, გაეცინა მეთაურს,

ჯერ გადაიხდით, მერე შეჭამთ, მერე კი იმის მიხედვით გადაიხდით, რამდენსაც შეჭამთ, რა რთულია ეს საბუღალტრო ანგარიში, ტვინი გელრძობა კაცს, ასე რომ, ჯობია ყველაფერი ერთ ჯერზე შეაგროვოთ და მოიტანოთ, ჩვენ კი გადავწყვეტთ, რამდენი საჭმელი დაიძისახურეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რამის გადამალვას ნუ ეცდებით, ეს ძვირად დაგიჯდებათ, ხოლო უსამართლობა რომ არ დაგვწამოთ, გაითვალისწინეთ, შევამოწმებთ, როგორ შეაგროვებთ, მაგრამ თუ ერთ მონეტას მაინც ვიპოვით, ნუ გვიწყენთ, ახლა კი ჰაიდა, აუღეთ აქედან, დროზე. ისევ ასწია პისტოლეტი და გაისროლა. ბათქაშის ერთი ფენა კიდევ ჩამოვარდა. შენი ხმა კი, აქტიური, დავისსომე. არც მე დავივიწყებ შენს სახეს, უპასუხა ექიმის ცოლმა.

ამ უაზრობას, მგონი, არც არავინ მიაქცია ყურადღება, განა შეიძლება არ დაივიწყო სახე, თუ მისი დანახვა არ შეგიძლია. უსინათლოები კარისკენ წავიდნენ და მალე პირველი პალატის ბინადართ ყველაფერი მოახსენეს. რაც მოვისმინეთ, იმას მოწმობს, თქვა ექიმმა, რომ სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავემორჩილოთ, ჯერჯერობით მაინც, ბევრნი არიან, თანაც შეიარაღებულნი. ჩვენც შეგვიძლია რამეთი შევიარაღდეთ, აზრი გამოთქვა აფთიაქარმა. ჰო, ხის ტოტებით, თუ მივწვდით, ან საწოლებს მოვამტვრიოთ რკინები, თუ შევძელით, მათ კი, სულ ცოტა, ერთი პისტოლეტი მაინც აქვთ. ამ ბრმა გარეწრებისთვის არაფრის მიცემასაც არ ვაპირებ, თქვა ვიღაცამ. არც მე, გამოეხმაურა მეორე. აი, რას გეტყვით, ან ყველა ყველაფერს იძლევა, ან არავინ არაფერს. არჩევანი არა გვაქვს, თქვა ექიმის ცოლმა, თანაც აქ იგივე კანონი მოქმედებს, რაც გარეთ - იქ, ვისაც გადახდა არ უნდა, არ იხდის, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ჭამს, რადგან სხვის კმაყოფაზე ვერ იქნება. ყველაფერი უნდა მივცეთ, ყველაფერი, თქვა ექიმმა. ვისაც არაფერი აქვს, იკითხა აფთიაქარმა. ვისაც არაფერი აქვს, შეჭამს იმას, რასაც სხვები უწილადებენ, სწორად უთ-

ქვამს ვილაცას, თითოეულისგან შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ შავსახვევიანმა მოხუცმა იკითხა, ეს საქმე ვის დავავალოთო. ექიმსო, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. კენჭისყრა არც დასჭირვებიათ, მთელი პალატა ერთსულოვნად დათანხმდა. ორია საჭირო, შეახსენა ექიმმა, ვინ არის თანახმა. მე შემიძლია, თუ სხვა პრეტენდენტი არავინაა, თქვა პირველმა უსინათლომ. ძალიანაც კარგი, აბა, დავიწყოთ, პარკი დაგვჭირდება, ან ჩანთა, ან პატარა ჩემოდანი, რამე ამგვარი. აი, თქვა ექიმის ცოლმა და ჩანთიდან დაიწყო კოსმეტიკის და ქალისთვის საჭირო სხვა ნივთების ამოლაგება, რომლებიც მაშინ ჩააწყო, როცა ვერც კი წარმოიდგენდა, რა პირობებში მოუწევდა ცხოვრება. კრემებს, სუნამოებსა და სხვა კოსმეტიკას შორის, აქ სხვა სამყაროდან რომ მოხვედრილა, საკმაოდ გრძელი და წვეტიანი მაკრატელიც აღმოაჩინა. არც კი ახსოვდა, როდის ჩადო ჩანთაში. ექიმის ცოლმა თავი ასწია. უსინათლოები იცდიდნენ, ექიმი პირველი უსინათლოს საწოლთან მივიდა და რაღაცას ეუბნებოდა, შავსათვალიანმა ქალიშვილმა ბიჭუნას უთხრა, საჭმელი მალე იქნებაო, იქვე საწოლთან მდგარ ტუმბოსთან სისხლიანი ტამპონი ეგდო, რომელიც რაღაც გულუბრყვილო და უაზრო სირცხვილის გრძნობით დამალა, რომ არავის დაენახა, თუმცა, დამნახავი არც არავინ იყო. ექიმის ცოლი მაკრატელს დასჩერებოდა, ცდილობდა გაეგო, რატომ აკეთებს ამას, რატომ დაჰყურებს ასე, როგორ ასე, აი, ასე რა, და ვერ ხვდებოდა, ან რას უნდა მიხვედრილიყო ჩვეულებრივი, გრძელი, ალესილი და წვეტიანი მაკრატლის შემყურე. იპოვე რამე, ჰკითხა ექიმმა. ვიპოვე, უპასუხა და ერთი ხელით ჩანთა გაუწოდა, მეორე კი, რომელშიც მაკრატელი ჩაებლუჯა, ზურგს უკან დამალა. რა მოხდა, ჰკითხა ექიმმა, მან კი უპასუხა, არაფერიო, თუმცა, შეეძლო ეპასუხა, ისეთი არაფერი, შენ რომ დაინახო, ეტ-

ყოფა, ჩემმა ხმამ გაგაოცა, ეს იყო და ესო. ექიმი პირველ უსინათლოსთან ერთად მიუახლოვდა, ათრთოლებული ხელით ჩანთა გამოართვა და თქვა, აბა, დავიწყოთ შეგროვება, ყველაფერი ჩაყარეთ, ვისაც რა გაქვთ. ცოლმა საათი შეიხსნა, ექიმსაც მოხსნა სამაჯური, საყურე მოიძრო, ოქროს ძეწკვიც, მუქი ლალის-თვლიანი ბეჭედი, საქორწინო ბეჭდებიც თვითონაც და ქმარმაც ადვილად წაიძვრეს, ეტყოფა, გავხდითო, გაიფიქრა, და ყველაფერი კოხტად ჩააწყო ჩანთაში, იქვე ჩადო შინიდან წამოღებული ფული, სხვადასხვა კუპიურა და ერთი მუჭა მონეტებიც ჩაყარა. სულ ესაა, თქვა მან. დარწმუნებული ხარ, ჰვითხა ექიმმა, მეტი არაფერია, კარგად ნახე. ღირებული აღარაფერი. შავსათვალისა და ქალიშვილმაც მოიხსნა სამკაულები, თითქმის იმდენივე, რამდენიც ექიმის ცოლმა, მხოლოდ ორი სამაჯურით მეტი და საქორწინო ბეჭდით ნაკლები. ექიმის ცოლმა დაიცადა, სანამ მისი ქმარი და პირველი უსინათლო შებრუნდებოდნენ, სანამ შავსათვალისა და ქალიშვილი ელაში ბიჭუნასკენ დაიხრებოდა და ეტყოდა, ვითომ დედაშენი ვარ, შენთვისაც გადავიხდი და ჩემთვისაცო, და კედლისკენ დაიხევდა.

კედელზე, ისევე როგორც სხვა კედლებზე, აქა-იქ დიდი ლურსმნები იყო ჩატყდებული, ალბათ, იმისთვის, რომ შეშლილებს ზედ დაეკიდათ თავიანთი ძვირფასეულობა და სამშვენიისები. ყველაზე მაღალ ლურსმანს შეწვდა და მაკრატელი დაკიდა. მერე საწოლზე ჩამოჯდა. მისი ქმარი და პირველი უსინათლო საწოლებს შორის გასასვლელში ნელა მიიწევდნენ კარისკენ, ყველა საწოლთან ჩერდებოდნენ, რომ შეეგროვებინათ ის, რასაც მარცხნიდან და მარჯვნიდან აწვდიდნენ, ზოგი იმეორებდა, ეს უსინდისო ძარცვააო, და მართლებიც იყვნენ, ზოგი კი სულაც გულგრილად გასცემდა თავის ქონებას, თითქოს მიაჩნდა, რომ ქვეყნად არც არაფერია ისეთი, რაც აბსოლუტურად მხოლოდ შენი საკუთრებაა, და ესეც უდავო ჭეშმარიტებაა. ყველაფერი რომ შეაგროვებს, უკვე კართან მისულმა ექიმ-

მა იკითხა, ხომ ყველაფერი მომეცითო, და რამდენიმე ხმამ, აშკარად ბედთან შეგუებული ადამიანებისა, უპასუხა, კიო, ზოგმა კი ხმა არ ამოიღო, და თავის დროზე შევიტყობთ, იმიტომ ხომ არაა, რომ არ ეცრუათ. ექიმის ცოლმა მაკრატელს ახედა. გაუკვირდა, რომ ლურსმანზე ერთი ყურით ჩამოკიდებული მაკრატელი ისე მაღლა აღმოჩნდა, თითქოს იქ მას არ დაეკიდოს, მერე კი საკუთარი თავი შეაქო, რომ მოიფიქრა და შინიდან წამოიღო, ახლა იმას მაინც შეძლებს, რომ ქმარს წვერი გაკრიჭოს, რაკილა ისეთ პირობებში აღმოჩნდნენ, სადაც მამაკაცს ნორმალურად წვერიც ვერ გაუპარსავს. კარს რომ გახედა, ორნი უკვე ნახევრად ბნელ დერეფანში გაუჩინარდნენ მარცხენა ფლიგელის მესამე პალატისკენ მიმავალნი, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ საჭმლის საყიდლად, დღეისთვის, ხვალისთვის და, შესაძლოა, მთელი კვირისთვისაც. და მერე რა იქნება, მაგრამ ეს შეკითხვა უპასუხოდ დარჩა, ხომ ყველაფერი მივეცით, რაც გვქონდაო.

დერეფნები უჩვეულოდ ცარიელი იყო, თუმცა, როგორც წესი, საკმარისია პალატიდან გახვიდე, მაშინვე ვიღაცას ფეხს წამოსდებ, წაბორძიკდები, დაეცემი და დაშავებული ლანძღვა-გინებას დაუწყებ შენს დაცემაში უდანაშაულო დამნაშავეებს, ისინიც იმავეთი გიპასუხებენ, თუმცა, ეს ლანძღვა-გინება გულთან ახლოს არავის მიაქვს, ნებისმიერს, უსინათლოს კი მით უფრო, უფლება აქვს გული მოიოხოს. წინ ისმოდა ფეხის ხმა და ლაპარაკი, და ეს ნამდვილად მეორე პალატის ემისრები იყვნენ, რომლებიც მსგავს მისიას ასრულებდნენ. ეს რა დღეში ვართ, ექიმო, თქვა პირველმა უსინათლომ, ვითომ ის არ კმაროდა, რომ დავებრმავდით, ახლა კიდევ უსინათლო ბანდიტების ხელში აღმოვჩნდით, რა ბედი მქონია, ჯერ მანქანა მომპარეს, ახლა საჭმელს მართმევენ, თანაც პისტოლეტით მემუქრებიან. პისტოლეტი საგრძნობ უპირატესობას ანიჭებთ. ჰო, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ვაზნები გა-

თავდება. ისევე როგორც ყველაფერი ამქვეყნად, თუმცა, ამ შემთხვევაში, ჯობია ასე არ მოხდეს. რატომ. იმიტომ, რომ ვაზნები მაშინ მთავრდება, როცა ისვრიან, ესე იგი, ვიღაცას ესვრიან, არადა, ისედაც ბევრი დაგვეხოცა. აუტანელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თანაც კარგა ხანია, იმ წუთიდან, რაც აქ მოგვიყვანეს, თუმცა, რა გინდა, ვუძლებთ. თქვენ, როგორც ჩანს, ოპტიმისტი ხართ. სულაც არა, მაგრამ ამაზე უარესი უკვე შეუძლებელია. ამაში კი ძალიან მეპარება ეჭვი, ამას ზღვარი არა აქვს. ალბათ, მართალი ხართ, უთხრა ექიმმა, მერე კი, თითქოს საკუთარ თავს მიმართა, მაღლე აქ რაღაც მოხდებაო, და ეს მოსაზრება გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავდა, ანუ ასეთ მდგომარეობაზე უარესიც არსებობსო, ან რაღაც მომენტიდან მდგომარეობა გაუმჯობესდებაო, თუმცა, ჯერჯერობით ამის არავითარი ნიშანი არ ჩანს. განვლილ მანძილს, მარჯვნივ თუ მარცხნივ მოსახვევების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ისინი მესამე პალატას უახლოვდებოდნენ. არც ექიმი, არც პირველი უსინათლო ადრე აქ არ ყოფილან, თუმცა, არქიტექტურული გადაწყვეტა გარკვეულ ლოგიკას შეიცავს, ანუ ორი ფრთის სიმეტრიული მდებარეობა გულისხმობს, რომ თუ მარჯვენაში ორიენტირებას ახერხებ, მარცხენაშიც არ დაიბნევი, და პირიქით, თუ იქ მარჯვნივ უხვევდი, აქ მარცხნივ უნდა შეუხვიო. წინიდან ხმა შემოესმათ. დაცდა მოგვიწევს, ჩაიხურჩულა ექიმმა. რატომ. ისინი, მესამე პალატაში, ალბათ, დაიწყებენ იმის შემოწმებას, რა და რამდენი მივუტანეთ, თანაც უკვე ნაჭამი არიან, ასე რომ, არ იჩქარებენ. მაგრამ სადილის დროც ხომ ახლოვდება. ამ ფრთაში ჩვენს მეზობლებს მხედველობა რომც ჰქონდეთ, ეს მაინც არაფერს შეცვლის, მით უმეტეს, უკვე საათიც აღარ აქვთ. დაახლოებით თხუთმეტ წუთში, წუთი აქეთ, წუთი იქით, გაცვლა მოხდა. ორმა ექიმს და პირველ უსინათლოს ჩაუარა და მათი საუბრიდან ცხადი გახდა, რომ ხელცარიელნი არ მოდიოდნენ. ფრთხილად, არ გაგივარდეს, უთხრა ერთმა მე-

ორეს, მან კი ჩაიბურტყუნა, ეს ყველას არ ეყოფაო. ქამრების შემოჭერა მოგვიწევს. კედელზე ხელის ფათურით მიმავალმა ექიმა, რომელიც თანამგზავრს ერთი ნაბიჯით უსწრებდა, როგორც იქნა, ხელით კარის ჩარჩო იგრძნო. მარჯვენა ფრთის პირველი პალატიდან ვართ, თქვა მან. ის იყო, ზღურბლზე უნდა გადაებიჯებინა, რომ რაღაც წინაღობას შეეჯახა, მიხვდა, რომ საწოლი იყო, კართან მოედგათ. ყველაფერი წინასწარ გაუთვლიათ, ჰაიპარად კი არ მოქმედებენ, გაიფიქრა მან. ლაპარაკი გაიგონა, ნაბიჯების ხმაც. მაინც რამდენი არიანო, დაინტერესდა ექიმი, ათიო, ადრე კი უთხრა ცოლმა, მაგრამ არა, მეტი იქნებიან, ეტყობა, საჭმლის წასართმევად ყველა არ გამოსულა ვესტიბიულში. ის, პისტოლეთიანი, როგორც ჩანს, მათი ლიდერია, ეს მან თქვა ახლა საძაგელი ხმით, აბა, მარჯვენა ფრთის პირველი პალატა, მოდით, გვიჩვენეთ ერთი, რა შეაგროვეთო, მერე კი, ცოტა ხმადაბლა, ვიღაცას უთხრა, გაათორმეო. ექიმი დაიბნა. ნეტავ ეს სიტყვა რას უნდა ნიშნავდესო, თუ არა იმას, რომ აქ ვიღაცას წერა შეუძლია, ანუ ვიღაც ბრმა არ არის, ნუთუ კლინიკაში უკვე ორია ისეთი, ვინც ხედავს. სიფრთხილე გვმართებს, ხვალ ეს ვიღაც შეიძლება შეუმჩნევლად ჩვენ გვერდით აღმოჩნდეს, და ექიმის ეს აზრი დიდად არ განსხვავდებოდა იმ აზრისგან, პირველ უსინათლოს თავში რომ გაუელვა, თუ პისტოლეტს მზვერავსაც დავუმატებთ, დავიღუპეთ, ხელსაც კი ვეღარ გავანძრევთ. ამასობაში ქურდების მეთაურმა ჩანთა გახსნა და გაწაფული ხელებით დაიწყო იმის ამოლაგება და დახარისხება, რაც შიგ ეწყო, თითებით სინჯავდა ოქროს ნივთებს და ცალკე აწყობდა, ასევე ვარაუდით ახარისხებდა ფულის კუპიურებს, მონეტებს, რაც, ალბათ, რთული არ არის, თუ ეს ჩვევად გაქვს გადაქცეული, და სულ რამდენიმე წუთში შემცბარ ექიმს გარკვევით მოესმა რკინაზე კაწვრის დამახასიათებელი ხმა, რომლითაც საქმეში ჩახედული კა-

ცი უშეცდომოდ მიხვდებოდა, რომ იქვე ვიღაც ბრაილის სისტემით წერს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანაგლიფიასა დაუფლებული. ეს კი ნიშნავს, რომ უსინათლო ბანდიტებს შორის არის ჩვეულებრივი ბრმაც, ზუსტად ისეთივე, როგორც იყო ყველა უსინათლო ეპიდემიის დაწყებამდე, და ისიც სხვებს წამოაყოლეს კლინიკაში, რადგან არავის ეცალა იმის გასარკვევად, ძველი უსინათლო ხარ თუ ახალი, რამდენი ხანია, რაც დაბრმავდი და როგორ დაბრმავდი. ისე, არნახულად გაუმართლათ ბანდიტებს, ჯერ ერთი, რომ მათ შორის ბუღალტერი აღმოჩნდა, და მეორეც, ეს ბუღალტერი სტაჟიანი უსინათლო იყო, თან სპეციალურად გავარჯიშებული, თავისი გამოცდილებითა და ჩვევებით მეგზურადაც გამოდგება, ახალდაბრმავებულთაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწა, ერთი სიტყვით, უსინათლო კი არა, ბაჯალლო ოქროა. აღწერა გრძელდებოდა და მეთაური დროდადრო ბუღალტერს ეკითხებოდა, რას იტყვიო, ისიც წამით საქმეს თავს ანებებდა, თითებით სინჯავდა შესაფასებელ ნივთს და თავისი ავტორიტეტული ვერდიქტი გამოჰქონდა, მაგალითად, ყალბიაო, და მაშინ მეთაური ეუბნებოდა, ჰოდა, დიეტა მოუწევთო, ანდა პირიქით, კარგიაო, რასაც მოსდევდა რეპლიკა, რა სასიამოვნოა პატიოსან ადამიანებთან ურთიერთობაო. ბოლოს დახლზე სამი ყუთი შემოდეს: წააცუნცულე შენს სოროში. ექიმმა სათითაოდ გადათვალა, ეს ცოტაა, ოთხ ყუთს სულ თავიდან, ექვსნი რომ ვიყავით, მაშინ გვაძლევდნენო, მაშინვე კისერზე ლულის სიცივე იგრძნო. უსინათლოსთვის მართლაც შესაშური იყო ასეთი სიმარდე და მოძრაობის სიზუსტე. სხვა დროს კიდეც ამოიღებ ხმას და ერთ ყუთს დაემშვიდობები, ახლა კი წაიღე, რასაც გაძლევენ, და მოშორდი აქედან, მადლობა თქვი, რაღაც საჭმელი რომ გაქვს. კარგო, ჩაიბურტყუნა ექიმმა, ორ ყუთს დაავლო ხელი, მესამე პირველმა უსინათლომ აიღო და წამოვიდნენ, უფრო ნელი ნაბიჯით, რადგან ამჯერად ტვირთი მოჰქონდათ. ცარიელ ვესტიბიულში, იგრძნობოდა, რომ იქ არავინ იყო, ექიმმა თქვა, ასეთი შესაძლებლობა აღარც მომეცემათ. რას

გულისხმობთ, ჰკითხა თანმხლებმა. აი, აქ, კისერზე პისტოლეთი რომ მომაბჯინა, უნდა წამერთმია. სარისკო იყო. არც ისე, პისტოლეთის მდებარეობა ვიცოდი, თანაც ის ჩემს ხელებს ვერ ხედავდა. მერე. მერე ის, რომ იმ მომენტში ის ჩემზე ბრმა იყო, სამწუხაროა, რომ ეს ვერ მოვიფიქრე ან მოვიფიქრე, მაგრამ ვერ გავბედე. მერე, ჰკითხა პირველმა უსინათლომ. რა მერე. დაუშვავთ, გამოგლევდით პისტოლეთს, მაგრამ მეეჭვება, რომ გამოიყენებდით. გამოვიყენებდი, დარწმუნებული თუ ვიქნებოდი, რომ ამით საქმეს ეშველებოდა. მაგრამ დარწმუნებული ხომ არა ხართ. ჰო, არა ვარ. მაშინ ჯობია იარაღი მათ ჰქონდეთ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ თავს არ გვესხმიან. იარაღით მუქარა უკვე თავდასხმაა. იარაღი რომ წაგერთმიათ, ნამდვილი ომი დაიწყებოდა და იქიდან ცოცხლები ვერ გამოვალწევდით. მართალს ამბობთ, უთხრა ექიმმა, დაე იფიქროს, რომ ყველა მის მოსაზრებას ვიზიარებ. და კიდევ, ექიმო, არ დაგავიწყდეთ, რაც ცოტა ხნის წინ მითხარით. მაინც რა გითხარით. მითხარით, რაღაც უნდა მოხდესო. უკვე მოხდა, თუმცა, ამით ვერ ვისარგებლე. მაგრამ არა, კიდევ რაღაც უნდა მოხდეს.

როცა დაბრუნდნენ და ის მცირედი ამოალაგეს, რაც ერგოთ, პალატაში აღმოჩნდნენ ისეთები, ვინც უსაყვედურეს, მეტი რატომ არ მოითხოვეთ, თქვენ ორნი პალატის წარმომადგენლებად ხომ სწორედ ამიტომ აგირჩიეთო. ექიმმა სცადა, აეხსნა, რაც მოხდა, უსინათლო ბუღალტერიც ახსენა, პისტოლეთიანი მეთაურის აგრესიაც, ბუნებრივია, თავად პისტოლეთიც. მაშინ უკმაყოფილოებმა ხმა ჩაიკმინდეს, მერე ისიც აღიარეს, რომ პალატის ინტერესების დაცვა საიმედო ხელშია. ულუფები დაარიგეს, ზოგმა ისიც დასძინა, სულ არაფერს ისევ ცოტა სჯობია, თანაც სადილის დროც ახლოვდებაო. არ ივარგებს, თუ იმ ვირის ბედს გავიზიარებთ, პატრონმა ჭამას რომ გადააჩვია და სწორედ მაშინ

გაფშიკა ფეხებიო, აღნიშნა ერთმა. პასუხად დანარჩენებმა უღიმღამოდ გაიღიმეს, მეორემ კი დაამატა, არც ისე ცუდი აზრია, თუ ვირმა არ იცოდა, რომ ფეხებს გაფშეკდაო.

შავსახვევიანმა მოხუცმა დროულად მოიფიქრა, რომ მისი პორტატიული რადიომიმღები ვერ იქნებოდა და არც უნდა ყოფილიყო შეტანილი იმ ღირებულ ნივთთა სიაში, საჭმელზე რომ შეიძლება გაიცვალოს, რაკი სუსტი კორპუსი აქვს, თანაც დიდხანს ვერ იმუშავებს, რადგან მისი მუშაობის ვადა დამოკიდებულია, ჯერ ერთი, იმაზე, არის თუ არა მასში ბატარეები, და მეორე, რამდენ ხანს გაძლებს. ის ხრინწიანი ხმები, რომლებსაც ეს პატარა კოლოფი ჯერ კიდევ გამოსცემს, მოწმობს, რომ დიდი დღე არ უწერია. მაგრამ შავსახვევიანმა მოხუცმა გადაწყვიტა, კოლექტიური მოსმენა შეეწყვიტა იმიტომაც, რომ შესაძლოა მარცხენა ფრთის მესამე პალატის უსინათლონი მოულოდნელად დაადგენ თავს და სხვა მოსაზრება გამოთქვან ამ პლასტმასის კოლოფზე, არა იმდენად მისი მატერიალური ღირებულების გამო, რომელიც ნულს უტოლდება, რამდენადაც იმის გამო, რომ იმწუთიერად გამოიყენებდნენ, და სწორედ ეს უპირატესობა იყო განმსაზღვრელი, თუ არაფერს ვიტყვით იმ მაღალ ალბათობაზე, რომ სადაც ერთი პისტოლეტი აქვთ, შეიძლება ბატარეებიც აღმოაჩნდეთ.

ამიტომ შავსახვევიანმა მოხუცმა გამოაცხადა, ამიერიდან ჩემს რადიოს მართო მე მოვუსმენ, საბნის ქვეშ, ხოლო თუ რამე საინტერესოს გავიგებ, ყველას გეტყვითო. შავსათვალიანი ქალიშვილი ეხვეწა მოხუცს, მეც მომეცი, მუსიკას მოვუსმენ, სულ ცოტა ხნით, რომ არ დამავიწყდეს, საერთოდ, რა არის მუსიკაო, მაგრამ მოხუცი შეუდრეკელი აღმოჩნდა, უთხრა, უფრო მნიშვნელოვანია, ის გავიგოთ, რაც გარეთ ხდებაო, ხოლო თუ ვინმეს მუსიკის მოსმენა უნდა, საკუთარ თავში უსმინოს, მეხსიერება ადამიანს ხომ სწორედ ამისთვის აქვსო. მართალი იყო შავსახვევიანი მოხუცი, რადგან მუსიკა, რომელიც რადიომიმღებიდან იღვრებოდა, სულს აფორიაქებდა,

როგორც აფორიაქებს საძრახისი, სამარცხვინო საქციელის მოგონება, და ამიტომაც ახალი ამბების მოლოდინში ძალიან დაბალ ხმაზე ჰქონდა ჩართული. შემდეგ ოდნავ აუწევდა, ყურთასმენას დაძაბავდა, რომ სიტყვა არ გამორჩენოდა. მერე კი თავისი სიტყვებით უყვებოდა მოსმენილს ახლო მეზობლებს, ისინი სხვებს უყვებოდნენ და ასე ნელ-ნელა, საწოლიდან საწოლამდე ვრცელდებოდა ახალი ამბები, მთელ პალატას მოივლიდა, ერთიდან მეორეს უთუოდ დამახინჯებულად გადასცემდნენ, რადგან ინფორმაციის მნიშვნელობას აბუქებდნენ ან აკნინებდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ოპტიმისტურად იყო განწყობილი ესა თუ ის ინფორმაციის გადამცემი. და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთხელაც არ ამოიწურა სიტყვები და შავსახვევიანმა მოხუცმა არ აღმოაჩინა, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მაგრამ არა იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს ბატარეები დაჟდა ან რადიომიმღები გაფუჭდა, არა, განვლილი ცხოვრების გამოცდილებამ, და არა მხოლოდ საკუთარმა, თვალნათლივ ცხადყო, რომ დროს ვერავინ დაიმორჩილებს, ეს პატარა ხელსაწყო დიდხანს ვერ გაძლებს, ამიტომ ვინმე მანამდე უნდა გაჩუმდეს, სანამ ის გამოვა მწყობრიდან. მთელი ის პირველი დღე, რომელიც მოძალადეებისგან დათრგუნვილებმა გაატარეს, შავსახვევიანი მოხუცი ისმენდა და ავრცელებდა ახალ ამბებს, საკუთარი შეხედულებისამებრ გვერდს უვლიდა ოფიციალური პროგნოზებისა და ცნობების შესახებ ხალისიან ყბედობას და აი, ახლა, რომ დაღამდა, საბნიდან თავი გამოყო, ყური მიუგდო სუსტი ელექტროკვების გამო ხრიალად ქცეულ დიქტორის ხმას, რომელიც უცებ ჩაწყდა და მერე ყვირილი გაისმა, დავბრმავდიო, რასაც მიკროფონზე მძიმე დარტყმა, გაუგებარი ხმაური, ყრუ შეძახილები და ბოლოს სრული სიჩუმე მოჰყვა. ერთადერთი სადგური, რომელსაც აქ, კლინიკაში, ძლივს იჭერდა რადიომიმღები, დადუმდა,

მაგრამ შავსახვევიან მოხუცს კიდევ კარგა ხანს ჰქონდა მიდებული ყური მდუმარე კოლოფზე, თითქოს ელოდა, რომ ხმა დაბრუნდებოდა და გადაცემა გაგრძელდებოდა, თუმცა, ხვდებოდა, უფრო სწორად დანამდვილებით იცოდა, რომ ეს არ მოხდებოდა. თეთრი სენი მხოლოდ დიქტორს როდი შეეყარა. სადენს მოდებული ცეცხლივით სწრაფად ვრცელდებოდა ყველაზე, ვინც კი სტუდიაში იმყოფებოდა. მაშინ შავსახვევიანმა მოხუცმა რადიომიმღები იატაკს დაანარცხა. გადამალული ძვირფასეულობის საძებნელად მოძალადენი რომ შემოსულიყვნენ, დარწმუნდებოდნენ, რომ სწორად მოიქცნენ, როცა პორტატიული ტრანზისტორი ღირებულ ნივთთა ნუსხაში არ შეიტანეს. შავსახვევიანმა მოხუცმა თავზე საბანი წაიფარა, რომ ტირილით გული ეჯერა.

სუსტი ნათურების მკრთალი ყვითელი შუქით განათებული პალატა თანდათან ძილს ეძლეოდა, რაც მნიშვნელოვანწილად დანაყრებამაც განაპირობა, რაც ახლა დღეში სამჯერ უწევდათ, ადრე კი ყოველთვის ასე არ იყო, უფრო სწორად, იშვიათად იყო. თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ერთხელ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე საშინელ ბოროტებაშიც შესაძლოა მოიძებნოს ის სიკეთის მარცვალი, გაჭირვებასა და უბედურებას რომ გაგაძლებინებს, არსებულ სიტუაციაში კი ეს ნიშნავს, რომ პირველი ცუდი წინათგრძნობის მიუხედავად, სურსათის ერთ ხელში თავმოყრასა და ასე განაწილებას დადებითი მხარეც აქვს, რაც უნდა საწინააღმდეგო ამტკიცონ იდეალისტებმა, რომ მაინც ურჩევნიათ თავად იბრძოლონ არსებობისთვის საკუთარი საშუალებებით, თუნდაც ეს სიჯიუტე შიმშილობად დაუჯდეთ. ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავი არავის შეუწუხებია, არც ის გაუთვალისწინებიათ, რომ ვინც წინასწარ იხდის, შეიძლება მშრალზე დარჩეს, ამიტომ ყველა პალატის ბინადართა უმრავლესობას მშვიდად ეძინა. დანარჩენებიც, რომლებსაც ამ დამამცირებელი მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავლის პოვნის იმედი გადაეწურათ, ნელ-ნელა იმ იმედით იძინებენ, რომ მაინც დადგება ნათელი

მომავალი, როცა შეიძლება დიდად ვერ დანაყრდნენ, მაგრამ მეტი თავისუფლება ექნებათ. მარჯვენა ფრთის პირველ პალატაში მხოლოდ ექიმის ცოლს არ ეძინა. საწოლზე იწვა, იხსენებდა ქმრის იმ სიტყვებს, მომეჩვენაო, თითქოს უსინათლო მოძალადეთა შორის ერთი ხედავდა და რომ შეიძლება მერე თვალთვალისა და დაზვერვისათვის გამოიყენონო. უცნაურია, მაგრამ ამ თემას აღარც შეხებიან, თითქოს ექიმს არც გახსენებია, რომ მის ცოლს ჯერ არ დაუკარგავს მხედველობა. ექიმის ცოლმა კი გაიხსენა ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს, არ უნდოდა იმის აღნიშვნა, რაც ისედაც აშკარა იყო, რასაც ის ვერ შეძლებს, მე შევძლებო. მაინც რასო, ჰკითხავდა ექიმი, ვითომ ვერ მიხვდა. ახლა კი, კედელზე დაკიდებულ მაკრატელს რომ მისჩერებოდა, ექიმის ცოლმა გაიფიქრა, რა ხეირია, თუ ვხედავო. მხოლოდ ის, რომ ისეთი შიში განვიცადე, რომელსაც ვერც ვერასდროს წარმოვიდგენდიო, და ის, რომ უნდოდა, სხვებივით დაბრმავებულიყო. ფრთხილად წამოიწია, საწოლზე წამოჯდა. მის პირდაპირ შავსათვალთან ქალიშვილსა და ელამ ბიჭუნას ეძინათ, საწოლები ერთმანეთთან მიედგათ, ალბათ, ქალიშვილმა მიდგა, რომ ბიჭუნასთან ახლოს ყოფილიყო და თუ საჭირო გახდებოდა, ენუგეშებინა, ცრემლი შეეშრო, როცა დედა მოენატრებოდა. მე როგორ ვერ მოვიფიქრე საწოლების მიდგმა, ერთად ვიწვებოდით და აღარ ვინერვიულებდი იმაზე, რომ შეიძლება ძილში გადმოვარდესო, და გადახედა ქმარს, რომელსაც სრულიად გატანჯული კაცის ღრმა ძილით ეძინა. ვერ მოასწრო ეთქვა, რომ შინიდან თურმე მაკრატელი წამოუღია და შეუძლია წვერი გაუკრიჭოს, თუმცა, ამას უსინათლოც გაართმევს თავს, თუ, რა თქმა უნდა, მაკრატელს ზედ კანთან არ მიუტანს. და მაშინვე შესანიშნავი ახსნა მოუძებნა იმას, თუ რატომ არ უთხრა, ანუ მამაკაცები რიგში ჩადგებიან და მთელი დღეები მათი წვერის კრეჭა მომიწევსო. შემოტ-

რიალდა, ფეხები იატაკზე დაუშვა, ფეხსაცმელები მოძებნა, უნდოდა ჩაეცვა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, თავი გაიქნია და საწოლის ქვეშ შეაწყო. საწოლებს შორის გასასვლელით კარისკენ წავიდა. ფეხები ბინძურ იატაკზე ეწებებოდა, მაგრამ იცოდა, რომ გარეთ, დერეფანში, უარესი იქნებოდა, თანაც ბევრად უარესი. აქეთ-იქით მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ უსინათლოთაგან არავის გაღვიძებია, თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, სძინავს თუ არა ერთს, მეორეს ან თუნდაც მთელ პალატას, რაკი მისი ფეხის ხმა საერთოდ არ ისმის, ანდა რომც გაეგონათ, მაინც არაფერი, ყველამ იცის, რომ ბუნებრივი მოთხოვნილება დროს არ ირჩევს, და საერთოდაც, არ უნდოდა, ქმარს გაღვიძებოდა და ეკითხა, სად მიდიხარო, ან კიდევ, სად იყავიო, ასე ხშირად რომ ეკითხებიან ხოლმე ქმრები ცოლებს. ერთი უსინათლო ქალი ლოგინში წამომჯდარიყო, საწოლის საბურგეს მიყრდნობოდა, უხილავი მზერა კედლისკენ მიეპყრო და ის ვერც კი შენიშნა. ექიმის ცოლი წამით შეეყოვნდა, თითქოს ეშინოდა, ჰაერში მოფარფატე უხილავ ძაფს არ წამოსდებოდა და სამუდამოდ არ გაეწყვიტა. უსინათლომ გუმანით მსუბუქი რხევა იგრძნო, ხელი ასწია და მაშინვე უღონოდ დაუშვა, ისიც ეყოფა, მეზობლების ხვრინვა რომ არ აძინებს. ექიმის ცოლმა გზა განაგრძო, კართან ნაბიჯს აუჩქარა. სანამ ვესტიბიულისკენ წავიდოდა, თვალი მოავლო დერეფანს, სადაც ამ ფრთის პალატები გამოდიოდა, უფრო მოშორებით, სიღრმეში, ტუალეტები იყო, მერე სამზარეულო, ბოლოს კი სასადილო. კედლის გასწვრივ რამდენიმე უსინათლო იწვა, საწოლები ვისაც არ ეყო, თუმცა, ეს მხოლოდ შედეგია იმისა, რომ ძალები და გამბედაობა არ ეყოთ საწოლისთვის ბრძოლაში ჩართულიყვნენ და გაემარჯვათ, ან იქნებ იერიშისას უკანა რიგებში მოხვდნენ. ათიოდ მეტრში უსინათლო ქალს ზემოდან უსინათლო მამაკაცი აწვა, ეტყობოდათ, მორიდებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად ეხმაურათ, მაგრამ დიდად მახვილი სმენა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, თუ რას აკეთებდნენ,

მით უფრო, რომ დგება მომენტი, როცა შეუძლებელია შეიკავო თავი და არ აღმოგხდეს ყვირილი და არ გამოავლინო იმის აშკარა ნიშნები, ანუ ხვნეშა, გაუგებარი ბუტბუტი, ჩურჩული, რომ უკვე ყველაფერი დასასრულისკენ მიდის. ექიმის ცოლი, ამ წყვილის შემხედვარე, ცოტა ხნით შეეყოვნდა, და არა იმიტომ, რომ შეშურდა მათი, ღვთის წყალობით ქმარიც ჰყავდა და არც სიამოვნება აკლდა მისგან, არამედ სულ სხვა მიზეზით, რომლის ახსნა თავადაც გაუჭირდებოდა, და ეს უფრო იმას ნიშნავდა, რომ ესმოდა მათი, თითქოს უნდოდაო, ეთქვა, ყურადღებას ნუ მომაქცევთ, განაგრძეთ, მეც ვიცი, ეს რას ნიშნავსო, ან თანაგრძნობას, აქაოდა, უდიდესი ნეტარების ეს წუთი მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრებაც რომ გაგრძელდეს, ერთ არსებად მაინც ვერ იქცევითო. უსინათლოები უკვე მოშორდნენ ერთმანეთს, ახლა გვერდიგვერდ იწვნენ, ხელჩაკიდებულნი, ახალგაზრდები იყვნენ და, ეტყობა, შეყვარებულებიც, ვინ იცის, იქნებ კინოში წავიდნენ და იქ დაბრმავდნენ, ან სულაც, აქ შეხვდნენ შემთხვევით, მაგრამ როგორ იცნეს ერთმანეთი, რა შეკითხვაა, ხმით, რა თქმა უნდა, სისხლის ყივილით, რომელსაც მხედველობა სულაც არ სჭირდება, როგორც სიყვარულს, რომელიც, როგორც ამბობენ, ბრმა კი არის, მაგრამ სათქმელი მაინც აქვს. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ერთად იყვნენ, და ხელები ახლა კი არ ჩაჰკიდეს ერთმანეთს, თავიდანვე ხელჩაკიდებულნი იყვნენ.

ექიმის ცოლმა ამოიოხრა და ხელები თვალელებთან მიიტანა, რადგან მშერა დაებინდა, თუმცა, არ შეშინებია, იცოდა, რომ ცრემლის ბრალი იყო. მერე გზა განაგრძო. ვესტიბიულში რომ აღმოჩნდა, ეზოს გასასვლელისკენ წავიდა. ჭიშკარს მიღმა სინათლე ენთო და მის ფონზე გუშაგის შავი სილუეტი იკვეთებოდა. ქუჩის გადაღმა სახლებში ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო. პარმაღზე გავიდა. არ არის სახიფათო. ჯარისკაცი, რომც შენიშ-

ნოს, მხოლოდ მაშინ გაისვრის, თუ კიბეზე ჩავა და გზას განაგრძობს, შეძახილის შემდეგაც არ შეჩერდება და გაწყვეტს კიდევ ერთ უხილავ ძაფს, რომელიც თითქოსდა გუშაგმა გააბა საგუშაგოსა და თავისი უსაფრთხოების ზღვარის მოსანიშნად. პალატის გაუთავებელ გუგუნს შეჩვეული ექიმის ცოლი გააოცა სიჩუმემ, რომელსაც მთლიანად მოეცვა კაცობრიობისათვის განკუთვნილი სივრცე, კაცობრიობისა, სადღაც რომ გამქრალიყო და კლინიკის ჭიშკართან შუქი და უსინათლოთა სადარაჯოდ მხოლოდ გუშაგი დაუტოვებია. პარმალზე ჩამოჯდა, ზურგით კარს მიეყრდნო, ზუსტად ისევე, როგორც ის უსინათლო ქალი იჯდა საწოლზე, და ისევე გაუშტერდა მზერა. ცივი ღამე იყო, შენობის ფასადის გასწვრივ ქარი უსტვენდა და თითქოს დაუჯერებელი იყო, რომ ქარი ჯერ კიდევ ქრის და ღამით ბნელა. უსინათლოებისთვის კი დღედაღამ რძისფერი დღეაო, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. სინათლეზე კიდევ ერთი სილუეტი გამოიკვეთა, ეტყობა, ახალი ცვლა მოვიდა. არაფერი მომხდარაო, ეტყვის ერთი ჯარისკაცი მეორეს და კარავში შევა, რომ ღამის დარჩენილ დროში გამოიძინოს, და არც მას და არც არავის სხვას წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა ხდება ამ კარს მიღმა, ალბათ, სროლის ხმაც ვერ გაიგონეს, ასეთ პისტოლეტს ჩუმი ხმა აქვს. მაკრატელს კი, უფრო ჩუმი, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. არც კი დაფიქრებულა, საიდან წამოუტივტივდა ეს აზრი, მხოლოდ გაუკვირდა, რომ ასე დაიგვიანა პირველმა სიტყვამ, სანამ მოაფიქრდებოდა, ასე ნელ-ნელა მიჰყვა სხვა სიტყვებიც და მოეჩვენა, რომ მთელი ეს ფრაზა აქ უკვე იყო, აქ ან სადღაც, და მხოლოდ შემადგენელი სიტყვები აკლდა, ზუსტად ისევე, როგორც სხეული ლოგინში ჩაწოლისას პოულობს მყუდრო ჩაღრმავებას, რომელიც იმთავითვე განისაზღვრა, როგორც კი ლოგინში ჩაწოლის განზრახვა გაჩნდა. ჯარისკაცი ჭიშკარს მიუახლოვდა, და თუმცა პირით სინათლისკენ დგას, ექიმის ცოლმა შენიშნა, რომ მისკენ იყურება, მისი ყურადღება, ეტყობა, პარმალზე მჯდომმა ფიგურამ მიიპყრო,

მაგრამ ასეთ სიბნელეში რას გაარჩევ ქალს, რომელიც ქვის პარ-
მალზე ჩამომჯდარა, ხელები მუხლებზე შემოუხვევია და თავი ჩა-
უქინდრავს, და მაშინ ჯარისკაცმა მისკენ ფარანი მიანათა და დარ-
წმუნდა, ჰო, ასეა, ქალია, რომელიც დგება ისევე ნელა, როგორც
სულ ახლახან მის ცნობიერებაში შეაღწია მაკრატელზე ფიქრმა,
რაც, რა თქმა უნდა, ჯარისკაცს არ შეიძლებოდა, სცოდნოდა,
თუმცა, იმას კი მიხვდა, რომ ეშინია ამ ფიგურის, რომელიც ვერა
და ვერ წამოდგა, და გაიფიქრა, განგაში ხომ არ ავტეხო, მაგ-
რამ მაშინვე გადაიფიქრა, რა საჭიროა, ქალია და ისიც შორსო,
თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, რა იცი, რა ხდება, დავუმიზნე-
ბო, ამიტომ ფარანი დადო, მაგრამ ისე მოუხერხებლად, რომ შუ-
ქი პირდაპირ თვალებში ეცა და თითქოს ბადურა გადაუწვა, წა-
მით დააბრმავა, მას კი ეგონა, სამუდამოდ დავბრმავდიო. როცა
ჯარისკაცმა დანახვა შეძლო, ქალი იქ აღარ იყო, და ამიტომ შემ-
ცვლელს ველარ ეტყვის, არაფერი მომხდარაო.

ექიმის ცოლი კი უკვე მარცხენა ფრთის დერეფანშია, და ეს
დერეფანი მესამე პალატასთან მიიყვანს. უსინათლოებს აქაც ია-
ტაკზე სძინავთ, და უფრო მეტს, ვიდრე მარჯვენა ფრთაში. ნელა
და ჩუმად მიაბიჯებს, გრძნობს, როგორ ეწებება ფეხები იატაკს.
პირველი ორი პალატის კარში შეიხედა და ის დაინახა, რასაც
ელოდა, საბნებგადაფარებული სხეულების კონტურები, უსინათ-
ლო, რომელიც ვერა და ვერ იძინებს და სასოწარკვეთილი მოთ-
ქვამს ამის გამო მეზობლების წყვეტილი ხვრინვის ფონზე. სუნმა,
რომელიც იქ იდგა, სულაც არ გააკვირვა, მთელი შენობაც ასე
ყარს, და თვითონაც, მისი სხეულიც, მისი ტანსაცმელიც. კუთხეში
რომ შეუხვია, დერეფნის იმ მონაკვეთში მოხვდა, სადაც მესამე
პალატაა, და გაჩერდა. კართან აქაც გუშაგი დაუყენებიათ, ხელ-
კეტიანი უსინათლო. ნელა იქნევს ხელკეტს, აქეთ-იქით, თითქოს
ასე გზას ურაზავს ნებისმიერს, ვინც ბღურბლზე გადაბიჯებას შე-

ეცდება. აქ კედლის გასწვრივ არავის სძინავს, დერეფანი ცარიელია. კართან მდგარი უსინათლო ისევ იქნევს ხელკეტს, მგონი, არც დაიღლება ამ ერთგვაროვანი მოძრაობით, თუმცა, არა, რამდენიმე წუთში ხელიდან ხელში გადაიტანა და ისევ განაგრძო. ექიმის ცოლი მოპირდაპირე კედელს აეკრა, რომ არ მოხვედროდა. მაგრამ რკალი, რომელსაც ჰაერში ხელკეტი ხაზავს, დერეფნის შუამდეც ვერ აღწევს, და ექიმის ცოლმა ლამის უთხრას ამ გუშაგს, რომ სულ ტყუილად იქნევს იარაღს. პირდაპირ მის წინ დგას და პალატაშიც შეუძლია შეიხედოს. იქ ყველა საწოლი არ არის დაკავებული. მაინც რამდენი არიან, გაიფიქრა მან. ქანქარასავით მოძრავი ხელკეტის ამპლიტუდაში მოხვედრის საშიშროების მიუხედავად, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და ისევ გაჩერდა, უსინათლომ მისკენ თავი შემოაბრუნა, თითქოს რაღაც უჩვეულო იგრძნო, რაღაც ჰაერის რხევა თუ მისი სუნთქვა. ბრგე კაცი იყო, ტორებივით ხელები ჰქონდა. ჯერ ხელკეტი წინ გამოიშვირა, რამდენჯერმე მოიქნია, მერე ნაბიჯი გადმოდგა წინ და წამით ექიმის ცოლს მოეჩვენა, მხედავს და იმაზე ფიქრობს, მარჯვედ როგორ მომიქნიოსო. ასეთი თვალები ბრმა ვერ იქნებაო, გაიფიქრა შეშინებულმა. როგორ არა, იქნება, იქნება, ჩვეულებრივი თვალებია, ისეთივე თვალებია, როგორიც აქვს ყველას, ვინც ამ კედლებში და ამ ჭერქვეშაა გამოკეტილი, უკლებლივ ყველას, მის გარდა. ვინ ხარო, ძლივს გასაგონად იკითხა, კი არ შესძახა, როგორც გუშაგს სჩვევია, შეჩერდი, ვინ ხარო, რომ პასუხად გაეგონა, შენიანი ვარო, და ეთქვა, მაშინ გაიარე, ოღონდ დისტანცია დაიცავიო, ამის ნაცვლად, თავი გაიქნია, თითქოს გაიფიქრა, რა სისულელეა, ვინ შეიძლება იყოს, როცა ამ დროს ყველას სძინავსო. თავისუფალი ხელი ჰაერში აიქნია, ოდნავ კარისკენ დაიხია და საკუთარი ფიქრებით გულდამშვიდებულმა ხელკეტი დაუშვა. ეყვინთებოდა, კარგა ხანია ელოდა, რომ ვინმე მოვიდოდა და შეეცვლიდა, მაგრამ ამისათვის იმ ვინმეს მოვალეობის გრძნობის შინაგანი ხმით უნდა გაღვიძებოდა, გაღვიძებოდა თავისით, რადგან აქ

არც მალვიძარაა, არც მისი გამოყენების შესაძლებლობა. ექიმის ცოლი კარს მეორე მხრიდან ფეხაკრეფით მიუახლოვდა და პალატაში შეიხედა. ჰო, ნახევარი პალატა ცარიელია, უცებ დათვალა და გაირკვა, რომ მხოლოდ ცხრამეტი-ოცი კაცია. სიღრმეში სურსათიანი ყუთები დაეხვავებინათ, ზოგი საწოლებზე ეწყო. საჭმელს აგროვებენ, მთლიანად არ არიგებენ, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. გუშაგი თითქოს ისევ შეშფოთდა, მაგრამ აღარაფერი მოიმოქმედა. წუთი წუთს მისდევდა. ვიღაც მწეველს ხველა აუტყდა. გუშაგმა გახარებულმა მიატრიალ-მოატრიალა თავი, იქნებ ახლა მაინც შემცვალოს ვინმემ და დასაძინებლად წავიდეთ, მაგრამ არავინ ამდგარა. მაშინ ნელა, თითქოს ეშინოდა, დანაშაულზე არ წაესწროთ, რაც საგუშაგოზე დადგენილი წესების ყველა პუნქტის დარღვევას ნიშნავდა, პალატის შესასვლელში ჩახერგილ საწოლზე ჩამოჯდა. ჯერ ჩაყვინთა, მერე კი ღრმად გადაეშვა ძილში და ალბათ, გაიფიქრა, არა უშავს, მაინც ვერავინ მხედავსო. ექიმის ცოლმა პალატის ბინადარნი ისევ გადათვალა, გუშაგის ჩათვლით ოცნი იყვნენ, კეთილი, უტყუარი მონაცემები მოიპოვა, ასე რომ, ღამის რეიდს უქმად არ ჩაუვლია. ნუთუ მხოლოდ ამისთვის მოვედი აქ, ჰკითხა საკუთარ თავს და პასუხი ვერ მიიღო. გუშაგს ეძინა, ლოყა კარის ჩარჩოზე მიედო, ხელკეტი იატაკზე დავარდნოდა, და ექიმის ცოლის წინ ერთი უიარაღო უსინათლო აღმოჩნდა. თავი აიძულა იმაზე ეფიქრა, რომ ამ კაცმა საჭმელი მოჰპარა, სხვებსაც წაართვა მათი კუთვნილი ქონება, მის გამო ბავშვები მშივრები დარჩნენ, და ყველაფერი ამის გაფიქრების მიუხედავად, ვერ გამოიწვია ვერც რისხვა, ვერც ოდნავი გაღიზიანება, მხოლოდ საოცარი სიბრაღული დაეუფლა ამ მოდუნებული კაცის შემხედვარეს, თავი რომ უკან გადაეგდო და გრძელი, ძარღვებდაბერილი ყელი მოუჩანდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დაიბაფრა, მოეჩვენა, რომ იატაკის ქვის ფილები ყი-

ნულივით წვაგდა ფეხისგულებს. ახლა კიდევ გაცივებალა მაკლიაო, გაიფიქრა. არა, სიცხე არა მაქვს, უბრალოდ გადავიღალე, მინდა მოვიკუნტო, საკუთარ თავში დავიმალო, ჰო, თვალები კიდევ, ამ თვალებმაც ნეტავ უკან შეიხედონ, ღრმად, ღრმად, უფრო ღრმად, რომ ბოლოს და ბოლოს დაინახონ საკუთარი ტვინი შიგნიდან, სადაც უნარსა და უუნარობას შორის განსხვავება უხილავი ხდება. ნელა, ადრინდელზე უფრო ნელა წალასლასდა უკან, იქ, სადაც უნდა წასულიყო კიდევ, გვერდი აუარა მთვარეულივით მოხეტიალე უსინათლოებს, რომლებიც, ალბათ, მასაც მთვარეულად აღიქვამდნენ, ასე რომ, არც კი იყო საჭირო თავი უსინათლოდ მოეჩვენებინა. ორი შეყვარებული უკვე აღარ იყო ხელჩაკიდებული, ორივე მხარ-თეძო-ზე იწვა ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთი რომ გაეთბოთ, და თითქოს მამაკაცის სხეულით წარმოქმნილ ნიჟარაში მოქცეულიყო ქალის სხეული, და ექიმის ცოლი, რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ შეცდა, ჰო, ხელჩაკიდებულნი იყვნენ, კაცს ქალი მკლავებში მოექცია და თითები გადაეჭდოთ ერთმანეთისთვის. პალატაში ის უსინათლო ქალი, რომელიც ვერ იძინებდა, ისევ საწოლში იჯდა, ელოდა, როდის გაითანგებოდა მისი სხეული ისე, რომ სულის წინააღმდეგობა დაეძლია. ყველა დანარჩენს, მგონი, ეძინა, ზოგს თავზე საბანწათარებულს, თითქოს მიუწვდომელ უკუნეთს ეძებდაო. შავსათვალისანი ქალიშვილის საწოლის თავთან მდგარ ტუმბოზე წამალი იდო. თვალები განეკურნა, მაგრამ ეს არ იცოდა.

ის უსინათლო, ყაჩაღთა პალატის ნაძარცვს რომ აღრიცხავდა, უცებ გონება რომ განათებოდა და მისი მანკიერი სულის ლაბირინთებში სინათლეს რომ შეეღწია, ამდგარიყო და თავისი საწერი საშუალებებით მარჯვენა ფრთაში გადასულიყო, ნამდვილად შეუდგებოდა შეგონებითი და სევდიანი თხზულების წერას თავისი ახალი, გაძარცვული ამხანაგების შიმშილისა და სხვა გაჭირვების შესახებ და დაიწყებდა იმის მოყოლას, რომ იქ, საიდანაც მოვიდა, ახალმა ბინადრებმა, გარდა იმისა, რომ პალატიდან გამოაძევეს ადრინდელი,

წესიერი ბინადარი, რათა სრულად გაბატონებულიყვნენ მთელ ამ სივრცეში, მარცხენა ფრთის ორი სხვა პალატის უსინათლოებსაც აუკრძალეს საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში მისვლა. და მერე დაწერდა, რომ ასეთი აღვირახსნილი განუკითხაობის გამო ყველა ეს გაჭირვებული მარჯვენა ფრთის ტუალეტებს მიაწყდა და ასეთი შემოსევის შედეგების წარმოდგენა მკითხველს არ გაუჭირდება, რადგან ჯერ კიდევ ახსოვს, ალბათ, თუ რა მდგომარეობაში იყო აქაურობა ადრე. და აღნიშნავდა, რომ უკანა ეზოში ახლა ნაბიჯს ვერ გადადგამ, რომ არ გადაეყარო უსინათლოებს, რომლებსაც კუჭში გასვლა კი უნდათ, მაგრამ ამაო ჭინთვებით ვერაფერს აღწევენ, ანდა, პირიქით, უსინათლოებს, რომლებსაც ფალარათი სჭირთ, და რაკილა ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვება სჩვეოდა, უთუოდ გააოცებდა მიღებული საკვების სიმცირესა და განავლის ოდენობას შორის გამაოგნებელი სხვაობა, რაც, ალბათ, აფიქრებინებდა, რომ ყოველთვის როდი შეიძლება ენდო მიზეზშედეგობრივი კავშირის ზემოთ არაერთგზის ნახსენებ ლოგიკას, ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივი თვალსაზრისით. და კიდევ, თავის მატყანეში ჩაწერდა, რომ სანამ მესამე, ავაზაკების პალატა სურსათითაა სავსე, ყველა დანარჩენი გაუბედურებულია და უახლოეს ხანში იძულებული გახდება, ბინძურ მიწაში ნამცეცები ეძებოს. და, ალბათ, უსინათლო ბულალტერი, როგორც მოვლენათა ორმაგი მონაწილე და ამ მოვლენათა ისტორიოგრაფი, დაგმობდა სრულიად დანაშაულებრივ ქმედებას უსინათლო ბანდიტებისა, რომლებსაც ურჩევნიათ, საჭმელი გაფუჭდეს, ვიდრე ერგოთ იმათ, ვისაც ასე ენატრება, რადგან თუ ამ პროდუქტთაგან ზოგი რამდენიმე კვირა ძლებს და საჭმელად ვარგისია, ზოგი, განსაკუთრებით კულინარიულად დამუშავებული, მჟავდება, ობდება და, შესაბამისად, სიცოცხლისათვის საშიში ხდება, თუ, რა თქმა უნდა, აქაურ ყოფას სიცოცხლე შეიძლება ვუწოდოთ. და თემის შეუცვლელად სხვა

საგანზე იმსჯელებდა და სულიერი ტკივილით დაწერდა თავის ანა-
ლებში, რომ აქ გავრცელებულია არა მხოლოდ კუჭ-ნაწლავის და-
ავადებები, გამოწვეული საკვების ნაკლებობითა და არასწორი კვე-
ბით ან, მომიტევეთ ეს არაკეთილხმოვანება, საკვების ცუდი გადამუ-
შავებით, რადგან ყველა აქ თავმოყრილი, სიბრმავის მიუხედავად,
სრულიად ჯანმრთელი როდი იყო, თუმცა, ისეთებიც იყვნენ, რომ-
ლებსაც ჯანმრთელობის გაყიდვაც შეეძლოთ, მაგრამ ახლა ისინიც
კი, სხვებივით, თავიანთ დანჯღრეულ საწოლებზე ყრიან და იტანჯე-
ბიან სასტიკი გრიპით, რომელიც გაუგებარია, ამ კედლებში ვინ შე-
მოიტანა. და ხუთი პალატიდან ვერც ერთში სანთლით ვერ იპოვი ას-
პირინის აბს, რომ ავადმყოფს სიცხე დაუგდო, საშინელი თავის ტკი-
ვილი გაუყუჩო, რადგან ისიც, როგორც სხვა ყველაფერი, კარგა ხა-
ნია გამოილია, და არც ღირს ეძებო იმ იმედით, რომელიმე ქალის
ჩანთაში ერთი მაინც ხომ არ შემორჩენილაო. და მეტად დამფრთხა-
ლი ჩვენი მემპტიანე უარს იტყოდა, განეგრძო სხვა სნეულებათა
მრავალფეროვანი და შემაშფოთებელი ჩამონათვალი, აქ თავმოყ-
რილ სამასამდე კაცს რომ ტანჯავდა კარანტინის გაუსაძლის პირო-
ბებში, მაგრამ მაინც ახსენებდა მეტასტაზებში გადასული კიბოს ორ
შემთხვევას, სულ რომ არ შეუძრა გული ხელისუფალთ, როცა იჭერ-
დნენ და აქ მოჰყავდათ უსინათლოები, და მათ, ამ ხელისუფალთ,
ისიც კი თქვეს, რომ კანონი ყველასთვის ერთია, დემოკრატია კი სუ-
ლაც არ გულისხმობს რაღაც განსაკუთრებულ პირობებსო. არადა,
ამ უამრავ ადამიანს შორის, ალბათ, ბედის უკუღმართობის გამო,
მხოლოდ ერთი ექიმი აღმოჩნდა, ისიც თვალის ექიმი, ანუ სწორედ
ის ექიმი, რომელიც ყველაზე ნაკლებად გვჭირდება. ამ ადგილამდე
მისული მემპტიანე, დაღლილი ყველა უბედურებისა და გაჭირვების
აღწერით, მაგიდას დაანარცხებდა თავის ლითონის ფირფიტას და
დაიწყებდა ხელის ფათურით გამხმარი შავი პურის ყუის ძებნას, რო-
მელიც გვერდით დაიდო, სანამ მემპტიანის მოვალეობას ასრულებ-

და, მაგრამ მერე ველარ იპოვა, რადგან იქ აღარ დევს, სხვა უსინათლომ ააცალა, აბა, ერთი მითხარით, ასეთ ვითარებაში როგორ უნდა გამოგადგეს კარგად განვითარებული ყნოსვა. და მაშინ უსინათლო ბუღალტერი უსაყვედურებდა საკუთარ თავს თანადგომისა და სოლიდარობის გრძნობის გამო, რამაც მარჯვენა ფრთაში მიიყვანა, და გადაწყვეტდა, ჯობია, სანამ დროა, მარცხენა ფრთაში, მესამე პალატაში დავბრუნდეთ, რადგან იქ, რაც უნდა სამართლიანად აღაშფოთებდეს მოძალადეთა ქცევა, არ იშინებენ მანც.

რაც შეეხება შიმშილს, ეს მეტაფორა სულაც არ არის. ყოველთვის, როცა საჭმელზე გაგზავნილები იმ მცირედით ბრუნდებიან, რაც ერგოთ, პალატებში საშინელი ღრიანცელი ტყდება. უთუოდ გამოჩნდება ვინმე, ვინც წამოაყენებს ერთობლივი ბრძოლის, კარგად ორგანიზებული მასობრივი აქციის იდეას და ყველაზე უტყუარ არგუმენტად მოიყვანს ნებელობის დიალექტიკურ უნარს, რომელიც მხოლოდ ავსებს სხვა ნებელობას და გარკვეულ ვითარებაში უსაზღვროდ ძლიერდება. მაგრამ ვნებები მაშინვე ცხრება, როგორც კი პალატების ბინადართაგან ყველაზე გონიერი აწონ-დაწონის შეთავაზებული აქციის დადებით და უარყოფით მხარეებს და ენთუზიასტებს შეახსენებს მარტივ და ობიექტურ ჭეშმარიტებას, და ეს ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებას, როგორც წესი, მომაკვდინებელი ეფექტი ახლავს. ვინც პირველ რიგებში იქნება, ამბობს გონიერი, უნდა იცოდეს, რა ელის, უკანა რიგებში მყოფნი კი ვერც წარმოიდგენენ, რა მოხდება პირველი გასროლის შემდეგ, მეორე და მესამე საჭირო აღარც იქნება, ყველა ერთმანეთს გადავთელავთ. ბოლოს შეჯერდნენ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ერთ-ერთმა პალატამ მიიღო და სხვებმაც მხარი დაუჭირეს, ანუ მოიფიქრეს, რომ შემდეგ ჯერზე საჭმლის მოსატანად გაგზავნიან არა იმათ, ვისაც ადრე გზავნიდნენ, არამედ გაძლიერებულ

რაზმს, ათ-თორმეტ კაცს, და აი, სწორედ ისინი ეცდებიან ავაზაკებს გუნდურად გააცნონ საყოველთაო უკმაყოფილების მთელი სიმძაფრე. დაიწყეს მოხალისეთა შეგროვება, მაგრამ გონიერთა გაფრთხილებებმა ისეთი შიშით მოიცვა ყველა, რომ თავისი ნებით წამსვლელი არც ერთ სხვა პალატაში არ აღმოჩნდა. მადლობა ღმერთს, ამ სულიერი სისუსტის აშკარა გამოვლინებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ვერც ვინმე დაანამუსა, რადგან მალე, გაუფრთხილებელი ნაბიჯების დამღუპველობის დასტურად, ყველამ შეიტყო, თუ რით დასრულდა იმ პალატის ექსპედიცია, სადაც ეს იდეა იშვა. რვა მამაცი უსინათლო, პრეტენზიების წაყენება რომ გადაწყვიტეს, ჯობებით სცემეს და გამოაპანდურეს, და თუ მართალია, რომ მხოლოდ ერთხელ გაისროლეს, წინა შემთხვევისგან განსხვავებით ჰაერში - არა, რადგან დაზარალებულნი ერთხმად ირწმუნებოდნენ, ტყვიამ თავთან გაიზუზუნაო. იმას კი, ვინმეს მოსაკლავად გაისროლეს თუ არა პისტოლეთი, თუ ღმერთმა ინება, თავის დროზე შევიტყობთ, მანამდე კი, მოდი, ეჭვი გამოვთქვათ მსროლელის თაობაზე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორიდან ერთი ავირჩიოთ: ეს ან მართლა მხოლოდ გაფრთხილება იყო, თუმცა, საკმაოდ სერიოზული, მაგრამ მოძალადეთა მეთაურმა ვერ გაითვალისწინა დემონსტრანტთა სიმადლე, უფრო დაბლები ეგონა, ვიდრე იყვნენ, ანდა, და ეს უკვე შემფოთებას იწვევს, პირიქით, უფრო მადლები ეგონა, და ეს ბოლო შემთხვევა უთუოდ უნდა მივაკუთვნოთ წინასწარგანზრახული მკვლელობის მცდელობას. თუ ამ უმნიშვნელო საკითხებს გვერდზე გადავდებთ და უფრო ზოგად საკითხებს შევხებით, ანუ იმ საკითხებს, რომლებიც უმრავლესობის ინტერესებს ეხება, და ვიტყვი, რომ მხოლოდ ბედისწერით შეიძლება აიხსნას დემონსტრანტთა განცხადება, ამა და ამ პალატიდან ვართო. ამიტომ მხოლოდ ეს პალატა გახდა იძულებული, სამი დღე ემარხულა, და კიდევ, ჩათვალეთ, რომ გაუმართლათ, შეიძლებოდა სამუდამო შიმშილისთვის გაეწირათ, რაც სამართლიანიც იქნებოდა, რადგან არ უნდა ერჩოდე

იმას, ვინც გაჭმევს. და ამბოხებული პალატის ბინადარნი იძულებული გახდნენ, მთელი სამი დღე-ღამე კარდაკარ ემათხოვრათ, ღვთის გულისათვის, ერთი ნაჭერი პური მაინც მოგვეცითო, და თუ შესაძლებელია, კიდევ რამეო და, რა თქმა უნდა, შიმშილით სული არ ამოხდათ, თუმცა, გაუთავებლად ესმოდათ, ღირსნი ხართო.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა მესამე პალატიდან გაისმა მოთხოვნა, მოეგროვებინათ და გადაეცათ ახალი ხარკი, რადგან ბანდიტთა ლოგიკის თანახმად, საჭმლის ოდენობა აღემატებოდა მისთვის გაღებულ გადასახადს, ისიც ბანდიტთა სიკეთისა და გულისხმიერების წყალობით. პალატების დათრგუნვილმა ბინადრებმა განაცხადეს, მეტი აღარაფერი გვაქვს, რაც გვექონდა, უკლებლივ მოგვეცითო, და მართალი გითხრათ, ეს საკმაოდ სამარცხვინო არგუმენტი იყო, არანაირად არ შეიძლება ამრიგად და გონივრულად მივიჩნიოთ გადაწყვეტილება, რომ განზრახ არ გაეთვალისწინებინათ განსხვავება სრულიად არაეკვივალენტურ შენატანებს შორის, რაც ჩვეულებრივ ენაზე ასე ჟღერს: და არ ეგების, რომ მართალს ცოდვილთა გამო მოეკითხოს, და საერთოდ, მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ თავისი გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს, და მშვიერი არ უნდა დატოვო ის, ვის წინაშეც ჯერ კიდევ ვალში ხარ. რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, ვინ რამდენი შეიტანა ბანდიტების სალაროში, მაგრამ თითოეული დარწმუნებულია, რომ საჭმელი სამართლიანად ეკუთვნის, თუნდაც მის მეზობელს კრედიტი კარგა ხნის ამოწურული ჰქონდეს. საბედნიეროდ, მინავლებული შუღლი აღარ გამძაფრებულა, რადგან მოძალადეებმა სრულიად აშკარად აგრძობინეს, რომ მათი ბრძანება უკლებლივ ყველას ეხება, და თუკი რამე განსხვავება არსებობდა, საიდუმლოდ დარჩა უსინათლო ბუღალტრის დავთრებში. პალატებში ცხარე დისკუსიები იმართებოდა, რაც

ხანდახან ხელჩართულ ჩხუბშიც გადაზრდილა. ისმოდა ბრალდებები, ამან და ამან ესა და ეს გადამალა და ცდილობს იმათ კმაყოფაზე იყოს, ვინც საერთო ინტერესებისთვის ყველაფერი გაიღო. ამაზე პასუხობდნენ, პირადი მიზნებით მოყვანილი არგუმენტაციით, აქაოდა, იმდენი გავეცით, რომ კარგა ხანს საჭმელი არ უნდა მოგვკლებოდა, ეს მუქთახორები და პარაზიტები რომ არ გვყოლოდა სარჩენიო. ბანდიტებმა კი მუქარა, მოვალთ, პალატებს შევამოწმებთ და დავსჯით ყველას, ვინც რამე გადამალაო, ბოლოს მაინც აასრულეს. დიდ ვერაფერ განძს მიაგნეს, თუმცა, რამდენიმე საათი და ბეჭედი მაინც იპოვეს, უფრო მამაკაცის და არა ქალის. რაც შეეხება მუქარას, იმას დასჯერდნენ, რომ დანაშაულის ადგილას რამდენიმეს გაულაწუნეს ან ყბაში მოსდეს, უფრო მეტად კი ლანძღვაგინება ისმოდა, ოდითგან ხმარებული ამგვარი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, შენ საკუთარ დედასაც გაძარცვავო, წარმოგიდგინიათ, რა სამარცხვინოაო, და სხვა მრავალი, ნაკლებად რომ შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან, რომ დაინახო, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს სისაძაგლე, უნდა დაელოდო, როდის დაბრმავდება ყველა და თვალისჩინთან ერთად გაქრება ყოველგვარი წესი და რიგი. უსინათლო მძარცველები იღებდნენ ხარკს, სასტიკი სასჯელითა და რეპრესიებით იმუქრებოდნენ, თუმცა, დანაქადი არ შეასრულეს, ეტყობა, დაავიწყდათ, რადგან ძალიან მალე გაირკვა, რომ თავში ახალი, უფრო საინტერესო აზრები დაებადათ, და რომ შეესრულებინათ, კიდევ უფრო გართულდებოდა სიტუაცია, ამას კი მეტად დრამატული შედეგები მოჰყვებოდა, რადგან ორმა პალატამ სხვა პალატების ნომრები დაასახელა, გადამალული ნივთების გამო საკუთარი ბრალი რომ დაემალათ, და პასუხისმგებლობის სიმძიმე დააკისრეს იმ პალატებს, ნივთების გადამალვაში არანაირი ბრალი რომ არ მიუძღოდათ, და მეტიც, იმდენად პატიოსნად მოიქცნენ, რომ ერთმა პალატამ პირველსავე დღეს ყველაფერი გასცა, რაც კი ებადა. და ისევ

საბედნიეროდ, ყველასთვის, როგორც მართალთა, ისე მტყუანთათვის, მისაღები აღმოჩნდა, რომ ზედმეტი ჯახირის თავიდან ასაცილებლად უსინათლო ბუღალტერმა გადაწყვიტა ცალკე, სხვა ფურცელზე ჩაეწერა, ვინ რამდენი შემოიტანა ხაზინაში, რადგან ახალი შენატანების შესახებ ცნობები დავთარში რომ ჩაეწერა, ამ ფისკალური მოსაკრებლის არათანაბარბომიერება ამჟამად თვალში საცემი იქნებოდა, მისი უსინათლო თვალებისთვისაც კი.

ერთ კვირაში ბანდიტებმა შემოთვალეს, ქალები გვინდაო. აი, ასე, მარტივად, ქალები გვინდაო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი აღშფოთება გამოიწვია ამ მოულოდნელმა და არცთუ უჩვეულო მოთხოვნამ, ასე რომ, ამ შემონათვალით მოსული ემისრები მაშინვე გაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ მარჯვენა ფრთის სამივე პალატამ, მარცხენა ფრთის ორივე პალატამ და საწოლების ნაკლებობის გამო დერეფნებში მყოფმა ორივე სქესის უსინათლოებმა ერთსულოვნად დაადგინეს, არ დაეკმყოფილებინათ ადამიანის ღირსების, ამ შემთხვევაში, ქალის ღირსების შემლახავი თავხედური მოთხოვნა, რადგან ისინი ვალდებული არ იყვნენ, პასუხი ეგოთ იმის გამო, რომ მარცხენა ფრთის მესამე პალატაში ქალები არ ჰყავდათ. ამას მოჰყვა მოკლე და მშრალი პასუხი, არ მოგვცემთ და საჭმელსაც ვერ მიიღებთო. დამცირებული შუამავლები პალატებში დაბრუნდნენ და აცნობეს, ან წავლენ, ანდა შიმშილით დავიხოცებითო. მარტოხელა ქალებმა, ანუ ისეთებმა, ვისაც პარტნიორი არ ჰყავდა ან ხშირად იცვლიდა, გნიასი ატეხეს, არ ვაპირებთ სხვისი ქმრების გამოსაკვებად ჩვენი სხეულით, ან მისი იმ ნაწილით გადავიხადოთო, რომელიც ყველას მოეხსენება, სადაც მდებარეობსო. ერთმა კი, საერთოდ არად ჩააგდო მისი სქესისათვის დამახასიათებელი რიდი და ურცხვად განაცხადა, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ და თავად გადავწყვიტე, წავიდე თუ არა, და თუ წავედი, რასაც

მომცემენ, არავის ვუწილადებ, ჩემთვის დავიტოვებ, ხოლო თუ მომეწონა, საერთოდაც იქ დავრჩები, მშიერი მაინც არ ვიქნებიო. სწორედ ასე ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება, თუმცა, სიტყვიდან საქმეზე არ გადასულა, რადგან დროზე დაფიქრდა და წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა ოცი აღგზნებული მამრის დაკმაყოფილება, რომლებიც ავხორცობას დაებრძალებინა, თუ კიდევ შეიძლებოდა მათი დაბრძავება. ისე, მაშინვე კიდევ ერთხელ დადასტურდა ანდაზა, ენაზე მომდგარ სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდაო, რადგან მეორე პალატაში ასე ჰაიჰარად ნასროლი სიტყვები მაშინვე დაიჭირა ერთ-ერთმა ემისარმა, რომელიც ყველაზე კარგად ჩასწვდა ამ უჩვეულო სიტუაციას და წინადადება წამოაყენა, რომ ნებაყოფლობით წასვლა უკეთესია, ჯობია, შენი ნებით გააკეთო თუნდაც ნებისმიერი სისაძაგლე, ვიდრე გაიძულონ. და მხოლოდ ბოლო წამს შემორჩენილმა კეთილგონიერებამ, სიფრთხილის გრძნობამ აიძულა, დადუმებულიყო, თორემ ლამის ის ანდაზაც წამოსცდა, საოხრებე ნაშოვნის სატიალოზე დაიხარჯებაო, და მაინც იხუვლა აღშფოთებული ქალების რისხვამ, შეურაცხყოფილნი ყველა მხრიდან აღქაჯებივით ეცნენ მამაკაცებს და უმოწყალოდ, დაუნდობლად გალანძღეს, თავიანთი სოციალური კუთვნილების შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით უწოდეს მათ ლაჩრები, უმაქნისები, პარაზიტები, წურბლები, ვამპირები, მუქთახორები, მაჭანკლები, სუტენიორები. ბევრმა მწარედაც ინანა, რომ გულმოწყალების გამო, სიბრალულის გრძნობას აყოლილმა, უარი არ უთხრა მასავით გაუბედურებული მამაკაცის თხოვნას და მუდარას და დანებდა მის სექსუალურ უვერტიურას, მათ კი აი, რით გადაუხადეს, აი, რისთვის გაწირეს. მამაკაცები კი თავის მართლებას ცდილობდნენ, აქაოდა, ასეც არ არის საქმეო, ნუ აბუქებთო, ეს რა ამბავი ატეხეთო, გვეგონა, მიხვდებოდით, რომ როგორც წესი, ამ სახიფათო და რთულ საქმეზე მოხალისენი წავლენო, და განა არ იცით, რომ ყველას შიმშილით სიკვდილი გვიწერია,

ჩვენც და თქვენცო. თითქოს ამ არგუმენტებმა გაჭრა და ქალები ცოტა დამშვიდდნენ, მაგრამ უცებ გამოჩნდა ერთი, რომელიც პირიქით, უფრო გაღიზიანდა და მწარე ირონიული ნათქვამით ცეცხლზე ნავთი დაასხა, ქალების ნაცვლად მამაკაცები რომ მოეთხოვათ, რას იზამდით, გვითხარით ერთი, ჩვენ კი მოგისმენთო. ზოგმა ახალი ძალით აიტაცა, ჰო, ჰო, გვითხარითო, თანაც კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ გამოიჭირეს, მახეში გააბეს, აინტერესებდათ, რას მოიმოქმედებდა მათი ნაქები მამაკაცური ცნობიერება. აქ პედერასტები არა გვყავს, გაბედა და წამოიძახა ერთ-ერთმა, არც მეძავეები გვყავს, შეეპასუხა ის ქალი, პროვოკაციული კითხვა რომ დასვა, და რომც ყოფილიყვნენ, თქვენ არც გიკადრებდნენო. მამაკაცები უხერხულად იშმუშნებოდნენ, თუმცა, ჰქონდათ ის ერთადერთი პასუხი, რომლითაც შეეძლოთ დაეშოშმინებინათ ეს გავეშებული დედაკაცები, ანუ უნდა ეთქვათ, წავიდოდითო, მაგრამ არც ერთს არ ეყო გამბედაობა, ხმამაღლა წარმოეთქვა ეს სიტყვა, ცხადი და გასაგები, და იმდენად იყვნენ შემცბარნი, ვერც კი მოიფიქრეს, რომ ყოველგვარი რისკის გარეშე შეეძლოთ ამის თქმა, რადგან მესამე პალატაში მოკალათებულმა ნაძირალებმა უპირატესობა მამაკაცებს კი არა, ქალებს მიანიჭეს.

მამაკაცებმა ვერ მოიფიქრეს, სამაგიეროდ, მოიფიქრეს ქალებმა და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის სიჩუმე, რომელმაც თანდათან დაისადგურა პალატაში, სადაც ეს დიდი აყალმაყალი ატყდა, მოიფიქრეს და თითქოს მიხვდნენ, რომ მათთვის სიტყვების გადაძახილში გამარჯვება არაფრით განსხვავდებოდა მარცხისგან, და ეს მარცხიც არ დააყოვნებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა პალატებშიც იგივე ხდებოდა, რადგან ცნობილია, რომ ადამიანთა გონიერება და უგუნურება ყველგან ერთნაირია. და ამ დროს ფინალური რეპლიკა წარმოთქვა უკვე ორმოცდაათ წელს მიღწეულმა ქალმა, კარანტინში მოხუც დედასთან ერთად

რომ იყო, რომელსაც შიმშილისთვის ვერ გაწირავდა. მე წავალო, თქვა და არც კი იცოდა, რომ მისი სიტყვები ექოსავით გაიმეორა ექიმის ცოლმა მარჯვენა ფრთის პირველ პალატაში, მე წავალო, სადაც პროტესტი ასეთი მძაფრი არ ყოფილა, ალბათ, იმიტომ, რომ აქ ქალები ცოტა იყვნენ, და მართლაც, პირველი უსინათლოს ცოლი, შავსათვალნიანი ქალიშვილი, რეგისტრატორი ქალი, სასტუმროს დიასახლისი, კიდევ ის, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, და კიდევ ის, ღამღამობით რომ არ სძინავს, თუმცა, ისეთი გაუბედურებული, ისეთი უბადრუკია, რომ ჯობია, თავი დაანებონ, გაათავისუფლონ ამ ბეგარისგან, და ნეტავ რატომ ხდება, რომ ქალების სოლიდარობით ყოველთვის მამაკაცები რჩებიან მოგებული. პირველმა უსინათლომ განაცხადა, ჩემი ცოლი ამას არ იზამს, არაფრის გულისთვის არ მოემსახურება ვინმეს თავისი სხეულით, არც თავად დაუშვებს ამას, ღირსება და ნამუსი ყველაფერზე ძვირფასია, და საკმარისია, ერთხელ დათმო თითქოს უმნიშვნელო რამ, რომ ცხოვრების აზრსაც მაშინვე დაკარგავო. მაშინ ექიმმა ჰკითხა, ცხოვრების აზრს რაში ხედავ, როცა ყველა ისეთი სიტუაციაში ვართ მოქცეული, რომ ვშიმშილობთ, სიბინძურეში ვართ, დატილიანებულნი, რწყილებისგან დაკბენილნი, ბალღინჯოებისგან ცოცხლად შეჭმულნი. იქნებ არც მე მინდა ჩემი ცოლის იქ გაშვება, მაგრამ განა ეს ჩემს ნებაზეა დამოკიდებული, თქვა, წავალო, ეს მისი არჩევანია, და ვიცი, რომ ჩემი, როგორც მამაკაცის თავმოყვარეობა, ის, რასაც მამაკაცურ თავმოყვარეობას ვუწოდებთ, თუ მთელი ამ დამცირებების შემდეგ მისგან კიდევ დარჩა რამე, ერთი სიტყვით, ეს ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა შეილახება, უკვე შეილახა, და ეს გარდაუვალია, მაგრამ რას იზამ, როცა სხვაგვარად ვერ გადავრჩებით. ყველა თავისი მორალური პრინციპების შესაბამისად მოქმედებს. მე თქვენსავით არ ვფიქრობ და ჩემს მოსაზრებებს ვერ შევიცვლი, საკმაოდ ემოციურად უპასუხა პირველმა უსინათლომ. მაშინ შავსათვალნიანმა ქალიშვილმა თქვა, მათ ხომ არ იციან, რამდენი ქალია აქ, ასე რომ,

შეგიძლიათ თქვენი ცოლი პირადი სარგებლობისთვის დაიტოვოთ, ჩვენ საჭმელს ორივეს გაგინაწილებთ, მაგრამ საინტერესოა, როგორ იქნება თქვენი ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმე ამ შემთხვევაში, ჩვენი მოპოვებული პური ყელზე ხომ არ დაგადგებათ. პრობლემა ის კი არ არის, დაიწყო პირველმა უსინათლომ, არამედ ის, რომ, მაგრამ ფრაზა ჰაერში გამოეკიდა, რადგან თავადაც არ იცოდა, რა იყო პრობლემა, და ყველაფერი რაც ადრე თქვა, მხოლოდ აბდაუბდა მსჯელობა გამოდგა სხვა ცხოვრებიდან, არა მათი ახლანდელი ცხოვრებიდან, და იქნებ ჯობდა ზეცისკენ ხელები აღეპყრო და მადლიერება გამოეხატა, რომ შესაძლებლობა მიეცა, თავისი სირცხვილი ოჯახურ წრეში შეენახა და თავი არ მოეჭრა იმის გამო, რომ სხვისი ცოლების კმაყოფაზე აპირებდა ყოფნას, და რომ დავაზუსტოთ, ექიმის ცოლის კმაყოფაზე, რადგან პირველი პალატის დანარჩენ მანდილოსნებს, შავსათვალთან ქალიშვილს თუ არ ჩავთვლით, რომელიც გაუთხოვარია და თავისუფალი, თანაც მისი უწესო ცხოვრების შესახებ უკვე გვაქვს საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია, თუკი ქმრები ჰყავდათ, ყოველ შემთხვევაში, აქ არა. ამ გაწყვეტილი ფრაზის შემდეგ ჩამოვარდნილი სინუმე თითქოს მოითხოვდა, ვინმეს საბოლოოდ განემუხტა სიტუაცია, და აი, პირველმა უსინათლოს ცოლმა თქვა, მე რა, ვითომ სხვებისგან რით გამოვიჩინევი, მეც ისევე მოვიქცევი, როგორც დანარჩენებიო, მტკიცედ განაცხადა მან. ისე მოიქცევი, როგორც მე გეტყვი, შეაწყვეტინა ქმარმა. მითითებების მოცემას თავი დაანებე, შენც ისეთივე უსინათლო ხარ, როგორიც მე. ეს უღირსი საქციელი იქნება. ჰოდა, ღირსეულად შენ მოიქეცი და ამიერიდან საჭმელზე უარი თქვი, საკმაოდ მკვახედ უპასუხა ქალმა, რომელიც აქამდე ყველას მეტად მოკრძალებული და ქმრის პატივისმცემელი ეგონა. უცნებ სასტუმროს დიასახლისმა გულიანად გადაიხარხარა, ჰო, აბა, უარს იტყვის საწყალი, და უცნებ სიცილი ტირილმა შეცვალა, და

სულ სხვა სიტყვები გაისმა, რა ვქნათო, და ეს სიტყვები შევითხვა უფრო იყო, რომელზეც ვერაფერს უპასუხებ და მხოლოდ უიმედოდ თუ ჩაქინდრავ თავს, რაც გააკეთა კიდევ რეგისტრატორმა ქალმა და იმანაც იკითხა, რა გვეშველებათ. ექიმის ცოლმა ლურსმანზე დაკიდებულ მაკრატელს ისეთი მზერით ახედა, შეიძლება ითქვას, ისიც იმავე შევითხვას სვამდა, თუმცა, პასუხი რომ ვერ მიიღო, სხვა შევითხვა დასვა, რა გინდა ჩემგანო.

ისე, ყველაფერს თავისი დრო აქვს, და ვისაც ბედმა ღამით სიკვდილი არგუნა, მერწმუნეთ, დილაძე ვერ მიაღწევს. მარცხენა ფრთის მესამე პალატის უსინათლოებმა, როგორც კარგად ორგანიზებულმა ადამიანებმა, გადაწყვიტეს ახლო პალატებიდან, ანუ თავიანთ ფრთაში მყოფი ქალებით დაეწყით. როტაციის მეთოდის გამოყენება, არადა, ეს სიტყვა აქ სწორედაც რომ უპრიანია, ყველა უპირატესობას იძლევა და უნაკლოა, უწინარესად იმის გამო, რომ საშუალებას გაძლევს, იცოდე, თუ რა გააკეთე, ახლა რას აკეთებ, აი, დაახლოებით ისე, საათს რომ შეხედო და განვლილ დღეზე თქვა, აქედან აქამდე ვიცხოვრეო, ამდენი და ამდენი დამრჩაო, და იმის გამოც, რომ, როცა პალატების რიგი დასრულდება და წრე შეიკვრება, საწყისთან დაბრუნება გონებას სიახლის მსუბუქი ქროლით გამოაფხიზლებს, განსაკუთრებით იმათ გონებას, ვისაც ცუდი სენსორული მეხსიერება აქვს. ასე რომ, მარჯვენა ფრთის ქალებს უთხრეს, ჯერ-ჯერობით შეგიძლიათ უდარდელად იყოთო, და როგორც ვიცით, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, მაგრამ ეს სიტყვები არავის უთქვამს, თუმცა კი გაიფიქრეს, და, მართალი გითხრათ, ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდეს მეორე ტყავი, ეგოიზმად წოდებული, ბევრად უფრო მაგარი რომ არის პირველზე, რომელსაც ერთი რომ უჩხვლიტო, სისხლი გამოუვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალებმა საკმაოდ თავისებურად შეასრულეს ეს ბრძანება, რაკიდა სრულიად იდუმალია ადამიანის სულის ლაბირინთები, და ესოდენ

ახლოსაა გარდაუვალი საშიშროება და დამცირება, ამან სხვა სი-
ახლოვისკენ ლტოლვა გააღვიძა და გაამძაფრა და ყველა პალა-
ტაში ცხოველური სქესობრივი შიმშილი, დაუცხრომელი ხორ-
ციელი მადა აღძრა, ასე საგრძნობლად რომ მიწავლდა კარანტი-
ნის პერიოდში, ასე რომ, მამაკაცები ერთგვარი გააფთრებით
ტოვებენ თავიანთ კვალს ქალებში, ნიშანს ადებენ მათ, სანამ
სხვები წაიყვანენ, ქალები კი ნებაყოფლობითი სექსით მიღებულ
შეგრძნებებს იხსომებენ, რათა გაუძღონ მომავალი ძალადო-
ბით თავსმოხვეულ შეგრძნებათა მოძალებას, რომლებიც შეიძ-
ლება არც გაუჩნდეთ. ისე, საინტერესოა, ვთქვათ, მარჯვენა
ფრთის პირველ პალატაში, როგორ დასძლიეს სქესებს შორის
ესოდენ საგრძნობი რაოდენობრივი დისპროპორცია, თუნდაც
სქესობრივი ცხოვრებისათვის უვარგისთა გათვალისწინებით,
არადა, აქ ასეთები ნამდვილად იყვნენ, აი, თუნდაც შავსახვევიან
ნი მოხუცი, და მისი მსგავსნი სხვებიც მოიძებნებიან, მოხუცებიც
და ახალგაზრდებიც, ამა თუ იმ მიზეზით ამ საკითხში, რბილად
რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურები. რადგან კარგა ხანია ცნობი-
ლია, რომ პირველ პალატაში სულ შვიდი ქალია, იმის ჩათვლით,
რომელიც ვერ იძინებს, და იმისაც, რომლის შესახებაც არაფერი
ვიცი, ცოლ-ქმარი კი სულ ორია, და ამის გამო, უკაცრავად და,
თამაშგარე რჩება მამაკაცების მნიშვნელოვანი რაოდენობა,
ელამი ბიჭუნა, რა თქმა უნდა, არ ითვლება. იქნებ მეზობელ პა-
ლატებში მეტი ქალია, მაგრამ დაუწერელი კანონის თანახმად,
აქ რომ იშვა და ხანგრძლივი გამოყენების გამო კანონისთვის
დამახასიათებელი სავალდებულო ხასიათი შეიძინა, ყველა
პრობლემა წარმოშობის ადგილზევე უნდა გადაიჭრას და არ გას-
ცდეს პალატის კედლებს, მით უფრო, რომ ამას გვასწავლის უძ-
ველესი შეგონება, რომლის სიბრძნე ახლაც აღტაცებას იწვევს,
ანუ თუ იძულებული ხარ, რამე გააკეთო, ისე გააკეთე, რომ შენც

ხეირი ნახოლ. ასე და ამგვარად, მარჯვენა ფრთის პირველი პალატის მამაკაცთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ მხოლოდ მათთან ერთ ჭერქვეშ მყოფი ქალები, ყველა, გარდა ექიმის ცოლისა, რომელსაც ვერავინ უბედავდა შეღლაბუცებას ვერც სიტყვით, ვერც ხელის ფათურით. აი, პირველი უსინათლოს ცოლიც, რომ გაბედა და ასე მკვახედ უპასუხა ქმარს, იმავეს აკეთებს, რასაც სხვები, რაც ადრე თავადვე გამოაცხადა, ოღონდ ცდილობს, ვერავინ შენიშნოს. მაგრამ ისეთი რამეც ხდება, და ეს არც ახსნას ექვემდებარება, არც გულისხმიერებას მოწმობს, რომ შავსათვალიანი ქალიშვილი წინააღმდეგობას უწევს აფთიაქარს, და რა არგუმენტებიც უნდა მოიყვანოს, რამდენიც უნდა ეხვეწოს, ვერა და ვერ ითანხმებს, და სულ იმ თავხედური რეპლიკის გამო, თვალის წვეთებს რომ მიაცოლა დახლიდან. და სწორედ ამ შავსათვალიანმა ქალიშვილმა, მიდი ახლა და გაუგე ამ ქალებს, რომელიც აქ ყველაზე ლამაზი, ყველაზე ტანკენარი და ყველა მამაკაცისთვის სასურველი იყო მას მერე, რაც მისი ღირსებების შესახებ ხმა გავრცელდა, ერთხელ, ღამით, თავადვე გააკეთა არჩევანი და საკუთარი ნებით ჩაუწვა ლოგინში შავსახვევიან მოხუცს, მან კი ზაფხულის გვალვის მერე მოსულ წვიმასავით მიიღო ის, იყოჩაღა და საკმაოდაც ასიამოვნა, და უნდა ითქვას, რომ ასაკის კვალობაზე ძალიანაც იმარჯვა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გარეგნობას არ უნდა ენდო, და არც ლამაზი პირისახე და არც მშვენიერი აღნაგობა არ განსაზღვრავს გულის სიმტკიცეს. პალატის ყველა ბინადარმა შეიტყო, რომ შავსათვალიანმა ქალიშვილმა შავსახვევიან მოხუცს საკუთარი თავი თანაგრძნობის გამო შესთავაზა, მაგრამ ბევრი მამაკაცი, ემოციური და მეოცნებე ბუნების, თანაც ადრე რომ მიუღიათ ამ ქალიშვილთან ურთიერთობით სიამოვნება, დაფიქრდა იმაზე, რომ ალბათ, არ არსებობს ქვეყნად იმაზე დიდი ნეტარება, რომ იწვე მარტო შენთვის ლოგინში, ოცნებობდეს მიუღწეველსა და შეუძლებელზე, და ამ დროს იგრძნო, რომ

ქალმა გადასწია საბანი და შემოგიწვა, ნაზად მოგეკრა ტანზე და გაყუჩდა, გაირინდა იმის მოლოდინში, რომ სისხლი ადუღდეს და დააშოშმინოს უცებ აღგზნებული სხეული. და ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მოისურვა. ესე იგი, განგება ყოველთვის როდი გასცემს სიკეთეს ასე ბრმად და შემთხვევით, ესე იგი, ზოგჯერ კარგია, რომ მოხუცი ხარ და ცარიელი თვალის ფოსო შავი სახვევით გაქვს აკრული. ან იქნებ არსებობს ამქვეყნად რაღაც ისეთი, რისი ახსნა არც უნდა სცადო, არც მიზნს ჩაეძიო, არც სხვის აზრებსა და გრძნობებში მოინდომო გარკვევა, და სწორედ ასე მოიქცა ექიმის ცოლი, როცა ღამე საწოლიდან ადგა, რომ საბანი დაეფარებინა ელამი ბიჭუნასთვის, ძილში რომ ბორგავდა. მაშინვე აღარ დაწოლილა. კედელს მიეყრდნო, საწოლებს შორის ვიწრო გასასვლელში, და სევდიანად გახედა პალატის ბოლოში კარს, რომელშიც ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ძალიან შორეულად რომ ეჩვენება, შემოვიდნენ და რომლიდანაც ველარასოდეს გავლენ. ასე იდგა, როცა დაინახა, რომ მისი ქმარი წამოდგა და მთვარეულივით გაემართა იმ საწოლისკენ, რომელზეც შავსათვალისანი ქალიშვილი იწვა. არც უცდია მისი შეჩერება. გაშეშებული უყურებდა, როგორ გადასწია საბანი, როგორ მიუწვა, და როგორ უსიტყვოდ მიიღო ქალიშვილმა, როგორ ეძებდნენ ერთმანეთს მათი ტუჩები, და მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, უყურებდა, როგორ გასცემდნენ და იღებდნენ სიამოვნებას, უზიარებდნენ ერთმანეთს, გაიგონა ჩურჩულით წარმოთქმული, ექიმო, რაც სასაცილოდ და სულელურად შეიძლებოდა გაჟღერებულიყო, მაგრამ არ გაჟღერდა, ასევე ჩურჩულით ნათქვამი, მაპატიე, არც კი ვიცი, რა დამემართაო, და ასეც არის, ჩვენ კი, როგორც ზემოთ ვთქვით, როგორ შეგვიძლია, უცხოებს, მხოლოდ მოწმეებსა და თვითმხილველებს, ვიმსჯელოთ იმაზე, რაც თავადაც არ სცოდნია. ამ ორს, ვიწრო საწოლზე რომ წვანან, ვერც კი წარმოუდგენია, რომ ვილაც აკვირდებათ, მაგრამ უცებ

ექიმი შეშფოთდა, დაფიქრდა, სძინავს თუ არა ჩემს ცოლსო, ან იქნებ, როგორც ყოველთვის ღამღამობით დერეფანში დაბორიანდებოდა, და ის იყო, წამოიწია ასადგომად, რომ გაიგონა, იწექიო, და ტოტბე შემომჯდარი ჩიტივით მსუბუქი ხელი იგრძნო მკერდზე, რაღაცის თქმა დააპირა, იქნებ იმის, არც კი ვიცი, რა დამემართაო, რომ გაიგონა, ჯობია, ნურათფერს იტყვიო. შავსათვალიანი ქალიშვილი ატირდა და წაილულლულა, რა უბედურები ვართ ყველაო, მერე კი თქვა, ეს ჩემი ბრალია, ჩემი, ეს მე მინდოდა, ექიმის ბრალი არ არისო. გაჩუმდიო, ალერსიანად უთხრა ექიმის ცოლმა, ყველა გავჩუმდეთ, ხდება ხოლმე, ეჰ, ნეტავ მეც შემეძლოს ტირილი, ცრემლვებით, უსიტყვოდ გამოვთქვა ჩემი საწუხარი, რომ ვინმემ გამიგოსო. საწოლზე ჩამოჯდა, ორივეს გადახვია ხელი, მერე მთელი სხეულით გადაიხარა შავსათვალიანი ქალიშვილისკენ და ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა, ვხედავო. ქალიშვილი მშვიდად და უძრავად იწვა, მაგრამ გაუკვირდა, რომ არ გაჰკვირვებია, თითქოს პირველივე დღიდან იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს ხმამაღლა არ უნდა ეთქვა, როგორც ის არ უნდა თქვა, რაც საიდუმლოდ გაგანდეს. თავი მოაბრუნა და თვითონაც ჩურჩულით უთხრა, ვიცოდი, დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ვხვდებოდიო, ეს საიდუმლოა, არავის უთხრაო, მაგაზე არ იღელვოთო, იცოდე, გენდე და არ გამყიდლო, არა, რომც მომკლან, არ გაგყიდითო, შენობით მომმართეო. არ შემეძლია, ეს არ შემეძლიაო. და ამას ყველაფერს ერთმანეთს ყურში ჩასჩურჩულებდნენ, ტუჩებით ეხებოდნენ ერთმანეთის თმას, ყურის ბიბილოს, და საუბრობდნენ სრულიად უმნიშვნელო თემაზე, იმავდროულად კი ძალიან მნიშვნელოვანზე, თუკი ორი ასეთი საპირისპირო რამ ერთად შესაძლებელია, და ეს იყო თანამზრახველი ქალების საუბარი, რომელიც სულაც არ ეხებოდა მათ შორის მწოლიარე მამაკაცს, თუმცა, მასაც ითრევდა ბანალური იდეებისა და რეალიების არაამქვეყნიური ლოგიკით. მერე ცოლმა ექიმს უთხრა, თუ გინდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩიო. არა, წავალო. მოიცა, მოგეხმარებო. წამოდგა,

რომ ქმრისთვის სამოძრაოდ მეტი თავისუფლება მიეცა, და ერთი წამით მზერა შეაჩერა ორი უსინათლოს თავზე, ჭუჭყიან ბალიშზე რომ ედოთ, მათ პირდაუბანელ სახეებზე, აბურდულ თმებზე, მხოლოდ თვალები უბრჭყვიალებდათ, ისიც უქმად. ექიმი ნელა წამოდგა, რალაც საყრდენს ეძებდა, საწოლის თავთან გაჩერდა, თითქოს ვერ გარკვეულიყო, სად იმყოფებოდა, მერე ცოლმა, როგორც ყოველთვის აკეთებდა, ხელი ჩასჭიდა, მაგრამ ამჯერად მისმა მოძრაობამ ახალი აზრი შეიძინა, რადგან ექიმს ასე არასდროს დასჭირვებია დახმარება, თუმცა, ამას ვერც კი ხვდებოდა ორი ქალისგან განსხვავებით, რომლებმაც ეს იმ მომენტში შეიტყვეს, როცა ექიმის ცოლი მეორე ხელით ქალიშვილის ლოყას შეეხო, მან კი ხელი სტაცა და აკოცა. ექიმს ტირილის ხმა მოესმა, ჩუმი, ძლივს გასაგონი, და სხვანაირი ვერც იქნებოდა, რადგან სულ რამდენიმე ცრემლი ჩამოგორდა ლოყაზე ტუჩის კუთხეში და იქ გაუჩინარდა, რათა ისევ დაწყებულიყო ადამიანის წარმოუდგენელი ტანჯვისა და სიხარულის მარადიული ციკლი. შავსათვალიანი ქალიშვილი მარტო რჩება და ესე იგი, მას სჭირდება გამხნელება, ამიტომაც ექიმის ცოლი არ ჩქარობდა ხელის აღებას.

მეორე დღეს, სადილობისას, თუკი სადილი შეიძლება ეწოდოს პატარა პურის ნაჭრებს და აშმორებულ ხორცს, კარს მოადგა სამი უსინათლო მარცხენა ფრთიდან. აქ რამდენი ქალი გყავთ, იკითხა ერთმა. ექვსიო, უპასუხა ექიმის ცოლმა და განზრახ გამოტოვა ის ქალი, დამღამობით რომ არ ეძინა, მაგრამ მიკნავებულმა ხმამ შეუსწორა, შვიდიო. ამას სიცილი მოჰყვა. ცოტა ყოფილხართ, თქვა ერთმა, ამიტომ ამაღამ დიდი ჯაფა დაგადგებათ, მეორემ ინიციატივა წამოაყენა, იქნებ სხვა პალატიდან შევავსოთო, მაგრამ არაო, თქვა მესამემ, არითმეტიკის მცოდნემ, თითოს სამი მოუწევს, არა უშავს, გაუძლებენო. ისევ

გადახარხარეს და იმან, რომელმაც იკითხა, აქ რამდენი ქალიაო, თქვა, ჭამას რომ მორჩებით, მესამე პალატაში მოდიოთ, თანაც დასძინა, თუ, რა თქმა უნდა, მომავალშიც გინდათ ჭამოთ და ძუძუ აწოვოთ თქვენს კაცებსო. ასე ხუმრობდნენ ყველა პალატაში და ისევე აღტაცებული იცინოდნენ, როგორც იმ დღეს, როცა ეს პირველად მოიფიქრეს. სიცილით ბჟირდებოდნენ, ფეხებს აფართხალებდნენ, იატაკზე ჯოხებს აბრაახუნებდნენ, და უცებ ერთ-ერთმა გააფრთხილა, ოღონდ იცოდეთ, ვისაც მენსტრუაცია აქვს, ნუ მოვა, სხვა დროს იყოსო. ასეთი არ გვყავს, მშვიდად უპასუხა ექიმის ცოლმა. ძალიანაც კარგი, დაუჩქარეთ, ნუ იზოზინებთ, ლოდინი არ გვიყვარსო, შეტრი-აღდნენ და წავიდნენ. პალატაში სიხუმე ჩამოვარდა. ერთი წუთის შემდეგ პირველი უსინათლოს ცოლმა თქვა, ყელში აღარ გადამდისო, თუმცა, ხელში სულ პატარა პურის ნაჭერი ეჭირა და ისიც ვერ შეჭამა. არც მეო, თქვა იმან, ღამე რომ არ სძინავს. არც მე, თქვა იმან, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით. მე უკვე შევჭამე, თქვა სასტუმროს დიასახლისმა. მეც, შეეხმიანა რეგისტრატორი ქალი. პირველივეს, ვინც მომეკარება, სახეში შევარწყევო, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ყველა წამოდგა, და თუმცა, ცახცახებდნენ, მაინც მტკიცედ ეჭირათ თავი. ექიმის ცოლმა თქვა, პირველი მე წავალო. პირველმა უსინათლომ თავზე საბანი წაიფარა, თითქოს ეს უშველიდა მას, უსინათლოს, რომ არაფერი დაენახა, ექიმმა ცოლი ჩაიხუტა, ტუჩებით ოდნავ შეეხო შუბლზე, ან მეტი რა შეეძლო, სხვა მამაკაცებისგან განსხვავებით, რომლებსაც არც ქმრის უფლებები ჰქონდათ, არც ვალდებულებანი, ამიტომ არც ერთი არ იმსახურებდა ორგზის რქებდადგმულის წოდებას, ანუ ისეთის, რომ იცის, რა ხდება, მაგრამ ითმენს. ექიმის ცოლს შავსათვალიანი ქალიშვილი მიჰყვა, მას სასტუმროს დიასახლისი, რეგისტრატორი, პირველი უსინათლოს ცოლი, ის, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, და ბოლოს ის, ღამ-ღამობით რომ არ სძინავს, ასე შემზარავ-კომიკურ მწყობრად დაიძ-

ვრნენ სამოსჩამოძენძილი, ბინძური ქალები, რომლებიც ისე ყარდნენ, რომ უნებლიეთ დაფიქრდები, რაოდენ დიდი უნდა იყოს ავხორცობის ცხოველური ძალა, რომ გიქრობდეს ცნოსვას, ხუთიდან ყველაზე დელიკატურ გრძნობას, ტყუილად ხომ არ გვიქადაგებენ ღვთისმეტყველნი, რომ ცოდვილთ ჯოჯოხეთის მეტნაკლებად გაძლებასში სწორედ იქ არსებული სიმყრალე უშლით ხელსო. ყველა მომდევნოს წინ მიმავალის მხარზე დაედო ხელი და ასე ნელ-ნელა მიჰყვნენ ექიმის ცოლს, ფეხშიშველნი, რადგან შიშობდნენ, რომ მომავალ მძიმე განსაცდელის ჟამს ფეხსაცმელებს დაკარგავდნენ. ვესტიბიულში რომ გავიდნენ, ექიმის ცოლი ცენტრალური შესასვლელისკენ გაემართა, ეტყობა, აინტერესებდა, ისევ არსებობდა თუ არა გარე სამყარო. სიგრილე რომ იგრძნო, სასტუმროს დიასახლისი შეშინდა, გარეთ გასვლა არ შეიძლება, იქ ჯარისკაცები არიანო, რაზეც იმან, ღამდამობით რომ არ სძინავს, უპასუხა, იქნებ ასეც ჯობდეს, ერთ წუთში მკვდრები ვიქნებით, ისეთები კი არა, როგორც ახლა ვართ, ნამდვილებიო. ჩვენზე ამბობო, იკითხა რეგისტრატორმა, ჩვენზეც და სხვებზეც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სიბრმავეს მაშინ მაინც ექნება გონივრული ახსნაო. მას შემდეგ, რაც აქ მოიყვანეს, ზედზედ ამდენი სიტყვა არც უთქვამს. ექიმის ცოლმა უთხრა, წავედით, ვინც უნდა მოკვდეს, ისედაც მოკვდება, სიკვდილი წინასწარ არ გვაფრთხილებსო. მარცხენა ფრთისკენ გამავალი კარი გააღეს, გაუყვნენ გრძელ დერეფანს, იმის შესახებ კი, რაც ელოდათ, შეეძლოთ მოეყოლათ პირველი ორი პალატის ქალებს, მაგრამ დაშინებული ნადირივით საწოლებზე მიყუჩებულიყვნენ და მამაკაცები ვერც შეხებას ბედავდნენ და ვერც მიახლოებას, რადგან მაშინვე ისტერიკა ემართებოდათ.

დერეფნის სიღრმეში ექიმის ცოლმა დაინახა უსინათლო, რომელიც პალატის კართან დარაჯად დაეყენებინათ. ქალების ნელი

ფეხის ხმა რომ გაიგონა, დანარჩენებს აცნობა, მოდიანო. პალატი-დან შეძახილები და ხორხოცი მოისმა. ოთხი უსინათლო სასწრა-ფოდ მოადგა კარში ჩახერგილ საწოლს. აბა, გოგოებო, შემოდით, ბულებივით ვწრიალებთ თქვენს მოლოდინში, თქვა ერთ-ერთმა. უსინათლოები გარს შემოერთყნენ ქალებს, სცადეს, ხელი წაეტანე-ბინათ, მაგრამ მაშინვე უკან დაიხიეს, როგორც კი მეთაურმა, აი, იმან, პისტოლეტი რომ ჰქონდა, დაიყვირა, ჯერ მე ვირჩევ, ემანდ რა-მე ხო არ გეშლებათო. პალატის ყველა ბინადარი ხარბად ეძებდა ქა-ლებს უსინათლო თვალებით, ზოგიერთი ისევ ცდილობდა, რომე-ლიმესთვის ხელი წაეტანებინა, თითქოს ხვდებოდა კიდეც, სად უნდა ეძებნა. ქალები საწოლებს შორის გასასვლელში აღლუმზე ჩამწკრი-ვებულ ჯარისკაცებს ჰგავდნენ. პისტოლეთმომარჯვებული მეთაური ისე თავდაჯერებულად და მკვირცხლად მიუახლოვდათ, თითქოს ხე-დავსო, თავისუფალი ხელი წინიდან და უკნიდან მოუფათურა მარ-ცხნიდან პირველს, რომელიც ის აღმოჩნდა, ღამღამობით რომ არ ეძინა, მერე მკერდი გაუსინჯა, თეძოები, საჯდომი, ფეხებს შორისაც შეუყო ხელი. უსინათლო ქალმა შეჰკვივლა, მეთაურმა ხელი ჰკრა, არაფრად ვარგისხარ, ჩამომტყვნარი ხარო. მერე შემდეგს მიადგა, იმას, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, პისტოლეტი ჯიბეში ჩა-იღო და უკვე ორივე ხელით გაიმეორა პროცედურა, თან ამბობდა, ამას თითქოს არა უშავსო, მერე პირველი უსინათლოს ცოლზე გა-დავიდა, მერე რეგისტრატორზე, მერე სასტუმროს დიასახლისზე და უცებ წამოიძახა, ბიჭებო, მაგარი ნაშები არიანო. უსინათლოები აღ-ტაცებისგან ახმაურდნენ, ფეხების ბრაგუნი, ხორხოცი ატეხეს, დრო-ზე, რაღას ვუცდით, მიგვიშვიო. აბა, სიჩუმეო, დაიყვირა მეთაურმა, ჯერ კიდეც დარჩაო. შავსათვალიან ქალიშვილს დაავლო ხელი და აღტაცებულმა დაუსტვინა, უჰ შენი, დღეს გავკვიმართლა, ეს რა სიმ-დიდრე ჩავიგდეთ ხელშიო. ეშხში შესული ქალიშვილს ხელიდან არ უშვებდა, მეორე ხელი კი მწკრივში ბოლოს მდგარს მიუსვ-მოუსვა და ისევ დაუსტვინა, ცოტა გადამწიფებულთა, მაგრამ კარგია, რაც

კარგია, კარგიაო. ორივე თავისკენ მიიზიდა და სიამოვნების მოლოდინში პირზე დუჟმომდგარმა გამოაცხადა, ეს ორი ჯერ ჩემია, მერე თქვენ დაგიტომობთო. და ორივე პალატის სიღრმეში წაათრია, სადაც ერთმანეთზე ეყარა ყუთები, თუნუქის ქილები, სურსათიანი პაკეტები, იმდენი, მთელ პოლკს რომ ეყოფოდა. ქალებმა უკვე ატეხეს წივილ-კივილი, ხშირად გალაწუნების, ყრუ დარტყმის ხმა, ყვირილი ისმოდა. რა გაღრიალებს, შე ძუკნა, არ შეგიძლიათ ხომ ყველაფერზე ვაი-ვიში არ ატეხოთ, მოსდე ერთი, იქნებ ჩაიწყვიტოს ხმა, არა უშავს, თავიდან ასე იციან, მერე თვითონ შეგვეხვეწებიან. მიდით, წამოაგორეთ, რამდენ ხანს უნდა ვიცადოთ, მეტის მოთმენა არ შემიძლიაო. ვიღაც ახმახი უსინათლოს ქვეშ გართხმული ქალი განწირულად კიოდა, აი ის, ღამღამობით რომ არ სძინავს, ოთხი დანარჩენი კი რკალში მოაქციეს, მჭიდროდ შემოერთყნენ, ხან აქეთ მიათრევდნენ, ხან იქით, ერთმანეთსაც მუჯლუგუნებს ურტყამდნენ, უღრენდნენ, როგორც ლემს მისეული აფთრები, თან შარვლის ჩახდას ცდილობდნენ. ექიმის ცოლი დაკრუნჩხული თითებით იმ საწოლის რკინის საზურგეს ჩაჭფრენოდა, რომელზეც მიაგდეს, და ხედავდა, მეთაურმა როგორ შემოახია კაბა შავსათვალთან ქალიშვილს, ტრუსი გააძრო, ხელის დახმარებით მიმართა თავისი ასო და სოლივით შეარტო, ესმოდა, როგორ ხვნეშოდა, როგორ ბლუკუნებდა რაღაც სისაძაგლეებს, შავსათვალთან ქალიშვილი კი ხმას არ იღებდა, თავი განზე გაეწია, უსინათლო თვალებით ექიმის ცოლს მისჩერებოდა და სპაზმებისგან გატანჯული ალებინებდა, მეთაური ვერც კი გრძნობდა ნარწყევის დამახასიათებელ სუნს, რადგან პალატაში ისედაც სიმყრალე იყო, მთელი ძალით, რაღაც გააფთრებით ამოძრავებდა მენჯს, თითქოს სოლი უნდა ჩააჭედოსო, მერე ერთი სამჯერ კონველსიურად შეირხა და ხროტინით მოდუნდა. შავსათვალთან ქალიშვილი უხმოდ ტიროდა. მეთაურმა ჯერ კიდევ სველი ასო გამოიღო, სული მოითქვა, ექიმის

ცოლისკენ გაიშვირა ხელი და უთხრა, ხომ არ ეჭვიანობ, შენი ჯერიც მოვალ, და თავის დამქაშებს ხმამაღლა გასძახა, ეს შეგიძლიათ წაიყვანოთ, ოღონდ ფრთხილად მოეპყარით, კიდევ გამოგვადგებაო. ექვსი კაცი ჯიკავ-ჯიკავით წამოვიდა გასასვლელში, ქალიშვილს ხელი დაავლეს და თავიანთ კუთხეში წაათრიეს. მე პირველი, მე პირველიო, ერთმანეთს არ აცდიდნენ. მეთაური ასე შარვალჩაბდილი საწოლზე ჩამოჯდა, ფეხებს შორის მოდუნებული ასო ეკიდა. მუხლებზე დადექი, აი, აქო, უთხრა. ექიმის ცოლი დაემორჩილა. პირში ჩაიდევ, არაო, გაილახები და არც საჭმელს მოგცემო. არ გეშინია, რომ მოგაკბიხო, გაბედე ერთი, შენი თავი ხელში მიჭირავს და როგორც კი კბილებს ვიგრძნობ, კისერს მოგიგრეხო. და უცებ, ეს რა ნაცნობი ხმა მესმისო. მეც გიცანიო. როგორ მიცნობდი, ხომ ვერ ხედავო. ვერა, ვერ ვხედავო. მაშ, რას იტყუები, გიცანიო. ადვილი წარმოსადგენია შენისთანა ხმის პატრონს რა სახე ექნებაო. კარგი, გეყოფა ლაყობა, მიდი, ჩაიდევ. არაო. ან ჩაიდებ, ან შენს პალატას ერთი ლუკმაც არ ეღირსება, ჰოდა, მერე იმათ აუხსენი, ვისი მიზნით მოუწევთ შიმშილობა, მერე კი აქ მობრძანდი და გვაჩვენე ერთი, როგორ დაგასაჩუქრებენ ამისთვის. ექიმის ცოლი წინ გადაიხარა, მარჯვენა ხელის ორი თითით აიღო მამაკაცის წებოვანი ორგანო, მარცხენა ხელით იატაკს დაეყრდნო და ჩახდილი შარვლის ქსოვილში ცივი მძიმე ფოლადი იგრძნო. შემოძლია მოვკლაო, გაიფიქრა. არა, ვერ მოვახერხებ, ვერ მოვასწრებ კოჭებამდე ჩამოშვებული შარვლის ჯიბიდან პისტოლეტის ამოღებას, ახლა ვერ მოვკლავო. თავი წინ გადასწია, პირი გააღო, თვალები დახუჭა, რომ არ დაენახა, და დაიწყო.

მხოლოდ გამთენიისას გამოუშვეს. ის, რომელსაც ღამღამობით არ ეძინა, ხელში აყვანილი წამოიყვანეს, თუმცა, დანარჩენი ექვსიც ძლივს მოლასლასებდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ქალები ხელიდან ხელში გადადიოდნენ, დამცირებიდან დამცირებამდე, შურსაცხყოფიდან შურსაცხყოფამდე, ყველაფერი გამოცადეს, რაც კი

ქალს შეიძლება გაუკეთო და ამასთან, ცოცხალი დატოვო. რას იზამთ, გადახდა ნატურითაა, იმ თქვენს ჩმორებს კი უთხარით, საჭმელს მოაკითხონ, ვუწილადებთ, დააბარა მეთაურმა. მერე კი დამცინავად მიაძახა, მომავალ შეხვედრამდე, ლამაზებო, აბა, თქვენ იცით, მოემზადეთო. დანარჩენებმაც აიტაცეს და მეტ-ნაკლებად უნისონში გაჰყვიროდნენ, ზოგი - ძუკნებოლო, ზოგი - ბოზებოლო, თუმცა, მათ შეძახილებში ერთგვარი მოყირჭება იგრძნობოდა და აღარ ეტყობოდათ ადრინდელი ავხორცული შემართება. უსინათლო ქალები, ახლა უკვე დაყრუებულ-დამუნჯებულებიც, ძლივს მილასლასებდნენ დერეფანში და მხოლოდ იმის ძალა შერჩენოდათ, რომ წინ მიმავლისთვის ხელში ხელი ჩაეკიდათ, დიახ, სწორედ ხელში და არა მხარში, როგორც აქეთ წამოსვლისას, და რომ გეკითხათ, ხელჩაკიდებული რატომ მიდიხართ, ხომ შეიძლება წაბორძიკდეთო, ვერც ერთი ვერ გიპასუხებდათ, რადგან არის მოძრაობა, რომელსაც ვერ ახსნი, რომლის ახსნაც შეუძლებელია. ვესტიბიულში გავლისას ექიმის ცოლმა ისევ გაიხედა გარეთ, სადაც ჯარისკაცები და სატვირთო მანქანა ჩანდნენ, რომლითაც, ალბათ, სურსათი მოჰქონდათ. უცებ ის, რომელსაც ღამლამობით არ ეძინა, მოცელილივით დაეცა, ხმის ამოუღებლად, თითქოს ხელის ერთი მოსმით თავი წააცალესო, ჰოპ და მორჩა, და გულიც ასევე, ჰოპ და გასკდა, რიტმული შეკუმშვაც კი ვერ მოასწრო, აი, თურმე რატომ ვერ იძინებდა ღამლამობით, ახლა კი დაიძინა, ჩვენც ნუ გავაღვიძებთ. მოკვდა, თქვა ექიმის ცოლმა სრულიად უემოციოდ, მისი ხმაც ისეთივე მკვდარი იყო, თუმცა, ეს სიტყვები ცოცხალმა წარმოთქვა. ხელში აიყვანა გაწამებული ქალის ნაჯიჯგნი სხეული, ფეხები მთლად დასისხლიანებოდა, მუცელი ჩალურჯებოდა, საცოდავად ეკიდა შიშველი, გამეტებით დაჩქმეტილი ძუძუები, მხარზე კი ნაკბენი ეტყობოდა. ალბათ, ასე გამოიყურება ჩემი სხეულიც, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, და ყველასი, ვინც აქ ვართ, და ჩვენსა და

ამ ქალს შორის სრულიად უმნიშვნელო განსხვავებაა, ანუ მხოლოდ ის, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ. სად წავიყვანოთო, იკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. პალატაში, მერე დავმარხავთო, უპასუხა ექიმის ცოლმა.

მამაკაცები კართან ელოდნენ, პირველი უსინათლოს გარდა, რომელმაც ქალების გამოჩენისთანავე თავზე ისევ საბანი წაიფარა, და ელამი ბიჭუნასი, რომელსაც ეძინა. ექიმის ცოლს ბევრი არ უფიქრია, არც საწოლების გადათვლა დასჭირვებია, ისე დააწვინა ის, ვისაც ღამლამობით არ ეძინა, მისსავე საწოლზე. სულ არ აღარდებდა, რომ შეიძლებოდა ვინმეს გაჰკვირვებოდა, ისედაც მთელმა პალატამ იცის, რომ ყველაზე ადვილად ახერხებს ორიენტირებას. გარდაიცვალა, გაიმეორა მან. როგორ, იკითხა ექიმმა, მაგრამ ცოლმა აღარ უპასუხა, რადგან შეკითხვა მხოლოდ იმას გულისხმობდა, რასაც გულისხმობდა, ანუ როგორ გარდაიცვალაო, თუმცა, შეიძლება ეს სხვა შეკითხვის ნაწილიც ყოფილიყო, ანუ, ამ ყველაფერს როგორ გაუძელითო, და არც ერთზე და არც მეორეზე პასუხი არ არის, მოკვდა, მორჩა და გათავდა, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ და რისგან, სულელური შეკითხვაა, რისგან მოკვდა, დროთა განმავლობაში მიზეზი მივიწყებას ეძლევა, რჩება მხოლოდ სიტყვა - მოკვდა. და ექვსი ქალიც ისეთი არ დაბრუნებულა, როგორიც წავიდა, ის სიტყვები კი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ შეიძლებოდა თქმულიყო, დღეს ვეღარ ითქმებოდა, რაც შეეხება სხვა სიტყვებს, არის ქვეყნად ისეთი რამ, რასაც სიტყვებით საერთოდ ვერ გამოთქვამ, ასე ეწოდება და მორჩა, მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად. საჭმლის მოსატანად წადით, თქვა ექიმის ცოლმა. შემთხვევა, ბედი, განგება, ხვედრი ან კიდევ რა ეწოდება იმას, რასაც ამდენი სახელი აქვს, არადა, მხოლოდ ირონიაა, აბა, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ორი აქაური ქალის კანონიერ ქმრებს დაევაღათ პირველი პალატისთვის საჭმლის მოსატანად წასვლა სწორედ მაშინ, როცა კომმარადაც კი არავის

დაესიზმრებოდა, რომ პროდუქტებისათვის იმის გადახდა მოუწევდათ, რაც ახლახან გადაიხადეს. რატომ არ შეარჩიეს საამისოდ თავისუფალი, უცოლო მამაკაცები, რომლებიც ვალდებული არ იყვნენ, დაეცვათ ცოლის ღირსება, მაგრამ არა, არჩევანი მათზე შეჩერდა, მათ კი უჭირთ ახლა იმ სირცხვილის, იმ შეურაცხყოფის ატანა, რომ სამათხოვროდ ხელგაწვდილები უნდა მიადგნენ არამზადებს, რომლებმაც მათი ცოლები იხმარეს. პირველმა უსინათლომ თქვა კიდეც, აი, ასეთი სიტყვებით, არ წავალ, ვინმე სხვა წავიდესო. მე კი წავალო, თქვა ექიმმა. მეც წამოვალო, უთხრა შავსახვევიანმა მოხუცმა. ბევრს არაფერს გამოგატანენ, მაგრამ წამოლება ხომ არ გაგიჭირდებათ. იმდენი ძალა კი მეყოფა, რომ საჭმელი ვზიდო, თანაც საკუთარი თავისთვის გარჯა სულაც არ არის ძნელი, ბევრად ძნელია, როცა სხვის გამოსაკვებად ირჯები. რა მეთქმის, როცა ჩემი წილი ლუკმაპური სხვისი მოსაპოვებელი გახდა, თანაც ასეთ მძიმე საფასურად.

მოდი, წარმოვიდგინოთ, არა, ეს დიალოგი კი არა, ის უკვე წარსულს ჩაბარდა, არამედ იმ ორის სახე, ვის შორისაც ეს დიალოგი გაიმართა, ისინი ახლა პირისპირ დგანან, თითქოს ხედავენო ერთმანეთს, რაც მოცემულ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, თუკი თითოეული მათგანის მეხსიერებას შეუძლია გარშემო არსებული სრულიად თეთრი სამყაროდან ამოატივტივოს ამ სიტყვების წარმომთქმელი ბაგენი, მერე კი ცენტრიდან გამოცემულ მკრთალ ნათებასავით გამოიკვეთება ამ ორი სახის სხვა ნაკვეთებიც, პირველი - მოხუცის, მეორე - არცთუ ასაკოვანის, და როგორ გინდა, ბრმა უწოდო იმას, ვისაც ასე დანახვა მაინც შეუძლია. პალატიდან რომ გავიდნენ შეგინებული ღირსების ფასად მოპოვებული საჭმლის მოსატანად, როგორც ჯერ კიდევ მაშინ აღშფოთებულმა თქვა პირველმა უსინათლომ. ექიმის ცოლმა სხვა ქალებს უთხრა, აქ იყავით, ახლავე მოვალო. იცოდა, რაც სჭირდებოდა, მაგრამ არ იცოდა, სად ემოვა. არადა,

სჭირდებოდა რამე მოზრდილი ჭურჭელი, რომ წყლით გაეცხო, თუნდაც აშმორებული, ბინძური წყლით, და განებანა იმის სხეული, რომელსაც ღამღამობით არ ეძინა, ჩამოებანა მისივე სისხლი და სხვა უცხო გამონადენი, რომ მიწაში განბანილი ჩაეწვინათ, თუ კიდევ აქვს მნიშვნელობა სხეულის სისპეტაკეს ამ ჯოჯოხეთში, ხოლო რაც შეეხება სულის სისპეტაკეს, ის, როგორც ვიცით, სრულიად მიუწვდომელია.

სასადილოში გრძელ მაგიდებზე უსინათლოებს ეძინათ. ნაგვით საესე ნიჟარაში ღია ონკანიდან წვრილ ნაკადად ჩაედინებოდა წყალი. ექიმის ცოლმა მიმოიხედა გარშემო, მაგრამ შესაფერისი ვერაფერი იპოვა. ერთმა უსინათლომ იგრძნო მისი იქ ყოფნა და იკითხა, ვინ ხარო. არ უპასუხა, იცოდა, რომ აქ სიხარულით არავინ დახვდებოდა, არავინ ეტყოდა, თუ წყალი გინდა, კი ბატონო, წაიღეო, ხოლო თუ გარდაცვლილის განსაბანად გჭირდება, რამდენიც გინდა, იმდენი წაიღეო. იატაკზე ცელოფანის პარკები ეყარა, რომლითაც საჭმელი მოჭქონდათ, მათ შორის დიდი პარკებიც იყო. გაიფიქრა, ალბათ, გახვრეტილებია, მაგრამ თუ რამდენიმეს ერთმანეთში ჩავდებ, ბევრი არ დამეღვრებაო. ჩქარობდა, რადგან უსინათლოები უკვე დგებოდნენ მაგიდებიდან და კითხულობდნენ, ვინ არის აქ, ვინ არისო, და კიდევ უფრო შეშფოთდნენ, წყლის ხმა რომ გაიგონეს, ამ ხმისკენ წავიდნენ და ექიმის ცოლი იძულებული გახდა, მათთვის გზა მაგიდით გადაეღობა, მერე ისევ პარკებს ეცა, განერვიულებულმა მოუშვა ონკანი, მანამდე მოწანწკარე წყალმა მთელი ძალით იხუვლა და თავით ფეხამდე გაწუწა. უსინათლოები შეცბნენ, უკან დაიხიეს, იფიქრეს, ეტყობა, მილი გასკდაო და ასეთი ვარაუდისთვის მეტი საფუძველი მიეცათ, როცა ფეხი დაუსველდათ, რადგან ვინ იფიქრებდა, რომ ვილაც აქ იმიტომ შემოიჭრა, რომ ონკანი გაეხსნა, და მაშინ ექიმის ცოლი მიხვდა, რომ ასეთ სიმძიმეს ვერ დაიტევდა. პარკს მჭიდროდ მოუკრა თავი, ბურგზე მოიგდო და სასადილო ოთახიდან გამოვარდა.

როცა ექიმი და შავსახვევიანი მოხუცი, საჭმლით ხელში, პალატაში შემოვიდნენ, ვერ დაინახეს და ვერც დაინახავდნენ შვიდ შიშველ ქალს, რომელთაგან ერთი, ის, რომელსაც ღამდამობით არ ეძინა, თავის საწოლზე იწვა ისეთი სუფთა, როგორიც, ალბათ, არასოდეს ყოფილა ცხოვრებაში, მეორე კი რიგრიგობით ბანდა დანარჩენებს, მერე კი საკუთარ თავსაც.

მეოთხე დღეს ბანდიტები ისევ გამოჩნდნენ. ამჯერად ნატურით გადასახადისთვის მეორე პალატას მიადგნენ, გზად კი პირველის კართან შეჩერდნენ იმის გასარკვევად, გამოკეთდნენ თუ არა აქაური ქალები ღამის ორგის შემდეგ. რა დრო გავატარეთ იმ ღამეს, ტუჩების წკლაპუნით თქვა ერთმა, მეორემაც დაუდასტურა, ამ შვიდიდან თითო ორს უდრის, მართალია, ერთმა ცოტა გვიმტყუნა, უსიცოცხლო იყო, მაგრამ იმასაც არა უშავდა, ასე რომ, ძმებო, გაგიმართლათ, ჰოდა, ისიამოვნეთ, თუ რამის თავი გაქვთ. ჯობია, არ ჰქონდეთ, თქვა ისევ პირველმა, ჩვენ მეტი გვერგება. პალატის სიღრმიდან ექიმის ცოლმა დაიძახა, შვიდნი აღარ ვართო. ერთი რა, გაიქცაო, სიცილით იკითხა უსინათლომ. არ გაქცეულა, მოკვდა. ჯანდაბა, შემდეგ ჯერზე მის მაგივრადაც მოგიწევთ გარჯა. ბევრი არაფერი დაგიკარგავთ, ის ხომ ისედაც უსიცოცხლო იყო, უთხრა ექიმის ცოლმა. ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მომხდურებმა ამაზე ველარაფერი უპასუხეს, ამწუთას წარმოთქმული სიტყვები სრულიად შეუფერებლად მიიჩნიეს, და ერთმა ისიც კი გაიფიქრა, მაინც რა წუნკლები არიან ეს ქალებიო, რადგან არ ეგების ასე მოხსენიება ამხანაგის, მით უმეტეს, გარდაცვლილის, მხოლოდ იმიტომ, რომ არც მკერდი უვარგოდა და არც უკანალი. ექიმის ცოლი ხედავდა, რა დაბნეულები გამოიყურებოდნენ კართან შეგვფეხებული ფიგურები, მარიონეტებს რომ ჰგავდნენ. იცნო ისინი, სამივემ იძალადა მასზე. ბოლოს ერთ-ერთმა იატაკზე ჯოხი დაარტყა და თქვა, წავიდეთ, ბიჭებოო. ისევ ჯოხის ხმა და შეძახილი, გზა, გზა მოგვეციტო, და ეს ხმა ნელ-ნელა

მიიკარგა დერეფნის სიღრმეში, მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მაშინვე გაისმა რაღაც ჩოჩქოლი, ეს მეორე პალატის ქალებმა მიიღეს ბრძანება, ვახშმის დამთავრებისთანავე გამოცხადებულიყვნენ. ისევ კაკუნი ქვის ფილებზე და შეძახილი, გზა, გზა მოგვეციტო, და სამმა ფიგურამ კარს ჩაუარა და გაუჩინარდა.

ექიმის ცოლი, რომელიც ძილის წინ ზღაპარს უყვებოდა ელამ ბიჭუნას, წამოდგა, ხელი ასწია და ჩუმად ჩამოხსნა ლურსმნიდან მაკრატელი. ბიჭუნას უთხრა, დანარჩენს მერე მოგიყვებით. პალატაში მისთვის არავის უკითხავს, ასე უდიერად რატომ მოიხსენია ის, რომელსაც ღამღამობით არ ეძინა. რამდენიმე წუთში ფეხზე გაიხადა, ქმარს უთხრა, ახლავე მოვალო. სადღაც ათ წუთში დერეფანში მეორე პალატის ქალები გამოჩნდნენ. მწკრივად კი არა, ჯგუფებად მიდიოდნენ, რაღაც ზოლებად დახეული ქსოვილით, ეტყობა, ზეწრით გადაბმულნი. როცა პირველი პალატის კარს ჩაუარეს, ექიმის ცოლიც შეუერთდათ. ვერავინ შენიშნა. ქალებმა იცოდნენ, რაც ელოდათ, მესამე პალატის ამბები საიდუმლოდ არავისთვის დარჩენილა და არც რაიმე სიახლეს წარმოადგენდა, ასე ხდებოდა ოდითგანვე, უხსოვარი დროიდან. მათ აძრწუნებდათ არა თავად ძალადობა, არამედ წრეგადასული ზნედაცემულობა, საყოველთაო აღვირაბსნილობა მოსალოდნელი საზარელი ღამისა, როცა საწოლებსა და იატაკზე გართხმულ თხუთმეტ ქალს ტახებივით ფრუტუნით და ხროტინით თელავენ და ჯეგავენ მამაკაცები. ყველაზე საშინელი ის იქნება, უნებლიეთ სიამოვნება რომ ვიგრძნო, გაუელვა ერთ-ერთს თავში. დანიშნულების პუნქტისკენ მიმავალ დერეფანში რომ გავიდნენ, გუშაგმა მაშინვე აცნობა თავისიანებს, მოდიან, მოდიან, ფეხის ხმა მესმისო. მაშინვე მოაშორეს კარში ჩახერგილი საწოლი და ქალები სათითაოდ შევიდნენ პალატაში. ოჰო, რამდენი ყოფილხართ, წამოიძახა ბუღალტერმა და სიამოვნებით შეუდგა თვლას: თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, სულ თხუთმეტნი

არიან. ბოლოს მიმავალს უკან გაჰყვა, ხელებით კაბის ქვეშ უძვრებოდა, თან ბურტყუნებდა, ეს ჩემია, ჩემი, არავის დავუთმობო. ამჯერად ქალების შემოწმება აღარ დაუწყიათ, არც ფიზიკური მონაცემების წინასწარი შეფასება. ისე, მართლაც, რაკი ყველას ერთი და იგივე უნდა ერგოს, რაღა საჭიროა სიმაღლის, მკერდის სიდიდის, თეძოების გარშემოწერილობის მიხედვით პრეტენდენტთა შედარება, მხოლოდ დროის კარგვაა, თან დილიხორმაც შეიძლება გაგიაროს. ქალები უკვე საწოლებზე წამოაგორეს, ტანსაცმელიც შემოაგლიჯეს, და მალევე გაისმა ჩვეული ქვითინი, ვაი-ვიში, ხვეწნა-მუდარა, რის პასუხადაც ეუბნებოდნენ ერთსა და იმავეს, თუ ჭამა გინდა, ფეხები გაშალეო. და ქალები ემორჩილებოდნენ, ზოგიერთს იძულებით პირში უღებდნენ, აი, როგორც იმას, მეთაურის მუხლებს შორის რომ ჩამჯდარა და, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებს. ექიმის ცოლი პალატაში შევიდა, გასასვლელში შეუმჩნევლად გაიარა, თუმცა, სიფრთხილე ზედმეტი იყო, მაინც ვერავინ გაიგებდა, ხის ქოშებითაც რომ ებრაახუნა, და რომელიმე უსინათლო რომ გადაჰყროდა და მასში ქალი შეეცნო, უარეს შემთხვევაში სხვების ბედს გაიზიარებდა, რადგან ამ ბაკქანალიაში ადვილი არ იყო იმის შემჩნევა, რომ თხუთმეტს მეთექვსმეტეც შემატებოდა.

მეთაურის საწოლი ისევ პალატის სიღრმეში იდგა, სადაც სურსათით სავსე კონტეინერები და ყუთები იყო დახვავებული. სხვა საწოლები გვერდზე გაეწიათ, მეთაურს, როგორც ჩანს, სივრცე უყვარს და არ სიამოვნებს, როცა თავის მეზობლებს ეჯახება. კეთილი, მისი მოკვლა ასე უფრო ადვილია. ექიმის ცოლი ვიწრო გასასვლელში ნელა მიაბიჯებს, თვალს არ აშორებს იმას, ვინც მსხვერპლად აიჩნია, აკვირდება მის მოძრაობას, ხელავს, ნეტარებისაგან როგორ გადაუგდია თავი და თითქოს ყელი მისთვის მიუშვერია. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, საწოლს შემოუარა და

მის ზურგს უკან გაჩერდა. უსინათლო ქალი თავის საქმეს განაგრძობდა. ექიმის ცოლმა მაკრატელი მოიმარჯვა, ოდნავ გადახსნა, დარტყმა ორმაგი რომ ყოფილიყო. იმწამს, სულ ბოლო წამს, მეთაურმა თითქოს იგრძნო მისი იქ ყოფნა, მაგრამ მოახლოებული ორგანოს გამო ჩვეული რეაქციის უნარი მოსდუნებოდა. ვერ მოასწრებ, გაიფიქრა ექიმის ცოლმა და მკვეთრად დაუშვა შემართული ხელი. ორმაგი მახვილი მთელი ძალით ღრმად შეასო ყელში, დაატრიალა, გაუგლიჯა ხრტილები და ქსოვილი, ბოლომდე შეარტო, სანამ მაკრატელი კისრის მალეებში არ გაიჭედა. შეყვირება ისეთი სუსტი იყო, რომ იმ ხვნეშას თუ ქშენას წააგავდა, ასე ხშირად რომ გაისმოდა ამ პალატაში ეაკულაციის დროს, ან იქნებ სწორედაც რომ ასე იყო, რადგან უსინათლო ქალს ერთდროულად სახეში სქელი სისხლი შეესხა, პირში კი სპერმა ჩაედვარა. და უსინათლოები შეაკრთო არა ამ შეყვირებამ, არამედ ქალის განწირულმა კვილიმა, რომელიც იმას არ ჰგავდა, რასაც მიჩვეული იყვნენ. უსინათლო ქალს, რომელიც კიოდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა, საიდან ამდენი სისხლი, შეძრწუნებულმა გაიფიქრა, იქნებ უნებლიეთ, ანგარიშმიუცემლად, თავადაც რომ ვერ მიხვდა, ისე აასრულა ის ჩანაფიქრი, ადრე თავში რომ გაუელვა, ანუ კბილები ჩაასო. უსინათლოებმა თავი ანებეს ქალებს, ბრმად დაიწყეს მიახლოება, რა მოხდა, რა გაკვივლებსო, მაგრამ ვიღაცამ პირზე ხელი ააფარა და ყურში ჩასჩურჩულა, ჩუმად, ხმა არ ამოიღო, მერე ნელა გაიყვანა განზე. კრინტი არ დაძრა, გაუმეორა ქალმა და უსინათლო ცოტა დამშვიდდა, თუკი ამგვარ ვითარებაში ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია. ბუღალტერი წინ გამოვიდა და საწოლზე პირდაღმა დაგდებულ გვამს პირველი შეეხო, გასინჯა და თქვა, მკვდარიყო. თავი საწოლის კიდიდან ჩამოვარდნოდა და ტრილობიდან ჯერ კიდევ მოფეთქავდა სისხლი. მოკლესო, წამოიძახა ბოლოს. უსინათლოები გაშეშდნენ, ყურებს არ დაუჯერეს, როგორ თუ მოკლეს, ვინ მოკლა. ყელი აქვს გამოჭრილი,

ალბათ, იმ ძუკნამ მოკლა, მასთან რომ იყო, უნდა ვიპოვოთო. უსინათლოები შოკიდან გამოვიდნენ, მაგრამ აშკარად ეშინოდათ, ისინიც არ გამხდარიყვნენ იმ მახვილის მსხვერპლი, რომლითაც მათ მეთაურს ყელი გამოსჭრეს, ამიტომ შორს არ წასულან. და ვერ დაინახეს, როგორ მარჯვედ გაუჩითა ბულალტერმა მოკლულს ჯიბეები და იქიდან პისტოლეთი და ცელოფანის პარკში ჩაყრილი ათიოდე ვაზნა ამოაცალა. უცებ ყველას ყურადღება ქალებმა მიიპყრეს, რომლებიც პანიკამ მოიცვა, ფეხზე წამოხტნენ და გამაყრუებელი წივილ-კივილით აქეთ-იქით აწყდებოდნენ, უსინათლოებს ეჯახებოდნენ, მათ კი ეგონათ, რომ თავს ესხმოდნენ, ამის შედეგად კი დაიწყეს ის, რასაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ორომტრიალი. ექიმის ცოლი წყნარად იდგა პალატის სიღრმეში, ელოდებოდა, რომ დრო ეხელთა და პალატიდან გაპარულიყო. ერთი ხელი უსინათლო ქალისთვის შემოეხვია და მაგრად მიეკრა, მეორით მაკრატელი მოემარჯვებინა ისე, რომ მაშინვე დაერთყა იმისთვის, ვინც კი მიუახლოვდებოდა. ჯერჯერობით მეთაურის საწოლთან თავისუფალი სივრცე ხელს უწყობდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს დიდხანს არ გასტანდა. ერთმა ქალმა, როგორც იქნა, გააღწია კართან, მეორე უსინათლოებს იგერიებდა, ერთი კი ყელში სწვდომოდა თავის მოძალადეს და აშკარად ცდილობდა მსხვერპლის რაოდენობა გაეზარდა. მეთაურის ფუნქცია ბულალტერმა იკისრა და თავისიანებს დაუყვირა, დაწყნარდით, დაშოშმინდითო, და თავისი სიტყვებისათვის მეტი წონა რომ მიეცა, ჰაერში გაისროლა. ამას პირუკუ ეფექტი მოჰყვა. უსინათლოებმა არ იცოდნენ, რომ პისტოლეთს ახალი პატრონი, მათ კი, შესაბამისად, ახალი მეთაური გამოუჩნდათ, ამიტომ ქალებთან ჩხუბს თავი ანებეს, აღარც მათი წინააღმდეგობის გატეხას ცდილობდნენ, განსაკუთრებით ერთი სამუდამოდ დაშოშმინდა, როგორც ჩანს, მაინც დაახრჩვეს. სწორედ ამ დროს გაიფიქრა ექიმის ცოლმა, შესაფერისი მომენტიად და წინ გავარდა, თან

აქეთ-იქით ყველას ურტყამდა. ახლა უკვე უსინათლო მოძალადეები ეჯახებოდნენ ერთმანეთს, შეშლილებივით ღრიალებდნენ, თავქუდ-მოგლეჯილები გარბოდნენ, ეცემოდნენ და ერთმანეთს ჯეგავდნენ, და თვალხილული უთუოდ დაინახავდა, რომ პირველი ჭყლეტა ამასთან შედარებით ბავშვური ცელქობა იყო. ექიმის ცოლს აღარ უნდოდა ვინმე მოეკლა, მხოლოდ აქედან გაღწევას ცდილობდა, მაგრამ ისე, რომ პალატაში ერთი ქალიც არ დაეტოვებინა. ეს, ალბათ, არ გადარჩება, გაიფიქრა და ვიღაცას მაკრატელი მკერდში ჩასცა. კიდევ ერთი გასროლა გაისმა. წავედით, წავედით, ყვიროდა და მიერეკებოდა ქალებს, წამოდგომაში ეხმარებოდა, თან სულ იმეორებდა, დროზე, იჩქარეთო. პალატიდან ბულალტერი გაჰყვიროდა, დაიჭირეთ, დაიჭირეთ, არ გაუშვათო. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ყველა ქალმა მოასწრო დერეფანში გასვლა, გარბოდნენ ნახევრად შიშველნი, თან ტანსაცმლის ნაგლეჯებს იფარებდნენ. ექიმის ცოლი პალატისკენ შებრუნდა და გაბრაზებულმა გასძახა, ხომ გახსოვთ, რომ ვუთხარი, შენს სახეს არ დავივიწყებ-მეთქი, ახლა კი იმაზე იფიქრეთ, რომ თქვენს სახეებსაც არ დავივიწყებ. ამას არ შეგარჩინთ, პასუხად დაუყვირა ბულალტერმა, პასუხს გაგებინებთ, შენც და ამ წაკლებსაც და იმ თქვენ ახვარ კაცებსაც, ყველას სისხლში ჩაგახრჩობთ. რა იცი, ვინ ვარ და საიდან მოვედი. იქითა ფრთიდან ხარ, პირველი პალატიდან, დაუძახა იმ უსინათლომ, ქალებს რომ მოაკითხა, ბულალტერმა კი დაამატა, ხმას რას უზამ, ჩემი თანდასწრებით ერთი სიტყვაც რომ წამოგცდეს, მაშინვე გაგათავებ. თქვენი მეთაურიც ასე იქადნებოდა და სად არის ახლა. იმას ნუ მადარებ და ნურც მთელ თქვენ უსინათლოთა ბრბოს, თქვენ რომ დაბრმავდით, უსინათლოთა სამყაროში უკვე ყველაფერი ვიცოდით. ჩემს სიბრმავაზე ნეტავ რა იცი. ბრმა არა ხარ, მე ვერ გამაცურებ. ბრმათა შორის ყველაზე ბრმა რომ ვიყო, უკვე მოვკალი და თუ საჭირო გახდა, თქვენც დაგხოცავთ. მანამდე შიმშილით ამოგხდება სული, ნამცეც-

საც ველარ მიიღებთ, ფორთხვით რომ მოხვიდეთ და სინზე მოგვართვათ ის სამი ნახვრეტი, რომლითაც დაიბადეთ. ყოველი იმ დღის სანაცვლოდ, როცა საჭმელს არ მოგვცემთ, ერთ თქვენგანს მოვკლავ, როგორც კი გაბედავთ და ზღურბლს გადმოაბიჯებთ. არ გამოგივა. გამომივა და ამიერიდან საჭმელს ჩვენ ავიღებთ, თქვენ კი ის ხეთქეთ, რაც გადანახული გაქვთ. გაცოფებულმა ბუღალტერმა კარის მიმართულებით გაისროლა. ტყვიამ თავებს ზემოთ გაიზუზუნა, არავის მოხვედრია, კედელში გაიჭედა. ვერ მომწვდები, დაუყვირა ექიმის ცოლმა, და ჯობია, ვაზნებს გაუფრთხილდე, თორემ, რომ გამოგელევა, რა გეშველება, ისიც გაითვალისწინე, მარტო შენ როდი გინდა მბრძანებლობა, არც შენი დამქაშები იტყვიან ამაზე უარს.

მტკიცე ნაბიჯით მოშორდა კარს, დერეფნის კედელს გაუყვა, მაგრამ უცებ საოცარი სისუსტე იგრძნო, თითქოს გული მისდიოდა, მუხლებში ჩაიკეცა და იატაკზე დავარდა, თვალებზე რაღაც ლიბრი გადაეკრა, ნუთუ ვბრმავდებიო, გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ არა, ჯერ არა, მზერა ცრემლმა დაუბინდა, ღვარად წასკდა თვალებიდან, თითქოს მთელი ცხოვრება გუბდებოდაო. კაცი მოვკალი, ჩუმად ჩაილაპარაკა, მინდოდა, მომეკლა და მოვკალი. მესამე პალატის კარს გახედა, გაიფიქრა, ახლა რომ დამედევნონ, თავს ვერ დავიცავო. მაგრამ დერეფანი ცარიელი იყო. ქალები უკვე წასულიყვნენ, მოძალადე უსინათლოები, სროლით და განსაკუთრებით იმით დაზაფრულნი, რომ პალატაში რამდენიმე გვამი იყო, ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდნენ. თანდათან ძალა მოიკრიბა, ცრემლი ისევ სდიოდა, მაგრამ ახლა უკვე ნელა, მშვიდად, როგორც ხდება ხოლმე, როცა მომხდარს აღარაფერი ეშველება. ძლივს წამოდგა, ხელები და ტანსაცმელი სისხლიანი ჰქონდა და გაწამებულმა სხეულმა უცებ აგრძნობინა, რომ დაბერდა. დავბერდი, მკვლელი გავხდი, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, თუმცა, იცოდა, რომ თუ საჭირო იქნა, კიდევ

მოკლავს. საჭირო როლის იქნება, ჰკითხა საკუთარ თავს ვესტიბიულისკენ მიმავალმა და თავადვე უპასუხა, როცა მოკვდება ის, რაც ჯერ კიდევ ცოცხალია. თავი გაიქნია, ჩაფიქრდა, მერედა რას ნიშნავს ეს, სიტყვებს, სიტყვებს და სხვა არაფერს. დერეფანში ისევ მართო იყო. კართან მივიდა, გარეთ გაიხედა. მესერს მიღმა ბუნდოვნად მოჩანდა გუშაგის ფიგურა. იქ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ხედავენ. უკნიდან ნაბიჯების ხმამ შეაკრთო, გაიფიქრა, ისინი არიანო, სწრაფად შემობრუნდა და მაკრატელი მოიმარჯვა. მაგრამ ქმარი შერჩა. ქალები, რომლებიც მეორე პალატაში ბრუნდებოდნენ, ხმამაღლა ჰყვებოდნენ იმის შესახებ, რაც მარცხენა ფრთაში მოხდა, რომ ვიღაც ქალმა ყელი გამოსჭრა მეთაურს და სროლა ატყდა, მაგრამ ექიმს არ უკითხავს, ვინ ქალმაო, რადგან ისედაც იცოდა, ეს ვიღაც ქალი კი არა, მისი ცოლი იყო, ის, რომელმაც ელამ ბიჭუნას უთხრა, დანარჩენს მერე მოგიყვებიო, ახლა კი სად არის, რა დაემართა, ხომ არ მოკლეს. აქა ვარ, უთხრა ექიმს ცოლმა, მიუახლოვდა და მკერდზე მიეყრდნო, ვერც კი შენიშნა, რომ სისხლით სვრიდა, ან იქნებ შენიშნა, მაგრამ იფიქრა, რა მნიშვნელობა აქვსო, რადგან აქამდე ერთმანეთისას ყველაფერს იზიარებდნენ. რა მოხდა იქ, ამბობენ, ვიღაც მოკლესო, ჰკითხა ექიმმა. მოკლეს, მე მოვკალი. რატომ. ვინმეს ხომ უნდა მოეკლა, ჩემს მეტი კი ამის გამკვეთებელი არავინ აღმოჩნდა. ახლა რა იქნება. ახლა თავისუფლები ვართ, იციან, რაც ელით, თუ კიდევ ეცდებიან ჩვენზე ძალადობას. ეს ნიშნავს, რომ ომი იქნება. უსინათლოები სულ ომში არიან, სულ ომში იყვნენ და იქნებიან. და ისევ მოკლავ. ჰო, თუ საჭირო გახდება, ამ სიბრძავისგან ველარასოდეს გავთავისუფლდები. საჭმლის ამბავი როგორ იქნება. საჭმელს ისევ ჩვენ ავიღებთ, არა მგონია, აქ გამოსვლა გაბედონ, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღე მაინც ექნებათ იმის შიში, რომ იგივე დღე დაადგებათ, რაც მათ მეთაურს, რომ მათაც მაკრატლით გამოსჭრიან ყელს. თავიდანვე,

როცა პირველი მოთხოვნები წამოაყენეს, ვერ გავუწიეთ წინააღმდეგობა. ჰო, ვერ გავუწიეთ, შეგვეშინდა, შიში კი სულაც არ არის კარგი მრჩეველი, წავიდეთ ახლა, კარის ჩახერგვა მოგვიწევს, საწოლებით ჩავხერგოთ, როგორც მათ ჰქონდათ, იატაკზე მოგვიხდება წოლა, მაგრამ არა უშავს, შიმშილით სიკვდილს მაინც ჯობია.

შემდეგი რამდენიმე დღე უსინათლოებს უჩნდებოდათ კითხვა, ეს როგორ დაემართათ და ახლა მართლა ხომ არ მოუწევთ შიმშილით სიკვდილი. თავიდან არ გაჰკვირვებიათ, რომ პროდუქტები არ მოჰქონდათ, შეფერხებებს შეეჩვივნენ, სულ ასე იყო, მესამე პალატის ბანდიტები არ ტყუოდნენ, როცა ამბობდნენ, სამხედროები აგვიანებენ ხოლმე პროდუქტების მოტანასო, თუმცა, იმავე წუთს იტყუებოდნენ, როცა დაცინვით დასძენდნენ, ამიტომაც მოგვიწევს ულუფების შემცირება, რას იზამ, ასეთი მძიმე მოვალეობა აკისრიათ იმათ, ვინც ხელმძღვანელობა ითავაო. მესამე დღეს, როცა პალატებში ერთი ნამცეციც კი აღარ დარჩა, ექიმის ცოლი და მასთან ერთად რამდენიმე უსინათლო ებოში გავიდნენ და იკითხეს, ჰეი, მანდ, რა ხდება, პროდუქტები რატომ არ მოგაქვთ, უკვე ორი დღეა არაფერი გვიჭამიაო. სერჟანტი, ის არა, ადრე რომ იყო, მესერს მოუახლოვდა და უპასუხა, არმია აქ არაფერ შუაშია, ჩვენ ლუკმაპურს არავის ვართმევთ, მხედრული ღირსება არ გვაძლევს ამის ნებას, და თუ პროდუქტი არ მოაქვთ, ესე იგი, არა აქვთ, თქვენ კი ფეხი არ მოიცვალათ, თორემ ერთი ნაბიჯიც და ხომ იცით, რაც მოგივათ, ბრძანება არავის გაუუქმებიაო. ამ განმარტების შემდეგ უსინათლოები პალატებში დაბრუნდნენ და დაიწყეს მსჯელობა, რა ვქნათ, თუ საჭმელს დღესაც არ მოიტანენო. იქნებ ხვალ მოიტანონ. ან ზეგ. ან მაშინ, როცა განძრევის თავი აღარ გვექნება. უნდა გავიდეთ და მოვითხოვოთ. გასვლით გახვალ, მაგრამ ჭიშკრამდეც ვერ მიაღ-

წევ. ეჰ, ნეტავ ბრმები მაინც არ ვიყოს. ბრმები რომ არ ვყოფილიყავით, ამ დღეშიც არ აღმოვჩნდებოდით. იქნებ იმიტომ არ გვაძლევენ საჭმელს, რომ თავად არ ჰყოფნით. საინტერესოა, რა ხდება გარეთ. იქნებ იმ არამზადებმა მოგვცენ ცოტა საჭმელი, რომ ვთხოვოთ. რაკი საერთოდ სურსათის ნაკლებობაა, მათი მარაგიც შემცირდებოდა. ამიტომაც არაფერს მოგვცემენ. სანამ მათ მარაგი გამოელევათ, ჩვენ ამოვწყდებით. მაშ, რა ვქნათ. იატაკზე ისხდნენ, წრიულად, ვესტიბულის ერთადერთი ჭალის მოყვითალო შუქში, ექიმი და მისი ცოლი, შავსახვევიანი მოხუცი, სხვა მამაკაცებსა და ქალებთან ერთად, ორ-ორი, სამ-სამი რომ იყვნენ ყველა პალატიდან, როგორც მარცხენა ფრთის, ისე მარჯვენა ფრთის პალატებიდან, და როგორც უკვე დაწესდა ამ უსინათლოთა სამყაროში, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, როცა ერთმა მათგანმა თქვა, მე კი მგონია, რომ ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით, მესამე პალატის მეთაური რომ არ მოეკლათ, დიდი ამბავი, თუ თვეში ორჯერ დაუწვებოდნენ ამ ბანდიტებს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ მისცემდნენ საშუალებას, ბუნებრივი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინათ. ვიღაცას ეს რეპლიკა სახალისოდ მოეჩვენა, ვიღაცას ნაძალადევად ჩაეცინა, პროტესტის ხმა კი, თუკი პროტესტი საერთოდ იყო, ვერ ახშობდა ცარიელი მუსკლის წრიალს, ის ერთი კი განაგრძობდა, და მაინც საინტერესოა, ვინ ჩაიდინა ეს მკვლელობა, ქალები იფიცებიან, ჩვენ არ მოგვიკლავსო. არა, მგონი, ვალდებული ვართ, მართლმსაჯულება აღვასრულოთ და მკვლელი გადავცეთ. მიდი და გაიგე, ვინ არის მკვლელი. რომ ვიცოდეთ, მიგვკრიდით, ვეტყოდით, აი, ის, ვისაც ეძებთ და საჭმელი მოგვეცით-თქო. მერედა, როგორ გინდა იპოვო. ექიმის ცოლმა თავი ჩაქინდრა და გაიფიქრა, მართალს ამბობენ, შიშშილით ვინმე რომ მოკვდეს, ჩემი ბრალი იქნება, თუმცა, მაშინვე სიბრაზე მოერია და განდევნა საკუთარი ბრალეულობის მორჩილად აღიარების სურვილი. ჰოდა, ჯერ ესენი დაიხოცონ, რომ ჩემმა დანაშაულმა გამოისყიდოს ამათი დანაშაული. მერე ახედა მათ და

გაიფიქრა, ახლა რომ ვუთხრა, მე მოვკალი-მეთქი, ნუთუ მესამე პალატას გადამცემენ, ანუ სასიკვდილოდ გამიმეტებენ. შიმშილისგან თუ იმის გამო, რომ ეს აზრი ისევე იზიდავდა, როგორც უფსკრული გიზიდავს, როცა მის პირას დგახარ, გონება აერია, წინ გადაიხარა და ის იყო, პირი გააღო, რომ უცებ ვილაცამ მაგრად მოუჭირა ხელი, მობრუნდა და შავსახვევიანი მოხუცი დაინახა, რომელმაც გამოაცხადა, ჩემივე ხელით მოვკლავდი იმას, ვინც თავს გათქვამდაო. რატომო, ჰკითხეს წრეში მსხდომთ. იმიტომ, რომ ჯოჯობეთში, რომელშიც აღმოვჩნდი და ჩვენივე მიზებით გაუსაძლისად ვაქციეთ, სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ რომ არსებობს, სწორედ იმ ადამიანის დამსახურებაა, ის გარეწარი თავისსავე ბუნაგში რომ ჩააძალდა. კი, გასაგებია, მაგრამ სირცხვილის გრძნობა მოგვიკლავს შიმშილს. ვინ ხარ, არ ვიცი, მაგრამ ახლა სრული სიმართლე თქვი, რადგან ყოველთვის მოიძებნება ვინმე ისეთი, ვინც უსირცხვილობის ფასად დანაყრდება, ჩვენ კი, ვისაც აღარაფერი შეგვრჩენია ამ უკანასკნელი და დაუმსახურებელი ღირსების გარდა, ის მაინც უნდა ვცადოთ, რომ დავიცვათ, რაც გვაქვს. ამით რა გინდა თქვა. რაკი ის ვიკადრეთ, რომ ჩვენი ქალები ამ ხროვასთან გაეუშვიოთ და მათ ხარჯზე ვიკვებებოდით, როგორც უკანასკნელი მუქთახორები, დადგადრო, ჩვენ წავიდეთ იქ, თუკი ჯერ კიდევ შეგვრჩენია კაცობა. გასაგებად აგვიხსენი და ისიც გვითხარი, საიდან ხარ. მარჯვენა ფრთის პირველი პალატიდან. და მერე. მერე ის, რომ რაც გვეკუთვნის, უნდა დავიბრუნოთ. მათ იარაღი აქვთ. როგორც ვიცი, ერთი პისტოლეთი, ვაზნები კი თავდება ხოლმე. ჩვენი სამყოფი ექნებათ. ადამიანები უფრო ნაკლებისთვისაც სწირავდნენ თავს. სულაც არ ვაპირებ თავის გაწირვას იმისთვის, რომ სხვამ იცოცხლოს. მაშ, იქნებ აღარც ჭამო, თუ სხვა გასწირავს თავს იმისთვის, რომ საჭმელი გიმოვოს, სარკასტულად მიუგო შავსახვევიანმა მოხუცმა, მაგრამ პასუხი აღარავის გაუცია.

მარცხენა ფრთის პალატებისკენ გამავალ კარში ქალი შეიპარა, ყური მიუგდო საუბარს, ცდილობდა, არავის შეემჩნია. ეს სწორედ ის ქალი იყო, რომელსაც სახეში სისხლი შეესხა, პირში კი სპერმა ჩაეღვარა, ის, მაშინ ექიმის ცოლმა რომ ჩასჩურჩულა, ხმა არ ამოიღო, და ახლა იჯდა და ფიქრობდა, ახლა აქ რომ ვზივარ, ამათთან ერთად, ველარ გეტყვი, ხმა არ ამოიღო, არ გამცე-მეთქი, უთუოდ მიცანი ხმით, ვერ დაივიწყებდი ჩემს ხმას, ვერც იმას, ხელი რომ აგათარე პირზე, შენი სხეული კი ჩემსას ეკვროდა, და გითხარი, ჩუმად იყავი-მეთქი, და აი დადგა დრო, შევიტყო, ვინ გადავარჩინე, გავიგო, ვინ ხარ, ამიტომ ვილაპარაკებ რაც შეიძლება ხმამაღლა და გასაგებად, რომ შეძლო გამცე, თუკი ასეთია შენი ბედი, და ჩემიც, და აი, ვამბობ, იქ მარტო მამაკაცები კი არა, ქალებიც უნდა წავიდეთ, უნდა დავბრუნდეთ იქ, სადაც გვამცირებდნენ, რომ დამცირების კვალი წავშალოთ, გავთავისუფლდეთ მისგან, გადმოვაფურთხოთ, რაც პირში ჩაგვეღვარა. ეს თქვა და დაელოდა, სანამ ქალმა არ უთხრა, შენ თუ წახვალ, მეც წამოვალო. დიახ, სწორედ ასე თქვა. შავსახვევიან მოხუცს სახეზე ღიმილი გადაეფინა, რომელიც თითქოს, არა, თითქოს კი არა, ნამდვილად ბედნიერი ღიმილი იყო, თუმცა, ახლა მისთვის ამის კითხვა არ ღირდა, და რაც მთავარია, მაშინვე შეეცვალათ სახის გამომეტყველება სხვა უსინათლოებსაც, თითქოს თავზემოთ რაღაცამ ჩაუქროლათ, ფრინველმა თუ ღრუბელმა, ან განთიადის პირველი, მოკრძალებული სხივი მოელამუნათ. ექიმმა ცოლის ხელები ჩაბლუჯა და იკითხა, კიდევ უნდა ვინმეს გაიგოს, ვინ მოკლა ის გარეწარი, თუ ყველა შევთანხმდებით, რომ ის ჩვენი ხელით მოკვდა, უფრო ზუსტად კი თითოეული ჩვენგანის ხელით. პასუხი არავის გაუცია. ექიმის ცოლმა თქვა, ცოტა დრო კიდევ მიცვით, თუ ჯარისკაცები ხვალაც არ მოიტანენ საჭმელს, მერე თავს დავესხათო. აღგნენ, სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ, ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ, და სულაც არ გაითვალისწინეს იმის შესაძლებლობა, რომ მესამე პალატიდან ვინმეს შეიძლებოდა მოესმინა მათი საუბარი,

მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველთვის არ მართლდება გამონათქვამი, ეშმაკს არ სძინავსო. არც ამჯერად გამართლდა. სამაგიეროდ ისევ ახრიალდა დინამიკი, რომელიც ბოლო ხანს ხან ლაპარაკობდა, ხან არა, და თუ ლაპარაკობდა, მხოლოდ ერთსა და იმავე დროს, როგორც ადრე გამოაცხადეს, და, როგორც ჩანს, რაღაც ტაიმერი ჩაამონტაჟეს, რომელიც გარკვეულ მომენტში ავტომატურ ჩანაწერს რთავდა, ხოლო ზოგჯერ ეს არ ხდებოდა და რატომ არ ხდებოდა, ჩვენთვის უცნობია, რადგან ეს გარე სამყაროს მოვლენა იყო, სხვათა შორის, საკმაოდ სერიოზული, რადგან ერეოდათ კალენდარი, ვერ იგებდნენ, რა დღე იყო, რასაც ზოგიერთი უსინათლო, ბუნებით მანიაკი ან წესრიგის მოყვარული, რაც თავისთავად მანიის მსუბუქ ფორმას წარმოადგენს, გულმოდგინედ აღრიცხავდა, ვთქვათ, თოკზე კვანძის გაკეთებით, ანუ ისევე იქცეოდნენ, როგორც ისინი, ვინც მესხიერებას არ ენდობა და დღიურს აწარმოებს. ერთი სიტყვით, დინამიკი ჩაირთო გრაფიკის დარღვევით, ეტყობა, რაღაც გაფუჭდა, რელე გამოვიდა მწყობრიდან, სადენი გაწყდა, მთავარია, ჩანაწერი ისევ და ისევ თავიდან არ დაიწყოს, თორემ ჩვენს სიბრმავეს სიგიჟეც დაემატება. დერეფნებსა და პალატებში უკანასკნელ და უსარგებლო გაფრთხილებად გაისმა მბრძანებლური ხმა: ქვეყნის მთავრობა დიდ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ, თავისი მოვალეობის შესასრულებლად და უფლებამოსილების შესაბამისად, იძულებულია, გადაუდებელ და მკაცრ ზომებს მიმართოს, რათა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დაიცვას ქვეყნის მოსახლეობა იმ კრიზისში, რომელიც გამოიწვია მოულოდნელად აფეთქებულმა სიბრმავის ეპიდემიამ, დროებით თეთრი სენი რომ ეწოდა, და იმედს გამოთქვამს, რომ ყველა მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას გამოიჩენს და შესაბამისად მოიქცევა, რათა ყველანაირად წინ აღვუდგეთ ეპიდემიის გავრცელებას, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეპიდემიასთან გვაქვს და არა

ზოგიერთი შემთხვევის ჯერჯერობით აუხსნელ დამთხვევასთან. გადაწყვეტილება, კარანტინში მოგვეთავსებინა ამ სენით შეპყრობილნი, ისევე როგორც მათთან რაიმე კონტაქტში მყოფი პირები, საფუძვლიანად და ყოველმხრივ მოფიქრებულია. მთავრობას სრულად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე და იმედოვნებს, რომ ისინიც, ვისაც ეს მიმართვა ეხება, როგორც კანონმორჩილი მოქალაქენი, ასევე გაიაზრებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას და მიხვდებიან, რომ ეს იძულებითი იზოლაცია გამოხატავს მათ მტკიცე კავშირს და ურღვევ ერთიანობას მთელ ერთან. ახლა მოისმინეთ კარანტინში ქცევის წესები: პირველი - შუქი მუდმივად ჩართული იქნება, მისი გამორთვის ყველა მცდელობა ამაოა, ჩამრთველები დაბლოკილია, მეორე - შენობის დატოვება სპეციალური ნებართვის გარეშე დაუშვებელია და სიკვდილით ისჯება, მესამე - ყოველ პალატაში არსებული ტელეფონით ნებადართულია მხოლოდ ჰიგიენური და სარეცხი საშუალებების მარაგის შევსების მოთხოვნა, მეოთხე - იზოლირებულები ვალდებული არიან, ყოველდღე ხელით გარეცხონ თავიანთი ტანსაცმელი, მეხუთე - სავალდებულო არ არის, მაგრამ დაბეჯითებით გირჩევთ, ყოველ პალატაში აირჩიოთ თავკაცი, მეექვსე - დღეში სამჯერ როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფრთის კართან მოიტანენ სურსათს ყუთებით, რომელიც ორივე ჯგუფისთვისაა გათვალისწინებული, მეშვიდე - მთელი ნაგავი, იგულისხმება არა მხოლოდ საჭმლის ნარჩენები, არამედ ტარა და ჭურჭელი, როგორცაა ადვილად აღებადი მასალისგან დამზადებული თევშები და კოვზები, უნდა დაიწვას, მერვე - დაწვა უნდა მოხდეს უკანა ეზოში, მეცხრე - იზოლირებულები პასუხისმგებელნი არიან ცეცხლთან დაუდევრად მოპყრობის შესაძლო ნეგატიური შედეგებისთვის, მეათე - ცეცხლი, შემთხვევით თუ განზრახ გაჩენილი, თავად იზოლირებულებმა უნდა ჩააქრონ, სახანძრო რაზმის დაუხმარებლად, მეთერთმეტე - იზოლირებულებს არ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო

ნო დახმარების იმედი რომელიმე მათგანის ავადმყოფობის შემთხვევაში, ისევე როგორც გარედან ჩარევისა კონფლიქტების წარმოქმნის ან აგრესიის აქტების შემთხვევაში, მეთორმეტე - რომელიმე იზოლირებულის სიკვდილის შემთხვევაში, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, თავად იზოლირებულებმა ყოველგვარი ფორმალობის გარეშე უნდა დაკრძალონ გალავანთან, მეცამეტე - შენობის ორ სხვადასხვა ფრთაში განთავსებულ პაციენტთა ორ ჯგუფს შორის კონტაქტი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცენტრალურ ვესტიბიულში, რომლითაც კლინიკაში შეხვედით, მეთოთხმეტე - დაბრმავებულნი დაუყოვნებლივ უსინათლოთა ფლიგელში გადადიან, მეთხუთმეტე - ამ ინსტრუქციებს ყოველდღე მოგაწვდით, ერთსა და იმავე დროს, ახალმოსულთა საყურადღებოდ. მთავრობა... და ამ სიტყვაზე შუქი ჩაქრა, დინამიკიც დადუმდა. ერთმა უსინათლომ ანგარიშიუცემლად ახალი კვანძი გააკეთა თოკზე, მერე სცადა, დაეთვალა კვანძები, ანუ დღეები, მაგრამ განზრახვაზე ხელი აიღო, რადგან კვანძები მეტად მჭიდროდ აღმოჩნდა ერთმანეთთან. ექიმის ცოლმა თქვა, შუქი ჩაქრაო. რომელიმე ნათურა გადაიწვებოდაო, უპასუხა ქმარმა, ან რა გასაკვირია, ამდენი ხანი სულ ჩართულიაო. არა, საერთოდ გამოირთო დენი, რალაც მოხდა იქ, გარეთ. ესე იგი, ახლა შენც დაბრმავედი. დავიცდი, სანამ მზე ამოვა. პალატიდან გავიდა, ვესტიბიული გადაკვეთა, გარეთ გაიხედა. ქალაქის ეს უბანი სულ ჩაბნელებული იყო, არც საგუშაგოს პროექტორი ენთო, ისიც, ალბათ, საერთო ქსელში იყო ჩართული, ახლა კი, ეტყობა, დენი სულ გაითიშა.

მეორე დღეს, ვინ ადრე, ვინ გვიან, რაკი მზე უსინათლოებისათვის სხვადასხვა დროს ამოდის, და ეს უფრო ხშირად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მახვილი სმენა აქვს თითოეულს, პარმალის კიბესთან გამოვიდნენ სხვადასხვა პალატის მამაკაცები და ქალები, რა თქმა უნდა, მესამე პალატის გარდა, რომლის

ბინადარნიც წესით უკვე საუბრობდნენ. ელოდნენ, როდის აღრჭი-
აღდებოდა დაუბეთავი ანჯამები, ხმაურით გაიღებოდა ჭიშკარი,
იმის ნიშნად, რომ საჭმელი მოიტანეს, მერე კი მორიგე სერჟანტი
დაიყვირებდა, არ გამოხვიდეთ, ახლოს ნუ მოხვალთ, ჯარისკაცები
კი ბრავაბრუგით ჩაივლიდნენ, ბრახუნით დაყრიდნენ სურსათიან
ყუთებს, მერე კი აჩქარებული ნაბიჯით გაბრუნდებოდნენ უკან, და
ისევ აღრჭიალდებოდა ჭიშკარი და გაიგონებდნენ ნებართვას, წა-
იღეთო. და ასე იცადეს, სანამ დილა შუადღემ არ შეცვალა და თან-
დათან საღამო არ მოახლოვდა. ვერავინ, მათ შორის ვერც ექიმის
ცოლმა, ვერ გაბედა ეკითხა, მოიტანდნენ თუ არა საჭმელს. სანამ ეს
კითხვა არ დაისმება, არ გაეცემა სისხლის გამყინავი უარყოფითი
პასუხი, ხოლო სანამ პასუხი არ არის, არის იმედი, რომ გაიგონებენ
რადაც ამგვარს, მალე, მალე მოიტანენ, ცოტა ხანს კიდევ დაიცა-
დეთ, სულ ცოტა კიდევ იშიმშილეთო. მაგრამ ზოგიერთმა, ლოდი-
ნით გაბეზრებულმა, მეტს ვეღარ გაუძლო და თითქოს უცაბედად
ძილქუში დაეტაკაო, გულშეღონებული იქვე ჩაიკეცა. ამ გონდაკარ-
გულების მოვლას მაშინვე შეუდგა ექიმის ცოლი. პირდაპირ გასაო-
ცარია, როგორ იგებს ეს ქალი, რა ხდება მის გარშემო, რადაც მეექ-
ვსე გრძნობა აქვს, რადაც უნარი, უსინათლო იყოს და მაინც ხედავ-
დეს, და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მცხუნვარე მზეში ამ ადა-
მიანებს არ ტოვებენ, შიგნით შეჰყავთ, წყალს ასხურებენ, ლოყებზე
ურტყამენ, გრძნობაზე მოჰყავთ. თუმცა, მათი, როგორც მებრძოლე-
ბის, როგორც აქტიური დამრტყმელი ძალის იმედი, რა თქმა უნდა,
არ შეიძლება ჰქონდეთ, რადგან დედალ კატასაც კი ვერ ჩაავლებენ
კუდში ხელს, არათუ მამალ კატას, თუმცა, ამ გამონათქვამში სრუ-
ლიად გაუგებარია, რატომაა უფრო ადვილი დედალი კატისთვის
კუდში ხელის ჩავლება, ვიდრე მამალი კატისთვის. ბოლოს შავსახ-
ვევიანმა მოხუცმა გამოაცხადა, საჭმელი არ მოიტანეს, არც მოიტა-
ნენ, თავად უნდა მოვიპოვოთო. უსინათლოები წამოდგნენ, ღმერ-
თმა უწყის, რამდენი, წამოდგნენ და მტრის ციტადელიდან ყველაზე

დაშორებულ პალატაში მოიყარეს თავი, რაც მოწმობს, რომ ახლა უკვე მეტ სიფრთხილეს იჩენენ. მარცხენა ფრთაში მზვერავეები გაგზავნეს, უსინათლოები, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი იქაური პალატის ბინადართაგან, ვინც უკეთ ერკვეოდა გარემოში, და დაავალეს, მაშინვე ეცნობებინათ ყოველი საეჭვო მოძრაობის შესახებ. ექიმის ცოლიც წაჰყვა და მალევე არცთუ სახარბიელო ამბები მოიტანა. კარი ოთხი საწოლით ჩაუხერგავთ. რა იცი, რომ სწორედ ოთხითო, ჰკითხა ვილაცამ. რა ვიცი და ხელის შეხებით მივხვდიო. და ვერ ჩავავლეს. როგორც ხედავთ, ვერა. როგორ მოვიქცეთ. უნდა წავიდეთ, ისევ განაცხადა შავსახვევიანმა მოხუცმა, გავაკეთოთ ის, რაც გადავწყვიტეთ, თუ არადა, ნელი სიკვდილისთვის ვართ განწირული. თუ წავალთ, ზოგიერთს სწრაფი სიკვდილი ელის, უთხრა პირველმა უსინათლომ. ვინც სიკვდილს აპირებს, ის უკვე მკვდარია, ოღონდ ამის შესახებ ჯერ არ იცის. სიკვდილი რომ არ აგვცდება, ეს დაბადებიდანვე ვიცით. ამიტომაც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მკვდრებად ვიბადებით. გვეყოფა ახლა წყლის ნაყვა, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, მარტო ხომ ვერ წავალ, მაგრამ თუ ლაყობას არ შეწყვეტთ, ლოგინში ჩავწვები და სიკვდილს დაველოდები. კვდება მხოლოდ ის, ვისი დღეებიც დათვლილია, და სხვა არავინ, თქვა ექიმმა და უკვე ხმამაღლა დასძინა, ვინც მზადაა, რომ წამოვიდეს, ხელი ასწიოსო, აი, რა ხდება, როცა დაუფიქრებლად რაღაცას წამოროშავ, რა აზრი აქვს ხელის აწევას, თუ დამთვლელი არავინაა, მერე კი თქვა, ცამეტიო, და ამის შემდეგ სავსებით მოსალოდნელია, თავიდან დაიწყოს დისკუსია, რომლის დროსაც დამტკიცდება, რომ ლოგიკის თვალსაზრისით უფრო სწორი იქნება ვინმე ერთი მიემხროს მოხალისეებს, ანდა პირიქით, ერთი გამოაკლდეს, რომ ეს თარსი რიცხვი შეიცვალოს, ხოლო ის, ვინც უნდა დატოვოს მათი რიგები, დაე, კენჭისყრით გადაწყდეს. ზოგიერთმა ხელი ასწია,

თუმცა, გაუბედავად, და ამ მოძრაობაში, გარდაუვალი საშიშროების წინათგრძნობის თუ გაცემული და მიღებული აშკარად უაზრო ბრძანების გამო, გაუბედაობა და ორჭოფობა იგრძნობოდა. ექიმს გაცინა, ეს რა სისულელე წამომცდა, მოდი, სხვაგვარად მოვიქცეთ, ვისაც არ უნდა ან არ შეუძლია წამოსვლა, განზე გადგეს, დანარჩენები კი გადავწყვეტთ, როგორ ვიმოქმედოთო. გაისმა ბუტბუტი, ხვნეშა, შარიშური, ნელ-ნელა გამოეყვნენ სუსტები და მშიშრები, და ექიმის ჩანაფიქრი ისეთივე ეფექტიანი აღმოჩნდა, რამდენადაც კეთილშობილური, რადგან ასე ძნელი გასარკვევი იქნება, ვინ იყო წამსვლელთა რიგებში და ვინ გამოაკლდა. ექიმის ცოლმა დათვალა, მისი და მისი ქმრის ჩათვლით ჩვიდმეტნი აღმოჩნდნენ. მარჯვენა ფრთის პირველი პალატიდან იყვნენ შავსახვევიანი მოხუცი, შავსათვალნიანი ქალიშვილი, აფთიაქარი, დანარჩენები კი იყვნენ მამაკაცები სხვადასხვა პალატიდან, თუ იმ ქალს არ ჩავთვლით, ანდა რატომ არ უნდა ჩავთვალოთ, რომელმაც თქვა, შენ თუ წახვალ, მეც წამოვალო, ერთი სიტყვით, ისიც აქ იყო. საწოლებს შორის გასასვლელში ჩამწკრივდნენ, ექიმმა გადათვალა, ჩვიდმეტი, ჩვიდმეტნი ვართო. ცოტა ვართ, თქვა აფთიაქარმა, არაფერი გამოგვივაო. თუ სამხედრო ტერმინს ვიხმართ, შემტევი ავანგარდი ვიწრო უნდა იყოს, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, რომ კარში შევევითო, ამიტომ კარგია, რომ ბევრნი არ ვართ. ჰო, ბევრნი რომ ვყოფილიყავით, მეტს დახოცავდნენ, დაეთანხმა ვიღაც და ერთი შეხედვით ყველა კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ცოტა იყვნენ.

შეიარაღდნენ ჩვენთვის უკვე ნაცნობი რკინის კეტებით, საწოლებს რომ მოამტვრიეს, რომლებსაც ფარებადაც გამოიყენებენ და შუბებადაც, იმის მიხედვით, ბრძოლაში მესანგრეები ჩაებმებიან თუ მოიერიშე ნაწილები. შავსახვევიანმა მოხუცმა, რომელიც ახალგაზრდობაში, ეტყობა, ტაქტიკური ხელოვნების ანაბანას ეზიარა, ყველას შეახსენა, რომ მჭიდრო რიგად უნდა დაეწყონ, ერთმანეთის მხარდამხარ, რადგან ეს ერთადერთი გზაა, რომ თავისიანები არ

დააშავონ, და ისიც, რომ იერიშისას სრული სიჩუმე უნდა დაიც-
ვან, რათა შეტევას მოულოდნელობის ეფექტი ჰქონდეს. ისიც
დასძინა, ფეხზე უნდა გავიხადოთო. მერე ფეხსაცმელებს რო-
გორღა ვიპოვითო, იკითხა ერთმა, რაზეც მეორემ უპასუხა,
ბრძოლის მერე მკვდრების იმდენი ფეხსაცმელი დარჩება, რომ
გადარჩენილებს ეყოფათო. ეს რა ლაპარაკია მკვდრების ფეხ-
საცმელზე. ასეთი გამოთქმაა, მკვდრის ფეხსაცმლისგან იმდენი-
ვე სარგებელია, რაც თხის კურკლისგან, ანუ არავითარი. ვითომ
რატომ. იმიტომ, რომ მიცვალებულებს მუყაოს ფეხსაცმლით
კრძალავენ, უფრო გამძლე არც სჭირდებათ, სული, მოგეხსენე-
ბათ, ფეხით არ დადის. ჰო, აი, კიდევ რა, შეაწყვეტინათ შავსახვე-
ვიანმა მოხუცმა, ჩვენგან ექვსმა, შედარებით გამბედავმა, კარში
ჩახერგილი საწოლები უნდა გადააყირავოს, რომ დანარჩენებს
გზა გაუხსნან. კეტები რომ ხელს შეგვიშლის. არ შეგვიშლის, პი-
რიქით, ძალაყინივით გამოვიყენებთ. გაჩუმდა და, ცოტა არ
იყოს, სევდანარევი ხმით დაამატა, მთავარია, ერთად ვიყოთ, თუ
დავიქსაქსებით, დავიღუპებითო. ქალებმა რა ვქნათო, იკითხა
შავსათვალნიანმა ქალიშვილმა. შენც აპირებ წამოსვლას, არ
გირჩევ. ვითომ რატომ. ძალიან ახალგაზრდა ხარ. აქ ასაკს მნიშ-
ვნელობა არა აქვს, არც სქესს, ასე რომ, ქალებიც არ დაგვივიწ-
ყოთ. არც ვაპირებ, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, თანაც ისე,
თითქოს მისი ეს სიტყვები სულ სხვა დიალოგიდან იყო, სამაგი-
ეროდ, შემდეგი ფრაზა უკვე დასახულ საქმეს ეხებოდა, სულაც
არ დამვიწყებიახართ, პირიქით, ნეტავ რომელიმე თქვენგანი ხე-
დავდეს იმას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, და წაგვიძღვებოდეს,
რომ ეს რკინის კეტები იმ ჩვენთვის უცნობი ქალივით ზუსტად და-
ვუმიზნოთ მტერს. ძალიან ბევრი მოინდომე, ის, რაც ერთხელ
მოხდა, აღარ განმეორდება, თანაც ის ქალი შეიძლება იქ სადმე
მკვდარი გდია, ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ აღარაფერი

გვსმენია, განაცხადა ექიმის ცოლმა. ქალები რეინკარნაციას განიცდიან, მეძავეები პატიოსან ქალებად იქცევიან, პატიოსნები - მეძავებად, ჩაილაპარაკა შავსათვალთან ქალიშვილმა. ამ სიტყვების შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ქალებისთვის უკვე ყველაფერი ნათქვამი იყო, მამაკაცებმა კი იცოდნენ, როგორც უნდა ცდილიყვნენ, საჭირო სიტყვებს მაინც ვერ შეარჩევდნენ.

ჩამწკრივებულნი მიდიოდნენ, წინ ექვსი ყველაზე ღონიერი მამაკაცი მიუძღოდათ, რომელთა შორის იყვნენ ექიმი და აფთიაქარი, დანარჩენებიც მათ მიჰყვებოდნენ, საწოლებს მომტვრეული რკინის კეტებით ხელში, გაუბედურებული და დაძონძილი ვაი-შუბოსნები, ვესტიბიულში ერთ-ერთს იარაღი ხელიდან გაუვარდა, ქვის იატაკზე ისეთი გრუხუნით დავარდა, თითქოს ავტომატის ჯერი გაისმაო, და თუ ბანდიტებმა გაიგონეს და მიხვდნენ, რასაც ნიშნავს, დავიღუპეთ და ეს არის. ყველასგან მალულად, ქმარსაც რომ არ უთხრა, ექიმის ცოლი წინ წავიდა, დერეფანი შეათვალიერა და ფეხაკრეფით კედელს გაუყვა და მესამე პალატის კარს მიუახლოვდა, ყური მიუგდო, მაგრამ იქიდან სავსებით მშვიდი საუბრის ხმა გამოდიოდა. თავისიანებს ვითარება გააცნო და შტურმიც დაიწყო. მოიერიშეთა ჯგუფმა, თუმცა, ნელა და ჩუმად მიიწევდა წინ, პირველი ორი პალატის ბინადართა ყურადღება მაინც მიიპყრო, და რაკილა იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო, კართან შეჯგუფდნენ, რომ უკეთ გაეგონათ ბრძოლის ხმა, ზოგმა მათგანმა კი, ხატოვნად თუ ვიტყვით, დენტის სუნი რომ ეცა, გადაწყვიტა, მოიერიშეებს შეერთებოდა, ნაწილს უკვე მოესწრო და რკინის კეტებით შეიარაღებულიყო, ასე რომ, დამრტყმელი ძალის რაოდენობა ერთიორად გაიზარდა, და შავსახვევიან მოხუცს სულაც არ გაახარებდა იმის გაგება, რომ ერთის ნაცვლად ორ პოლკს მეთაურობდა. შიდა ეზოში გამავალი ფანჯრებიდან უკვე მწუხრის მქრქალი, ნაცრისფერი, უკანასკნელი შუქი იღვრება და ნელ-ნელა ინავლება, ივარგება იმ უკუნეთ სიბნელეში, უკვე მოახ-

ლოებულ ღამეს რომ ჩამოწვება. თუ სიბრძნის გამო გულგატეხილობას არ ჩავთვლით, ასე უცნაურად რომ დარია ხელი უსინათლოებს. მათ სანაქებოდ უნდა ითქვას, მედგრად უძლებდნენ კაემანს, ეს და მსგავსი ატმოსფერული ცვლილებები რომ იწვევს ხოლმე და სასოწარკვეთილების ურიცხვი აქტის მიზეზი ხდებოდა იმ შორეულ წარსულში, როცა ადამიანებს თვალეები ჰქონდათ და ეს თვალეები ხედავდა. როცა მიზანს, ანუ წყეული პალატის კარს მიაღწიეს, დერეფანში უკვე ბნელოდა, ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ ექიმის ცოლმა ვერ დაინახა, კარი უკვე ოთხი კი არა, რვა საწოლით იყო ჩახერგილი, ანუ საწოლების რაოდენობა ისევე, როგორც მოიერიშეებისა, ერთიორად გაიზარდა, რაც ამ უკანასკნელთათვის მეტად სავალალო ნაყოფს გამოიღებს და შედეგი მაშინვე იჩინს თავს, როგორც კი შავსახვევიანი მოხუცი დაიყვირებს, დავიწყეთო, რადგან სწორედ ასეთი ბრძანება გასცა, და სულაც არ გახსენებია საბრძოლო შეძახილი, იერიშზეო, ან შეიძლება გაახსენდა, მაგრამ ამის ღირსად არ ჩათვალა ამყრალბეული, რწყილებითა და ბაღლინჯოებით სავსე საწოლები, ოფლითა და შარდით გაჟღენთილი ლეიბები და ტურტლიანი, დახეული საბნები, რომელთა თავდაპირველი რუხი ფერი სიბინძურისთვის ჩვეულმა ფერთა სიმრავლემ შეცვალა, რის შესახებაც იცოდა ექიმის ცოლმა, ადრე იცოდა, ახლა კი არათუ ვერ დაინახა, ვერც კი მიხვდა, რომ ბარიკადები გამაგრებული იყო. უსინათლოები, მთავარანგელოზებივით საკუთარი შარავანდით მოსილები, რკინის კეტებით ეკვეთნენ დაბრკოლებას, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს, და უნდა ითქვას, ამ ავანგარდის ძალა ბევრად არ აღემატებოდა დაფეხვილი არიერგარდის შესაძლებლობებს, ძლივს რომ ეჭირათ ხელში შუბები, როგორც ოდესღაც ზურგით ძლივს მიათრევდა ჯვარს ის, ვინც მერე ელოდებოდა, როდის გააკრავდნენ ამ ჯვარზე. სიხუმე თითქოს აფეთქდა, ღრიალებდნენ უსინათლოები, ისინიც, ვინც გარეთ იყვნენ, და ისინიც, ვინც შიგნით იყვნენ

და, ალბათ, დღემდე არავის შეუნიშნავს, რომ უსინათლოთა ღრიალი სრულიად წარმოუდგენელი საშინელებაა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თვითონაც არ იციან, რატომ ღრიალებენ, ჩვენ კი გვინდა ვუთხრათ, რომ შეწყვიტონ ღრიალი, ამასობაში კი ჩვენც ღრიალს ვიწყებთ, თუმცა, უსინათლოები არა ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ დროის ამბავია. ამ მრავალხმოვან ღრიანცეღში, რომელსაც ერთნი გამოსცემდნენ, რადგან თავს იცავდნენ, მეორენი კი, რადგან თავს ესხმოდნენ, მოიერიშეებმა, გამწარებულებმა იმით, რომ დაბრკოლებას ვერ სძლიეს, თავიანთი რკინის კეტები მოისროლეს, მხოლოდ ერთი დაიტოვეს, რომელსაც ყველა ჩაეჭიდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც კარში შეაღწია, ხოლო ვინც ვერ შეაღწია, უკნიდან აწვებოდა, ეჯიკავებოდა, და როცა ბარიკადი ოდნავ შეირყა და იძრა, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი შეძახილის თუ გაფრთხილების გარეშე, ერთმანეთის მიყოლებით სამი გასროლა გაისმა და ეს ბულალტერმა გაისროლა, თანაც არა ჰაერში. ორი მოიერიშე დავარდა, დანარჩენებმა მაშინვე უკან დაიხიეს, ბორძიკობდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, და შეშლილი დერეფნების აკუსტიკით გაძლიერებული ღრიალი სხვა პალატებსაც მოედო. სრული უკუნეთი ჩამოწვა, არ ჩანდა, ტყვია ვის მოხვდა, შეიძლება, რა თქმა უნდა, ასე შორიდან იკითხო, რომელი ხართ დაჭრილიო, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, ცოტა არ იყოს, უხერხულია, დაჭრილებს ხომ გულისხმიერად უნდა მოექცე, მიხვიდე, შუბლზე ხელი დაადო, თუ ბედის უკუღმართობით სწორედ იქ არ მოხვდა ტყვია, მერე ხმადაბლა და ალერსიანად ჰკითხო, თავს როგორ გრძნობო, დაამშვიდო, არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, ახლა სანიტრები მოვლენ, საკაცეს მოიტანენო, მერე წყალი დაალევინო, თუ მუცელში არ არის დაჭრილი, რადგან პირველი სამედიცინო დახმარების წესების თანახმად ეს კატეგორიულად იკრძალება. რა ვქნათ, იკითხა ექიმის ცოლმა, იქ ორი დაჭრილი გდია. არავინ იკითხა, რა იცი, რომ ორია,

გასროლა ხომ სამი იყო, თანაც სავსებით შესაძლებელია რიკო-შეტითაც დაჭრილიყო ვინმეო. უნდა გამოვიყვანოთ, თქვა ექიმის ცოლმა. ძალიან სახიფათოა, უპასუხა შავსახვევიანმა მოხუცმა, გა-ოგნებულმა იმით, რომ ჩავარდა ტაქტიკურად ასე კარგად მომზადე-ბული ოპერაცია, თუ მიხვდნენ, რომ შევედით, ისევ სროლას ატეხენ, მერე გაჩუმდა, ამოიოხრა და დაამატა, სხვა რა გზაა, უნდა შევი-დეთ, მე მზად ვარო. ერთად წავიდეთ, უთხრა ექიმის ცოლმა, და კი არ შევიდეთ, შევხობდეთ, ასე უფრო უსაფრთხო იქნება, ოლო-ნდ დროზე, სანამ იქ, შიგნით, ჯერ აზრზე არ მოსულანო. მეც წა-მოვალ, თქვა ქალმა, ადრე რომ უთხრა, შენ თუ წახვალ, მეც წა-მოვალო, და რა უცნაურია, რომ დერეფანში მყოფთაგან ვერავინ მოიფიქრა უმარტივესი ხერხი იმის გასარკვევად, თუ ვინ დაიჭრა, ჰო, ჰო, სწორედ ასეა, დაიჭრა თუ მოკვდა, რაც ჯერ არ ვიცით, და ამის გასარკვევად მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ თითოეულს ეთქვა, მეც წამოვალ ან არ წამოვალო, ხოლო ვინც არაფერს იტ-ყოდა, ესე იგი, სწორედ ის გდია იქ, მესამე პალატის კარში.

და ოთხი მოხალისე ხოხვით გაემართა, ორი ქალი - შუაში, აქეთ-იქით კი მამაკაცები, ეს ისე, თავისთავად მოხდა და არა რა-ინდული თავაზიანობით თუ ჯენტლმენური სურვილით, ქალებს გადაჰფარებოდნენ, თანაც ვინ იცის, საიდან წამოვა ტყვია, თუ უსინათლო ბუღალტერი ისევ გაისვრის. ან იქნებ სულაც არაფე-რი მოხდეს, რადგან შავსახვევიან მოხუცს უცებ აზრმა გაუელვა, თანაც ბევრად ჭკვიანურმა, ვიდრე აქამდე მოფიქრებია, ანუ და-ნარჩენებმა რაც შეიძლება ხმამაღლა უნდა ილაპარაკონ, უფრო მეტიც, უნდა იყვირონ, საამისოდ მიზემიც საკმარისად აქვთ, და ამ ხმაურით გადაფარონ და ჩაახშონ ყველა ხმა, რომელსაც უთუ-ოდ გამოიწვევს მათი იქ შეღწევა და უკან გამოღწევა, და ყველა-ფერი ის, რაც შეიძლება მოხდეს ამ შეღწევა-გამოღწევას შორის, და რა შეიძლება მოხდეს, მხოლოდ ღმერთმა უწყის. მაშველებს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ, დანიშნულების ადგილამდე

მისაღწევად და მანამდე მიხვდნენ ამას, ვიდრე დაჭრილებთან მიხობდებოდნენ, რადგან მიხობავდნენ სისხლში, მაცნესავით რომ გამოეცხადათ და აუწყათ, მე ვიყავი სიცოცხლე, ახლა კი ჩემს მიღმა აღარაფერიაო, ო, ღმერთო ჩემო, ეს რამდენი სისხლიაო, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, და მართლაც სისხლი გუბედ იდგა, ხელები და ტანსაცმელი ისე ეწებებოდა იატაკს, თითქოს პარკეტსა და ქვის ფილებზე წებო წაუსვამთო. ექიმის ცოლი იდაყვებსა და მუხლებს ეყრდნობოდა, სხვებიც ასევე მოიქცნენ. როგორც იქნა, იატაკზე გამოტილდაჭრილებთან მიაღწიეს. გარეთ დარჩენილები კიდევ უფრო ახმაურდნენ, თითქოს მოტირალნი გოდებნო. ექიმის ცოლმა და შავსახვევიანმა მოხუცმა ერთს კოჭებში ჩააფლეს ხელი, ექიმი და მეორე ქალი ერთდროულად ხელსა და ფეხში ჩაეჭიდნენ მეორე დაჭრილს და ახლა ცდილობენ, სასწრაფოდ გამოათრიონ ისინიც და თავადაც გამოაღწიონ ცეცხლის ხაზიდან. ეს კი არც ისე ადვილია, რადგან უნდა წამოიშარათონ, ხელ-ფეხს დაეყრდნონ, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბონ. ისევ გაისროლეს, მაგრამ ამჯერად ტყვია არავის მოხვედრია, შიშმა კი, ელვასავით რომ დაუარათ ტანში, კი არ წამოახტუნათ და გამოაქციათ, არამედ პირიქით, ენერგიაც კი შემატათ. წამებში გამოაღწიეს გარეთ, უკვე პალატის კართან კედელს აეკვრნენ, და ძალიან უცნაური ტრაექტორია უნდა მოეხაზა ტყვიას, რომელიმეს რომ მოხვედროდა, უსინათლო ბუღალტერს კი ბალისტიკაში საერთოდ არაფერი გაეგებოდა. სცადეს დაჭრილების აწევა, მაგრამ არ გამოუვიდათ, ძალა არ ეყოთ, ამიტომ ისევ წააჩოჩეს, თან კვალს ტოვებდნენ ნახევრად შემხმარი და სულ ახალი სისხლისა, ჯერ კიდევ რომ მოთქრიალებდა ჭრილობებიდან. ვინ არიან, იკითხეს იმათ, ვინც გარეთ ელოდნენ. საიდან უნდა ვიცოდეთ, ხომ ვერ ვხედავთო, უპასუხა შავსახვევიანმა მოხუცმა. აქ დარჩენა სახიფათოა, თქვა ვიღაცამ, თუ აქეთ შემოგვითქვს, ორ დაჭრილზე მეტი გვეყოლება. ან მოკლულზე, თქვა

ექიმმა, რადგან პულსი არ ესინჯებათო. როგორც ჯარი უკან დახევისას, ისე მიათრევდნენ დაჭრილებს დერეფანში, ვესტიბიულში შეჩერდნენ, და უცხო ადამიანს რომ დაენახა, ეგონებოდა, აქ დაბანაკებას აპირებენო, თუმცა, ამას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა, ანუ უკანასკნელი ძალაც გამოეცალათ. აქ დავრჩები, მეტი აღარ შემიძლია. ახლა სწორედ ის დროა, ერთი უცნაური გარემოება აღვნიშნოთ, კერძოდ, ის, რომ ბანდიტები, ადრე ასეთი გამბედავები და აგრესიულები, მაშინვე ძალადობაზე რომ გადადიოდნენ, ახლა თავიანთ ბუნაგში შეყუჟულან და თავს იცავენ, დროდადრო უმისამართოდ ისვრიან და ვერ ბედავენ. მტერს ბრძოლის ველზე პირისპირ შეებან. ამ გარემოებას, ისევე როგორც ყველაფერს, თავისი ახსნა აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პალატაში მეთაურის სიკვდილის მერე სრულიად მოიშალა დისციპლინა, ნულზე დაეცა სუბორდინაცია, და ტყუილად ეგონა უსინათლო ბულალტერს, რომ პისტოლეტის ხელში ჩაგდებათ ძალაუფლებასაც მოიპოვებდა, ნურას უკაცრავად, ყველაფერი პირიქით მოხდა, ყოველი გასროლილი ტყვია, ხატოვნად თუ ვიტყვით, მასვე ხვდება, რადგან ყოველი გახარჯული ვაზნა სწორედ ამ ძალაუფლებას აკლდება, და ჩვენ კიდევ ვნახავთ, რა მოხდება, როცა ტყვია-წამალი გამოილევა. როგორც მოგეხსენებათ, ყველა ბერი როდია, ვისაც ანაფორა აცვია და არც მეფეა ყველა, ვისაც სკიპტრა უპყრია ხელთ, და ეს ჭეშმარიტება კარგად უნდა დავიხსლოთ. მართალია. ახლა სამეფო სკიპტრა უსინათლო ბულალტერმა ჩაიგდო ხელში, უნდა ითქვას, რომ მეფედ, თუმცა, მკვდარია და დამარხული, თანაც ზერელედ, არც ისე ღრმად, სულ რაღაც სამი მტკაველის სიღრმეზე თავისივე პალატის იატაკქვეშ, კვლავაც ყოფილ მეთაურს მიიჩნევენ, და მისი არსებობა, თუნდაც ხრწნის სუნით, აშკარად იგრძნობა. ამასობაში ცაზე მთვარე გამოჩნდა. გარედან მთავარი შემოსასვლელით აღწევს და ვესტიბიულს ეფინება თავიდან მკრთალი, თანდათან

კი სულ უფრო მკვეთრი ნათება და იატაკზე მოფენილი მკვდარი და ჯერ ცოცხალი სხეულები ნელ-ნელა იძენენ ფორმასა და მოხაზულობას, დამახასიათებელ ნიშნებს, და იგრძნობა აუტანელი კომმარი, ენით აღუწერელი და სიტყვით გამოუთქმელი, და უცებ ექიმის ცოლმა გაიაზრა, რომ აღარ ღირს და შეიძლება არც ადრე ღირდა უსინათლოდ თავის მოჩვენება, რადგან სრულიად აშკარაა, რომ ვერავინ გადარჩება, სიბრმავე კი, ყველაფერთან ერთად, იმ სამყაროში ყოფნას ნიშნავს, სადაც იმედი გადაწურულია. სხვათა შორის, შეუძლია თქვას, ვინ დაიღუპა. ერთი ფარმაცევტია, მეორე კი ის, რომელმაც თქვა, დაგვხოცავენო, და გარკვეულწილად ორივე მართალი გამოდგა, და ახლა არ ღირს იმის კითხვა, საიდან ვიცი, რადგან პასუხი მარტივია, მე ვხედავ. იქ მყოფთაგან ზოგმა უკვე იცოდა, მაგრამ დუმდა, ზოგი კარგა ხანია ეჭვობდა და ეს ეჭვი გამართლდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ზოგიერთის გაოცება, ადვილი წარმოსადგენია, სხვა შემთხვევაში რა ამბავი ატყდებოდა, რამდენ კითხვას დასვამდნენ, რა უკონტროლო სიტუაცია შეიქმნებოდა. მართლ შენ რატომ გაგიმართლა, როგორ გადაურჩი ამ საყოველთაო უბედურებასო, რა წამალს იწვეთებო, იქნებ შენი ექიმის მისამართი მომცეო, ამ ჯოჯოხეთიდან გამიყვანეო, თუმცა, რომ დაუფიქრდე, ეს გაოცება სულაც არ იყო მოულოდნელი, რადგან ახლა უკვე რაღა მნიშვნელობა აქვს, სიკვდილისას ხომ ყველა ბრმავდება. აქ ვეღარ დარჩებოდნენ, აღარც თავის დასაცავად ჰქონდათ რამე, რკინის კეტები მესამე პალატის კართან დატოვეს, მუშტებით კი რას გახდებოდნენ. ექიმის ცოლის ხელმძღვანელობით დახოცილები პარმალზე გაიტანეს და მთვარის შუქზე დატოვეს, ციური მნათობის შუქზე, გარედან თეთრები, შიგნიდან უკვე გაშავებულნი. პალატებში დავბრუნდეთ, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, მერე მოვიფიქროთ, რა შეიძლება ვიღონოთო. და ვერავინ შენიშნა, რა უაზრო იყო ეს სიტყვები. უსინათლოები იმ მიმართულებით დაიშალნენ, საიდანაც მოვიდნენ, ზოგი მარცხენა ფრთისკენ წავიდა, ზოგი მარჯვენა

ფრთისკენ, ექიმის ცოლთან ერთად იყო ის ქალი, რომელმაც უთხრა, სადაც წახვალ, მეც წამოგყვებით, მაგრამ ახლა ეს ფიქრი როდი უტრიალებდა თავში, არამედ სრულიად საწინააღმდეგო, თუმცა, ამის თქმა არ უნდოდა, რადგან ყველა ფიცი-მტკიცე როდი სრულდება, ხან სულიერი სისუსტის მიზეზით, ხანაც უზენაესი ძალის ზემოქმედებით, რომელსაც ყოველთვის როდი ვითვალისწინებთ.

ერთი საათი გავიდა, მთვარე ზენიტშია, შიმშილი და შიში ძილს აფრთხობს, პალატებში ყველა ფხიზლობს. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ გშია და გეშინია. ეტყობა, ჯერ არ გაუვლია ამასწინანდელი ბრძოლით გამოწვეულ მღელვარებას, წმინდად წაგებულის და საშინელი დანაკარგებით დასრულებულის, ან ჰაერში რაღაც ისეთი ტრიალებს, ენით გამოუთქმელი, რომელიც უსინათლოების შფოთს იწვევს. ვერავინ ბედავს დერეფანში გამოსვლას და ყოველი პალატა საოცრად წააგავს სკას, სადაც მხოლოდ უქნარა მამალი ფუტკრები ბზუიან, საოცარი არსებები, სულ რომ არ სჩვევიათ არანაირი წესრიგი, არანაირი წესების დაცვა და არასოდეს ფიქრობენ მომავალზე, თუმცა, უსინათლოების, ისედაც განგებისგან დაჩაგრულების, უქნარა ფუტკრებთან ან პარაზიტებთან შედარება უსამართლობაა, რადგან აქ როგორ უნდა იპარაზიტონ, რომელი მუშა ფუტკრების კმაყოფაზე უნდა იყვნენ, სასაცილოა, ღმერთმანი, და საერთოდაც, მეტი სიფრთხილე გვმართებს შედარებისას, ანაზღად წამოგვცდება ხოლმე რაღაც უმართებულო. თუმცა, ყველა წესს აქვს გამონაკლისი, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა აქაც, იმ ქალის სახით, რომელიც ის იყო, თავის პალატაში, მარჯვენა ფრთის მეორე პალატაში შევიდა, მაშინვე თავის ბარგი-ბარხანას ეცა და ქექვა დაიწყო, სანამ არ იპოვა ერთი პატარა საგანი, და რომ იპოვა, ჩაბლუჯა, რომ არავის დაენახა, ჩვეულება, მოგეხსენებათ, რჯულზე უმტკიცესია, მაშინაც კი, როცა ისეთი მომენტი დგება, რომ გგონია,

რომ ეს ჩვეულება აღარც არსებობს. მაგრამ აქაც კი, სადაც თითქოს ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის უნდა იყოს, ვნახეთ, როგორ პირიდან აცლიან ლუკმას ძლიერნი სუსტებს, ახლა კი ვნახავთ ამ ქალს, რომელმაც ჩანთით შემოიტანა აქ სანთებელა, მოახერხა, რომ ამდენ აურზაურში არ დაეკარგა და ისე დაჰკანკალებს, თითქოს მისი გადარჩენის უცილობელი პირობა იყოს, და არც კი დაფიქრდება, არც კი გაახსენდება, რომ იქნებ მისნაირ ვინმე უბედურს ერთი სიგარეტი შემოუნახავს, მაგრამ ვერ ეწევა, რადგან რამდენჯერაც უნდა იკითხოს, ხომ ვერ მომიკიდებთო, ვერავინ მოუკიდებს. და ამიერიდან ვერასოდეს. ქალი გავიდა, ხმაც კი არ გაუღია, არც ნახვამდის, არც დროებითო, და აი, უკაცრიელ დერეფანში მიდის, პირველი პალატის კარს ჩაუარა, იქ ვერავინ შენიშნა, აი, ვესტიბიულიც გაიარა, სადაც მთვარის შუქით განათებულ ქვის ფილებზე დადგმული რძის პაკეტი გამოიკვეთა, ქალი კი უკვე მარცხენა ფრთაშია, და ისევ დერეფანი, რომელიც უნდა გაიაროს, რადგან დერეფნის ბოლოში უნდა გავიდეს, თუ პირდაპირ ივლის, გზა არ აებნევა. ახლა უკვე ხმები ესმის, ეს ხმები უხმობს, არა, არ გეგონოთ, რომ მას უხმობს, ეს ასე ვთქვათ, სიტყვის მასალაა, მის ყურამდე აღწევს ბოლო პალატაში ამტყდარი ხმაური და გუგუნი, სადაც ბანდიტებს გემრიელი ჭამა-სმა გაუმართავთ გამარჯვების აღსანიშნავად, ბოდიშს კი ვიხდი ცოტაოდენი გადაჭარბებისთვის, არ დაგვაფიწყდეს, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, მხოლოდ იმას ჭამენ და სვამენ, რაც აქვთ, და რასაკვირველია, სხვებიც სიამოვნებით შეუერთდებოდნენ მათ ტრაპეზს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შეუძლებელია, რადგან ამ სხვებს და საქეიფო სუფრას შორის რვა საწოლი და დატენილი პისტოლეტია. ქალი საწოლებით ჩახერგილ კართანაა ჩამუხლული და ნელ-ნელა ქაჩავს თავისკენ საბანს სულ ქვედა საწოლიდან, მერე იმის ზედა საწოლიდან და კიდევ ზედადან, უფრო მაღლა კი ვერ სწვდება, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, როცა საცეცხლე ზონარი უკვე გაბმულია და მხოლოდ ალს ელოდება. მას

ჯერ კიდევ ახსოვს, როგორ უნდა აანთოს სანთებელა, რომ ცეცხლის გრძელი ენა გამოსცეს, და აი, აინთო პატარა ალი, მაკრატლის ალესილი პირივით რომ თრთის. ჯერ ზემოთ მოუკიდა, ცეცხლი ბინძურ ქსოვილს მოედო და ააღდა, მერე შუას, მერე ქვედას და ქალმა შეტრუსული თმის სუნი იგრძნო, მეტი სიფრთხილე მართებს, აქ იმისთვისაა, რომ კოცონი ააგიზგიზოს, მაგრამ თავად არ დაიწვას, ეს ცეცხლი სხვებისთვისაა განკუთვნილი, შიგნიდან ყვირილის ხმაც შემოესმა და გაიფიქრა, ვაითუ წყალი აქვთ და ჩააქრონო, და ქვედა საწოლის ქვეშ შეძვრა, მთელ ლეიბს მოატარა სანთებელა, გარდიგარდმო, აქაც და იქაც, და ცეცხლის ალი მოედო ლეიბს, ერთი დიდი კოცონი აგიზგიზდა, წყალი მიასხეს, ქალი გაიწუწა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რადგან უფრო კარგად რომ აგიზგიზებულიყო, საკუთარი სხეულიც შეუნთო ცეცხლს. საინტერესოა, რა ხდება შიგნით, რა თქმა უნდა, იქ შეხედვას ვერავინ გაბედავდა, მაგრამ ადამიანს წარმოსახვის უნარი ტყუილად ხომ არ ებოძა, ჰოდა, მოდი, წარმოვიდგინოთ, როგორ ედება ცეცხლი საწოლიდან საწოლს, ერთიდან მეორეს, თითქოს უნდა ყველა ერთდროულად მოიცვასო, და ახერხებს კიდევ, ბანდიტები კი, სულ ტყუილად რომ ხარჯავენ წყლის ისედაც მცირე მარაგს, ახლა ცდილობენ ფანჯრებს მისწვდნენ, აქეთ-იქით დახტიან, საწოლის საზურგზე ძვრებიან, იქ ჯერ არ მიულწევია ცეცხლს, მაგრამ აი, უკვე მიაღწია, და ძირს ცვივდებიან, ცეცხლიც მისდევთ, სიმხურვალისგან ფანჯრის მინები იმსხვრევა, და პალატაში სტვენით შემოვარდნილი ჰაერი კიდევ უფრო აძლიერებს ცეცხლს, ჰო, და კიდევ, გაისმის განწირული და სასოწარკვეთილი ღრიალი, ტკივილისა და ტანჯვის გამომხატველი, და აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ღრიალი თანდათან იკლებს და სუსტდება, ის სანთებელიანი ქალი კი უკვე კარგა ხანია დადუმებულია.

ამასობაში გაკვამლულ დერეფნებში სხვა უსინათლოებიც შლე-
გებივით გამოცვივდნენ. ხანძარია, ხანძარი, გაჰყვიროდნენ და
თვალნათლივ გამოჩნდა, რა მოუხერხებლად და გაუზრებლად იყ-
ვნენ ადამიანები განთავსებული აქ, რაც გინდათ, ის უწოდეთ, სული-
ერ ავადმყოფთა კლინიკაში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თუ სა-
გიჟეთში, აბა, შეხედეთ, ყოველი საწოლი, მთელი თავისი რკინებით,
ნამდვილ ხაფანგად ქცეულა, წარმოიდგინეთ, რა საზარელი შედეგი
შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ორმოცსულიან პალატაში, იმათი ჩათ-
ვლით, ვისაც იატაკზე სძინავს, მხოლოდ ერთი კარია, და თუ მასაც
ცეცხლი მოედება, ველარავინ გამოაღწევს. საბედნიეროდ, როგორც
არაერთხელ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, უბედურებას სი-
კეთეც ახლავს, რა თქმა უნდა, უფრო იშვიათად, მაგრამ იმასაც ამ-
ბობენ, რომ სიკეთესაც თავისი უბედურება მოსდევს, ჰო, რას იზამ,
ჩვენს სამყაროს ახასიათებს ამგვარი წინააღმდეგობა, როცა ერთს
მუდამ ახსენებენ, მეორეს კი ივიწყებენ, აი, ჩვენს შემთხვევაში კი სი-
კეთე ის აღმოჩნდა, რომ ყველა პალატას მხოლოდ ერთი კარი ჰქონ-
და, რისი გამოისობითაც ცეცხლი, რომელშიც ბანდიტები ამოიბუგ-
ნენ და ასე დიდხანს მძვინვარებდა მათ პალატაში, გარეთ აღარ გავ-
რცელდა, ასე რომ, საყოველთაო პანიკა და ისტერიკა რომ არა, ამ-
ხელა მსხვერპლიც არ იქნებოდა, რადგან სწორედ ამ პანიკის შედე-
გად უამრავი უსინათლო გადაითელა, გაიჭყლიტა, კედელს შეენარ-
ცხა, აი, ასეთია იმის შედეგი, თუ შეიძლება ითქვას, ბუნებრივი ეფექ-
ტი, როცა ცხოველური საწყისი იღვიძებს, ისე, არც მცენარეული საწყ-
ისი იქნებოდა განსხვავებული, რადგან ხეები და ბალახი, დარწმუ-
ნებული ბრძანდებოდეთ, ასევე იმოქმედებდნენ, ფესვები მიწაში ასე
ღრმად ჩაზრდილი რომ არ ჰქონდეთ, და წარმოიდგინეთ, რა საინ-
ტერესო სანახავი იქნებოდა ხანძარს გამოქცეული ტყე. შიდა ეზო
თავშესაფრად გამოიყენეს იმ უსინათლოებმა, რომლებმაც მოიფიქ-
რეს, დერეფნის ფანჯრები გაეღოთ და გადამძვრალიყვნენ. ზოგიერ-

თი გადახტომისას წონასწორობას კარგავდა, ვარდებოდა, ქვითინებდა და ღრიალებდა, რაც, სხვათა შორის, ახლაც გრძელდება, თუმცა, უსაფრთხოდ არიან, შედარებით, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ როცა სახურავი დაიწვება და ჩამოიქცევა, ცაში კი, როგორც ვულკანიდან, ალი და მოგიბგიბე ნაკვერჩხლები სვეტად ავარდება, ცეცხლი ხის კენწეროებს არ მოედება. მარჯვენა ფრთა არანაკლებ შიშს მოუცავს, რადგან უსინათლომ თუ კვამლის სუნი იგრძნო, მაშინვე ეგონება, რომ იქვე იწვის რაღაც, რაც სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს, და რაღაც ერთ წამში დერეფანი ხალხით გაივსო, და თუ ვერაფერს დაამყარებს წესრიგს, ცუდად იქნება საქმე. ვიღაცას გაახსენდა, რომ ექიმის ცოლი ბრმა არ არის, სადააო, ატყდა ყვირილი. გვითხრას, რა ხდება, რა ვქნათ, საით წავიდეთო, აქ ვარ, ეს წუთია გამოვალწიე პალატიდან, რადგან ელამ ბიჭუნას ვეძებდი, ისე დაიმალა, ძლივს ვიპოვე, მაგრამ ახლა ჩემთანაა, აქ არის, მაგრად მიჭირავს, მეორე ხელით კი ჩემი ქმარი მომყავს, უკან შავსათვალისიანი ქალიშვილი მოგვეყვება და შავსახვევიანი მოხუცი, აბა, ერთი მეორის გარეშე როგორ იქნება, და კიდევ, პირველი უსინათლო ცოლთან ერთად, ყველა აქა ვართ, შეჯგუფებული, ფიჭვის გირჩასავით შეკრული, რომელსაც, დიდი იმედი მაქვს, ასეთი სიმხურვალეც კი ვერაფერს დააკლებს. ამასობაში ზოგიერთი უსინათლო, მარცხენა ფლანგის ბინადართა მსგავსად, შიდა ეზოში გავარდა, ვერ ხედავენ, რომ იმ მხრიდან შენობას ცეცხლი უკიდია, თუმცა, სიმხურვალეს კი გრძნობენ, გრძნობენ, რომ ცხელი ქარი უბერავს იქიდან, სადაც სახურავი ჯერ კიდევ არ ჩამოქცეულა, თუმცა, ხეებზე ფოთლები უკვე მოიჭმუჭნა სიმხურვალისგან. მაშინ ვიღაცამ დაიყვირა, აქ რას ვდგავართ, გარეთ რატომ არ გავდივართო, პასუხად ამ გუგუნში ზუსტად სამი სიტყვა გაისმა, იქ ჯარისკაცები არიანო, ჯობია, ტყვიამ მოგ-

ვკლას, ვიდრე ცოცხლად დავიწვათო, თქვა შავსახვევიანმა მოხუც-
მა, და იგრძნობოდა, რომ იცის კაცმა, რასაც ამბობს, ან იქნებ მისი
პირით ახლა ის სანთებელიანი ქალი ლაპარაკობს, რომელსაც უსი-
ნათლო ბუღალტრის მიერ ნასროლი ბოლო ტყვიით ადვილი სიკ-
ვდილი არ ეღირსა. მაშინ ექიმის ცოლმა თქვა, მოიცადეთ, ჯარისკა-
ცებს დაველაპარაკებო, არა მგონია, ასეთი სიკვდილისთვის გაგ-
ვწირონ, ასეთი გულქვები როგორ იქნებიანო. და ამ სიტყვებით
იმედმიცემულმა უსინათლოებმა ვიწრო დერეფანი გააკეთეს, რომ-
ლითაც გაიარა ექიმის ცოლმა თავისიანებთან ერთად. კვამლი თვა-
ლებს უბინდავს, მალე ისიც ველარაფერს დაინახავს. ძლივს გააღწი-
ეს ვესტიბიულში. კარი შემტვრეული დახვდათ, იქ შეყუჟული უსი-
ნათლოები მალევე მიხვდნენ, რომ აქაურობა უსაფრთხო არ იყო,
იმათაც გასვლა მოინდომეს, ერთმანეთს მიაწვნენ, ნაწილი წინააღ-
მდეგობას უწევდათ, რადგან ისევ ეშინოდათ, ჯარისკაცებმა არ დაგ-
ვინახონო, ბოლოს ისინიც დანებდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ ცეც-
ხლი სულ უფრო უახლოვდებათ და შავსახვევიანი მოხუცის თქმისა
არ იყოს, მართლაც ტყვიით სიკვდილი ჯობდა. კი, ბატონო, იყოს
ტყვია, რაზეა ლაპარაკი. როგორც იქნა, ექიმის ცოლმა გარეთ გააღ-
წია, ნახევრად შიშველს ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა და ვერც
მოიგერიებდა ვინმეს, ვინც წინ მიმავალ მის ჯგუფთან შეერთებას
მოისურვებდა, ასე ვთქვათ, დაძრულ მატარებელს შეახტებოდა და,
აღბათ, გაშტერდებიან ჯარისკაცები, მის მოღვლილ მკერდს რომ
დაინახავენ. და სივრცეს პარმალსა და ჭიშკარს შორის უკვე მთვარის
შუქი კი არა, მოგიზგიზე ხანძარი ანათებდა. ექიმის ცოლმა დაიყვი-
რა, გთხოვთ, გემუდარებით, ღვთის გულისათვის, გაგვიშვით, არ
გვესროლოთო. არავინ გამოპასუხებია. პროჟექტორი ისევ არ ენ-
თო, ჭიშკართან არავინ ჩანდა. ექიმის ცოლმა შიში დასძლია და კი-
დევ ორი საფეხურით ქვევით ჩავიდა. რა ხდება მანდ, ჰკითხა ქმარ-
მა, მაგრამ არ უპასუხა, რადგან საკუთარ თვალებს არ დაუჯერა. კი-
ბეზე ჩავიდა და ჭიშკრისკენ დაიძრა, თან ელაპი ბიჭუნა, ქმარი და

სხვა დანარჩენებიც მიჰყავდა, და უკვე აშკარა გახდა, რომ ჯარისკაცები წასულიყვნენ, ან წაეყვანათ, რადგან ისინიც, ჰო, ისინიც დაბრმავდნენ, ყველა დაბრმავდა.

მერე, ალბათ, საქმე რომ გაადვილებულიყო, ყველაფერი ერთდროულად მოხდა, ანუ ექიმის ცოლმა ხმამაღლა და ყველას გასაგონად დაიძახა, ყველა თავისუფალი ხართო, საშინელი გრუხუნით ჩამოიქცა მარცხენა ფრთის აალებული სახურავი, ყვირილით გაიქცნენ ჭიშკრისკენ უსინათლოები, მართალია, ყველა არა, რადგან შიგნით მყოფთაგან ზოგი კედელს შეენარცხა, ზოგი კი ფეხქვეშ გათელეს, ცეცხლი კი მთელ შენობას მოედო, რომ საბოლოოდ ფერფლად ექცია. ჭიშკარი ღიაა, შემოღობები გარეთ გარბიან.

უსინათლოს ეუბნებიან, თავისუფალი ხარ, კარი, რომელიც სამყაროს გწყვეტდა, ღიაა, თავისუფალი ხარ, ეუბნებიან, წადიო, ის კი არ მიდის, დაზაფრული დამდგარა შუა ქუჩაში, და არც მან, არც სხვებმა არ იციან, საით წავიდნენ, რადგან შეუძლებელია, ცხოვრება თუნდაც მოწესრიგებულ და დალაგებულ ლაბირინთში, რასაც რეალურად საგიჟეთი წარმოადგენს, შეადარო იმას, რომ ადამიანის ან ძაღლის მეგზურობის გარეშე იბოდიאלო იმ უცნობ და ველურ ლაბირინთში, ქალაქი რომ ქცეულა და აქ მესხიერება არაფერს ნიშნავს, რადგან შეუძლია მხოლოდ დაგანახვოს ესა თუ ის ადგილი, ოღონდ არა იქამდე მისასვლელი გზა. და აი, კლინიკის აღმოდებულ შენობასთან მდგარი უსინათლოები, რომლებსაც სახებზე აღმური ასდით, მას ერთდროულად საპყრობილედაც აღიქვამენ და თავშესაფრადაც. შეგუფებულან, ერთმანეთს ეტმასნებიან, ცხვრებივით, და არავის უნდა, გზააბნეული ცხვარი გახდეს, რადგან ცხადია, არანაირი მწყემსი არ დაუწყებთ ძებნას. ხანძარი თანდათან მინელდა, ახლა შემთხვევის ადგილი განთიადით კი არა, მთვარის შუქითაა განათებული,

და უსინათლოებს შიში იპყრობთ, რადგან აქ ხომ არ იყურყუტებენ ქვეყნიერების აღსასრულამდე, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა თქვა. ვილაცამ იკითხა, ახლა გარეთ დღეა თუ ღამეო, და ამ ინტერესის მიზეზი ძალიან მალე გაირკვა, საინტერესოა, საჭმელს მოიტანენ თუ არა, ან იქნებ რამე შეფერხებაა, ადრეც ხომ ყოფილა. ჯარისკაცები აღარ არიან. მერე რა, იქნებ წაიყვანეს, რაკი საჭირო აღარ იყვნენ. ვერ გავიგე. იქნებ იმიტომ, რომ დაავადების გადადების საშიშროება აღარ არსებობს. ან იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი სენის წამალი აღმოაჩინეს. კარგი იქნებოდა. ჰო, მართლაც. ახლა რა ვქნათ. პირადად მე დილაამდე აქ დავრჩები. როგორ გაიგებ, რომ დილაა. მზით, მზის სხივების სითბოთი. ღრუბლიანი ამინდი რომ იყოს. გავა დრო და ბოლო-ბოლო დილაც დადგება. ზოგი უსინათლო, გატანჯული, პირდაპირ მიწაზე დაჯდა. ზოგიც, კიდევ უფრო დასუსტებული, ძირს განერთხა, ზოგს გული შეუღონდა. იქნებ ღამის სუსხმა მოიყვანოს გონზე, მაგრამ დაფიონი ყველა გაჭირვებულს ვერ გააღვიძებს, რადგან ზოგმა სწორედ ამ წუთამდე მოაღწია, როგორც იმ მართონელმა, ფინიშამდე სამი მეტრი რომ დარჩა და მოცელილივით დაეცა, თუმცა, რომელ სიცოცხლეზე შეიძლება არ ითქვას, უდროოდ შეწყდაო. იმ უსინათლოებს, რომ ისხდნენ ან იწვნენ, იმის მოლოდინში, ჯარისკაცები და თუ ჯარისკაცები არა, ვინმე სხვა, ვთქვათ, წითელი ჯვარი, საჭმელს მოუტანდათ და სხვა, ცხოვრებისათვის საჭირო პირობებსაც შეუქმნიდათ, იმედგაცრუება ოდნავ მოგვიანებით ელით, მთელი განსხვავებაც ეს არის; ხოლო თუ აქ ვინმეს სჯერა, რომ სიბრძავის წამალი აღმოაჩინეს, ისიც არ გამოიყურება ბედნიერად.

მიზეზთა გამო ექიმის ცოლმა ჩათვალა და ასეც უთხრა თავისიანებს, ჯობია, გათენებას დაველოდოთო. ახლა მთავარია, რამე საჭმელი ვიშოვოთ, სიბნელეში კი ეს გაგვიჭირდება. დაახლოებით მაინც თუ იცი, სად ვართ, ჰკითხა ექიმმა. მეტ-ნაკლებად. ჩვენი სახ-

ლიდან შორს ვართ. საკმაოდ. სხვებიც დაინტერესდნენ, რა მანძილზე იყვნენ თავიანთი სახლებიდან, მისამართს ეუბნებიან, ექიმის ცოლიც შეძლებისდაგვარად პასუხობს, ელამმა ბიჭუნამ კი ვერ გაიხსენა, სად ცხოვრობს, ან რა გასაკვირია, უკვე კარგა ხანია, დედასაც აღარ უხმობს. თუ სახლიდან სახლისკენ ივლიან, ახლომდებარედან ყველაზე დაშორებულამდე, პირველად იმ სახლს მიადგებიან, სადაც შავსათვალიანი ქალიშვილი ცხოვრობს, შემდეგ შავსახვევიანი მოხუცის სახლს და მერე პირველი უსინათლოს სახლს. რა თქმა უნდა, ამ მარშრუტით წავლენ, რადგან შავსათვალიანმა ქალიშვილმა უკვე ითხოვა, როგორც კი შესაძლებელი იქნება, სახლში მიმიყვანეთო. არც კი ვიცი, იქ ჩემები როგორ არიანო, თქვა და მისმა გულწრფელმა წუხილმა ცხადყო, თუ რამდენად უსაფუძვლოა ზოგიერთის მტკიცება, რომ ძლიერი გრძნობები, მათ შორის დედაშვილური სიყვარული, უცხოა იმ ადამიანებისთვის, სამწუხაროდ, მრავლად რომ არიან და საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, უწესო ცხოვრებას ეწევიან. აგრილდა, აცივდა კიდეც, ხანძარი ნელ-ნელა იფერფლება და მისი სითბო ველარ ათბობს იმათ, ვინც ჭიშკრიდან მოშორებით დგას, ანუ ექიმის ცოლსა და მის თანამგზავრებს. ერთმანეთის გვერდით ზის სამი ქალი, შუაში ბიჭუნა უზით, სამი მამაკაციც იქვე დგას, და ვინმემ რომ შეხედოს, იფიქრებს, ასეთებად დაიბადნენო. ისე, მართლაც, ერთ არსებას ჰგვანან, ერთნაირად სუნთქავენ და ერთნაირად შიათ. ხან ერთს ჩაეძინება, ხან მეორეს, ღრმად არა, უფრო თვლემენ, მერე ისევ ფხიზლდებიან, რადგან სხვა უსინათლოები, ბურანიდან გამოსულები, აქეთ-იქით დაეხეტებიან, ეჯახებიან ამ ჯგუფს, ერთი მიუჯდა კიდეც და ჩათვლიმა, ან რა მნიშვნელობა აქვს, სად დაიძინებს. ინათა, ნახანძრალი ხრჩოლავდა, ნანგრევებს კვამლი ასდიოდა, მაგრამ ცოტა ხანს, რადგან წვიმამ დაუშვა, წვრილად ცრიდა,

თუმცა, გადაუღებლად, თავიდან ვერც აღწევდა გადაბუგულ მიწას, ორთქლდებოდა, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლიდა, მოგეხსენებათ, წვეთი ქვას ხვრეტს, ამ გამოთქმას კი რითმა ვინმე სხვამ შეურჩიოს. აქ მყოფთაგან ზოგიერთს არა მხოლოდ მხედველობა, გონებაც დაუკარგავს, აბა, სხვა რით უნდა აიხსნას ის უკუღმართი ლოგიკური აზროვნება, რომელმაც იმ დასკვნამდე მიიყვანათ, რომ წვიმაში ნანატრ საჭმელს არაფერს მოუტანთ. და სრულიად შეუძლებელი იყო, შეგეგონებინა მათთვის, რომ თუ პირობა მცდარია, დასკვნაც მცდარი იქნება, ან აგეხსნა, რომ ჯერ ძალიან ადრეა, საუზმის დროც კი არ არის, ისინი კი სასოწარკვეთილნი მიწაზე გორავდნენ და ტიროდნენ. წვიმს, საჭმელს არ მოიტანენ, არა, არ მოიტანენ, და, ღმერთო, მგონი, დროა, დამწვარი საგიჟეთის ადგილას ახალი გაიხსნას.

ის უსინათლო კი, ღამე ამათ ჯგუფს რომ მიეკედლა, დილით ადარც ამდგარა. მოკუნტულიყო, თითქოს მუცელთან რაღაც სითბოს შენარჩუნებას ცდილობდა, არ იძვროდა, და უცებ წამოსული კოკისპირული წვიმაც არ ადარდებდა. მოკვდა, თქვა ექიმის ცოლმა, ჩვენ კი ჯობია წავიდეთ აქედან, სანამ ჯერ კიდევ შეგვრჩენია ძალა. დიდი გაჭირვებით, ლასლასით, ერთმანეთს ჩაჭიდებულნი ჩამწკრივდნენ და წინ გაუძღვათ ის, რომელიც ხედავდა, მას კი მიჰყვნენ ისინი, ვინც ვერ ხედავდა, შავსათვალიანი ქალიშვილი, შავსახვევიანი მოხუცი, ელამი ბიჭუნა, პირველი უსინათლოს ცოლი, თავად პირველი უსინათლო და ბოლოს, ექიმი. მათი არჩეული გზა ქალაქის ცენტრისკენ მიდის, ექიმის ცოლს კი უნდა, რამე თავშესაფარი იპოვოს იმათთვის, ვინც უკან მიჰყვება, მერე კი თვითონ საჭმლის საშოვნელად წავა. ქუჩებში ვაცის ჭაჭანება არაა, ალბათ, ადრეა, ან წვიმის გამო, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. ყველგან ნაგავი ყრია, ზოგიერთი მაღაზიის კარი ღიაა, უმეტესობა კი დაკეტილია, და რაღაც არ ეტყობა, იქ ვინმე იყოს, ჩამიჩუმი არ ისმის. ექიმის ცოლმა გაიფიქრა, კარგი იქნებოდა, ესენი სადმე მაღაზიაში შემეყვანათ, მაგრამ ქუჩის

სახელწოდება და სახლის ნომერი უნდა დავიხსოვო, რომ მერე მოვაგნო. გაჩერდა, შავსათვალთან ქალიშვილს უთხრა, ჩუმად, არ გაინძრეო, აფთიაქის მინის კარს მიაჩერდა, რადგან მოეჩვენა, რომ იქ იატაკზე ვიღაც ეგდო. დააკაკუნა, თითქოს რაღაც ჩრდილი გაინძრაო, კიდევ დააკაკუნა, და ვილაცამ გაიხედა იქით, საიდანაც კაკუნის ხმა ისმოდა. ექიმის ცოლი მიხვდა, უსინათლოები არიან, ეტყობა, ფარმაცევტის ოჯახია, მაგრამ აქ რა უნდათ, თავიანთ სახლში რატომ არ არიან, სადაც, ალბათ, უფრო კომფორტულად იქნებოდნენ, ვიდრე აქ, იატაკზე, ან იქნებ თავიანთ დაწესებულებას იცავენ, მაგრამ ვისგან, ან რა დასაცავია საქონელი, რომელმაც შეიძლება განგკურნოს კიდევ და მოგკლას კიდევ. გვერდზე გავიდა, მეორე მალაზიაში შეიხედა და იქაც იატაკზე დაყრილი ადამიანები დაინახა, მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ზოგიერთი თითქოს გამოსვლას აპირებდა, ვილაცამ ხელი გამოყო და თქვა, წვიმსო. ძალიანო, ჰკითხეს შიგნიდან. ძალიან, უნდა დავიცადოთ, და მამაკაცი, ჰო, მამაკაცი იყო, ექიმის ცოლისგან ორ ნაბიჯში იდგა, მაგრამ ვერ ამჩნევდა, ამიტომ ექიმის ცოლი შეკრთა, უცებ რომ გაიგონა, დილა მშვიდობისაო, არადა, კარგა ხანია გადაეჩვია ამ სიტყვებს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ კარანტინში დილა არ შეიძლებოდა მშვიდობიანი ყოფილიყო, არამედ იმიტომაც, რომ დარწმუნებით არავის შეეძლო ეთქვა, გარეთ დილაა, შუადღე თუ საღამო, და თუ უსინათლოები, ამწუთას ნათქვამის საწინააღმდეგოდ, ასე თუ ისე, დილაობით იღვიძებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც დაბრმავდნენ და ჯერ კიდევ შემორჩათ დღისა და ღამის, ძილისა და ღვიძილის გარჩევის უნარი. მამაკაცმა თქვა, თავსხმააო, მერე ჰკითხა, ვინ ხართო. აქაური არა ვარ. საჭმელს ეძებთ. დიახ, ოთხი დღეა არაფერი გვიჭამია. რა იცით, რომ ოთხი დღეა. გამოვთვალე. მარტო ხართ. ქმარსა და კიდევ რამდენიმე ადამიან-

თან ერთად. მაინც რამდენი ხართ. შვიდნი. თუ აქ დარჩენას ფიქრობთ, ახლავე გაფრთხილებთ, არ გამოვა, ისედაც ბევრი ვართ. არა, გზად შემოვიხედეთ. საიდან მოდიხართ. ეპიდემიის დაწყებისთანავე კარანტინში მოგვათავსეს. ჰოო, კარანტინი, ვიცი, არ იყო კარგი აზრი. ამას რატომ ამბობთ. და რა, გამოგიშვეს. ხანძარი გაჩნდა და ის ჯარისკაცები, რომლებიც გვდარაჯობდნენ, წავიდნენ. და წამოხვედით. დიახ. ის ჯარისკაცები, ეტყობა, ყველაზე ბოლოს დაბრმავდნენ. აქ ყველა ბრმა ვართ. ყველა, მთელი ქალაქი, მთელი ქვეყანა. ხოლო თუ ვინმე ხედავს, ჩუმადაა. თქვენს სახლში რატომ არა ხართ. იმიტომ, რომ არ ვიცით, სად არის ჩვენი სახლი. როგორ თუ არ იცით. თქვენ რა, იცით. მე, და ექიმის ცოლმა, რომელიც აპირებდა ეთქვა, რომ სწორედ შინ მიდიოდა ქმარსა და დანარჩენებთან ერთად, ოღონდ გზად დანაყრებას აპირებდნენ, მიხვდა, რომ ამიერიდან შინიდან გამოსულ კაცს მხოლოდ გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის წყალობით შეუძლია უკან დაბრუნდეს, ახლა სხვა დრო დადგა, ეს ადრე იყო, რომ უსინათლოს გამვლელის დახმარების იმედი ჰქონდა, რომელიც ქუჩაზეც გადაიყვანდა, და თუ რატომღაც ჩვეულ მარშრუტს ასცდებოდა, სწორ გზაზე დააყენებდა. მე, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ აქედან ძალიან შორს ვცხოვრობ. მაგრამ თქვენით ვერ მიაგნებთ. ვერა. ჰო, მეც ასეთი რამ დამემართა, მეც და დანარჩენებსაც, თქვენ კი, ამდენი ხანი კარანტინში რაკი იყავით, ბევრი რამის სწავლა თავიდან მოგიჩვეთ, ალბათ, არ იცით, რა ადვილად შეიძლება ახლა ქუჩაში აღმოჩნდე. ვერ გავიგე. ახლა ადამიანები სულ ჯგუფ-ჯგუფად დადიან, ჩვენსავით, სხვაგვარად არ გამოდის, მოკლედ, ერთმანეთი რომ არ დაკარგონ, ერთად დადიან საჭმლის საშოვნელად, შინაც აღარავინ რჩება, და თუ რაღაც სასწაულით შინ დაბრუნება მოახერხე, იქ შეიძლება უცხოები დაგხვდნენ, ასევე რომ დაიკარგნენ ქალაქში, და აი, ასე დავდივართ წრებზე, თავიდან ჩხუბიც ხდებოდა, მაგრამ მალევე მივ-

ხვდით, რომ ჩვენ, უსინათლოებს, არც არაფერი გვაქვს ჩვენი, გარდა იმისა, რასაც თან დავატარებთ. გამოსავალი იქნებ ის იყოს, რომ რომელიმე სასურსათო მაღაზიას შეათარო თავი და სანამ მარაგი არ ამოიწურება, გარეთ არ გამოხვიდე. იმას, ვინც ასე მოიქცევა, ერთი წუთი არ ექნება მოსვენება, და ეს კიდევ არაფერი, ეს რა არის, გავიგე, ვიღაცები სწორედ ასე მოქცეულან, ჩაიკეტნენ მაღაზიებში, ჩარაბეს კარი, მაგრამ საჭმლის სუნს რას უზამ, ის ხომ გამოდის, და ამ მაღაზიებთან თავი მოიყარეს იმათ, ვისაც ასევე შიოდა, და რომ მიხვდნენ, კარს არ უღებდნენ, ცეცხლი წაუკიდეს, ღირსნიც იყვნენ, თავად არ შევსწრებივარ, მიამბეს, მაგრამ რაც გინდა, თქვი, მართლაც ღირსნი იყვნენ, და მას შემდეგ, როგორც ვიცი, ამას აღარავინ აკეთებს. სახლებში, ბინებში თუ ცხოვრობს ვინმე. რატომ არ უნდა იცხოვრონ, ცხოვრობენ, რასაკვირველია, არც კი ვიცი, რამდენმა ადამიანმა იცხოვრა ჩემს სახლში, რომელსაც, ალბათ, ველარც ვნახავ, აი, თავად განსაჯეთ, ჩვენს მდგომარეობაში ბევრად მოსახერხებელია პირველ სართულზე ცხოვრება, მაღაზიებში, საწყობებში, კიბეებზე ასვლა-ჩასვლა არ გიწევს. წვიმამ გადაიღო, თქვა ექიმის ცოლმა. წვიმამ გადაიღო, გაიმეორა მამაკაცმაც, იმათ მიმართა, ვინც შიგნით იყო. ამ სიტყვებზე წამოდგნენ, თავიანთი ნივთები აიღეს, ბურგჩანთები, ჩემოდნები, ტომრები, პარკები, ნაჭრის თუ ცელოფანის, თითქოს ექსპედიციაში მიდიანო, ასეც იყო, საჭმლის საშოვნელად მიემართებოდნენ, და როცა რიგრიგობით გამოვიდნენ მაღაზიიდან, ექიმის ცოლმა შენიშნა, რომ კარგად იყვნენ ჩაცმულები, თუმცა, ტანსაცმლის ფერები ერთმანეთს არ შეეხამებოდა, ერთს ისეთი მოკლე შარვალი ეცვა, კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა, მეორეს კი ისეთი გრძელი, რომ ტოტები აეკეცა, უცებ რომ აცივებულიყო, ყინვა ვერაფერს დააკლებდათ, ზოგ მამაკაცს ლაბადა ეცვა, ზოგს პალტო, ორი ქალი გრძელ ქურქებში

გამოწყობილიყო, აი, ქოლგა კი არავის ეჭირა, ეტყობა, მოუხერხებელია სატარებლად, თან ვინმეს შეიძლება თვალის გამოსთხარო. თხუთმეტკაციანი ეს ჯგუფი წავიდა. ქუჩაში სხვები გამოჩნდნენ, ზოგი მარტო მოაბიჯებდა, კედელთან მიმდგარი მამაკაცები მთელი ღამის განმავლობაში დაგროვილი შარდისგან იცლებოდნენ, ქალები კი მიგდებულ მანქანებს ეფარებოდნენ. ტროტუარზე აქა-იქ წვიმით აბელილი ექსკრემენტები მოჩანდა.

ექიმის ცოლი თავისიანებთან დაბრუნდა, ინსტინქტურად საკონდიტროს ფარდულის ქვეშ შეეყუწულიყვნენ, იქიდან კი ამჟავებული ნაღების და რაღაც სიმყრალის სუნი გამოდიოდა. წავედით, თქვა ექიმის ცოლმა, კარგ ადგილს მივაგენი, და წაიყვანა მაღაზიაში, რომელიც საჭმლის საშოვარზე წასულმა ჯგუფმა ეს-ეს არის დატოვა. მაღაზიაში ყველაფერი ხელუხლებელი იყო, რადგან აქ სურსათით ან ტანსაცმლით კი არა, მაცივრებით, სარეცხის მანქანებით, ელექტრო- და მიკროტალღოვანი ღუმელებით, მტვერსასრუტებით, მიქსერებით, ბლენდერებითა და სხვა ათასგვარი ტექნიკით ვაჭრობდნენ, რომელიც ცხოვრებას გვიადვილებს. აქაც ცუდი სუნი იდგა, სრულიად შეუსაბამო ტექნიკის ქათქათა სითეთრის ფონზე. მოეწყვეთ და დაისვენეთ, უთხრა ექიმის ცოლმა, მე კი წავალ, იქნებ რამე საჭმელი ვიშოვო, არ ვიცი, შეიძლება შორსაც მომიწიოს წასვლამ, მაგრამ აქ უნდა დამელოდოთ, თუ ვინმე შემოსვლას მოინდომებს, უთხარით, რომ აქაურობა დაკავებულია, და წავლენ, ახლა ასე ყოფილა მიღებული. მეც წამოგყვები, უთხრა ექიმმა. არა, ჯობია, მართო წავალ, უნდა გავარკვიოთ, ამიერიდან როგორ ვიცხოვროთ, როგორც ვატყობ, ყველა დაბრმავებულია. მაშ, რაღა ამრი ჰქონდა კლინიკიდან წამოსვლას, მწარედ შენიშნა შავსახვევიანმა მოხუცმა. როგორ არ ჰქონდა, რა შედარებაა, ახლა სადაც გვინდა, იქ წავალთ, რამე საჭმელსაც ვიშოვით, შიმშილით არ დავიხოცებით, ტანსაცმელიც გვჭირდება, ნამდვილი მაწანწალებივით გამოიყურებით, და ეს სიტყვები უმთავრესად მასვე ეხებოდა, რადგან წელზემთ თითქმის

შიშველი იყო. წასვლის წინ ექიმს აკოცა და იმავ წუთს გულში ტკივილი იგრძნო. ძალიან გთხოვ, აქედან ნურსად წახვალ, თუნდაც ვინმე შემოიჭრას, რომც გაგყარონ, რაშიც ეჭვი მეპარება, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, აქედან შორს ნუ წახვალთ, მთავარია, ჩემს მოსვლამდე ერთად იყოთ. თვალზე ცრემლი მოადგა, შეხედა თავისიანებს, აი, დგანან მის წინ და მთლიანად მასზე არიან დამოკიდებული, როგორც პატარა ბავშვები დედაზე. როგორ იქნებიან აქ უჩემოდ, გაიფიქრა, ის კი არ მოსვლია აზრად, რომ ახლა ყველა ასეთ დღეშია და არაფერი, ცხოვრობენ, და თავად უნდა დაბრმავდე, თუ გინდა, გაიგო, რომ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, განსაკუთრებით თუ მთლად ადამიანიც აღარ არის უკვე, თუნდაც ჯერ არ იყოს მისული ამ კონდიციამდე, აი, მაგალითად, ეს ელამი ბიჭუნა, რომელიც კარგა ხანია აღარ კითხულობს დედას. ქუჩაში გავიდა, უკან მოიხედა, სახლის ნომერი დაიმახსოვრა და ის, რაც აბრაზე ეწერა, ახლა ქუჩის სახელწოდება უნდა გაიგოს, იქ კუთხეში უნდა ეწეროს, ვინ იცის, რამდენ ხანს მოუწევს საჭმლის ძებნა, იქნებ აქედან მესამე კარში იშოვოს რამე, იქნებ მესამასეში, გზაც არ უნდა აებნეს, თორემ ვინ მიასწავლის, ისინი, ვინც ადრე ხედავდა, დაბრმავდნენ, თავად კი ხედავს, მაგრამ არ იცის, სად არის. მგემ გამოანათა, წყლის გუბეები ალაპლაპდა ნაგვით სავსე ქუჩაში, მწვანედ გამოჩნდა ფილებს შორის ამოზრდილი ბალახი. ხალხის რაოდენობამ იმატა. როგორ იკვლევენ გზას, გაუკვირდა ექიმის ცოლს. არც როგორ, დაბორიანებენ სახლების გასწვრივ, ხელებგაწვდილნი, სულ ერთმანეთს ეჯახებიან, როგორც ჭიანჭველები, და როცა ეჯახებიან, არავინ აპროტესტებს, ხმასაც არ იღებენ, ან რაში სჭირდებათ ლაპარაკი. აი, ერთი ოჯახი კედელს რომ მოუყვება, მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მეორე ოჯახს გაუსწორდა, გვერდი აუარა, გზა განაგრძო, სანამ კიდევ ვინმეს შეეფეთება. დროდადრო ჩერდებიან, კარს ყნოსავენ, რამე საჭმლის სუნი

ხომ არ გამოდისო, სულერთია, რა საჭმლის, და მიდიან თავისი გზით, აი, კუთხეში შეუხვიეს, აღარ ჩანან, მათ ადგილას სხვები გამოჩნდნენ, და არ ეტყობათ, რომ იპოვეს ის, რასაც ეძებენ. ექიმის ცოლს სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად შეუძლია სიარული, თან არც იმაში კარგავს დროს, რომ მაღაზიებში შევიდეს და დარწმუნდეს, რომ სასურსათო მაღაზია არ ყოფილა, თუმცა, მალევე მიხვდა, რომ რთული ამოცანა დაისახა, რადგან გზად ყველა სასურსათო მაღაზია პირწმინდად იყო გაძარცვული, თითქოს შიგნიდან გამოუჭამიათ და მხოლოდ გარსი დაუტოვებიათ.

უკვე საკმაოდ დაშორდა იმ ადგილს, სადაც ქმარი და დანარჩენები დატოვა, ბევრი მოსახვევი, ქუჩა, პროსპექტი და მოედანი გაიარა, სანამ სუპერმარკეტს მიაღწია. აქაც იგივე სურათი იყო, ცარიელი დახლები, ჩამსხვრეული ვიტრინები, ყველგან უსინათლოები დაბორილებენ, უმეტესობა ოთხით დაფორთხავს, ჭუჭყიან იატაკს ხელს უსვამენ, იქნებ რამე ისეთი იპოვონ, რაც გამოადგებათ, მაგალითად, კონსერვის ქილა, რომელიც ვიღაცას უწვალებია და ვერ გაუხსნია, ან რამე შეკვრა, მნიშვნელობა არა აქვს, რა იქნება, ან, ვთქვათ, კარტოფილი, თუნდაც გაჭყლეტილი, ანდა პურის ყუა, თუნდაც გამხმარი. ექიმის ცოლმა გაიფიქრა, როგორ შეიძლება ამხელა მაღაზიაში რამე ვერ ვიპოვო. ერთ-ერთი უსინათლო ყვირილით წამოხტა, ბოთლის ნამსხვრევი მუხლში შეერტო და უკვე მთელი ფეხი გაუსისხლიანდა. გარშემო შემოეხვივნენ, რა მოხდა, რა დაგე-მართაო, ეკითხებიან, ის კი სლუკუნით პასუხობს, მუხლში ბოთლის ნამსხვრევი შემერტოო. რომელში. მარცხენაში. უსინათლო ქალი დაიხარა. ფრთხილად, აქ კიდევ იქნება ნამსხვრევები, შენც არაფერი გაიჭრაო. ქალმა ჭრილობაზე მოუსვა ხელი. აი, ვიპოვე ნამსხვრევი, ხელით ვგრძნობ, ამოშვერილია. სხვა უსინათლოებმა გადაიხარხარეს. ჰოდა, დროზე, სანამ ამოშვერილია. ქალმა ცერა და საჩვენებელი თითები პინცეტივით ჩაავლო, ამის სწავლება არავის სჭირდება, ნამსხვრევი ამოაძრო, მერე ტომრიდან ჩვარი ამოიღო

და ჭრილობა შეუხვია, თან საერთო მხიარულებას თავისი ხუმრობაც შემატა, ესეც ასე, დიდხანს არ ჰქონდა ამოშვერილიო. უსინათლოებმა ისევ გაიცინეს, მათ არც დაშავებული ჩამორჩათ, აქამდე უკმაყოფილო არავინ დარჩენილაო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ჯგუფში ცოლ-ქმარი არ იყო, რადგან ამ უხამს ხუმრობას უხერხულობა არ გამოუწვევია, ან იქნებ, პირიქით, იყო კიდევ, თუმცა, არა, საეჭვოა, რომ ცოლ-ქმარმა სახალხოდ ასე იხუმროს. ექიმის ცოლმა აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ ყველაფერი კარგა ხანია უკვე სხვებს აეთვისებინათ და მიეთვისებინათ, მონაპოვარს მუჯლუგუნებითა და პანდურებით იცავდნენ, უმეტესად ჰაერში მოქნეული მუშტით, რომელიც ზოგჯერ მოწინააღმდეგეს კი არა, მოკავშირეს ხვდებოდა, დაპირისპირების ობიექტი კი ზოგჯერ იატაკზე ვარდებოდა და ელოდა, ვინმე როდის აიღებდა. ფუ შენი, აქ ვერაფერს ვიშოვი, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, თანაც გამოიყენა მისი ლექსიკონის უცხო გამოთქმა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბუნება და გარემოება გავლენას ახდენს ლექსიკაზე, და უცებ გახსენდება ის პოლკოვნიკი, რომელმაც დანებების შეთავაზებაზე მოწინააღმდეგეს ნეხვი უწოდა, რის გამოც იმათ მომავალ თაობებს, ვინც წამდაუწუმ ხმარობს ამ სიტყვას, თანაც შედარებით უსაფრთხო სიტუაციაში, აღარავინ დააბრალებს უზრდელობას. ფუ შენი, აქ ვერაფერს ვიშოვიო, ისევ გაიფიქრა და ის იყო, წასვლა დააპირა, რომ უცებ საინტერესო აზრი დაებადა, თავისით კი არა, რაღაც შთაგონების წყალობით. აქ საწყობი უნდა იყოს, დიდი არა, სასაქონლო ბაზას რომ ეძახიან, რომელიც, ალბათ, სადღაც ჯანდაბაშია, არამედ აქვე, მაღაზიაში, სადაც ისეთ პროდუქტებს ინახავენ, მალე რომ არ ფუჭდება, და ამ აზრით ფრთაშესხმული წავიდა საოცნებო და უეჭველად დაკეტილი კარის საძებნელად, რომელიც საგანძურთან მიიყვანდა, მაგრამ ყველა კარი გაღებული იყო, მათ მიღმა კი ჩვეული ქაოსი მოჩანდა, და კიდევ უსინათლოები, რომლებიც უსარგებლო

ნაგავში იქექებოდნენ. და აი, როგორც იქნა, ბნელ დერეფანში, სადაც მზის შუქი არ აღწევს, სატვირთო ლიფტის უჯრედის მსგავსი რამ დაინახა. რკინის კარი დახურული იყო, მაგრამ გვერდით კიდევ ერთ კარს მოჰკრა თვალი, გორგოლაჭებიანს, სრიალით რომ იღება. სარდაფში ჩასასვლელიაო, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, აქ მოსული უსინათლოები ჩიხს აწყდებოდნენ, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ლიფტთან მოვხვდითო, და რატომღაც არავის მოფიქრებია, რომ გვერდით უთუოდ უნდა იყოს კარი იმ შემთხვევისათვის, თუ ელექტროენერგია გამოირთვება, როგორც ახლა, მაგალითად. კარი სრიალით გააღო და მაშინვე ორმა რაღაცამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ერთი იმან, რომ უკუნეთი სიბნელე დაინახა, არადა, ჩასვლა მოუწევდა, რომ სარდაფთან მიეღწია, მეორე კი იმან, რომ საჭმლის სუნი ეცა, ჰერმეტიკული შეფუთვიდანაც რომ აღწევს, რადგან შიმშილი ისე აძლიერებს ყნოსვას, რომ ვერავითარი მანძილი და დაბრკოლება ვერ შეგაჩერებს ისევე, როგორც ძაღლს. ექიმის ცოლი უკან გამობრუნდა, რომ ნაგავში ცელოფანის პარკები, ჩანთები და ტომრები აერჩია პროდუქტების ჩასაყრელად, თან საკუთარ თავს ჰკითხა, სიბნელეში როგორ გავიგებ, რას ვიღებო, მაგრამ მერე მხრები აიჩეჩა, ვნახე რა მეც საფიქრალიო, პრობლემა ის კი არ არის, რას წამოიღებს, არამედ ის, ასე დასუსტებული როგორ ათრევს პროდუქტებით საფხე და მძიმე პარკებს და ამ პარკებით ხელში როგორ გაივლის გზას უკან. უცებ შიში დაეუფლა, რომ ვეღარ მიაგნებს იმ ადგილს, სადაც ქმარი ელოდება, არა, ქუჩის სახელწოდება კი იცის, ახსოვს, მაგრამ რამდენი მოსახვევი იყო, ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ, სასოწარკვეთილებისგან ხელ-ფეხი წაერთვა, გაშეშდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა, გაოგნებისგან გათიშული ტვინი ისევ ჩაირთო, თითქოს ქალაქის გეგმა დაინახა და თითს აყოლებს ქუჩების ლაბირინთს, უმოკლეს მარშრუტს ირჩევს, თითქოს ორი წყვილი თვალი ჰქონდა, ერთი წყვილით საკუთარ თავს ხედავს, რუკაზე დახრილს, მეორით კი რუკას და მარშრუტს უყურებს. დერეფანი

ისევ ცარიელი იყო, ამაში მართლაც გაუმართლა, რადგან მღელვარებისა და მოულოდნელობისგან კარის მიხურვა დაავიწყდა. მაშინვე ფრთხილად მიხურა კარი და სრულ უკუნეთში აღმოჩნდა, ისეთივე უსინათლო, როგორიც ყველა დანარჩენი გარეთ, და განსხვავება მხოლოდ ფერში იყო, თუ, რა თქმა უნდა, შავი და თეთრი მართლა ფერებად შეიძლება მივიჩნიოთ. კიბეს დაუყვა, კედელ-კედელ მიდიოდა, ფიქრობდა, ამ სარდაფის შესახებ ვინმეს რომ სცოდნოდა, რაც სრულიად შეუძლებელია, ახლა გზად გადაეყრებოდა და ისე მოუწევდა მოქმედება, როგორც უსინათლოები მოქმედებენ ქუჩებში, ანუ რომელიმეს მოუწევს, უარი თქვას საიმედო საყრდენზე, წინ წავიდეს, რომ შემხვედრს გვერდი აუაროს, და ვინ იცის, რა საზარელი შიში დაეუფლება, ვაითუ კედელს ვეღარ მივაგნო. მგონი, ვგიჟდები, გაიფიქრა, ან რა გასაკვირია, როცა უკუნეთში ჩადიხარ, სადაც არც შუქია, არც მისი დანახვის იმედი, თანაც ვინ იცის, რა სიღრმეზე მოუწევს ჩასვლა, თუმცა, ასეთი საწყობები ძალიან ღრმა არ უნდა იყოს. კიბის ერთი უჯრედი ჩაიარა. ახლა ვიცი, რას ნიშნავს სიბრმავე. მეორე უჯრედი. ახლა ვიყვირებ, ახლა ვიყვირებ. მესამე უჯრედი. სიბნელე სქელი ტალახითაა, რომელიც სახებზე აგაკრეს, თვალები კი შავ ქვებად გექცა. რა არის იქ, ჩემ წინ, და უცებ მეორე აბრმა გაუელვა, კიდევ უფრო შემამფოთებელმა, მერე კიბეს როგორ ვიპოვიო, მოულოდნელად წონასწორობა დაკარგა, და კიბებზე რომ არ დაგორებულყო, იატაკზე ჩაიცუცქა, ლამის გონება დაკარგა და ჩაიბურტყუნა, სუფთაა, ეს იატაკს ეხებოდა, რა შესანიშნავია სუფთა იატაკი. ნელ-ნელა გონება მოიკრიბა, კუჭის წვა იგრძნო, ან რა გასაკვირია, ახლა მთელ სხეულში მუცლის მეტს ვერაფერს გრძნობს, არა, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, მაგრამ ვერ გრძნობს, და კიდევ გული, ჰო, გულს ბაგაბუგი გაუდის, დოლივით, განა ადვილია სულ სიბნელეში მუშაობა, ჯერ დედის

საშოს სიბნელეში, სადაც ჩაისახა, და ბოლოს იმ სიბნელეში, სადაც გაჩერდება კიდეც. ექიმის ცოლს ისევ ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული ცელოფანის პარკები, პროდუქტებით რომ უნდა გაეცხო, და მშვიდად, მშვიდად, საწყობებში არც დრაკონებია, არც მოჩვენებები, მხოლოდ უკუნეთი სიბნელე, ის კი არც გიკბენს და არც შეურაცხყოფას მოგაყენებს, კიბეს კი როგორმე მიაგნებს. თავი გაიმხნევა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ ბრმაა, ამიტომ აჯობებს, თუ უსინათლოების მსგავსად ოთხით იმოძრავეს, სანამ რამეს არ მიაღგება, სასურველია, რომ ეს პროდუქტებით სავსე ვიტრინა იყოს, ნებისმიერი პროდუქტებით სავსე, ოღონდ მოსახარში და შესაწვავი არ იყოს, რადგან ახლა კულინარიული ფანტაზიების დრო არ არის.

ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ შიშმა აიტანა, იქნებ შეცდა და სადღაც ქვემოთ, უხილავი ხახადაფჩენილი დრაკონი ჩააფრებულა, ან მოჩვენება დაავლებს ხელს და მკვდრების საზარელ სამყაროში წაათრევს, რომლებიც სულ კვდებიან და კვდებიან, რადგან ვიღაც გამუდმებით აცოცხლებს. მერე კი უკვე საღად დაიწყო აზროვნება და სევდიანად გაიფიქრა, ვაითუ ეს საწყობი კი არა, ვთქვათ, გარაჟია, ბენზინის სუნიც კი იგრძნო, აი როგორ შეიძლება შეცდეს გონება, როცა მისივე წარმოდგენით შექმნილი მონსტრების წინაშე უკან დაიხევს. და უცებ ხელით რაღაცას შეეხო, ეს არც მოჩვენების გალიჰული თითები იყო, არც ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის ეშვი, არამედ ცივი, პრიალა ლითონის სიბრტყე, ექიმის ცოლი მიხვდა, რომ სტელაჟი იყო, თუმცა, არ იცოდა, რომ ასე ერქვა. იმასაც მიხვდა, რომ გვერდით ასეთივე სხვებიც უნდა იყოს, და ახლა უნდა გაერკვია, რომელზე ეწყო პროდუქტები, მაგრამ არა, აქ სარეცხის ფხვნილია, სუნით გრძნობს. იმაზე აღარ დაფიქრებულა, როგორ მიაგნებდა კიბეს, და სტელაჟებს გაუყვა, ყნოსავდა, ხელით ეხებოდა, აჯანჯლარებდა. აქ ეწყო მუყაოს ყუთები, მინის და პლასტმასის ბოთლები, პატარა, საშუალო და დიდი ზომის, თუნუქის ქი-

ლები, ალბათ, კონსერვები, რალაც პაკეტები, კოლოფები, და ყველაფერი ამით გაავსო ერთი პარკი. ნეტავ იჭმებოდეს მაინც, გაიფიქრა შეწუხებულმა. სხვა თაროებთან გადაინაცვლა, მეორე თაროსთან მოულოდნელი რამ მოხდა, ბრმად მოძრავი ხელით შეეხო და რამდენიმე პატარა კოლოფი ჩამოაგდო. იატაკზე დაცემის ხმამ ლამის გული გაუჩერა. ასანთი. მღელვარებისგან ცახცახმა აიტანა, დაიხარა, იატაკზე მოაფათურა ხელი და იპოვა, ეს სუნი არაფერში აგერევა, არც სუნი, არც ხმა, კოლოფს რომ შეარხევ, პატარა ხის ღერები ჩხრიალებს. აი, გახსნა კოლოფი, აი, ფოსფორით დაფარული ხაოიანი გვერდი, გაჰკრა ღერი გოგირდიანი ბოლოთი და პატარა ალმა ისეთი შუქი გამოსცა, ღრუბელში მოკიაფე ვარსკვლავი რომ გამოსცემს. სინათლე, ღმერთო ჩემო, თურმე ქვეყნად სინათლე არსებობს, მე კი თვალები მაქვს, რომ დავინახო, რა დალოცვილი რამ ხარ, სინათლევ. ამის შემდეგ საქმე უფრო ხალისიანად განაგრძო. ასანთით მთელი პარკი გაავსო, თუმცა, რა საჭიროა ამდენის წალევა, ეუბნებოდა სალი აზრი, მაგრამ ყურადაც არ იღებდა, მერე მოლიცლიცე ალმა თაროები გაანათა, და სულ მალე პარკები გაავსო, პირველი პარკიდან ყველაფერი გადმოყარა, რადგან გამოსადეგი იქ არაფერი აღმოჩნდა, სამაგიეროდ სხვა პარკებში ჩაყრილი სიმდიდრით მთელი ქალაქის ყიდვა შეიძლება, რაც გასაკვირი არ არის, რადგან სიმდიდრის ცნება ცვალებადია, გავიხსენოთ თუნდაც ის მეფე, ცხენში მთელ სამეფოს რომ ცვლიდა, და შიმშილით სიკვდილის პირას მისული რას არ მისცემდა ამ საჭმლით სავსე პარკებში. აი, კიბეც, მარჯვნივ მოჩანს. მაგრამ ექიმის ცოლი იატაკზე დაეშვა, შებოლილი ძეხვი და დაჭრილი შავი პური გახსნა, ბოთლს სახურავი მოხსნა და ჭამა-სმას შეუდგა, სინდისის ქენჯნას ოდნავადაც არ განიცდის. თუ არ შევჭამე, ამას ყველაფერს იქამდე ვერ მივიტან, სადაც საჭიროა, გაიფიქრა პროვადერმა. ცოტა რომ დანაყრდა, პარკები მხრებზე გადაიკიდა, თითოზე სამ-

სამი, ხელები წინ გაიშვირა და ასანთს ანთებდა, სანამ პირველ საფეხურს არ მიადგა, საიდანაც ვაი-ვაგლახით დაიწყო კიბეზე ასვლა, ჯერ საჭმელიც არ მოუნელებია, დროა, საჭირო კუნთებამდე და ნერვებამდე რომ მიაღწიოს, და ასეთ შემთხვევაში ყველაზე უკეთ მაინც თავი მუშაობს. უხმაუროდ გასრიალდა კარი. დერეფანში ვინმე რომ შემხვდეს, რა უნდა ვქნა, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. დერეფანში არავინ იყო, მაგრამ მაინც აწუხებდა კითხვა, რა უნდა ვქნაო. რა თქმა უნდა, შეიძლება გასასვლელთან მისული მობრუნდეს და დაიყვიროს, იქ, დერეფნის ბოლოს სარდაფში ჩასასვლელი კიბეა, სარდაფი კი საჭმლითაა სავსე, მიირთვით, კარი ღია დავტოვეო. ჰო, შეუძლია ასე მოიქცეს, მაგრამ არ მოიქცა. მხარით მიხურა კარი, საკუთარ თავს უთხრა, ძალიანაც სწორია, ასე რომ არ მოვიქეციო, ძნელი წარმოსადგენია, რა ამბავი ატყდება ამ სიტყვების შემდეგ, უსინათლოები თავპირისმტვრევით გაიქცევიან, ეს იგივეა, საგიჟეთში რომ დაიყვირო, ხანძარიანო, კიბეზე დაგორდებიან, უკან მიმავლები წინ მიმავალთ გადაჯეგავენ, მერე მათაც აუცდებათ ფეხი, რადგან სულ სხვაა, როცა მყარ საფეხურზე დგამ ფეხს და სულ სხვა, როცა ადამიანის სხეულზე. ამას რომ შევჭამთ, ისევ მოვალ წასალებად, გაიფიქრა ექიმის ცოლმა. პარკები მხრებიდან მოიხსნა, ხელში დაიჭირა, ერთი ამოიოხრა და დერეფანში გავიდა. ვერა, დანახვით ვერ დაინახავენ, მაგრამ შეიძლება ძეხვის სუნი ეცეთ. ძეხვი, ეს რა სისულელე ჩავიდინე, ნამდვილი ცხელი კვალი დავტოვე. პირი მაგრად მოკუმა, პარკების სახელურები ჩაბლუჯა და გაიფიქრა, უნდა გავიქცეო. ის უსინათლო გაახსენდა, ბოთლის ნამსხვრევით ფეხი რომ გაიჭრა. მეც რომ ასეთი რამ დამემართოს, მეც რომ დავადგა ნამსხვრევს ფეხი, ჩვენ, ეტყობა, აღარც კი გვახსოვს, რომ ეს ქალი ფეხშიშველია, ვერ მოასწრო ფეხსაცმლის მაღაზიაში შესვლა, უსინათლოებისგან განსხვავებით, რომლებიც თავსდატეხილი უბედურების მიუხედავად ირჩევენ ფეხსაცმელებს, თუნდაც ხელის ცეცებით. უნდა

გავიქცეო და გაიქცა. თავიდან მოხეტიალე ჯგუფებსა და მარტო მოლასლასე უსინათლოებში მიიკვლევდა გზას, ცდილობდა, არ შეხებოდა ვინმეს, ნელა მიიწევდა წინ, ხან მიმართულების შეცვლა უწევდა, ხან იძულებული ხდებოდა, შეჩერებულიყო, ცოტა ხნით, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს წამიც საკმარისი იყო ძეხვის აურის ამოსაცნობად, რადგან აურა ეს მხოლოდ რაღაც ეთეროვანი და სურნელოვანი რამ როდია და ნებისმიერ მომენტში შეიძლება რომელიმე უსინათლომ დაიყვიროს, ვინ ჭამს აქ ძეხვსო, და სანამ ეს სიტყვები არ წარმოთქმულა, ექიმის ცოლმა თავზე ხელი აიღო და ჯიქურ წავიდა, ეჯახებოდა შემხვედრთ, ხელს ჰკრავდა, ვიღაც წააქცია, ვიღაც გვერდით მოისროლა, ანუ თვითგადარჩენის რეჟიმზე გადავიდა, რაც სრულიად დაუშვებელია, რადგან არ შეიძლება ასე მოექცევა გაუბედურებულ უსინათლოებს.

ქუჩაში რომ გააღწია, კოკისპირულად წვიმდა. კიდევ კარგი, გაიფიქრა, ძლივს სუნთქავდა, მუხლები ეკეცებოდა, წვიმაში ძეხვის სუნნი ნაკლებად იგრძნობაო. სანამ სუპერმარკეტი გამოიარა, ტანსაცმლის ნარჩენებიც შემოეძარცვა, ძლივს რომ უფარავდა სხეულს წელს ზემოთ, და ახლა მკერდმოშიშვლებული მოდიოდა, მკერდი ციური ნამით უბრწყინავდა, ჰო, ჰო, ეს სიტყვა აქ სწორედაც რომ მართებულია, თუმცა, ბარიკადებზე აღმართულ თავისუფლების ფიგურასთან ანალოგია მთლად ზუსტი არ იქნება, რადგან მძიმე, მადლობა ღმერთს, საჭმლით სავსე პარკები არ აძლევდა საშუალებას ხელები ზევით აღემაართა, თითქოს დროშა უჭირავსო. აქ ერთი პრობლემაც იყო, გამაბრუებელ სურნელს ძაღლებიც გრძნობდნენ, ისე, საინტერესოა, როგორ და რით არსებობენ უპატრონოდ დარჩენილები, ასე რომ, ექიმის ცოლს უკვე ძაღლების მთელი ხროვა მისდევდა, და ისევ მადლობა ღმერთს, რომ არც ერთს არ გაუკრავს კბილი ცელოფანის პარკისათვის. ასეთ წვიმაში, რომელიც ნამდვილი წარღვნისგან

დიდად არ განსხვავდება, ადამიანებმა, წესით, სადღაც უნდა შეათარონ თავი, გამოდარებას დაელოდონ, მაგრამ არა, სადაც კი გაიხედავ, ყველგან უსინათლოები დაბორიანდებიან, სახეს ციდან წამოსულ ნიაღვარს უშვერენ, პირდაღებულნი ხარბად ეწაფებიან წვიმის წყალს, მთელი სხეულით ეზიარებიან, ყველაზე გონიერნი და მარჯვენი კი სხვადასხვა ჭურჭელში აგროვებენ წვიმის წყალს, ასე უხვად რომ იძლევა კეთილშობილი ზეცა, და მართალია ის გამონათქვამი, რომ უფალი წვიმას მწყურვალთათვის მოავლენსო. ექიმის ცოლი ადრე რატომღაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ახლა რამდენიც უნდა ატრიალო ონკანი ბინაში, ვერც ერთ წვეთ მაცოცხლებელ სითხეს ვერ გამოადენ, აი სწორედ ესაა ცივილიზაციის უარყოფითი შედეგი, მეტად მივეჩვიეთ წყალსადენს და აზრადაც არ მოგვდის, რომ ონკანიდან წყალი რომ წამოვიდეს, საჭირო არიან ადამიანები, რომლებიც ხსნიან და კეტავენ გამანაწილებელ სარქველებს, წყალსადენეო კოშკურები და ტუმბოები, მათთვის კი საჭიროა ელექტროენერგია, კომპიუტერები, დეფიციტი და რემედი რომ არეგულირონ, ხოლო ყველაფერ ამას კი სჭირდება თვალეები. თვალეები კიდევ იმისთვისაცაა საჭირო, რომ შეხედო აი, ამ სურათს - ცელოფანის პარკებით დახუნძლულ ქალს, რომელიც დატბორილ ქუჩაში მოაბიჯებს აქოთებულ ნაგავსა და ადამიანებისა და ცხოველების ექსკრემენტებს, აქა-იქ უპატრონოდ მიტოვებულ სატვირთო და მსუბუქ მანქანებს შორის, რომელთა ბორბლებთან უკვე ბალახიც ამოსულა, უსინათლოებს შორის, პირი რომ დაუფიქრებიათ და გადმოკარკლული თვალეებით ზეცას შეჰყურებენ და უკვირთ, ციდან ასეთი წვიმა როგორ მოდისო.

ექიმის ცოლი ქუჩების სახელწოდებებს კითხულობს, ზოგი ეცნობა, ზოგი არა, ბოლოს კი მიხვდა, რომ გზა აებნა. ჰო, აშკარად, აებნა გზა. უკან მიბრუნდა, მიხვდა, რომ ვეღარც ქუჩებს ცნობს, ვერც მათ სახელწოდებას, ნაგვიან მიწაზე დავარდა, ტალახში, და ატირდა. ძაღლები გარს შემოეხვივნენ, პარკებს ყნოსავენ, მაგრამ რაღაც

უხალისოდ, თითქოს მათი ჭამის დრომ კარგა ხანია ჩაიარა, ერთი სახეს ულოკავს, გეგონება, ჯერ კიდევ ლევს ასწავლეს მტირალთა ასე დამშვიდება. ქალი თავზე ხელს უსვამს, აბურძგნილ ბურგზე ეფერება და შეიძლება ითქვას, მის მკერდზე ტირის. ბოლოს ზემოთ აიხედა და, ათასი მადლობა გზავარედინების ღმერთს, ქალაქის დიდი გეგმა დაინახა, მუნიციპალური ხელისუფლება და ტურიზმის სამმართველო რომ კიდებენ ხოლმე ცენტრალურ ქუჩებში უმთავრესად ქალაქის სტუმრებისთვის, მათი სარგებლობისა და სულიერი სიმშვიდისათვის, რათა იცოდნენ, სად მიდიან და გაარკვიონ, სად იმყოფებიან. ახლა, როცა ყველა დაბრმავებულია, ადვილია მოხელეებს უსაყვედურო, რატომ გაატანეს ქარს ფული, მაგრამ, მოდი, ნუ ვიჩქარებთ საყვედურის თქმას, უმჯობესი იქნება, თუ მოთმინებას გამოვიჩინთ, რადგან კარგა ხნის წინათ უნდა მივმხვდარიყავით, რომ მხოლოდ ბედისწერას, ორი წერტილის შემაერთებელი სწორი სულაც რომ არ მიაჩნია უმოკლეს მანძილად, შეუძლია ახსნას, თუ რად დაუჯდა ამ რუკის აქ განთავსება, რომ ატირებულ ქალს გაერკვია, სად იმყოფებოდა. ბევრად უფრო ახლოს ხარ, ვიდრე გგონია, და საპირისპირო მხარეს თუ წახვალ, აი, იმ ქუჩით მოედნამდე, მერე მეორე შესახვევი მარცხნივ, მერე პირველი მარჯვნივ, და მიადგები კიდევ იმ სახლს, რომელსაც ეძებ, ნომერი კი, საბედნიეროდ, გახსოვს. ძაღლები ჩამორჩნენ, რამემ მიიპყრო მათი ყურადღება თუ იმ უბანს ისე არიან მიჩვეულნი, რომ იქიდან წასვლა არ სურთ, ქალს კი, რომელმაც ამდენი ცრემლი დაღვარა, მხოლოდ ის ძაღლი გამოჰყვა, მისი ცრემლების მოწმე რომ გახდა, თან ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ისიც ბედისწერამ მოუვლინა, ასე გულდასმით რომ მოამზადა ქალისა და ქალაქის გეგმის შეხვედრა. ასე და ამგვარად მალაზიაში ერთად შევიდნენ და ცრემლის ძაღლს, ამიერიდან ასე ვუწოდოთ, არ გაჰკვირვებია იატაკზე

გართხმული ადამიანების დანახვა, რომლებიც ხმას არ იღებდნენ და არ ინძრეოდნენ, მკვდრებს ჰგავდნენ, არ გაჰკვირვებია, რადგან უკვე მიეჩვია, ასეთებთან ერთად ღამეც გაუტარებია, ხოლო როცა ადგომის დრო დგებოდა, თითქმის ყველა მათგანი ცოცხალი იყო. თუ გძინავთ, გაიღვიძეთ, დაიყვირა ექიმის ცოლმა, საჭმელი მოგიტანეთ, მანამდე კი კარი ჩაკეტა, ქუჩაში ვინმეს რომ არ გაეგონა. ელამმა ბიჭუნამ პირველმა წამოყო თავი, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო, ისე იყო მისუსტებული, მალე სხვებიც შეიმშუმნენ, ესიზმრებოდათ, რომ ლოდები იყვნენ, არადა, ლოდებს ხომ იცით, რა ღრმად სძინავთ, საკმარისია, ქალაქგარეთ გაისეირნოთ და ნახოთ, როგორ სძინავთ სანახევროდ მიწაში ჩაფლულთ იმის მოლოდინში, რომ რამე გააღვიძებთ. მაგრამ, მოგეხსენებათ, სიტყვას მთების დაძვრა შეუძლია, თანაც ისეთ სიტყვას, როგორიცაა საჭმელი, თანაც როცა საშინლად გშია, და ცრემლის ძაღლმაც კი, მეტყველება რომ არ შეეძლო, კუდის ქიცინი დაიწყო, და როცა ამ ინსტინქტურმა მოძრაობამ შეახსენა, რომ ჯერ არ შეუსრულებია გალუმპული ძაღლის სავალდებულო მოქმედება, მთელი სხეულით შეიფერთხა, გარშემო ყველა გაწუწა, ძაღლებს რა ენაღვლებათ, ბეწვეულში გამოწყობილან, გაიფერთხებიან და მორჩა. სასწაულთმოქმედი აღმოჩნდა უშუალოდ ზეციდან მოვლენილი წმინდა წყალი და ამ წყლით ნაპკურები ლოდები ადამიანებად იქცნენ, ამ მეტამორფოზებში აქტიურად მონაწილეობდა ექიმის ცოლიც, ერთმანეთის მიყოლებით რომ ხსნიდა სურსათიან პაკეტებს. ყველა პაკეტს როდი ასდიოდა იმის სუნი, რაც მასში იყო, მაგრამ შავი პურის სურნელი, მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, თავად სიცოცხლის კვინტესენციას წარმოადგენს. უკვე ყველამ გაიღვიძა, საჭმლის მოლოდინში ხელები აუკანკალდათ, სახე დაებრიცათ, მაგრამ უცებ ექიმს, ისევე როგორც სულ ცოტა ხნის წინ ცრემლის ძაღლს, გაახსენდა, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის და უთხრა, ფრთხილად, ერთბაშად ბევრს ნუ შეჭამთ, შეიძლება ცუდად გახდეთო. ცუდად შიმშილისგან

შეიძლება გახდეს, შეეპასუხა პირველი უსინათლო. დაუჯერე ექიმს, მართაღს გეუბნება, შენიშვნა მისცა ცოლმა, ქმარი გაჩუმდა და ნაწყენმა გაიფიქრა, დახე ერთი, უსინათლოა და მაინც ყველაფერს ხედავსო, მაგრამ შეცდა, რადგან ექიმიც ისევე ვერ ხედავს, როგორც დანარჩენები, რაც იმით დასტურდება, რომ ვერ დაინახა ქუჩიდან შემოსული წელამდე შიშველი ცოლი, რომელმაც სთხოვა, პიჯაკი მომეცი, მოვიხურო, და უსინათლოებმა მისკენ გაიხედეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ადრე უნდა დამტკბარიყვნენ სანახაობით.

სანამ ჭამდნენ, ექიმის ცოლი უყვებოდა, რა ნახა, რა გადახდა თავს, ერთადერთი ის არ უთქვამს, რომ საწყობის კარი ჩაკეტა, რადგან დიდად თვითონაც აღარ სჯეროდა იმ ჰუმანისტური მოტივებისა, რომელშიც თავის დარწმუნებას ცდილობდა, ამის კომპენსაციად კი უამბო იმ უსინათლოს ამბავი, რომელსაც მინის ნამსხვრევი შეერჭო ფეხში, ამბავი, რომელსაც ყველა ხარხართ შეხვდა, თუმცა, ყველა არა, შავსათვალთანაა მოხუცმა მხოლოდ სევდიანად გაიღიმა, ხოლო ელამი ბიჭუნა, ისე თავდავიწყებით იღვჩებოდა, რომ საკუთარი ყბების მოძრაობის ხმის გარდა არაფერი ესმოდა. ცრემლის ძაღლმაც მიიღო თავისი ულუფა და მაშინვე დაამტკიცა, რომ დამსახურებულად, რადგან გააფთრებული ყეფით დააფრთხო ვიღაც, ქუჩიდან რომ აკაკუნებდა. არავინ იცის, ვინ იყო ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც მალევე გაეცალათ, რაკი იცოდა, რომ ქალაქში ცოფიანი ძაღლები დამარჩიან, და გაიფიქრა, ისედაც გაცოფებული ვარ იმის გამო, რომ არ ვიცი, ფეხს სად ვდგამო. ისევ სიმშვიდემ დაისადგურა და როცა შიმშილი დაიკმაყოფილეს, ექიმის ცოლმა უამბო, რა უთხრა იმ მამაკაცმა, რომელმაც სწორედ ამ მაღაზიიდან გამოიხედა იმის გასარკვევად, ისევ წვიმდა თუ გადაიღო. და მოყოლა დაასრულა შემდეგი სიტყვებით, თუ ეს მართალია, ღმერთმა უწყის,

ჩვენს ბინებში რა დაგვხვდება, ან შევალწევთ კი იქ, იმათ ვგულისხმობ, ვისაც გასაღები არ წამოუღია ან დაკარგა, აი, ჩვენ, მაგალითად, არა გვაქვს, ხანძრის დროს დავკარგეთ, არადა, იქ რაღას იპოვი, იმ გადაბუგულ შენობაში და ამის თქმისთანავე თვალნათლივ წარმოიდგინა, როგორ მოედო ალი მაკრატელს, ჯერ მაკრატლის პირზე მიმხმარ სისხლს, მერე თავად წვეტები როგორ მოაბლაგვა ცეცხლმა, ბოლოს სრულიადაც დაუკარგა ფორმა, დაადნო და ძნელია დაიჯერო, რომ ამით ვიღაცას ყელი გამოლადრეს, ხოლო ცეცხლი თავის საქმეს რომ დაასრულებს, გადამდნარ რკინის ზოდში რაღას გაარკვევ, სად მაკრატელია და სად გასაღები. არაფერიც, თქვა ექიმმა, გასაღები მე მაქვს და დაფლეთილი შარვლის პატარა ჯიბიდან სამი თითით ძლივს ამოაძრო ერთ რგოლზე დაკიდებული სამი გასაღები. შენ საიდან გაქვს, როცა ჩემი ხელით ჩავდე ჩანთაში, ის კი პალატაში დარჩა. ამოვიღე, შემეშინდა, არ დაკარგულიყო, ვიფიქრე, მე უფრო საიმედოდ შევინახავ-მეთქი, თანაც გასაღები ჯიბეში რომ გაქვს, უფრო გჯერა, რომ ოდესმე მაინც დაბრუნდები შინ. ძალიან კარგია, გასაღები რომ გვაქვს, მაგრამ იქნებ კარი შეამტვრიეს. ჩვენი კარის შემტვრევა შეუძლებელია, ამაოდ ეცდებიან. საუბარმა ისე გაიტაცათ, რომ დანარჩენები სულ დაავიწყდათ, მაგრამ ახლა სხვების გასაღებებითაც დაინტერესდნენ და პირველმა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა უპასუხა, რომ წამომიყვანეს, მშობლები შინ დარჩნენ, არც კი ვიცი, როგორ არიანო, მერე შავსახვევიანმა მოხუცმა თქვა, რომ დავბრმავდი, შინ ვიყავი, კარზე დააკაკუნეს, სახლის პატრონმა მითხრა, სანიტრებმა მოგაკითხესო, ასე რომ, გასაღებზე არც კი მიფიქრია, პირველი უსინათლოს ცოლის ჯერიც დადგა, არ ვიცი, არ მახსოვსო. მშვენივრადაც იცოდა და ახსოვდა, მაგრამ არ უნდოდა, ეღიარებინა, რომ იმწამს, როცა დაინახა, რომ ვეღარ ხედავს, რა სულელურად ჟღერს, მაგრამ ეს გამოთქმა უკვე დამკვიდრდა და ვერც ჩვენ ავცდებით, შინიდან წივილ-კივი-

ლით გამოვარდა, მეზობლებს ეძახდა, მათ კი შეეშინდათ და დასახმარებლად არ გამოვიდნენ, მართალია, შესაშური თავშეკავება და ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, როცა ქმარს დაატყდა უბედურება, მაგრამ ამჯერად ისე დაკარგა კონტროლი, რომ კარი ღია დატოვა და ვერც კი მოიფიქრა, ეთხოვა, ერთი წუთით დავბრუნდები, კარს დავკეტავ და ახლავე მოვალო. ელამ ბიჭუნას არც ჰკითხეს, აბა, რა გასაღები, როცა ისიც კი არ ახსოვს, სად ცხოვრობს. მაშინ ექიმის ცოლი ოდნავ შეეხო შავსათვალისანი ქალიშვილის ხელს და უთხრა, შენი სახლით დავიწყეთ, ყველაზე ახლოსაა, მაგრამ ჯერ რამე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა ვიშოვოთ, ასეთი ჩამოძონძილები და ბინძურები ვერ ვივლითო. წამოდგომა დააპირა, შენიშნა, გამძღარ ბიჭუნას ისევ ჩასძინებოდა. მოდი, დავისვენოთ, ცოტა ხნით დავიძინოთ, მერე კი ვნახოთ, რა გველისო. სველი კაბა გაიხადა და რომ გამთბარიყო, ექიმს მიუწვა, პირველ უსინათლოსაც მიუწვა ცოლი. შენ ხარო, ჰკითხა ქმარმა და ქალს გაახსენდა სახლი, დარდი შემოაწვა, მაგრამ არ უთქვამს, მანუგეშეო, არ უთქვამს, მაგრამ გაიფიქრა, ნეტავ რა გრძნობებმა აიძულა შავსათვალისანი ქალიშვილი, მხარზე გადაეხვია ხელი შავსახვევიანი მოხუცისთვის, მართლაც გაუგებარია, თუმცა, სწორედ ასე მოიქცა, და ასე იყვნენ ერთად, ქალიშვილს ჩაეძინა, მოხუცს კი არა. ცრემლის ძაღლი კი კართან დაწვა, სწორედ გასასვლელში, საშიში და ბრაზიანი ცხოველია, სანამ ვინმეს ცრემლებს შეშრობა არ ხდება საჭირო...

ჩაიცვეს, გამოეწყვნენ, ერთი ის კი ვერ მოიფიქრეს, როგორ დაებანათ, თუმცა, მაინც განსხვავდებოდნენ სხვა უსინათლოებისგან, ტანსაცმელი ფერში კარგად ჰქონდათ შეხამებული, ტანსაცმლის მაღაზიაში არჩევანის სიმწირის მიუხედავად, ძალიან გაგიმართლა, თუ გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც შეუძლია გირჩიოს, აი, ეს ჩაიცვი, შარვალს მოუხდება, ო, არა, რას ამბობ, ეს ზოლიანია, ეს კი წვრილკოპლებიანი, ერთმანეთს არ

შეხება, და სხვა ამგვარი წვრილმანები, მამაკაცებისთვის მნიშვნელობა რომ არა აქვს, შავსათვალნიანი ქალიშვილი და პირველი უსინათლოს ცოლი კი გულმოდგინედ ირჩევდნენ ფერებსა და სტილს და ცდილობდნენ, წარმოედგინათ, რამდენად უხდებოდათ ახალი ტანსაცმელი. ფეხსაცმელებზე ყველა შეთანხმდა, რომ ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, რომ ლამაზი იყოს, არამედ მოხერხებული, ამიტომაც წვრილქუსლიანი და დახვეწილი ფორმის ფეხსაცმელები არ აირჩიეს, ზამში და ლაქი ქუჩების ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ხომ ნამდვილი უაზრობაა, საჭიროა რეზინის ჩექმები, სრულიად წყალგაუმტარი, სრულიად უქუსლო, შუა წვივამდე მაინც, აი, ადვილად რომ იცვამ და იხდი, რა ჯობია, ტალახში რომ მიაბოტებ. სამწუხაროდ, ასეთი მოდელის ჩექმები ყველასთვის არ აღმოჩნდა, ელამმა ბიჭუნამ, მაგალითად, თავის ზომას ვერ მიაგნო, ხოლო რაც იპოვა, ძალიან დიდი მოუვიდა, ასე რომ, ბოტასებს დასჯერდა, თუმცა, სპორტული მიზნით ვერ გამოიყენებდა. რა დამთხვევაა, იტყოდა ბიჭუნას დედა, რომელიც ღმერთმა უწყის, სად არის, ჩემი შვილი ზუსტად ასეთს აირჩევდა, მხედველობა რომ ჰქონოდაო. შავსახვევიანმა მოხუცმა, რომელსაც, ყველაფერი პატარა მოუვიდა, ამიტომ კალათბურთის კედები შეარჩია, ორმეტრიანი და შესაბამისი კომპლექციის ადამიანებისთვის რომ არის განკუთვნილი. თავიდან ცოტა კომიკურად კი გამოიყურებოდა, გეგონებოდა, თეთრი ფახუჩები აცვიაო, მაგრამ სულ რაღაც ათ წუთში კედები სულ ტალახით მოითხვარა, ამიტომაც უნდა დაიცადო, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩინს.

წვიმამ გადაიღო, პირდაფრენილი აღარ დარბიან უსინათლოები, დაძრწიან ქუჩა-ქუჩა, არ იციან, სად წავიდნენ და რა ქნან, მათთვის სულერთია, ივლიან თუ იდგებიან, მიზანი არა აქვთ, თუ საჭმლის მოპოვებას არ ჩავთვლით, არსაიდან ისმის მუსიკის ხმა, სრული სიჩუმეა, კინოთეატრებსა და თეატრებში მხოლოდ ისინი დადიან, ვინც უსახლკაროდ დარჩა და შინისკენ გზა ვერ გაიგნო, შედარებით დიდ

საკონცერტო დარბაზებში კარანტინი ჯერ კიდევ მაშინ მოეწყო, როცა მზრუნველ მთავრობას სჯეროდა, რომ თეთრ სენს იმავე საშუალებებითა და მეთოდებით სძლეოდა, რომლებიც ასე სამარცხვინოდ დამარცხდა ყვითელ ცხელებასა და სხვა ეპიდემიებთან ბრძოლაში, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე დამთავრდა, ხანძარიც კი აღარ გახდა საჭირო. რაც შეეხება მუზეუმებს, სულისშემძვრელი სანახაობაა მთელი ეს ადამიანები, ჰო, ჰო, ადამიანებს ვგულისხმობ, ტილოებზე გამოსახულს, დახატულს, გამოქანდაკებულს, რომ ერთი სულიერიც კი არ მოდის მათ სანახავად. და რას ელიან უსინათლოები, ვინ იცის, რისი იმედი აქვთ, იქნებ იმის, რომ გამოიგონებენ რამე წამალს, თუკი ვინმეს კიდევ სჯერა ამის, თუმცა, ეს იმედი ძალიან შვირყა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სიბრმავემ არაფერი დაინდო და ერთი წყვილი თვალიც კი არ დარჩა, რომ მიკროსკოპში ჩაიხედოს, დაცარიელდა ლაბორატორიები, სადაც ბაქტერიებმა, რომ გადარჩენილიყვნენ, ერთმანეთი შეახრამუნეს. თავიდან, ბევრი უსინათლო ახლობლების თანხლებით, ჯერ რომ არ დაბრმავებულიყვნენ და ნათესაური გრძნობებიც შემორჩენოდათ, საავადმყოფოებს აკითხავდნენ, სადაც უსინათლო ექიმები ხვდებოდნენ, რომლებსაც სხვა არაფერი შეეძლოთ გარდა იმისა, რომ უხილავი ავადმყოფებისათვის მაჯა გაესინჯათ, სტეტოსკოპით მოესმინათ წინიდანაც და უკნიდანაც, კიდევ კარგი, ყურთასმენა ჯერ არ დაუკარგავთ. მერე ავადმყოფები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეეძლოთ სიარული, საავადმყოფოებს ტოვებდნენ და იხოცებოდნენ იქ, სადაც სიკვდილი წაასწრებდათ, ყველასგან მიტოვებულნი, რადგან ოჯახები თუ ჰყავდათ, არ იცოდნენ, სად იყვნენ, ცხედრები დაუმარხავად ეყარა, რადგან რომ დამარხონ, საკმარისი არ არის, რომ ვინმე შემთხვევით წააწყდეს, ან ის, რომ იხრწნება და გარემოს წამლავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მარხავენ, თუ ცენ-

ტრალურ ქუჩაში ყრიან. რა გასაკვირია, ძაღლები ასე რომ მომრავლდნენ, თანაც აფთრებს დაემსგავსნენ, ყოველ შემთხვევაში, ბეწვზე ლაქები ზუსტად ისეთი აქვთ, როგორც ლემისმჭამელებს, და დარჩიან ქუჩებში, კბილებით ადამიანის სხეულის ნაწილებს დაათრევენ, უმეტესად უკანა ნაწილებს, თითქოს დამფრთხალები იმით, ვაითუ, მკვდრები და დაფლეთილები გაცოცხლდნენ და პასუხი აგებინონ იმ სამარცხვინო მოქმედებისთვის, რომ ჰკბენენ იმათ, ვისაც თავის დაცვა აღარ შეუძლიათ. როგორ გამოიყურება დღევანდელი სამყარო, იკითხა შავსახვევიანმა მოხუცმა, ექიმის ცოლმა კი უპასუხა, აღარ აქვს მნიშვნელობა, რა არის გარეთ და რა შიგნით, აქ თუ იქ, ცოტაა თუ ბევრი, რას განვიცდით და მომავალში რა გველის. მერე ადამიანები, იკითხა შავსათვალისიანი ქალიშვილმა, როგორ უძლებენ ამას, ექიმის ცოლმაც შეუბრუნა კითხვა, ადამიანებო, მერე უპასუხა, ადამიანები მოჩვენებებივით დადიან, ეტყობა, სწორედ ასეთია მოჩვენება, რადგან სჯერა, რომ სამყარო არსებობს და ამას გრძნობის ორგანოები უდასტურებს, თუმცა, დანახვით ვერ ხედავს. მანქანები ბევრია, იკითხა პირველმა უსინათლომ, როგორც ჩანს, თავისი მანქანის დაკარგვა ვერ მოინელა, ექიმის ცოლმა კი უპასუხა, როგორც მანქანების საყრელზეო. არც ექიმი, არც პირველი უსინათლოს ცოლი კითხვებს არ სვამდნენ, ან რა საჭიროა, თუ პასუხი ასეთივე იქნება. ელამი ბიჭუნა იმითაც კმაყოფილია, რომ ფეხზე საოცნებო ბოტასები აცვია და ამ სიხარულს ისიც კი ვერ ჩრდილავს, რომ მათი დანახვა არ შეუძლია. იქნებ ამიტომაც არ ჰგავს მოჩვენებას. ის ცრემლის ძაღლი კი, ექიმის ცოლს სულ ფეხდაფეხ რომ დაჰყვება, ნამდვილად არ იმსახურებს, რომ აფთარი უწოდონ, რადგან ლემის სუნზე კი არ არის დაგეშილი, იმ თვალებს ეძებს, ხანდახან ცოცხალი მშერით რომ უყურებს.

შავსათვალისიანი ქალიშვილის სახლი ახლოა, მაგრამ ერთი კვირის შიმშილობით დასუსტებული უსინათლოები ეს-ეს არის აღიდგენენ ძალას, ამიტომაც ნელი ნაბიჯით მიდიან, იმის ადგილიც არაა,

სადმე ჩამოსხდნენ და დაისვენონ, მიწაზე თუ დასხდებიან, და სტილისა და ფერის შერჩევა ამაო გამოდგა, მალე ისევ ამოიგანგლნენ. ქუჩა, სადაც სახლი იდგა, მოკლე და თანაც ვიწრო იყო, მანქანებიც არსად ჩანდა, აქ გავლა მხოლოდ ერთ მხარეს შეიძლებოდა, ამიტომ მანქანის დაყენებაც აკრძალული იყო. არც ისაა გასაკვირი, რომ გამვლელებიც არ ჩანან, ასეთ ქუჩაზე ხშირად ერთ ვაცსაც ვერ გადაეყრები. რა ნომერიაო, იკითხა ექიმის ცოლმა. შვიდი, მეორე სართულია, მარცხენა ბინა. ერთი ფანჯარა ღიაა, ადრე ეს იმის მიანიშნებდა, რომ ვიღაც იყო შინ, ახლა კი ვინ იცის, რას ნიშნავს. ექიმის ცოლმა თქვა, ყველა ნუ წამოხვალთ, ჩვენ ორნი ავალთ, თქვენ აქ დაგველოდეთო. აშკარად ჩანს, რომ სადარბაზოს კარი შემტვრეულია, საკეტი ამოტეხილია და ხის კარი კი ჩარჩოზე ერთი ანჯამით ჰკიდია. მაგრამ ექიმის ცოლს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ქალიშვილი წინ გაატარა, გზა იცის, კიბეზე სიბნელეც მისთვის დაბრკოლება არ იქნება. და მაინც აღელვებული სიჩქარეში ორჯერ წაბორძიკდა, საკუთარ თავზე თვითონვე გაიხუმრა, წარმოგიდგენია, ამ კიბეზე თვალდახუჭულს შემეძლო ასვლა-ჩასვლაო, გამზადებული ფრაზები ყოველთვის ასეთია, აზრის ყველა ნიუანსს ვერ გამოხატავს, და ეს ფრაზაც ვერ პოულობს განსხვავებას დახუჭულ და უსინათლო თვალებს შორის. მეორე სართულზე მისი ბინის კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. შავსათვალნიანმა ქალიშვილმა ხელით კედელზე ზარს მიაგნო. შუქი არ არის, შეახსენა ექიმის ცოლმა, და ეს სამი სიტყვა, იმაზე მეტს რომ არ ნიშნავს, რაც ყველამ ისედაც იცის, ქალიშვილს ცუდად ენიშნა. კარზე დააკაკუნა, ერთხელ, მეორედ, მესამედ, მესამედ უკვე გამეტებით, მთელი ძალით, მუშტებით, და მორთო ყვირილი, დედა, დედიკო, მამა, მამიკო, მაგრამ არავინ გამოსულა, და ვერც კნინობით-ალერსიანმა მიმართვამ შეცვალა სინამდვილე, არავის უთქვამს, შვილო, როგორც იქნა, თორემ ვიფიქრეთ, ველარასდროს გნახავდით, შემოდი, ეს

შენი მეგობარია, მობრძანდით, ძალიან სასიამოვნოა, ცოტა არეულობაა, უკაცრავად, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მაგრამ არც ასე, არც სხვაგვარად, არავინ გამოხმაურებიან. არავინაა, თქვა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა, შუბლით კარს მიეყრდნო და მწარედ აქვითინდა, ჩვენთვის კი ბოლომდე ამოუცნობია, როგორ არის მოწყობილი ადამიანის სული, ამიტომაც გვიკვირს, რომ მშობლებზე ასე დარდობს, ასეთ სასოწარკვეთილებას ეძლევა ეს ქალიშვილი, პირდაპირ ვთქვათ, საკმაოდ თავისუფალი ყოფაქცევის, თუმცა, ცოტა ხნის წინ ვამტკიცებდით, რომ ერთს მეორესთან არავითარი კავშირი არც აქვს და არც ჰქონია. ექიმის ცოლს კი უნდოდა ნუგეში ეცა, მაგრამ რა უნდა ეთქვა, როცა იცოდა, რომ ახლანდელ ვითარებაში შინ დიდხანს პრაქტიკულად ვერავინ დარჩებოდა. მოდი, მეზობლებს ვკითხოთო, მოდიო, უპასუხა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა, თუმცა, ხმაზე ეტყობოდა, დიდი იმედი არ ჰქონდა. მოპირდაპირე ბინის კარზე დააკაკუნეს, მაგრამ იქიდანაც არავინ გამოხმაურებიან. ზედა სართულზე ორივე ბინის კარი ღია იყო, თავად ბინები კი - მთლიანად გაძარცული, ტანსაცმლის კარადები - ცარიელი, იქ, სადაც სურსათს ინახავდნენ, მისი ნასახიცი კი არ იყო, თუმცა, იმის კვალი კი ჩანდა, რომ აქ არც ისე დიდი ხნის წინ ვილაც შემოეხეტა, რადგან ახლა უკვე, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, მაწანწალებად ქცეული უსინათლოები ერთი ბინიდან მეორეში, ერთი სიცარიელიდან მეორეში დაძრწიან.

პირველ სართულზე დაბრუნდნენ და ექიმის ცოლმა უახლოეს კარზე დააკაკუნა, ჯერ სიჩუმე იყო, მერე დამფრთხალმა ხმამ უხეშად იკითხა, ვინ ხარო, შავსათვალნიანი ქალიშვილი კართან მივიდა და უთხრა, მე ვარ, თქვენი მეზობელი ზედა სართულიდან, მშობლებს ვეძებ, ხომ არ იცით, სად არიან, რა დაემართათო. ფეხის ფრატუნის ხმა გაისმა, კარი გაიღო და გამოჩნდა სრულიად გატანჯული, ძვალად და ტყავად ქცეული ბებერი ქალი აწეწილი ჭაღარა თმით. ბინა-

ში ხრწნისა და სიღამპლის ისეთი სუნი იდგა, რომ ორივემ უნებ-
ლიეთ უკან დაიხია. დედაბერი ფართოდ გახელილი თეთრი თვა-
ლებით მიაშტერდათ. არ ვიცი, სად არიან, შენ რომ წაგიყვანეს,
მეორე დღეს მათაც მოაკითხეს, მაშინ ჯერ კიდევ ვხედავდი. არის
შენობაში ვინმე. დროდადრო კიბებზე ფეხის ხმა მესმის, ადიან,
ჩამოდინან, მაგრამ ეს ჩვენი მეზობლები კი არა, მაწანწალები მო-
დიან ღამის გასათევად. ჩემი მშობლები. აკი გითხარი, მათ შესა-
ხებ არაფერი ვიცი-მეთქი. თქვენი ქმარი სადაა, ვაჟიშვილი, რძა-
ლი. ყველა წაიყვანეს. თქვენ რატომ არ წაგიყვანეს. დავიძალე.
სად. სად და შენს ბინაში. როგორ შეხვედით. სახანძრო კიბით
ავედი, ფანჯარა ჩავამტვრიე, კარი შიგნიდან გავაღე, გასაღები
კარში იყო და შევედი. ამდენი ხანი აქ მარტო როგორ ხართ,
ჰკითხა ექიმის ცოლმა. ეს ვინღაა, იკითხა შემფოთებულმა მო-
ხუცმა. ჩემი მეგობარია, ერთად ვართ, უთხრა შავსათვალისანმა
ქალიშვილმა. რას ჭამთ, ისევ ჰკითხა ექიმის ცოლმა. წყალწალე-
ბული კი არა ვარ, როგორღაც ვახერხებ თავის გატანას. არ გინ-
დათ და ნუ მეტყვი, ისე გკითხეთ, დავინტერესდი. რატომაც არა,
გეტყვი, ჯერ სახლში ყველა ბინა მოვიარე, ყველაფერი შევაგრო-
ვე, რისი ჭამაც შეიძლებოდა, რაც მალე გაფუჭდებოდა ჯერ ის
შევჭამე, დანარჩენი შევინახე. დაგრჩათ რამე, ჰკითხა შავსათვა-
ლისანმა ქალიშვილმა. არა, ყველაფერი გამითავდა. ეს რომ
თქვა, ბებრის უსინათლო თვალებში უნდობლობა გაკრთა, თუმ-
ცა, ესეც მხოლოდ გავრცელებული გამოთქმაა, ასეთ სიტუაციაში
რომ იხმარება, თორემ თვალებში, როგორიც გინდა იყოს, გინდ
ხედავდეს და გინდ ვერა, ან სულაც ბუდიდან იყოს ამოგდებული,
ვერაფერი გაკრთება, რადგან ეს მხოლოდ ორი ბურთია, სრული-
ად ინერტული, და მხოლოდ ქუთუთოებს, წამწამებსა და წარბებს
აკისრია მჭევრმეტყველებისა და რიტორიკის ვიზუალური გამო-
ხატვის მთელი ტვირთი. მაინც რით ირჩინთ თავს, ჰკითხა ექიმის
ცოლმა. სიკვდილი ქუჩებში დააბიჯებს, აქ, ეზოში კი ჯერ კიდევ

შემორჩა სიცოცხლე, კომბოსტო იზრდება, ქათმები კრიახობენ, ბოცვრებიც მყავს, ყვავილებიცაა, მაგრამ არ იჭმება. ეს როგორ. როგორ და ასე, ხან კომბოსტოს ვახრამუნებ, ხან ქათამს წავაც-ლი თავს, ხან ბოცვერს დავკლავ. და უმად ჭამთ. თავიდან ცეცხლს ვანთებდი, მერე კი უმის ჭამას შევეჩვიე, თანაც კომბოსტოს ღერო ისეთი ტკბილია, ნუ ღელავთ, დედაჩემის შვილი შიმშილით არ მოკვდება. დედაბერმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია, ბინის სიღრმე-ში ბნელოდა და ამ სიბნელიდან მისი თეთრი თვალები ანათებდა. იქიდან უთხრა, თუ ბინაში შესვლა გინდა, გასწავლი, როგორ შეხვი-დეო. შავსათვალთან ქალიშვილს უნდოდა ეთქვა, არა, გმადლობთ, არ ღირს, რაკი ჩემი მშობლები იქ არ არიანო, მაგრამ უცებ ძალიან მოუნდა, შინ შესულიყო, თავისი ოთახი ენახა. რა სულელი ვარ, რო-გორ უნდა ვნახო, გაიფიქრა, მაგრამ კედლებს ხომ მაინც შევეხები, ჩემს ლეიბს, ჩემს ბალიშს, რომელზეც ხშირად ვდებდი ამ ქარაფშუ-ტა თავს, მაგიდას, სკამებს, და იქნებ კომოდზე ისევ დგას ყვავილე-ბიანი ლარნაკი, თუ ამ დედაბერმა არ გადააყირავა, გაბრაზებულმა იმის გამო, რომ ყვავილები არ იჭმება. და უთხრა, კეთილი, გმად-ლობთ, მაშ, ვისარგებლებ თქვენი შემოთავაზებით. შემოდი, შემო-დი, ოღონდ იცოდე, აქ საჭმლის შოვნის იმედი არ გქონდეს, რაც არის, ისიც არ მყოფნის, თანაც უმს ხომ არ შეჭამ. ნუ ღელავთ, საჭ-მელი გვაქვს. მართლა, მაშ, სიკეთე სიკეთით გადამიხადეთ და ცოტა მაინც დამიტოვეთ. დაგიტოვებთ, აუცილებლად დაგიტოვებთ, უთ-ხრა ექიმის ცოლმა. დერეფანი რომ გაიარეს, სუნი უფრო აუტანელი გახდა. სამზარეულოში, სადაც დღის სინათლე ძლივს აღწევდა, ია-ტაკზე ბოცვრის ტყავი ეგდო, ქათმის ძვლები, ბუმბული ეყარა, მაგი-დაზე კი თეფშით გაურკვეველი წარმოშობის ხორცის სისხლშემსმა-რი ნაჭრები იდო, უკვე რამდენჯერმე გაღეჭილ-გაღრღნილი. ქათ-მებსა და ბოცვრებს რას აჭმევთ, ჰკითხა ექიმის ცოლმა. რაც მომ-ხვდება, კომბოსტოს, ბალახს, ნარჩენებს, უთხრა მოხუცმა. რის ნარ-

ჩენებს. ყველაფერს, რასაც მე ვერ ვჭამ, თუნდაც ხორცის ნარჩენებს. ქათმები და ბოცვრები ხორცს არ ჭამენ. ბოცვრები არა, ქათმები კი მშვენივრადაც მიირთმევენ, ჩვენ გვგვანან, ყველაფერს ეჩვევიან. დედაბერი თავდაჯერებულად მოძრაობდა, არ ბორძიკობდა, სკამი, გავლაში რომ უშლიდა ხელს, გვერდზე მიდგა, თითქოს ხედავსო, და თითოთ სახანძრო კიბის კარზე მიანიშნა. ოღონდ, ფრთხილად, მოაჯირები სულ მორყეულია, აქეთ-იქით ქანაობს. კარი, იკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ჩაკეტილი არ არის, ხელს ჰკრავ და გაიღება, გასაღები კი აი, მე მაქვს. ეს ჩემი გასაღებია, მომეცით, უნდოდა ეთქვა ქალიშვილს, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ გასაღები არაფერში სჭირდებოდა, რაკი ყველაფერი მშობლებმა ან სხვებმა გაზიდეს, ყოველ ჯერზე ამ ბებერს ხომ არ სთხოვს, როცა შესვლა ან გამოსვლა მოუნდება. გული შეეკუმშა, იქნებ იმის გამო, რომ საკუთარ სახლში უნდა შესულიყო, იქნებ იმის გამო, რომ მშობლები იქ არ დახვდებოდნენ, ან იქნებ სულ სხვა რამის გამო.

სამზარეულო დასუფთავებული და მილაგებული დახვდათ, არც ავეჯი იყო ძალიან დამტვერილი, და გარდა იმისა, რომ უხვად ირწყვება კომბოსტო და ბალახი, ეს კიდევ ერთი დამსახურებაა წვიმიანი ამინდებისა, და ზემოდან ეზოს რომ გადახედა, ექიმის ცოლმა ნამდვილი ჯუნგლი დაინახა, ოღონდ მინიატიურული. ნუთუ აქ ბოცვრები თავისუფლად დასეირნობენ, გაიფიქრა მან, არა, გალიაში არიან გამოკეტილი, ელიან, როდის გაუწვდით უსინათლოს ხელი კომბოსტოს ფურცელს და ერთხელაც ყურებში წაავლებს ხელს, გამოათრევს, რამდენიც უნდა იფართხალოს, და ბრმად მოქნეული ხელით ისე ჩასცხებს რამეს, რომ კისრის მალეებს გადაუმტვრევს. მეხსიერება უსინათლო ქალიშვილს ოთახში ისე დაატარებს, როგორც იმ დედაბერს ქვედა სართულზე, არც წაბორძიკებულა, არც შემდრკალა, მერე ორადგილიან

საწოლზე ჩამოჯდა, ლოგინიც არ აულაგებიათ, ეტყობა, მშობლები გამთენიისას წაიყვანეს, ჩამოჯდა და ატირდა. ექიმის ცოლიც იქვე იდგა, უთხრა, ნუ ტირიო, აბა, სხვა რა უნდა ეთქვა, რა აზრი აქვს ტირილს, როცა მთელმა სამყარომ აზრი დაკარგა. ქალიშვილის საძინებელში, კომოდზე ლარნაკი იდგა, წყალი დიდი ხანია ამომშრალიყო, ლარნაკში კი გამხმარი თაიგული იდო, უსინათლო ხელები გაიშვირა და თითებით შეეხო ყვავილის მკვდარ ფურცლებს, რაოდენ უსუსურია უყურადღებოდ მიტოვებული სიცოცხლე. ექიმის ცოლმა ფანჯარა გამოაღო, ქუჩაში გაიხედა, დაინახა, რომ დანარჩენები მიწაზე დამსხდარან და მოთმინებით ელოდებიან, მხოლოდ ცრემლის ძაღლმა ასწია თავი, მახვილმა სმენამ ამოახედა. ისევ მოიღრუბლა, ჩამობნელდა, საღამოც ახლოვდება. გაიფიქრა, დღეს თავშესაფრის ძებნა აღარ დაგვჭირდება, აქ დავრჩებითო. იმ დედაბერს არ ესიამოვნება, თუ ყველა მისი ბინის გავლით შემოვალთო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა. შავსათვალიანი ქალიშვილი მხარზე შეეხო, გასაღები კარშია, არ წაუღიათო. კიდევ კარგი, ეს მაინც აღარ იქნება პრობლემა, თუკი ამას პრობლემად მივიჩნევთ, აღარ გახდება საჭირო მოხუცი ქალის მოთმინების გამოცდა. ჩავაკითხავ მათ, მალე მოსალამოვდება, რა კარგია, ღამეს რომ სახლში, ჭერქვეშ გავატარებთ, თქვა ექიმის ცოლმა. თქვენ და თქვენი ქმარი აქ დაწვებით. ეგ მერე გადავწყვიტოთ. თქვენ სტუმრები ხართ, მე კი მასპინძელი, ასე რომ, როგორც ვიტყვი, ისე იქნება. კეთილი, ნება შენია, უთხრა ექიმის ცოლმა და შავსათვალიანი ქალიშვილს გადაეხვია, მერე კი დანარჩენებს ჩააკითხა. კიბეზე ასვლისას საუბრობდნენ, ზოგჯერ კიბეს ფეხს აცდენდნენ, თუმცა, გააფრთხილეს, რომ ყოველ უჯრედში ათი საფეხურია. სტუმრად მიმავლებს ჰგავდნენ. ცრემლის ძაღლი ისე გულდაგულ მიჰყვებოდათ, თითქოს მთელი ცხოვრება მათთან ერთად გაეტარებინოს. ზემოდან შავსათვალიანი ქალიშვილი გადმოჰყურებდათ, ოდითგანვე ასეა, გამოდიხარ, რომ გახედო, უცხო ხომ

არავინ გესტუმრა, ან მიესალმო, თუ მეგობრები არიან, ამ შემთხვევაში თვალეები არც გჭირდება იმის გასაგებად, თუ ვინ მოვიდა, მობრძანდით, მობრძანდით და მოშინაურდითო. პირველ სართულზე მოხუცმა ქალმა გამოიჭყიტა, იფიქრა, კიდევ ვიღაც შემოეხეტა ღამის გასათევადო, და კითხვაზე, ვინ ხართო, შავსათვალნიანმა ქალიშვილმა უპასუხა, ჩემთან არიანო, დედაბერი კი, გაოცებული, სადარბაზოში როგორ მოხვდაო, მაშინვე მიხვდა და საკუთარ თავზე გაბრაზდა, რომ ბინის გასაღების მოძებნა და წამოღება ვერ მოიფიქრა, რითაც ერთგვარად დაკარგა ამ სახლზე საკუთრების უფლება, სადაც უკვე რამდენიმე დღეა ერთადერთი ბინადარია. გულს მობჭენილი წყენის გაქარვების სხვა გზა ვერ მოიფიქრა და ზემოთ ასძახა, არ დაგავიწყდეთ, საჭმელს რომ შემპირდითო. და რაკი არც ექიმის ცოლმა და არც შავსათვალნიანმა ქალიშვილმა არ უპასუხეს, რადგან ერთი - მოსულთა განთავსებით, ხოლო მეორე სტუმრების მიღებით იყო დაკავებული, გაბრაზებულმა ასძახა, მანდ რა, დაყრუვდითო, და შეცდა, ასე რომ მოიქცა, რადგან ცრემლის ძაღლმა, რომელიც სწორედ იმწუთას გაუსწორდა მის კარს, ისეთი ყეფა აუტეხა, მთელი სადარბაზო შეზანზარდა. ამ ყეფამ მართლაც რომ ჯადოსნურად იმოქმედა, რადგან დედაბერმა შეშინებულმა შეჰკივლა, შინ შევარდა და კარი მიიჯახუნა. ეს ალქაჯი ვინააო, იკითხა შავსათვალნიანმა მოხუცმა, რითაც დაამტკიცა, რომ ადამიანს ხშირად უჭირს სხვის მდგომარეობაში შესვლა, ვნახოთ ერთი, ამ ხნის თუ მოიყრები, რამდენად შეგრჩება თავაზიანობა.

იმ საჭმლის გარდა, რაც მოიტანეს, არაფერი ჰქონდათ, წყალს ძალიან მომჭირნედ ხარჯავდნენ, წვეთწვეთობით, განათებაში კი გაუმართლათ, კარადაში ორი სანთელი იპოვეს, დენის გამორთვის შემთხვევისათვის შემონახული, და ექიმის ცოლმა მხოლოდ საკუთარი კომფორტისათვის აანთო, რადგან სხვებს სულაც არ სჭირდებოდათ, თავში ისედაც შუქი ენთოთ, ისეთი

ძლიერი, რომ დააბრმავა კიდეც. მეტი არც არაფერი იყო, თუმცა, ესეც საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ ოჯახური ზეიმი გამოსვლოდათ, აი, ისეთი, იშვიათი, როცა ის, რაც ეკუთვნის ერთს, ყველა დანარჩენსაც ეკუთვნის. ვიდრე მაგიდას მიუსხდებოდნენ, ექიმის ცოლი და შავსათვალნიანი ქალიშვილი პირველ სართულზე ჩავიდნენ, დანაპირები შეასრულეს, უფრო სწორად, შეასრულეს მოთხოვნა, ნატურით გადაიხადეს იქაური საბაჟოთი სარგებლობის საფასური. დედაბერი მათ ჯიჯღინითა და საყვედურებით დახვდათ, წყეული ძაღლი, კინალამ ცოცხლად შემჭამა, ბეწვზე გადავრჩიო. ამხელა ცხოველის გამოსაკვებად წარმომიდგენია, რამდენი საჭმელია საჭირო, სცადა, საყვედურის გამომხატველი ამ მინიშნებით მათში სინდისის ნატამალი გაეღვიძებინა, და მართლაც, იქნებ უთხრან ერთმანეთს, რომ არ ეგების საბრალო მოხუცი აშიმშილო, როცა ასეთი ავი ძაღლი გასკდომამდე ჭამს. მაგრამ არა, ეს ორი ქალი მეტის მოსატანად აღარ წასულა, რაც მოუტანეს, ისიც საკმაოდ გულუხვ ნობათად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობის გათვალისწინებით, და დედაბერმა, რომელიც არც ისე გაბრაზებული იყო, როგორც შეიძლება ვინმეს მოსჩვენებოდა, ყველაფერი ძალიანაც სწორად გაიგო და უცებ საიდანლაც დააძრო უკანა კარის გასაღები, შავსათვალნიან ქალიშვილს მისცა და უთხრა, გამომართვი, ეს შენი გასაღებიაო, მერე, კარს რომ ხურავდა, ჩაიბურტყუნა, დიდი მაღლობაო. კიბეზე გაოგნებულები აღიოდნენ, თურმე ამ აშარი დედაბრისთვისაც არ ყოფილა უცხო კეთილი გრძნობები. ცუდი ქალი სულაც არ არის, მაგრამ ამდენი ხანი მართოდ ყოფნამ, ეტყობა, ცოტა შეშალაო, თქვა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა, და, როგორც ჩანს, სრულიად დაუფიქრებლად. ექიმის ცოლმა არ უპასუხა, გაიფიქრა, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთო, და აი, როცა ყველა მიწყნარდა, დასაძინებლად გაემზადა, ზოგმა დაიძინა კიდეც, ესენი სამზარეულოში განმართოვ-

დნენ, როგორც დედა-შვილი, სტუმრების წასვლის მერე სახლის მილაგებას რომ აპირებენ, ჰკითხა, ახლა რას აპირებო. არც არაფერს, აქ დავრჩები, მშობლებს დაველოდებო. მარტო და უსინათლო. სიბრმავეს უკვე მივეჩვიე. მარტოობას. მეც მივეჩვიე, ეს ქალი ხომ ცხოვრობს მარტო. გინდა, ასეთი გახდე, კომბოსტო და უმი ბოცვრის ხორცი ჭამო, ისიც რამდენ ხანს გეყოფათ, როგორც ვატყობ, ამ უბანში არც აღარავინ დარჩა, ჰოდა, იქნებით მარტო თქვენ ორნი, სიძულვილით შეპყრობილნი იმის შიშით, რომ საჭმელი გამოგელევათ, და ერთმანეთს პირიდან ლუკმას გამოაცლით, თან ვერ ხედავ, ეს უბედური რას დაემსგავსა და მის ბინაში რა ხდება, შენ მხოლოდ სუნი იგრძენი, ამიტომ გეტყვი, რომ ჩვენი საგიჟეთი იქაურობასთან მონაგონია. ადრე თუ გვიან, ყველა ასეთი გავხდებით, მერე კი საერთოდ შევწყვეტთ არსებობას, დამთავრდება სიცოცხლე. ჯერ ხომ ცოცხლები ვართ. მისმინე, ჩემზე ბევრად მეტი იცი, შენთან შედარებით ნამდვილი ჩურჩუტი ვარ, მაგრამ მგონია, უკვე დავიხოცეთ, ბრმებიც იმიტომ ვართ, რომ მკვდრები ვართ, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვდრები იმიტომ ვართ, რომ ბრმები ვართ, რაც ერთი და იგივეა. მაგრამ მე ჯერ ვხედავ. შენი და შენი ქმრის საბედნიეროდ, ჩემი და დანარჩენების საბედნიეროდ, მაგრამ ვინ იცის, ეს რამდენ ხანს გასტანს, რომ დაბრმავდე, ჩვენნაირი გახდები, ჩვენ ყველა კი ამ დედაბრისნაირი. დღეს არის დღეს, ხვალ იქნება ხვალ, პასუხისმგებლობა კი დღეს მაკისრია, სანამ ვხედავ. რა პასუხისმგებლობა. ის პასუხისმგებლობა, რომ უსინათლოთა შორის მხოლოდ მე ვხედავ. ქვეყნად ყველა უსინათლოს პატრონი და მარჩენალი ვერ იქნები. უნდა ვიყო. ვერ შეძლებ. ვინც ჩემ გვერდითაა, იმათ მაინც დავეხმარები. ვიცი, განა არ ვიცი, შენ რომ არა, ალბათ, ცოცხალიც არ ვიქნებოდი. მე კი მინდა, რომ ცოცხალი იყო. ცოცხალი უნდა ვიყო, ახლა ეს ჩემი ვალია, ეს ჩე-

მი სახლია და თუ ჩემი მშობლები დაბრუნდებიან, მინდა აქ დავხვდე. თუ დაბრუნდებიანო, შენ თქვი, მაგრამ გასარკვევია, შენი მშობლები კი იქნებიან ისინი. ვერ გავიგე. იმ დედაბერზეც ხომ თქვი, ყოველთვის ასეთი გაბორბლებული არ იყო. საცოდავი. საცოდავები შენ და შენი მშობლები იქნებით, როცა შეხვდებით ერთმანეთს, აღარც მხედველობა, აღარც გრძნობები, რადგან ის გრძნობები, რომლებითაც ვცხოვრობდით და რომლებიც გვაიძულებდა, გვეცხოვრა ისე, როგორც ვცხოვრობდით, იმ თვალხილულ ადამიანთა გრძნობები იყო, როგორიც დავიბადეთ, უსინათლოებს კი სხვა გრძნობები აქვთ, არ ვიცი. როგორი, არც მკითხო, რატომ გახდნენ ასეთები, აკი თქვი, მკვდრები ვართო, რადგან ბრემები მართლაც მკვდრები არიან.

შენი ქმარი ხომ გიყვარს. ჰო, საკუთარ თავზე მეტად, მაგრამ რომ დავბრმავდე, ისეთი ხომ აღარ ვიქნები, როგორიც ვიყავი, შევძლებ კი მიყვარდეს მერე, ან რაღა სიყვარული იქნება ეს. ადრე, როცა ვხედავდით, მაშინაც ხომ იყვნენ უსინათლოები. შედარებით ცოტა, თანაც ისეთივე გრძნობები ჰქონდათ, როგორიც თვალხილულთ, ანუ არა თავისი, უსინათლოების, არამედ თვალხილულების, ახლა კი ქვეყნად იბადება უსინათლოთა ნამდვილი გრძნობები, ჩვენ კი ამ გზის მხოლოდ დასაწყისში ვართ და ჯერჯერობით მხოლოდ წარსულის ხსოვნით ვცხოვრობთ, და თვალები სულაც არ არის საჭირო საიმისოდ, რომ გაიგო, როგორი ცხოვრებაა ახლა, და ჩემთვის ადრე რომ ეთქვათ, შეიძლება ადამიანი მოკლაო, ვერ დავიჯერებდი და შეურაცხყოფილი დავრჩებოდი, არადა, ხომ მოკვალი. რა გინდა, როგორ მოვიქცე. ჩვენთან წამოდი. მერე დანარჩენები. ეს მათაც ეხება, მაგრამ შენ განსაკუთრებით მადარდებ. რატომ. თავადაც არ ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ დასავით გიყურებ, ან იმიტომ, რომ ჩემი ქმარი იწვა შენთან. მაპატიე. ეს დანაშაული არ არის და არც პატიებას საჭიროებს. ჩვენ სისხლს გწოვთ, პარაზიტებად გადავიქცევით.

პარაზიტების დეფიციტი არც მაშინ იყო, როცა ადამიანები ხედავდნენ, ხოლო სისხლს რაც შეეხება, რისთვისაა საჭირო, განა მხოლოდ იმისთვის, რომ სხეულში მისი ცირკულირება ხდებოდეს, ახლა კი, წამოდი, დავიძინოთ, ხვალ ახალი დღე გველის. ვინ იცის, რამდენად ახალი იქნება.

ელამ ბიჭუნას, რომელსაც რაღაცამ აწყინა და საშინლად აეშალა კუჭი, შუადამისას გაელვიდა და ტუალეტში წავიდა, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, რომ იქ ვერ შევიდოდა, რადგან დედაბერი პირველი სართულიდან მთელი სახლის ყველა ტუალეტს ხმარობდა და ისეთ დღეში ჩააგდო, რომ შესვლა შეუძლებელი იყო, ეს არავინ იცოდა მხოლოდ იმის გამო, რომ წუხელ ძილის წინ შვიდიდან არც ერთს არ დასჭირვებია იქ შესვლა, ახლა კი ლამის ერთდროულად იგრძნეს ამის გადაუდებელი აუცილებლობა, განსაკუთრებით კი საწყალმა ბიჭუნამ, რომელიც ძლივს იკავებდა თავს და, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ამის აღიარება, მაგრამ ასეთი უხერხული ყოფითი რეაქციები უნდა გავითვალისწინოთ და ავსახოთ ნებისმიერი თხრობისას, რადგან, როცა კუჭი წესრიგშია, ყველას შეუძლია იმსჯელოს, ვთქვათ, იმაზე, არსებობს თუ არა კავშირი თვალეხსა და გრძნობებს შორის ან შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობა კარგი მხედველობის შედეგად მივიჩნიოთ, ხოლო როცა მუცელი გიწრიალებს, კუჭში გასვლას ჩქარობ, როცა სხეული სპეციფიკურ ტანჯვაშია და აღარ გემორჩილება, სწორედ მაშინ ხდება ცხადი, რომ პატარა ცხოველები ვართ და სხვა არაფერი. დროზე, ეზოშიო, დაიძახა ექიმმა და მართალიც იყო. რომ არა ადრიანი დილა, უკვე შეხვდებოდნენ მეზობელს პირველ სართულზე, ისე, დროა, ღმერთმანი, უკუვაგდოთ ეს ჩვეული დამამცირებელი მანერა, ამ ქალს დედაბერს რომ ვუწოდებთ, ჰოდა, წავაწყდებოდით იქ ჩაცუცქულს, ქათმებით გარშემორტყმულს, ხოლო თუ ვინმე იკითხავს, ქათმები რა

შუაშიაო, მერწმუნეთ, მას წარმოდგენაც კი არა აქვს ამ ფრინველის
ზნე-ჩვეულებებზე. წელში მოკაკავული ელამი ბიჭუნა, ძლივს რომ
იკავებდა თავს, ექიმის ცოლის დახმარებით გაჭირვებით დაეშვა კი-
ბებზე და ველარ შეიკავა თავი, ვერც უსაყვედურებ, კიდევ კარგად გაძ-
ლო, მაგრამ ბოლოს სფინქტერი შიგნიდან დაწოლას დანებდა, ასე
რომ, დანარჩენი თავად წარმოიდგინეთ. ამასობაში სხვებმაც ძლივს
ჩააღწიეს ძირს სახანძრო კიბით და თუ ჯერ კიდევ კარანტინში ყოფ-
ნის პერიოდიდან მოყოლებული სირცხვილის გრძნობას ინარჩუნებ-
დნენ, ახლა საბოლოოდ დაკარგეს. ეზოში აქეთ-იქით ჩაცუცქდნენ,
თან იჭინთებოდნენ, ხვნეშოდნენ სრულიად უადგილო და უაზრო
მორიდების გრძნობით შეწუხებულნი, და შეუდგნენ თავიანთ საქმეს,
მათ შორის ექიმის ცოლიც, თუმცა, ის ტიროდა, რადგან უყურებდა
მათ, ყველას - თავის ქმარს, პირველ უსინათლოსა და მის ცოლს,
შავსათვლიან ქალიშვილს, შავსახვევიან მოხუცს, ელამ ბიჭუნას,
ხედავდა, როგორ ჩაკუმბულიყვნენ ბალახში, კომბოსტოს თავებს შო-
რის, ქათმები კი ყურადღებით მისჩერებოდნენ, ჰო, ცრემლის ძალ-
ლიც ჩამოჰყვათ იმავე საქმისთვის. გამოიწმინდეს, რითაც შეძლეს,
თუმცა, ნაჩქარევად და უხეიროდ, იმით, რაც ხელთ მოხვდათ, ბლუჯა
ბალახით თუ კრამიტის ნატეხით, და ამიტომ კიდევ უფრო მოით-
ხვარნენ. მერე მდუმარედ ისევ აუყვნენ სახანძრო კიბეს, და პირვე-
ლი სართულის მეზობელი არ შეფეთებიათ შეკითხვით, ვინ ხართ,
საიდან მოდიხართ, სად მიდიხართო, ეტყობა, ჯერ კიდევ ეძინა წუ-
ხანდელი მოულოდნელად გემრიელი ვახშმის შემდეგ, და როცა ბი-
ნაში შევიდნენ, ჯერ არ იცოდნენ, რა ეთქვათ, მაგრამ მერე შავსათ-
ვლიანმა ქალიშვილმა გამოაცხადა, ასეთ ყოფაში ხომ ვერ ვიქნე-
ბითო, ჰო, აბა, რა, წყალი არ არის, ამიტომ ვერ დაიბანენ, სამწუხა-
როა, გუშინდელივით რომ არ წვიმს, თორემ ისევ ეზოში გაცვივდე-
ბოდნენ, ოღონდ ახლა ურცხვად გაშიშვლებულნი, თავსა და მხრებს
შეუშვერდნენ მადლიან წვიმას, იგრძნობდნენ, როგორ დაუსველდე-
ბოდათ ზურგი, მკერდი, ფეხები, პეშვით შეაგროვებდნენ ციურ ნამს,

დაარწყულებდნენ ნებისმიერ მწყურვალს, და არა უშავს რომ ტუჩები ჯერ ხელს შეეხებოდა და მერე წყალს, მაინც ბოლომდე დაეწაფებოდნენ, ბოლო წვეთამდე შესვამდნენ, და ვინ იცის, მერე იქნებ სხვა წყურვილიც აღძვროდათ. შავსათვალნიან ქალიშვილს, როგორც ეს უკვე არაერთხელ ვნახეთ, თუკი რამ შეცდომაში შეიყვანს, მხოლოდ მოჭარბებული ფანტაზიები, და კარგი იქნება, თუ ამ ტრაგიკომიკურ და გამოუვალ მდგომარეობაში გაითვალისწინებს ამას. თუმცა, მეორე მხრივ, იმის დასტურად, რომ პრაქტიკულ გამჭრიახობასაც არ არის მოკლებული, ჯერ თავის საძინებლის კარადაში ეძება, მერე მშობლების საძინებელში, და რამდენიმე ზეწარი და პირსახოცი გამოიტანა. ამით გავიწმინდოთო, თქვა, სულ არაფერს მაინც ჯობიაო, ისე, ჭკვიანური აზრი იყო, რადგან მაგიდას რომ მიუსხდნენ, სულ სხვა ადამიანებად გრძნობდნენ თავს.

მაგიდასთან რომ ისხდნენ, ექიმის ცოლმა ასეთი რამ თქვა: დადგა დრო, გადავწყვიტოთ, რა უნდა ვქნათ, დარწმუნებული ვარ, ყველა დაბრმავებულია, ყოველ შემთხვევაში, ვინც აქამდე მინახავს, ყველა ისე იქცეოდა, როგორც უსინათლო, წყალი არა გვაქვს, შუქი არა გვაქვს, ვერაფერს ვშოულობ, ირგვლივ ნამდვილი ქაოსია. საინტერესოა, მთავრობა თუ გვყავს, იკითხა პირველმა უსინათლომ. არა მგონია, და თუ გვყავს, ეს უსინათლოთა მთავრობა იქნება, რომელსაც სურს, მართოს უსინათლოები, ანუ არავინ ცდილობს, რამე იღონოს. ესე იგი, მომავალი არ არსებობს, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა. მომავლისა რა მოგახსენოთ, მე უფრო ის მაინტერესებს აწმყო როგორ გავუძლოთ. მომავლის გარეშე აწმყო რისი მაქნისია, გამოდის, არც ის არსებობს. იქნებ კაცობრიობამ თვალების გარეშე ისწავლოს ცხოვრება, მაგრამ მაშინ ის კაცობრიობა აღარ იქნება, ამას ხომ არსებული რეალობა უკვე მოწმობს, აბა, რომელ თქვენგანს შეუძლია

ისევე თამამად უწოდოს თავს ადამიანი, როგორც ადრე, მე, მაგალითად, მკვლელობა ჩავიდინე. კი მაგრამ, ვინ მოკალი, გაოგნდა პირველი უსინათლო. ის, ვინც მარცხენა ფრთაში უფროსობდა, მაკრატლით ყელი გამოვლადრე. მოკალი, რომ შური გეძია, ქალებისთვის კი შური რომ იძიო, ქალი უნდა იყო, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, შურისძიება კი, თუ სამართლიანია, სავსებით ადამიანური გრძნობაა, თუ მსხვერპლს არა აქვს ჯალათის დასჯის უფლება, მაშასადამე, სამართლიანობაც არ არსებობს. და არც ადამიანობა, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა. მოდი, თემას ნუ გადავუხვევთ, თქვა ექიმის ცოლმა, თუ ერთად ვიქნებით, იქნებ გადავრჩეთ, თუ დავიშლებით, ეს შავბნელი მასა გვშთანთქავს და გაგვანადგურებს. თავად არ თქვი, უსინათლოები ჯგუფებად ერთიანდებიანო, ეს კი ნიშნავს, რომ ცდილობენ, მოიფიქრონ, როგორ გადარჩნენ, რაღა მაინცდამაინც ჩვენ დავიღუპებით. არ ვიცი, რამდენად ორგანიზებული არიან, ჯერჯერობით მხოლოდ ის შევნიშნე, რომ საჭმელსა და ღამის გასათევს ერთად ეძებენ. პირველყოფილთა ურდოდ ვიქეცით, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ველური ბუნების უკიდევანო ველებზე მოთარეშე ათობით ათასი ქალი და მამაკაცი კი არა, მილიარდები ვართ ამ გამოფიტულ და გავერანებულ სამყაროში. ამ გამოფიტულ, გავერანებულ და თანაც ბრმა სამყაროში, დასძინა ექიმის ცოლმა, როცა საჭმლისა და წყლის შოვნა სრულიად შეუძლებელი გახდება, ეს ჯგუფები, ალბათ, დაიშლება, რადგან თითოეული იფიქრებს, მარტო უფრო ადვილად გავიტან თავს, აღარ მომიწევს, ვინმეს ვუწილადო, რასაც მოვიპოვებ, მხოლოდ ჩემი იქნება და სხვა არავისიო. ამ ჯგუფებს ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს, ვინც მართავს და უბრძანებს დანარჩენებს, შეახსენა პირველმა უსინათლომ. შესაძლოა, მაგრამ ბრძანების გამცემიც ისეთივე უსინათლოა, როგორიც ბრძანების შემსრულებელი. შენ ხომ არა ხარ უსინათლო, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, ამიტომაც გვმართავ და გვიბრძანებ. არაფერსაც არ გიბრძანებთ, მხოლოდ

იმას ვცდილობ, გმართოთ როგორც შემძლია, ასე რომ, იცოდეთ, ის ერთადერთი წყვილი თვალი ვარ, რომელიც დაგრჩათ. ნამდვილი წინამძღოლი ხარ, უთხრა შავსახვევიანმა მოხუცმა, უსინათლოთა ქვეყნის თვალხილული მბრძანებელი. თუ ასეა, კვლავაც ისარგებლეთ ჩემი თვალებით, სანამ მაქვს, ამიტომაც გთავაზობთ, საკუთარ სახლებში კი არ დაბრუნდეთ, არამედ ერთად ვიყოთ. შეგვიძლია აქ დავრჩეთ, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ჩვენ უფრო დიდი ბინა გვაქვს, შესთავაზა პირველმა უსინათლომ. თუ ვინმე არ შესახლდა, დასძინა მისმა ცოლმა. წავიდეთ და ვნახოთ, თუ სხვები არიან, აქ დავბრუნდეთ ან თქვენთან წავიდეთ, მიმართა შავსახვევიან მოხუცს, რომელმაც ამაზე უპასუხა, მე ნაქირავებ ოთახში ვცხოვრობდიო. ოჯახი არა გყავთ, ჰკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. არა. არც ცოლი, არც შვილები, არც და-ძმა. არავინ. თუ ჩემი მშობლები არ დაბრუნდებიან, მეც სულ მარტო აღმოვჩნდები. მე შენთან ვიქნები, უთხრა ელამმა ბიჭუნამ, ის კი აღარ თქვა, თუ დედაჩემი არ დაბრუნდაო, ასეთი პირობა არ დაუთქვამს, რაც საკმაოდ უცნაურია, ან იქნებ სულაც არ არის უცნაური, ყმაწვილები ბევრად ადვილად ეგუებიან სიტუაციას, მათ ხომ მთელი ცხოვრება წინ აქვთ. აბა, რა გადაწყვიტეთ, იკითხა ექიმის ცოლმა. მე თქვენთან ერთად წამოვალ, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, ოღონდ შემპირდი, რომ კვირაში ერთხელ აქ მომიყვან, იქნებ მაინც დაბრუნდნენ ჩემი მშობლები. გასაღები ქვემოთ მეზობელს დაუტოვე. სხვა რა გბაა, იმაზე მეტს, რაც გააფუჭა, რაღას გააფუჭებს. მილეწ-მოლეწავს აქაურობას. რაკი მოვედი, შეიძლება აღარც მილეწ-მოლეწოს. ჩვენც წამოვალთ, თქვა პირველმა უსინათლომ, ოღონდ ჩვენთანაც შევიართო, რაც დროზე მით უკეთესი, ვნახოთ, რა ხდება იქ. აუცილებლად. ჩემთან შევლას აზრი არა აქვს, ხომ გითხარით, ოთახს ვქირაობდი. ხომ წამოხვალ ჩვენთან. წამო-

ვალ, მაგრამ ერთი პირობა მაქვს, მართალია, შეიძლება სისულელედ მოგეჩვენოთ, პირობას რომ გიყენებთ, როცა აქეთ მდებთ პატივს, მაგრამ, ხომ იცით, მოხუცების ამბავი, ამპარტავნებით ინაზღაურებენ იმას, რომ ცოტა დრო დარჩათ. მაინც რა პირობაა ასეთი, ჰკითხა ექიმმა. როცა ტვირთად დაგაწვებით, გაუსაძლის ტვირთად, გთხოვთ, მითხრათ, ხოლო თუ მეგობრობის ან თანაგრძნობის გამო არ მეტყვით, იმედია, თავად მეყოფა ჭკუა, გავაკეთო ის, რაც უნდა გავაკეთო. მაინც რა, ჰკითხა შავსათვალთანმა ქალიშვილმა. გაგეცალოთ, წავიდე, გადავიკარგო, როგორც სპილოები იქცეოდნენ ადრე, რადგან, როგორც გავიგე, ახლა ასე აღარ იქცევიან, ადრე კი ჯოგში არც ერთი ბებერი სპილო არ რჩებოდა. სპილო ნამდვილად არა ხარ. ნამდვილად აღარც ადამიანი ვარ. მით უმეტეს, როცა სულელურ ლაპარაკს იწყებ, შეაწყვეტინა შავსათვალთანმა ქალიშვილმა, და ამით საუბარი დასრულდა.

ცელოფანის ჩანთები საგრძნობლად შემსუბუქდა მას შემდეგ, რაც აქ შემოიტანეს, ან რა გასაკვირია, ქვედა მეზობელიც შეეზიარათ, თანაც ორჯერ, ერთხელ გუშინ საღამოს, და ახლაც, სანამ წავიდოდნენ, დედაბრის გული რომ მოეგოთ, რომლის ხასიათის შესახებაც ყველაფერი ამომწურავად ვიცით, რაღაც პროდუქტები მასაც უზიარეს, თანაც სთხოვეს, ბინის პატრონების მოსვლამდე გასაღები დაეტოვებინა, არც ცრემლის ძაღლს უკავებდნენ საჭმელს, რადგან ქვის გულიც კი ვერ გაუძლებდა მის მუდარით აღსავსე მზერას, ისე, სად არის, ბინაში არ ჩანს, სადარბაზოდან არ გასულა, იქნებ ეზოშია, ჰო, სწორედ იქ აღმოაჩინა ექიმის ცოლმა, იმაშიც დარწმუნდა, რომ ერთი ქათამი შეუსანსლავს, ისე სწრაფად ეცა, საბრალომ განგაშის ასატეხად კრიახიც ვერ მოასწრო, და პირველი სართულის დედაბერს დანახვა რომ შესძლებოდა და თანაც ქათამები დათვლილი ჰყოლოდა, ღმერთმა უწყის, რა ბედი ეწეოდა მიბარებულ გასაღებს. როგორც კი მიხვდა ძაღლი, რომ, ჯერ ერთი, დანა-

შაული ჩაიდინა, და მეორე, ის, ვისაც ერთგულად დარაჯობს, წასვლას აპირებს, წამიც არ უყოყმანია, ისე სწრაფად ამოთხარა თათებით ფხვიერი მიწა, და ვიდრე პირველ სართულზე მცხოვრები დედაბერი სახანძრო კიბესთან გამოვიდოდა, რათა გაეგო, ეს რა უცნაური ხმა ისმოდა, გაბღვნილი ქათმის ნარჩენები მიწაში ჩაფლა და პირწმინდად წაშალა დანაშაულის კვალი, სინდისის ქენჯნა კი შემდგომისათვის შემოინახა. მერე კიბეზე ავარდა, ნიაჯქარივით, არა, გრიგალივით ჩაუქროლა დედაბრის კაბის კალთას, ის კი ვერც მიხვდა, რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა უცებ, და პატრონის ფეხებთან მოიკალათა, თანაც გამაყრუებელი ყეფით ამცნო ჩადენილი გმირობა. დედაბერმა კი, გააფთრებული ყეფის ხმა რომ გაიგონა, შეშფოთდა თავისი მოკრიახე მარაგის ბეღით, თუმცა, როგორც ვიცით, მეტად დაგვიანებით, თავი ასწია და ზემოთ ასძახა, ეგ თქვენი ძაღლი დააბით, ქათმები არ დამიხოცოსო. ნუ გეშინიათ, უპასუხა ექიმის ცოლმა, არ შია, ნაჭამია, თანაც უკვე მივდივართო. როგორ, უკვე, სინანულით იკითხა ბებერმა და ამ კითხვაში იგრძნობოდა ერთგვარი საყვედური, აი, დაახლოებით ასეთი, მერედა მართო მტოვებთო, თუმცა, მეტი სიტყვა აღარ დასცდენია, და არ გეგონოთ, რომ გულღრძო ადამიანებს არ სჩვევიათ წუხილი, ძალიანაც სჩვევიათ, ეს დედაბერი, მაგალითად, ისე დადარდიანდა, რომ კარიც არ გააღო იმ უმადურებთან გამოსამშვიდობებლად, თავის ტერიტორიაზე გავლის ნება რომ დართო. ესმოდა, კიბეზე ჩამოსვლისას ერთმანეთს რომ ეუბნებოდნენ, ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს, მხარზე ჩამეჭიდე, მოაჯირს მოჰკიდე ხელი, სიტყვები, ესოდენ ჩვეული რომ გახდა უსინათლოთა ყოფაში, მაგრამ უცნაურად მოეჩვენა, როცა ერთ-ერთმა ქალმა თქვა, რა სიბნელეა, ვერაფერს ვხედავო, და ეს ნიშნავდა, რომ სხვაგვარი სიბრმავე სჭირდა, არა ისეთი, როგორიც სხვებს, რაც თავისთავად უცნაურია, გარდა ამისა, სიბნე-

ლის გამო რატომ უნდა დაეჩივლა, როცა ისედაც ვერაფერს ხედავს. ბებერი ჩაფიქრდა, უნდოდა ჩასწვდომოდა აზრს, მაგრამ ვერ შეძლო, ტვინი არ უმუშავებდა, და ცოტა ხნის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა, ეტყობა, მომესმალ. ქუჩაში რომ გავიდნენ, ექიმის ცოლს საკუთარი სიტყვები გაახსენდა და გაიფიქრა, მეტი ყურადღება მმართვებს, სიარულით იარე როგორც თვალხილულმა, სიტყვები კი უსინათლოსი შეარჩიეო.

ტროტუარზე თანამგზავრები ორ მწკრივად დააყენა, სამ-სამი, წინ ექიმი, შავსათვალიანი ქალიშვილი და ელამი ბიჭუნა, უკან პირველი უსინათლოს ცოლი და აქეთ-იქით მისი ქმარი და შავსახვევიანი მოხუცი. უნდოდა, მასთან ახლოს ყოფილიყვნენ, ჩვეულებრივი მწკრივი კი აქ არ გამოდგება, უფრო მრავალრიცხოვან ან უფრო აგრესიულ ჯგუფს რომ გადაეყარონ, დაიფანტებიან, როგორც ზღვაში ხდება ხოლმე, დიდი გემი პატარა იალქნიან ნავს რომ ეჯახება, შუაზე აპობს, ამის შედეგები კარგად ვიცით, უბედური შემთხვევა ზღვაში, კატასტროფა, მიმოფანტული ნამსხვრევები, წყალში ჩაცვნილი ხალხი, ამალ ყვირილი, გვიშველეთო, ხომალდი კი უკვე შორსაა, ვერც კი შენიშნა, რა ჩაიდინა, რა უბედურება დაატრიალა. აქაც სწორედ ასე მოხდება, ერთი უსინათლო - იქით, მეორე - აქეთ, და აი, უკვე სხვა უსინათლოთა ტალღამ გაიტაცა და ვინ იცის, საით მიაქანებს, რადგან თავადაც არ იცის, საით მიექანება, და არც ექიმის ცოლმა იცის, პირველად ვის უშველოს, ქმარს ჩაავლოს ხელი თუ ელამ ბიჭუნას, ამასობაში კი დანარჩენი ორი, შავსათვალიანი ქალიშვილი და შავსახვევიანი მოხუცი, თვალს მიეფარებიან, და ვინ იცის, სად აღმოჩნდება ეს უკანასკნელი, სპილოების სასაფლაოსკენ მიმავალი. ამიტომ ყველას თოკი ჩააბა, თავადაც ჩაიბა, თოკი კი ღამე, ყველას რომ ეძინა, თავად დაგრიხა სიგრძეზე დახეული ზეწრისგან. მე კი არა, თოკს ჩაეჭიდეთ, მთელი ძალით ჩაეჭიდეთ და არავითარ შემთხვევაში არ გაუშვათ ხელი, ერთმანეთს ნუ მიეტმასნებით, თორემ წაიქცევით, მაგრამ ნურც ძალიან დაშორდებით, ეცადეთ,

ერთმანეთთან ახლოს იყოთ, და მხოლოდ ელამ ბიჭუნას არ სჭირდება ახალი ტაქტიკისა და ტექნიკის ათვისება, რადგან შუაშია და ყველა მხრიდან არის დაცული. ჩვენი უსინათლოებისგან არავინ დაინტერესებულა, როგორ მიდი-მოდინ სხვა უსინათლოები - ასევე თუ სხვაგვარად, და რომ დაინტერესებულნიყვნენ, არ იქნებოდა ამ ინტერესის დაკმაყოფილება რთული, რადგან საკმარისია გარემოს თვალი მოაწვლო, მაშინვე დაინახავ, რა თქმა უნდა, ვისაც შეუძლია, რომ უსინათლოები უმთავრესად ჯგუფ-ჯგუფად დადიან, ეს ჯგუფები კი, იმათ გარდა, ვინც ჩვენთვის უცნობი მიზნებით ერთმანეთთან ბევრად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, გამუდმებით, მთელი დღის განმავლობაში კარგავენ თავიანთ წევრებს და იძენენ ახლებს, რადგან ვილაც უთუოდ ჩამორჩება და დაიკარგება, ვილაც კი წაიბორძიკებს და მიზიდულობის კანონის თანახმად მიწაზე გაიშხლართება. ახალს კი ან მიიღებენ, ან გააგდებენ, იმის მიხედვით, აქვს თუ არა თან რამე. პირველ სართულზე მცხოვრებმა დედაბერმა ნელა გააღო ფანჯარა, არ უნდა თავისი წუხილის გამჟღავნება, რადგან რცხვენია ამ თავისი სისუსტის გამჟღავნების, მაგრამ ქუჩიდან უკვე აღარც ფეხის ხმა ისმის, აღარც ლაპარაკი, ეტყობა, უკვე წავიდნენ, გაეცალნენ ამ პატარა ქუჩას, რომელზეც თითქმის არავინ დადის, და დედაბერს უნდა უხაროდეს, რომ არავინ შეეცილება ქათმებსა და ბოცვრებს, უნდა უხაროდეს, მაგრამ რომ არ უხარია, უსინათლო თვალებიდან ორი ცრემლი ჩამოუგორდა, და პირველად დაფიქრდა, რატომ ცოცხლობს და ღირს კი ასეთი სიცოცხლის გაგრძელება. პასუხი ვერ მიიღო, პასუხი ყოველთვის როდია, როცა გჭირდება, ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ პასუხის მოლოდინია სწორედ ერთადერთი შესაძლო პასუხი.

გზა, რომელიც აირჩიეს, ორი კვარტალის გავლის შემდეგ იმ სახლთან მიიყვანთ, სადაც შავსახვევიანი მოხუცი ოთახს ქირობდა, მაგრამ გადაწყვიტეს, არ შესულიყვნენ, რადგან საჭმელი

იქ არ არის, ტანსაცმელი აქვთ, წიგნებს მაინც ვერ წაიკითხავენ, და გზა განეგრძოთ. ქუჩები სავსეა უსინათლოებით, რომლებიც საჭმელს ეძებენ. მაღაზიებში ხელცარიელნი შედიან და უმეტესად ასევე ხელცარიელნი გამოდიან, მერე იწყებენ კამათს, სხვა უბანში ხომ არ წავიდეთ და იქ ხომ არ მოვძებნოთო, ზოგი თანახმაა, ზოგი წინააღმდეგი, და მთელი უბედურება ის არის, რომ ახლანდელ ვითარებაში, ვითარება კი იმგვარია, რომ ონკანიდან წყალი არ მოდის, დენი არ არის, გაზის ბალონები ცარიელია, თანაც საშიშია, სამზარეულოში ხანძარი არ გაჩნდეს, ასე რომ, იქ საჭმელს ვერ მოამზადებ, თუნდაც იცოდე, სად არის მარილი, წიწაკა, სხვა სანელებლები, ზეთი, ესეც იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვიტე, მოამზადო კერძი, ოდნავ მაინც რომ ჰგავდეს გემოთი ადრინდელს, თუმცა, ცხიმს ვინ ჩივის, ბოსტნეულსაც კი ვერ მოხარშავ, იგივე ითქმის ხორცზე, ბოცვრებსა და ქათმებზე აღარ არის ლაპარაკი, შეიძლება შესაჭმელად ძაღლსა და კატასაც კი წაეტანო, მაგრამ გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია, ასე რომ, ამ ცხოველებმაც, ადრე შინაურები რომ იყვნენ, ჭკუა ისწავლეს და აღარ ენდობიან ალერსიან სიტყვებსა და მოფერებას, ხროვებად დათარეშობენ და იგერიებენ მონადირეებს, და რაკი, მადლობა ღმერთს, ხედავენ, თავდაცვაც და, თუ დასჭირდათ, თავდასხმაც ბევრად უკეთ გამოსდით. ერთი სიტყვით, მთელ ამ გარემოებათა და მოსაზრებათა ერთობლიობამ ადამიანები დაარწმუნა, რომ არ არსებობს მათთვის იმაზე უკეთესი საჭმელი, ვიდრე კონსერვი, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ხშირად უკვე მომზადებულია, გახსენი და მიირთვი, არამედ იმიტომაც, რომ ტრანსპორტირებაც მოსახერხებელია და გამოსაყენებლადაც ადვილი. რასაკვირველია, ყოველ ამ თუნუქის ქილაზე, ამგვარ პროდუქტს რომ შეიცავს, მითითებულია ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც მისი გამოყენება არასასურველია, შეიძლება სახიფათოც იყოს, მაგრამ ხალხურმა სიბრძნემ მყისიერად გაავრცელა ახალი, საკმაოდ უპასუხისმგებლო ანდაზა, იმ ანდაზის სიმეტრიული, უკვე ხმარებიდან რომ

გამოდის, ანუ მარტო თვალი ვერ გაგაძლებსო, ახალი ანდაზის თანახმად კი, რასაც თვალი ვერ ხედავს, შეგიძლია პირში გაიქანო, და სწორედ ამან განაპირობა, რომ ამდენ საზიზღრობას მიირთმევენ. ჯგუფის წინ მიმავალი ექიმის ცოლი ცდილობს ჯერ კიდევ დარჩენილი პროდუქტების თეორიულ ინვენტარიზაციას, კიდევ ეყოფათ თუ არა ერთ ჯერზე ძაღლს თუ არ მისცემენ, არა უშავს, თვითონ მიხედავს თავს, ბუსტად ისევე, როგორც ამას წინათ, ასე მარჯვედ რომ წაავლო პირი ქათამს კისერში და ერთბაშად მოუსპო კრიახის უნარიც და სიცოცხლეც. სახლში, თუ მესხიერება არ ღალატობს და თუ ვინმე არ შესულა, კონსერვების კარგა გვარიანი მარაგი უნდა ჰქონდეთ, სრულიად საკმარისი ცოლქმრისთვის, მაგრამ ახლა შვიდნი არიან და რაც უნდა დაზოგონ, დიდხანს მაინც არ ეყოფათ. ხვალ ისევ მოუწევს სუპერმარკეტის სარდაფში წასვლა, და ისიც უნდა მოიფიქროს, მარტო წავიდეს თუ ქმარიც წაიყოლოს, თუ პირველ უსინათლოს სთხოვოს, მაინც უფრო ახალგაზრდაა და ყოჩალი, მოკლედ, თანამგზავრის შერჩევა იმაზეა დამოკიდებული, რა უფრო მნიშვნელოვანია, მეტის წამოღება თუ სიმარდე, რადგან ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სირბილით მოუხდეთ უკან დაბრუნება. ქუჩებში ნაგავი ღპება, გუშინდელთან შედარებით თითქოს ერთიორად მეტი ყრია, ნაგავს ემატება ადამიანთა ექსკრემენტები, წუხანდელი წვიმის ნაკადებს სქელ ფაფად რომ უქცევია, ნაწილი მკვრივი და ნაწილი თხლად გასხმული, და ეს ყველაფერი ფეხსაცმელებზე ეკვრის ქალებსა და მამაკაცებს, აქ რომ დადიან ჩვენსავით, ჰაერი კი საშინელი, სულის შემხუთველი სიმყრალითაა გაჯერებული, რაც დიდად აძნელებს სიარულს. მოედანზე, ხეებით რომ არის შემოსაზღვრული და შუაში ძეგლი დგას, ძაღლების ხროვა გვამს გლეჯს. ეტყობა ახალი მკვდარია, ჯერ არ გაცივებულა, იმაზე ეტყობა, რომ ძაღლებს კბილებით დაუთრევიათ, აქეთ-იქით ათრევენ, ცდილობენ, ძვალს ხორცი ააგლიჯონ. იქვე ყორანიც

დაწრიალებს, მომენტს ელოდება, რომ ლეშს მიუახლოვდეს. ექიმის ცოლმა თვალი აარიდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, კუჭში ძლიერი სპაზმი იგრძნო და აღებინა, ერთხელ, მეორედ, მესამედ, თანაც ისეთი წვალებით, თითქოს მის სხეულსაც ძაღლების ხროვა ჯიჯნიდა და გლეჯდა, და ამან ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რომ წამოიძახა, მეტი აღარ შემოძლია, აქვე მინდა მოვკვდეო. ქმარმა ჰკითხა, რა დაგემართაო, დანარჩენებიც შემოეხვივნენ, თოკით გადაბმულნი, შემოფოთებულნი ეკითხებიან, რა მოხდა, ცუდად ხომ არა ხარო, ეტყობა, რაღაცამ მაწყინაო, მე კი ვერაფერს ვგრძნობო, ვერც მეო. ნეტავი თქვენ, რომ მხოლოდ გესმით, როგორ ჯიჯნიან ცხედარს ძაღლები, და უცებ უჩვეულო, უცხო ხმით დაიხხავლა ყორანმა, ხროვიდან რომელიღაც ძაღლმა ფრთაზე კბილი გაჰკრა, ისე, შემთხვევით, არა ბოროტი ზრახვით, და მაშინ ექიმის ცოლმა თქვა, მაპატიეთ, თავი ვერ შევიკავე, აქ ძაღლები მკვდარ ძაღლს გლეჯენო. ჩვენსას ხომ არაო, წამოიყვირა ელამმა ბიჭუნამ. არა, ჩვენი ცოცხალია, გარშემო გვივლის, მაგრამ არ გვიახლოვდება. იმ ქათმის მერე, ალბათ, ჭამაც აღარ უნდა, თქვა პირველმა უსინათლომ. უკეთ ხარ, ჰკითხა ექიმმა. ჰო, გამიარა, წავედით აქედან. ჩვენი ძაღლიო, ისევ იკითხა ელამმა ბიჭუნამ. ის ძაღლი ჩვენი არ არის, მოგვეკვდლა, ახლა კი შეიძლება ამათთან დარჩეს, იქნებ ადრეც ამ ხროვაში იყო და ახლა ისევ შეხვდა მეგობრებს. კუჭში გასვლა მინდა. აქ როგორ, იქნებ ცოტა მოითმინო. არ შემოძლია, მუცელი მტკივა, მიწრიალებს, დაიჩივლა ელამმა ბიჭუნამ. და იქვე მოისაქმა და ექიმის ცოლს ისევ აღებინა, ახლა უკვე სხვა მიზეზით. ფართო მოედანი გაიარეს და ხეების ჩრდილქვეშ რომ შეჩერდნენ, ექიმის ცოლმა უკან მოიხედა. ახალი ძაღლებიც გამოჩნდნენ, ნაჯიჯნი გვამის გამო საშინელი გნიასი ატყდა. ცრემლის ძაღლი წამოვიდა, დრუნჩი ძირს დაეხარა, თითქოს კვალს ეძებსო, რას იზამ, ჩვევაა, თუმცა, ამჯერად ერთი შეხედვითაც იპოვიდა იმას, ვისაც ეძებდა.

გზა განაგრძეს, და სახლი, სადაც ერთ დროს შავსახვევიანი მოხუცი ცხოვრობდა, უკან მოიტოვეს, ახლა კი ვიწრო პროსპექტზე მიაბიჯებენ, ორივე მხარეს მაღალი ფეშენებელური სახლებია. აქ მიტოვებული მანქანები უფრო ძვირად ღირებული, უფრო დიდი, უფრო კომფორტული იყო, ამიტომაცაა, რომ ამდენი უსინათლო ათევს ღამეს ამ მანქანებში, როგორც ჩანს, ეს უზარმაზარი ლიმიზინი ვიღაცას მუდმივ საცხოვრებლად უქცევია, ეტყობა, მანქანაში დაბრუნება უფრო ადვილია, ვიდრე ბინაში, აქ დაბინავებული უსინათლოები, კარანტინში მყოფ უსინათლოთა მსგავსად, ხელის ფათურით კუთხიდან იწყებდნენ მანქანების ათვლას: ოცდამეშვიდე, მარცხენა რიგი, და აი, შინ ვარ. სახლში კი, რომლის სადარბაზოსთანაც ეს ლიმიზინი დგას, ბანკია. აქ თეთრი სენის ეპიდემიის დაწყებიდან პირველ ყოველკვირეულ პლენარულ სხდომაზე დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მოიყვანეს, მაგრამ ველარ მოასწრეს მანქანის შეყვანა მიწისქვეშა გარაჟში, სადაც სხდომის დასრულებამდე უნდა მდგარიყო, მძლოლი სწორედ იმ მომენტში დაბრმავდა, როცა თავმჯდომარე, როგორც ყოველთვის, ცენტრალურ შესასვლელში შევიდა, და შეჰყვირა, ამ შემთხვევაში მძლოლს ვგულისხმობთ, მან კი, ამ შემთხვევაში კი თავმჯდომარეს, ვერ გაიგონა. ისე, სხდომაც არც ისეთი პლენარული გამოდგა, როგორც ნავარაუდები იყო, რადგან თავმჯდომარემ ვერ მოასწრო სესიის გახსნა, რომელზეც უნდა ემსჯელათ, თუ რა ზომები უნდა მიეღოთ მეთვალყურეთა საბჭოს ყველა წევრის მოულოდნელი დაბრმავების გამო, და მეთხუთმეტე სართულზე მდებარე საკონფერენციო დარბაზში შესვლაც კი ვერ შეძლო, რადგან ლიფტი, რომელშიც იმყოფებოდა, მეცხრე და მეათე სართულებს შორის გაიჭედა, დენი გამოირთო და როგორც აღმოჩნდა, სამუდამოდ. და რადგან უბედურება მარტო არ მოდის, იმავე წამში დაბრმავდა ყველა ელექტრიკოსი, ვინც კი შიდა ქსელზე და, შესაბამისად, გენერატორის შეუფერხებელ

ფუნქციონირებაზე იყო პასუხისმგებელი, შედეგად კი, როგორც ვთქვით, ლიფტი მეცხრე და მეთათე სართულებს შორის გაიჭედა. თავმჯდომარემ დაინახა, როგორ დაბრმავდა მისი თანმხლები ლიფტიორი, თავად კი მხედველობა ერთი საათის შემდეგ დაკარგა, ხოლო რაკი დენი აღარ ჩაირთო, ხოლო იმ დღეს ბანკში დაბრმავების შემთხვევები რატომღაც ძალიან ხშირი იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორნი დღემდე იქ არიან, მკვდრები, რა თქმა უნდა, კაბინის ფოლადის კუბოში ჩაქოლილები და ამიტომ ბედნიერები, რომ მაწანწალა ძაღლების საჯიჯგნი არ გახდნენ.

რაკი მოწმეები არ არიან და რომც იყვნენ, არანაირი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სასამართლო სხდომაზე დაიბარებენ იმის მოსაყოლად, თუ რა ხდებოდა იქ, სავსებით გასაგებია, რომ ვიღაც იკითხავს, როგორ გახდა ცნობილი, რომ სწორედ ასე მოხდა ყველაფერი და არა სხვაგვარად, მაგრამ პასუხად გეტყვით, რომ სამყაროს შექმნიდანვე ამგვარია ყველა მოწმის ჩვენება შემთხვევის თაობაზე, იქ ხომ არავინ ყოფილა, ამ ამბავს ხომ არავინ შესწრებია, მაგრამ მაინც ყველამ ყველაფერი დეტალურად იცის. ნეტავ ბანკებს რა მოუვიდათო, იკითხა ექიმის ცოლმა, და ვერ ვიტყვით, რომ ეს ძალიან აინტერესებდა, თუმცა, ერთ-ერთში კი ჰქონდა დანაზოგი, შეკითხვა უფრო რიტორიკული იყო, ანუ ამის შესახებ ხმამაღლა გაიფიქრა და სულაც არ ელოდა, რომ ვინმეს შეიძლება, ვთქვათ, ასე ეპასუხა: თავიდან ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა, დედამიწა იყო უხილავი და ცარიელი, და უფსკრულსა ზედა იწვა საშინელი სიბნელე, და წყალსა ზედა სუფევდა სული უფლისა, ნაცვლად ამისა, შავსახვევიანმა მოხუცმა, პროსპექტს ქვემოთ რომ დაუყვნენ, თქვა, ცალი თვალით ჯერ კიდევ ვხედავდი, როცა შევიტყვე, რომ თავიდან რაღაც საშინელება მოხდა, ადამიანები, იმის შიშით, სიბრმავესთან ერთად ცარიელ-ტარიელი არ დავრჩეთო, ბანკებს მიაწყდნენ ფულის გამოსატანად, რომ მომავალში თავის გატანის იმედი

ჰქონოდათ, ეს სავსებით გასაგებია, როცა იცი, რომ მუშაობას ვე-
ლარ შეძლებ, ფიქრობ, სანამ გამოგელევა, იმ დანაზოგით იცხოვრო,
რომელიც წინდახედულად დაგიგროვებია მაშინ, როცა წარმატებუ-
ლი იყავი, თუ გეყო გონიერება და მისხალ-მისხალ რამე დააგროვე,
ჰოდა, როცა ელვის სისწრაფით, ანუ ოცდაათხ საათში, რამდენიმე
უმსხვილესი ბანკი გაკოტრდა, მთავრობამ, ვნებები რომ ჩაეც-
ხრო, სცადა, მოქალაქეობრივი შეგნებისკენ მოეწოდებინა და ეს
მოწოდება დაასრულა საზეიმო დაპირებით, რომ საკუთარ თავზე
იღებს მთელ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს, რომლე-
ბიც ეკისრება საზოგადოებაში გამეფებული მღელვარებისას,
მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს, ისევე როგორც მკვდარს წამა-
ლი ვერ უშველის, რადგან მოქალაქენი, ჯერ ერთი, ისევე ბრმა-
დებოდნენ, და მეორე, ისინი, ვინც ჯერ კიდევ ხედავდა, მხოლოდ
იმაზე ოცნებობდნენ, როგორმე გამოეტანათ და გადაერჩინათ
თავიანთი ძვირფასი ფული, და ბოლო-ბოლო მოხდა ის, რაც მო-
სახდენი იყო, ბანკებმა, როგორც გაკოტრებულმა, ისე გაკოტრე-
ბის პირას მისულმა, კარი ჩარაბეს და ხელისუფლებას პოლიცი-
ის ჩარევა მოსთხოვეს, რაც სულაც არ აღმოჩნდა გამოსავალი,
რადგან ბანკებთან შეგროვილ აღშფოთებულ ბრბოში მრავლად
იყვნენ სამოქალაქოტანსაცმლიანი პოლიციელები, რომლებიც
ასევე ითხოვდნენ იმას, რაც დიდი ძალისხმევით დაუგროვებიათ,
ამასთან, ზოგმა, მანიფესტაციაში მონაწილეობის საშუალება
რომ მისცემოდა, უფროსობას განუცხადა, დავბრმავდიო, სხვა-
ვარად რომ ვთქვათ, სამსახურიდან წამოვიდა, ხოლო რაც შეეხე-
ბა ჯერ კიდევ მოქმედ და ფორმიან პოლიციელებს, იარაღი რომ
მიუშვირეს ბრბოს, მაგრამ სამიზნესაც ველარ არჩევდნენ, რად-
გან, თუკი ფული ჰქონდათ ანგარიშზე, საბოლოოდ დაკარგეს მი-
სი გამოტანის იმედი, თანაც იმ ბრალდების მოსმენა უწევდათ,
ხელისუფალთ შეეკარითო, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება
ოდნავ მოგვიანებით მოხდა, როცა ბანკებზე უსინათლო და ჯერ

კიდევ თვალხილულმა მეანაბრებმა, ერთნაირად გამძვინვარებულემა გააფთრებული იერიში მიიტანეს, და უკვე აღარავინ აწვდიდა მოლარეს ჩეკს თავაზიანი თხოვნით, ანგარიში დამიხურეთო, არამედ ყველაფერს იტაცებდნენ, რაც კი ხელთ ხვდებოდათ, რაც უჯრებში ან დაუდევრად ღიად დატოვებულ სეიფში იდო, ან, როგორც ძველად, ხურდა ფულით სავსე ქისებს, რომლებსაც ყველაზე ხანდაზმულ მოიერიშეთა მამა-პაპანი ხმარობდნენ, და ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ბანკების მდიდრულ და ვრცელ დარბაზებსა და პატარა რაიონულ განყოფილებებსა და ფილიალებში, მართლაც საზარელი სცენების მოწმედ რომ იქცნენ, და ბანკომატებიც არ დაგავიწყდეთ, დარბეული და დაცლილი, თანაც ზოგის ტაბლოზე რაღაც იდუმალი გზით იწერებოდა სიტყვები, გმადლობთ, ჩვენი ბანკის მომსახურებით რომ სარგებლობთო, და როგორც გაირკვა, ავტომატებს მართლაც არ მოეკითხებათ ჭკუა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ პირი შეკრეს და უღალატეს თავიანთ პატრონებს. ერთი სიტყვით, წამში დაინგრა მთელი საკრედიტო-საბანკო სისტემა, დაინგრა როგორც ხუხულა, და არა მარტო იმიტომ, რომ ფული აღარ იყო საჭირო, არა, ამ მოსაზრებას აბათილებდნენ ისინი, ვისაც არაფრით სურდა ფულის ხელიდან გაშვება, რადგან არ იცოდა, ხვალ რა ელოდა, და იმავე აზრით შთაგონებული ზოგი უსინათლო ბანკების საცავებში განთავსდა სასწაულის მოლოდინში, რომელიც მოხდება და ფართოდ გაუღებს სეიფის მძიმე კარს, გზას რომ უღობავს სიმდიდრისაკენ, და მხოლოდ იმისთვის გამოდიან გარეთ, რომ საჭმელ-სასმელი მოიპოვონ ან სხვა მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ, და მაშინვე ბრუნდებიან ვახტზე, თანაც პაროლის, შეხმიანებისა და პირობითი ნიშნების მთელი სისტემა მოიფიქრეს, რათა არ დაუშვან, რომ ვინმე უცხომ შეაღწიოს მათ სანგარში, და ამ მიწისქვეშეთში გამეფებული უკუნეთი სულაც არ აწუხებთ, რადგან მათი სიბრმავე სრულიად თეთრია. ქალაქის ქუჩებში ნელა მიდიოდნენ, დროდადრო ჩერდებოდნენ, ელამ ბიჭუნას მუცელში

ატეხილი ქართველის ჩაცხრობის საშუალება რომ მისცემოდა, ამასობაში კი შავსახვევიანი მოხუცი დაწვრილებით უყვებოდა ბანკებსა და ფინანსებთან დაკავშირებულ ამ საზარელ ამბებს, თუმცა, მისი გულწრფელი და სანდო ინტონაციების მიუხედავად, რომლითაც ასე უხვად იყო გაჯერებული ამაღლევებელი მონათხრობი, შეუძლებელი იყო, ეჭვი არ გაგჩენოდა, რომ მოხუცი, ცოტა არ იყოს, აზვიადებდა, აი, თუნდაც ბანკის საცავეებში გამაგრებულ უსინათლოთა შესახებ, აბა, როგორ უნდა შეეტყო ეს ამბები, როცა არც პაროლი და არც პირობითი ნიშანი არ იცოდა.

იმ ქუჩას რომ მიაღწიეს, სადაც ექიმი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ, უკვე დღე იწურებოდა. ჩვეულებრივი ქუჩა იყო, არაფრით გამოირჩეოდა, სხვა ქუჩებივით ნაკვით სავსე, აქაც ისევე დაბორიანებდნენ უსინათლოები, მაგრამ პირველად სწორედ აქ მოხდა ის, რაც შემთხვევითობის წყალობით აქამდე არ მოხდა, ანუ დაინახეს ორი გოლიათი ვირთხა, რომლებსაც ადგილობრივი კატები თავს არიდებდნენ, რადგან ვირთხები, გარდა იმისა, რომ ზომით არ ჩამოუვარდებოდნენ, მძვინვარებით აშკარად აღემატებოდნენ მათ. ცრემლის ძალი ვირთხებსაც და კატებსაც გულგრილად უყურებდა, რაც დამახასიათებელია იმისთვის, ვისაც, როგორც ჩვენ ვიტყვოდით, სრულიად სხვაგვარი გრძნობად-ემოციური სისტემა აქვს, საქმე რომ ეხებოდეს არა ძალს, რადგან ის მაინც ძალია, არამედ ადამიანისმაგვარ ცხოველს. ნაცნობი ადგილების დანახვისას ექიმის ცოლი მელანქოლიურ ფიქრებს კი არ მიეცა, ვთქვათ, ამგვარს, რა სწრაფად გარბის დრო, სულ ცოტა ხნის წინ აქ რა ბედნიერები ვიყავითო, არამედ გააოგნა იმედგაცრუებამ, რადგან გაუაზრებლად სჯეროდა, რომ ქუჩა, რაკი ეს მისი ქუჩაა, სუფთა, დაგვილი, მოვლილი იქნებოდა და მეზობლები, თუნდაც დაბრმავებულები, შეგნებას მაინც შეინარჩუნებდნენ. რა სისულელეა, თქვა ხმამაღლა. რა არის სისულელე, ჰკითხა ქმარმა. ისე, არაფერი, რაღაც

უაზრობა გავიფიქრე. რამდენი ხანი გავიდა, ნეტავ რა დაგვხვდება შინ. ცოტაც მოითმინე, მალე გაიგებ. ქანცგაწყვეტილნი კიბებზე ძლივს ადიოდნენ, ყოველ სართულზე ისვენებდნენ. მეხუთებზე უნდა ავიდეთო, უთხრა ექიმის ცოლმა. როგორც შეეძლოთ ისე მიდიოდნენ, დაქსაქსულად, თითოეული თავისთვის, ცრემლის ძალი კი ხან წინ უსწრებდათ, ხან უკან მისდევდათ, თითქოს ამით ამტკიცებდა, რომ ტყუილად არ გაჩენილა ნაგაზად, თავად ბუნებით ევალება, თვალი ადევნოს, რომ ერთი ცხვარიც არ დაიკარგოს. აქაიქ კარი ღია იყო, ბინებიდან ხმა ისმოდა და გულისამრევი სიმყრალე გამოდიოდა, ორჯერ მოხდა, რომ კარში უსინათლოები გამოჩნდნენ, რომლებიც სადღაც სიცარიელეში იყურებოდნენ. ვინ ხართ, იკითხა ერთმა, და ექიმის ცოლმა ხმით იცნო, მეორე კი მათი სახლის ბინადარი არ იყო. აქ ვცხოვრობთო, უპასუხა. უსინათლოს სახებზე შეეტყო, რომ იცნო, თუმცა, არ უკითხავს, ექიმის ცოლი ხართო, მაგრამ, ალბათ, ბინაში შებრუნებული დაწოლის წინ იტყვის, მეხუთე სართულზე დაბრუნდნენო. კიბის ბოლო უჯრედი რომ აიარეს, სანამ კიბის ბაქანზე შედგამდნენ ფეხს, ექიმის ცოლმა გამოაცხადა, დაკეტილიაო. ეტყობა, ვიღაც ცდილობდა, გაეღო, მაგრამ კარი არ დაწებდა. ექიმმა ახალი პიჯაკის შიდა ჯიბიდან გასაღები ამოიღო. ცოტა ხანს ასე გაჩერდა, თითქოს რაღაცას ელისო, და ცოლმა ხელი საკეტისკენ წააღებინა.

თუ არა მტვერი, მქრქალი ხავერდით რომ ეფინა მაგიდაზე, სკამებსა და სხვა ავეჯზე, არადა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები არ არიან, შეუძლია ასე მშვიდად მოეფინოს ყველაფერს და ვერაფერს დააკლებს ვერც მტვერსასრუტი, ვერც ტილო, ვერც ბავშვების აქეთ-იქით სირბილი, რაც ატმოსფეროში ტურბულენტურ ნაკადებს წარმოქმნის. ბინაში სისუფთავე იყო, ხოლო ის უწესრიგობა, შინიდან ნაჩქარევად წასვლა რომ იწვევს, სავსებით ასატანია. ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ჯერ სამი-

ნისტროდან, შემდეგ კი საავადმყოფოდან დარეკვამდე წინათ-გრძნობამ, აი, იმის მსგავსმა, მოწესრიგებულ ადამიანს რომ აიძულებს, სიცოცხლეშივე მოაგვაროს ყველაფერი, რომ სიკვდილის შემდეგ ფართხაფურთხით ლაგება არ გახდეს საჭირო, ექიმის ცოლს უბიძგა, მთელი ჭურჭელი გაერეცხა, საწოლები გაესწორებინა, ნიჟარა, აბაზანა და უნიტაზი გაეხეხა, და თუმცა იდეალურ სრულყოფილებას ვერ მიაღწია, მაგრამ მეტს ვერავინ მოსთხოვს ადამიანს, რომელიც ხელებს ვერ იმორჩილებს, თვალებს კი ცრემლი უბინდავს. ამიტომ შვიდ ყარიბს, ზღურბლს რომ გადმოაბიჯეს, ეგონათ, სამოთხეში მოვხვდითო, და ამან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, შეიძლება ითქვას, არ მოვერიდები ამ მეცნიერული სიტყვის უმართებულო ხმარებას, ტრანსცენდენტური შთაბეჭდილება, რომ კართან გაირინდნენ, გაოგნებულნი იმით, რაოდენ განსხვავებული სუნი იდგა აქ. ისე, საკითხავია, რა სუნი უნდა იყოს სახლში, თუ ამდენი ხანი გამოკვეტილია, და სხვა დროს მაშინვე ფანჯრებს ვეცემოდით, რომ გაგველო და გაგვენიავებინა, დღეს კი, არათუ უნდა გაალო, პირიქით, რაც შეიძლება ყრუდ უნდა დაგმანო, რომ გარედან სიდამპლისა და ხრწნის სუნი არ შემოვიდეს. პირველი უსინათლოს ცოლმა თქვა, აქ ხომ ყველაფერს დაგისვრითო, და სავსებით მართალიც იყო, რადგან ტალახსა თუ განავალში ამოსვრილი ფეხსაცმელებით რომ შემოსულიყვნენ, ეს სამოთხის დარბაზები მაშინვე წაიბილწებოდა, ჯოჯოხეთად იქცეოდა, სადაც, თუ ავტორიტეტულ მოსაზრებებს ვენდობით, სწორედ ხრწნის, სიდამპლის, შმორის გულისამრევი სიმყრალე თრგუნავს და ტანჯავს ცოდვილთ იმაზე მეტად, ვიდრე გავარვარებული შანთები, ქვაბებში მოთუხთუხე კუპრი და სამჭედლოსა და სამზარეულოს სხვა ატრიბუტები. უხსოვარი დროიდან, როგორც წესი, ამაზე დიასახლისმა უნდა უპასუხოს, რას ბრძანებთ, მობრძანდით, დიდი ამბავი, გაჭუჭყიანდება და ისევ გაიწმინდებაო, მაგრამ ამ სახლის დიასახლისმა, ისევე როგორც

მისმა სტუმრებმა, იცის, საიდანაც მოვიდნენ, იცის, რომ იმ სამყაროში, რომელშიც აღმოჩნდნენ, ჭუჭყს ადვილად ვეღარ ჩამოირეცხავ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად გაჭუჭყიანდები, ამიტომ სთხოვა, ფეხსაცმელები კიბეზე გაიხადეთო, და მადლობა გადაუხადა, ისე, ფეხებიც ჭუჭყიანი აქვთ, თუმცა, რა შედარებაა, შავსათვალიანი ქალიშვილის ზეწრებმა და პირსახოცებმა თავისი საქმე გააკეთა და სიბინძურის დიდი ნაწილი მოაშორა. სტუმრები ბინაში ფეხშიშველნი შევიდნენ, ექიმის ცოლმა კი ერთი დიდი ცელოფანის პარკი იპოვა, ფეხსაცმელები ჩაყარა იმ განზრახვით, რომ ოდესმე გაწმენდს, ოღონდ როდის და როგორ, წარმოდგენა არა აქვს, აივანზე გაიტანა და ამით გარეთ ჰაერი არ გაუარესებულა. ჩამობნელდა, ცა მოიქუფრა. ნეტავ გაწვიმდებოდესო, გაიფიქრა. მოიფიქრა, რაც უნდა ექნა და სტუმრებთან დაბრუნდა. ჩუმად იდგნენ შუა ოთახში და თუმცა დაღლილები იყვნენ, ვერავინ გაბედა სკამის მოძებნა, მხოლოდ ექიმი დაბნეული უსვამდა ხელს ავეჯს და მის მტვრიან ზედაპირზე სისუფთავის პირველ კვალს ტოვებდა, თითებზე კი უკვე მტვერი მოსდებოდა. იცით, რა, თქვა ექიმის ცოლმა, ყველაფერი გაიხადეთ, სულ გაშიშვლდით, ასე ვერ იქნებით, ტანსაცმელი არანაკლებ ჭუჭყიანია, ვიდრე ფეხსაცმელები. ეს როგორ, იკითხა პირველმა უსინათლომ, ერთმანეთის წინაშე რა, შიშვლებმა ვიაროთ. თუ გერიდებათ, ყველას ცალ-ცალკე მოგათავსებთ, დამცინავად უპასუხა ექიმის ცოლმა. მე აქ გავიხდი, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი დანახვა, თან ადრეც ხომ მნახე, არათუ შიშველი, არამედ კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში, ეს მხოლოდ ჩემს ქმარს აქვს მოკლე მეხსიერება. ვერ გავიგე, რა საჭიროა იმ უსიამოვნების გახსენება, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ჩაიბურტყუნა პირველმა უსინათლომ. შენ რომ ქალი ყოფილიყავი და იქ მოხვედრილიყავი, სადაც ჩვენ მოხვდით, ამას არ იტყოდ, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა და ელაში ბიჭუნას

გახდა დაიწყო. ექიმი და შავსახვევიანი მოხუცი უკვე წელამდე გაშიშვლდნენ, შარვლებს რომ იხდიდნენ ერთმა მეორეს უთხრა, მოდი, დაგეყრდნობი, შარვლის ტოტებში რომ არ გავიხლართო, და ცალ ფეხზე მოხტუნავენი ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. ექიმმა წონასწორობა დაკარგა, იატაკზე დავარდა და მოხუციც წააქცია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს თავიანთი მოუხერხებლობა ორივემ ხუმრობად აქცია, და არ შეიძლება გული არ აგიჩუყდეს მათ რომ უყურებ, ასეთ ბინძურებს, მათ გაშიშვლებულ ინტიმურ ადგილებს, ჭაღარა და შავი ბალნით დაფარულს, და სად გაქრა ერთის ასაკობრივი და მეორის პროფესიული რესპექტაბელურობა. ექიმის ცოლი მაშინვე დაეხმარა წამოდგომაში, მალე სულ ჩამობნელდება და რიდისა და სირცხვილის ყველა მიზეზი გაქრება. საინტერესოა, სანთლები თუ გვაქვს, იკითხა ექიმის ცოლმა, ქმარმა კი შეახსენა, რომ სადღაც შენახული უნდა იყოს ძველებური ნავთის ლამპა და კიდევ უფრო ძველი მინისკორპუსიანი სამპატრუქიანი ზეთის ჭრაქი, ჰო, ჭრაქი გამოდგება, რადგან ზეთი გვაქვს, პატრუქს როგორმე გავაკეთებ, ხვალ კი იქნებ რომელიმე საყოფაცხოვრებო მაღაზიაში ნავთი ვიშოვო, ყოველ შემთხვევაში, კონსერვზე ადვილი საშოვნელი უნდა იყოს. ისე, კონსერვს საყოფაცხოვრებო სასურსათო მაღაზიაში რა უნდა, გაიფიქრა ექიმის ცოლმა და თავადაც გაუკვირდა, რომ ასეთ სიტუაციაში კიდევ შემორჩენია ხუმრობის უნარი. შავსათვალნიანი ქალიშვილი ისე ნელა იხდიდა, რომ მის შემყურეს გეგონებოდა, თითქოს რაც მეტს იხდის, მით მეტად ცდილობს, რამე სამოსი მაინც დაიტოვოს სიშიშვლის დასაფარადო, თუმცა, გაუგებარია, როდის აქეთ გახდა ასეთი კდემამოსილი, მაგრამ ექიმის ცოლი უფრო ახლოს რომ მისულიყო, დაინახავდა, როგორი ალმური ასდიოდა ქალიშვილის ტალახით მოსვრილ სახეს, მაგრამ ამ ქალებს რას გაუგებ, ერთმა უცებ უცნაურად დაიმორცხვა, თუმცა, თავის დროზე უამრავ ისეთ მამაკაცთან იწვა, წესიერადაც რომ

არ იცნობდა, მეორის შესახებ კი აი, ახლა შევიტყვეთ, რომ თურმე შეუძლია სრული სიმშვიდით, რომელსაც ოლიმპიურ სიმშვიდეს უწოდებენ, მივიდეს იმ ერთთან და ყურში ჩასჩურჩულოს, ნუ გრცხვენია, ის ვერ გხედავსო, და იგულისხმა სწორედ თავისი ქმარი, და, რა თქმა უნდა, ჩვენც არ დაგვეიწყებია, როგორ აცდუნა ამ უსირცხვილომ, ჰოდა, აი, ასეთები არიან ეს ქალები და ვინც მათ არ იცნობს, დაე, ის გაფრთხილდეს. ისე, აქ შეიძლება სულ სხვა მიზნით იყოს, რადგან ამ ორი შიშველი მამაკაციდან ერთ-ერთი იწვა მასთან.

ექიმის ცოლმა შეაგროვა იატაკზე დაყრილი შარვლები, პერანგები, პიჯაკები, სვიტრები, ბლუზები, მაისურები, საცვლები, ისე დაბინძურებული, ერთი თვე რომ ჩააღბო, ვერ გარეცხავ, დაავლო ხელი ყველაფერს და თქვა, ახლავე დავბრუნდებიო, აივანზე გაიტანა ფეხსაცმელებთან, იქ თავადაც გაიხადა, თან მოქუფრული ცის ქვეშ ჩაშავებულ ქალაქს გახედა. ერთი ნათურაც არსად ენთო, არც ფასადი ირეკლავდა რამე შუქს, ყველაფერი ჩამკვდარიყო, ჩაბნელებულიყო, და თითქოს მის წინაშე ქალაქი კი არ იყო გაშლილი, გუდრონი ესხა, გაცივებული და საკუთარი ნებით სახლების, სახურავების, მიწების ფორმებად გამკვრივებული. ცრემლის ძაღლი, შეწუხებული, აივანზე გამოვიდა, მაგრამ იქ ცრემლის შეშრობა არავის სჭირდებოდა, რადგან დარდი ცრემლებად არ გადმოღვრილა. ექიმის ცოლს შესცივდა და დანარჩენები გაახსენდა, შიშვლები რომ იდგნენ შუა ოთახში და ელოდნენ, ოღონდ რას, თავადაც არ იცოდნენ. დაბრუნდა. მისი თანამგზავრები უსქესო სილუეტებად, მკრთალ ლაქებად, სიბნელეში გარინდებულ ჩრდილებად ქცეულიყვნენ. ახლავე ავანთებ შუქს, ჩაილაპარაკა თავისთვის, თორემ თქვენსავით ვერაფერს ვხედავ. არის რომ დენი, იკითხა ელამმა ბიჭუნამ. არა, ჭრაქს ავანთებ. ჭრაქი რა არის, ახალი შეკითხვა დასვა ბიჭუნამ. მერე აგისხნი. ერთ-ერთ პაკეტში ასანთის კოლოფი მოძებნა, სამზარეულოში გავიდა, კიდევ კარგი, ახსოვდა, ზეთი სად ჰქონდა შენახული,

სულ ცოტა სჭირდება, ჭურჭლის ტილოს ნაკუწი ჩამოახია, პატრუქივით დაგრიხა და ოთახში შევიდა, სადაც ჭრაქი დატოვა, რომელსაც იმ დღიდან, რაც დაამზადეს, პირველად უნდა მოეტანა სარგებლობა, ხოლო ის, რომ ასეთი ბედი ერგებოდა, თავიდან სულაც არ იცოდა, როგორც არც არავინ იცის, არც ჭრაქმა, არც ძაღლმა და არც ადამიანმა, არ ვიცით, რისთვის მოვევლინეთ ამ ქვეყანას. და აი, ერთმანეთის მიყოლებით სამივე პატრუქს მოედო მოლიცლიცე ალი, დროდადრო ისე წაგრძელებოდა ცეცხლის ენები, თითქოს ჰაერში უნდა აიჭრასო, მერე პატარავდებოდა, საკუთარ თავში იმალებოდა, მყარდებოდა, მანათობელი კენჭივით მკვრივდებოდა. ექიმის ცოლმა თქვა, აი, ახლა ვხედავ და შემოძლია სუფთა ტანსაცმელი მოგიტანოთ. ჭუჭყიანები რომ ვართ, იკითხა შავსათვალთანმა ქალიშვილმა. მასაც და პირველი უსინათლოს ცოლსაც ცალი ხელი მკერდზე აეფარებინათ, ცალი კი მუცელს ქვემოთ. ეს იმიტომ კი არაა, რომ ჩემი რცხვენიათ, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, იმიტომ, რომ ჭრაქის შუქის ერიდებათო, და თქვა, ჯობია, ჭუჭყიან ტანზე სუფთა ტანსაცმელი გეცვას, ვიდრე ჭუჭყიანი ტანსაცმელი სუფთაზეო. ჭრაქი აიღო და გავიდა, რომ კომოდსა და კარადაში ტანსაცმელი მოეძებნა, მალევე მობრუნდა და პიჯამების, ხალათების, ქვედაკაბების, ბლუზების, კაბების, შარვლების, ჯემპრების გროვა მოიტანა, სავსებით საკმარისი შვიდი ვაცის სიშიშვლის დასაფარად, რომლებიც თუმცა ერთი სიმაღლის არ იყვნენ, მაგრამ სიგამხდრით ტყუპები გეგონებოდათ. ექიმის ცოლი ჩაცმაში დაეხმარა ყველას. ელამმა ბიჭუნამ ის შარვალი ჩაიცვა, რომელსაც ექიმი ქალაქგარეთ და პლაჟზე იცვამდა, ასეთ შარვალში ყველა ბავშვებს ვემსგავსებით. ახლა კი შეგვიძლია დავსხდეთ, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, ოღონდ, გვითხარი, თუ შეიძლება, სად, თავად ვერ მივაგნებთო.

ოთახი სხვა ოთახებისგან არაფრით გამოირჩევა, შუაში მრგვალი მაგიდა დგას, გარშემო სავარძლები, რომლებზეც ყველა დაეტევა, აი, აქ ექიმი, მისი ცოლი და შავსახვევიანი მოხუცი დასხდნენ, მეორეზე - შავსათვალიანი ქალიშვილი და ელაში ბიჭუნა, მესამეზე კი პირველი უსინათლო და მისი ცოლი. ყველა გატანჯულია. ბიჭუნას, დაჯდა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა, თავი შავსათვალიან ქალიშვილს მიადო და ჭრაქი აღარც გახსენებია. ასე გავიდა ერთი საათი, და ეს ბედნიერებას ჰგავდა, მკრთალ შუქზე დაუბანელი სახეებიც კი სუფთა ჩანდა, ვისაც არ ეძინა, თვალები უბრწყინავდა, პირველმა უსინათლომ ცოლს ხელზე ხელი მოუჭირა და ამ მოძრაობით მიხვდებოდა, როგორ განაპირობებს სხეულის ნეტარება სულიერ ჰარმონიას. ახლა ცოტას კიდევ შეეჭამთ, მაგრამ მანამდე უნდა შევთანხმდეთ, როგორ ვიცხოვრებთ, დამშვიდდით, არ ვაპირებ კარანტინის დინამიკის როლი ვიკისრო და მისი ტექსტი ვიმეორო, ადგილი ყველას გვეყოფა, აქ ორი საძინებელია, სადაც წყვილები განვთავსდებით, ამ ოთახში კი დანარჩენები დაიძინებენ, ყველა თავის სავარძელში, ხვალ კი საჭმლის საშოვნელად წავალ, რაც გვქონდა, გვითავდება, და ურიგო არ იქნება, თუ რომელიმე თქვენგანი წამყვება, ჩანთების თრევაში რომ მომეხმაროს, და კიდევ სახლის გზა რომ დაიხსომოს, სად უნდა შეუხვიოს, სად პირდაპირ იაროს, რა ვიცით, რა ხდება, ხომ შეიძლება ავად გავხდეთ ან დავბრმავდეთ, ისედაც სულ ამის მოლოდინში ვარ, მერე თქვენგან მე ვისწავლი, და აი, კიდევ რა, ყოველ შემთხვევაში, აივანზე ვედროთი წყალი დავდგი, მესმის, ალბათ, გეზარებათ, წვიმს და ცივა, მაგრამ ჯობია წვიმასაც და სიცხესაც გაუძლოთ, ვიდრე სახლი დავაბინძუროთ, გაიხსენეთ, რა დღეში ვიყავით მას მერე, რაც საგიჟეთში გამოგვამწყვდიეს, დამცირების ყველა საფეხური გავიარეთ, ფსკერზე დავეშვიტ, რომლის მერე აღარც არაფერია, და სიმდაბლის ზღვარს მივალწიეთ, ალბათ, სხვა სახით, მაგრამ აქაც შეიძლება იგივე განმეორდეს, და თუ იქ თავის გამართლება სხვათა დეგრადაციით შეიძლებოდა, ახლა ეს

აღარ გამოგვივა, ახლა ყველა თანასწორნი ვართ სიკეთისა და ბოროტების წინაშე, ოღონდ ღვთის გულისთვის, არ მკითხოთ, სიკეთე და ბოროტება რა არის, ერთს მეორისგან მშვენივრად ვარჩევდით იმ პერიოდში, როცა სიბრძნევი გამონაკლისი იყო, ტყუილ-მართალი მხოლოდ სხვადასხვა ხერხით სხვებთან ურთიერთობის გასარკვევად, საკუთარ თავთან ეს არ ჭრის, ამ შემთხვევაში ვერაფერს მოეჭიდები, არ იფიქროთ, რომ ლექციას ან მორალს გიკითხავთ, თქვენ ხომ არ იცით და არც შეიძლება იცოდეთ, რას ნიშნავს უსინათლოთა სამყაროში თვალხილული იყო, დედოფალი კი არა ვარ, მხოლოდ ის ვარ, ვინც იმისთვის გაჩნდა, რომ ენახა ყოფიერების მთელი საშინელება, თქვენ გრძნობთ ამას, მე კი ვხედავ კიდევ, ახლა კი, გმადლობთ ყურადღებისთვის, ვახშობის დროა. ექიმმა თქვა, თვალი რომ ამეხილოს, ადამიანებს ისე ჩაგხედავდი თვალებში, რომ მათი სული დამენახა. სული, იკითხა შავსახვევიანმა მოხუცმა. ჰო, სული, არსი, რაც გინდა, ის დაარქვი, და იმწამს, სრულიად მოულოდნელად, არ დაგვაფიქვდეს, რომ არცთუ ნასწავლი და განათლებული ადამიანი ლაპარაკობს, შავსათვალიანმა ქალიშვილმა გამოაცხადა, ჩვენ შიგნით არის რაღაც ისეთი, რასაც სახელი არა აქვს, მაგრამ სწორედ ის არის ჩვენი არსი.

ექიმის ცოლმა მაგიდაზე დააწყო ის მცირედი, რაც ჯერ კიდევ შემორჩათ, და თქვა, ნელა ჭამეთ, დიდხანს ღეჭეთ, იქნებ კუჭი მოატყუოთ. ცრემლის ძაღლს არც უცდია საჭმლის მოთხოვნა, მარხვას მიეჩვია, თანაც დილის ნადიმის შემდეგ თავს უფლება არ მისცა, წილში ჩასდგომოდა ქალს, ასე რომ ტიროდა მაშინ, მათი პირველი შეხვედრისას, დანარჩენები კი, როგორც ჩანს, დიდად არც ადარდებდა. სამპატრუქიანი ჭრაქი მაგიდის შუაში იდგა და ელოდა, როდის გააკეთებდა ექიმის ცოლი შეპირებულ განმარტებებს, რაც ჭამის დამთავრებისთანავე გააკეთა კიდევ.

მომეცი ხელი, უთხრა ელამ ბიჭუნას და ნელა მიატანინა ჭრაქთან, თან ეუბნებოდა, აი, ეს კორპუსია, ასეთი მრგვალი, ამ სვეტზე კი გე- და ნაწილი დგას, აქ ზეთი ისხმება, ფრთხილად, ხელი არ დაიწვა, ეს კი პატრუქია, ერთი, ორი და სამი, რომლებიც ზეთით იჟლინთება, საკმარისია, ასანთი წაუკიდო და აინთება, იქნება ასე ანთებული, სა- ნამ ზეთი არ გამოიღევა, შუქს, რა თქმა უნდა, სუსტს გამოსცემს, მაგრამ მაინც საკმარისს საიმისოდ, რომ ერთმანეთი დავინახოთ. მე ვერაფერს ვხედავ. ოდესმე დაინახავ და მაშინ ასეთივე ჭრაქს გაჩუ- ქებ. რა ფერია. თითბერი არასდროს გინახავს. არ ვიცი, არ მახსოვს, თითბერი რა არის. ყვითელია. ჰოო. ელამი ბიჭუნა ჩაფიქრდა. ახლა მკითხავს, დედაჩემი სად არისო, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, მაგრამ შეცდა, ბიჭუნამ მხოლოდ ის თქვა, ძალიან მწყურიაო. ხვალამდე მო- გიწევს მოცდა, სახლში წყალი არ გვაქვსო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ იყო, იყო წყალი, ხუთი ლიტრი თუ მეტი ძვირფასი სითხე, ხე- ლუხლებელი, გაუხარჯავი, უნიტაზის ავზში, და იმ წყალს მაინც ჯობ- და, კარანტინში რომ სვამდნენ, რადგან იმაზე უარესი წარმოუდგე- ნელია. სიბნელეში ბრმად წავიდა ტუალეტისკენ, ხელით მიაგნო ავ- ზის სახურავს და ახადა, ვერ ხედავდა, იყო თუ არა წყალი, მაგრამ თითებით იგრძნო, რომ იყო, აიღო ჭიქა, ფრთხილად ჩაუშვა, ასევე ფრთხილად ამოიღო და დაეწაფა, ასე დაუბრუნდა ცივილიზაცია თა- ვის პრიმიტიულ საწყისს. სასადილო ოთახში რომ შევიდა, ყველა თავის ადგილას იჯდა. ჭრაქი ანათებდა მისკენ მიქცეულ სახეებს და თითქოს ეუბნებოდა, აქა ვარ, შემომხედეთ, ისარგებლეთ ჩემით და იცოდეთ, ყოველთვის ასე არ იქნებაო. ექიმის ცოლმა წყლით სავსე ჭიქა ბიჭუნას ტუჩებთან მიუტანა და უთხრა, აი, წყალი, დალიე, ოღო- ნდ ნელ-ნელა, პატარა ყლუპებით, დააგემოვნე, წყლით სავსე ჭიქა ნამდვილი სასწაულია, და ბიჭუნას ან ვინმე სხვას კი არ მიმართავ- და, არამედ სამყაროს აცნობებდა, რომ წყლით სავსე ჭიქა ნამდვი- ლი სასწაულია. სად იშოვე, წვიმის წყალიაო, ჰკითხა ექიმმა, და გა-

ახსენა, ერთი დიდი ბალონი სავსე გვექონდაო, და ცოლმა წამოი-
დახა, ჰო, მართლა, ეს როგორ დამავიწყდაო, ერთი ნახევრად
დაცლილი, მეორე კი ხელუხლებელი, რა ბედნიერებაა, მოიცა-
დე, არ დალიო, ეს ბიჭუნას მიმართა, ახლავე სუფთა წყალს მო-
ვიტან, საუკეთესო ჭიქებში ჩამოვასხამ და ყველა სუფთა წყალს
დავლევთო. ჭიქა თან წაიღო, სამზარეულოში შევიდა და დიდი
ბალონით დაბრუნდა, რომელშიც ძვირფასი სითხე სინათლეზე
კამკამებდა. მაგიდაზე დადგა, გამოიტანა ბროლის ჭიქები და ნე-
ლა, თითქოს წმინდა რიტუალს ატარებსო, ისე ჩამოასხა, და
თქვა, მოდი, დავლიოთო. უსინათლოებმა ხელით იპოვეს ჭიქები,
თრთოლით აიღეს. მოდი, დავლიოთო, გაიმეორა ექიმის ცოლ-
მა. შუა მაგიდაზე ჭრახვი მზესავით ანათებდა, გარშემო კი ვარ-
სკვლავები კიაფობდა. ჭიქები რომ დადგეს, გაირკვა, რომ შავ-
სათვალისანი ქალიშვილი და შავსახვევიანი მოხუცი ტიროდნენ.

ღამე მშფოთვარე გამოდგა. სიზმრები, თავიდან ბუნდოვანი
და გაუგებარი, ერთი მძინარიდან მეორისკენ დაძრწოდნენ, ხან
აქ აიღებდნენ რაღაცას, ხან იქ, მოჰქონდათ ახალი მესიერება,
ახალი საიდუმლო, ახალი სურვილი, ამიტომაც მძინარენი ხვნე-
შოდნენ და ოხრავდნენ, ეს ჩემი სიზმარი არ არისო, სიზმარი კი
პასუხობდა, შენ თვითონაც არ იცი შენი სიზმარიო, და სწორედ
ასე შეიტყო შავსათვალისანმა ქალიშვილმა, თუ ვინ იყო შავსახ-
ვევიანი მოხუცი, მისგან ორ ნაბიჯზე რომ ეძინა, მოხუცმა კი გა-
იფიქრა, ახლა კი ვიცი, ვინც არისო, და მხოლოდ გაიფიქრა,
რადგან მათ ურთიერთობას ჯერ იმ ხარისხისთვის არ მიულწევია,
როცა ორივეს ერთნაირი სიზმარი ესიზმრება. გამთენიისას წვი-
მამ დაუშვა. ქარმა ფანჯრებს რამდენიმე წვეთი ისე შემოახეთქა,
თითქოს ათასი მათრახი შემოტყორცნაო. ექიმის ცოლს გაელვი-
და, თვალი გაახილა და თქვა, რა თავსხმააო, მერე ისევ დახუჭა
თვალი, საძინებელში სიბნელეა, იქნებ ცოტა კიდევ დავიძინოო.
მაგრამ ვეღარ დაიძინა, წუთიც არ გასულა, რომ გაიფიქრა, უნდა

ავდგე, საქმე მაქვსო, თუმცა, ველარ გაიხსენა, რა საქმე ჰქონდა, მაგრამ წვიმამ უთხრა, ადექი, ხომ გინდოდა, რომ მოვსულიყავი, და აი, მოვედიო. და ჩუმად, ქმარი რომ არ გაეღვიძებინა, საწოლიდან წამოდგა, სასადილო ოთახი გაიარა, თვალი შეავლო იმათ, სავარძლებში რომ ეძინათ, მერე დერეფნით სამზარეულოში გავიდა, სადაც ფანჯრებს წვიმა განსაკუთრებული ძალით ეხეთქებოდა, რადგან ქარი სწორედ ამ მიმართულებით უბერავდა. ხალათის სახელოთი გაწმინდა დაბინდული ფანჯარა. ქუჩას გახედა. მოქუფრული ცა ლამის ჩამოქცეულიყო. აივანზე გროვად ეყარა ტანსაცმელი, იქვე ცელოფანის პარკით იდო ფეხსაცმელები, რომლებიც უნდა გაერეცხა. ჰო, უნდა გაერეცხა. უცებ გაახსენდა, აი, რა უნდოდა და რის გაკეთებას აპირებდა. კარი გააღო, აივანზე გავიდა და იმწამსვე თავიდან ფეხამდე წვიმა ჩანჩქერივით დაატყდა თავს. აი, წყალიც, გაიფიქრა. სამზარეულოში დაბრუნდა, ცდილობდა, არ ეხმაურა, აი-ლო ქვაბები, ვედროები, ტაშტები, ყველაფერი, რაშიც წვიმის წყლის შეგროვება შეიძლებოდა, რომელიც ქარის მიზგივით ციდან მიწამდე დამრეც, ხმაურიან ფარდად ეშვებოდა და ვეებერთელა ცოცხივით გვიდა სახურავებს. აივანის მოაჯირთან ჩაამწკრივა, ესეც წყალი, ბინძური ფეხსაცმელებისა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის გასარეცხად. ნეტავ არ გადაიღოს, ასხას და ასხას, ჩაიბუტბუტა თავისთვის, თან სამზარეულოში საპონსა და სარეცხ ფხვნილს, ჯაგრისს, ყველაფერს იმას ეძებდა, რითაც მოაშორებდა ამ აუტანელ სიბინძურეს, ასე რომ ტანჯავდა სულს. და სხეულსაც, შეასწორა თავისი მეტაფიზიკური აზრი, და მაშინვე დასძინა, ეს ხომ ერთი და იგივეაო. და იმავე წამს დანებდა ნათქვამს და ნაფიქრს შორის ჰარმონიულ თანხმობას, გაიძრო სველი ხალათი და შიშველი სხეული შეუშვირა ხან მოალერსე, ხან აგრესიულ ნაკადს, დაიწყო საცვლების, ტანსაცმლის, ფეხსაცმელების რეცხვა, თან ტანსაც იბანდა. წვიმის ხმაურში მაშინვე ვერ მიხვდა, რომ მარტო არ იყო. კართან შავსათვალისანი ქალიშვილი

და პირველი უსინათლოს ცოლი იღვინ, და არავინ იცის, რა წინათგრძობამ, რა ინტუიციამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა ალლომ, რა შინაგანმა ხმამ გააღვიძა ისინი, ასევე გაუგებარია, როგორ გამოიგნეს აქამდე გზა, თუმცა, იქნებ არც არის საჭირო ამის გარკვევა, ყველა მოსაზრება და ჰიპოთეზა მისაღებია. მომეხმარეთო, უთხრა ექიმის ცოლმა, როგორც კი შენიშნა ისინი. როგორ, ჩვენ ხომ ვერ ვხედავთო, უთხრა პირველი უსინათლოს ცოლმა. ჯერ ერთი, გაიხადეთ, რაც ნაკლები ტანსაცმელი იქნება გასაშრობი, მით უკეთესი. ჩვენ ხომ ვერ ვხედავთო, გაიმეორა მან. რა მნიშვნელობა აქვსო, თქვა შავსათვალისანმა ქალიშვილმა, რასაც შევძლებთ, ის გავაკეთოთო. რაც დარჩება, მერე მივხედავო, თქვა ექიმის ცოლმა, მერე გავრეცხავ, გავწმენდ, ახლა კი მიდით, მიდით, საქმეს მიხედეთ, მე და თქვენ ქვეყნად ერთადერთი ორთვალისანი და ექვსხელისანი ქალი ვართო. იქნებ მოპირდაპირე სახლში, აი, იმ მიხურულ ფანჯრებს მიღმა, ვილაც უსინათლოები, მამაკაცები და ქალები, კოკისპირული წვიმის ხმაურით გაღვიძებულნი, შუბლით მიყრდნობიან ცივ მინებს ისე, რომ მათი სუნთქვით სულ დაიორთქლა, ღამის დელგმას კიდევ ნისლიც დაემატა, და იხსენებენ, როგორ ხედავდნენ ადრე, როგორც ახლა ხედავენ ციდან მოვლენილ კოკისპირულ წვიმას. ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ სადღაც იქვე, მახლობლად, სამი ქალი, დედიშობილა, ჭკუიდან შემლილა, აშკარად შემლილა, აბა, სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანი ხომ არ გავა აივანზე დასაბანად, მთელი გარემოს დასანახად, და მერე რა, რომ ყველა ბრმები ვართ, არის რაღაც, რაც ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია, და ღმერთო ჩემო, როგორ ესხმება წვიმის წყალი მათ სხეულებს, როგორ ჰბანს, ძუძუებს შორის როგორ იღვრება, მერე ნელა ეშვება ბოქვენისკენ, მიედინება თეძოებზე, და იქნებ სულ ტყუილად ვგმობთ ამ ქალების ქცევას, იქნებ ჩვენ არ შეგვიძლია

დავინახოთ ის მშვენიერი და ამაღლებული, რაც მთელი ამ ქალაქის ისტორიაში ყოფილა, აივნიდან კი ნაკადად იღვრება აქაფებული წყალი, ოჰ, ნეტავ მეც, სუფთას, განბანილს, შიშველს, მასთან ერთად შემეძლოს გადავეშვა. მხოლოდ ღმერთი გვხედავს, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, რომელმაც იმედგაცრუებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, შეინარჩუნა მტკიცე რწმენა, რომ ღმერთი ბრმა არ არის, რაზეც ექიმის ცოლმა განაცხადა, არა, ისიც ვერ გვხედავს, ცა ღრუბლებით არის დაფარული, მხოლოდ მე გხედავთო. ალბათ, ძალიან დავუშნოვდი, იკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. არა, გამხდარი და ჭუჭყიანი კი ხარ, მაგრამ უშნო არასდროს იქნები. მე, იკითხა პირველი უსინათლოს ცოლმა. შენც გამხდარი ხარ და ჭუჭყიანი, და არც ისეთი ლამაზი, როგორც ეს, თუმცა, ჩემზე ლამაზი კი ხარ. შენ ძალიან ლამაზი ხარ, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. რა იცი, ხომ არასდროს გინახავარ. ორჯერ გნახე სიზმარში. როდის. მეორედ წუხელ გნახე. შენი სახლი გესიზმრა, რადგან მშვიდად და იმედიანად გრძნობდი თავს, სხვაგვარად ვერც იქნებოდა მას შემდეგ, რაც თავს გადაგვხდა, და იმ სიზმარში მე შენი სახლი ვიყავი, ხოლო რომ დაგენახე, სახე იყო საჭირო, ჰოდა, შენც ჩემი სახე წარმოიდგინე. მე კი არასდროს დამსიზმრებიხარ, უთხრა პირველი უსინათლოს ცოლმა, მაგრამ ვიცი, რომ ლამაზი ხარ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიბრძავე მახინჯებისთვის მართლაც მისწრებაა. მახინჯი სულაც არა ხარ. ჰო, მახინჯი არა ვარ, მაგრამ ასაკს ვერაფერს უბამ. რამდენი წლის ხარ, ჰკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. მალე ორმოცდაათის გავხდები. დედაჩემის ხნის ყოფილხარ. ის კი. რა, ის. ისეთივე ლამაზია. ადრე უფრო ლამაზი იყო. ჰო, ასე ხდება, ყველას ასე გვემართება, ოდესღაც უკეთესები ვიყავით. სიტყვებს სჩვევიათ, კი არ გაამჟღავნონ, არამედ დაფარონ, ერთი მეორეს და ყველანი ერთმანეთს ეჭიდებიან და თითქოს თავადაც არ იციან, საით მიექანებიან, მაგრამ აი, ორი-სამი თუ ოთხი, ენიდან მოწყვეტილი, სულ რაღაც უბრალო სიტყვის გამო,

ვთქვათ, ზმნისართის თუ ზმნის, ან ზედსართავი სახელის, ენით აუწერელი მღელვარება ჟრუანტელად დაგივლის ტანში, დაგბურძგლავს, ცრემლად გადმოიღვრება თვალებიდან, და აი, სკდება, იშლება გრძნობათა მტკიცე კონსტრუქცია, არადა, რამდენს გაუძლეს ყველამ ერთად, თითქოს რკინის გული ჰქონოდეთ, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, ექიმის ცოლს რკინის ნერვები აქვსო, და აი, ის, ექიმის ცოლი, ცრემლად იღვრება, პირის ნაცვალსახელიდან, ზმნისართიდან თუ ზმნიდან, ზედსართავიდან გადმომდინარე ცრემლად, წარმოგიდგენიათ, გრამატიკული ცნებებიდან, ისეთივე კატეგორიებიდან, როგორიც ეს ქალები არიან, ან სხვები, განუსაზღვრელი ნაცვალსახელები, რომლებსაც თვალები აუცრემლდათ და ერთმანეთს გადაეხვივნენ, როგორც სიტყვები წინადადებაში, სამი შიშველი გრაცია თავსხმა წვიმაში, წვიმაში, რომელმაც არა და არ გადაიღო. მაგრამ ასეთი წუთები ხომ დიდხანს არ გრძელდება, ისედაც საათზე მეტია, რაც აქ დგანან, უკვე უნდა შესცივდეთ, და აი, შემცივდაო, თქვა შავსათვალნიანმა ქალიშვილმა. ტანსაცმელს აღარაფერი ეშველება, ფეხსაცმელები, ასე თუ ისე, გაირეცხა, ახლა დროა, თავად დაიბანონ, და ერთმანეთს თავს უსაპნავენ, ბურგს უხეხავენ და იცინიან, როგორც პატარა გოგონები, ბაღში დახუჭობანას რომ თამაშობენ, როცა ჯერ კიდევ არ იყვნენ ბრმები. უკვე ინათა და ის იყო, მზემ სამყაროს კიდიდან გამოანათა, რომ მერე ისევ ღრუბელს მიეფარა. ისევ წვიმს, თუმცა, არა კოკისპირულად. მრეცხავები სამზარეულოში შევიდნენ, გამშრალდნენ პირსახოცებით, რომლებიც ექიმის ცოლმა სააბაზანოს კარადიდან გამოიღო, და ვერ ვიტყვით, რომ მათი კანი სარეცხის ფხვნილმა უფრო სურნელოვანი გახადა, მაგრამ რას იზამ, თუ საპონი თვალის დახამხამებაში გაუთავდათ, თუმცა, ამ სახლში, მგონი, ყველაფერი ან ამათ იციან, რა როგორ გამოიყენონ, და აი, ჩაიცვეს, სა-

მოთხე აივანზე დარჩა, ექიმის ცოლმა სველ ტილოდ ქცეული ხალათის ნაცვლად ყვავილებით მოჩითული კაბა ჩაიცვა, მრავალი წელია, რომ არ სცმია, და ამ სამში ყველაზე ლამაზი გამოჩნდა.

ოთახში რომ შებრუნდნენ, აღმოჩნდა, რომ შავსახვევიან მოხუცს გაღვიძებოდა და სავარძელში იჯდა. ხელები თავზე შემოეწყყო, ჭაღარა თმა თითებით ჩაებღუჯა, ისეთი დაძაბული იჯდა, თითქოს გაფანტული ამრების შეგროვებას ცდილობსო ან პირიქით, თავიდან უნდა მოიშოროსო. გაიგონა, როგორ შემოვიდნენ, იცოდა, სადაც იყვნენ და რასაც აკეთებდნენ, იმიტომ კი არა, რომ მხედველობა დაუბრუნდა, არამედ, როგორც მოხუცებს სჩვევიათ, ფეხაკრეფით მივიდა სამზარეულოს კართან და უთვალთვალებდა ერთს კი არა, სამ სუსანას ერთად, ესმოდა მათი ლაპარაკი, სიცილი, წვიმის შხაპუნი და გრძნობდა საპნის სუნს, მერე სავარძელში ჩაჯდა და იმაზე დაფიქრდა, რომ ქვეყნად თურმე სიცოცხლე არსებობს და იქნებ მასაც ერგოს ამ სიცოცხლის პატარა ნაწილი. ექიმის ცოლმა თქვა, ქალებმა დავიბანეთ, ახლა კაცების ჯერიაო, მოხუცმა იკითხა, კიდევ წვიმსო, კი, წვიმსო და აივანზე ქვაბებშიც არის წყალიო. რაკი ასეა, ტაშტში დავიბანო, თქვა მოხუცმა, თანაც ისე, თითქოს თავისი საპატიო ასაკის დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგინა, რითაც მიანიშნა, რომ მის დროს სიტყვა „აბაზანას“ ჯერ არ ხმარობდნენ, არამედ მხოლოდ ტაშტს, თანაც დასძინა, თუ შეიძლებაო, ვეცდები, არაფერი დავსვარო და იატაკზე არ დავაქციო წყალიო. მაშინ სააბაზანოში შემოგიტანთ წყალსო. მოგეხმარები. არა, მე თვითონ. ხეიბარი ხომ არა ვარ, მეც ხომ შემიძლია რამე. მაშინ, წამოდი. აივანზე ექიმის ცოლმა წყლით სავსე ყველაზე დიდი ქვაბი შეარჩია. აი, აქ მოჰკიდე ხელი, უთხრა მოხუცს და ხელი მოაკიდებინა. მიდი, და ასწიეს ქვაბი, კიდევ კარგი, რომ მომეხმარე, მარტო ვერ შევძლებდი. ხომ გსმენია ნათქვამი, ბებერი ხარის რქანიც ხნავენო. რამდენად ღრმად. ღრმად ვერა, მაგრამ ხომ ხნავენ. შენ თურმე ფილოსოფოსი ყოფილხარ.

არა, მოხუცი ვარ. წყალი აბაზანაში ჩაასხეს, ექიმის ცოლს გაახსენდა, რომ უჯრაში საპნის ნაჭერი ჰქონდა. მოხუცს ხელში ჩაუდო. კარგი სურნელი აგივა, ჩვენგან განსხვავებით, ნუ დაბოგავ, საჭმელი კი ძნელი საშოვნელია, სამაგიეროდ, საპონი უხვადაა მაღაზიებში. გმადლობ. ოღონდ ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს, თუ გინდა, ჩემს ქმარს დავუძახებ, რომ მოგეხმაროს. არა, მე თვითონ. აბა, შენ იცი, ჰო, აი, კიდევ რა, აქ საპარსია, იქნებ წვერის გაპარსვა მოგინდეს. გმადლობ. ექიმის ცოლი გამოვიდა. შავსახვევიანმა მოხუცმა პიუჟამა გაიხადა, ტანსაცმლის დარიგებისას რომ ერგო, და ძალიან ფრთხილად ჩავიდა აბაზანაში. წყალი ცივი იყო, აბაზანის ფსკერს ძლივს ფარავდა და ვერაფრით შეედრებოდა იმას, სამი ქალი მხიარულად რომ უშვერდა სხეულს ციდან უხვად ჩამოდვრილ ნაკადს. შავსახვევიანმა მოხუცმა ჩაიჩოქა, ღრმად ამოიოხრა, ორივე ხელით შეისხა წყალი, ლამის სუნთქვა შეეკრა. სწრაფად, რომ არ შესცივნოდა, მთელ სხეულზე წაისვა საპონი, მხრები, ხელები, მკერდი, მუცელი, ბოქვენი, გენიტალიები, ბარძაყები გაისაპნა, პირუტყვზე უარესი ვარო, გაიფიქრა, მერე გამხდარი თეძოები, და ბოლოს გაქვავებულ ქუსლებს მიაღვა. გაისაპნა, რომ ცოტა დაერბილებინა, და თქვა, თავი უნდა დავიბანო, ხელები კეფისკენ წაიღო, რომ სახვევი მოეხსნა, გარეცხვა არც შენ გაწყენსო, და წყალში ჩააგდო, თავი დაისველა და გაისაპნა, და აი, სულ თეთრად გაქაფული იდგა კაცი საყოველთაო თეთრი სიბრძავის შუაგულში, სადაც ვერავინ იპოვის, და თუ ასე იფიქრა, შეცდა, რადგან უცებ იგრძნო, რომ ვიღაც ხელებით შეეხო ზურგზე, მხრებიდან, მკერდიდან ქაფი ბეჭებზე წაუსვა, თანაც ისე ნელა, თითქოს ამ გულმოდგინებით სიბრძავე უნდა დაეძლია. უნდოდა, ეკითხა, ვინ ხარო, მაგრამ ვერ შეძლო, ენა არ მოუტრიალდა, და მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, თუმცა, არა სიცივისგან, ხელები კი ნაზად და ფრთხილად ჰბანდა, და ამ ქალს არ უთქვამს, პირველი უსინათლოს ცოლი ვარო,

ექიმის ცოლი ვარო, შავსათვალისანი ქალიშვილი ვარო. და აი, ხელებმა თავისი საქმე შეასრულეს, წავიდნენ და სიჩუმეში კარის დახურვის ხმა გაისმა, შავსახვევიანი მოხუცი კი მარტო დარჩა, მუხლებზე დაჩოქილი, თითქოს რაღაც წყალობას ელისო, აკანკალებული, აცახცახებული. ნეტავ ვინ იყო, ეკითხებოდა საკუთარ თავს და გონება კარნახობდა, რომ მხოლოდ ექიმის ცოლი შეიძლებოდა ყოფილიყო, აბა, სხვა ვინ, თუ არა ის, ყველას ქომაგი, დამპყრებელი, მზრუნველი, ის გამოიჩინდა ასეთ მოკრძალებულ ყურადღებას, ასე ეუბნებოდა გონება, მაგრამ მოხუცი არ უჯერებდა. და სულ ცახცახებდა, თავადაც ვერ მიმხვდარიყო, სიცივისგან თუ მღელვარებისგან. აბაზანის ფსკერზე შავი სახვევი მოძებნა, გაკეცა, გაწურა, თვალზე აიხვია, რომ მთლად შიშველი არ ყოფილიყო. სუფთა და განბანილი სასადილო ოთახში რომ შევიდა, ექიმის ცოლმა თქვა, როგორც იქნა, დაბანილი და გაპარსული კაცი გვეღირსაო, და იქვე დასძინა, თითქოს გაახსენდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა, უი, როგორ დამავიწყდა, რომ ზურგის გახეხვაში მოგხმარებოდიო. შავსახვევიანმა მოხუცმა ხმა არ გაიღო, მხოლოდ გაიფიქრა, სწორად მოვიქეცი, გონებას რომ არ დავუჯერეო.

საჭმლიდან რაც დარჩა, ელამ ბიჭუნას აჭამეს, დანარჩენები დაცდიან, სანამ კიდევ იშოვიან რამეს. სახლში არის რაღაც მარაგი, რამდენიმე ქილა კომპოტი, ჩირი, შაქარი, ცოტა შაქარლამა, ცოტა ორცხობილა, მაგრამ ამ ყველაფერს უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებენ, რადგან ყოველდღიური საკვები ყოველდღიურად უნდა მოიპოვო, და თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ექსპედიცია უშედეგოდ დასრულდა, აი, მაშინ ჰო, ყველას ერგება ორ-ორი შაქარლამა და ცოტა კომპოტი. არის ატმის, მარწყვის, შენ რომელი გინდა, ერთი ჭიქა წყალი, ერთი ლებანი ნიგოზი და მიდი, იქეიფე. პირველი უსინათლოს ცოლმა გამოაცხადა, პროდუქტებზე მეც წამოვალო, სამი სულაც არ არის ბევრი ამ საქმისთვის, ორი, მით უმეტეს, თუნდაც უსინათლონი, წამოღებაში მაინც მოეხმარებიან, თანაც სახლში უნდა შევლა, შორს

ხომ არ არის, ნახავს, რა ხდება, ვინმემ ხომ არ დაიკავა და თუ დაიკავა, ვინ, იქნებ მეზობლები შევიდნენ, პროვინციიდან ნათესავები ჩამოუვიდნენ და თავიანთ ბინაში ვეღარ დაეტივნენ, ალბათ, იქ, სოფლებშიც მძვინვარებს სიბრძნის ეპიდემია, ქალაქში კი მაინც სხვა შესაძლებლობებია. და სამნი წავიდნენ, იმ ტანსაცმელში გამოწყობილნი, რაც სახლში მოიძიეს, თორემ გარეცხილი გამოდარებას უნდა ელოდოს. ცა ისევ მოქუფრულია, თუმცა, არ წვიმს. თუ ქუჩა დაღმართად მიდის, წყალს ნაგავი მიაქვს და გროვად უყრის თავს, ასე რომ, შედარებით სისუფთავეა. ნეტავ წვიმა კარგა ხანს გაგრძელდეს, თორემ მზიანი ამინდი უარესია, ყველაფერი იხრწნება და ყარს, თქვა ექიმის ცოლმა. სიმყრალეს იმიტომ ვგრძნობთ, რომ დავიბანეთ, უპასუხა პირველი უსინათლოს ცოლმა, და ქმარიც დაეთანხმა, თუმცა, წუხდა, ცივი წყლით დაბანისას ხომ არ გავცივდებით. ქუჩები სავსეა უსინათლოებით, ჯგუფ-ჯგუფად დადიან საჭმლის საძებნელად და მოსასაქმებლად, მართალია, ცოტას ჭამენ და სვამენ, მაგრამ მოსაქმება მაინც სჭირდებათ. ძაღლებიც ბევრნი დაძრწიან, ნადავლს ეძებენ, ნაგავში იქექებიან, აი, ერთი კბილებით ვირთხას მოათრევს, და ეს სულ კოკისპირული წვიმის დამსახურებაა, რადგან წყალმა დატბორა სარდაფი, სადაც საუბედუროდ ეს ვირთხა ბინადრობდა, და იმანაც ვერ უშველა, რომ ცურვა შეეძლო. ცრემლის ძაღლიც მიჰყვებათ, აღარ გაერია ხროვას, არჩევანი უკვე გააკეთა, მაგრამ არც იმათი რიგებიდანაა, ვინც ელოდება, როდის აჭმევენ, შეხედეთ, უკვე რაღაცას ღეჭავს, ეს ნაგვის გროვები ხომ წარმოუდგენელ განძს შეიცავს, გაქექე, მოძებნე და იპოვი. პირველ უსინათლოსა და მის ცოლსაც მიეცათ შესაძლებლობა, გაექექათ, მოეძებნათ, ოღონდ მეხსიერებაში, და რაღაც ეპოვათ, რადგან ძალიან მყარად გაიმაგრეს ოთხი კუთხე, არა, სახლში კი არა, სადაც ცხოვრობდნენ, იქ ბევრად მეტი კუთხეა, არამედ ის კუთხეები, ქვეყნიერების ოთხივ მხარეს რომ განასახიერებს,

ისე, უსინათლოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სად არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი და იქ კიდევ აღმოსავლეთი, მათთვის მთავარია, ხელით იგრძნონ, რომ გზას არ ასცდნენ, ეს ადრე, როცა ცოტა იყვნენ, დადიოდნენ ყავარჯნებით, მიწაზე და სახლების კედლებზე კაკუნ-კაკუნით მიუყვებოდნენ თავიანთ მარშრუტს, ახლა კი, როცა ყველა ბრმაა, საერთო კაკუნში დაიკარგება ხმა და ვერც ველარაფერს დაადგენ, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საკუთარ სითეთრეში ჩაძირული უსინათლო იმაშიც კი დაეჭვდება, უჭირავს თუ არა რამე ხელში. ძაღლებს, როგორც ვიცით, იმის გარდა, რასაც ინსტინქტი ჰქვია, ორიენტირების სხვა საშუალებებიც აქვთ, და რაკილა ახლომხედველები არიან, მხედველობაზე დიდად არ ამყარებენ იმედს და მხოლოდ ცხვირით, თვალს რომ უსწრებს ცნოსვით, ხვდებიან იქ, სადაც უნდათ, და რაკილა ცრემლის ძაღლმა, ყოველი შემთხვევისთვის, რიგრიგობით ყველა ფეხი ასწია ქვეყნიერების ოთხივე მხრისკენ, ანუ კუთხისკენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ოდესმე თუ დაიკარგება, ცნოსვა უთუოდ მიიყვანს შინ. გზად ექიმის ცოლი ქუჩებს ათვალიერებს, ეძებს სასურსათო მაღაზიებს, საჭმლის მარაგი რომ შეავსოს. ვერც იმას იტყვი, რომ მაღაზიები გამოცარიელებულია, რადგან ლობიო და ბარდა კიდევ მოიძებნება, რაკი მათზე მოთხოვნა არ არის, როგორც ბოსტნეულ კულტურებზე, დიდხანს რომ სჭირდება ხარშვა, რაც შეუძლებელია წყლისა და ცეცხლის გარეშე, არადა, წყალსა და ცეცხლს საიდან მოიტან. ექიმის ცოლი, მართალია, ანდაზებისა და ხალხური გამოთქმების დიდად მოყვარული არ არის, მაგრამ ხალხური სიბრძნის რაღაც მარცვალი მაინც შემორჩა მეხსიერებაში, რის დასტურადაც ორი ტომარა ლობიოთი და ბარდით გაავსო, წაიღე, რა იცი, რაში გამოგადგებაო, ეუბნებოდა ბებია, და მართლაც, იმავე წყალში მოხარშავს, რომელშიც ჩაალობს, და რაც დარჩება, უკვე წყალი კი არა, საჭმელი იქნება, რადგან ბუნებაში არაფერი იკარგება და რაღაც სარგებელი მაინც მოაქვს.

და შეკითხვა, თუ რატომ დასჭირდათ ლობიოთი და ბარდით და ყველაფერ იმით სავსე ტომრების თრევა, რაც ხელში მოხვდათ, როცა ასეთი გრძელი გზა აქვთ გასავლელი იმ ქუჩამდე, სადაც ცხოვრობენ პირველი უსინათლო და მისი ცოლი, შეიძლება დასვას მხოლოდ იმან, ვისაც ცხოვრებაში არაფერი მოჰკლებია. ოჯახი ხრამიაო, კენჭი რომ კენჭია, ისიც შინ უნდა მოიტანო, იტყოდა ისევ ბებია, და სამწუხაროა, რომ არ დაამატებდა, თუნდაც მთელი დედამიწა ფეხით გქონდეს შემოსავლელიო, რადგან დაახლოებით ასეთ გმირობას სჩადიოდნენ ეს სამნი, ყველაზე შორი გზით რომ მიდიოდნენ სახლისკენ. სად ვართო, იკითხა პირველმა უსინათლომ, ექიმის ცოლმა უთხრა, სადაც არიან, კიდევ კარგი, რომ ხედავს, პირველმა უსინათლომ კი უცებ შესძახა, აი, სწორედ აქ, ამ გზაჯვარედინზე, შუქნიშანთან დავბრმავდიო. ნუთუ მართლა. ჰო. სწორედ აქ. რას ამბობ. გახსენებაც კი არ მინდა, ვიჯექი დაბრმავებული, მანქანაში გამოკეტილი, ვიღაცები მიყვიროდნენ, რას დამდგარხარ, გაგვატარეო, მე კი სასოწარკვეთილი ვღრიალებდი, ვერაფერს ვხედავ-მეთქი, სანამ ის არ მოვიდა და შინ არ წამიყვანა. საცოდავი, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, უკვე ველარასოდეს მოიპარავს მანქანას. იმის გაფიქრება, რომ ოდესმე მოვკვდებით, იმდენად აუტანელია, რომ ყოველთვის ვცდილობთ მკვდრების გამართლებას, თქვა ექიმის ცოლმა, და, ალბათ იმიტომ, რომ წინასწარ ვითხოვთ შენდობას, სანამ ჩვენი ჯერი დადგება. მე კი ეს ყველაფერი სიზმარი მგონია, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, თითქოს მესიზმრება, რომ დავბრმავდი. შინ რომ ვიჯექი და გელოდებოდი, მეც მეჩვენებოდა, რომ სიზმარი იყო, უთხრა ქმარმა. უკვე გაიარეს გზაჯვარედინი, სადაც ეს ამბავი მოხდა, და აუყვენენ ვიწრო ქუჩების ლაბირინთს, ექიმის ცოლი აქაურობას არ იცნობს, მაგრამ პირველი უსინათლო აქ არ დაიკარგება, უკითხავს ქუჩების სახელწოდებას, ის კი განკარგულებებს იძლევა, მარცხნივ,

მარჯვნივ, და აი, ბოლოს, ესაა ჩვენი ქუჩა, სახლი მარცხნივაა, თითქმის შუაში. რა ნომერია, ჰკითხა ექიმის ცოლმა, მას კი არ ახსოვს. რა გინდა ქნა, გამომდიფრინდა თავიდან, თქვა მან, რაც ცუდი ნიშანი იყო, რადგან თუ საკუთარი სახლის ნომერი დაგავიწყდა, ესე იგი, სიზმარმა ჩაანაცვლა მეხსიერება. საინტერესოა, სადამდე მიგვიყვანს ეს გზა. კიდევ კარგი, ამჯერად გადავრჩით, პირველი უსინათლოს ცოლმა მეგზურობა თავის თავზე აიღო, და აი, გაისმა სასურველი ციფრები, აღარ გახდა საჭირო, რომ პირველ უსინათლოს ეტრახახა ხელით შეხების მაგიით შემიძლია კარს მივაგნო, თითქოს ყავარჯენი ჯადოსნური ჯობად უქცევია და იმით არკვევს, აი, ეს რკინაა, ეს ხე, კიდევ ერთი-ორი შეხება და სრული სურათიც გამოჩნდა, ჰო, ნამდვილად ესააო. ექიმის ცოლი შეუძღვათ. რომელი სართულია, იკითხა მან. მესამე, უპასუხა პირველმა უსინათლომ, და არც ისე უღალატია მეხსიერებას, როგორც გვეგონა, რაღაც გავიწყდება, რას იზამ, სამაგიეროდ, რაღაც გახსოვს, აი, მაგალითად, როგორ შევიდა უკვე ბრმა ამ კარში და როგორ ჰკითხა იმ კაცმა, ჯერ სანამ მანქანას მოჰპარავდა, რომელი სართულიაო, მან კი უპასუხა, მესამეო, და განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჯერად ლიფტით კი არა, კიბის უხილავი საფეხურებით აღიან, ერთდროულად ბნელიც რომ არის და ნათელიც, ვისთვის როგორ, და ძნელია იმისთვის, ვინც უსინათლო არაა, ელექტრობის ან მზის სინათლის ან სანთლის შუქის გარეშე, მაგრამ ექიმის ცოლის თვალები უკვე შეეჩვია სიბნელეს, შუა გზაზე ორი ქალი შემოხვდათ, რა თქმა უნდა, უსინათლოები, საიდანღაც ზემოდან ჩამოდიან, იქნებ მესამე სართულიდანაც, მაგრამ არაფერი იკითხეს, ეტყობა, ეს ის ძველი მეზობლები არ არიან.

კარი ჩაკეტილია. რა ვქნათო, იკითხა ექიმის ცოლმა. დააკაკუნეს ერთხელ, მეორედ, მესამედ. არავინაა, თქვა რომელიღაცამ სწორედ იმ მომენტში, როცა კარი გაიღო, და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დაგვიანებით გაიღო, რადგან უსინათლო ხომ ვერ გამოიქცე-

ოდა, კაკუნზე რომ ეკითხა, ვინ ხართო. რა გნებავთ, რით დაგეხმართოთ, იკითხა მამაკაცმა, საუბრის მანერაზე ეტყობოდა, რომ კულტურული, წესიერი, თავაზიანი პიროვნება იყო. პირველმა უსინათლომ უთხრა, აქ ვცხოვრობდიო. ჰოო, უპასუხა მამაკაცმა, მერე ჰკითხა, ვინმე გახლავთო. ცოლი და კიდევ ახლობელი ქალბატონი. როგორ გავიგო, რომ ეს თქვენი ბინაა. ძალიან მარტივად, უპასუხა პირველი უსინათლოს ცოლმა, გეტყვით, სად რა დგას და საერთოდ, რა არის ბინაში. მამაკაცი რამდენიმე წამს დუმდა, მერე თქვა, შემოდითო. ექიმის ცოლი უკან მიჰყვებოდათ, აქ უკვე მეგზურობა აღარ იყო საჭირო. მარტო ვარ, თქვა ბინის ახალმა პატრონმა, ჩემი ქალები სამივე საჭმლის საშოვნელად წავიდნენ, ალბათ, უნდა მეთქვა, სამივე ჩემი ქალი, მაგრამ, მგონი, ასე არ ამბობენ. რას გულისხმობთ, იკითხა ექიმის ცოლმა. ჩემი ქალები, ვინც ვახსენე, ჩემი ცოლი და ორი ქალიშვილი არიან, და არა მგონია, აქ სწორი იყოს სიტყვა ქალების ხმარება. რა მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის აქვს, მწერალი ვარ და ამის ცოდნა მევალება. პირველ უსინათლოს, რომელსაც ესიამოვნა, რომ მის ბინას მწერალმა შეაფარა თავი, შეკითხვა დაეხდა, თუმცა, გაიფიქრა, უხერხული ხომ არ იქნება, გვარი ვკითხოო, იქნებ წამიკითხავს კიდევ მისი ნაწარმოები, მაგრამ სანამ ის ცნობისმოყვარეობასა და მორიდებას შორის ორჭოფობდა, ცოლმა დაასწრო, რა გვარი ხართო. უსინათლოებს გვარი არ სჭირდებათ, ჩემი ხმაც საკმარისია, დანარჩენს კი მნიშვნელობა არა აქვსო. მაგრამ ხომ არსებობს თქვენი დაწერილი წიგნები, ყდაზე თქვენი გვარი რომ წერია, უთხრა ექიმის ცოლმა. ახლა მათ ვერავინ წაიკითხავს, ესე იგი, არც არსებობს. პირველმა უსინათლომ გაიფიქრა, რომ საუბარი ასცდა მისთვის საინტერესო თემას და ჰკითხა, აქ როგორ შემოხვედითო. ისევე, როგორც მრავალი სხვა, ვინც იქ აღარ ცხოვრობს, სადაც ცხოვრობდა, ჩემი ბინა უცხო ადამიანებმა დაიკავეს, არავითარმა დასაბუთებამ

არ გაჭრა, და შეიძლება ითქვას, კიბიდან დაგვაგორეს. აქედან შორს ცხოვრობთ. არც ისე. დაბრუნება აღარ გიცდიათ, ახლა ხომ ყველა იცვლის საცხოვრებელ ადგილს. როგორ არა, ორჯერ მივაკითხე. მაგრამ ისევ იქ არიან. ჰოო. ახლა რას აპირებთ, როცა გაიგეთ, რომ ეს ბინა ჩვენია, ჰკითხა პირველმა უსინათლომ, ჩვენც კიბეზე დაგვაგორებთ. არც ასაკი მომცემს ამის ნებას, არც ძალა მეყოფა საამისოდ, და რომც შემეძლოს, ასეთ რადიკალურ ზომას არ ვიკადრებ, სხვა თუ არაფერი, მწერალი ვარ, მწერალს კი თმენის უნარი უნდა ჰქონდეს. ესე იგი, შემოგვიშვებთ. ჰო, თუ სხვა გამოსავალს ვერ მოვნახავთ. სხვა გამოსავალს მე პირადად ვერ ვხედავ. ექიმის ცოლი მიხვდა, რასაც უპასუხებდა მწერალი და არც შეცდა. თქვენ, თქვენი ცოლი და თქვენი თანმხლები ქალბატონი, ალბათ, სადმე უკვე დაბინავდით. დიახ, სწორედ ამ ქალბატონის ბინაში. აქედან შორსაა. არა, არც ისე. მაშინ, თუ ნებას მომცემთ, აი, რას შემოგთავაზებთ. საინტერესოა, რას. მოდი, ჯერჯერობით ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის, რაკი ჩვენც და თქვენც ჭერი გვაქვს, მე ჩემს ბინას მივაკითხავ ხოლმე და როგორც კი გათავისუფლდება, მაშინვე გადავალ, თქვენც ასე მოიქცით. ვერ გეტყვით, რომ თქვენმა გეგმამ აღმაფრთოვანა. არც ველოდი, რომ მოგეწონებოდათ, მაგრამ ვეჭვობ, ერთადერთი ალტერნატივა უფრო მოგეწონებათ. რა ალტერნატივა. დაუყოვნებლივ, ახლავე დაიკავოთ თქვენი ბინა. ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაში... სწორედაც, ამ შემთხვევაში აქ მოგვიწევს ცხოვრება. არა, ამაზე არც იოცნებოთ, ჩაერია საუბარში პირველი უსინათლოს ცოლი, მთელი ჩვენი ნივთები აქაა, აქ როგორ იცხოვრებთ. იცით რა, მოვიფიქრე, კიდევ ერთი ვარიანტია, თქვა მწერალმა. რა ვარიანტი, იკითხა პირველმა უსინათლომ. აქ დავრჩებით როგორც თქვენი სტუმრები, ადგილი ყველას გვეყოფა. არა, თქვა პირველი უსინათლოს ცოლმა, დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის, ჩვენს მეგობართან ვიცხოვრებთ, მგო-

ნი, არც არის საჭირო მისგან ნებართვის აღება, რაზეც ექიმის ცოლმა უპასუხა, ისევე, როგორც პასუხიც არ არის საჭირო. ძალიან მადლობელი ვარ, თქვა მწერალმა, მართალი გითხრათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ველოდი, რომ ვინმე მოვიდოდა და ბინაზე თავის უფლებებს წამოაყენებდა. როცა უსინათლო ხარ, ყველაზე ბუნებრივია, დასჯერდე იმას, რაც გაქვს, თქვა ექიმის ცოლმა. ამდენი ხანი როგორ ცხოვრობდით. სულ სამი დღეა, რაც კარანტინიდან გამოვედით. გაგიჭირდათ იქ. თანაც როგორ. საშინელებაა. თქვენ ხომ მწერალი ხართ, ესე იგი, სიტყვებში უნდა ერკვეოდეთ და იცოდეთ, რომ განსაზღვრება არაფერს ნიშნავს, და თუ, ვთქვათ, ერთმა კაცმა მეორე მოკლა, ასეც უნდა ითქვას, და მერწმუნეთ, ეს საშინელი საქციელი თავისთავად გამორიცხავს იმის მტკიცების აუცილებლობას, რომ ეს საშინელება იყო. გინდათ თქვათ, რომ იმაზე მეტ სიტყვას ვხმარობთ, ვიდრე საჭიროა. ის მინდა ვთქვა, რომ გრძნობები გვაქვს იმაზე ნაკლები, ვიდრე საჭიროა. და რაც გვაქვს, იმის გამომხატველ სიტყვებსაც ვეღარ ვპოულობთ. ამიტომაც ვკარგავთ მათ. მომიყვებით, როგორ ცხოვრობდით კარანტინში. რატომ. მწერალი ვარ და მაინტერესებს. იქ თუ არ ყოფილხარ, ვერ გაიგებ. მწერალი ისეთივე ადამიანია, როგორიც სხვები, არ შეიძლება ყველაფერი იცოდეს და ყველგან იყოს, ამიტომ უწევს ფიქრი და წარმოსახვა. ოდესმე ვინმე გიამბობთ და შეძლებთ წიგნი დაწეროთ. უკვე ვწერ. თქვენ ხომ უსინათლო ხართ. უსინათლოებსაც შეუძლიათ წერა. ანუ ბრაილის ანბანი ისწავლეთ. არა, არ მისწავლია. აბა, როგორ წერთ. ახლავე გიჩვენებთ. ადგა, გავიდა, ერთ წუთში შემობრუნდა, ხელში ფურცელი და ავტოკალამი ეჭირა. ეს ბოლო გვერდია, რაც დავწერე. ვერ ვხედავთ, უთხრა პირველი უსინათლოს ცოლმა. ვერც მე. აბა, როგორ წერთ, ჰკითხა ექიმის ცოლმა და დახედა ფურცელს, სადაც გაკრული ხელით ერთმანეთზე ეწე-

რა სტრიქონები, თავსა და ბოლოში ზემოთ მიმართული. ვარაუდით, ღიმილით უპასუხა მწერალმა, სულაც არ მიჭირს, ფურცლის ქვეშ რამე მყარს ვდებ, ვთქვათ, ფურცლების დასტას და მორჩა, წერე, რამდენიც გინდა. კი მაგრამ, როგორ, თქვენ ხომ ვერ ხედავთ, წამოიძახა პირველმა უსინათლომ. ავტოკალამი უსინათლო მწერლისთვის შესანიშნავი შრომის იარაღია, იმას არ ვგულისხმობ, რომ დაწერილის წაკითხვა შეუძლებელია, მაგრამ ის ხომ ვიცი, სად დაწერე, თითოთ ვაგნებ ფურცელზე ჩაღრმავებას, სადაც ბოლო სტრიქონი წერია, ფურცლის კიდემდე გავდივარ, ახალ სტრიქონამდე მანძილს გავთვლი და ვაგრძელებ წერას, ხომ ხედავთ, რა ადვილია. ჰო, მაგრამ ზოგჯერ სტრიქონები ერთმანეთზე წერია, დელიკატურად შენიშნა ექიმის ცოლმა. თქვენ რა იცით. მე ვხედავ. მხედველობა დაგიბრუნდათ, განიკურნეთ, როგორ, როდის, აღელვებულმა იკითხა მწერალმა. მგონი, მე ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც არ დაბრმავებულა. ამას რით ხსნით. ვერაფრით, შეიძლება ამას არც აქვს ახსნა. ესე იგი, თქვენ ყველაფერი ნახეთ, რაც მოხდა. ვნახე, სხვა რა გზა მქონდა. კარანტინში რამდენი კაცი იყავით. სამასამდე. რამდენ ხანს დაჰყავით იქ. სულ თავიდან, და როგორც გითხარით, სამი დღეა რაც გამოვედით. მე, როგორც ჩანს, ყველაზე პირველი დავბრმავდი, თქვა პირველმა უსინათლომ. წარმომიდგენია, რა საშინელება იქნებოდა. ისევ ეს სიტყვა, თქვა ექიმის ცოლმა. მაპატიეთ, მაგრამ ახლა ისეთ სისულელედ მეჩვენება ის ყველაფერი, რაც დაწერე მას მერე, რაც ჩვენ ყველა, ანუ მე და ჩემი ოჯახი დავბრმავდით. რის შესახებ წერთ. იმის შესახებ, რაც თავს გადაგვხდა, ჩვენი ცხოვრების შესახებ. ყველამ ის უნდა თქვას, რაც იცის, ის კი, რაც არ იცის, სხვას ჰკითხოს. ამიტომაც გეკითხებით. მეც გიპასუხებთ ოდესმე, ოღონდ როდის, არ ვიცი. ექიმის ცოლი მწერლის ხელს შეეხო და ჰკითხა, შეგიძლიათ მაჩვენოთ, სად მუშაობთ და რა დაწერეთ. როგორ არა, სიამოვნებით, წამობრძანდით. შეიძლება ჩვენც წამოვალთ, იკითხა პირველი უსინათლოს ცოლმა. რა თქმა უნდა, ეს ხომ თქვენი ბინაა,

მე აქ დროებით ვარ. საძინებელში პატარა მაგიდა იდგა, მაგიდაზე - ლამპა. ფანჯრიდან შემოსულ მკრთალ შუქზე მარცხნივ მოჩანდა ცარიელი ფურცლების დასტა, მარჯვნივ დაწერილის, შუაში კი დაუმთავრებელი ფურცელი. ლამპასთან ორი ახალი ავტოკალამი იდო. აი, აქ, თქვა მწერალმა. ექიმის ცოლმა ჰკითხა, შეიძლებაო, და პასუხს არც დალოდებია, ოციოდე დაწერილი ფურცელი აიღო, თვალი გადაავლო წვრილ ნაწერს, ზევით-ქვევით დაბრეცილ სტრიქონებს, ქაღალდის სითეთრეში ჩაწერილ, სიბრმავეში გამოყვანილ ასოებს. მე აქ დროებით ვარო, როგორც გვახსოვს, თქვა მწერალმა, და ეს დროებითი ყოფნისას დატოვებული ნაკვალევი იყო. ექიმის ცოლმა მხარზე ხელი დაადო, მწერალმა აიღო მისი ხელი და ტუჩებთან მიიტანა. საკუთარი თავი არ დაკარგოთ, არ დაუშვათ, რომ საკუთარი თავი დაკარგოთ, თქვა მან მოულოდნელი, იდუმალი სიტყვები, რომლებიც დიდად არ შეეფერებოდა სიტუაციას.

შინ რომ დაბრუნდნენ და თან სამი დღის სამყოფი პროდუქტები მოიტანეს, ექიმის ცოლმა დანარჩენებს უამბო, რაც მოხდა, პირველი უსინათლო და მისი ცოლი კი კომენტარებს ურთავდნენ. საღამოს, და სულ არ იყო ეს მოულოდნელი, თაროდან წიგნი ჩამოიღო და რამდენიმე გვერდი წაიკითხა. იმ ამბავმა, რაც წიგნში იყო მოთხრობილი, ელაში ბიჭუნა არ დააინტერესა და მალე ჩაეძინა, თავი შავსათვალთან ქალიშვილს მიადო მხარზე, ფეხები კი შავსახვევიან მოხუცს დააწყო მუხლებზე.

ორი დღის მერე ექიმმა თქვა, საინტერესოა, ჩემს კაბინეტში რა ხდება, ჯერჯერობით არც მისგან, არც ჩემგან ხეირი არ არის, მაგრამ ოდესმე ადამიანებს ხომ აღუდგებათ მხედველობა და აპარატურა წესრიგში უნდა იყოსო. როცა გინდა, წავიდეთ, უთხრა ცოლმა, თუ გინდა, ახლავე წავიდეთ. იქნებ ჩემთანაც შევიაროთ, იკითხა შავსათვალთან ქალიშვილმა, არა მგონია, ჩემი მშობლები დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მაინც შევივლი, სინდისს

დავიმშვიდებ. შენთანაც შევიაროთო, უთხრა ექიმის ცოლმა. სხვა არავის გამოუხატავს მშობლიური კერის ნახვის სურვილი, პირველმა უსინათლომ და მისმა ცოლმა უკვე იცოდნენ, რისი იმედი უნდა ჰქონოდათ, შავსახვევიანმა მოხუცმაც იცოდა, ოღონდ სხვა მიზეზით, ელამ ბიჭუნას კი საერთოდ არ ახსოვდა, რომელ ქუჩაზე იყო მისი სახლი. მზიანი ამინდი იყო, წვიმამ გადაიღო, მზე ჭერ გაუბედავად, მაგრამ მაინც ეალერსებოდა კანს. რა გვეშველება, თუ დაცხა, თქვა ექიმმა, მთელი ეს ნაგავი ლპობას დაიწყებს, ცხოველთა ლეშიც და ადამიანთა ცხედრებიც გაიხრწნება, ალბათ, ბინებშიც არიან გარდაცვლილები, რა ცუდია, ორგანიზებული რომ არა ვართ, ყველა სახლში, ყველა ქუჩაზე, ყველა უბანში თვითმმართველობა უნდა შეექმნათ. მთავრობას, ჰკითხა ცოლმა. სისტემაა საჭირო, სისტემა, ჩვენი სხეულიც ხომ სისტემაა, თანაც კარგად ორგანიზებული, სიკვდილი კი სწორედ მოშლისა და გაუმართაობის შედეგია. როგორ უნდა მოახდინონ ორგანიზება იმ უსინათლოებმა, რომლებსაც გადარჩენა სურთ. ორგანიზება ეს უკვე გარკვეულწილად მხედველობის დაბრუნებას ნიშნავს. ალბათ, მართალი ხარ, მაგრამ ამ სიბრმავის გამოცდილებამ მხოლოდ სიკვდილი და გაჭირვება მოგვითანა, და ჩემი თვალებიც და შენი კაბინეტიც აქ უძლური გამოდგა. სწორედ შენი თვალების წყალობით ვართ ცოცხლები, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. მეც რომ უსინათლო ვყოფილიყავი, მაშინაც ცოცხლები იქნებოდით, სამყარო სავსეა ცოცხალი უსინათლოებით. ვფიქრობ, ყველა დავიხოცებით, ეს მხოლოდ დროის ამბავია. ყოველთვისაც დროის ამბავი იყო, თქვა ექიმმა. ჰო, მაგრამ რა უნდა იყოს იმაზე უარესი, რომ მოკვდე მხოლოდ იმიტომ, რომ დაბრმავდი. ავადმყოფობით, უბედური შემთხვევით ხომ ვიხოცებით. ახლა კი სიბრმავითაც დავიხოცებით, მოგვკლავს სიბრმავე და კიბო, სიბრმავე და ჭლექი, სიბრმავე და შიდსი, სიბრმავე და ინფარქტი, ანუ ყველას თავისი დაავადება შეიძლება სჭირდეს, მაგრამ რაც ახლა

გვკლავს, სიბრმავეა. უკვდავები არა ვართ და მუდამ ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ არც სულ უსინათლოები უნდა ვიყოთ, თქვა ექიმის ცოლმა. მაგრამ როგორ, ჰკითხა ექიმმა, როცა ეს სიბრმავე ასეთი ნამდვილი და კონკრეტულია. სულაც არა ვარ ამაში დარწმუნებული, თქვა ექიმის ცოლმა. არც მე, დაეთანხმა შავსათვალიანი ქალიშვილი.

კარის შემტვრევა არ დასჭირდათ, ჩვეულებრივად გააღეს, გასაღებით, რომელიც ექიმს სულ თან ჰქონდა კარანტინში ყოფნისას. ეს რეგისტრატურაა, თქვა ექიმის ცოლმა. აქ ნამყოფი ვარ, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, სიზმარი გრძელდება, ოღონდ ვერ გამიგია, რომელი, ის მესიზმრება, რაც იმ დღეს დამესიზმრა, როცა დავბრმავდი, თუ სულ ბრმა ვიყავი და დამესიზმრა, რომ თვალის ექიმთან მივედი ანთების სამკურნალოდ, რაც სულაც არ იწვევს სიბრმავეს. კარანტინი ნამდვილად არ დავსიზმრებია, უთხრა ექიმის ცოლმა. არა, ეგ სიზმარი არ ყოფილა, და არც ის, რომ გვაუპატიურებდნენ. არც ის, რომ კაცს ყელი გამოვჭერი. კაბინეტში შემიყვანე, სთხოვა ექიმმა, მეც შემიძლია, მაგრამ მინდა შენ შემიყვანო. კარი ღია იყო. ექიმს ცოლმა უთხრა, აქ ყველაფერი თავდაყირაა, ქალაქები იატაკზე ყრია, კარტოთეკის უჯრებიც წაღებულია. ალბათ, სამინისტროს ხალხმა წაიღო, ძებნაზე დრო რომ არ დაეკარგათ, ბარათები უჯრებიანად წაიღეს. ალბათ. აპარატურა. ერთი შეხედვით, თითქოს წესრიგშია. მადლობა ღმერთს, თქვა ექიმმა. ხელებგაწვდილი წავიდა, შეეხო ლინზების ყუთს, ოფთალმოსკოპს, საწერ მაგიდას, ახლა ვხვდები, რა იგულისხმე, როცა თქვი, თითქოს სიზმარში ვცხოვრობო. მაგიდას მიუჯდა, ხელები მტვრიან მინაზე დააწყო და სევდიანი და დამცინავი ღიმილით წარმოთქვა, თითქოს მის წინ მდგომს მიმართაო, ძალიან ვწუხვარ, ექიმო, მაგრამ თქვენი შემთხვევა უკურნებელია, და აი, თუ გნებავთ, ბოლო რჩევას მოგცემთ, ძველი ანდაზა გაიხსენეთ, სავსებით მართალი

იყვნენ ისინი, ვინც ამბობდნენ, მოთმინება მხედველობისთვის სასარგებლოაო. ნუ გვტანჯავ, უთხრა ცოლმა. მაპატიე, შენც მაპატიე, ახლა იქ ვართ, სადაც ადრე სასწაულები ხდებოდა, თუმცა, იმის მტკიცებულებაც არ შემორჩენილა, რომ ამ სასწაულის მოხდენა შემძლო, ყველაფერი წაუღიათ. ახლა ერთადერთი სასწაულის მოხდენა შეგვიძლია და ეს სასწაულია ის, რომ ვიცოცხლოთ, უთხრა ცოლმა, დღიდან დღემდე ფრთხილად ვატაროთ ეს ნაზი ქალბატონი სიცოცხლე, ვითომ უსინათლოა და არ იცის, საით წავიდეს, ან იქნებ ასეცაა, იქნებ მართლა უსინათლოა და ჩვენ მოგვენდო მას მერე, რაც გონება მოგვცა. ისე ლაპარაკობ, თითქოს შენც უსინათლო იყო, უთხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. გარკვეულწილად ასეცაა, თქვენმა სიბრძავემ მეც დამაბრძავა და, ალბათ, უკეთ დავინახავდი, ჩემ ირგვლივ მეტი თვალხილული რომ ყოფილიყო. მგონი, იმ მოწმეს ემსგავსები, სასამართლოში რომ გამოიძახეს, ოღონდ კაცმა არ იცის, ვინ გამოიძახა და რა ჩვენების მისაცემად, უთხრა ექიმმა. დრო იწურება, ლპობა გრძელდება, დაავადებები ერთიმეორის მიყოლებით ვრცელდება, წყალი აღარ არის, საჭმელი მოწამლულია, აი, ასეთია ჩემი პირველი ჩვენება, თქვა ექიმის ცოლმა. მეორე, ჰკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. მოდი, თვალი გავახილოთ. არ შეგვიძლია, ბრმები ვართ, თქვა ექიმმა. სრული ჭეშმარიტებაა, რომ უსინათლოზე უარესია ის, ვისაც არ უნდა, რომ ხედავდეს. მე მინდა ვხედავდე, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. ეს ვერ გახდება იმის მიზეზი, რომ თვალი აგეხილოს, მაგრამ განსხვავება ის იქნება, რომ უსინათლოზე უარესი აღარ იქნები, ახლა კი წავიდეთ აქედან, რადგან აქ სანახავი აღარაფერია, თქვა ექიმმა.

შავსათვალიანი ქალიშვილის სახლისკენ რომ მიდიოდნენ, დიდ მოედანზე აღმოჩნდნენ, სადაც უსინათლოთა ერთი ჯგუფი უსინათლოთა მეორე ჯგუფს უსმენს, თუმცა, ერთი შეხედვით ბრმებს არ ჰგვანან, რადგან ორატორები შთაგონებული სახეებით მისჩერებიან

მსმენელებს, ისინი კი ყურადღებით ატრიალებენ თავს ორატორებისკენ. აქ აცხადებენ, ქვეყნიერების დასასრული ახლოვდებაო, მხოლოდ ის გადარჩება, ვინც მოინანიებსო, მეშვიდე დღე დგებაო, ანგელოზი გამოგვეცხადებაო, კოსმოსში პლანეტები ერთმანეთს შეეჯახებაო, ამტკიცებენ, მზე მალე ჩაქრებაო, აღიდებენ გვარისა და ტომის სულებს, მანდრაგორას ფესვს, ვეფხვის ნაღველს, ბოდიაქოს ნიშნებს, ქარის ზნეს, მთვარის სურნელს, უკუნეთ სიბნელეს, შელოცვის ძალას, ნაფეხურს, ვარდის ჯვარცმას, ლიმფის სიწმინდეს, შავი კატის სისხლს, ჩრდილის უძრაობას, ზღვის მიქცევა-მოქცევას, კანიბალიზმის ლოგიკას, უმტკივნეულო კასტრაციას, ღვთაებრივ სვირინგს, ამოზნექილ აზრს და შეზნექილ აზრს, სიბრტყეს, ვერტიკალს, დაქანებას, კონცენტრაციას, დამტვერვას, ხმის იოგების ამპუტაციას, სიტყვის სიკვდილს. ორგანიზებაზე კი არაფერს ამბობენ, უთხრა ცოლმა ექიმს. ორგანიზებაზე, ალბათ, სხვა მოედანზე ლაპარაკობენ, უთხრა ექიმმა ცოლს. და გზა განაგრძეს. ცოტა ხანში ექიმის ცოლმა თქვა, გზად ბევრად მეტი ცხედარია, ვიდრე იყო. ჩვენი წინააღმდეგობა დაძლეულია, დრო იწურება, ღპობა გრძელდება, დაავადებები ერთიმეორის მიყოლებით ვრცელდება, წყალი აღარ არის, საჭმელი მოწამლულია, დაგავიწყდა, რომ ამბობდიო, შეახსენა ქმარმა. იქნებ ჩემი მშობლებიც აქ არიან, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, მე კი ისე ჩავუვლი, ვერც შევამჩნევ. უხსოვარი დროიდან ასეა, ისე ჩავუვლით მკვდრებს, რომ ვერც კი ვამჩნევთ, უპასუხა ექიმის ცოლმა.

ქუჩა, რომელზეც შავსათვალიანი ქალიშვილი ცხოვრობდა, კიდევ უფრო გაუდაბურებულიყო. მისი სახლის კართან ქალი ეგდო. მკვდარი, რა თქმა უნდა, ცხედარი, გაველურებულ ცხოველებს ნაწილობრივ შეეჭამათ, და კიდევ კარგი, ცრემლის ძაღლმა არ ინება დღეს მათთან ერთად წამოსვლა, თორემ საჭირო გახდებოდა მისი დარწმუნება, რომ მასაც არ გაეკრა კბილი ამ

ჩონჩხად ქცეული ცხედრისთვის. მეზობელია პირველი სართულიდან, თქვა ექიმის ცოლმა. ვინ, სად, რა, იკითხა ქმარმა. ჰო, აქ გდია, პირველი სართულის მეზობელია, სუნიც იგრძნობა. საცოდავი, ამოიოხრა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, რამ გამოიყვანა ქუჩაში, ადრე არასდროს გამოსულა. იქნებ სიკვდილის მოახლოება იგრძნო და შეეშინდა, შინ არ გავიხრწნაო, თქვა ექიმმა. ახლა როგორ შევალთ, გასაღები რომ არა გვაქვს. იქნებ შენი მშობლები დაბრუნდნენ და შინ გელოდებიან, ივარაუდა ექიმმა. არ მჯერა. სწორია რომ არ გჯერა, აი, გასაღები. და მართლაც, ცხედრის გვერდზე გადაგდებულ მკვდარ ხელს მუჭში გასაღები ჰქონდა ჩაბღუჯული. იქნებ ეს მისი გასაღებია, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. არა მგონია, რატომ წამოიღებდა თავის გასაღებს იქ, სადაც სიკვდილს ვარაუდობდა. თუ ჩემთვის აპირებდა მოცემას, რომ შინ შევსულიყავი, ის რატომ არ იფიქრა, რომ ბრმა ვარ და ვერ დავინახავდი. რა ვიცით, რა იფიქრა, როცა გასაღები აიღო, იქნებ ეგონა, რომ მხედველობა დაგიბრუნდა, ან იქნებ იმან დააეჭვა, რომ უსინათლოების კვალობაზე არაბუნებრივად სწრაფად და ყოჩაღად ვმოძრაობდით, ანდა გაიგონა, მე რომ ვთქვი, კიბეზე რა სიბნელეა, არაფერი ჩანს, ვერაფერს ვხედავ-მეთქი, ან სულაც გაგიჟდა, ჭკუიდან შეიშალა და აიკვიტა, რომ რაღაც უნდა დასჯდომოდა, დაებრუნებინა შენთვის გასაღები, ახლა კი მხოლოდ ის ვიცით, რომ მისი სიცოცხლე მაშინ დასრულდა, როცა ზღურბლს გადმოაბიჯა. ექიმის ცოლმა აიღო გასაღები, შავსათვალიან ქალიშვილს მიაწოდა და ჰკითხა, რა ვქნათ, აქ ხომ არ დავტოვებთო. ქუჩაში ვერ დავმარხავთ, ქვაფენილს ხომ ვერ ავყრი-თო, თქვა ექიმმა. მაშინ ებოში. ესე იგი, მეორე სართულზე უნდა ავიტანოთ და მერე სახანძრო კიბით ჩავიტანოთ. ჰო, სხვაგვარად არ გამოვა. გვეყოფა კი საამისოდ ძალა, იკითხა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. მთავარი ის კი არ არის, გვეყოფა თუ არა ძალა, არამედ ის, დავუშვებთ თუ არა, რომ ეს ქალი აქ დავტოვოთ. ვერ დავუშვებთ, უპასუხა ექიმმა. რაკი ვერ დავუშვებთ, მაშ, საამისო ძალაც გვეყოფა.

და მართლაც, საიდანღაც მიეცათ ძალა, თუმცა, ძალიან გაუჭირდათ ცხედრის საფეხურებზე ატანა, და არა სიმძიმის გამო, დედაბერი სიცოცხლეშიც გაღეული იყო, ახლა კი მით უმეტეს, განსაკუთრებით მას მერე, რაც ძაღლებმა და კატებმა ჯიჯგნეს, უფრო იმიტომ, რომ გაქვავებული გვამი არ იღუნებოდა და არ იდრიკებოდა, აბა, ერთი სცადეთ კიბის ვიწრო უჯრედში მობრუნება, ჯოჯოხეთური სამუშაოა, და ასეთ მოკლე მანძილზე ოთხჯერ შეისვენეს. არც ხმაურს, არც საუბარს, არც ხრწნის სუნს არ მიუპყრია სხვა ბინადართა ყურადღება, არავის გაუღია კარი, რომ ეკითხა, რა ხდებაო. ასეც ვიფიქრე, თქვა შავსათვალისაღმა ქალიშვილმა, მშობლები არ დაბრუნებულან. ბინას რომ მიადგნენ, დაღლილობისგან ძლივს სუნთქავდნენ, არადა, ცხედარი ოთახების გავლით სახანძრო კიბესთან უნდა გაეტანათ, მაგრამ ღვთის წყალობით, რომელიც სულზე გვისწრებს ხოლმე, ზემოთ ატანასთან შედარებით, ქვემოთ ჩატანა უფრო ადვილია, ცხედრის შემობრუნებაც, რადგან კიბე გარედანაა, გახსნილია, და ახლა მთავარია, საბრალო დედაბრის ცხედარი არ გაუვარდეთ, თორემ ძვლებს ვერ აკრეფენ, თანაც სიკვდილის შემდეგ ტკივილი კიდევ უფრო მტანჯველია.

შიდა ეზო ნამდვილ ჯუნგლებს დამსგავსებოდა, ხშირმა წვიმამ სულ ააბიბინა ბალახი და ათასგვარი სარეველა, რომელთა თესლიც, ეტყობა, ქარმა მოიტანა, ასე რომ, აქ მოკუნტრუშე ბოცვრებს საჭმელი უხვად აქვთ, ქათმები, ქათმები კი გვალვაშიც არ დაიკარგებიან. გადაღლილი მესაფლავენი სულის მოსათქმელად მიწაზე დასხდნენ, იქვე ახლოს ესვენა ცხედარიც, ისიც ისვენებს, ექიმის ცოლი კი დარაჯობს და ქათმებსა და ბოცვრებს იგერიებს, რადგან თუ ბოცვრებს, ცხვირს რომ აცმაცუნებენ, მხოლოდ უანგარო ინტერესი ამოძრავებთ, ქათმები, ნისკარტი შუბივით რომ მოუმარჯვებიან, ყველაფერს იკადრებენ. ექიმის ცოლმა თქვა, სანამ ქუჩაში გავიდოდა, გალიის კარი გაუღია, რომ

ცხოველები შიმშილით არ დახოცილიყვნენ. არც ისე ადვილია, გაუგო უცხო ადამიანს, თქვა ექიმმა. შავსათვალიანი ქალიშვილი ბალახით იწმენდს დასვრილ ხელებს, მისი ბრაღია, ცუდ ადგილას წავლო ხელი, ასეა, როცა უსინათლო ხარ. ექიმმა თქვა, ნიჩაბი გვჭირდება ან ბარი, და აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვები მუდმივად მეორდება, აი, ახლაც გამეორდა ეს სიტყვები, რომლებიც თავის დროზე ასეთივე მიზეზით ითქვა, და პირველად დაკავშირებული იყო ავტომანქანის გამტაცებელთან, ამჯერად კი მოხუც ქალთან, რომელმაც გასაღები დააბრუნა, და მიწაში ჩასვენებულნი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან, თუ, რა თქმა უნდა, მათი ხსოვნა არ შემოინახა. ექიმის ცოლი შავსათვალიანი ქალიშვილის ბინაში ავიდა სუფთა ზეწრის ჩამოსატანად, ძებნას დიდხანს მოუხდა და რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ ქათმებს ნამდვილი ნადიმი მოეწყოთ, მაშინ, როცა ბოცვრები ბალახის ხრაშუნს სჯერდებოდნენ. ექიმის ცოლმა ზეწარი ცხედარს შემოახვია და ნიჩბის ან ბარის საძებნელად გაეშურა. ერთიც და მეორეც სხვა ხელსაწყოებთან ერთად იქვე ფარდულში იპოვა. მე თვითონ, თქვა მან, მიწა ფხვიერია, ადვილი სათხრელია, თქვენ კი დაისვენეთ. ისეთი ადგილი შეარჩია, სადაც ნაკვლები ჯაგნარი იყო, რომ ფესვების მოთხრა არ დასჭირვებოდა, და არ გეგონოთ, ეს ადვილი საქმეა, ფესვებს თავიანთი ზნე აქვთ, ჯიუტად მიდიან მიწის სიღრმეში, ცდილობენ, თავი აარიდონ გილიოტინას და თუ ვერ აარიდეს, მომაკვდინებელი დარტყმის ეფექტი მაინც შეამცირონ. ვერც ექიმის ცოლმა, ვერც თავად ექიმმა, ვერც შავსათვალიანმა ქალიშვილმა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზით, პირველმა იმის გამო, რომ საქმით იყო გართული, დანარჩენმა ორმა კი სიბრმავის გამო, ვერ შენიშნეს, რომ მეზობელი სახლების აივნებზე, თუმცა, არა ყველაზე, უსინათლოები გამოსულიყვნენ, ეტყობა, ნიჩბის ხმაზე, რადგან მიწა რაოდენ ფხვიერიც უნდა იყოს, თხრისას მაინც გამოსცემს ხმას, თანაც უთუოდ მოიძებნება მიწაში ქვა, რომელ-

ზე მოხვედრილი ნიჩბის პირი წკრიალს გაიღებს. ეს ქალები და მამაკაცები თითქოს თხევადები, გამჭვირვალენი, აჩრდილებს ჰგავდნენ, იქნებ აჩრდილებიც იყვნენ, ცნობისმოყვარეობამ აიძულათ, დაკრძალვას დასწრებოდნენ და საკუთარი დაკრძალვაც გაეხსენებინათ. ექიმის ცოლმა სწორედ იმ მომენტში დაინახა, როცა ორმოს თხრა დაასრულა, წელში გაიმართა და ხელი შუბლისკენ წაიღო, ოფლი რომ მოეწმინდა. და უცებ, სრულიად თავშეუკავებლად, ისიც კი ვერ გაიაზრა, რას აკეთებდა, ამ უსინათლოებს და სხვა დანარჩენ უსინათლოებსაც, ვინც კი არსებობენ მსოფლიოში, დაუყვირა, გაცოცხლდებო, და ყურადღება მიაქციეთ, არა მკვდრეთით აღდგებო, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა, თუმცა, ყველა ლექსიკონი დაგიდასტურებთ, დაგიმტკიცებთ ან მიგანიშნებთ, რომ იდეალურად ზუსტ სინონიმებთან გვაქვს საქმე. უსინათლოები დაფრთხნენ და მიიმაღნენ, ვერ გაიგეს, რატომ გაიჟღერა ამ სიტყვამ, და საერთოდ, არ იყვნენ მზად ასეთი სასწაულებრივი გამოცხადებისთვის, როგორც ჩანს, იმ მოედანზე არ დადიან, სადაც ამდენი მაგიური განცხადება ისმის და სადაც სრულ კომპლექტს მხოლოდ ჩოქელა კალიას თავი და მორიელის თვითმკვლელობა აკლია. ვის დაუყვირე, ვინ გაცოცხლდება, ჰკითხა ექიმმა. აივნებზე გამოსულ უსინათლოებს, შემეშინდა და, მგონი, ისინიც შევაშინე. რატომ დაუყვირე, გაცოცხლდებო, და არა სხვა რამ. არ ვიცი, ეს სიტყვა მომაფიქრდა. მალე შენც იმ მოედანზე ივლი. ჰო, და ვიქადაგებ ბოცვრის კბილზე, ქათმის ნისკარტზე, ახლა კი მოდი, მომეხმარე, აქეთ-აქეთ, აი, ასე, ფეხებში წაავლე ხელი, მე კი აქედან ავწევ, აი, ასე, ახლა ნელა ჩავუშვათ, ფრთხილად, მეც არ ჩამაგდო საფლავში, კარგია, ასე, ასე, კიდევ, ღრმად ამოვთხარე, რომ ქათმებმა არ გაქექონ, თორემ დაიწყებენ თხრას, ვინ იცის, სადამდე გათხრიან, ესეც ასე. ცხედარს მიწა მიაყარა, დატკეპნა, პატარა ბორცვიც აღმარ-

თა, რადგან მიწა, რომელიც მიწას უბრუნდება, ყოველთვის მეტია, და ამას ყველაფერს ისე ყოჩაღად აკეთებდა, თითქოს მთელი ცხოვრება სულ ვიღაცას მარხავდეს. მერე ეზოს კუთხეში ვარდის ბუჩქს ტოტი მოატეხა და საფლავის თავთან ჩაარჭო. გაცოცხლდება, იკითხა შავსათვალთანმა ქალიშვილმა. ეს არა, უპასუხა ექიმის ცოლმა, მაგრამ ვისაც ჯერ კიდევ უდგას სული, უნდა გაცოცხლდეს საკუთარ თავში, თუმცა, ამას არავინ აკეთებს. ყველანი ნახევრად მკვდრები ვართ, თქვა ექიმმა. და იმავდროულად, ნახევრად ცოცხლები, უთხრა ცოლმა. ნინაბი და ბარი ფარდულში შეინახა, ეზოს თვალი გადაავლო, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი წესრიგშია. მერედა, რა არის ეს წესრიგი, ჰკითხა საკუთარ თავს და თავადვე უპასუხა, რა და ის, რომ მკვდრები იქ არიან, სადაც მკვდრები უნდა იყვნენ, ცოცხლები კი იქ, სადაც ცოცხლები უნდა იყვნენ, რაკილა ერთნი ქათმებისა და ბოცვრების ლუკმა ხდებიან, მეორენი კი ამ ქათმებისა და ბოცვრებს ჭამენ. კარგი იქნებოდა, მშობლებისთვის რამე ნიშანი დამეტოვებინა, თქვა შავსათვალთანმა ქალიშვილმა, იქნებ მიხვდნენ, რომ ცოცხალი ვარ. არ მინდა, იმედი გადაგიწურო, მაგრამ ჯერ სახლს უნდა მოაგნონ, ეს კი ნაკლებად სარწმუნოა, ვერც ჩვენ მოვალწევდით აქ, მეგზური რომ არ გვყავდეს. მართალი ხარ, მართალი, ისიც კი არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა, მაგრამ რამე ნიშანი თუ არ დავტოვე, სულერთია, რა, ისეთი გრძნობა მექნება, რომ მივატოვე ისინი. მაინც რა შეიძლება დავუტოვოთ, იკითხა ექიმის ცოლმა. რამე ისეთი, ხელის შეხებით რომ მიხვდნენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ძველი ნივთებიდან არც აღარაფერი შემომრჩა. ექიმის ცოლმა შეხედა, როგორ ჩამომჯდარა სახანძრო კიბის ქვედა საფეხურზე, ხელები მუხლებზე დაუწყვია, თმა მხრებზე ჩამოშლია, ლამაზი სახე მწუხარებისგან ჩამოსტირის, და უთხრა, ვიცი, რაც უნდა დავუტოვოთ. ბინაში აირბინა, მაკრატელი და ზონარი ჩამოიტანა. რა ჩაიფიქრეო, შეშფოთდა ქალიშვილი, როცა მაკრატელით თმის კულული შეაჭრა. თუ შენი მშობლები დაბრუნდებიან და

კარის სახელურზე შენი თმა დახვდებათ, უთხრა ექიმის ცოლმა, უთუოდ მიხვდებიან, რომ ეს თმა მხოლოდ მათი ქალიშვილის შეიძლება იყოს. ახლა ავტირდები, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა და მაშინვე შეასრულა თავისი სიტყვა, თავი კალთაში ჩარგო, ხელე-ბი მუხლებს შემოხვია და ცხარე ცრემლით დაიტირა ყველა თავისი ადრინდელი დარდები და ახლანდელი მღელვარება იმის გამო, რაც ექიმის ცოლმა მოიფიქრა, და მიხვდა, თუმცა, არ იცოდა, რა სულიერმა განცდამ აიძულა, რომ პირველი სართულის მეზობელი ქალიც დაეტირა, უმი ბოცვრებისა და ქათმების მჭამელი, საშინელი დედაბერი, მკვდარი ხელით რომ დაუბრუნა ბინის გასაღები. მაშინ ექიმის ცოლმა თქვა, ეს რა დრო დადგა, ჩვენ თვალწინ ყველაფერი თავდაყირა დგება, და ის, რაც ყოველთვის სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენდა, ახლა სიცოცხლის სიმბოლოდ ქცეულა. ეს ის ხელებია, რომლებსაც მრავალი სხვა სასწაულიც შეუძლია მოახდინოს, თქვა ექიმმა. გაჭირვება რას არ გაგაკეთებინებს, ძვირფასო, ახლა კი გვეყოფა ფილოსოფია და სასწაულები, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეთ და სიცოცხლისკენ წავიდეთ. შავსათვალიანმა ქალიშვილმა საკუთარი ხელით დაკიდა კარის სახელურზე ზონარშეკრული კულული. გგონია, შენიშნავენ, იკითხა მან. კარის სახელური სახლის გამოწვდილი ხელია მისალმების ნიშნად, უპასუხა ექიმის ცოლმა და, რაკი გააჟღერა, ასე ვთქვათ, ეს რიგითი რეპლიკა, ჩათვალა, რომ ვიზიტი დასრულებულია.

იმ საღამოს ისევ კითხულობდნენ და უსმენდნენ, სხვა გასართობი არაფერი ჰქონდათ, და რა სამწუხაროა, რომ ექიმი არ იყო, ვთქვათ, მოყვარული ვიოლონჩელისტი, ოჰ, რა ნაზი მელოდიები დაიღვრებოდა მეხუთე სართულიდან, სმენასაც დაუტკობდა მეზობლებს, რომლებიც შურიით, ალბათ, იფიქრებდნენ, დახე, რას მხიარულობენ, ანდა, ასეთი უგულო ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც ცდილობენ თავიანთ უბედურებას გაექცნენ და

სხვის უბედურებას დასცინონო. მაგრამ არა, იმ მუსიკის გარდა, რომელსაც სიტყვები გამოსცემს, ფანჯრებიდან არაფერი ისმის, სიტყვები კი, განსაკუთრებით წიგნში დაწერილი, მოკრძალებული და ხმადაბალია, ასე რომ, თუ ვინმე მოისურვებს, კარს მიაყურადოს, ვერაფერს გაიგონებს ბუტბუტის გარდა, რომელიც გრძელ ბგერად იწელება და შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგან წიგნების რაოდენობა სამყაროში უსასრულოა, და როგორც ამბობენ, თავად ეს სამყაროც. როცა გვიან ღამით კითხვა შეწყდა, შავსახვევიანმა მოხუცმა თქვა, აი, რას მოვესწარით, გვიკითხავენ და ვუსმენთო. მე კი კმაყოფილი ვარ, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, ვიჯდებოდი ასე და მოვუსმენდი. არც მე გამოვთქვამ უკმაყოფილებას, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია, ვისხდეთ ასე და ვისმინოთ კაცობრიობის ისტორია, ჩვენამდე რომ არსებობდა, და ვისარგებლოთ იმით, რომ შემთხვევით გაგვიღიმა ბედმა და ჩვენ გვერდით აღმოჩნდა ერთი წყვილი მხედველი თვალი, როგორც ჩანს, უკანასკნელი, და არც კი მინდა ვიფიქრო იმაზე, თუ რა მოხდება, ეს თვალებიც რომ დაბრმავდეს, მაშინ კი საბოლოოდ გაწყდება ამ კაცობრიობასთან ჩვენი დამაკავშირებელი ძაფი და სხვადასხვა მხარეს გავიფანტებით კოსმოსში, თანაც სამუდამოდ, ყველა ერთნაირად უსინათლო. სანამ ძალა მეყოფა, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა, ვეცდები, შევინარჩუნო იმედი, რომ ვნახავ ჩემს მშობლებს, რომ მოიძებნება ამ ბიჭუნას დედა. ჩვენი საერთო იმედი გამოგრჩა. რა იმედი. თვალის ახელის იმედი. არსებობს იმედი, რომელიც ამაოა. მე კი გეტყვი, ეს იმედი რომ არა, კარგა ხანია აღარც ვიქნებოდი. მაინც რა იმედია ასეთი. თვალის ახელის იმედი. ეს გავიგე, სხვა მითხარი. არ გეტყვი. რატომ. შენთვის საინტერესო არ იქნება. რატომ გგონია, რომ არ იქნება, ნუთუ უკვე ისე კარგად მიცნობ, რომ იცი, რა იქნება ჩემთვის საინტერესო და რა არა. ნუ ბრაზობ, შენი წყენინება არც მიფიქრია. ყველა მამაკაცი ერთნაირია, ყველა დარწმუნებულია, რომ ქალის შესახებ ყველაფერი იცის მხოლოდ

იმის გამო, რომ მისი საშოდან დაიბადა. ქალების შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, შენ შესახებ ხომ საერთოდ არაფერი, რაც შეეხება მამაკაცებს, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ მომენტში მოხუცი ვარ, და არა მარტო ბრმა, არამედ ცალთვალაც. საკუთარ თავზე სხვა არაფერი გაქვს სათქმელი. როგორ არა, ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი, თუნდაც ის, რომ ასაკთან ერთად საკუთარი თავისთვის წაყენებული ბრალდებების ნუსხა იზრდება. ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ ჩემი წილი ბრალდებები მეც მაქვს. შენ ჯერ ცუდი რა უნდა ჩაგედინა. შენ რა იცი, ჩემთან ხომ არ გიცხოვრია. ჰო, არ მიცხოვრია. ჩემს სიტყვებს ასეთი ხმით რატომ იმეორებ. როგორი ხმით. აი, ასეთით. მხოლოდ ის ვთქვი, რომ შენთან არ მიცხოვრია. კარგი ერთი, ვითომ ვერ ხვდები. ნუ ჩამაცივდი, გთხოვ. დიახაც, ჩაგაცივდები, მინდა ვიცოდე. ჯობია, ისევ იმედზე ვილაპარაკოთ. კარგი, მოდი. მოკლედ, კიდევ ერთი იმედი, რომელზეც უარი ვთქვი, სწორედ ეს არის. რა ეს. ბოლო ბრალდება ჩემს ნუსხაში. ღვთის გულისათვის, გასაგებად მითხარი, ქარაგმების ამოხსნა არ მეხერხება. შეიძლება კოშმარად მოგეჩვენოს, მაგრამ არ მინდა, რომ თვალი აგვეხილოს. რატომ. იმიტომ, რომ მაშინ ასე ვერ ვიცხოვრებთ. ყველას გულისხმობ თუ მხოლოდ მე და შენ. ამაზე პასუხს ნუ მომთხოვ. მხოლოდ მამაკაცი რომ იყო, პასუხს თავს აარიდებდი, როგორც გჩვევიათ, მაგრამ ხომ თქვი, მოხუცი ვარო, მოხუცმა, თუკი მოხუცებულობამდე სიცოცხლეს საერთოდ აქვს აზრი, სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს, ასე რომ, მითხარი. მე და შენ. ჩემთან ცხოვრება რატომ გინდა. ეს რა, ყველას თანდასწრებით ვთქვა. ყველას თანდასწრებით ბევრად უარესი რამ გაგვიკეთებია, ბევრად ამაზრზენი, ბინძური, საძაგელი, ასე რომ, შეგიძლია თქვა. კეთილი, მაშინ ვამბობ, რომ მამაკაცს, რაკი ჯერ კიდევ ითქმის ეს სიტყვა ჩემზე, უყვარს ქალი, რომელიც შენ იყავი, ხარ და იქნები. ისე, ძალიან გაგიჭირდა სიყვარულში გამოტყდომა. ჩემს ასაკში ადამიანს

ეშინია, სასაცილოდ არ გაიხადოს თავი. სულაც არ ხარ სასაცილო. მოდი რა, დავივიწყოთ ეს. არც ვიფიქრებ და არც შენ მოგცემ ამის ნებას. რა სისულელე მათქმევინე, ახლა რა ვქნა. ახლა ჩემი ჯერია. ოღონდ ისეთი რამ არ თქვა, მერე სანანებლად რომ გაგიხდეს, გახსოვდეს ის შავი სია. თუ დღეს გულწრფელი ვარ, სულ არ მანაღვლებს, ხვალ სანანებელი მექნება თუ არა. გაჩუმდი, გთხოვ. შენ ჩემთან გინდა ცხოვრება, მე კი შენთან. გაგიჟდი. ვიცხოვრებთ როგორც ცოლ-ქმარი, აქ, ჩვენს მეგობრებს შორის, მერე კი, თუ მათთან განშორება მოგვიწევს, ისევ ერთად ვიცხოვრებთ, რადგან ორი უსინათლო უკეთ ხედავს, ვიდრე თითოეული ცალ-ცალკე. ეს ხომ სიგიჟეა, შენ ხომ არ გიყვარვარ. მერე რა, არც არავინ მყვარებია, მხოლოდ ვიწექი მათთან. შენი სიტყვები ჩემს სიმართლეს ადასტურებს. სულაც არა. აქ გულწრფელობაზე ლაპარაკობდი, მაშ, მიპასუხე, მართლა გიყვარვარ. იმდენად, რომ შენთან ვიცხოვრო, და იცოდე, პირველი ხარ, ვისაც ამას ვეუბნები. ამას არ იტყოდი, ადრე რომ შეგხვედროდა გამელოტებული ჭალარა მოხუცი, რომელსაც ერთი თვალი არა აქვს, მეორეზე კი კატარაქტა სჭირს. ვაღიარებ, რომ ის, ვინც ადრე ვიყავი, არ იტყოდა, მაგრამ ახლა ამბობს ის, ვინც ახლა ვარ. კარგი, ვნახოთ, რას იტყვის ის, ვინც ხვალ იქნები. გინდა, გამოძვადო. რას ამბობ, მე ვინ ვარ, რომ გამოგცადო, ასეთ საკითხებს ცხოვრება წყვეტს. ყოველ შემთხვევაში, ერთი უკვე გადაწყვიტა.

ამ საუბრისას პირისპირ ისხდნენ, უსინათლო თვალებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს სახელაწილები, და როცა ერთმა ორივესთვის სასურველი სიტყვები წარმოთქვა, დაჰყვნენ ცხოვრებას, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ერთად ყოფილიყვნენ. შავსათვალიანმა ქალიშვილმა ხელები გაიწვდინა, და არა იმიტომ, რომ გაეგო, სადამდე გაიწვდიდა, არამედ შავსახვევიან მოხუცს რომ შეხებოდა, მან კი ფრთხილად მიიზიდა და ერთხანს ასე ისხდნენ, როგორც ჩანს, ეს პირველად არ ხდებოდა, მაგრამ ამჯერად წარმოთქვეს სიტყვები, რომლებითაც ერთმანეთს გრძნობები გაანდეს.

დამსწრეთაგან ხმა არავის გაუღია, არავის დაუწყია მილოცვა, არავის უსურვებია მარადიული ბედნიერება, და მართალი გითხრათ, არც იყო ზეიმისა და ილუზიების დრო ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, და ნუ გაგვიკვირდება, თუ ვინმემ გაიფიქრა, ამგვარად მხოლოდ უსინათლო თუ მოიქცეოდაო, ეს სიჩუმე კი ყველა აპლოდისმენტზე მრავლისმეტყველი გამოდგა. ამასობაში ექიმის ცოლმა დაშლილი სავარძლის ნაწილები დერეფანში გაიტანა, რომ იქ მოსახერხებელი საწოლი მოეწყო, სადაც ელამი ბიჭუნა გაიყვანა და უთხრა, ამიერიდან აქ დაწვებით. რაც შეეხება სასადილოში განვითარებულ მოვლენებს, ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ამ პირველ ღამეს საბოლოოდ გაირკვა, თუ ვისი იყო იღუმალის ხელი, მოხუცს ზურგი რომ გაუხეხა იმ დილით, როცა განსაბანად ამდენი წყალი დაიდვარა.

დილით, ჯერ კიდევ ლოგინში, ცოლმა ექიმს უთხრა, საჭმელი ცოტა დაგვრჩა, პროდუქტებია მოსატანი, იმ მიწისქვეშა საწყობში ვაპირებ წასვლას, პირველ დღეს რომ ვიყავი, და თუ აქამდე ვინმეს არ მიუგნია, ერთი ან ორი კვირის სურსათს მოვიმარაგებო. მეც წამოგყვები, და კიდევ ვინმე წავიყვანოთ. ჯობია ორნი წავიდეთ, იმის შიში მაინც არ გვექნება, რომ ვინმეს დავკარგავთ. კიდევ დიდხანს შეძლებ ექვსი უმაქნისი სნეულის ზურგით თრევას. ვათრევ, სანამ შევძლებ, თუმცა, მართალი გითხრა, ძალა აღარ მყოფნის, ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია, ნეტავ დავბრმავდე და ისეთივე გავხდე, როგორიც დანარჩენები, რომ სხვაზე მეტი პასუხისმგებლობა არ მეკისრებოდეს-მეთქი. ისე მივეჩვიეთ შენ იმედად ყოფნას, ასე რომ მოხდეს, ხელახლა დაბრმავების ტოლფასი იქნება, რადგან შენი თვალების წყალობით ოდნავ მაინც არა ვართ უსინათლოები. სადამდეც გავძლებ, გავძლებ, მეტს ვერაფერს შეგპირდები. იმ დღეს, როცა მივხვდებით, რომ კარგს ან სასარგებლოს ველარაფერს მოვუტანთ სამყაროს, კარგი იქნება,

გვეყოს ძალა და გამოვეთხოვოთ სიცოცხლეს, როგორც იმან თქვა. ვინ. გუშინ რომ გაბედნიერდა. დარწმუნებული ვარ, დღეს იმავეს არ გაიმეორებდა, საფუძვლიანი იმედი საუკეთესოა აზრის შესაცვლელად. მას კი აქვს ეს იმედი და ღმერთმა არ მოუშალოს. ეს რაღაც უცნაურად თქვი. უცნაურად რა მოგეჩვენა. თითქოს მონაპოვარი წაგართვესო. იმას გულისხმობ, რაც იმ საშინელ კარანტინში დაგვემართა. ჰო. თუ გახსოვს, ის თვითონ მოვიდა. მეხსიერება გღალატობს, შენ მიხვედი მასთან. დარწმუნებული ხარ. ბრმა ხომ არა ვარ. მე კი შემძლია დავიფიცო. ტყუილზე დაფიცება გამოგივა. უცნაურია, რომ მეხსიერებას შეუძლია ასე გიღალატოს. რა გიკვირს, ყველაფერი სავსებით გასაგებია, ის უფროა ჩვენი საკუთრება, რაც თავისით გვივარდება ხელში, ვიდრე ის, რასაც ჩვენი მოვიპოვებთ. მას მერე ჩემთან აღარც მოსულა, არც მე მივსულვარ მასთან. როცა უყვართ, მოგონებებში შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა, მოგონებები ხომ სწორედ ამისთვისაა. შენ რა, ეჭვიანობ. არა, არც ახლა ვეჭვიანობ და არც მაშინ მიეჭვიანია, ძალიან შემეცოდეთ, ისიც და შენც, და ჩემი თავიც შემეცოდა, რადგან ვერაფრით გეხმარებოდით. წყლის საქმე როგორ გვაქვს. ცუდად. საკმაოდ მოკრძალებული საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც წუხანდელი ღამის თაობაზე თავშეკავებულ და ირონიულ რეპლიკებს ისროდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, სიტყვები შეერჩიათ ბავშვის თანდასწრებით, თუმცა, ეს სრულიად ზედმეტი იყო, თუ გავიხსენებთ, რის მოსმენამაც ბიჭუნას კარანტინში მოუწია, ექიმი და მისი ცოლი საშოვარზე წავიდნენ, ცრემლის ძაღლიც გაჰყვათ, რადგან ამჯერად შინ დარჩენა აღარ ისურვა.

რაც დრო გადიოდა, ქალაქის ქუჩებში სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი მდგომარეობა იქმნებოდა. ღამის განმავლობაში ნაგავმა წარმოუდგენლად იმატა, თითქოს რომელიღაც უცხო ქვეყნიდან, სადაც ჯერ კიდევ ნორმალური ცხოვრება იყო, ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდა ნაგვის მანქანები კონტეინერების დასაცვლელად, და

უსინათლოთა ქვეყანაში რომ არ ვიყოთ, დავინახავდით ძვლებით, ცარიელი ბოთლებით და ყუთებით, ფერფლით, ნარჩენებით, ნამსხვრევებით, ნაფლეთებით, დაცლილი აკუმულატორებით, ცელოფანის პარკებით, ქაღალდების ნაგლეჯებით სავსე მანქანა-მოჩვენებებს, რომლებშიც ერთადერთი საჭმლის ნარჩენები არ იყო, ხილის ნათალიც კი, რომლითაც კაცი ოდნავ მაინც დაიოკებდა შიმშილს უკეთესი მომავლის მოლოდინში, რომელიც ყოველთვის სადღაც გეგულება. ადრიანი დილაა, მაგრამ უკვე ჩამოცხა. ნაგვის გროვას მომწამლავი კვამლივით ასდის სიმყრალე. მალე საყოველთაო ეპიდემია დაიწყება, თქვა ექიმმა, ვერავინ გადარჩება, მის წინაშე სრულიად უძლურნი ვიქნებით. წვიმა წამოვა, ქარი დაუბერავს, უთხრა ცოლმა. კარგი იქნებოდა, წვიმით წყურვილს მაინც მოვიკლავთ, ქარი კი ოდნავ მაინც გაფანტავს ამ სიმყრალეს. ცრემლის ძაღლი აქეთ-იქით გაფაციცებით ყნოსავს ნაგავს, მერე ერთ დიდ გროვაში დაიწყო ქექვა, ეტყობა, აქ რაღაც ნუგბარი ჩამარხა, ახლა კი ველარ პოულობს, მართო რომ იყოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის გადამალულს უთუოდ იპოვიდა, მაგრამ ქალი, რომელიც ტიროდა, მიდის და მისი ვალია გაჰყვეს, რადგან რა იცი, როდის გახდება საჭირო მისთვის ცრემლის შეშრობა. ძლივს მიაბიჯებენ. ზოგიერთ ქუჩაზე, განსაკუთრებით დამრეცად რომ ეშვება, წვიმის ნაკადები, ჩანჩქერად რომ ქცეულა, მანქანებს ხან ერთმანეთს, ხან კი კედლებს ანარცხებს, ილეწება კარი, იმსხვრევა ვიტრინები, ამიტომაც ყველგან ბლომად ყრია სქელი მინის ნამსხვრევები. იხრწნება ორ ავტომობილს შორის გაჩხერილი ადამიანის ცხედარი. ექიმის ცოლმა თვალი აარიდა. ცრემლის ძაღლი მიუახლოვდა, მაგრამ სიკვდილი მასაც აშინებს, და ორი ნაბიჯი რომ გაიარა, ბეწვი ყალყბე დაუდგა, გულისგამგმირავი ყმუილი დაიწყო, და ეს ძაღლი, თავისდა საუბედუროდ, იმდენად დაუახლოვდა

ადამიანებს, რომ მათი ტანჯვით ისიც იტანჯება. გაიარეს მოედანი, სადაც უსინათლოთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფის გამოსვლებს უსმენს, თუმცა, არც ერთნი, არც მეორენი, უსინათლოებს არ ჰგვანან, რადგან ორატორები შთაგონებული სახეებით მისჩერებიან მსმენელებს, ისინი კი ყურადღებით ატრიალებენ თავს ორატორებისკენ. აქ აცხადებენ დიდი ორგანიზებული სისტემების ფუძემდებელ პრინციპებს, ახსენებენ კერძო საკუთრებას, თავისუფალ ბაზარს, ბირჟას, დაბეგვრას, კაპიტალის პროცენტებს და დისკონტის განაკვეთებს, პრივატიზაციას, ნაციონალიზაციას, წარმოებას, განაწილებას, მოხმარებას, უზრუნველყოფას, სიმდიდრესა და სიღარიბეს, კომუნიკაციებს, დამნაშავეობას, სადამსჯელო ორგანოებს, ლატარიას, სასჯელს, სასჯელის დაწესებულებებს, სისხლის სამართლის კოდექსს, სამოქალაქო კოდექსს, ადმინისტრაციულ კოდექსს, საგზაო მოძრაობის წესებს, ლექსიკონს, სატელეფონო ცნობარს, ღამის კლუბებსა და საროსკიპოებს, თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს, შეიარაღებულ ძალებს, სასაფლაოებს, პოლიციას, კონტრაბანდას, უკანონო ბრუნვის დაშვებას, ფარმაკოლოგიურ კვლევებს, აზარტულ თამაშებს, პანაშვიდისა და დაკრძალვის პრეისკურანტს, იურისპრუდენციას, საკრედიტო სისტემას, პოლიტიკურ პარტიებს, არჩევნებს, პარლამენტს, მთავრობას, ამოზნექილ აზრს და შეზნექილ აზრს, სიბრტყეს, ვერტიკალს, დაქანებას, კონცენტრაციას, დამტვერვას, ხმის იოგების ამპუტაციას, სიტყვის სიკვდილს. გესმის, აქ ორგანიზებაზე ლაპარაკობენ, უთხრა ცოლმა ექიმს. ჰო, მესმისო, უპასუხა მან და ნათქვამს აღარაფერი დაამატა. გზა განაგრძეს, ექიმის ცოლი ქალაქის გეგმას დააკვირდა, იქვე კუთხეში რომ დაედგათ ზუსტად ისევე, წინათ გზის გასაყარზე მიმართულებების აღმნიშვნელი ჯვარი რომ იდგა. სუპერმარკეტთან ძალიან ახლოს არიან, იმ დღეს სადღაც სწორედ აქ, ცელოფანის პარკების, საბედნიეროდ, სახსე პარკების სიმძიმით სასაცილოდ და მოუხერხებლად მოხრი-

ლი რომ დაეცა, ატირდა, ეგონა, გზა ამებნაო, და კიდევ კარგი, საიდანდაც მოულოდნელად გამოჩნდა ეს ძაღლი, რომელმაც ანუგეშა დადარდიანებული იმის გამო, რომ სწორ გზას ასცდა, ჰო, სწორედ ეს ძაღლი, მაწანწალა ძაღლების ხროვას რომ უღრენს, როცა მოახლოებას ცდილობენ, თითქოს აფრთხილებსო, ვერაფერს გამომაპარებთ, აბა, უკან დაიხიეთო. მარცხნივ შეუხვიეს, მერე მარჯვნივ და აი, ისიც, სუპერმარკეტის შესასვლელი. შესასვლელი არის, რაც მართალია, მართალია, თავად სუპერმარკეტიც თავის ადგილზეა, არ არიან მხოლოდ ადამიანები, აქეთ-იქით რომ დაქრიან ჭიანჭველებივით, ყოველ წუთს, ყოველ წამს რომ ვხვდებოდით ასეთ დაწესებულებებში, რომლებიც სწორედ ადამიანთა დიდი მასების თავშეყრის წყალობით არსებობს. ექიმის ცოლს ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა და ამის შესახებ უთხრა კიდევ ქმარს, დავაგვიანეთ, იქ, ალბათ, აღარაფერი დატოვესო. რატომ გგონია. არავინ ჩანს, არც არავინ შედის და არც არავინ გამოდის. იქნებ სასაწყობე სარდაფს ვერ მიაგნეს. ნეტავ ასე იყოს. ასე საუბრობდნენ სუპერმარკეტის მოპირდაპირე ტროტუარზე მდგარნი. იქვე, თითქოს შუქნიშნის ანთებას ელიანო, სამი უსინათლო იდგა. ექიმის ცოლმა ვერ შენიშნა, რომ სახეზე შემფოთებანარევი გაოცება, შეფარული შიში გამოეხატათ, ვერ დაინახა, რომ ერთ-ერთმა პირი გააღო, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, და მაშინვე დახურა, არც იმას მიაქცია ყურადღება, რა უცნაურად აიჩეჩა მხრები. მალე თვითონვე გაიგებო, ალბათ, გაიფიქრა უსინათლომ. ქუჩაზე გადადიოდნენ, უკვე შუაში იყვნენ, ამიტომ ვერ გაიგონეს, როგორ უთხრა ერთმა უსინათლომ მეორეს, რატომ თქვა, არავინ ჩანსო, რაზეც მესამემ უპასუხა, ეს ხომ ასეთი გამოთქმაა, აი, ამას წინათ, რაღაცას ფეხი რომ წამოგვკარი, შენ არ მითხარი, ვერ ხედავ, ფეხს სად დგამო, დანახვის ჩვევა ჯერ არ დაგვიკარგავს. ღმერთო, უკვე რამდენჯერ მსმენია ეს, თქვა ერთ-ერთმა უსინათლომ.

მთელი სუპერმარკეტის შიდა სივრცე დღის შუქით იყო განათებული. გადაყირავებული დახლ-მაცივრები, ირგვლივ ნაგავი და მინის ნამსხვრევები, ცარიელი ყუთები. უცნაურია, გაიფიქრა ექიმის ცოლმა, თუნდაც აქ საჭმელი არაფერი იყოს, რატომ არავინ ცხოვრობსო. ჰო, მართლაც უცნაურია, დაეთანხმა ექიმი. ცრემლის ძაღლმა მხოლოდ ჩუმად დაიყმუვლა, ზურგზე ბეწვი ისევ ყალყზე დაუდგა. უცნაური სუნიაო, თქვა ექიმის ცოლმა. ყველგან ყველაფერი ყარსო, უპასუხა ექიმმა. არა, ეს ხრწნის სუნია. ესე იგი, სადღაც გვამი იხრწნება. რომ ვერ ვხედავ. ესე იგი, მოგეჩვენა. ძაღლი ისევ აყმუვლდა. ძაღლს რა დაემართა. რატომღაც დამფრთხალია. ახლა რა ვქნათ. წავიდეთ, ვნახოთ, თუ სადმე ცხედარია, გვერდი ავუაროთ, ახლა რაღა დროს მკვდრის შიშია. ჩემთვის, მით უმეტეს, მაინც ვერ ვხედავ. მთელი სავაჭრო დარბაზი გაიარეს იმ დერეფანში გამავალ კარამდე, რომლის ბოლოშიც სარდაფში ჩასასვლელია. ცრემლის ძაღლი უკან მისდევდათ, თუმცა, დროდადრო ჩერდებოდა, ყმუოდა, თითქოს ცდილობდა, მიენიშნებინა, იქით ნუ წახვალთო, მაგრამ მერე, მოვალეობის ერთგული, ისევ უკან მიჰყვებოდა. როცა ექიმის ცოლმა კარი გააღო, აუტანელი სუნი ეცათ. რა სიმყრალეა, თქვა ექიმმა. აქ დამელოდე, ახლავე მოვალო, და დერეფანს გაუყვა, რაც უფრო წინ მიდიოდა, მით უფრო ბნელოდა, ძაღლი მუცლის ხოხვით მიჰყვებოდა, თითქოს ქეჩოთი მიათრევდნენო, ის კი წინააღმდეგობას უწევდა. ხრწნის სუნით გაჯერებული ჰაერი თითქოს დამძიმებულიყო და გამკვრივებულიყო. შუა დერეფანში აღებინა. რა ჯანდაბა ხდებოა, ჯერ კიდევ ღებინებისას გაიფიქრა, მერე ხმამაღლა თქვა, ერთხელ, მეორედ, თან სარდაფში ჩამავალ რკინის კარს უახლოვდებოდა. ღებინებით შეწუხებულმა სიღრმეში მკრთალი ნათება მაშინვე როდი შენიშნა. მერე კი მიხვდა, რაც იყო. მკრთალი სინათლე ლიფტის უჯრედსა და კარს მიღმა კიბეზე ლიცლიცებდა. ახალი შეტევისას ექიმის ცოლს ლამის კუჭ-ნაწლავი ამოუტრიალდა, ძლიერ სპაზმს ვერ გაუძლო და დავარდა. ძაღლი საწყალობლად ყმუოდა

თუ ხრიალებდა და თითქოს ეს ხმა აღარასდროს შეწყდებოდა და სარდაფში დარჩენილთა სასიკვდილო ხმების ექოდ გაისმოდა დერეფანში. ექიმმა გაიგონა, როგორ ოხრაჲდა, იფურთხებოდა, ახველებდა მისი ცოლი, მაშინვე მივარდა, წაბორძიკდა და წაიქცა, წამოდგა და ისევ წაიქცა, ბოლოს ცოლს დაავლო ხელი. რა მოხდა, რა დაგემართაო, ჰკითხა, ის კი პასუხად იმეორებდა, აქედან გამიყვანე, ჩქარა გამიყვანეო, და ამ ხნის განმავლობაში პირველად მიჰყავდა ექიმს ცოლი და არა ცოლს ექიმი, მიჰყავდა, თუმცა, არც კი იცოდა, სად, ოღონდაც შორს ამ კარიდან, მისთვის უხილავი მოლიცლიცე ნათებიდან. დერეფნიდან როგორც კი გავიდნენ, ექიმის ცოლს ნერვებმა საბოლოოდ უმტყუნა და მისი ქვითინი ისტერიკულ ღრიალში, ისეთ სასოწარკვეთილ გოდებაში გადაიზარდა, რომ სრულიად შეუძლებელი იყო, თვალთაგან მომდინარე ამ ცრემლის ნაკადის შეშრობა, და ძალი მიხვდა, რომ ამას მხოლოდ დრო და არაქათის გაცლა თუ უშველიდა, ამიტომ მისი ხელის ლოკვას დასჯერდა. რა მოხდაო, ისევ ჰკითხა ექიმმა, ასეთი რა დაინახეო. დახოცილან, ძლივს ამოღერდა მწარედ აქვითინებულმა ცოლმა. ვინ დახოცილან. ისინი, თქვა მან და ველარ განაგრძო. კარგი, არ გინდა, რომ დაწყენარდები, მერე მითხარი. რამდენიმე წუთის შემდეგ ცოლმა უთხრა, ყველა დაიხოცაო. შენ რა, კარი რომ გააღე, რამე დაინახე, ეკითხებოდა ქმარი. არა, არა, კარის ღიობში მოლიცლიცე მკრთალი ნათება ჩანდა და არ ქრებოდა, თითქოს ციციანათელები დაფარფარებდნენ. ჰო, ეს ქსოვილების ხრწნის შედეგად გამოყოფილი ფოსფორშემცველი წყალბადია. ალბათ. როგორ გგონია, რა უნდა მომხდარიყო. ეტყობა, სარდაფს მიაგნეს, კიბეს მიაწყდნენ საჭმლის ძებნაში, მახსოვს, იქ ძალიან ადვილად შეიძლება წაგიცდეს ფეხი და დაეცე, ერთი დაეცა, მას მეორე მიჰყვა, მერე დანარჩენები, და, ალბათ, ვერ მიაღწიეს იქამდე, სადაც მიდიოდნენ, ან-

და მიაღწიეს, მაგრამ უკან ველარ გამოაღწიეს, რადგან კიბებზე ზედა-
ხორად ეყარა ხალხი. აკი თქვი, კარი დაკეტილი იყო. ალბათ, სხვა
უსინათლოებმა დაკეტეს და სარდაფი ვეებერთელა საძმო საფლა-
ვად იქცა, არადა, ყველაფერი ჩემი ბრალია, რადგან იქიდან ჩანთე-
ბითა და პარკებით დატვირთული რომ გამოვვარდი, სუპერმარკეტ-
ში მოხეტიალე უსინათლოებს საჭმლის სუნი ეცათ და საძებნელად
წავიდნენ. გამოდის, ყველაფერს, რასაც ვჭამთ, სხვას ვაცლით პი-
რიდან, და თუ ძალიან ბევრს ავაცლით, ბოლოს და ბოლოს, შიმში-
ლით ამოვხდით სულს, ამიტომ, ჩვენ ყველა, ასე თუ ისე, მკვლევები
ვართ. ვერაფერი ნუგეშია. არ მინდა, ყურით მოთრეული, მოგონი-
ლი ბრალეულობის გრძნობით დაიტანჯო, ასეთი სიმძიმე იტვირთო,
როცა ისედაც ძლივს დგახარ ფეხზე, წელში გაგწყვიტა ექვსი სრუ-
ლიად კონკრეტული და უმაქნისი უსინათლოს მოვლამ. როგორ ვიც-
ხოვრებდი შენისთანა უმაქნისის გარეშე. იცხოვრებდი, დანარჩენ
ხუთს მიხედავდი. საკითხავია, სადამდე გავძლებ. დიდხანს ვერა,
ყველა მარაგი რომ ამოიწურება, საკვების საშოვნელად მინდვრებ-
ში გასვლა მოგვიწევს, ყველა ხის ნაყოფს დავკრეფთ, ყველა ცხო-
ველს გავწყვეტთ, რომელსაც კი დავიჭერთ, თუ მანამდე აქაურ ძალ-
ლებსა და კატებს არ დავერიეთ. ცრემლის ძალს ამ გამონათქვამზე
რეაქცია არ ჰქონია, ჩათვალა, რომ ეს მას სულაც არ ეხებოდა, რად-
გან მინიმალური ხეირი მაინც ხომ უნდა ნახოს იმით, რომ ბოლო
ხანს ჩვეულებრივი ძალლიდან ცრემლის ძალლად იქცა.

ექიმის ცოლი ფეხზე ძლივს იდგა, ღებინების შეტევებმა სრული-
ად დააუძლურა. და როცა სუპერმარკეტიდან გამოვიდნენ, ერთი
ბანცალებდა, მეორე უსინათლო იყო, და დანამდვილებით ვერავინ
იტყოდა, ვის ვინ მიჰყავდა და ვინ ვის ეხმარებოდა. ეტყობა, დღის
სინათლეზე თავბრუ დაესხა, ეგონა, ვბრმავდებიო, თუმცა, არ შეში-
ნებია, თავბრუსხვევამ წამშივე გაუარა. არც დაცემულა და არც
გრძნობა დაუკარგავს. რომ წამოიწევს, თვალები მილულოს, თანაბ-

რად ისუნთქოს, დარწმუნებულია, ხუთ წუთში აღიდგენს ძალას, არადა, ძალა კიდევ დასჭირდება, რადგან ჩანთები და პარკები ჯერ ისევ ცარიელია. მაგრამ როგორია ბინძურ ქვაფენილზე დაწოლა, სუპერმარკეტში მიბრუნებას კი სიკვდილი ურჩევნია. აქეთ-იქით მიმოიხედა, ქუჩის მეორე მხარეს ეკლესია შენიშნა. ალბათ, იქაც, ისევე როგორც ყველგან, უამრავი ხალხია, მაგრამ იქაურობა მაინც აჯობებს სულის მოსათქმელად, ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე იყო. ქმარს უთხრა, ძალა უნდა მოვიკრიბო, იქ წამიყვანეო. სად. მაპატიე, დარწმუნებული ვარ, იქ უკეთ გაგხდები. სად იქ. ეკლესიაში, ცოტა ხანს თუ წამოვწვები, ყველაფერი გამივლის. წამოდი. ეკლესიაში რომ შესულიყვნენ, ექვსი საფეხური უნდა აევილოთ, გაითვალისწინეთ, ექვსი საფეხური, რომელთა ავლაც დიდ ჯაფად დაუჯდა ექიმის ცოლს, მით უმეტეს, რომ ქმარსაც მიუძღოდა. კარი ფართოდ გაღებული დახვდათ, და კიდევ კარგი, თორემ ოდნავი წინააღმდეგობაც კი, თუნდაც მოხურული კარი, ამ მდგომარეობაში მყოფი ცოლ-ქმრისთვის დაუძლეველ დაბრკოლებად იქცეოდა. ცრემლის ძაღლი, დაბნეული, კართან შეჩერდა. საქმე ის გახლავთ, რომ მოქმედების თავისუფლების მიუხედავად, რითაც ბოლო დროს ის და მისი თანამოძმენი სარგებლობდნენ, გარკვეული აკრძალვები ტვინში უკვე გენეტიკურ დონეზე ჰქონდა ჩაჭედილი საკმაოდ შორეული, შეიძლება ითქვას, ლეგენდარული ეპოქებიდან, და ერთ-ერთი ასეთი აკრძალვა იყო ეკლესიაში შესვლის აკრძალვა, რაც, სავარაუდოდ, იმით აიხსნება, რომ მასთან გადაულახავ წინააღმდეგობაში მოდის მეორე გენეტიკური კოდი, მონიშნოს ნებისმიერი ტერიტორია, რომელზეც მოხვდება. და ამ აკრძალვის გაუქმებას სულაც არ შეუწყო ხელი იმან, რომ ცრემლის ძაღლის შორეული წინაპრები თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდნენ, ჩირქოვან წყლულებსა და ჭრილობებს ენით ულოკავდნენ მავანთ

ბევრად ადრე, ვიდრე მათ წმინდანებად შერაცხავდნენ და ნეტართა გუნდს მიაკუთვნებდნენ, და ძაღლების ერთგულება ყველაზე უანგარო ერთგულებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ნამდვილად არ გვესწავლება, რომ ყველა ვერ აღწევს წმინდანობას, რა საზარელი წყლულებითაც უნდა იყოს დაფარული მისი სხეული, ისევე როგორც სული, რომელსაც ვერანაირი ენა ვერ მისწვდება. თუმცა, ამჯერად ცრემლის ძაღლს ეყო გამბედაობა და შევიდა წმინდა სალოცავში, თანაც კარი ფართოდაა გაღებული, კარისკაციც არსად ჩანს, და საამისოდ, რაც ნამდვილად არ იწვევს ეჭვს, ყველაზე ძლიერი შემაგულიანებელი მოტივი გახლდათ ის, რომ ქალი, აი, ის, რომელიც ტირის, უკვე შევიდა, თანაც გაუგებარია, როგორ მოახერხა შებობღება, რადგან ქმარს მხოლოდ ამას ჩასჩურჩულებდა, მომეხმარე, ხელი შემაშველეო, ეკლესია კი ხალხით იყო გადაჭედილი, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებო და ასე შემდეგ, ან უფრო უპრიანი იქნება, გამოთქმა, თავის მისაღები ადგილი არსად იყო, მაგრამ ცრემლის ძაღლმა იყოჩაღა, ღმუილითა და ჯიქური მიწოლით, თუმცა, სრულიად მშვიდობიანად, პატარა სივრცე გამოათავისუფლა, სადაც ლამის გულშეღონებული მიწვა ექიმის ცოლი, მოასვენა თავისი დაუძლურებული სხეული, და როგორც იქნა, დროის თუ არა, ადგილის საკადრისად რომ ვთქვათ, მილულა თვალნი. ექიმმა პულისი გაუსინჯა, სავსე და საკმაოდ თანაბარი ჰქონდა, თუმცა, ოდნავ შესუსტებული, მერე სცადა, წამოეწია, ასე წოლა არ ივარგებს, თავს სისხლი უნდა მიეწოდოს, რომ ტვინში სისხლის მიმოქცევა გაუმჯობესდესო, ამიტომ ჯობია, წამოჯდეს, თავი მუხლებს შორის ჩაჰკიდოს და დედამიწის მიზიდულობის ძალასა და ბუნებას მიენდოს. რამდენიმე უმედეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, მოხერხებულად დასვა ცოლი. ცოტა ხანში კი ექიმის ცოლმა ღრმად ამოიხვნეშა, ოდნავ შეინძრა, თანდათან გონზე მოვიდა. არ წამოდგე, არა, თავს ნუ ასწევ, მაგრამ ის უკვე მოსულიერდა, თავბრუსხვევამაც გაუარა, უკვე არ-

ჩევს იატაკის ქვის ფილებს, ცრემლის ძაღლის წყალობით შედარებით სუფთა რომ იყო, რადგან ამ ადგილას, რომელიც თავისთვის დაიგულა, წამოგორდა და ერთი სამჯერ მაინც დატრიალდა. ექიმის ცოლმა ნატიფი კოლონების კაპიტელებს ახედა, თვალი შეავლო გუმბათის მაღალ თაღს, შეამოწმა, აღუდგა თუ არა ნორმალური სისხლის მიმოქცევა, და თქვა, უკვე კარგად ვარო, რომ უცებ თავში გაუელვა, ალბათ, შევიშალე ან თავბრუსხვევა ჰალუცინაციებით შემეცვალაო, არ შეიძლებოდა ეს სინამდვილე ყოფილიყო, თვალებს არ უჯერებდა, რადგან ხედავდა, რომ ჯვარცმულ მამაკაცს თვალები თეთრი ნაჭრით ჰქონდა ახვეული, და ქალსაც, რომელსაც გული შვიდი მახვილით ჰქონდა განგმირული, და არა მარტო ამ ორს, ყველა ქანდაკებას თვალები ჰქონდა ახვეული, და ყველა ფრესკის ყველა პერსონაჟს თვალებზე სქლად თეთრი საღებავი ესვა, და ქალსაც, რომელიც თავის ქალიშვილს კითხვას ასწავლიდა, თვალები ჰქონდა ახვეული, და მამაკაცსაც, რომელსაც გადაშლილი წიგნი ედო, ზედ კი პატარა ბიჭუნა ჩამომჯდარიყო, თვალები ჰქონდა ახვეული, და გრძელწვერიან მოხუცსაც, ხელში სამი გასაღები რომ ეჭირა, თვალები ჰქონდა ახვეული, და ჭაბუკსაც, რომლის მთელი სხეულიც ისრებით იყო განგმირული, თვალები ჰქონდა ახვეული, და ქალსაც, ხელში ანთებული ფარნით, თვალები ჰქონდა ახვეული, და ხელებდაჩეხილ მამაკაცსაც თვალები ჰქონდა ახვეული, და მეორე მამაკაცსაც, ლომთან ერთად რომ იყო გამოსახული, თვალები ჰქონდა ახვეული, მასაც და ლომსაც, და იმ მამაკაცსაც, ხელში არწივი რომ ეჭირა, თვალები ჰქონდა ახვეული, მასაც და არწივსაც, და იმასაც, ვინც შუბი სტყორცნა რქოსან ჩლიქოსანს, თვალები ჰქონდა ახვეული, ისევე როგორც მის მსხვერპლს, და მამაკაცსაც, სასწორი რომ ეჭირა ხელში, თვალები ჰქონდა ახვეული, და მელოტ მოხუცს, თეთრი შროშანით ხელში, თვალები ჰქონდა ახვეული, და მეორე მოხუცსაც, გაშიშვლებულ ხმაღს

რომ დაყრდნობოდა, თვალები ჰქონდა ახვეული, და მტრედთან ქალსაც თვალები ჰქონდა ახვეული, მასაც და მტრედსაც, და მამაკაცსაც, ორი ყვაფით რომ იყო გამოსახული, თვალები ჰქონდა ახვეული, მასაც და ორივე ფრინველსაც, და მხოლოდ ერთადერთ ქალს არ ჰქონდა თვალები ახვეული, ისიც იმიტომ, რომ ეს თვალები უკვე დათხრილი ჰქონდა და ვერცხლის ლანგარზე ეწყო, რომელიც ხელში ეჭირა. ექიმის ცოლმა ქმარს უთხრა, არ დამიჯერებ, რომ გითხრა, რას ვხედავ, იცი, ეკლესიაში ყველა გამოსახულებას თვალები აქვს ახვეული. საოცარია, თქვა ექიმმა, ნეტავ, რატომ. რა ვიცი, იქნებ რომელიმე მორწმუნემ რწმენა დაკარგა, როცა გაიგო, რომ სხვებივით დაბრმავდებოდა, ან იქნებ აქაურმა წინამძღვარმა გადაწყვიტა, რაკი უსინათლო მრევლი ვერ ხედავს წმინდანებს, სამართლიანობა მოითხოვს, რომ წმინდანებმაც ვერ დაინახონ უსინათლო მლოცველებიო. მაგრამ გამოსახულებები ისედაც ვერ ხედავენ. ცდები, ისინი ხედავენ იმათი თვალებით, ვინც მათ შესცქერის, და მხოლოდ ახლა დაბრმავდა ყველა. შენ ხომ ხედავ. დღითი დღე სულ უფრო ნაკლებად დავინახავ და მთლიანადაც რომ არ დავბრმავდე, ყოველდღიურად დამაკლდება მხედველობა, რადგან მე ვერავინ მხედავს. იქნებ მართლა წინამძღვარმა აუხვია თვალები წმინდანებს. არა, ეს მე მოვიფიქრე. ეს ერთადერთი ჰიპოთეზაა, რომელიც ჭეშმარიტებას შეიცავს, ერთადერთი, რამაც შეიძლება განადიდოს ეს ჩვენი უბადრუკობა, წარმომიდგენია, როგორ მოდიოდა აქ უსინათლოთა სამყაროდან, სადაც ისევ უნდა დაბრუნებულიყო, რომ თავადაც დაბრმავებულიყო, წარმომიდგენია დაკეტილი კარი, ცარიელი ეკლესია, სიჩუმე, წარმომიდგენია ქანდაკებები და ფრესკები, ვხედავ, როგორ მიდის ერთი გამოსახულებიდან მეორესთან, ადის საკურთხეველში და თეთრ ქსოვილს ორჯერ კვანძავს, რომ არ ჩამოცურდეს, როგორ უსვამს თეთრ საღებავს ფრესკებს, რომ კიდევ უფრო ღრმა იყოს თეთრი ღამე, რომელიც მათთვის ჩამოწვა. ჰო, სამყაროს შექმნის დღიდან არც ერთ რელიგიას არ ახსოვს ისეთი

მკრეხელობა, როგორც ამ მღვდელმა ჩაიდინა, მაგრამ არავინ ყოფილა მასზე უფრო სამართლიანი და ჰუმანური, რადგან მოვიდა აქ, რათა ბოლოს და ბოლოს განეცხადებინა, რომ ღმერთს არა აქვს უფლება, ხედავდეს. სანამ ექიმის ცოლი პასუხს გასცემდა, იქვე ვილაცამ იკითხა, რას ლაპარაკობთ და ვინ ხართო. შენსავით უსინათლოებით, უპასუხა მან. გავიგონე, რომ თქვი, ვხედავო. ეს ისე, ჩვეული გამოთქმაა, ვერ გადავეჩვიე, რამდენჯერ შეიძლება იმეორო ერთი და იგივე. თვალახვეულ წმინდანებზე რას ამბობდით. ისე, ვსაუბრობდით. თუ ბრმა ხარ, როგორ გაიგე. შენც გაიგებ, თუ ჩემსავით მოიქცევი, მიხვალ და ხელით შეეხები, რადგან უსინათლოთა თვალები ხელებია. ეს რატომ გააკეთე. ვიფიქრე, აქამდე რომ მოგვეღწია, სადამდეც მოვალწიეთ, კიდეც ვინმე უნდა ყოფილიყო უსინათლო. ამ ეკლესიის წინამძღვარზე რაღა მოიგონე, კარგად ვიცნობდი და ასეთ რამეს არ იზამდა. წინასწარ ვერასდროს მიხვდები, ვინ რისი გამკეთებელია, უნდა აცალო, დროს დრო მისცე, დრო ყველაფერს განაგებს, ჩვენს წინააღმდეგ თამაშობს და ყველა კობირი მის ხელშია, ასე რომ, არც კი გჭირდება ფიქრი და ტვინის ჭყლეტა, რომელი კარტი ჩამოხვიდე. ტაძარში კარტის თამაშზე ლაპარაკი დიდი ცოდვაა. ადექი და შენი ხელით შეამოწმე, თუ ჩემი არ გჯერა. დაიფიცე, რომ ყველა წმინდანს თვალები აქვს ახვეული. რა დავიფიცო, რომ დამიჯერო. შენი თვალები. კეთილი, ორმაგად დავიფიცებ, ჩემს თვალებსაც ვფიცავ და შენსასაც. ესე იგი, მართალია. მართალია. ეს საუბარი იქვე მყოფთა ყურსაც მისწვდა და არ ღირს იმის თქმა, რომ საჭირო აღარ გახდა ფიცის დადასტურების ლოდინი, ისე გადაეცა ეს ამბავი ერთიდან მეორეს და ატყდა ჩურჩული, ჯერ უნდობლობის გამომხატველი, შემდეგ შეშფოთების, მერე ისევ უნდობლობის, და სიტუაციამ ისეთი სავალალო ხასიათი მიიღო, რაკი ეკლესიაში უმთავრესად მორწმუნე და მდიდარი

წარმოსახვის ადამიანები იყვნენ შეკრებილი, რომ მათთვის სრულიად აუტანელი გახდა იმის წარმოდგენა, რომ წმინდანები უსინათლონი აღმოჩნდნენ და მაშასადამე, მათი მზერა, ლმობიერი თუ ტანჯული, ახლა მხოლოდ მათივე საკუთარ სიბრძავეს ხედავს, და ეს თითქმის იგივეა, ვინმემ უთხრას, რომ მათ გარშემო ცოცხალი მიცვალებულები არიან, ასე რომ, ერთი შეყვრება საკმარისი აღმოჩნდა, მერე კიდევ და კიდევ, და შიშმა ყველა ფეხზე წამოყარა, პანიკამ კარისკენ გარეკა და განმეორდა ის, რაც უკვე კარგად მოგეხსენებათ, რადგან პანიკა ბევრად უსწრებს ფეხებს, ფეხები კი, მით უმეტეს, უსინათლოს, შეიძლება ჩაეკეცოს ან რამეს წამოსდოს, და აი, უკვე გაშხლართული გდია, პანიკა კი ეუბნება, ადექი, თორემ გადაგთელავენ, სიამოვნებით ადგებოდა, მაგრამ უკვე ფეხებით ჯეგავენ, ზემოდან ეცემიან, და მართლაც, მხოლოდ უჩვეულოდ კეთილი გულის ადამიანი თუ შეიკავებს თავს სიცილისგან იმ ადამიანთა სხეულების სახალისოდ ტრაგიკული გროვის შემხედვარე, რომლებიც წამოდგომას ცდილობენ, ხელებს იქნევენ, რომ თავი გაითავისუფლონ, და ფეხებს, რომ გაიქცნენ. კარიბჭის წინ ექვსი საფეხური ლამის უფსკრულად გადაიქცა, თუმცა, გადმოსავარდნად ეს დიდი სიმაღლე არ არის, თანაც დაცემის ჩვევა აკაჟებს სხეულს, და აი, ის, სხეული, მგონი, უკვე მიწაზე გაშხლართული, რაც თავისთავად შვების მომგვრელია. აღარც გავინძრევი, აი, პირველი ამრი, ზოგჯერ კი უკანასკნელიც. და როგორც ყოველთვის, უცვლელი რჩება ზოგის სურვილი, სხვისი გაჭირვებით ისარგებლოს, რაც მშვენივრადაც იციან სამყაროს შექმნიდან მოყოლებული მემკვიდრეებმა და მემკვიდრეთა მემკვიდრეებმა. თავქუდმოგლეჯით გაქცევის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილნი კი ტოვებენ იმ მცირედსაც, რაც აბადიათ, ხოლო გაჭირვება შიშს რომ დაძლევს, დაბრუნდებიან და იმ სირთულის გარდა, რომ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად გარაკვიონ, რა ერთისაა და რა მეორის, მთელი სიმწვავეით წააწყდები-

ან ისეთ უცილობელ მოცემულობას, როგორცაა მათი ისედაც მეტად მწირი მარაგის გაქრობა, და ძალაუნებურად გაუელვებით აზრი, განზრახ ხომ არ მოაწყო ეს ყველაფერი იმ გაიძვერა ქალმა, რომელმაც გამოაცხადა, თითქოს ყველა წმინდანი თვალახვეულია, რადგან ზოგიერთის მუხანათობა ენით აუწერელი და უსაზღვროა, და რაღას არ მოიგონებენ, ოღონდ საწყალ ადამიანს ის მცირედიც წაართვან, რაც ჯერ კიდევ შემორჩენია. არადა, ყველაფერი ცრემლის ძაღლის ბრალია, რომელმაც დაინახა, რომ ადგილი გამოთავისუფლდა, მივიდა და მოკალათდა, რაც ბუნებრივად და სამართლიანად ეკუთვნოდა კიდევ გაჩეული სამსახურისთვის, და ამით აჩვენა თავის პატრონს გზა ამ საგანძურისკენ. და ექიმის ცოლიც და ექიმიც ისე გამოვიდნენ ეკლესიიდან, რომ ოდნავადაც არ ქენჯნიდათ სინდისი ჩადენილი ძარცვის გამო, თანაც სავსე ჩანთებით დატვირთულნი. და დიდად გაიხარებენ, თუ ნაძარცვის ნახევარი მაინც გამოადგათ საჭმელად, ხოლო მეორე ნახევარს რაც შეეხება, იტყვიან, წარმოუდგენელია, ამას როგორ ჭამენო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველ ჭეშმარიტებას, რომ უბედურება, თუნდაც საყოველთაო, არათანაბრად ნაწილდება.

მთელი ამ ამბის, თავისთავად ღირსშესანიშნავი ამბის, მოყოლამ უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა მეხუთე სართულის ბინაში მყოფ მსმენელებზე, და ეს იმის მიუხედავად, რომ ექიმის ცოლმა, როგორც ჩანს, სიტყვების ნაკლებობის ან იმის გამო, რომ ენა არ უტრიალდებოდა, ვერ შეძლო სრულად აღეწერა ის შემადრწუნებელი გრძნობა, რომელიც დაეუფლა მკრთალი ნათების დანახვისას, სარდაფში ჩასასვლელ კართან, მკვდართა საუფლოში ჩამავალი კიბის თავში რომ ციმციმებდა. მსმენელები შეაძრწუნა, თუმცა, სხვადასხვაგვარად, მონაყოლმა თვალეზახვეულ წმინდანებზე, განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა პირველ

უსინათლოსა და მის ცოლზე, რადგან ეს მათთვის აღმაშფოთებელი მკრეხელობა იყო. გასაგებია, რომ ისინი ყველა, მოკვდავნი, უცებ დაბრმავდნენ, ეს რაღაც საბედისწერო გარემოებათა რაღაც საბედისწერო დამთხვევაა, ამაში ბრალი არავის მიუძღვის და ვერც ვერავინ აირიდებდა, მაგრამ ამის გამო წმინდანებისთვის თვალების ახვევა და საღებავით თვალების დაფარვა ნამდვილი მკრეხელობაა, ხოლო თუ ეს მღვდელმა ჩაიდინა, ხომ მით უმეტეს. შავსახვევიან მოხუცს სხვაგვარი რეაქცია ჰქონდა, წარმომიდგენია, როგორ დაიზაფრებოდი, მე კი ახლა მუზეუმზე ვფიქრობ, სადაც ქანდაკებები დგას და ყველა თვალეხახვეული, და არა იმიტომ, რომ მოქანდაკემ არ მოისურვა, ქვა გამოეჭრა იქ, სადაც თვალეხი უნდა იყოს, არამედ იმიტომ, რომ ახვეული აქვთ, თითქოს თავად სიბრმავე არ კმაროდეს, თანაც უცნაურია, ისეთივე სახვევი უკეთიათ, როგორც მე, მაგრამ შთაბეჭდილება კი სულ სხვაგვარია, უფრო საპირისპირო, და ზოგჯერ ადამიანს რომანტიკულ იერსაც კი სძენს, გაეცინა მოხუცს თავის სიტყვებსა და საკუთარ თავზე. რაც შეეხება შავსათვალიან ქალიშვილს, მან თქვა, ღმერთმა დამიფაროს და არ დამესიზმროს ეს გალერეა, ვითომ კოშმარები მაკლდესო. ჭამეს რაღაც ამძაღებული, ეს კიდევ საუკეთესო იყო იქიდან, რაც მოიტანეს, და ექიმის ცოლმა თქვა, სულ უფრო გაგვიჭირდება საკვების მოპოვება და ხომ არ ჯობია, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, ქალაქიდან სადმე სოფლად წავიდეთ, იქ სუფთა და ჯანსაღი პროდუქტი მაინც არის, თანაც მინდვრებში თხები, ძროხებია გაშვებული, მივიჩვევთ, რძეც გვექნება, წყალს ჭიდან ამოვიღებთ, რასაც გვინდა, იმას მოვხარშავთ, ოღონდ აი, სად წავიდეთ, სად ვიპოვოთ ასეთი საოცნებო ადგილი ქალაქგარეთო, და ამ საკითხზე ყველამ თავისი აზრი გამოთქვა, მეტ-ნაკლები შთაგონებით, თუმცა, კარგად იცოდნენ, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ეს ვარიანტი, და მხოლოდ ელამმა ბიჭუნამ გამოხატა დაუფარავი და გულწრფელი აღტაცება, ეტყობა, ჯერ კიდევ შემორჩენოდა ზაფხულის არდადეგების სასიხარულო მოგონებები.

ჭამეს და დასაძინებლად დაწვნენ, როგორც ჯერ კიდევ კარანტინში ყოფნისას მიეჩვივნენ, როცა გამოცდილებამ დაარწმუნათ, რომ თუ წევხარ, უფრო ადვილია შიმშილის გაძლება. საღამოს არ უჭამიათ, მხოლოდ ელამ ბიჭუნას ერგო ცოტაოდენი, რომ შიმშილი მოეკლა და შეეწყვიტა წუწუნი, დანარჩენები კი ისევ წაკითხულის მოსასმენად დასხდნენ, რომ სულმა მაინც არ თქვას, მაშიმშილებენო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სხეულის სისუსტე ზოგჯერ სულისა და გონების ყურადღებას ადუნებს, თანაც არა ინტელექტუალური ინტერესის ნაკლებობის გამო, სულაც არა, აქ სულ სხვა რამ ხდება, ტვინი ღრმა ძილს ეძლევა, როგორც დათვი ბუნაგში, მშვიდობით, სამყაროვ, და ამიტომაც მსმენელებს ხშირად თვალები ელულებათ და ცდილობენ თხრობის პერიპეტიებს სულის თვალი ადევნონ, სანამ მძაფრად განვითარებული მოვლენები არ გამოაფხიზლებთ ბურანიდან, თუ ეს მოვლენები მართლაც მძაფრად ვითარდება და წიგნი ხმაურით არ იხურება, რადგან ექიმის ცოლს, ბუნებით დელიკატურ ადამიანს, არ უნდა აგრძნობინოს მსმენელებს, რომ ხვდება, როდის ერევათ ძილი და აღარ უსმენენ.

სწორედ ასეთ ტკბილ ძილ-ღვიძილში იყო პირველი უსინათლოც, თუმცა, არც მთლად ასეა. ჰო, თვალდახუჭული იჯდა და ზერელედ უგდებდა ყურს თხრობას, დაძინებაში ხელს უშლიდა ცოტა ხნის წინ გამოთქმული აზრი ბუნების წიაღში წასვლის შესახებ, რადგან მეტად მცდარად მიაჩნდა, რა თქმა უნდა, აზრი და არა ბუნება, როგორ შეიძლება დაადო თავი და ასე მიატოვო ბინა, და რაოდენ სიმპათიურიც უნდა იყოს მწერალი, ხომ უნდა ყურადღების მიქცევა, ხანდახან ხომ უნდა მიაკითხო. ამიტომაც ცხადია, რომ პირველ უსინათლოს არ ეძინა, ფხიზლობდა, და თუ კიდევ საჭიროა რამე მტკიცებულება, საუკეთესო და დამაჯერებელი იქნება თვალისმომჭრელი სითეთრე, რომელსაც ხედავს და რომე-

ლიც სიბნელით მხოლოდ ძილის დროს იცვლება, თუმცა, დარწმუნებით ვერც ამას იტყვი, რადგან ჯერ არავის მოუხერხებია, რომ ერთდროულად მძინარიც იყოს და მღვიძარიც, ანუ აკონტროლოს თავისი შეგრძნებები. და ის იყო, ეჭვი უკუაგდო, რომ უცებ ქუთუთოებქვეშ დაუბნელდა. ჩამეძინაო, გაიფიქრა, მაგრამ არა, სულაც არ ჩასძინებია, რადგან ესმოდა ექიმის ცოლის ხმა, ელაში ბიჭუნას ხველება, და მოულოდნელად საოცარმა შიშმა მოიცვა მისი სული, ეგონა, ერთი სიბრმავე მეორით შეეცვალა, და ჩვეული თეთრი სიბრმავეის შემდეგ ახლა უკუნეთ სიბრმავეში თუ სიბრმავეის უკუნეთში მოუწევს ჩაძირვა, და ეს შიში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გულის სიღრმიდან კვნესა აღმოხდა. რა დაგემართაო, ჰკითხა ცოლმა, მან კი თვალდახუჭულმა უპასუხა, თანაც საკმაოდ სულელურად, ბრმა ვარო, თითქოს ეს მსოფლიო სენსაცია, უკანასკნელი გამაოგნებელი ამბავი ყოფილიყოს. ცოლმა ალერსიანად გადახვია ხელი, მერე რა, აქ სულ ბრმები ვართ და ამას არაფერი ეშველებაო. უკუნეთ სიბნელეს ვხედავ, მეგონა, ჩამეძინა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ მღვიძავს. ჰოდა, სულ ტყუილად, ჯობია დაიძინო და ამაზე არ იფიქრო. კეთილმა რჩევამ გააცოფა, ან რა გასაკვირია, ასე დარდობს და იტანჯება, და მხოლოდ თვითონ იცის, რა საშინელია ეს ტანჯვა, ცოლმა კი სხვა ვერაფერი მოიფიქრა გარდა იმისა, რომ ეთქვა, ჯობია დაიძინო. უკიდურესად გაღიზიანებულმა, ის იყო, ღვარძლიანი პასუხი უნდა გაეცა, რომ თვალეები გაახილა და დაინახა. დაინახა და შესძახა, ვხედავო. პირველ შეძახილში ეჭვი იგრძნობოდა, მაგრამ მეორე, მესამე, მეოთხე და შემდგომ შეძახილებში მძლავრ კრემენდოდ გაჟღერდა მისი თავდაჯერება, რომ სწორედაც ასე იყო და არა სხვაგვარად. ვხედავ, ვხედავ, ვხედავო, და შეშლილივით გადაეხვია ცოლს, მერე ექიმის ცოლს მიეჭრა და იმასაც გადაეხვია, თუმცა, არც კი იცოდა, ვის ეხვეოდა, რადგან ცხოვრებაში პირველად ხედავდა, მერე ექიმს, შავსათვალისან ქალიშვილს, შავსახვევიან მოხუცს, რომელზეც ეჭვი არ გასჩენია, ელამ ბიჭუნას, ცოლი კი თან დასდევდა,

ხელს არ უშვებდა, და ყველას, რომ გადაეხვია, ისევ ცოლს მიუბრუნდა, ექიმს კი უთხრა, ექიმო, ვხედავ, ვხედავ, რა ხდება, ამის სენითო, და ისიც კი დაავიწყდა, რომ ერთმანეთს აქ ყველა კარგა ხანია შენობით მიმართავდა, ამის სენით, ეს რა მოხდაო, ექიმმა კი ჰკითხა, კარგად ხედავ, როგორც ადრე, სითეთრე სულ გაქრაო. ჰო, ჰო, არავითარი სითეთრე, ახლა უკეთ ვხედავ, ვიდრე ადრე, ეს კი ბევრს ნიშნავს, რადგან სათვალესაც კი არ ვხმარობდიო. მაშინ ექიმმა თქვა ის, რასაც ყველა ფიქრობდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდნენ, ალბათ, სიბრმავე დასრულდა, მგონი, მხედველობა დაგვიბრუნდება, და ამ სიტყვების გაგონებაზე ექიმის ცოლი ატირდა, მაინც რა უცნაური რეაქციები აქვთ ადამიანებს, თითქოს უნდა გახარებოდა, ის კი ტირის, ისე, რა არის აქ უცნაური, ის ხომ სიხარულისგან ტირის, და კიდევ იმიტომ, რომ ერთბაშად გაუქრა წინააღმდეგობის უნარი, ახალშობილს დაემსგავსა და ეს ტირილი ახალშობილის პირველ, ჯერ გაუაზრებელ ტირილს წააგავდა. ცრემლის ძაღლი მისკენ გაემართა, ყოველთვის იცის, როდისაა საჭირო, ექიმის ცოლი მოეხვია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქმარი აღარ უყვარს, კეთილად არ არის განწყობილი დანარჩენებისადმი, მაგრამ ამწუთას ისე მძაფრად იგრძნო მარტოობა, ისეთი აუტანელი იყო ეს გრძნობა, ეგონა, მხოლოდ ის საოცარი წყურვილი იხსნიდა, რომელსაც ძაღლი მისი ცრემლებით იკლავდა.

მაგრამ უცებ საყოველთაო სიხარული შეშფოთებამ შეცვალა. ახლა რაღა ვქნათ, იკითხა შავსათვალთანმა ქალიშვილმა, ამის შემდეგ რაღა დამაძინებს. ჰო, ვერ დავიძინებთ, აქ ვიყოთ, თქვა შავსახვევიანმა მოხუცმა და შეცბა, თითქოს რაღაც ეჭვმა შეიპყრო, მაგრამ თავს მოერიდა და დაასრულა, დავიცადოთო. და იცდიდნენ. სამპატრუქიანი ტრაქის შუქი მაგიდასთან მსხდომთა სახეებს ანათებდა. თავიდან, სანამ ჯერ კიდევ აფორიქებულნი

იყვნენ, სულ აინტერესებდათ, მაინც როგორ მოხდა ეს, თვალახელილმა რამე თუ იგრძნო თვალეებში ან ტვინში, მაგრამ მერე საუბარი მინელდა და რაღაც მომენტში პირველმა უსინათლომ მოიფიქრა, ცოლისთვის ეთქვა, ხვალ შინ წავიდეთო. მე რომ ჯერ ისევ უსინათლო ვარო, უპასუხა ცოლმა. არა უშავს, მე წავიყვანო, და მხოლოდ ისინი, ვინც აქ ისხდნენ და, შესაბამისად, პირადად გაიგონეს ეს, მიხვდებიან, თუ როგორ შეიძლება, რომ ასეთი მარტივი სიტყვები ერთდროულად გამოხატავდეს სიამაყესაც, ბრძანებასაც და ზრუნვასაც. მეორე, ვისაც მხედველობა დაუბრუნდა, როცა უკვე გვიანი ღამე იყო და ძლივს ბეუტავდა ჭრაქი, რადგან ზეთი თავდებოდა, შავსათვალისანი ქალიშვილი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს, თითქოს მხედველობა სადღაც შიგნით კი არ უნდა აღდგენილიყო, არამედ გარედან უნდა შესულიყო თვალეებში, უცებ თქვა, მგონი, ვხედავო და, რა თქმა უნდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ყოველთვის ერთნაირად როდი ხდება, აკი ნათქვამია, სიბრმავე არ არსებობს, მხოლოდ ბრმები არსებობენო, თუმცა, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვასწავლის სწორედ იმას, რომ ბრმები არ არსებობენ, მხოლოდ სხვადასხვა სახის სიბრმავე არსებობს. ამრიგად, აქ უკვე სამი თვალხილულია, ერთიც და რაოდენობრივი უპირატესობა მათ მხარეს იქნება, და თუმცა ახალმოვლენილი ბედნიერება ჯერ ყველას არ სწვევია, მათი ცხოვრება შეუდარებლად გაადვილდა, გაუთავებელი ტანჯვა-წამება დასრულდა, შეხედეთ ერთი, რას დაემსგავსა ეს ქალი, თითქოს ძალიან დაჭიმული სიმი ჩაწყდა, თითქოს ზამბარამ სიმძიმეს ვეღარ გაუძლოო. იქნებ პირველს სწორედ მას ამიტომ გადაეხვია შავსათვალისანი ქალიშვილი და ცრემლის ძაღლმა აღარ იცის, რომელს ეცეს, რადგან ორივეს ღვარად სდის ცრემლი. მერე შავსახვევიან მოხუცს და აი, სწორედ ახლა გავიგებთ იმ სიტყვების ნამდვილ ფასს, ხომ გახსოვთ, არც ისე დიდი ხნის წინ, ასე გული რომ აგვიჩუყა და აგვაღელვა მათმა საუბარმა,

რომელიც დასრულდა ლამაზი გადაწყვეტილებით, რომ ერთად იცხოვრებენ, მაგრამ ამჯერად მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია, და შავსათვალისანი ქალიშვილი ხედავს, ღვთის წყალობით ეს უნარი დაუბრუნდა, მოხუცს, და დასრულდა იდეალიზაცია, რომელიც წარმოშვა გრძნობათა მოძალებამ, მოგონილმა ჰარმონიამ უკაცრიელ კუნძულზე, რადგან ნაოჭები მაინც ნაოჭებია, სიმელოტე მაინც სიმელოტეა, და არავითარი განსხვავება არ არის შავ სახვევსა და უსინათლო თვალს შორის, რაც მაშინვე, თუმცა, სხვაგვარი სიტყვებით, აღნიშნა მოხუცმა. აბა, ახლა კარგად დამაკვირდი, განა ის ვარ, ვისთანაც, როგორც თქვი, ცხოვრებას აპირებდი, რაზეც ქალიშვილმა უპასუხა, გცნობ, ის კაცი ხარ, ვისთანაც ვცხოვრობ, და აი, როგორც იქნა, ითქვა სიტყვები, იმაზე ძვირფასი, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინო, და ეს მათმა ამბორმაც დაადასტურა. უკვე გამთენიისას, თვალი ექიმს აეხილა და ცხადი გახდა, რომ მხედველობა ყველას დაუბრუნდება, ეს მხოლოდ დროის ამბავია. აქ გამოვტოვებთ იმ სრულიად ბუნებრივ და მოსალოდნელ გრძნობათა დელვას და ფრქვევას, რადგან არაფრით განსხვავდება საკმაოდ დაწვრილებით ადრე აღწერილისგან, ასე რომ, გამეორება საჭირო აღარ არის, თუნდაც მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდეს ჩვენი მოთხოვნის მთავარ გმირებს, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ექიმმა დაგვიანებული შეკითხვა დასვა, ნეტავ ქალაქში რა ხდებაო, პასუხად კი იმავე სახლში, სადაც იმყოფებოდნენ, ქვედა სართულის ბინიდან ვიღაც კიბის უჯრედში გამოვარდა ყვირილით, ვხედავ, ვხედავო, და ეს სადღესასწაულო ქალაქში მზის ამოსვლას ჰგავდა.

სადღესასწაულო იყო საუბმეც. ის, რაც მაგიდაზე დააწყვეს, გარდა იმისა, რომ ძალიან ცოტა იყო, ისე გამოიყურებოდა, ნებისმიერს წაუხდენდა ჭამის მადას, მით უმეტეს, რომ მოჭარბებული გრძნობებიც, როგორც ხდება ხოლმე მღელვარებისას,

კლავს შიმშილს, თუმცა, ახლა გაშლილ სუფრასაც სიხარული ამშვენებდა და არავინ წუწუნებდა, და ისინიც კი, ვინც ჯერ კიდევ უსინათლო იყო, იცინოდნენ, თითქოს უკვე ახელილი თვალები მათი ყოფილიყო. საუბრის შემდეგ შავსათვალიანმა ქალიშვილმა მოიფიქრა, კარში თუ წერილს დავტოვებ, რომ აქა ვარ, ჩემს მშობლებს, თუ დაბრუნდებიან, ეცოდინებათ, სად მეძებონ. მეც წამიყვანე, სთხოვა შავსახვევიანმა მოხუცმა, მინდა გავიგო, რა ხდება ქვეყნად. ჩვენც წამოვალთ, თქვა იმან, ვინც ადრე პირველი უსინათლო იყო, იქნებ მწერალსაც დაუბრუნდა მხედველობა და შინ დაბრუნებას აპირებს, გზად კი იქნებ რამე საჭმელი ვიშოვოთ. იქნებ მეც რამე მოვახერხო, თქვა შავსათვალიანმა ქალიშვილმა. რამდენიმე წუთში ექიმი, ცოლთან მარტო რომ დარჩა, გვერდით მიუჯდა, ტახტის კუთხეში ელამ ბიჭუნას ეძინა, ცრემლის ძაღლს თავი წინა თათებზე დაედო და ხან ახელდა თვალებს, ხან ხუჭავდა, ამით მიანიშნებდათ, რომ სადარაჯობეა. ღია ფანჯრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე იყო, მრავალხმიანი გუგუნის ისმოდა და ქუჩებში გამოფენილი ბრბო მხოლოდ იმას ყვიროდა, ვხედავო, და ამას გაჰყვიროდნენ უკვე თვალახელილნიც და ისინიც, ვისაც იმ წუთში ეხილებოდა თვალი. ვხედავ, ვხედავ, და თითქოს სადღაც სხვა სამყაროში მოხდა, რომ ერთხელაც ვიღაცამ პირველმა თქვა, დავბრმავდიო. ელამმა ბიჭუნამ ძილში რაღაც ჩაიბურტყუნა, ნეტავ რა სიზმარი იყო ასეთი, იქნებ დედას ხედავდა, რომელიც ეკითხებოდა, ახლა ხომ მხედავ, ხომ მხედავო. ექიმის ცოლმა ჰკითხა ქმარს, დანარჩენებით, და ექიმმა უპასუხა, ბიჭუნას რომ გაეღვიძება, ალბათ, მაშინ აეხილება თვალი, და სხვა დანარჩენებსაც, ჩვენ შავსახვევიან მოხუცს კი სტრესი არ ასცდება. რატომ. თვალზე კატარაქტა აქვს, და მას შემდეგ, რაც გავსინჯე, დიდი დრო გავიდა, ასე რომ, მდგომარეობა გაურთულდებოდა, ამიტომ ახლა სრულ ბურანშია. დაბრმავდება. არა, როცა ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და ამუშავდება, ოპერაციას გავუკეთებ, რამდენიმე კვირის ამბავია. მაინც რატომ დავბრმავდით. არ

ვიცი, მაგრამ იქნებ ოდესმე გავიგოთ მიზეზი. გინდა გითხრა, რას ვფიქრობ ახლა. მინდა, მითხარი. მგონი, კი არ დავბრმავდით, არამედ ბრმები ვიყავით და ახლაც ბრმები ვართ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ. ბრმები, რომლებსაც მხედველობა აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ.

ექიმის ცოლი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. ქვემოთ ნაგვით გავსებული ქუჩები დაინახა, ადამიანები, რომლებიც მღეროდნენ და ყვიროდნენ. მერე ზეცას ახედა და სრული სითეთრე დაინახა. გაიფიქრა, აი, ჩემი ჯერიც დადგაო. შიშმა თვალები ძირს დაახრევინა. ქვემოთ კი ქალაქი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო.